კონსტანტინე კაპანელი

ფილოსოფიური შრომები

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1989

87
კ 242

კ. კაპანელის ფილოსოფიური შრომების ერთტომეულში შეკრიბა მისი ორი წაშრომი: „სული და ღმერთი", „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები — ორგანოტროპიზმი". ეს შრომები ასახავს კაპანელის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას, რომელსაც ავტორმა ორგანოტროპიზმი უწოდა. ამავე დროს, მათში აისახა კაპანელის შეხედულებათა ევოლუცია მარქსიზმთან დაახლოების მიმართულებით. შრომებს წამძღვარებული აქვს კაპანელის მსოფლმხედველობის ანალიზი. კაპანელის ერთტომეული ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ერთ მომენტს განმარტავს და ამდენად ის საინტერესო იქნება იმათთვის, ვისაც აინტერესებს ქართული აზროვნების ვითარება ჩვენი საუკუნის პირველ მესამედში.

რედაქტორი პროფ. ედ. კ ო დ უ ა

რეცენზენტები: პროფ. გ. თ ე ვ ზ ა ძ ე
პროფ. ვ. კ ი ლ ა ძ ე

© ი.ბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989.

М 0302010000 / М608(06)89

ISBN 5-511-00173-2

კონსტანტინე კაპანელის მსოფლმხედველობის საკითხისათვის

„სიცოცხლის ფილოსოფიის“ ნაკადი ქართულ აზროვნებაში

ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთი სპეციფიკა მრავალი მიმართულების ნაკადის თანაარსებობასა და ურთიერთბრძოლაშია. ფილოსოფია თავისი ბუნებით, თითქოსდა, პლურალისტურია, რადგან პრობლემატიკა, რომელსაც იგი იხილავს, შეიძლება მრავალი განსხვავებული განზომილებით წყდებოდეს და ყოველი მათგანი არსებობდეს სხვების გვერდით. მე-20 საუკუნის ფილოსოფია, ისე როგორც ძველი ბერძნულიც, სწორედ ამ ნიშნით ხასიათდება. ჩვენი საუკუნე მრავალ ფილოსოფიურ სისტემათა ურთიერთბრძოლის, განსხვავებული პრობლემატიკის და ზოგჯერ ერთი და იმავე პრობლემების მრავალსახოვანი გადაჭრის სიმდიდრეს წარმოაჩენს. მთელი ფილოსოფიის ისტორია არის მატერიალიზმისა და იდეალიზმის, დიალექტიკისა და მეტაფიზიკის, რაციონალიზმისა და ემპირიზმის, დეტერმინიზმისა და ინდეტერმინიზმის, იმანენტიზმისა და ტრანსცენდენტიზმის და სხვა მრავალი „იზმის“ დაპირისპირების არენა, სადაც თითოეული თავის მხრივ მრავალ ნაკადად და განშტოებად იყოფა. არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა იმდენი განსხვავებული სისტემა თუ „იზმი“, რამდენიც მე-20 საუკუნეშია. ფილოსოფიის ამ საერთო სურათის ფონზე თავისებურად ირეკლება და წარმოჩინდება მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული ფილოსოფიაც. ამის საფუძველში ძევს მატერიალისტურ და იდეალისტურ, დიალექტიკურ და მეტაფიზიკურ, რაციონალისტურ და ირაციონალისტურ სისტემათა მრავალფეროვნება. შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნის ფილოსოფიაში არაა პრობლემა, რომელიც თავისებურად არ იყოს დასმული და გააზრებული ქართულ აზროვნებაში და არაა მიმართულება, რომელიც ქართულ აზროვნებას გამოხმაურების გარეშე დარჩენილა. თუ საუკუნის დასაწყისის ქართული ფილოსოფიური აზროვნების

ღირებულებაზე ვიმსჯელებთ, ის უნდა შეეაფასოთ და გავზომოთ არა იმ მასშტაბით, თუ რა ახალი, მსოფლიო ფილოსოფიური აზრის განვითარებისაგან განსხვავებული, სისტემა შექმნა მან, — ასეთი სისტემა არ შეუქმნია არა მარტო საქართველოს, არამედ ფილოსოფიური აზროვნებით ცნობილ ისეთ ქვეყნებსაც კი, როგორიცაა საფრანგეთი, ინგლისი, იტალია და ესპანეთი, — არამედ იმის მიხედვით, იდგა თუ არა ის ეპოქის ფილოსოფიური აზროვნების დონეზე. იყო თუ არა მასში გაცნობიერებული ევროპული ფილოსოფიური აზროვნების პრობლემატიკა და შეძლო თუ არა არეკვლა მთელი იმ მრავალსახოვანი სისტემებისა, რომელნიც ასე უხვადაა წარმოდგენილი მე-20 საუკუნის მსოფლიო ფილოსოფიურ აზროვნებაში. ჩვენი თვალსაზრისით, ქართული ფილოსოფია იდგა თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნების დონეზე და განიხილავდა ევროპული ფილოსოფიისთვის ნიშანდობლივ ყველა აქტუალურ პრობლემას — იმ საკითხებს, რომელნიც საუკუნის დასაწყისის აზროვნებისათვის არსებითს წარმოადგენდნენ და ქმნიდნენ მრავალფეროვან ფილოსოფიურ მიმდინარეობათა სიმდიდრეს. სწორედ ეს ვითარება გვაძლევს საშუალებას, ვთქვათ, რომ მე-20 საუკუნის ქართული აზროვნება მნიშვნელოვანი რგოლია მსოფლიო ფილოსოფიური აზროვნების ჯაჭვში. მაგრამ არა იმით, რომ ქართული აზროვნება ევროპულზე მაღლა დგას, როგორც ზოგიერთს წარმოუსახავს, არამედ იმით, რომ ქართული აზროვნება ევროპული და მსოფლიო აზროვნების დონეზეა. ეს სრულიად საკმარისია იმის სამტკიცებლად, რომ ქართველ ერს აქვს ფილოსოფიური აზრის ისტორია და მასზე არ ვრცელდება ჰეგელის გამოთქმა: უბედურია ერი, რომელსაც საკუთარი ფილოსოფიური აზროვნება არ გააჩნია; პროფ. ს. დანელიას გამოთქმაც— „კაცი მონაა, თუ მას საკუთარი აზრი არა აქვს“ — შეიძლება გამოვიყენოთ ერის მიმართაც.

მე-20 საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზრი მრავალმხრივ საყურადღებოა მკვლევართათვის. ქართული აზროვნების ისტორიაში მანამდე არ ყოფილა ასეთი ინტენსიური განვითარების ეპოქა. ჩვენი საუკუნის ქართული ფილოსოფია, პრობლემატიკის მრავალფეროვნებით, მათი გადაწყვეტის გზებით და ფილოსოფოსობის დონით, უმაღლესი საფეხურია ჩვენი აზროვნების ისტორიაში, და ღირსეულად დგას თანამედროვე ევროპული ფილოსოფიის გვერდით. ყოველივე ეს შეძლეს ცნობილმა მოაზროვნეებმა: შალვა ნუცუბიძემ, დიმიტრი უზნაძემ, სერგი დანელიამ, კონსტანტინე კაპანელმა, კოტე ბაქრაძემ, მო-

სე გოგიბერიძემ, კიტა მეგრელიძემ, სავლე წერეთელმა და სხვ. ქართველ ფილოსოფოსთა მთელი ამ პლეადის ნამოღვაწარი თანამედროვე ფილოსოფიის აქტუალური პრობლემატიკის ცენტრში დგას. ამას მოწმობს ის დიდი ინტერესი, რასაც მათი შრომებისადმი იჩენენ ევროპის, აზიის და ამერიკის კონტინენტზე. შალვა ნუცუბიძის ორი მონოგრაფია პირველად გერმანიაში გამოვიდა, მათ შესახებ პროფ. შ. ხიდაშელმა 12 რეცენზიას მიაკვლია გერმანულ პერიოდულ პრესაში; კოტე ბაქრაძის ბრავალტომიანი თხზულებებიდან ერთი ტომი გამოვიდა ჩეხოსლოვაკიაში, ორი მონოგრაფია ითარგმნა და გამოვიდა პოლონურ ენაზე. მარტო პოლონეთის პრესაში მიკვლეულია ამ შრომებზე ხუთი მრავალგვერდიანი საჟურნალო რეცენზია; მოსე გოგიბერიძის სადოქტორო დისერტაცია სოლომონ მაიმონის შესახებ შევიდა ფილოსოფიის ისტორიის გერმანულ ცნობარებში როგორც მაიმონის მსოფლმხედველობის გამოკვლევის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში; დღეს თანამედროვე ქართულ ფილოსოფიურ ნააზრევს სწავლობენ ევროპისა და ამერიკის კონტინენტებზე.

მე-20 საუკუნის ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას ძირითადად ორი წყარო ასაზრდოებდა — ტრადიციულ-ისტორიული ქართული ფილოსოფიური აზროვნება, რომელსაც ბრწყინვალე წარმომადგენლები ჰყავდა ჯერ კიდევ მე-5—მე-12 საუკუნეებში, და თანამედროვე ევროპული ფილოსოფია. განსაკუთრებით ძლიერი წყარო სწორედ ეს უკანასკნელია, რადგან თანამედროვე ქართული ფილოსოფია ევროპულ ფილოსოფიურ სისტემებთან კონტაქტში და მათი იდეების გაზიარებით ყალიბდებოდა. ეს ითქმის თანამედროვე ქართველ ფილოსოფოსთა არა მარტო იმ პლეადაზე, რომლებმაც გაიარეს ევროპული ფილოსოფიური სკოლა და ფილოსოფიისადმი ინტერესი ევროპელ მოაზროვნეებთან დაიკმაყოფილეს (კაპანელი, უზნაძე, ნუცუბიძე (პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ), ბაქრაძე, გოგიბერიძე, მეგრელიძე და სხვები), არამედ იმათ მიმართაც, ვისაც ფილოსოფიური განათლება და პირველი ფილოსოფიური ზიარება რუსეთში ან საქართველოში მიუღიათ (ს. დანელია, ს. წერეთელი და სხვები). თანამედროვე მსოფლიოში ევროპული ფილოსოფია ბატონობს და მისით ნასაზრდოები ქართული ფილოსოფიაც მის პრობლემებსა და ტენდენციებს გაზიარებს, — ესაა მისი ძლიერების წყარო, ვისაც ამის უარყოფა უნდა, ჰეგელის თქმით, ის ჰგავს ქედმაღალ და თავისთავზე დიდი წარმოდგენის მქონე უვიც ადამიანს, რომელიც „ადვილად მიიწერს ხოლმე ახალ

აღმოჩენისავენ იმას, რაც თვითონ მას სხვებისაგან უსწავლია და ეს მათ უფრო ადვილად სჯერა. რამდენადაც ეს მათ აღმოჩენილთ ეხმარება ამ ამოცანებს; ანდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, იგი იმიტომ არის მათზე გაჯავრებული, რომ თავისი შეხედულებები მათგან ვადმოიღოს".

ზემოთ ჩამოთვლილ ქართველ ფილოსოფოსთა ნაზრევი ფილოსოფიური პრობლემებისადმი მიდგომის, მათი დასმის და გადაწყვეტის გზების მსრივ ვანსხვავებულ სურათს ვვაძლევს: ერთნი ფილოსოფიის პრობლემატიკის ღრმამეცნიერულ დამუშავებას ახდენენ მარქსიზმის პოზიციებიდან. მაშინდელი პოპულარიზატორობის ტენდენციებს საპირისპიროდ ცდილობენ ღრმად შეიჭრან ფილოსოფიის თეორიულ და ისტორიულ პრობლემატიკაში და წინ წამოწიონ ისტორიულ-თეორიული საკითხების ის მომენტები, რომელნიც ნაკლებად იყო გაშუქებული მარქსისტი ავტორების მიერ — ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებიან მოსე გოგიბერიძე, კოტე ბაქრაძე, კ. მეგრელიძე, უფრო გვიან ს. წერეთელი; მეორე ტენდენცია ასეთია — ამოსავალია ძირითადად ფილოსოფიის ისტორიული პრობლემატიკა, კვლევა წარმოებს ისტორიულ განასკ. ში, მაგრამ ისე, რომ ავტორის მსოფლმხედველობა მასში მაინც იჩენს თავს. ასეთია ს. დანელიას ნაზრევი, რომელიც ტრანსცენდენტალიზმისა და ღირებულების ფილოსოფიის შუქზე იკვლევს ანტიკური და ახალი ფილოსოფიის ისტორიის პრობლემებს; ასეთივეა უზნაძის ნაზრევი, დაწყებული მისი სადოქტორო დისერტაციით სოლოვიოვზე და ბერგსონისადმი მიძღვნილი შრომებით დამთავრებული; მესამენი ეძიებენ გზებს საკუთარი ფილოსოფიური სისტემის ჩამოყალიბებისათვის. მათთვის ისტორია მხოლოდ ფონია და ძირითადად კვლევის ძიზნად ისახავენ ფილოსოფიის თეორიულ პრობლემატიკას. ისინი არ იზღუდებიან რომელიმე ისტორიული სისტემის ჩარჩოებით და ფილოსოფოსობას საკუთარი სისტემის შექმნის გზად მიიჩნევენ. მათ რიცხვს მიეკუთვნება ორი მოაზროვნე — შალვა ნუცუბიძე და კონსტანტინე კაპანელი. ერთიც და მეორეც საუკუნის დასაწყისში გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე და პირველ ნაშრომებს უძღვნიან ფილოსოფიის ისტორიულ პრობლემატიკას: შ. ნუცუბიძეს აინტერესებს ბოლცანოს გნოსეოლოგიის პრინციპები, კაპანელს — ნიცშეს სიცოცხლის ფილოსოფიის იდეები, მაგრამ როგორც ერთს, ისე მეორეს ფილოსოფიის ის-

---

[1] ჰ ე გ ე ლ ი, ლოგიკის მეცნიერება, 1962, გვ. 27.

ტორია არ გაუსდია მ.ზნად, ის მათთვის საკუთარი თავის პოვნის საშუალება იყო. ცნობილია, რომ არავინ იწყებს აზროვნებას საკუთარი კონცეფციით, არამედ სხვის მიერ გაკვალული გზით მიდის საკუთარ წააზრევთან, მაგრამ აჩრდილი იმისა, ვინც პირველად აღძრა მასში ინტერესი პრობლემისადმი და პირველი ამოსავალი წერტილი იყო მისთვის, მთელი შემდგომი აზროვნების პროცესში გასდევს მეცნიერის წააზრევს. გავიხსენოთ თუნდაც ჰეგელის დიალექტიკისა და ფოიერბასის მატერიალიზმის გავლენა მარქსზე. წლების განმავლობაში რომ გასდევედა მის წააზრევს. ანალოგიური ვითარებაა ქართველ მოაზროვნეებთანაც და სწორედ ასეთი გახლდათ ამ ორი მოაზროვნის გზაც. — ნუცუბიძემ და კაპანელმაც საკუთარი სისტემის საკმაოდ მკაფიო კოხტურები მოხაზეს, რომელშიც ადვილად გამოიცნობა, რით დაიწყეს მათ აზროვნება და ვინ იყო მათი სულიერი მოძღვარი — ეს ეხება როგორც პრობლემატიკის დაყენებას, ისე მისი გადაჭრის გზების ძიებასაც. ბოლცანოს გნოსეოლოგიურმა პრინციპებმა და თავისთავადი ჭეშმარიტების ცნებამ განსაზღვრა ნუცუბიძის ალეთოლოგიის ჩამოყალიბება, ისე როგორც ნიცშეს სიცოცხლის ფილოსოფიის იდეებმა და კულტურაზე ორიენტირებამ განსაზღვრა კაპანელის ორგანოტროპიზმი. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ უკანასკნელ პერიოდში ჩვენში გამოთქმულ მოსაზრებას: თითქოს ნუცუბიძის თეორიის ამოსავლად ბოლცანოს დასახვა და, საერთოდ შ. ნუცუბიძის წააზრევის ევროპული ფილოსოფიის პრობლემატიკითა და საკითხების გადაჭრით განსაზღვრულობის მტკიცება მცდარი იყოს და, თითქოს, პროფ. შ. ნუცუბიძეს შინაგანად დაეძლიოს ევროპული ფილოსოფია. ბ. ურიდიას ნაშრომში — „გნოსეოლოგიის პრობლემები მე-20 საუკუნის ქართულ ფილოსოფიაში" — სწორედ ეს თვალსაზრისია გატარებული. ავტორი ამტკიცებს, რომ შ. ნუცუბიძემ მიზნად დაისახა, ბოლო მოეღო ფილოსოფიაში კომენტატორობისათვის და შემეცნების თეორიის საკითხებში ევროპის ფილოსოფია შიგნიდან დაეძლია. ავტორის აზრით, „ორივე ეს ამოცანა ამ უდიდესმა მოაზროვნემ ბრწყინვალედ შეასრულა"[1]. სამწუხაროდ, ავტორმა ვერ აჩვენა, რაში მდგომარეობს ეს „ბრწყინვალე შესრულება". იგი ფიქრობს, რომ პროფ. შ. ნუცუბიძის გალაშქრება კომენტატორობის წინააღმდეგ არის „მძლავრი შეტევა იდეალიზმზე".

---

[1] ბ. ურიდია. შემეცნების თეორიის პრობლემები ქართულ ფილოსოფიაში. თბილისი, 1975, გვ. 14.

საკითხავია, რატომ იდეალიზმზე? კომესტატორობა ხომ ერთნაირად შესაძლებელია როგორც იდეალიზმში, ისე მატერიალიზმში. ავტორის აზრით, „იმანენტური კრიტიკა მშრალი კომენტარებით ვერ დაძლევდა დასავლეთ ევროპის იდეალისტურ ფილოსოფიას. იგი შიგნიდან იქნა დაძლეული მონოგრაფიული გამოკვლევებით"[1]. გამოდის, რომ მონოგრაფიული გამოკვლევები ყოფილა ევროპული ფილოსოფიის დაძლევის გზა და ასეთი რამ არ ყოფილა მანამდე, რადგან მანამდე არავის დაუძლევია იგი. მონოგრაფიების სიმცირეს დასავლეთ ევროპის ფილოსოფია არ განიცდიდა არც შ. ნუცუბიძემდე და არც მის შემდეგ და აქედანაც, აქ შ. ნუცუბიძის დახმარება დასავლეთევროპულ ფილოსოფიას არ დასჭირდებოდა. არც ის გამოდგება დასავლეთევროპული ფილოსოფიის დაძლევის მაჩვენებლად, ბ. ურიდია რომ იმეორებს კურტ გასენის ნათქვამს: „ალეთოლოგიურ გამოკვლევებს გვერდს ვერ აუვლისო შემეცნების თეორიის ვერც ერთი თანამედროვე მკვლევარი"[2]. უდავოა, რომ ეს გამოკვლევები მნიშვნელოვანია, გასათვალისწინებელია, მაგრამ ისინი სრულიადაც არ წარმოადგენენ დასავლეთევროპული ფილოსოფიის დაძლევას. ავტორი იქვე წერს: „დასახული მიზნის განხორციელებამ შ. ნუცუბიძე იმ ფილოსოფოსების გვერდით დააყენა, რომლებმაც საკუთარი სისტემა შექმნეს და ფილოსოფიის ისტორიაში უდიდესი სახელი დაიმკვიდრეს". რას ნიშნავს ეს გამოთქმა? საკუთარი სისტემის შექმნა თუ არის ევროპული ფილოსოფიის დაძლევის გზა, ასეთი სისტემები ბევრს ჰქონდა, და შემდეგ, რატომ ჰგონია ავტორს, რომ შ. ნუცუბიძეს საკუთარი სისტემის შესაქმნელად აუცილებლად უნდა დაეძლია დასავლეთ ევროპის ფილოსოფია? განა დასავლეთ ევროპის ფილოსოფიის ნიადაგზე და მის წიაღში არაა შექმნილი მრავალრიცხოვანი ფილოსოფიური სისტემები? შეიძლება ავტორი იცნობს თანამედროვე ფილოსოფიაში თუნდაც ერთ სისტემას, რომელიც არ იქნებოდა დასავლეთევროპული ფილოსოფიიდან გამომდინარე. დავუშვათ, ვერწმუნეთ ავტორს და მივყევით მის ნააზრევს — რაში ხედავს იგი დასავლეთევროპული ფილოსოფიის დაძლევას: „შ. ნუცუბიძის თვალსაზრისი შემეცნების თეორიის საკითხებზე და კერძოდ, ჰეშმარიტების ობიექტურობაზე არ არის არც ობიექტურ-იდეალისტური და არც სუბიექტურ-იდეალისტური. იგი მატერიალისტურია, თუმ-

[1] ბ. ურიდია, შემეცნების თეორიის პრობლემები ქართულ ფილოსოფიაში, თბილისი, 1975, გვ. 14.

[2] იქვე.

ცა მრავალი ნაკლოვანებისა და შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი"[1]. შემდეგ ვეერდზე ავტორი განმარტავს შ. ნუცუბიძის თეორიის დადებით და უარყოფით ნიშნებს და გამოთქვამს ასეთი ხასიათის დებულებებს: „შ. ნუცუბიძის თვალსაზრისი არ არის იდეალისტური, მაგრამ არც დიალექტიკურ-მატერიალისტურია... მას მრავალი მართებული მისაღები აზრი აქვს გამოთქმული". დასავლეთევროპულ აზროვნებას ეერ გავაკვირვებთ ვერც იდეალისტური და ვერც მატერიალისტური შემეცნების თეორიით, რადგან სწორედ მასში განვითარდა შემეცნების თეორიის ყველა სახე და არც ერთი მათგანი არაა ამ ფილოსოფიის დაძლეეის მაჩვენებელი. არ არის მართებული ავტორის მტკიცება, რომ ალეთოლოგია „ახალი ფილოსოფიური დისციპლინაა"[2], „რომლის შინაარსია შემეცნების შემეცნება". კანტის შემდეგ ეს არავითარ სიახლეს არ წარმოადგენს. კანტის „კოპერნიკისებური გადატრიალება" და ძის ნიადაგზე აღმოცენებული ნეოკანტური სკოლები სწორედ „შემეცნების შემეცნებას" ახდენდნენ. ავტორმა ვერ მოიტანა ვერც ერთი დებულება, რომელიც ევროპულ ფილოსოფიას არ გამოეთქვას და ვერც მოიტანდა, რადგან ფილოსოფიაში რომელიმე მოაზროვნის სიდიადე დასავლეთევროპულ ფილოსოფიასთან დაპირისპირებით კი არ განისაზღვრება, არამედ პრობლემატიკით, მათი გადაწყვეტის გზებით თანამედროვე ევროპული ფილოსოფიის დონეზე და ნიადაგზე დგომით, რომლის გაუთვალისწინებლობაც არქაიზმის მაჩვენებელია, ხოლო ასეთი მტკიცება — პროვინციალიზმი.

გაცილებით უფრო ახლოს იდგა ჰეშმარიტებასთან ქართული ფილოსოფიის ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენელი ს. დანელია, როდესაც ჯერ კიდევ ოციან წლებში აღნიშნავდა, რომ ქართული ფილოსოფიური აზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია ევროპული ფილოსოფიის ნიადაგზე დგომაო: „დღეს ქართული მეცნიერული აზრი ჩვენ გვევლინება დასავლეთ ევროპის მეცნიერთა მიერ გამომუშავებული კვლევა-ძიების იარაღით აღჭურვილი. ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერები დგანან ევროპის მეცნიერული მეთოდების საფუძველზე. ეს ცხადდება თითოეული წერილის შინაარსისაგან. შ. ნუცუბიძის წერილი შეიცავს ამ მოვლენის თეორიულ განმარტებასაც"[3].

---

[1] ბ. ურიდია, შემეცნების თეორიის პრობლემები ქართულ ფილოსოფიაში, თბილისი, 1975, გვ. 15.

[2] იქვე, გვ. 19.

[3] ს. დანელია, რეცენზია თბილისის უნივერსიტეტის მოამბეს, № 1, პირველ ნაკვეთზე, ჟურნალი განათლება, 1920, № 2, გვ. 37.

საერთოდ არა მარტო ქართული, არამედ თანამედროვე მსოფლიო ფილოსოფიური აზრის განვითარება ვეკისკენაა, რომ მისი წყარო ევროპული ფილოსოფიაა, რადგან მსოფლიოში არსებული ყველა ძირითადი ფილოსოფიური მიმდინარეობა ევროპული წარმოშობისაა. თავის მხრივ ევროპის ფილოსოფია განსაზღვრულია გერმანული ფილოსოფიით, ვინაიდან ყველა ძირითადი მიმდინარეობა სათავეს გერმანიაში იღებს. გერმანული ფილოსოფია კი, განსაზღვრულია გერმანული კლასიკური ფილოსოფიით, რომლის სათავეში დგას კანტი. ამიტომ სამართლიანად აღნიშნავდა პროფ. ს. დანელია, რომ „კანტის ფილოსოფია შეიძლება შევადაროთ დიდ კუნძულს, რომელშიც შემოდიან მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფიის ნაკადები და, რომლიდანაც გამოდიან მეცხრამეტე საუკუნის ფილოსოფიის ვეებერთელა მდინარეები, მათ შორის — მარქსიზმიც. კანტის ფილოსოფია არის დიდი და დაბლართული კვანძი, სადაც ერომანეთზეა გადაბმული ძთელი საკაცობრიო აზროვნება კანტამდე და კანტის შემდეგ"[1].

როგორც აღვნიშნეთ, მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული ფილოსოფიური აზრის ძირითადი ნიშანია თანამედროვე ევროპული ფილოსოფიის ნიადაგზე დგომა. ამიტომ საჭიროა მოკლედ მაინც სქემატურად მოიხაზოს, რა ძირითადი ტენდენციებია მეოცე საუკუნის ევროპის ფილოსოფიის აზროვნებაში და ამ კუთხით განვიხილოთ ქართული ნააზრევი.

თანამედროვე ევროპული ფილოსოფია ორი ძირითადი მიმართულებით ვითარდება. ერთი მხრივ, მისი მთავარი ობიექტია სიცოცხლე, ადამიანი, მისი ყოფიერება და საზრისი, ისე როგორც საერთოდ ყოფიერება. ამ ტენდენციას ავითარებენ და ფილოსოფიას ამ მიმართულებით წარმართავენ: სიცოცხლის ფილოსოფია, მისგან გამომდინარე ექსისტენციალიზმი, პერსონალიზმი, ონტოლოგიის სხვადასხვა სკოლა ფენომენოლოგიური ნაკადით, და რელიგიური ფილოსოფიის წარმომადგენლები. ამ მიმართულებათათვის დამახასიათებელია კვლევის ცენტრში ონტოლოგიური პრობლემატიკის დასმა; მეორე ძირითადი ტენდენცია მომდინარეობს ნეოკანტელობისა და პოზიტივიზმის ძიებ დამკვიდრებული პრინციპებიდან. მასში კვლევითი ღირებულების ფენად ცხადდება შემეცნება, ჭეშმარიტება, მეცნიერება. იგი ფილოსო-

---

[1] ს. დ ა ნ ე ლ ი ა, კანტის ცხოვრება და ფილოსოფიური მოღვაწეობა, თბ., 1977, გვ. 30.

ფიაში გნოსეოლოგიური ნაკადის გამომსატვეულია. ონტოლოგია და გნოსეოლოგია — ესაა ორი ძირითადი ტენდენცია, რომელებიც ახასიათებენ თანამედროვე ევროპულ ფილოსოფიაში. მაგრამ ისინი არ ამოწურავენ ამ ფილოსოფიის ძირითად ტენდენციებს. თანამედროვე ევროპული ფილოსოფია არის მატერიალიზმისა და იდეალიზმის, დიალექტიკისა და მეტაფიზიკის, გნოსეოლოგიზმისა და ონტოლოგიზმის დაპირისპირებათა არენა. გარდა ამისა, მასში სხვა წინააღმდეგობრივი ნაკადებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ერთ-ერთი მათგანია რაციონალიზმისა და ირაციონალიზმის დაპირისპირება, გონებისა და ანტიგონების, დისკურსიული და ინტუიციური აზროვნების, ლოგიკისა და ალოგიზმის ურთიერთგამომრიცხავ ტენდენციათა არსებობა. შეუძლებელია რომელიმე ფილოსოფიური მიმდინარეობის გააზრება დასახელებულ საპირისპირო ტენდენციებში მისი ადგილის მონახვის გარეშე, რადგან მათ მიღმა ან მათზე მაღლა მდგომი ფილოსოფიური სისტემა თანამედროვე ევროპულ აზროვნებაში არ არის და არც შეიძლება იყოს. სიცოცხლის ფილოსოფიისა და ექსისტენციალიზმის ალოგიზმი, ირაციონალიზმი და ინტუიტივიზმი თავიანთ საპირისპირო ტენდენციას ეჯახება პოზიტივიზმის და მასთან ახლო მდგომ მიმართულებათა — ემპირიზმის, ლოგიციზმისა და რაციონალიზმის სახით. ერთი მხრივ, მეცნიერებისა და ლოგიკისადმი უსაზღვრო რწმენა, ყველა პრობლემის მათი გზით გადაწყვეტის შესაძლებლობის მტკიცება. მოკლედ სციენტიზმი და ოპტიმიზმი სამყაროსა და ადამიანური არსებობის მიმართ, აგებული მეცნიერებისა და ტექნიკის წინსვლაზე; მეორე მხრივ, მეცნიერებისა და ლოგიკის შეზღუდულობის მტკიცება, ძირეული ადამიანური და სოციალური პრობლემების მათი გზით გადაწყვეტის შეუძლებლად გამოცხადება. შიში მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის წინააღმდეგ მათ ჩრდილოვან მხარეთა გამო, პესიმიზმი ადამიანური და სოციალური სამყაროს მიმართ — ასეთია ორი საპირისპირო ნაკადი ევროპულ აზროვნებაში.

ანალოგიურია საუკუნის დასაწყისის ქართული ფილოსოფიური აზროვნებაც — მეცნიერების თეორიის, შემეცნების პრობლემატიკის და ლოგიკის პრინციპების კვლევისადმი სწრაფვა განსაკუთრებით მძლავრ ნაკადად წარმოჩნდა პროფ. შ. ნუცუბიძის მოღვაწეობის დასაწყისშივე. ალეთოლოგიური რეალიზმის პრინციპების პირველი გადმოცემა, ფილოსოფიური სემინარის ჩამოყალიბება, სადაც განმსაზღვრელი გნოსეოლოგიური პრობლემატიკაა, წარმოადგენს იმ მძლავრ ბიძგს,

რომელმაც გაბატონებული გახადა შემეცნების თეორიული საკადი ქართულ აზროვნებაში. შემთხვევითი არ იყო, რომ დიმიტრი უზნაძე, სერგი დანელია, კოტე ბაქრაძე, მოსე გოგიბერიძე ოცდაანი წლების დასაწყისში აქტიურად ჩაებნენ გნოსეოლოგიისა და ლოგიკის პრობლემატიკის დამუშავებაში. საყურადღებოა აღვნიშნოთ უზნაძის შრომა „ლაიბნიცის" „petites perzeption"-ზე და „იმპერსონალიებზე"; ს. დანელიას პოლემიკური წერილი უზნაძის წინააღმდეგ ლაიბნიცის საკითხზე და „ჭეშმარიტების გვარი"; კოტე ბაქრაძის რეცენზია შ. ნუცუბიძის „ალეთოლოგიურ რეალიზმზე", რომელშიც „რეალიზმის" საპირისპირო ჭეშმარიტების თეორიაა წამოყენებული; მ. გოგიბერიძის „შემეცნების აქსიომატური დასაბამი" და სხვ. ეს ლოგიკურ-გნოსეოლოგიური ნაკადი პრობლემატიკის დაყენების მხრივ იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მან შეძლო ქართული ფილოსოფიური აზრის განსაზღვრა მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში და მას დღესაც მთავარი პოზიციები უკავია.

ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში მეორე ნაკადი დაკავშირებულია კ. კაპანელის, დ. უზნაძის და ნაწილობრივ ს. დანელიას სახელთან. უზნაძის ინტერესი ადამიანისა და ადამიანური ყოფიერების საზრისის პრობლემებისადმი გამოვლინდა ჯერ კიდევ მის სადოქტორო დისერტაციაში, რომელიც მიეძღვნა ვლადიმერ სოლოვიოვის ფილოსოფიას. ბუნებრივია, უზნაძისთვის სოლოვიოვის მსოფლმხედველობა საინტერესო იყო არა მისი რელიგიურობის, არამედ ანთროპოლოგიურობის გამო. საქართველოში უზნაძის მიერ გამოქვეყნებული ერთ-ერთი პირველი შრომაც „ფილოსოფიური საუბრების" რუბრიკით ეძღვნება ადამიანის პრობლემას. ესაა წერილი სათაურით „სიკვდილი" (გაზეთი „კოლხიდა", 1911, № 4). ასეთივეა „ცხოვრების საზრისი" და „ომის ფილოსოფია". ანალოგიური მიმართულებისაა მისი ნაშრომი „ორგანული მსოფლმხედველობა" („პრომეთე", 1918, № 3). შემდგომში კი, „სიცოცხლის ფილოსოფიის" თვალსაჩინო წარმომადგენლის ანრი ბერგსონის მსოფლმხედველობის საუკეთესო გადმოცემა და ბერგსონისეული პრობლემატიკის განხილვა შრომებში „ანრი ბერგსონი" და „ბერგსონის მონიზმი" უდავოდ ადასტურებს უზნაძის ცხოველ ინტერესს ადამიანური ყოფიერების პრობლემატიკისადმი. სავარაუდოა, რომ ამ მიმართულებით მუშაობდა უზნაძის მიერ დაარსებული ფილოსოფიური სემინარიც, რომლის შესახებ არსებობს პროფ. კ. ბაქრაძის მოგონება — ის აღნიშნავს, რომ სემინარზე პლატონის ფილოსოფიის

პრობლემატიკა განიხილებოდა და სემინარი მეტად ნაყოფიერი იყო[1]. შემდგომში დ. უზნაძე ორიგინალურ ფსიქოლოგიურ თეორიას ქმნის და ამდენად, ფილოსოფიის ზოგადი საკითხების მიმართ მისმა ინტერესმა უკანა პლანზე გადაიწია[2].

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამ მიმართულებით აზროვნების განვითარებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის ს. დანელიასაც. ამის საფუძველია მისი შრომები ანტიკურ ფილოსოფიაზე. ანტიკური ფილოსოფიის პერიოდიზაცია ორ ნაკადად: კოსმოლოგიურად და ანთროპოლოგიურად, და საკუთარი ინტერესებისა და ორიენტირების წარმართვა უმთავრესად ანთროპოლოგიური პერიოდისა და პრობლემებისაკენ.

საბოლოოდ ამ მიმართულებით კვლევის განვითარებაში დიდი დამსახურება მიუძღვის კ. კაპანელსაც, რადგან იგი იყო მოაზროვნე, რომელმაც ადამიანური ყოფიერებისა და კულტურის პრობლემატიკაზე ორიენტირებული ფილოსოფიური მიმდინარეობის შექმნა სცადა საქართველოში.

ორი ტენდენცია მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართულ აზროვნებაში — გნოსეოლოგია-ლოგიკისა და ადამიანისა და კულტურის კვლევის მიმართულება — ფაქტობრივად წარმოდგენილია ორი ფილოსოფოსის მსოფლმხედველობით — შ. ნუცუბიძის ალეთოლოგიური რეალიზმით და კ. კაპანელის ორგანოტროპიზმით. როგორიც არ უნდა ყოფილიყო მათ მიერ საკითხის გადაწყვეტა, თვით საკითხის დაყენება და ქართული აზროვნების ამ ორი საპირისპირო მიმართულებით განვითარება უდავოდ დამსახურებაა. საკითხის დაყენებას რომ ვაცხადებთ მათ დამსახურებად და არა მის გადაჭრას, ეს არა იმიტომ, რომ

---

[1] კ. ბაქრაძე, ფილოსოფიური აზრი საქართველოში, თბ., 1968, გვ. 6.

[2] საინტერესოა ის ვითარება, რომ არა მარტო ფილოსოფიის თეორიული, არამედ ისტორიული აზროვნებაც თავის განვითარებას ევროპულ ნიადაგზე პოულობს. მაშინაც, როდესაც ქართველი ფილოსოფიის ისტორიკოსი არ ეთანხმება ევროპელ ფილოსოფიის ისტორიკოსებს და მათთან დაპირისპირებაში ახდენს ფილოსოფიური სისტემის ინტერპრეტაციას, როგორც ეს გაკეთა პროფ. ს. დანელიამ გამოკვლევაში ქსენოფანე კოლოფონელის შესახებ, მკვლევარი აღიარებს, რომ იგი მაინც ევროპელ ისტორიკოსთა მიერ გაკვალულ გზაზე დგას. ს. დანელია ცელერის, კერნის და ფრეიღენტალის გამოკვლევების შესახებ მიუთითებს, რომ ისინი ნაკლოვანია და მიუხედავად ამისა, „უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ვიდექით ამ მეცნიერთა მიერ გაკაფულ ნიადაგზე" (ს. დანელია, ქსენოფანე კოლოფონელის მსოფლმხედველობა, თბ, 1926, გვ. 31).

საკითხის მათეული გადაჭრა ჩამორჩებოდა ამ საკითხის გადაჭრას ევროპულ ფილოსოფიაში, უბრალოდ საკითხის ამგვარად გადაჭრა მიუღებელი აღმოჩნდა იმ ფილოსოფიის საფუძველზე, რომელმაც მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ქართულ აზროვნებაში მარქსისტული მსოფლმხედველობის სახით. ამის მიუხედავად, „ალეთოლოგიურ რეალიზმსა" და „ორგანოტროპიზმში" დაყენებული პრობლემატიკა აქტუალურია ყველა ფილოსოფიური სისტემისათვის. ამიტომაა მნიშვნელოვანი იმის გარკვევა, რა ფილოსოფიური დონე იყო მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში და რამდენად ნაყოფიერი იყო მაშინ პრობლემების დასმა თანამედროვე ფილოსოფიური პრობლემატიკის თვალსაზრისით.

ამჟამად, ქართული აზროვნება ნახევარსაუკუნოვანი გნოსეოლოგიური პრობლემატიკის ბატონობის ტენდენციიდან აკეთებს ბრუნს ადამიანისა და კულტურის ონტოლოგიური პრობლემატიკისაკენ. სწორედ ამ პრობლემატიკის პირველ ფორმირებას ცდილობს ქართულ ფილოსოფიაში კ. კაპანელის ორგანოტროპიზმი და, ამდენადაც საინტერესო უნდა იყოს მისი ძირითადი პრინციპების გაცნობა.

ცხოვრების გზა

კონსტანტინე გრიგოლის ძე კაპანელი (ჭანტურაია) დაიბადა 1889 წლის 5 მაისს სოფ. კაპანაში (მაშინდელი სენაკის მაზრა, ამჟამად აბაშის რაიონი). დაწყებითი განათლება მიიღო სოფლის სკოლაში (ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი), შემდეგ სწავლობდა ფოთის საქალაქო სასწავლებელში.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში კაპანელი მონაწილეობს ფოთის პროპაგანდისტების ჯგუფში, როგორც მოწაფეთა წარმომადგენელი. ჯგუფის დავალებით მან ჩამოაყალიბა წითელრაზმელთა წრეები აბაშაში, ორჭაში, სეფერეთში, ბანძაში და დაუკავშირა ისინი სენაკის ორგანიზაციებს. 1906 წელს რეაქციის დაწყებისას მას დეენიან, რის გამოც იძულებულია თავი დაანებოს სწავლას. ამავე ხანებში იწყებს მზადებას გიმნაზიის ექსტერნად დასამთავრებელი გამოცდებისათვის. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის [illegible] [illegible] [illegible]

ლის უნივერსიტეტებში. ხანგრძლივად მუშაობდა ლუვრის მუზეუმში ხელოვნების ძეგლების შესწავლაზე, ისმენდა ლექციებს სორბონის უნივერსიტეტში. გრენობლის უნივერსიტეტის სიტყვიერების ფაკულტეტის კურსის დამთავრების შემდეგ მას მიენიჭა დოქტორანტის წოდება და მიეცა უფლება დისერტაციის წარმოდგენისა თემაზე — „შოთა რუსთაველის მორალური და ფილოსოფიური იდეები".

იგი ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ბეჭდავდა წერილებს ქართულ და რუსულ პრესაში. მისი ლიტერატურულ კრიტიკული ნაშრომი — Идея страдания и поэзия сверх человека в грузинской литературе — დაიბეჭდა 1912 წ. გაზეთ „Закавказская речь"-ში.

სამშობლოში დაბრუნებული, იგი აგრძელებს ლიტერატურულ ძოღვაწეობას. აქვეყნებს ჟურნალ-გაზეთებში წერილებს და იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1917 წელს დაინიშნა ფრანგული ენის მასწავლებლად ქუთაისის რეალურ სასწავლებელში და წმინდა ნინოს სასწავლებელში. 1921 წელს გადაიყვანეს ბათუმის მეორე (ქალთა) ჰუმანიტარულ ტექნიკუმში ქართული ენის, რუსული და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის და ფილოსოფიის პროპედევტიკული კურსის მასწავლებლად. 1923 წელს ინიშნება თბილისის მეორე ქალთა გიმნაზიის დირექტორის მოადგილედ, შემდეგ მეორე პედ. ტექნიკუმის დირექტორად.

1929 წელს კაპანელი მიიწვიეს მოსკოვის სამხატვრო მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიაში (Г. А. Х. Н.) ქართულ ხელოვნებაზე მოხსენების წასაკითხავად; 1925—1932 წწ. იგი კითხულობს ხელოვნების ისტორიისა და ქართული და დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის კურსს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში; 1925—1926 წწ. ლექციებს ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში; 1931 წლიდან იყო თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დასავლეთ ევროპის ენების კათედრის გამგე. 1931 წლიდან 1949 წლამდე კითხულობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლიტერატურის თეორიასა და ევროპის ლიტერატურის ისტორიას, და განაგებს კათედრას. კითხულობდა ლექციებს, აგრეთვე, თეატრალურ ინსტიტუტში, ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში და სხვ.

იყო საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ სამეცნიერო-პედაგოგიური სექციის წევრი, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი დღიდან დაარსებისა.

1932 წელს მიენიჭა დოცენტის წოდება, 1940 წელს უმაღლესმა

საატესტაციო კომისიამ ნება დართო მეცნიერებათა დოქტორის ხარისხზე დისერტაციის დაცვისა, მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის დაუცველად. გარდაიცვალა 1952 წლის 11 დეკემბერს.

კაპანელის მსოფლმხედველობის ევოლუცია

ყოველი ადამიანის მსოფლმხედველობა განიცდის ევოლუციას. იგი შენდება გარკვეულ მემკვიდრეობაზე, აღმოცენდება იმ ნიადაგზე, რომელიც მას ხვდება და რომლის სულისკვეთება გარკვეულწილად განსაზღვრავს მას. შემდგომ იწყება საკუთარი კონტურების ჩამოყალიბება და ფორმირება, რაც მის გარკვეულ მიმართებას გამოხატავს მასაზრდოებელ წყაროებთან თუ ამოსავალ პრინციპებთან და სრულდება მათთან გათიშვის ან ახალთან შეგუების მცდელობით.

კაპანელის მსოფლმხედველობაც ასეთი ევოლუციური პროცესის სახეს ატარებს. ეს ევოლუცია ძირითადად შეიძლება წარმოვიდგინოთ ოთხ ეტაპად: პირველზე კაპანელის ნააზრევი ეძღვნება მისი სულიერი მამის ნიცშეს იდეებს და მათ გადმოსცემს საკუთარი პოზიციის ძიების გარეშე — ეს არის საფრანგეთიდან დაბრუნების პერიოდი 1912 წლამდე, როდესაც ის ეძიებს ამოსავალ პრინციპებს; მეორე პერიოდში, როდესაც ის ფილოსოფოსობას იწყებს, მასზე დიდ გავლენას ახდენს ნიცშეს ნააზრევი იმდენად, რომ პრობლემატიკის დაყენებაც და გადაჭრაც არსებითად ნიცშესეულია — ეს არის დამახასიათებელი მისი მოღვაწეობისათვის 1912 წლიდან 1916 წლის ჩათვლით. კაპანელის პირველი შრომა „ნიცშეანობის ლეიტმოტივი" მთლიანად და სავსებით ნიცშესთან მის დამოკიდებულებას ავლენს. 1917 წლამდე გამოქვეყნებულ შრომებში, როცა კაპანელის აზროვნების ამოსავალი ხდება ნიცშეს იდეები, ჯერ კიდევ არ გამოყოფს ის თავის ნააზრევს და არა აქვს საკუთარი მსოფლმხედველობის პრეტენზია. მხოლოდ 1917 წლიდან 1922 წლის ჩათვლით გამოქვეყნებულ შრომებში („შემოქმედება და ტანჯვა", „სული და იდეა") კაპანელი გვევლინება საკუთარი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პრეტენზიით. მართალია, ეს მსოფლმხედველობა არ გამორიცხავს ნიცშეს იდეებს, მაგრამ ავტორი ეს ლაპარაკობს თავისი მსოფლმხედველობრივი პოზიციებიდან, რომელიც ნიცშეს გარდა სხვა მრავალი ევროპელი მოაზროვნის (განსაკუთრებით გიუიოს, ბერგსონის და ბერდიაევის) თუ მიმართულების (ბიოლოგიზმი, მახიზმი, რელატივიზმი) გავლენის მაჩვენებელია. ეგი თავი-

სებურად აერთიანებს იმ დროის ევროპულ აზროვნებაში მოდურ მიმდინარეობათა ერთ ნაკადს — ანტილოგიცისტურ მიმდინარეობებს და ცდილობს მათ ნიადაგზე ქართულ სინამდვილეზე მორგებით ააგოს ახალი მსოფლმხედველობა. ეს არის კაპანელის აზროვნების ევოლუციის მეორე პერიოდი, მაგრამ ამ ეტაპზე კაპანელი დიდი ხნით არ შეჩერდება. საქართველოში მომზდარი ძვრები იწვევს მარქსისტული თეორიის დომინანტობის მოთხოვნას და კაპანელი თავისი აზრობრივი ევოლუციის მესამე ეტაპზე ცდილობს, ის, რაც მას გააზრებული ჰქონდა ბიოლოგიზმისა და რელატივიზმის პრინციპებით, შეავსოს მარქსისტული დიალექტიკით და სოციოლოგიური თეორიით. ამ ეტაპზე მისი ნააზრევი გვევლინება „ორგანოტროპიზმის" სახელით, რომლის პრინციპები მას მეორე ეტაპზეც ჰქონდა შემუშავებული, მაგრამ მესამე ეტაპზე ის საბოლოოდ ჩამოყალიბებულ სახეს იღებს, როგორც მისი მსოფლმხედველობის მარქსიზმთან შეერთების ცდა. ამან გამოხატულება პოვა მის შრომაში: „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები, ორგანოტროპიზმი", 1925. კაპანელის ზოგადმსოფლმხედველობრივი პრინციპების ევოლუცია არსებითად აქ დამთავრდა. თუმცა მისი აზროვნება შემდგომ გრძელდება მთელი სამი ათეული წლის განმავლობაში, მაგრამ სხვა მიმართულებით — ზოგადფილოსოფიური პრობლემატიკიდან გადავიდა ლიტერატურის და ხელოვნების სოციალურ ანალიზზე. კაპანელმა მარქსიზმის თავისებური გაგებით, სოციოლოგიურ პრინციპებზე დამყარებით, აქაც სცადა ლიტერატურის, განსაკუთრებით ქართული ლიტერატურის, სოციოლოგიური ანალიზი და ამ მიმართულებით ის ერთ-ერთი პიონერია ჩვენს აზროვნებაში. ამ ცდის შედეგია: „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში", 1926 წელი, „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი", ტ. 1, 1928 და ტ. 2, 1931. ესთეტიკის პრობლემების ანალიზის მრავალი ცდიდან ერთ-ერთი ძირეულია სადოქტორო დისერტაციად გამიზნული ნაშრომი — „მშვენიერების წარმოშობის შესახებ". კაპანელმა სცადა რუსთველის მსოფლმხედველობის გააზრებაც. პარალელურად იგი მუშაობდა დასავლეთ ევროპის ლიტერატურის პრობლემებზე. ეს არის კაპანელის ნააზრევის მთლიანად ესთეტიკური მიმართულებით განვითარების პერიოდი, რომელშიც ის ცდილობს დაძლიოს თავისი ბიოლოგისტური მსოფლმხედველობა და მარქსიზმი გაიხადოს კვლევა-ძიების მეთოდოლოგიურ პრინციპად.

პირველი ფილოსოფიური წერილი — „ნიცშეანობის ლეიტმოტივე-

ბი“ — რომელიც საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ გამოაქვეყნა კაპანელმა, რამდენიმე მიმართებითაა საინტერესო: ამ წერილში გადმოცემულია ნიცშეს ფილოსოფიური ნააზრევის ძირითადი პრინციპები, რომელთაც კაპანელი უკრიტიკოდ იზიარებს; ნაჩვენებია ცხოვრების ფილოსოფიის სათავეები და მისი განვითარების ტენდენცია დილთაის ნააზრევში; გარკვეულია მრავალი ფილოსოფიური პრობლემის მიმართ კაპანელის პოზიცია, რომელიც უმთავრესად ნიცშეს დამოწმებით და ძირითადად მისი იდეებით არის ნასაზრდოები. რადგან კაპანელმა ნიცშეს ნააზრევის ძირითადი პრინციპები ამ შრომაში გადმოსცა ისე, როგორც ჩვეულებრივ მას გვაცნობენ ფილოსოფიის ისტორიკოსები, ამიტომ ამ საკითხზე არ შევჩერდებით. უფრო საინტერესოა, რა იდეებით შეიარაღდა კაპანელი ნიცშეს ნააზრევიდან და როგორ წყვეტს პრობლემებს მათი გზით.

უმთავრესი საკითხი, რომელსაც კაპანელი აქ აყენებს, ეს არის კაცობრიობისა და ინდივიდის ყოფიერების, ისტორიისა და კულტურის საზრისის საკითხი. კაპანელი ამოდის წანამძღვრიდან, რომ კაცობრიობის ისტორია — ეს არის ბრძოლისა და ტანჯვის არენა, სადაც არაფერი, სულ მცირედიც კი, არ ხორციელდება წინააღმდეგობებისა და ძალიონთა ტანჯვის გარეშე. ისტორიას ამოძრავებს ინდივიდუალურ და კოლექტიურ განცდათა მრავალფეროვნება, რომელშიც დომინანტურია ცოცხალი ორგანიზმის ინსტინქტური, უგონო სწრაფვა სიცოცხლისაკენ. ადამიანებს აქვთ თავისებური წარუშლელი იდეალი, რომელსაც ისინი ესწრაფვიან ისტორიულ პროცესში და რომელიც მიაჩნიათ იმ ბედნიერების სამეფოს ნავსაყუდელად, სადაც უნდა მიაღწიონ შორეულ მომავალში. ისტორიულ ქარტეხილთა გარდამავალი პროცესები, შემთხვევითობათა და სტიქიურ პროცესთა სიმრავლე ისტორიაში, ვერ კლავენ ადამიანში სწრაფვას ამ იდეალისაკენ. ადამიანის სული დაუოკებლად ეძებს ჰარმონიის, სიყვარულისა და სილამაზის სამეფოს. ეს სამეფო ერთნაირად შეიძლება იყოს როგორც ზეციური სამოთხე, ისე მიწიერი ჰუმანური იდეალებით გაცისკროვნებული საყოველთაო მშვიდობისა და ბედნიერების სამყარო. კაპანელი ერთ განზომილებაში ათავსებს ჰილიასტურ და სოციალისტურ იდეებს. მისი აზრით, ორივე ეკუთვნის განუხორციელებელ სფეროს, რადგან კაცობრიობის ისტორიას, მის კულტურულ მოღვაწეობას არა აქვს არავითარი საზრისი. რაც უფრო დიდი დრო გადის ისტორიულ ყოფიერებაში, მით უფრო შორდება კაცობრიობა თავის იდეალებს. კულტურა კი არ ზრდის ჰუ-

მანურ საწყისებს, არამედ სპობს მას. მთელი კაცობრიობის ბრძოლა ბედნიერი მიზნის მისაღწევად ჰგავს იმ ბერძნული მითოლოგიის გმირის მოქმედებას, რომელსაც ერთი ადგილიდან მეორეზე გადააქვს გამოუსადეგარი ქვები; ადამიანთა ისტორია ჰგავს სიზიფოსის შრომას: ადამიანის ტანჯვით იქმნება რაღაც ახალი, გამაცისკროვნებელი და როდესაც თითქოს უკვე უნდა დაისვენოს, რათა დატკბეს თავისი ძოღვაწეობის შედეგებით, მაშინ მისთვის ცხადი ხდება, რომ მის მიერ შექმნილი უნდა დაინგრეს, რათა კვლავ გაჩნდეს შემდგომი შემოქმედებითი მოთხოვნილება და, ამ დროს, მწვავედ დგება საკითხი მისი მოღვაწეობის საბოლოო მიზნებზე; ადამიანის მოღვაწეობა არის ტანჯვა, რომელიც შეიძლება შეედაროს იმ გმირის ტრაგედიას, ზევსის ცოლის სიყვარულის გამო რომაა მიჯაჭვული მარად მბრუნავ ცეცხლოვან ბორბალზე; მთელი ადამიანური ყოფა უსაზრისოა. კაპანელი იმეორებს ნიცშეს გამოთქმას, რომ „ადამიანის ყოფიერება საშიშია, და აშავე დროს უსაზრისო“, რომ მასზე ბატონობს ბოროტი ბედისწერა. ადამიანური ტრაგედიის მაჩვენებელია არა მარტო კულტურის იდეალთა მოჩვენებითი ხასიათი, არამედ ინდივიდის ყოფიერების უსაზრისობაც. ინდივიდი, აუცილებლობათა სამყაროთი შებოჭილი, უმწეოდ მიჰყვება ისტორიის დინებას, რომელიც ყველაფერს მიაქანებს მარადიული უფსკრულისაკენ. ადამიანის მიერ შექმნილი კულტურა მისსავე წინააღმდეგ მიემართება. ადამიანს არ ძალუძს დაიქვემდებაროს მის მიერ შექმნილი სამყარო. სოციალური აპარატი, რომელსაც ის თავის მსახურად სახავს და ქმნის, ბატონდება მასზე და აკარგვინებს თავის „მე“-ს. ეს არის მისი ინდივიდუალური ცხოვრების ტრაგედია. კაპანელი აქ აყენებს საკითხს, რომელიც გაუცხოების პრობლემის სახით დღევანდელი ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უბედურებაა. ყველა დილემა, რომელიც მის წინაშე დგება, ადამიანს მიიყვანს კითხვამდე — „რ ა ა რ ი ს კ ა რ გ ი, რ ა ა რ ი ს ც უ დ ი და ს ა დ ა ა ჩ ე მ ი ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა?“ ყოველ შემთხვევაში, კაპანელი უარყოფს ბედნიერების ძიებას იმ მორალურ ნორმებში, რომლებიც შეიმუშავეს კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლებმა. იგი უარყოფს არა მარტო ქრისტიანულ, არამედ მორალურ პრინციპებსაც სოკრატესას, მის თანამემამძულეთა უაზრო კანონებს შესრულებას რომ შესწირა სიცოცხლე. ასეთივე უარყოფითი დამოკიდებულება აქვს მას კანტისა და ჰეგელის ეთიკურ პრინციპებთან. კაპანელის აზრით, ნიცშე სწორად მოიქცა, როდესაც ისტორია წაართვა მეცნიერებებსა და მორალისტებს და ზეკა-

ცის განკარგულებაში გადასცა. ეს არის ძალის ბატონობის, ადამიანის ინსტინქტებისადმი დაქვემდებარების, სოციალური განსაზღვრულობის მოხსნის. და არსებობისათვის ბრძოლის ცხოველური ინსტინქტით ხელმძღვანელობის ქადაგება. სიცოცხლის ძალა ძლიერებაშია. სუსტი დაკნინებისა და დაცემის მაჩვენებელია, ამიტომ უნდა დარჩეს მხოლოდ ძლიერი. კაცობრიობის ერთადერთი ღირებულება სიცოცხლისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვაა. ყოველმან გამოიყენოს თავისი უპირატესობანი და იაროს მისი „მე"-თი განსაზღვრული გზით — ეს იქნება მისი თავისუფლება, რომელიც არაფრად აგდებს საკუთარი თავის წინაშე პასუხისმგებლობას და ცხოვრებით ტკბობას კი არ ზღუდავს, არამედ ყველაფერს მის სამსახურში აყენებს. სიცოცხლე არის უნაპირო, უსაზღვრო, ყოველგვარ ჩარჩოსაგან თავისუფალი, ყველაფერი სუსტი დაღუპვის ღირსია. სიცოცხლე მარტო მშვენიერი იქნება თავისი სილამაზით. იდეალი უნდა იყოს არა ერთობა. არამედ განცალკევება, ეს არის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზა. ადამიანის ყოფიერებას ერთადერთი საზრისი გააჩნია — ყოველი მომენტით ტკბობა. კაპანელი ნიცშეს მსგავსად სიცოცხლის კულტს აყენებს, მაგრამ არა იმ აზრით, როგორც შვეიცერი ქადაგებს — მოწიწება გვმართებდეს ყოველი ცოცხალის წინაშე, არა, კაპანელისთვის, ნიცშეს შესაბამისად, სიცოცხლის ღირსი მხოლოდ ძლიერია, ადამიანი უნდა განთავისუფლდეს სოციალურისაგან და გამოამზეუროს ცხოველური. ასეთ ვითარებაში მისი საზრუნავი იქნება არა ხვალინდელი დღე, არამედ ყოველი მომენტი, იგი იღვწის ამ წუთში განცხრომისათვის, რომელსაც მხოლოდ ძლიერებით მიაღწევს, მაშასადამე, ძალის კულტი და ცხოვრებისადმი დაუოკებელი ცხოველური სწრაფვა — აი, ის, რასაც გვთავაზობს კაპანელი, ნიცშეს იდეალებით დატყვევებული და „სიცოცხლის ფილოსოფიის" იდეების მქადაგებელი საქართველოში. ადამიანისა და ისტორიის ყოფიერების პრობლემა, რომელიც კაცობრიობის საუკეთესო მოაზროვნეებს ყოველთვის აფიქრებდათ, კაპანელთან ღებულობს ისეთ გადაწყვეტას, რომელიც ერთნაირად ეწინააღმდეგება როგორც რელიგიურ, ისე სოციალისტურ იდეალებს და კმაყოფილდება ყოველდღიური ყოფიერებით — განცხრომითა და ტკბობით. მისი აზრით, არც კაცობრიობის და არც ინდივიდის ყოფიერებას არა აქვს რაიმე სოციალური საზრისი, მხოლოდ ბიოლოგიური საწყისები განსაზღვრავენ მათ არსებობას და არსებას. ასეთია ამ წერილის დედაარსი. როგორც აღნიშნული იყო, ეს არის კაპანელის აზროვნების საწყისი პერიოდი, როდე-

საც ის მოხიბლულია „სიცოცხლის ფილოსოფიის“ იდეებით და ახალგაზრდული გატაცებით გადმოსცემს ნიცშეს ძირითად პრინციპებს.

1912 წელს კაპანელი აქვეყნებს წერილების სერიას, რომელშიც ცდილობს ნიცშეს იდეები გამოიყენოს ქართული კულტურის ანალიზისათვის. სახელდობრ, ქართულ ლიტერატურაში ეძებს ზეკაცის იდეას, ისევ ნიცშეს ნიადაგზე დგომით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თავისი ფილოსოფიის ზოგად იდეებს გადმოსცემს ქართულ სინამდვილესთან მიმართებით. ამ მიზანს ისახავდა წერილების ზემოხსენებული სერია სათაურით: „ტანჯვის იდეა და ზეკაცის პოეზია ქართულ ლიტერატურაში“ (რუსულ ენაზე). თავდაპირველად ავტორს განზრახული ჰქონდა მხოლოდ ბარათაშვილის შემოქმედების გააზრება, მაგრამ მასთან ერთად განიხილა ვაჟა-ფშაველას „გველის-მჭამელიც“, ისე კი ხუთი წერილიდან მხოლოდ ბოლო, მეხუთე ეთმობა ქართულ პოეზიას, დანარჩენში ისევ ზოგადფილოსოფიური, ანთროპოლოგიური იდეებია ყოფიერების საზრისზე, და მსოფლიო ლიტერატურაში ამ პრობლემატიკის გამოსახვაზეა მსჯელობა. ყველაზე მეტ ადგილს უთმობს იგი დოსტოევსკის ნააზრევს, განსაკუთრებით ადამიანის ყოფიერებისა და ღმერთთან მიმართების საკითხში. ავტორს ისტორიული ყოფიერების, ისე როგორც ინდივიდის, აუცილებელ თანამგზავრად მიაჩნია ტანჯვა. ჩვენს ყოფიერებაში მთავარი სიცოცხლეა, ის კი არ არსებობს ბრძოლისა და ტანჯვის გარეშე. რაც უფრო ღრმადაა ჩასმული ტანჯვის წერაქვი, მით უფრო ძლიერია ბედის დარტყმა და მით უფრო ლამაზად ყვავის ცხოვრება, მით უფრო ფართოა შემოქმედებითი აკორდი. ადამიანი სხვა არაფერია, თუ არა „განცდათა, ენებათა, სევდის, მოწყენილობის, სიყვარულის და სიძულვილის სამყარო“. ადამიანი განცდათა ერთობლიობაა, რომელიც აღვივებს სოციალურ ცხოვრებას. კაპანელი ცდილობს ახსნას ამ სამყაროში დიდ ადამიანთა და ახალ იდეათა როლი და მნიშვნელობა. მისი აზრით, დიდი ადამიანი ასრულებს ლეიდენის კონდენსატორის ფუნქციას, რომლის ყოველი გამოჩენა იწვევს საზოგადოებრივი ცხოვრების აღელვებას, მისი პულსის გახშირებას, ახალი იდეები აშუქებენ ძველ იდეათა მწუხრის სამყაროს. გენიოსი ქმნის ახალ სინამდვილეს, მაგრამ ეს არ ხდება ჰარმონიულად. პირიქით, ჰარმონია აქ გამორიცხულია, ახალი გზას იკვალავს ჭექა-ქუხილის ვითარებაში, ბრძოლისა და ტანჯვის ატმოსფეროში. ტანჯვა არის ცხოვრების მთლიანი ქარგა, ტანჯვის ყველაზე დიდი წყარო არის შიში სიკვდილის წინაშე, რომლის დაძლევასაც კაცობრიობა დასაბამიდან ცდილობს.

სწორედ ამ მიზნით იქმნებოდა ლეგენდები და მითები — ბერძენმა ხალხმა ბედისწერის წინაშე შიშის გამო შექმნა ოლიმპოს მითი, დაასახლა იქ ღმერთები და მიანიჭა უკვდავება, რათა „შეემსუბუქებინა შიში სიკვდილის წინაშე და თავი მოეტყუებინა იდეალის სილამაზით". კაპანელი ბერძნულ სამყაროს მიიჩნევს მსოფლიო სევდის პირველ გაცნობიერებად, მისი ტრაგიზმის და ტანჯვის სიდიადის აღმომჩენად.

მთელი კაცობრიობის ისტორია, გენიოსთა ძიება არის უსასრულოსკენ ლტოლვა, იდეალისკენ სწრაფვა. ამ გზაზე კაცობრიობა იღლება, ეცემა და ტირის, მაგრამ კვლავ განაგრძობს სვლას და ძიების პროცესს. კაპანელი აქ მეტად საინტერესოდ მსჯელობს ისტორიული ყოფიერების საზრისის საკითხზე. ამ მსჯელობას რამდენიმე წლის შემდეგ გაიმეორებს რუსი ექსისტენციალისტი ბერდიაევი: მთელი ჩვენი ყოფა და ისტორია არის საზრისის, იდეალის ძიება, რომელსაც ვესწრაფვით. მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობას მრავალგზის ჰქონდა მიზეზი გულგატეხილობისა, ის მაინც აგრძელებს ამ ძიებას, იმიტომ კი არა, რომ დარწმუნებულია იდეალის მიღწევის შესაძლებლობაში, არამედ იმიტომ, რომ ამ ძიებაში ხედავს საკუთარი ყოფიერების საზრისს. კაცობრიობა „ეძებს იმიტომ, რომ ვერ პოულობს რასაც ეძებს. დაე ვერ მოძებნოს, იგი მაინც ეძიებდეს იქნება, ძიება კაცობრიობის ხვედრია. ჩვენი ცხოვრება მოითხოვს ძიებას"[1]. ძიების საგანია წინააღმდეგობებისაგან თავისუფალი ჰარმონიული სამყარო. რადგან ძიების გზა ტანჯვითაა აღსავსე და კაცობრიობა ჰარმონიულ სამყაროში დასვენებას ელტვის. ასეთ სამყაროს ეძებს ივანე კარამაზოვი — ის მზადაა აღიაროს ღმერთის არსებობა, მაგრამ ეს წინააღმდეგობებითა და ტანჯვით აღსავსე სამყაროში არ შეუძლია. როგორ უნდა გაამართლოს გონებამ ქაოსი, ავადმყოფობა, „მიზანსა და საზრისს მოკლებული ყოფიერება?" — აი, კითხვები, რომლებიც განსაზღვრავენ ივანე კარამაზოვის მსოფლმხედველობას მთელ კაცობრიობასთან ერთად. კაპანელი პესიმისტია, მაგრამ ის უარს არ ამბობს სიცოცხლეზე, არ ქადაგებს თვითმკვლელობას. პირიქით, მისი ფილოსოფიის ამოსავალია ცხოვრების აუცილებლობა, თუმცა იგი ცხოვრებას არსებული სახით, — ე. ი. როგორც ტანჯვის სამყაროს, — ვერ ურიგდება, ტანჯვისგან თავისუფალი ცხოვრება კი არ ჩანს. ბიბლიური იობის მიერ მისი დაბადების დღის და ჩასახვის ღამის დაწყევლა კაცობრიობის ტანჯვის სიმბოლოა. კაპა-

---

[1] К. Капанели. Идея страдания и поэзия сверхчеловека в грузинской литературе, газ. «Закавказская речь», 1912, № 32, за 9 февраля.

ნელი აყენებს საკითხს ბუნებისა და ადამიანის მიმართების შესახებ — ადამიანი, რომელიც ცდილობს თავი დააღწიოს ტანჯვას და ჰარმონიას ესწრაფვის, ქაოსს საზრისით შეცვლას უპირებს, ბუნებასთან ეძებს კავშირს, სურს ჩასწვდეს მას, მაგრამ კომუნიკაცია ადამიანსა და ბუნებას შორის არ გამოდის, რადგან ბუნება გულგრილია ადამიანის მიმართ. მისთვის სულ ერთია ადამიანის აღზევება და დაცემა: „ს ი დ ი ა დ ე მ ა რ ა დ ი ს ო ბ ი ს წ ი ნ ა შ ე ა რ ა რ ა ო ბ ი ს ა გ ა ნ ა რ ა ა გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი, ამიტომ სულ ერთია ბუნებისთვის ჰამლეტის ეჭვების მოზღვავება, ფაუსტის შემეცნების წყურვილი, ტოლსტოის ჭეშმარიტების სიყვარული, შოპენჰაუერის სიძულვილი ცხოვრებისადმი და ჰეროსტრატეს სისულელე, რომელმაც მოსპო დიანას შესანიშნავი ტაძარი“[1]. კაპანელის აზრით, ბუნების ეს გულგრილობა ადამიანისადმი და ადამიანის სამყაროს ქაოსურობა აუცილებელს ხდის ზეკაცის პოეზიას, რომლითაც უნდა გასაზრისიანდეს ქაოსი. ზეკაცი უპირისპირდება ბედს, მან იცის თავისი დანიშნულება.

კაპანელი ამ წერილებში აყენებს შემოქმედების განმაპირობებელ გარემოებათა საკითხს და ილაშქრებს შემოქმედების მარქსისტული გაგების წინააღმდეგ, რომელიც შემოქმედების ახსნას აბდენს სოციალური ვითარებით. ამ საკითხში მარქსიზმთან დაპირისპირებისთვის კაპანელი იშველიებს ბარათაშვილის პოეზიას. მისი აზრით, მოწინააღმდეგის კრიტიკისთვის, ნიცშეს მსგავსად, უნდა დავდგეთ მოწინააღმდეგის პოზიციაზე და იქიდან შევხედოთ მოვლენებს. მარქსისტები ბარათაშვილის შემოქმედებას ხსნიდნენ ქართველი ხალხის სოციალური და პოლიტიკური დაკნინებით, რაც იწვევდა ქართველ შემოქმედთა გულისტკივილსა და სევდას. კაპანელის აზრით, მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები არაა საკმარისი შემოქმედების ასახსნელად — შემოქმედებაში მთავარი და ძირითადი ინდივიდის გაცდებია. ხელოვანი არაცნობიერად მიდის თავისი შემოქმედების შინაგანი წყურვილისაკენ, მას მხოლოდ ფსიქოლოგიური მოტივები ამოძრავებენ. მათში გაკმსაზღვრელია ტანჯვის განცდა. „პოეტი მხატვრულ სახეებს ქმნის მხოლოდ და მხოლოდ განცდებით. და ეს განცდები მით უფრო მეტად მიიწვდომება ობიექტური დაკვირვებით, რაც უფრო აქტიურია მათი გამოვლენა“[2]. პოეტური ხელოვნება გამოხატავს ადამიანის სულის წვას, რომელიც

---

[1] К. Капанели, Идея страдания и поэзия сверхчеловека в грузинской литературе, газ. «Закавказская речь», 1912, № 32, за 9 февраля.

[2] «Закавказская речь», 1912, № 38.

ყოველთვის რაღაცას ეძიებს და ესწრაფვის. ყოველივე ეს ნიშნავს. რომ „პოეტური შემოქმედების ერთადერთი შესაძლებელი და საიმედო მეთოდი პოეტურ განცდათა ფსიქოლოგიური ანალიზია. უშუალო განცდები არის პოეტური შემოქმედების საფუძველი"[1]. პოეტური ცნობიერება ინდივიდუალურია და ყოველივეს, რაც ხდება მის გარშემო, ინდივიდუალურ განცდად გარდაქმნის. ავტორის აზრით, პოეტური შემოქმედება არ დანაწევრდება სუბიექტურად და ობიექტურად, ის მხოლოდ სუბიექტურია, მაგრამ, ამავე დროს, ობიექტური მსოფლიო ნებელობის გამომხატველია. იგი მოიცავს მთელ სამყაროს ცხოვრების მთლიანობაში, ის არის სწრაფვა აბსოლუტისადმი. კაპანელის წინაშე არ დასმულა კითხვა — თუ შემოქმედებას არ შეუძლია სოციალურ-ეკონომიკური პროცესების გაშოსახვა, რადგან ისინი ობიექტურნი არიან, და არა სუბიექტურ-ფსიქოლოგიურნი, როგორ შეუძლია იმავე შემოქმედებას ასახოს „ობიექტურ სამყაროსეული ნებელობა, აბსოლუტისადმი სწრაფვა". კაპანელი ამ შემთხვევაში შემოიფარგლა შოპენჰაუერის დამოწმებით, მაგრამ ეს დასაბუთება არაა. თუ შემოქმედება საერთოდ გამორიცხავს ობიექტურის გამოხატვის შესაძლებლობას, ეს გამორიცხვა უნდა ეხებოდეს როგორც სოციალურ-ეკონომიკურს, ასევე ნებელობით ობიექტურსაც. კაპანელი გამორიცხავს პირველს, მაგრამ მეორეს — არა. არგუმენტი კი პირველის მიმართ — მისი ობიექტურობა — ანალოგიური ძალის უნდა იყოს მეორის მიმართაც. საერთოდ, კაპანელი არსებითად აქ პირველად შეეხო კრიტიკულად მარქსისტულ მოძღვრებას. ნიცშეს შესახებ წერილშიც გამოთქვა გარკვეული შენიშვნა, ახსენა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", მაგრამ ეს იყო არა მანიფესტის კრიტიკა, არამედ ცხოვრების ფენომენის, მე-ს მოთხოვნილებათა და ცხოვრებით ტკბობის პრიმატის მტკიცება, რაც, მისი აზრით, მე-სთვის კომუნისტური მანიფესტის ყველა პუნქტზე და პარაგრაფზე უფრო ძლიერია. წერილების სერიაში კი კაპანელს მიზნად დაუსახავს შემოქმედების მარქსისტული გაგების კრიტიკა, ლიტერატურის და ხელოვნების ობიექტური ვითარებით ახსნის შეუძლებლობის მტკიცება და ამ მიზნით, მისი აზრით, იყენებს ობიექტური მიდგომის მეთოდს. გარკვეული წანამძღვრიდან ამოსვლით იგი დაწვრილებით განიხილავს შემოქმედების მატერიალისტურ გაგებას, მაგრამ ფაქტობრივად, ამ თეორიის გადმოცემაში კაპანელის ამოსავა-

[1] «Закавказская речь», 1912, № 38.

ლი პრინციპი მცდარია. რომლის არსი ისაა, რომ მარქსიზმის მიხედვით შემოქმედებას მ ხ ო ლ ო ლ ი ა დ სოციალურ-ეკონომიკური პრინციპები განსაზღვრავენ, მაშინ, როდესაც მარქსიზმში სოციალურ-ეკონომიკური პრინციპები საბოლოოდაა განმსაზღვრელი სხვა პრინციპებთან — მათ შორის ფსიქოლოგიურთან ერთად. შემოქმედებას ახასიათებ მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური პრინციპებით მარქსიზმის ვულგარიზაციაა, შეულიტიკოველობაა, რაზეც ვ. ი. ლენინმა მრავალგზის მიუთითა კრიტიკულად. საერთოდ სულიერ შემოქმედებას ობიექტურის გვერდით მნიშვნელოვანწილად სუბიექტური მომენტები განსაზღვრავს, კიდევ მეტი, მათ თავისი განვითარების იმანენტური ტენდენცია გააჩნიათ, რომელიც არ დაიყვანება სოციალურ-ეკონომიკურზე და არც უშუალოდ მისგან გამოიყვანება. მარქსიზმი რომ სწორედ ასე იგებს ხელოვნებას, ეს გამოვლინდა მარქსის მიერ ანტიკური ხელოვნების და ანტიკური სამყაროს ანალიზში. ამის საინტერესო მიმოხილვას იძლევა ს. დანელია, რომელიც აკრიტიკებს მარქსის, კაპანელის მსგავს, ინტერპრეტატორებს: „დამოკიდებულებას ხელოვნებასა და მატერიალურ საფუძველს შორის, არა აქვს მათემატიკურ-პროპორციული ხასიათი, და, მაშასადამე, არ არის აუცილებელი, რათა მაღალი საფეხურის საზოგადოებრივი მეურნეობის საფუძველზე მაინცდამაინც მაღალი ხარისხის ხელოვნება აღმოცენდეს. ხელოვნების ცვლილება არ მიმდინარეობს მისი მატერიალური საფუძვლის ცვლილების თანაბრად და ამიტომ არ შეიძლება მატერიალური საფუძვლის ცნება გამოვიყენოთ საკმაო საბუთად მის ნიადაგზე აღმოცენებული ხელოვნების განსაზღვრისათვის, ე. ი. არ შეიძლება თქმა იმისა, რომ უფრო განვითარებულ ეკონომიკურ საფუძველზე აუცილებლად უფრო განვითარებული ხელოვნება, ან ხელოვნების ესა თუ ის ჟანრი უნდა აღმოცენდეს. ჟანრის შესახებ უნდა ითქვას, რომ მას შეუძლია თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწიოს საზოგადოებრივი განვითარების დაბალ საფეხურზე, რომლის შემდეგ ეს ჟანრი კარგავს თავის აქტუალობას და ეცემა, რათა ადგილი დაუთმოს სხვა ჟანრებს. მაგალითად, იგავ-არაკის და ეპოსის განვითარების უმაღლეს ფორმას იძლევა უკვე მონათმფლობელური საზოგადოება. კაპიტალისტურ საზოგადოებაში იგავ-არაკი და ეპოსი ეცემა, რადგან მის ფუნქციას უკეთესად ასრულებენ უფრო რთული ლიტერატურული ჟანრები, როგორიც არის, მაგალითად, სოციალური რომანი. აქედან ცხადია, რომ ხელოვნების შესახებ სრული ცოდნა მყარდება, მარქსის აზრით, არა apriori, არამედ aposteriori ხელოვნე-

ბის კონკრეტული ან დიალექტიკური შესწავლის — საშუალებით. სხვანაირად რომ ითქვას, გარდა იმ ზოგადი კანონზომიერებ-სა, რომელსაც ექვემდებარება ყოველი იდეოლოგია, თავისი არსით — თითოეული იდეოლოგიური ფაქტი საბოლოო ანგარიშში წარმოშობილია საზოგადოების მატერიალური საფუძვლისაგან, არის კიდევ სპეციფიკური კანონზომიერება, რომელსაც ექვემდებარება მხოლოდ ხელოვნება ან ხელოვნების მხოლოდ ერთი რომელიმე ჟანრი, იდეოლოგიის სხვა დარგებისაგან ან ხელოვნების სხვა ჟანრებისაგან განსხვავებით. სწორედ ამიტომ, ხელოვნების ამა თუ იმ ფაქტის შესწავლა არ შეიძლება ამოწურულად ჩაითვალოს, თუ არ არის შესწავლილი ის სპეციფიკური კანონზომიერება, რომელსაც ეს ფაქტი გამოავლენს და, მაშასადამე, ცოდნა იმისა, თუ რომელ საზოგადოებრივ გარემოში გაჩნდა ხელოვნების ფაქტი, არ არის საკმარისი.

მრავალი მაგალითით აშუქებს მარქსი თავის კონცეფციას და ცხადყოფს: მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტური მეურნეობა უფრო განვითარებულია, ვიდრე მონათმფლობელური, ამ უკანასკნელის საფუძველზე აღმოცენდა ძალიან მაღალი ხარისხის ხელოვნების ნიმუშები. „ხელოვნების ზოგიერთი ფორმების შესახებ (ასეთი ფორმაა, მაგალითად, ეპოსი) დადგენილია, რომ ისინი თავიანთი კლასიკური და მსოფლიო ეპოქის შემქმნელი სახით ვერ წარმოიშობიან, თუ გაჩნდა უკვე მხატვრული შემოქმედება, როგორც ასეთი... განა სელფაქტორების, რკინიგზების, ლოკომოტივების და ელექტრონული ტელეგრაფის არსებობის დროს შესაძლებელია ბუნების შესახებ ისეთი შეხედულება, რომელიც საფუძვლად ედო ბერძნულ ფანტაზიას და, მაშასადამე, საბერძნეთის ხელოვნებას? განა იუპიტერისათვის დარჩებოდა ადგილი მეხთამრიდის გვერდით?... განა აქილევსი შესაძლებელია საბეჭდავი მანქანის გვერდით?“

ასე გადაეღობა წინასწარ მარქსი მექანისტურად მოაზროვნე თავის კრიტიკოსებს და აგრეთვე იმათ, ვინც თავიანთ თავს მარქსის მოწაფეებად თვლიდნენ, მაგრამ დიალექტიკური აზროვნების ნაკლებობის გამო მექანისტურად ესმოდათ მარქსის შეხედულებები“[1].

კაპანელის აზრით, ყოველ შემოქმედს ~~საკუთარი საშყარო~~ აქვს. „ასეთი საკუთარი საშყარო აქვს ბარათაშვილსაც, შმაგი, პრომეთესეუ-

---

[1] ს. დ ა ნ ე ლ ი ა, ხელოვნება მარქსის გაგებით, გვ. 31—33, ხელნაწერი ინახება პირად არქივში.

ლი გრძნობათა სამყარო. კოსმოსისკენ სტიქიური სწრაფვის მარადიულ წყურვილის სამყარო, ადამიანის შეზღუდულობის წინააღმდეგ აჯანყებული სამყარო"[1]. ავტორი ბარათაშვილის ყოველ ლექსში ხედავს ადამიანური გულის კვნესას, რომელიც ადამიანური ყოფიერების სამყაროდან ესწრაფვის ზედროულ მარადიულ სიმართლეს. ამ მხრივ, ბარათაშვილის მიერ გამოხატული მსოფლიო სევდა, კაპანელის აზრით, დოსტოევსკისას ეხმიანება. ბარათაშვილი მთელი ცხოვრების ტრაგედიის და წინააღმდეგობათა გამცნობიერებელია, რომელიც ესწრაფვის კოსმოსს, მარადისობას, ბარათაშვილმა ყველაზე ნათლად გამოსახა კაცობრიობის ობლობა, სასრულობა, გარდამავლობა. ნივთთა საყოველთაო მდინარებაში ჭეშმარიტად დიდი ადამიანების ხვედრია დიდი სევდის განცდა. ეს ერთნაირად გამოხატეს დოსტოევსკიმ და ბარათაშვილმა. ავტორი ასაბუთებს, რომ ბარათაშვილის პოეზიის მოტივები ეროვნული კი არაა, არამედ ზოგადსაკაცობრიო და სამყაროსეული. ბარათაშვილს იგი ბაირონისა და ლერმონტოვის გვერდით აყენებს. მისი აზრით, ბარათაშვილის პოეზია ბუნების მიმართ დიდი სიყვარულია, რაც მას თავისებურ პანთეისტურ ხასიათს აძლევს. ბარათაშვილის პანთეიზმი მოგვაგონებს გიუიოს და ლიტრეს კოსმიზმს. თუ როგორ ესმის ავტორს კოსმიზმის მსოფლმხედველობა, ამას იგი მომდევნო წერილში განმარტავს: „კოსმიზმში თანამედროვე ფილოსოფია გულისხმობს სამყაროს ისეთ გაგებას, რომელიც ქადაგებს ჩვენი აზრების, გრძნობების და განწყობილებების გაფართოებას ჩვენი მე-ს მიღმა, ფართო ერთობას ბუნებასთან და შემოქმედებითი ნებელობის გულგრილ სტიქიურ გამოვლენას"[2].

კაპანელისთვის კოსმიზმს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ამ მსოფლმხედველობით მას შესაძლებლად მიაჩნია ცხოვრების ძირეულ პრობლემათა გადაწყვეტა. მისი აზრით, ძველმა ღირებულებებმა დაკარგეს მნიშვნელობა და, ამავე დროს, კაცობრიობა სიცოცხლეს მოწყურებული ეძებს ცხოვრების საზრისს. იგი ამ მიმართებით ორ ძირითად ფილოსოფიურ მიმდინარეობას ხედავს, რომელნიც დაკავშირებული არიან ცხოვრების სოციალურ-ეთიკურ პრობლემატიკასთან — ესაა გიუიოს და ნიცშეს ფილოსოფია. ორივესთვის საერთოა ცხოვრების ახალ ღირებულებათა შექმნა, განსხვავება მხოლოდ ისაა,

---

[1] «Закавказская речь», 1912, № 45.
[2] იქვე.

რომ ერთის ფილოსოფია ექსპანსიურ-კოსმიურ ხასიათს ატარებს. მეორისა — ინდივიდუალურ-აგრესიულს. პირველი ქადაგებს სტიქიური სიყვარულის გრძნობათა სოციალიზაციას, მეორე — ინდივიდუალური ძალაუფლების გამოვლენას: პირველი ესწრაფვის შემოქმედებით მე-ს სრულ გამოვლენას ღრმა სიყვარულსა და ტანჯვაში, მეორე მოითხოვს, რომ ცალკეულმა ინდივიდუუმმა თავისი ძალები წარმართოს ხელისუფლების მოპოვებისაკენ და ამ გზით მიაღწიოს ინდივიდუალურ უფლებებს: ერთი ესწრაფვის ინდივიდის გათქვეფას ერთობაში; მეორე — ინსტინქტისადმი დაქვემდებარებით — ინდივიდუუმის გაბატონებას: „ერთი ესწრაფვის ჰარმონიასა და ერთობას, მეორე გამარჯვებასა და წინააღმდეგობას“ კაპანელი ამ დაპირისპირების მიღმა ხედავს საერთოს, რაც ამ ორ მიმდინარეობას მისთვის საინტერესოდ ხდის და რის გამოც სურს მათი გაერთიანება. ეს საერთოა — კაცობრიობის აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში გაყვანის მცდელობა. კაპანელი არ ფიქრობს, თითქოს გიუიოდან ნიცშემდე არ ყოფილა ასეთი ტენდენცია, მაგრამ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ასეთი მისწრაფებანი ყოველთვის გულგატეხილობით მთავრდებოდა, დასახული მიზანი არ ხორციელდებოდა, ათასი მიზეზისა და შემთხვევითი გარემოების გამო. რაც უფრო ესწრაფოდნენ იდეალის მიღწევას, მით უფრო აუტანელი ხდებოდა ცხოვრება. „კაცობრიობის მთელი ისტორია გულგატეხილობისა და შეცდომების ისტორიაა“. კაცობრიობის ცხოვრების ეს ტრაგიზმი პირველად გააცნობიერეს გიუიომ და ნიცშემ და ამიტომაა, კაპანელის აზრით, მათი ფილოსოფია აზროვნების ძირითად ტენდენციათა გამომხატველი. ამიტომაა კოსმიზმის მსოფლმხედველობა ადამიანის მე-ს გაფართოების ბუნებასთან შერწყმის კიდევ ერთი ცდა. „ნიცშეც და გიუიოც ორივე ეძებს ცხოვრების საზრისს. ისინი ხედავენ ადამიანის არსებობის არარაობას და უსაზრისობას, მაგრამ უარყოფენ შოპენჰაუერიზმს მისი ბუდისტური ნირვანათი და ესწრაფვიან ცხოვრების სოციალურ-ეთიკურ რეფორმას, რათა არსებობას მიანიჭონ საზრისი“[1]. ამ მოაზროვნეებს ავტორი ადარებს „დიდ ინკვიზიტორში“ ადამიანს, რომელსაც თავისი შეხედულებებისთვის აცხადებენ „ტყვედ და მოჯანყედ“. კაპანელი უერთდება ამ ორი მოაზროვნის ჯანყს „ლოგიკური სქემებისა და უსიცოცხლო დიალექტიკური ხრიკების“ წინააღმ-

---

[1] «Закавказская речь», 1912, № 45.

ლეგ. მათთან ერთად უარყოფს რაციონალურ-დოგმატური ხერხებით ყოფიერების გამართლების ყოველგვარ ცდას და ირაციონალური ინსტინქტური სასიცოცხლო სწრაფვით უნდა გაასაზრისიანოს ადამიანის ყოფიერება. თუ ნიცშე ასეთ მეამბოხედ თვლის პრომეთეს, რომელიც ყველა არიელი ხალხის ლეგენდებში ცოცხლობს, კაპანელი ფიქრობს, რომ მისი ანალოგი ქართულ მითოლოგიაში ამირანია. უფრო სწორად, ამირანის ანალოგია პრომეთე, რადგან პრომეთეს მითი შექმნილია ქართული მითის საფუძველზე, რომელიც უფრო ბუნებრივად წარმოიდგინება კავკასიის გიგანტური მთების წიაღში — სწორედ აქ შეეძლებოდა წარმოშობილიყო თავისუფლებისაკენ ის დიდი სწრაფვა, ამირანსა და პრომეთეს რომ ახასიათებთ; სწორედ კავკასიის თოვლიანი მთები სჭირდებოდა მათ სამოქმედო ასპარეზად: სწორედ აქ შეეძლო „ადამიანს გამოეცალა თავისი გონის სამყაროზე გავლენა", მაგრამ სწორედ ეს თავისუფლებისაკენ სწრაფვა ყველაზე მეტადაა დაკავშირებული ტანჯვასთან, სამყაროს ყოფიერების ნებელობისადმი წინააღმდეგობის გამო. ტანჯვის გარეშე აღარაა ბრძოლა, ტანჯვა არის ცხოვრების სილამაზის წყარო. დოსტოევსკის, ნიცშეს, ბარათაშვილის, ვაჟას და მრავალი სხვა მოაზროვნის დამოწმებით კაპანელს სურს დაგვარწმუნოს, რომ „ტანჯვის იდეა წითელ ზოლად გასდევს კაცობრიობის მთელ შემოქმედებას, ტანჯვა განსაზღვრავს საგანთა მეტაფიზიკურ ღირებულებას და ადამიანის გონი შეყავს კოსმიური არსების ყველაზე ბნელ შინაგანობაში. ტანჯვა გარდაქმნის ერთ ყოფიერებას მეორედ. მას გადააქვს ყველაფერი არაცნობიერი ცნობიერსა და განსაზღვრულ სამყაროში"[1]. კაპანელის აზრით, ყოველი ჭეშმარიტი მსოფლშეგრეტის საფუძველში დევს ტანჯვა. კაცობრიობამ განვლო გულუბრყვილო ოპტიმიზმის პერიოდი და ცხადად დაინახა, რომ ტანჯვაა შემოქმედების საფუძველი და საზრისი. ტანჯვა, შემოქმედება და ცხოვრება — აი ის ძირითადი ცნებები, რომლებიც დომინირებენ კაპანელის კოსმისტურ მსოფლმხედველობაში. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ კაპანელმა პირველი წიგნი გამოსცა სათაურით: „ტანჯვა და შემოქმედება" (1917). რომელიც მისი მოღვაწეობის დასაწყისში განვითარებულ შეხედულებებს ასახავს, ამას მოწმობს ისიც, რომ ამ წიგნში კაპანელმა შეიტანა პირველი წერილების სერია (ნიცშეს შესახებ წერილის გარდა). ყოველ შემთხვევაში. კაპანელის მოღვაწეობის ეს პერიოდი არის იმ წყაროს

---

[1] К. Капанели, Страдание и творчество, Тифлис, 1917, გვ. 165.

მიგნება, რომლითაც იკვებებოდა მისი მსოფლმხედველობა, არა მარტო დასაწყისში, არამედ შემდგომშიც, როდესაც მან კოსმიზმის და „ცხოვრების ფილოსოფიის" ფორმებში განვითარებული მსოფლმხედველობის აგება სცადა. კაპანელის აზრით, ერთადერთი საყოველთაო თვისება თუ ატრიბუტი, რომლითაც ადამიანის და საერთოდ ცოცხალი არსების ყოფიერება ხასიათდება, არის ტანჯვა. იგი ჩვენი ყოფიერების მუდმივი თანამგზავრია, რომელიც აფართოებს ჩვენს აზროვნებას, ხანგრძლივი სიძულვილის შემდეგ იწვევს სიყვარულს; მისით წარმოიშვა შემეცნების წყურვილიც და სიბრძნის სიყვარულიც. პლატონიდან დაწყებული, ფილოსოფოსობისა და შემეცნების საწყისად თუ კითხვა და ეჭვი ცხადდებოდა, „ცხოვრების ფილოსოფიამ" იგი შეცვალა ტანჯვით, რამდენადაც კითხვა და ეჭვი ტანჯვის მაჩვენებელია. კაპანელმა ამ კუთხით სცადა ვაჟას შემოქმედების გააზრებაც — მისი აზრით, „ტანჯვის ესოდენ მნიშვნელოვანი როლი არავის გაუგია ისე კარგად, როგორც ჯერ კიდევ გაგებას და შეფასებას მოკლებულმა ვაჟა-ფშაველამ". უნდა ითქვას, რომ ვაჟას პოეზიის გენიალობის დასაბუთებაში, მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის კაპანელის გააზრებებს, განსაკუთრებით მისი „გველის-მჭამელის" გარშემო. კაპანელს ვაჟას შემოქმედების დახასიათებისთვის დასჭირდა გენიოსის და გენიალობის ანალიზი, რადგან ფიქრობს, რომ ვაჟა მიეკუთვნება იმ მცირერიცხოვან გენიოსებს, რომელთაც ვერ უგებენ თანამედროვენი, რამეთუ გენიოსები უფრო მეტს ხედავენ და განიცდიან, ვიდრე მათ თანამედროვეთ ძალუძთ დაინახონ, განიცადონ და შეაფასონ. მარტოობა გენიოსების ხვედრია.

კაპანელი ამ საკითხში განიცდის ბერგსონის „შემოქმედებითი ევოლუციის" იდეების გავლენას და მასთან ერთად ამტკიცებს, რომ შემეცნების თეორია ფსიქოლოგიურად დაკავშირებულია შემოქმედებით აქტთან, და რომ ამ საკითხს ეხება ვაჟას „გველის-მჭამელიც". ეს პოემა, ავტორის აზრით, „თავისი შინაგანი ღირებულებით პირველია ლიტერატურაში. მისი შედარება შეიძლება რაბინდრანათ თაგორის „ლირიკულ ნაწყვეტებთან" და შელის „ეპიფსიქიონთან", მაგრამ ვაჟა-ფშაველას პოემა ორივეზე უფრო მაღლა დგას თავისი „ფილოსოფიური შინაარსით, რადგან მასში არაა თაგორისეული გულუბრყვილობა და არც შელისეული ქალური საწყისი". პოემა გადაგვიშლის ნათელხილვისა და ინტუიციის მთელ სამყაროს. მინდია იტანჯება და ტანჯვით იძენს გენიალობას, მაგრამ ეს გენიალობა შეუთავსებელია ყოველდღიურ ბედნიერებასთან და ამიტომ იკარგე-

ბა — ტანჯვით შობილი სიყვარული სიკვდილისკენ მოუწოდებს. ამ პოემაში გამოხატულია ის კოსმოსური შერწყმა, რომელიც კოსმიზმის საფუძველს წარმოადგენს და გვიჩვენებს, რომ შემოქმედება დაკავშირებულია ტანჯვასთან და რომ ტ ა ნ ჯ ვ ა ა ფ ა რ თ ო ე ბ ს ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ა ს კ ო ს მ ო ს თ ა ნ შ ე რ წ ყ მ ა მ დ ე. კაპანელის აზრით, ვაჟას არა მარტო ქართულ, არამედ ევროპულ ლიტერატურაშიც არ ჰყავს წინაპარი. დოსტოევსკის მსგავსად იგი არა მარტო სწვდა ტანჯვის საზრისს, არამედ აღმოაჩინა და გადაწყვიტა გნოსეოლოგიური პრობლემაც — ნივთთა არსებისა და ცხოვრების შემეცნების საკითხი — იმით, რომ ტანჯვა გახადა ჩვენი ცნობიერების და ნებელობითი აქტების მეტაფიზიკური საფუძველი. ვაჟამ შემეცნების წყაროდ გამოაცხადა არა გონება, არამედ ადამიანის გრძნობათა ორგანოების მთელი ერთიანი მოღვაწეობა. მინდია 12 წლის ტანჯვის შემდეგ ნივთს იმეცნებს მთელი თავისი არსებით. მსგავსი რამ აღწერილია ეაგნერის „ნიბელუნგების რგოლშიც". კაპანელის აზრით, აქ მრავლად დაიძებნება ბერგსონისეული შემოქმედების ახსნის ფსიქოლოგიური მოტივების ანალოგია. ყოველ შემთხვევაში „მინდიას ფსიქოლოგია მთელი კაცობრიობის ფსიქოლოგიაა". მინდია, როგორც ფსიქოლოგიური ფენომენი, უფრო მაღლა დგას, ვიდრე პრომეთე და ფაუსტი, მასში განხორციელებულია ადამიანის გონის განვითარების ყველა მომენტი (ხოლო ფაუსტსა და პრომეთეში ცალკეული მომენტებია). პოემაში ადამიანის არსებობის ულტიმატური ტრაგედია, მიწიერი ყოფის საზრისი და მიზანია გადმოცემული. ის, რაც სცადა ლამარტინმა და ვერ გააკეთა, გააკეთა ვაჟამ: მინდია არის კოსმოსური მსოფლმხედველობის განსახიერება, ის პანსოფია, რომელიც სიყვარულის საგნად იხდის ბუნებასა, მინდიას, როგორც გენიოსს, ესმის კოსმოსის ენა და ამიტომ უყვარს იგი. ის, რაც ყოველთვის იყო ადამიანის მიზანი, — ბუნებასთან შერწყმა და მასთან კომუნიკაცია, — და რასაც ის ვერასდროს ახორციელებდა, განახორციელა მინდიამ. მასთან საუბრობს კოსმოსის ყოველი ნაწილი, ამავე დროს, ის ერწყმის მთელ კოსმოსს და მასთან ერთიანი ხდება. მ ა ს ა ხ ი თ ინდივიდუალობამ შეიგრძნო თავისი ყოფიერების საზრისი და საერთოდ მთელი ცხოვრების საზრისი, რადგან მას ესმის ცხოვრება და უყვარს იგი. მინდიას მამოძრავებელი სიყვარული ქმნის ჰარმონიას პიროვნებასა და ბუნებას შორის, მაგრამ ცხოვრება არის ძალა, რომელიც უარყოფს მინდიაში ამ ჰარმონიას) და ეს ძალა ოჯახია. ქალი და ოჯახი კლავენ მასში შემოქმედებით საწყისს, ეს ნიშნავს, რომ კეთი-

ლისა და ბოროტის განუწყვეტელ ბრძოლაში იმარჯვებს ბოროტი, რომლის სახელია ცხოვრება.

რასაკვირველია, კაპანელის მსოფლმხედველობა მიუღებელია ჩვენთვის. ის „ცხოვრების ფილოსოფიის“ ირაციონალური, ბიოლოგისტური ნაკადის განზომილებაში დევს, მაგრამ უტყუარი ფაქტია, რომ კაპანელმა თავისი მსოფლმხედველობის, კოსმიზმის მიუხედავად, თუ შის გზით, შეძლო ამოეკითხა ორი დიდი შემოქმედის: ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას პოეზიის ფილოსოფიური შინაარსი. განსაკუთრებით ხელშესახებია მისი დამსახურება ვაჟას „გველის-მჭამელის“ ფილოსოფიური ანალიზის საკითხში. კაპანელის მსოფლმხედველობის არეალში ისე მრავალმხრივად წარმოდგა ვაჟას პოემის ფილოსოფიური საზრისი, რომ მან დააკანონა შემდგომში მისი ფილოსოფიური ანალიზი. კაპანელის მიერ დაყენებული საკითხები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ პასუხის მიუხედავად მან შეძლო საკითხის დაყენებისთვის მიეცა ისეთი ბიძგი, რომელიც აზროვნებას დღესაც ამოძრავებს ამ მიმართულებით. ალბათ ეს აიხსნება ვაჟას უსაზღვრო სიყვარულით ბუნებისადმი, რომელიც კაპანელისეული კოსმიზმის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია.

როგორც აღვნიშნეთ, ამ წერილების სერიაში წამოჭრილი პრობლემები მიიყვანს კაპანელს თავისი აზროვნების ძირითად მიმართულებამდე და მის ინტერესთა ფართო წრეს მოხაზავს, რაც შემდგომ განვითარებას პოულობს წიგნში: „ტანჯვა და შემოქმედება“ (რუსულ ენაზე). წიგნი გარკვეულად არ ატარებს ერთიანი ნაშრომის სახეს. იგი ავტორის განცხადებითაც „ფრაგმენტებს“ წარმოადგენს, მაგრამ ამ ფრაგმენტულ, ნახევრად ესეისტურ ფორმაში მოცემულია მისი მსოფლმხედველობა, რომელიც ახლო ნათესაობას ავლენს ნიცშესა და საერთოდ „ცხოვრების ფილოსოფიის“ მსოფლმხედველობრივ ტრადიციასთან, რომლის იდეები ამ შრომაში უფრო ვრცლად და მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი, ვიდრე წერილებში. არა მარტო საკითხების დაყენებით თუ მათი გადაჭრის გზებით, არამედ ფილოსოფოსობის მხატვრულ ფორმაში გახვევითაც კაპანელი ნიცშეს მიმდევარია. იგი ფილოსოფიურ ძიებას ლიტერატურულ პუბლიცისტურ ფორმას ანიჭებს, რაც ამ პერიოდში მოინათლა პუბლიცისტურ ფილოსოფიად, რომელმაც თავისებური ესეისტური ფორმა მიიღო ექსისტენციალისტებთან. ეს ფორმა ადრეც არსებობდა, მაგრამ მან დომინანტური როლი შეასრულა ექსისტენციალური აზროვნების ლიტერატურულ ფრთაში. კაპანელის მხატვრული სახეები და საერთოდ ლიტერატურული

სტილიც, სწორედ ამ ფორმის გამოხატვაა. თუ გავითვალისწინებთ ამ ნააზრევის ანტიინტელექტუალისტურ, ანტილოგიცისტურ ნაკადს, ადვილი გასაგები გახდება, რომ ასეთი ფორმა მას ყველაზე უკეთ მოერგო. ამავე დროს, აზროვნების ასეთი სტილი — გრძნობათა სამყაროში აზრების გათქვეფა — ლოგიკური აზროვნებისათვის მიუღებელია. ალბათ ნაწილობრივ ამით აიხსნება კაპანელისადმი ინტერესის შენელება 20-იანი წლების დასასრულს და დღეისათვის არსებითად მისი დაკარგვა. კაპანელის აზროვნების განვითარების აღნიშნულ საფეხურზე უფრო გამოიკვეთა მისი ინტერესები და ამ წიგნში, რომელიც ფილოსოფიის კრიტიკული წერილების თავისებური კრებულია, ერთი საერთო იდეა თუ ტენდენცია გამოიხატა. ეს არის ტანჯვისა და შემოქმედების ორგანული ფსიქოლოგიური კავშირის იდეა, მტკიცება, რომ „ტ ა ნ ჯ ვ ა ო ნ ტ ო ლ ო გ ი უ რ ა დ დ ა დ ი ნ ა მ ი კ უ რ ა დ დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი ა შ ე ო ქ მ ე დ ე ბ ა ს თ ა ნ“[1]. ტანჯვა და არა გონება აკავშირებს სამყაროს რეალობას, იდეალს, სილამაზეს. ტანჯვა აღანთებს ნათელს. ამ წანამძღვრიდან ამოსვლით აფასებს კაპანელი გონებასა და მეცნიერებას. ცდილობს დაადგინოს სამყაროს მეცნიერული გაგების მეტაფიზიკური ღირებულება. ამ მიზნით გადადის ყოფიერების ზოგადი საკითხების განხილვაზე, მატერიისა და სულის, ცხოვრებისა და შემეცნების, ცოდნის სუბიექტურობა-ობიექტურობის პრობლემებზე. ამით თავისებურად ესთეტიკურ განსაერში გააზრებული საკითხებიდან და ცხოვრების საზრისის კითხვიდან, იგი თავის მსოფლმხედველობის არეს აფართოებს ზოგად ონტოლოგიურ და გნოსეოლოგიურ პრობლემატიკამდე.

კაპანელი თავის ნააზრევს იწყებს ყოფიერების არსების შემეცნებას შესახებ საკითხის დასმით. უპირველესი ყოფიერების პრობლემაა, მაგრამ ეს ონტოლოგიური საკითხი რომ გადაწყდეს, ამისთვის აუცილებელია დადგინდეს საკითხის გადაწყვეტის საზღვრები — რა შეუძლია ადამიანს იცოდეს „ყოფიერების აბსოლუტური ონტოლოგიური არსების შესახებ“. ეს ნიშნავს, შემოწმდეს ადამიანის ცოდნა და დაისვას მისი არსებობის ძირითადი ფორმის მეცნიერების ღირებულების **პრობლემა.** რადგან საკითხი ფილოსოფიურ ასპექტში განხილება, უნდა დადგინდეს „მეცნიერების მეტაფიზიკური ღირებულება“. კაპანელის აზროვნების ეს წესი, ლოსკისა და ბერდიაევის მიერ „გნოსეოლო-

---

[1] К. Капанели. Страдание и творчество, Тифлис, 1917, გვ. 3.

გიურ ონტოლოგიად“ წოდებული, მსჯელობის ფორმაა, რომელშიც ყოფიერების ძიებას წინ უსწრებს მისდამი მისასვლელი გზების დადგენა. ყოფიერების თეორია, პირველ რიგში მეცნიერებაა და საკითხი ისმის მისი არსების შესახებ. ამ-ს დასადგენად კი აუცილებელია მისი წარმოშობის გარკვევა. კაპანელის აზრით, მეცნიერება თავდაპირველად, ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში წარმოიშვა. კერძოდ, ის იყო მოვლენათა პრაქტიკული განხილვა, ამიტომ ხელოვნებას წარმოადგენდა. თუ კლაგესისთვის ფილოსოფია ხელოვნებაა, თუ არისტოტელედან ამოსული შოპენჰაუერისთვის ისტორია ხელოვნებაა, კაპანელისთვის მთელი ცოდნაა ხელოვნება — არა მარტო მ-ს ისტორიულ წარმოშობაში, არამედ არსებობის თანამედროვე ფორმაშიც. მისი აზრით, მეცნიერებისთვის ხელოვნებისეულობის ნიშანი იმიტომაა ძირითადი, რომ მეცნიერება ხელოვნების მსგავსად თვითნებურია. მისი ცნებები არაფერს შეიცავს სინამდვილის არსებიდან, რაც მათ აბსოლუტურ მნიშვნელობას მიანიჭებდა. მოვლენათა ყოველი ჯგუფისთვის არსებობს უსასრულოდ მრავალ თეორიათა შექმნის შესაძლებლობა და ყოველ მათგანს ერთნაირად ექნება არსებობის უფლება, თუკი ისინი ლოგიკურად სწორად იქნებიან მოაზრებულნი. ფაქტებს და თეორიას შორის კავშირის სხვა ფორმა არ არსებობს თუ არა სუბიექტური აუცილებლობა. როგორ შევიგრძნობთ სამყაროს, ესაა მეცნიერების შინაარსი, მაგრამ ჩვენ მიერ სამყაროს შეგრძნება იცვლება, შესაბამისად მეცნიერების შინაარსიც ცვალებადია. როდესაც სამყაროს შეიგრძნობდნენ ბრტყლად, შეიქმნა ევკლიდური გეომეტრია, როდესაც სამყაროს შეგრძნება შეიცვალა, სიბრტყეების გეომეტრია შეცვალა ლობაჩევსკისა და რიმანის სფეროთა გეომეტრიამ. კაპანელის აზრით, სამყაროს მეცნიერული გააზრება ისეთივე შეფარდებითი, არამყარი და მცდარია, როგორც წინამეცნიერული. ერთნაირი ღირებულებისაა ასტროლოგია, მაგია და თანამედროვე თეორიული გააზრებანი ასტრონომიისა და ქიმიის დარგში. („ჩვენ მეცნიერების აყვავებ-ს ეპოქის ადამიანები“ ცხოვრებასთან ბრძოლაში ისევე უმწეონი ვართ, როგორც წარმართები და ადრეული ქრისტიანები.) მეცნიერების ბატონობით რელიგიური მისტიკიზმის სფერო კი არ ვიწროვდება, არამედ ფართოვდება და ეს იმიტომ, რომ მეცნიერებას არ ძალუძს არსების ცოდნა, ხოლო მოვლენათა მიმართების შესახებ მისი ცნებები მხოლოდ ყოფიერების შესაძლებლობებს გამოხატავენ და მოკლებული არიან აბსოლუტურ მნიშვნელობას. ატომის თანამედროვე თეორიამ კაცობრიობა დემოკრი-

ტეს მატერიალურ ატომებზე უფრო ღრმად ვერ შეიყვანა სინამდვილის ცოდნაში, იმიტომ, რომ არც ერთი და არც მეორე არაფერს ამბობს სამყაროს არსებაზე. ახალი თეორიებით ადამიანები „მხოლოდ თავს იტყუებენ". ძველი მისახვედრი არაა, რომ კაპანელის ეს მსჯელობა საუკუნის დასაწყისში გაბატონებული რელატივიზმისა და კონვენციონალიზმის გამოძახილია; შემთხვევითი არაა, რომ შემდგომ კაპანელი თავისი აზროვნების წყაროებში დაასახელებს ანრი პუანკარეს ნააზრევს. კაპანელთან, შემეცნების პროცესში მოვლენათა სიღრმეში შეჭრის შედეგად, ძველი ცოდნის ახლით შეცვლა გაგებულია როგორც ცოდნის ობიექტურობის უარმყოფელი და გააბსოლუტურებულია. რელატივიზმი. ლენინის მიერ გაკრიტიკებული მახიზმის, ემპირიოკრიტიციზმისა და ფიზიკური იდეალიზმის გნოსეოლოგიური პრინციპები გვხვდება კაპანელის მოძღვრებაშიც. მასთან მრავალი ლოგიკური წინააღმდეგობა იჩენს თავს. კერძოდ, როდესაც ამტკიცებს, რომ სამყაროს ევკლიდური შეგრძნების შეცვლა გამოიწვია ამერიკის აღმოჩენამ და დედამიწის სფეროსებურობის გარკვევამ, რომელმაც მიგვიყვანა ლობაჩევსკისა და რიმანის მიერ სფეროსებურობის შეგრძნებამდე, ამით კაპანელი ნიადაგს აცლის საკუთარ მტკიცებას თეორიის წმინდა სუბიექტურობაზე და მიუთითებს მისი შეცვლის ობიექტურ საფუძველზე. ის ფაქტი, რომ სამყაროს ატომისტური სურათი შეიცვალა ელექტრონულით, რომელსაც ახლავს მრავალი გაუცნობიერებელი და გადაუწყვეტელი საკითხი, მეტყველებს არა ცოდნის შეუძლებლობაზე საერთოდ, არამედ იმაზე, რომ აბსოლუტური ცოდნა მიუღწეველია, რომ სამყაროს შემეცნების გზაზე ყოველი ახალი ნაბიჯი ახალ საკითხებს სვამს და ახალ სიძნელეებს აწყდება. მაგრამ ეს ნაბიჯები არის სწორედ მიახლოება სამყაროს აბსოლუტურ ცოდნასთან, რომელიც ამომწურავად არ მიიღწევა, თუმცა ამის გამო ცოდნა არ ხდება უსაფუძვლო და სუბიექტური.

კაპანელის აზრით, ცოდნის სუბიექტურობა უფრო ნათლად ჩანს სოციალურ მეცნიერებებში. სოციალურის შესახებ თეორიათაგან კაპანელი ყველაზე მაღლა აყენებს მეცნიერული სოციალიზმის თეორიას. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ კაპანელის მტკიცებას, რომ „არსებითად „მეცნიერული სოციალიზმის" თეორეტიკოსთა მოძღვრება ყველაზე კეთილშობილი და დიადია, ყველაზე მწყობრი და სიმეტრიული, ყველაზე სერიოზული და რეალისტურია ყველა ფილოსოფიურ და სოცი-

ოლოგიურ მოძღვრებათაგან"[1]. მისი აზრით, სოციალისტების მოძღვრება, ისე როგორც ყველა მეცნიერული თეორია, ემყარება წანამძღვრებს: რომ წარსულის მოვლენათა მსვლელობა მიზეზობრივად განსაზღვრავს მომავალს, რომ მათ შორის ერთმნიშვნელოვანი კავშირია და, რომ სამყარო ექვემდებარება ერთგვაროვნების პრინციპს, რომლის გამოხატულებას წარმოადგენენ კანონები. კაპანელი ფიქრობს, რომ არცერთ ამ წანამძღვარს არა აქვს საფუძველი თვით სამყაროში. მომავლის პროგნოზები დღეს რომ დასაბუთებული ჩანს, ხვალ შეიძლება სინამდვილემ უკუაგდოს. დიალექტიკური ლოგიკა, რომელიც მიზეზობრივ განსაზღვრულობას ემყარება, არ ითვალისწინებს, რომ მიზეზობრიობიდან სულ უფრო მეტი გადახრა ხდება, რასაც უმნიშვნელოდ თელიან, მაგრამ ფაქტობრივად შემთხვევით მოვლენათა რიცხვი არანაკლებია, ვიდრე კანონზომიერი. თეორიები და კანონები არაფერს გამოხატავენ, თუ არა ცნებათა ლოგიკურ კავშირს. „მეცნიერების კანონები ერთგვაროვანია, მაგრამ ერთგვაროობა ბუნებაში არაა. ცხოვრების ფაქტები ლოგიკური თანმიმდევრობით არ მეორდება და მოვლენათა მსვლელობამ არ იცის მწყობრი კანონზომიერება. კანონი ყოფიერების ბუნებრივად განმეორებად ცდას კი არ გამოხატავს, არამედ განყენებულ ცნებათა მიმართებას, რომელნიც ადგენენ კავშირს მხოლოდ ზოგიერთ ხელოვნურად შერჩეულ მოვლენებს შორის"[2]. ადამიანის ცნობიერებას სინამდვილიდან კი არ გამოყავს კანონები, არამედ არჩევს მოვლენათა განსაზღვრულ ჯგუფს, ამყარებს მათ შორის ლოგიკურ თანმიმდევრობას და შემდეგ ეს ლოგიზირებული მოვლენები ხდება მთელი სამყაროს ცხოვრების მასშტაბი. ე. ი. სუბიექტი უკარნახებს, თავს ახვევს სამყაროს პრინციპებს, რომელთაც მიაწერს ობიექტურ მნიშვნელობას. ეს არის რაციონალიზმის სიყალბე, რომელსაც, კაპანელის აზრით, ბერგსონმა სავსებით მართებულად დაუპირისპირა ცხოვრების სტიქიურობა. კაპანელის აზრით, ბერგსონის, ლამარკისა და დარვინის თეორიებმა რაციონალიზმს სიკვდილი მოუტანეს. არა თუ სამყარო, არამედ ჩვენი ცხოვრების ყოველი მომენტიც უსასრულოდ მრავალ შემთხვევითობათა შედეგია და არავითარი განგება და მიზანდასახულობა არა აქვს სამყაროსა და სიცოცხლეს. ამ შემთხვევითობათა სიმრავლე ცნობიერებისთვის მიუწვდომელია. „სიცოცხლე კოსმიური ცხოვრების უსას-

---

[1] К. Капанели. Страдание и творчество, Тифлис, 1917, გვ. 9—10.
[2] იქვე, გვ. 10.

რულოდ თვალუწვდენელი და საიდუმლოებით მოცული გამოვლენაა. ცხოვრების საყოველთაო პროცესის რაციონალიზება იქნებოდა ოკეანის გაზომვა ჩაის კოვზით"[1]. კაპანელის აზრით, ყველა ის დამთხვევა შემეცნების შედეგებისა სინამდვილესთან, რომლითაც მეცნიერები ამაყობენ, მხოლოდ შემთხვევითია. „ფილოსოფიის ისტორია სამყაროს რეალობის ადამიანური შემეცნების ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ო ბ ი ს მთელ საიდუმლოებას გადაგვიშლის". თვითონ კოსმიური ყოფიერება ადამიანისთვის რჩება მარადიულ საიდუმლოებად, რომლის გამოცნობა მას არ ძალუძს. ადამიანი მხოლოდ ქმნის პრინციპებს, რომლებითაც ზომავს სამყაროს. ყველა ეპოქა და ფილოსოფოსი ცხოვრების საზომად საკუთარ პრინციპს აყენებს: ბერძნები — მორალურს; ქრისტიანები — სიყვარულს; კანტი — კატეგორიულ იმპერატივს; ვუნდტი — თემობას; ნატორპი — ერთობას; კოვალევსკი — სოლიდარობას; კონტი — ცოდნის ზრდას; ზიმელი — ენერგიის შენახვას; ნიცშე — სტიქიურობას; ჰეგელი — ლოგოსს; შოპენჰაუერი — ნებელობას და სხვა და ადამიანის ცნობიერება მუდამ ახალ პრინციპებს ქმნის, მაგრამ ისინი ერთნაირად დაშორებულია იმ სინამდვილეს, რომელიც მასზე უნდა გაიზომოს: „უსასრულო წარსულსა და უსასრულო მომავალს შორის ვიმყოფებით ჩვენ, როგორც მარადისობის ეფემერიდები, რომელთაც არ გვიწერია არც წარსულის და არც მომავლის საიდუმლოებათა წვდომა". ყოფიერების არსება ადამიანისაგან დაფარულია, მას აქვს მხოლოდ ინტერპრეტაციები, რომელნიც გამოხატავენ ჩვენ მიერ სამყაროს შეგრძნებაგანცდას და არა თვით სამყაროს. კაპანელის აზრით, აბსოლუტური ჭეშმარიტება არ არსებობს, ხოლო შეფარდებითი ჭეშმარიტება შეუძლებელია. ერთადერთი, რისი დაღგენაც შეიძლება, შემდეგია: „ს უ ბ ი ე ქ ტ ი ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს ე რ თ ა დ ე რ თ ი წ ყ ა რ ო ა, ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ე ლ ი ა, მ ო ვ ლ ე ნ ა თ ა და ნ ი ვ თ თ ა შ ე მ ო ქ მ ე დ ი ა"[2].

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ დავსვათ კითხვა — როგორ გადაწყვიტა კაპანელმა დასმული საკითხი? ის ეძებდა მეცნიერების მეტაფიზიკურ ღირებულებას და ამ მიზნით შეიმუშავა გარკვეული პოზიცია. როგორია იგი? ამის გარკვევა მოითხოვს საკითხისადმი „ცხოვრების ფილოსოფიის" პოზიციის გარკვევას. ცნობილია, რომ მეცნიერების

---

[1] К. К а п а н е л и. Страдание и творчество, Тифлис, 1917, გვ. 12.
[2] იქვე, გვ. 15.

ბიმართ „ცხოვრების ფილოსოფიის“ და განსაკუთრებით ნიცშეს პოზიცია დღესაც სადავოა, ისე როგორც ექსისტენციალიზმის პოზიცია, რომელიც აგრძელებს „ცხოვრების ფილოსოფიის“ ტრადიციებს. ზოგიერთის აზრით, „ცხოვრების ფილოსოფია“ და ექსისტენციალიზმი მეცნიერების უარყოფაა, ყოველ შემთხვევაში ნიცშეს პოზიცია მეცნიერების ღირებულების უარყოფაშია. თვითონ ექსისტენციალისტები ამტკიცებენ, რომ არც ნიცშე და არც ექსისტენციალიზმი არ უარყოფს მეცნიერების ღირებულებას. უარყოფენ მხოლოდ მეცნიერების გააბსოლუტურებას, სციენტიზმს. ყოველ შემთხვევაში როგორც „ცხოვრების ფილოსოფიის“, ისე ექსისტენციალიზმის წარმომადგენლებთან საკითხი შეიძლება სადავო იყოს, მაგრამ კაპანელთან ამაზე დავა უსაფუძვლო იქნებოდა — იგი ნათლად, ყოველგვარი მერყეობის გარეშე, უარყოფს ცოდნის ობიექტურ ხასიათს და ამდენად მეცნიერების თეორიულ ღირებულებასაც. ერთადერთი, რაც რჩება მეცნიერებას, მისი პრაქტიკული მნიშვნელობაა და იგი არაა დამყარებული ცოდნის მოვლენათა არსებასთან შესაბამისობაზე. იგი მხოლოდ მეცნიერების პრინციპების სინამდვილეში ორიენტირებისთვის მოხერხებულ გამოყენებას ემყარება. აგნოსტიციზმი, ჭეშმარიტების ობიექტურობის უარყოფა, სუბიექტივიზმი კაპანელის ნააზრევისა, მიმართულია მეცნიერების ღირებულების წინააღმდეგ.

მაშასადამე, კაპანელის აზრით, შემეცნება შეუძლებელია, ყოფიერების არსება მიუწვდომელია და მაინც ფილოსოფიამ უნდა იმსჯელოს ყოფიერებაზე. როგორ ესმის კაპანელს ყოფიერება? მართალია, მან გამორიცხა ყოფიერებისაკენ ცოდნის გზა, და რწმენაც არაა მისი იდეალი, მაგრამ მაინც იძლევა ყოფიერების გარკვეულ გაგებას: ეს არაა სამყაროს ინტელექტუალური სურათი, არც გონების შედეგი. კაპანელის ენით რომ ვთქვათ, იგი სამყაროს სტიქიური განცდაა ისეთად, როგორადაც სუბიექტს ევლინება გრძნობების გზით, თავისთავადი სამყაროს წვდომის პრეტენზიის გარეშე. სანამ უშუალოდ ყოფიერების გაგების კაპანელისეულ თვალსაზრისს გადმოვცემდეთ, უნდა აღვნიშნოთ შემეცნების გზების მისეული კონტურები.

კაპანელის ფილოსოფოსობის ამოსავალია როგორც შემეცნების, ისე ყოფიერების მიმართ სუბიექტის განმსაზღვრელობის პრინციპი. ეს არაა აბსოლუტური სუბიექტი, მსოფლიო გონი ან ობიექტური ნებელობა. იგი ყოველი ინდივიდია, რომელიც სამყაროს სურათს ქმნის საკუთარი შთაბეჭდილებების შესაბამისად და რომელზედაც დამოკიდე-

ბულია სამყაროს გაგება. სამყარო და მისი სურათიც არც ინტელექტუალურია და არც წარმოდგენისეული, — იგი ნერვულ სისტემაში წარმოშობილ სახეთა ერთობლიობაა. „სამყარო ჩემი წარმოდგენა კი არაა, არამედ სახეთა სიმრავლე". რეალობის გრძნობა მხოლოდ და მხოლოდ შთაბეჭდილებების მიღების უნარზეა დამოკიდებული და არა აბსტრაქციებზე ან სილოგიზმებზე. საკითხავია, რა იწვევს სახეთა ერთობლიობას? კაპანელის აზრით, მცდარია თეორია, რომელიც ტვინს მიაწერს მათ წარმოშობას. ტვინი თვითონაა ერთ-ერთი სახე შექმნილი ჩემი განცდების გზით. ტვინი არაა აზრის წყარო, ტვინი არაფერს არ ქმნის. აზროვნება აქტიური-ბიოლოგიური ბუნების შემოქმედების შედეგია. კაპანელი ამ შემთხვევაში იმეორებს ავენარიუსის მოსაზრებას, რომ ტვინი არაა აზრის სამყოფელი, რომ აზრი მთელი ჩვენი ნერვული სისტემის მოქმედების შედეგია. კაპანელის აზრით, გონება კი არ განსაზღვრავს ჩვენს აზროვნებას, არამედ ინტუიცია, რომელიც ინსტინქტური ნათელხედვის სიღრმის გამოვლენაა. ყოველი ინტუიცია ამოდის ორგანული ყოფიერების სიღრმიდან და „ობიექტურ ღირებულებას ღებულობს მხოლოდ შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ ობ ის ი ლ უ ზ ი ა ში". (ეს მოწმობს, რომ აზროვნების წყაროა არა ტვინი, ან სუბიექტის რომელიმე ნაწილი, არამედ ინდივიდუალობის მთელი ბუნება. უარყოფს რა აზროვნების გამომუშავების უნარს ტვინის მიერ, ამავე დროს, ცდილობს მოსსნას აზრისა და ტვინის კავშირის დამსაბუთებელი არგუმენტი, რომლის მიხედვით ტვინის დაზიანების შემთხვევაში აზროვნების უნარი იკარგება. კაპანელის აზრით, ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ნერვულ სისტემაში გამომუშავებული აზრების მიმართ ტვინი ასრულებს ტელეფონის სადგურის როლს, რომელიც გადასცემს ამ აზრებს. სხვანაირად აუხსნელი დარჩება, როგორ ხდება, რომ სულიერი პროცესების დარღვევის შემდეგ, ტვინის დაზიანების მიუხედავად, ხდება სულიერ პროცესთა აღდგენა. — ეს მიუთითებს იმაზე, რომ „ტვინი არაა ჩვენი შემეცნების წყარო და, რომ აზრთა ძირითადი თავდაპირველი ელემენტები ორგანული წარმოშობისაა"[1]. ამიდევ მეტი, მისი აზრით, აზროვნების უნარი საერთოდ მთელი მატერიისათვისაა დამახასიათებელი, რადგან აზროვნება ორგანულის გარეშე არ არსებობს, ყოველი მატერია გარკვეულად განსულიერებულია და მას აქვს ტანჯვის უნარი. სწორედ ეს ტანჯვა ქმნის სულის

---

[1] К. Капанели. Страдание и творчество, Тифлис, 1917, зз. 20.

სიდიადეს. შემოქმედებითი გონი ტანჯული მატერიის წარმონაშობია. „ყოველი მატერია ტანჯვის ცეცხლოვანი დარტყმების გავლენით ყალიბდება ცნობიერების მცოცავ სხივებად". სამყაროს ცხოვრების ფორმა გონების ვიწრო კატეგორია როდია, არამედ ინსტინქტის ფართო და უსასრულო სიცოცხლე. აქედან გამომდინარე, კაპანელი ცდილობს დაამტკიცოს, რომ არაა არავითარი დაპირისპირება სულსა და სხეულს შორის, აბსტრაქციათა და ცნებათა სამყარო კონკრეტულ, ფსიქიკურ მდგომარეობათა არაცნობიერად ორგანიზებული ფორმაა. სული არაა საწყობი, სადაც სასაფლაოს მსგავსად განლაგებულია იდეები და ცნებები. „ი დ ე ე ბ ი ო რ გ ა ნ უ ლ ი წ ა რ მ ო ნ ა ქ მ ნ ე ბ ი ა". მატერიის ყოველი ნაწილაკი ჩართულია შემოქმედებით ტანჯვაში და ყოველი ფსიქიკური ლტოლვა გამოხატავს წვის ფარულ პროცესს. კაპანელი ყველაფერ ამას ამტკიცებს იმის წინააღმდეგ, რომ აზრი ჩაითვალოს მატერიის უმაღლესი პროდუქტის — ტვინის თვისებად. იგი ცდილობს მთელ მატერიას მიაწეროს ორგანულობის თვისება, რომელიც აზრის წყაროდ ითვლება, მაგრამ ამით იმის მტკიცება კი არ უნდა, თითქოს მატერიაა საწყისი, არამედ მატერიის სპირიტუალიზაცია, განსულიერება არის მისთვის ყოფიერების მინიჭება. ყოველ შემთხვევაში საკითხს — აზრები ტვინის შედეგია, თუ ორგანული წარმოშობისაა, კაპანელი მიყავს უფრო ფართო პრობლემამდე: როგორია მიმართება მატერიალურსა და სულიერს, ობიექტურსა და სუბიექტურს შორის. აქ უფრო მკაფიოდ გამოჩნდება კაპანელის სუბიექტური იდეალიზმი.

ყოფიერების კაპანელისეული გაგების ამოსავალი პრინციპია „მე"-ს აბსოლუტურობა. ყველა ფილოსოფოსმა თავისი პრინციპი წამოაყენა და კაპანელიც აყენებს მას: „ჩვენი მე, ეს დიადი პრინციპია... ობიექტი მხოლოდ სუბიექტის ილუზიაა... ობიექტად ყოფნა ნიშნავს სუბიექტისთვის ყოფნას, არსებობა ნიშნავს, იყო შემჩნეული და გაგებული. სუბიექტს ობიექტზე გადააქვს ის, რასაც ნახულობს ამ ობიექტის აღქმაში"[1]. სამყარო არც გონებაზე და წარმოდგენაზეა დამოკიდებული. სამყარო არის ის, რაც ჩემ მიერ შეგრძნობილია და ფორმირებული სახეებად. მაშასადამე, ყოფიერება ბუნებრივად განსულიერდება და სამყარო ინდივიდუალიზდება. ამ პროცესში მთავარია სიცოცხლე, რომელსაც კაპანელი ორ საწყისს მიაწერს: ფიზიკურს და ფსიქიკურს. „მე" სწორედ ამ ორი საწყისის გზით მიიღება, რაზეც პასუხი მოცე-

---

[1] К. К а п а н е л и. Страдание и творчество, Тифлис, 1917, გვ. 14, 15.

მულია კოსმიზმის მსოფლმხედველობაში, რომლის მიხედვით სამყაროსეული მატერიის სასიცოცხლო მოღვაწეობაში ხდება ორი მდგომარეობის — შეკუმშვისა და განმუხტვის — ცვლილება. პირველში მატერია აგროვებს ენერგიას, რისი ემანაციაც ხდება მეორე მდგომარეობაში. ორივე დამახასიათებელია როგორც ბუნებისთვის, ისე საზოგადოებისთვის. ისტორიაში შეკუმშვის პერიოდი უსწრებს განმუხტვას. კაცობრიობის ისტორიის პირველი პერიოდისათვის შეკუმშვა უცნობია. განმუხტვის პერიოდი კი აღმოსავლური და ელინური კულტურების აყვავებაა. შემდეგ ისევ დგება შეკუმშვის პერიოდი (საშუალო საუკუნეები), შესაბამისად განმუხტვა იქნება რენესანსი. ასეთი პულსაცია ახასიათებს ყველა ხალხის კულტურას. მთელი მსოფლიო ისტორია — ეს არის შემოქმედებითი ევოლუციის, მატერიის სპირიტუალიზაციის პროცესი. ცხოვრების პულსაციის ორი პერიოდი შეესაბამება ინსტინქტის ინტუიციაში გადასვლას. შეკუმშვა ინსტინქტის პროცესია, განმუხტვა—ინტუიციის. ინსტინქტისა და ინტუიციის ეს განსხვავება ძველ ბერძნულ მითებშია გაცნობიერებული — დიონისეს სახით წარმოდგენილია ინსტინქტი, ხოლო აპოლონის სახით ინტუიცია. დიონისე სხეულის, მიწიერის, ცხოველურის დამკვიდრებაა. იგი სასიცოცხლო წყურვილისა და ეროტული სიმთვრალის ექსტაზია. როდესაც ამ ვითარებაში არ ეტევა ძალა, მაშინ წარმოიშობა შემოქმედებითი სევდა, მოდის აპოლონი, როგორც შუქი ღამის შემდეგ. ესენი ერთმანეთის საპირისპირონი არიან, მაგრამ ერთმანეთიდან გამომდინარე. აპოლონი თავის მოღვაწეობას დიონისოს მიერ შექმნილ მასალაზე აგებს. ინტუიცია ინსტინქტის ორგანული სპირიტუალიზაციის გზით მიიღება. „ღ ა მ ი ს ს ა მ ე ფ ო ინ ს ტ ი ნ ქ ტ ი გ ა დ ა ი ქ ც ე ვ ა ს ი ნ ა თ ლ ი ს, ინ ტ უ ი ც ი ი ს ს ა მ ე ფ ო დ“, ამის საფუძველს ქმნის ეროსი, სიყვარული. სქესობრივი სიყვარული არის ის, რაც ადამიანის შემოქმედებით წვას იწვევს და ინსტინქტის სქესობრივ ენერგიად გადაქცევით ხდება ესთეტიკური, ეთიკური და ინტელექტუალური შემოქმედების ეროტულ მოთხოვნილებებთან მჭიდროდ დაკავშირება. და ეს კავშირი ეროსისა აპოლონთან ადამიანის ინდივიდუალობის განვითარებისათვის ყველაზე ძლიერი ფაქტორია. გენიოსი ეროსის შედეგია და არა სოციალურ-ეკონომიკური ვითარების. ასე წყვეტს კაპანელი საკითხს. „გენიოსის სულში ეროსი მუდმივად ზის, დიდი მხატვარი მხოლოდ ისაა, ვისაც სიყვარული შეუძლია განუწყვეტლივ... დიდი ფილოსოფოსიც, ისე როგორც

ლიდ: მხატვარი, აღსავსეა ეროტული გრძნობებით"[1]. ტანჯვა, რომელსაც იწვევს სიყვარული, ასულიერებს ორგანულ სამყაროს. გენიოსის ხელში იგი ფართოვდება კოსმოსთან შერწყმამდე. აქ ავტორი ავლენს თავის დამოკიდებულებას ბერგსონთან, თუმცა ფორმალურად აკრიტიკებს მას, ცდილობს, ბერგსონის გაელენა ნაკლებმნიშვნელოვნად დასახოს, რადგან ბერგსონი თავადაა დავალებული გიუიოსაგან. იგი ამოსავლად თვლის გიუიოს მოძღვრებას და არა ბერგსონისას.

კაპანელი თავის კოსმიზმს, მთელი სამყაროს წარმოდგენას, ინდივიდის როგორც განსულიერებული „მე"-ს განასერში, ავსებს ფროიდიზმის პრინციპებით და შემოქმედების საზრისის გამოყვანა სურს ეროტული საწყისებიდან. ესეც ინდივიდუალიზაციის გზაა, ამიტომ შემთხვევით არ უწოდებს ის თავის თეორიას „ანარქიულ ინდივიდუალიზმს". მთელი სამყარო მას გამოყავს ინდივიდის გრძნობათა სამეფოდან. არა აბსტრაქტული ქმნას კონკრეტულს, არამედ კონკრეტული აბსტრაქტულს. ზოგჯერ კაპანელის ნააზრევში ისეთი დებულებები გვხვდება, რომელნიც უნდა მიგვანიშნებდნენ მის მატერიალისტურ მსოფლმხედველობაზე. ასე მაგალითად, ის ებრძვის ლოგოსის, გონის სამყაროს საწყისად გამოცხადებას და ამტკიცებს, რომ „გონება კი არ გამოყოფს მატერიას, არამედ მატერია იმანენტური სპირიტუალიზაციის მტანჯველ პროცესში აძლევს გონებას ფორმას, ანთებს ცნობიერების ცეცხლს, გადმოისვრის იდეათა, წარმოსახვათა, ილუზიათა, მზიურ ჩირაღდანს"[2]. ფაქტობრივად კაპანელი ძალზე შორსაა მატერიალიზმისაგან, ხოლო თუ მას დავუჯერებთ, ის ასევე შორსაა იდეალიზმისაგანაც. მისი აზრით, „რეალიზმი (მატერიალიზმი — ე. კ.) და იდეალიზმი იმ ფორმით, როგორც ისინი არსებობენ ფილოსოფიის ისტორიაში, ადამიანის ლოგიკის სიცრუის ორი პოლუსია", პოზიტივისტები ჭიანჭველებივით აგროვებენ მასალას, ხოლო რაციონალისტები ობობასავით თავისთავიდან ქსოვენ არსებათა და ნივთთა იდეებს. ამრიგად, იგი მატერიალიზმზე და იდეალიზმზე მაღლა დგომის პრეტენზიას აცხადებს. ასეთი პრეტენზია პოზიტივიზმსაც აქვს, თუმცა კაპანელი მასაც უარყოფს. ამის მიუხედავად კაპანელის პოზიცია ალტერნატივის ერთ-ერთ მხარეზე თავსდება — ეს არის იდეალიზმის გარკვეული სახეობა—სენსუალისტური, სუბიექტური იდეალიზმი. კაპანელი არ ეთანხმე-

---

[1] К. Капанели. Страдание и творчество, Тифлис, 1917, გვ. 36.

[2] იქვე, გვ. 44.

ბა იმას, რომ სამყარო აბსოლუტური გონის გამოვლენაა, არც იმას, რომ სამყარო მისი წარმოდგენაა, მაგრამ ამით ის იდეალიზმს კი არ ძლევს, არამედ იდეალიზმის ზოგიერთ სახეობას უარყოფს ისევ იდეალიზმის სასარგებლოდ. „სამყარო თავის არსებობას რომ ჩვენი გრძნობის ორგანოებს უმადლის"[1], რომ სამყაროს მრავალფეროვნება კი არ განაპირობებს გრძნობათა ორგანოების მრავალსახოვნებას, და ხუთი გრძნობა იმიტომ კი არ გაგვიითარდა, რომ ამდენი სახის გამღიზიანებელი არსებობს ბუნებაში, როგორც ამას მატერიალისტი ფოიერბახი ამტკიცებდა, არამედ იმიტომ, რომ სამყაროს მრავალფეროვნებას განაპირობებს გრძნობათა მრავალფეროვნება. და თუ მხოლოდ ერთი შეგრძნების უნარი გვექნებოდა, მაგალითად ყნოსვისა, ჩვენ არ აღმოგვაჩნდებოდა არავითარი იდეები აღქმად, მოსმენად, შეხებად და გემოს მქონე საგნებზე, სამყარო დაკარგავდა თავის მრავალფეროვნებას. და თუ ადამიანს მოემატებოდა რომელიმე გრძნობის ორგანო, ბუნებაც შესაბამისად გარდაიქმნებოდა მასში. ამიტომ, რაც არ უნდა ილაპარაკონ პოზიტივისტებმა და მისტიკოსებმა, „სამყაროს რეალობა დარჩება ადამიანის განცდათა ფენომენალურ რეალობად"[2]. ზოგჯერ კაპანელის ნააზრევი ყოფიერების პრობლემაზე უპასუხოდ ტოვებს პრინციპული კოორდინაციის თეორიას, რომლისთვისაც სუბიექტი და ობიექტი არ არის ერთიმეორის გარეშე. კაპანელის აზრითაც, „გონი მატერიის გარეშე არაფერია, მატერია გონის გარეშე არაორგანიზებული უსახო ქაოსია"[3]. ორივე კი თავის ერთიანობას პოულობს „მე"-ში, რომლის განმსაზღვრელია ინდივიდუალური თვითცნობიერება და რომლის საფუძველია განცდები. „თვითცნობიერება არის სამყაროს ინდივიდუალურ აღქმათა ჯამი, რომელთა გარეშე არაა რეალობა"[4]. კლასიკური სუბიექტური იდეალიზმის ენით რომ გამოვთქვათ, კაპანელის მტკიცება ნიშნავს: არსებობა უდრის აღქმას, მაგრამ არა ღმერთის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდის აღქმასა და განცდას, იმ შემთხვევაშიც, როცა უშვებენ ღმერთის არსებობას ზეცაში, საქმე გვაქვს მის მიწიერ წარმოშობასთან, რადგან „ობიექტი არ შეიძლება იყოს სუბიექტის გარეშე"[5]. ყველაფერი მიწიერია და ამ აზრით

---

[1] К. Капанели. Страдание и творчество, Тифлис, 1917, გვ. 44.
[2] იქვე, გვ. 45.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 121.
[5] იქვე, გვ. 93.

პლატონის იდეათა სამყარო, ისე როგორც სოლოვიოვის მისტიკური რეალობა, ილუზიაა და კანტის ნოუმენი სხვა არაფერია, თუ არა შეგრძნებადი და აღქმადი მოვლენის საპირისპირო. ამრიგად, სამყაროს ყოფიერება მთლიანად და საკუთარი ინდივიდუალური ყოფიერების განცდებზეა დამოკიდებული. ეს დამოკიდებულება უფრო მეტია ყოფიერების შემეცნების შემთხვევაში. სამყაროს შემეცნება, მისი განსულიერების გაგება ხდება ჩვენი „მე"-ს განსულიერების შემეცნების გზით. სამყაროს შემეცნება გარდატეხილია „მე"-ს შემეცნებაზე. „რაც უფრო ჩავღრმავდებით ჩვენ „მე"-ში, მით უფრო ფართოა ცხოვრების შესახებ ჩვენი ცნება"[1]. ყველაფერი დამოკიდებულია „მე"-ზე, მისი ყოფიერება არის სამყაროს ყოფიერების საზომი. „ადამიანური „მე" სამყაროს სირთულის ბარომეტრია. რაც უფრო ფართოა „მე", მით უფრო ფართოა ცხოვრება, მით უფრო მრავალფეროვანია ბუნება, ორგანული და ფსიქიკური განცდები ის საიდუმლო ლაბორატორიაა, სადაც კეთდება სამყაროს სურათი"[2]. კაპანელი ეძებს არა აბსტრაქტულ „ასოშთავრულ" „მე"-ს (ლენინი), არამედ ემპირიულს და მას, ადამიანის სახით, მიაწერს სამყაროს შემოქმედებას. ყოველი ემპირიული ადამიანი ქმნის თავის სამყაროს. „ადამიანი უდიდესი მხატვარია, ბუნება ადამიანის სულის შემოქმედებაა". სამყაროს რეალობაც და მისი რეალობის შესახებ საკითხის დასმაც ერთნაირადაა ადამიანის საქმე, მისი შემოქმედების შედეგი, და ყოველივე ამას ადამიანში საწყისს აძლევს ტანჯვა. ის არა მარტო შემეცნების თეორიული გააზრებების წყაროა, არამედ სამყაროს ყოველმხრივი განვითარების გზაც. „ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელშიც ალაპარაკდა ცხოვრების ტანჯვა, რომელშიც განცდათა ძალამ სამყაროს ორგანიზებული ნებელობათა სიღრმიდან გამოიწვია არსებობის რეალობა, ნივთია, მოვლენათა და არსებათა რეალობა, საკითხი ყოფიერების რეალობისა და იდეალობის შესახებ, ორგანულ განცდათა საკითხი და ცხოვრების ყველა ღირებულება მოპოვებული და ნაგრძნობია ტანჯვით, რომელნიც აღმოცენდებიან ადამიანის სულის სიღრმიდან"[3]. ყოფიერების თვითყოფიერებაზე, შემეცნების თვითშემეცნებაზე დაყვანით კაპანელმა საფუძველი დაუდო სუბიექ-

---

[1] К. Капанели. Страдание и творчество, Тифлис, გვ.46.

[2] იქვე, გვ. 48.

[3] იქვე, გვ. 48

ტური იდეალიზმის თავისებურ სენსუალისტურ ფორმას — ინდივიდუალისტურ სუბიექტურ იდეალიზმს, რომელშიც არა მარტო გნოსეოლოგიური, არამედ ონტოლოგიური მომენტებიც გრძნობათა გააბსოლუტურების შედეგად, ინდივიდის გრძნობებით წარმოშობილად ცხადდება. ამითვე შექმნა მან წანამძღვარი ფილოსოფიის ამოცანის შესაბამისად გაგებისთვის. თუ რაციონალისტები ყოფიერების ფილოსოფიას ამოცანად უსახავდნენ გარკვეული სქემების შექმნას, რომლებშიც ყოფიერება მოთავსდებოდა და მისი მასშტაბი იქნებოდა, ხოლო ემპირისტები კმაყოფილდებოდნენ ყოფიერების ცდისეული, ფაქტობრივი მონაცემების ფიქსირებით, კაპანელი მიზნად ისახავს, ორივე დაძლიოს და საფუძველი დაუდოს ფილოსოფიის ამოცანის ისეთ გაგებას, რომლის მიხედვითაც ფილოსოფიამ შემოქმედებითად უნდა აღიქვას სამყაროს რეალობა იმ ფორმით, როგორც ის ვლინდება სამყაროს მრავალფეროვნების ინდივიდუალიზაციის, განცდათა ინდივიდუალიზების მტანჯველ პროცესში.

თუ ყოფიერება კაპანელისათვის ონტოლოგიურადაც და გნოსეოლოგიურადაც ინდივიდუალურ განცდათა, შეგრძნებათა შედეგია, ასეთივე იქნება ყოფიერების არსებობის ფორმებიც, რადგან დრო და სივრცე ისევე უნდა იყოს გაგებული როგორც თვით ყოფიერება. კაპანელი უარყოფს სივრცისა და დროის ობიექტურობას. ამავე დროს, მათ კანტისეულ, სუბიექტურ იდეალისტურ გაგებასაც. მისთვის დრო და სივრცე ფსიქიკური ფენომენებია და განცდათა ჭურჭელს კი არ წარმოადგენენ, არამედ განცდის ინტენსივობაზე არიან დამოკიდებულნი. „დრო და სივრცე იზომება ორგანულ განცდათა სიღრმით და რაც უფრო მტანჯველია განცდათა პროცესი, მით უფრო ფართოა სივრცე, მით უფრო ხანგრძლივია დრო[1]". დროის ძირითადი საზომია ჩვენი განცდები, გრძნობათა ინტენსივობა, რაც უფრო მეტ შთაბეჭდილებას ვღებულობთ დღის განმავლობაში, მით უფრო დიდი გვეჩვენება დღე. თუ ღამეს ღრმა ძილში გავატარებთ, ის მოკლედ მოგვეჩვენება. მაგრამ უძილობის შემთხვევაში იგივე ღამე ხანგრძლივი და უსასრულო ჩანს. რადგან ბევრი განვიცადეთ და ვიტანჯეთ. თვით ის უმცირესი დროის ნაწილაკიც, რომელსაც „სეკუნდს" ვუწოდებთ, დამოკიდებულია ჩვენს შეგრძნებათა სიხშირეზე. ადამიანის პულსი კურდღლის პულსს ტოლი რომ იყოს, მაშინ წამი გაცილებით უფრო მოკლე იქნებოდა. თუ ადა-

---

[1] К. Капанели. Страдание и творчество, Тифлис, 1917, зз. 23.

მიანის პულსი ხარის პულსის ტოლი იქნება, სეკუნდიც გახანგრძლივდება. დროში განსხვავებას იძლევა ასაკიც — რაც უფრო ახალგაზრდაა ადამიანი, მით უფრო მეტია მისი განცდები და შთაბეჭდილებები და მისთვის დრო ჩქარა გარბის; რაც უფრო მოხუცია, მით უფრო მონოტონურია მისი ცხოვრება, ღარიბია შთაბეჭდილებებით და მისთვის დროც ზლაზვნით მიედინება. ავტორის მტკიცებით ბერგსონის და, უფრო ადრე, გიუიოს შეხედულებათა საფუძველზე გაირკვევა, რომ დროც ფსიქოლოგიური ფენომენია და კანტის მოძღვრებამ დროზე დაკარგა ღირებულება. მას მხოლოდ ფილოსოფიის ისტორიისათვის შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა. ერთადერთი, რაც დღეისათვის მნიშვნელოვანია, იმის აღიარებაა, რომ „დრო არ არსებობს კონკრეტულ ორგანულ განცდათა გარეშე. ჭეშმარიტი დრო მიმდინარეობს მხოლოდ ფსიქოლოგიურ ნაკადში, რეალური დრო მხოლოდ კონკრეტულ-ფსიქოლოგიური ფაქტის განყენებული და პირობითი ფორმაა"[1].

ყოფიერების და მისი არსებობის ძირითადი ფორმების კაპანელისეული გაგების კრიტიკული ანალიზისთვის უნდა გამოვიყენოთ იდეალიზმისადმი მიდგომის ლენინური მეთოდი, რომლის ძირითადი პრინციპია იმის აღიარება, რომ იდეალიზმი სინამდვილის ერთი მხარის გააბსოლუტურებაა. კაპანელის იდეალიზმიც სწორედ ამ თვისებით ხასიათდება. დროის განცდა და სხვადასხვა ასაკში შთაბეჭდილებათა ინტენსივობის ცვლა, ისე როგორც ფსიქოლოგიურად სუბიექტის მიერ დროის ფენომენის განცდა, სხვადასხვაგვარია შთაბეჭდილებებთან დამოკიდებულებების მიხედვით; არაა სადავო, როგორც ის, რომ ისტორიული ეპოქების დრო განსხვავებულია და გაიზომება ამ ეპოქების ხდომილებათა ინტენსივობით. მაგრამ ამის გამო დროის ობიექტურობის უარყოფა და შთაბეჭდილებებამდე დაყვანა შეუძლებელია. როდესაც ჩვენ ვმსჯელობთ შთაბეჭდილებათა ინტენსივობის შესაბამისად ერთი და იმავე დროის სხვადასხვაგვარ ფსიქოლოგიურ განცდაზე, ფაქტობრივად საზომად ვიყენებთ განცდებისაგან დამოუკიდებელ დროს. სხვაგვარად არ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ერთი და იმავე დროის მონაკვეთი — დღე, ღამე თუ ეპოქა — ერთისთვის უფრო ხანგრძლივია, ვიდრე მეორისთვის. ფაქტობრივად ჩვენ ამით დროის ფსიქოლოგიურ განცდას ვზომავთ ობიექტურ დროზე ისე, როგორც სივრცის

---

1 К. Капанели. Страдание и творчество, Тифлис, 1917, გვ. 38.

ფსიქოლოგიურ განცდას ობიექტურ სივრცეზე. დაღლილ მოგზაურს ერთი კილომეტრი მონაკვეთი გაცილებით უფრო დიდი რომ ეჩვენება, ვიდრე დასვენებულს, ეს სივრცის ობიექტურობას კარგავს, არამედ ადასტურებს. ასეთივე კუთხით უნდა მივუდგეთ ყოფიერების კანტელისეულ თეორიასაც. ყოველი სუბიექტი რომ ქმნის ყოფიერების გარკვეულ სურათს და ყოფიერებისკენ უშუალოდ გასახედი ერთადერთი ფანჯარა გაგვაჩნია გრძნობის სახით, ეს არაა სადავო, მაგრამ უარსაყოფია ამის საფუძველზე გამოყვანილი დასკვნა — თითქოს ჩვენი გრძნობების მიღმა სამყარო არ არსებობდეს და მისი ყოფიერება ჩვენს გრძნობებზე იყოს დამოკიდებული, თითქოს სამყაროს მრავალფეროვნებას გრძნობათა მრავალფეროვნება განსაზღვრავდეს. სინამდვილეში კი პირიქითაა: ჩვენი გრძნობათა ორგანოები გარეგანი გამღიზიანებლების ზემოქმედებით ჩამოყალიბდნენ და იმდენი გრძნობის ორგანო გაგვაჩნია, რამდენი სახის გამღიზიანებელიცაა. როგორც ფოიერბახი აღნიშნავდა, „ჩვენ არა გვაქვს არავითარი საფუძველი, წარმოვიდგინოთ, რომ თუ ადამიანს მეტი გრძნობის ორგანოები ექნებოდა, იგი აგრეთვე ბუნების მეტ თვისებებსა თუ ნივთებს შეიცნობდა. გარესამყაროში, არაორგანულ ბუნებაში ისინი უფრო მეტი რაოდენობით როდი არსებობენ, ვიდრე ორგანულში. ადამიანს სწორედ იმდენი გრძნობა გააჩნია, რამდენიც აუცილებელია, რათა სამყარო მის მთლიანობაში, მის ერთობლიობაში აღიქვას“. ლენინი აჯამებს ფოიერბახის ამ დებულების შინაარსს და მნიშვნელობას, „ადამიანს რომ მეტი გრძნობები ჰქონდეს, აღმოაჩენდა თუ არა იგი მეტ საგნებს სამყაროში? არა“[1]. ვ. ი. ლენინის აზრით, ეს მნიშვნელოვანია აგნოსტიციზმის წინააღმდეგ. ასევე უმართებლოა კანტელის მტკიცება, რომ რადგან შთაბეჭდილებებით ვიცნობთ სამყაროს, — სამყარო შთაბეჭდილებათა ერთობლიობაა. მთავარია არა ის, არის თუ არა შთაბეჭდილება სამყაროს ცოდნის წყარო, არამედ ის, თუ რა ქმნის ამ შთაბეჭდილებებს. შთაბეჭდილებებით რომ აღვიქვამთ სამყაროს, ეს არ ნიშნავს, რომ აღსაქმელი არ არსებობს აღმქმელის გარეშე, ობიექტი სუბიექტის გარეშე. როდესაც ლაპარაკია იმაზე, რომ ობიექტი არ არსებობს სუბიექტის გარეშე შემეცნების პროცესში, ეს მართებულია, მაგრამ შემეცნებისაგან დამოუკიდებლად სუბიექტის გარეშე ობიექტი ყოველთვის არსებობს. ყოფიერება შემეცნებაში გვეძლევა. მაგრამ შემეცნება არ ქმნის მას. ლენინის

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 62—63.

არგუმენტები ემპირიოკრიტიციზმის წინააღმდეგ ძალაშია კაპანელის სენსუალისტური იდეალიზმის მიმართაც.

„ტანჯვა და შემოქმედებაში", ისე როგორც წერილებშიც, დომინანტურია ისტორიისა და ინდივიდის ყოფიერების საზრისის პრობლემა, მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემამ მე-20 საუკუნეში განსაკუთრებული სიმწვავე მაშინ მიიღო, როცა რეალური გახდა კულტურისა და კაცობრიობის მოსპობის შესაძლებლობა. კაპანელი ამ პრობლემას ისევე მწვავედ აყენებს, როგორც იგი დღეს დგას. კითხვა, რომელიც ევროპის ოცმა ცნობილმა მოაზროვნემ წამოაყენა იასპერსისეული ფორმულირებით — „სად ვიმყოფებით დღევანდელობაში?" — და მისი გაგრძელება, რომელიც მარქსისტებისა და არამარქსისტების შეხვედრისას დასვა — „საით მიდის კაცობრიობა?" — კაპანელის მიერ დაყენებულია ნახევარი საუკუნით ადრე, ამასვე გამოხატავს კაპანელის გამოსვლიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ პრობლემის ტოინბისეული ფორმულირება — „საზრისი თუ უსაზრისობა?" და კაპანელის მთელი ყურადღება გადატანილია ამ კითხვის პასუხზე. ამ კითხვის დაყენებითაც და მასზე პასუხითაც კაპანელის ნააზრევს უფრო სისტემატური სახე ეძლევა[1]. აქვე, საზრისის რელიგიური თეორიის გაკვრით ხსენებით და არსებითად მის განუხილველად, კაპანელი გადადის ისტორიის იდეალისტურ-რაციონალისტური გაგების კრიტიკაზე და ზოგჯერ მარქსის დამოწმებითაც ცდილობს უარყოს კაცობრიობის იდეალების განხორციელების შესაძლებლობა, ისტორიიდან აღებული მაგალითებით უჩვენოს ისტორიის უსაზრისობა. იგი ფიქრობს, რომ საერთოდ საზრისიანი ისტორიის ყოფიერება შეუძლებელია მარადიული ცვალებადობის გამო. ისტორიის საზრისს საკითხს იგი სამ ასპექტში განიხილავს: მიზნის, კანონზომიერებისა და პროგრესის განზომილებაში. საზრისი ამათ გარეშე არ არსებობს, ხოლო ეს განზომილებანი მიუთითებს მის შეუ-

---

[1] კაპანელს საკუთარი და მთლიანად შეძლება მივუსადაგოთ იასპერსის ნათქვამი ნიცშეზე: „ნიცშე არც სპეციალისტი მკვლევარია, რომელიც მეთოდურად იძიებს, არც მაკონსტრუქტიველი ისტორიის ფილოსოფოსი, რომელიც საზოგადოდ თავისთავთან მიმართებაში, თავისთავში ჩაკეტილ თეორიას განკითარებს, როგორც საკუთარ ისტორიულ ცნობიერებას გამოხატავს. არამედ იგი არის მეფერებელი (Seher), რომელიც გამოთქვამს იმას, რასაც ბრალდებულ ასპექტში ეკრეტს და რომელიც ამით დაკვირვებათა სიუხვეს მფლანგველურად გადმოისვრის". K. Jaspers, Nietzsche, Berlin, New York, 1974, S. 236.

ლებლობაზე ისტორიაში. ყოფიერების საზრისიანობის პირობა კაპანელის აზრით, პირველ რიგში მარადისობაა. მაგრამ ისტორია და მთელი სამყაროს ყოფიერება თავისში ატარებს არაყოფიერებას. თუ ორგანული სამყაროს საფუძველში დევს სიყვარული, რომლის გარეშე არავერი არაა, ეგეთი სიყვარული ორსახოვანია, არა პლატონისეული აზრით, — იდეალური და მიწიერი, — არამედ ორსახოვანია სიყვარულის ერთადერთი ფორმა — მიწიერი სიყვარული, რომელსაც საფუძვლად სქესობრივი ლტოლვა უდევს, და რომლის მიღწევით სიკვდილის შესაძლებლობაა მოცემული. სიკვდილი არაა ორსახოვანი, ის ახასიათებს ყოველივეს, მაშინ, როდესაც სიყვარული არსებობის საწყისია. მაგრამ მხოლოდ ისეთი საწყისი, რომელშიც თავიდანვე სიკვდილია მოცემული. ამიტომ სამყარო, რომელიც აგებულია ამ ორსახოვან სიყვარულზე, სამყარო, რომელშიც ბატონობს სიკვდილი, შეუძლებელია საზრისის მქონე იყოს. სამყარო კაპანელის წარმოდგენაში, ჰგავს ბრეიგელ უფროსის სურათს—„სიკვდილის როკვა", რომლის წინაშე საზრისს კარგავს ყოველივე — სიმდიდრეც. ახალგაზრდობაც, სიყვარულიც. კაპანელის აზრით, სამყაროს მხოლოდ მაშინ ექნებოდა საზრისი, ყოფიერება რომ იყოს მარადიული. ყოფიერება რომ არაა მარადიული, ეს ჯერ კიდევ ანტიკურობის „ბნელმა ფილოსოფოსმა" გააცნობიერა ჭეშმარიტად. სამყაროში ყველაფერი მიმდინარეობს და იცვლება, არაფერი არაა ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, ამიტომ არაფერს არ შეიძლება ჰქონდეს საზრისი — მარადისობის წინაშე არსებობა უსაზრისოა, ყოფიერების საზრისად არარას გამოცხადება. რომელიც ჰაიდეგერის ერთ-ერთი მოტივია, თავს იჩენს კაპანელთანაც.

კაპანელი აანალიზებს საზრისიანობასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას, აფიქსირებს, რომ საზრისი საყოველთაო მსჯელობის საგანი გახდა: ლაპარაკობენ „დიად მიზანზე", იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს და რა არა. სახავენ გეგმებს — „რა ვაკეთოთ?", ცდილობენ ხელი შეუწყონ პროგრესს და ამ გზით გაასაზრისიანონ სამყარო, მაგრამ პროგრესიც და მისი განხორციელების გზებიც, ისე როგორც დიადი მიზნები, საყოველთაო ჰარმონიის ჩათვლით, უაზრისათა გრიალია. ყოველი ნაბიჯი, რომელიც კაცობრიობის წარმოდგენით ასრულებს სამყაროს საზრისთან, გარეგნულად სრულყოფილად გამოიყურება. შინაგანად კი ტრაგიკულია. კაპანელი განსაკუთრებით უარყოფითად ეკიდება პროგრესის ცნებას: „საყოველთაო პროგრესის ცნების ისტორია აღსავსეა წინააღმდეგობებით და მოკლებულია ობიექტურ საზრისს". ,,ამიტომ

ფიქრობს კაპანელი, რომ პროგრესი უსაზრისო და წინააღმდეგობრივია? მისი მოსაზრებები ასე გამოიყურება: პროგრესი უნდა იყოს სწორხაზობრივი — ყოველი წინა შემდგომზე დაბალი. განვითარება ხდება ბუნების მარადიულობის მიზანშეწონილობისა და ჰარმონიის კანონების შესაბამისად. მაგრამ ასეთი მიზანშეწონილობა არ არსებობს ბუნებაში. სრვანაირად როგორ უნდა აეხსნათ მესამეულ პერიოდში ანთროპოიდების არსებობა, რომლებიც გაცილებით უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე ხოჭოები და მორიელები, მაგრამ ეს უკანასკნელნი დარჩნენ, ანთროპოიდები კი გადაშენდნენ. დღეს ყველაზე განვითარებული არსება ადამიანი, თითქოს პროგრესის მაჩვენებელი უნდა იყოს, მაგრამ მის შემდეგ წარმოიშვნენ ჭიები, ზოგიერთი სახის მცოცავები, ჰონოკოკები და სხვა მიკრობები. მაშასადამე, უკანასკნელი ქმნილება ყოფილა პარაზიტები და არა ადამიანი და საიდან უნდა ჰქონდეს ცხოვრებას საყოველთაო სიკეთისა და გონიერი იდეალების სახე. კაპანელი განცვიფრებას გამოთქვამს, რომ ადამიანებს ბრმად სჯერათ ძველი მორალის ტრადიციული პრინციპებისა და არ ცდილობენ სინამდვილეს თვალებში შეხედონ. ბუნებაში სიცოცხლეს განსაზღვრავს არა გონიერი საწყისები, არამედ ბრძოლა არსებობისათვის და რჩებიან უფრო ძლიერნი და კარგად შეგუებულნი არსებობას. ეს პროცესი იმდენად დისჰარმონიული და ირაციონალურია, რომ მასში აბსოლუტურის პოვნა შეუძლებელია. პროგრესის საწინააღმდეგოა შემთხვევითობაც. პროგრესი რომ იყოს, გონების კანონები და პრინციპები უნდა განსაზღვრავდეს მოვლენათა მსვლელობას, სინამდვილეში კი „კანონები და პრინციპები არ განსაზღვრავენ სამყაროს ევოლუციის სულს. სამყაროს მოძრაობის არც ერთი მომენტი არ განისაზღვრება წინასწარ ადამიანური გონებით“ ისე, როგორც ოკეანეში თბილი და ცივი დინების მიმართულება არ განისაზღვრება მასში მყოფი ვეშაპებით, ისტორიაში მოვლენათა მსვლელობა არაა განსაზღვრული ადამიანის ნებელობით. ადამიანთა იდეალები ისეთივე სულელური, სასაცილო და უაზროა, როგორც თვით ადამიანის სიცოცხლე. კაპანელის მტკიცებით სოციალიზმის იდეალები, თუმცა ყველაზე ნათელი და ადამიანურია, ისინიც ისეთივე უტოპიურია, როგორც რელიგიური იდეალები და არ არსებობს გზა, რომლითაც მათი განხორციელება მოხდება. ეს იმიტომ, რომ კაპანელის აზრით, სოციალური, ისე როგორც მთელი სამყარო, შემთხვევითობათა არენას წარმოადგენს, გარკვეული მიმართულების გარეშე არსებობს, სადაც დასტურს არ მოსდევს უარყოფა და უარყოფას —

დასტური. კაპანელი აკრიტიკებს სოციალ-დემოკრატებს, შემთხვევითობის როლის გაუთვალისწინებლობისათვის და იმოწმებს მარქსს, რომელსაც გენიალობამ ათქმევინა კუგელმანისადმი წერილში: „მსოფლიო ისტორიის გაკეთება ძალიან მოსახერხებელი იქნებოდა, ბრძოლას რომ მხოლოდ შეუმცდარი, ხელშემწყობი შანსების პირობით იწყებდნენ. მეორე მხრივ, ისტორიას ძალიან მისტიკური ხასიათი ექნებოდა, შემთხვევითობანი რომ არავითარ როლს არ თამაშობდეს"[1]. კაპანელის აზრით, ამით უარყოფილია ისტორიული კანონზომიერება და ადამიანთა როლიც ისტორიაში. ფაქტობრივად აქ მარქსი უარყოფს ისტორიის რელიგიურ თეორიას, რომელიც განგების ძალას უკავშირებს ისტორიას და ადამიანებს ართმევს უფლებას, აკეთონ ისტორია. მარქსის დებულება უარყოფს სწორედ იმათ მოსაზრებებს, ვისი აზრითაც ისტორიული პროგრესი უნდა ნიშნავდეს მხოლოდ წინსვლას, ისტორიული კანონზომიერება კი — მხოლოდ აუცილებლობის არსებობას (ასე ფიქრობს კაპანელიც). მარქსისთვის ისტორიული პროგრესი ზიგზაგისებურია, სპირალისებურია, სადაც საბოლოო ანგარიშში გზას იკვლევს წინსვლის ტენდენცია და რომელიც აღსავსეა შემთხვევითობებით. ისინი „განვითარების საერთო მსვლელობაში შედიან და მათ კვლავ სხვა შემთხვევითობანი აწონასწორებენ"[2]. მარქსის აზრით, სწორედ ეს შემთხვევითობანი ხდიან ისტორიის მსვლელობას ადამიანთა ხასიათებზე დამოკიდებულად. ამდენად მარქსის მოსაზრებებში არ არის არც ერთი ის დებულება, რომელთაც ებრძვის კაპანელი, შემდეგში — შტამლერი თუ მარქსის სხვა კრიტიკოსები.

კაპანელის აზრით, სოციალიზმის შესაძლებლობა დამოკიდებულია სოციალური ინსტინქტის განვითარებაზე, მაგრამ ადამიანებში, თუმცა ისინი სოციალური არსებანი არიან, სოციალური ინსტინქტი მხოლოდ ჩანასახოვანი ფორმითაა. ისტორიული საზრისის მომხრენი ისტორიაზე ისეთსავე მანიპულაციას ახდენენ, როგორსაც ძველი ბერძნული მითოლოგიის გმირი დამასტე, რომლის ქოხში დადგმული სარეცელი ხდებოდა საზომი ყველა მასზე მოხვედრილი ადამიანისათვის — სარეცელზე უფრო გრძელს სარეცლის ზომაზე გადაკვეთდა, ხოლო უფრო მოკლეს — ჭიმავდა. პროკრუსტეს სარეცლად წოდებული ეს საზომი, კაპა-

---

[1] მ ა რ ქ ს ი, წერილი კუგელმანს, 1871 წლის 17 აპრილი, კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩ. ნაწერები, ტ. 2, გვ. 562.

[2] იქვე.

ნელის აზრით, გამოყენებულია პროგრესის მომხრეთა მიერ — ისინი ისტორიულ ფაქტებს, რომლებიც არ ეტევა საზრისიანი ისტორიის ბალეულ ჩარჩოში, უკუაგდებენ და იმას, რაც აკლია ისტორიას საზრისიანი მდინარეობისათვის, ოხზაეენ. ასე იქცევა ისტორია სიცრუის არეკნად. ძნელი მისახვედრი არაა, რომ აქ კაპანელი აყენებს ამ პერიოდის პოპულარული მოაზროვნის ოეოდორ ლესინგის ანალოგიურ არგუმენტებს ისტორიის საზრისის წინააღმდეგ. ლესინგის შრომაში — „ისტორია როგორც უსაზრისოს გასაზრისიანება" — მტკიცდება, რომ თავისთავად ისტორიას არავითარი საზრისი არ გააჩნია, მას ასაზრისიანებენ არა ისტორიული პიროვნებები, არამედ ისტორიკოსები. „ისტორია გადაშლება ჩვენ წინ, როგორც სავსებით უსაზრისო. თავისთავად ისტორიული მოვლენები „მკვდარი საკუჭნაოა", რომელსაც „აყვავებულ ბაღად" მხოლოდ ადამიანის სულის ფანტაზია გადააქცევს, რომელიც უსაზრისო ისტორიას აძლევს სულიერ საზრისს და მიზანს"[1]. თ. ლესინგიც და კაპანელიც ერთნაირად ფიქრობენ, რომ ისტორიული სიცრუე ადამიანებს არ აწუხებთ, რომ სამყაროს უყვარს სიცრუე; კიდევ მეტი, როცა ადამიანებს ატყუებენ, ისინი კმაყოფილი არიან. კაპანელი იმეორებს რუსოს თეზისს — რომ კულტურის განვითარება არ აუმჯობესებს კაცობრიობას: „პროგრესი არაა არც მორალის, არც ცნობიერების სფეროში. პირიქით, რაც უფრო მეტი ცოდნა აქვს ადამიანს, და რაც უფრო ფართოა მის წინაშე გადაშლილი ცხოვრებისეული წინააღმდეგობანი, მით უფრო მეტადაა მოშლილი პიროვნების ზნეობრივი ბუნება"[2]. კაპანელი ამბობს, რომ ხშირად მეტად განათლებული და კულტურული ადამიანები უფრო საშიშია საზოგადოებისათვის, ვიდრე რომელიმე ველური. ადამიანურ სამყაროს არა აქვს მყუდრო ნავსაყუდელი, სადაც ჩაუშვებდა ადამიანის ღვთიური ბუნების გადამრჩენ ღუზას. „არაა მიზანი, არაა საზრისი, იდეალი მატყუარაა". ევროპის მუზეუმები და ბიბლიოთეკები, ტაძრები, პანთეონები და ბაზილიკები, ათასწლიანი სიბრძნის გამომხატველნი, საზრისს და პროგრესს კი არ უჩვენებენ, არამედ ადამიანის ცხოვრების უსაზრისობას, ამაოდ გაწეულ შრომას, რასაც ამდენი თაობა შეეწირა და რაც მიცვალებულის ჩონჩხებს მოგვაგონებს. ყველაფერი კვდება და გარდამავალია მარადისობის წი-

---

[1] თ. ლ ე ს ი ნ გ ი ს შესახებ, იხ. ე. კ ო დ უ ა. ისტორიის საზრისის საკითხისათვის, თბილისი, 1977, გვ. 224—257.

[2] კ. კ ა პ ა ნ ე ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 125.

ნაშე. ადამიანის ცხოვრება ჰგავს მეძებარი ძაღლის ნადირობას — ის ეძებს და დაღლილობისაკან სულს ძლივს ითქვამს, მაგრამ არც მ.ს მიერ მიკვლეული და დატოვებული კვალი, არც გზა, რომელზეც ის მირბის, მისით აღნიშნული არაა. „ადამიანის ყოფიერებას აბრუნებს უმოწყალო ბედისწერა, ადამიანი საცოდავი ეფემერიდია (ფარვანაა) არარაობითი სათამაშოა დროისა და შიშ-ს ხელში, სამყაროს მოვლენათა შემთხვევითობების და თვითნებურობის ატმოსფეროში. ადამიანი მტვერია დედამიწაზე, წერტილია უსასრულობაში"[1]. ადამიანის ცხოვრებაში არაფერი არაა უკვდავი — ყველაფერს წალეკავს მარადისობა. ისე როგორც ყველა მდინარე ზღვას უერთდება და ზღვა არ ივსება — ისევ უბრუნდება მდინარის სათავეს მისგან აორთქლილი წყლები და ისევ იწყება მდინარება, ისე როგორც მზე ამოდის და ჩადის, და ისევ ამოდის, ქარი ქრის და ისევ უბრუნდება თავის ამოვარდნის წერტილს და კვლავ ქრის, ასეა ისტორიაშიც მარადიული წრებრუნვა. ასეთია ჩვენი ყოფიერება. მართალი იყო ეკლესიასტე, როცა მას ამაოება უწოდა. ყველაფერი ამაოებაა. ადამიანები მოდიან და მიდიან. დედამიწა კი საუკუნეობით არსებობს, მისი შემოქმედი ძალები მტვერზე და ნაგავზე აშენებენ ახალ აყვავებულ სამყაროს, მაგრამ ეს აყვავებული სამყარო კვლავ მტვრად და ნაგვად იქცევა და ასეა მარად. კაპანელი სვამს კითხვას: განა ღირს, ამის გაცნობიერების შემდეგ, დავკარგოთ თუნდაც წუთიერი სიამოვნება, ტანჯვით მოპოვებული, ტოლსტოის, კანტის, სოკრატეს თუ სხვათა მორალური პრინციპების გამო? „რატომ უნდა გვაწუხებდეს იმედები და უეჭნლობა, თუ ცხოვრებაში ყველაფერი ცვალებადია და არარაობაა, თუ არაა მიზანი და საზრისი, თუ ყველაფერი თანდათან უერთდება დავიწყების ცივ სამყაროს?"[2]. იქნებ კაცობრიობის ისტორიული ცნობიერება, მისი მეხსიერება შემოინახავს ჩვენს საქმიანობას და ამიტომ ღირდეს საზრისის და პროგრესის აღიარება? მაგრამ კაპანელი ამაზეც უარყოფითად უპასუხებს, რადგან არაა მარადიული მეხსიერება. დავიწყების ბურუსი ადრე თუ გვიან ფარავს ყველაფერს და ისტორიულ ცნობიერებასაც.

კაპანელის პესიმიზმი და ნიჰილიზმი კულტურის, კაცობრიობის და საზრისის მიმართ მხატვრული სახეების უწყვეტ ნაკადშია მოქცეული. მისთვის სამყარო სიცრუის და დანაშაულის თავშესაფარია. იგი თავი-

---

[1] კ. კ ა პ ა ნ ე ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 126.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 127.

სუბურად იმეორებს ივანე კარამაზოვის სიტყვებს — რომ სამყაროს ყველა პრინციპი ადამიანის ერთ ცრემლადაც არ ღირს. კულტურის ძირითადი ნიშანი მის ჰუმანურობასა და წინსვლაში კი არაა, არამედ ფარისევლობაში. სამყარო, კაპანელის წარმოდგენაში გოლსუორთის „ფარისეველთა კუნძულის“ ანალოგიურია. ევანგელედან დაწყებული, ამბობს კაპანელი, თანამედროვე მეცნიერებისა და მორალის წარმომადგენლებამდე, ყველა, ვინც კულტურის ნაგებობას აშენებს, ფარისეველია: ადამიანები მშიშარანი არიან — ეშინიათ იყონ უზნეონი და აიძულებენ საკუთარ თავს, დაექვემდებარონ ზნეობას. ფაქტობრივად ადამიანში არავითარი ზნეობრივი პროგრესი არ მომხდარა. სოკრატესა და კანტის სკოლაგავლილი ადამიანი ისეთივეა, როგორიც იყო ტაციტისა და ჰეროდოტეს მოღვაწეობის საუკუნეებში. „კაცობრიობა გაჰყვირის სიკეთეზე, არსებობს კი ეშმაკობით, ცოდვებითა და დაცემულობით“. სამყაროში არ არსებობს ადამიანისთვის სულის დამამშვიდებელი რაიმე საშუალება. მეგობრობა, სიყვარული, თანაგრძნობა — ყველაფერი სიცრუეა. „ა დ ა მ ი ა ნ ი მ ა რ ტ ო ს უ ლ ი ა“, ეუნია, რომელიც მოუცავს სამყაროს სიცივეს და გონის სიცარიელეს. კაპანელს არ სწამს, რომ ყალბი და ფარისევლობით სავსე სამყაროს, ამ ავგიას საჯინიბის, გაწმენდა შეეძლოს რაიმე სოციალურ ძალას, რევოლუციის ჩათვლით. ადამიანები ცხოვრობენ ილუზიებით და მათ მიერ გამოგონილი ზღაპრებით. ყველაფერი, რასაც ისინი ქმნიან — კულტურის ძეგლები და პარლამენტები, პრინციპები და კანონები — ძველდება და ადამიანები ანგრევენ ან ტოვებენ მათ. შემდეგ იწყებენ თავიდან ახლად შენებას, კვლავ ანგრევენ და ახალს აშენებენ და ასე ხდება უსასრულოდ. ესაა „სიზიფოსის შრომა, სადაა საზრისი? ვინ გააერთიანებს თავის სულში უსასრულობის ყველა ძაფს? ვინ იტყვის მარადიულ ყოვლისმომცველ სიმართლეს, ჭეშმარიტებას, რომელიც გამონატავდა ცხოვრების მთელ სისრულეს და მრავალფეროვნებას?“[1]. არ არის ამის მსგავსი არაფერი და არც შეიძლება იყოს, რადგან ყველაფერს წარმავლობის და ხრწნის ბეჭედი აზის. კულტურისა და ისტორიის საზრისის, ისე როგორც საერთოდ იდეალებისა და პრინციპების, სამყარო კაპანელმა სანაგვეში მოათავსა, მაგრამ შეიძლება თუ არა ამით გაეცეს პასუხი ყველა კითხვას? კაპანელის აზროვნება ნიჰილისტური კულტურისა და ჰუმანურობის, ნიჰილისტური პრინციპებისა და სოციალურობის მიმართ მაინც

[1] კ. კ ა პ ა ნ ე ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 136.

ეძებს ადამიანისთვის რაღაც გამართლებას, მაგრამ სოციალურის გვერდის ავლით—სოციალურის გარდა, არის ინდივიდუალური ყოფიერება, კაცობრიობის გარდა, არსებობს ინდივიდი „მე" და საკითხი უნდა დაისვას: არის თუ არა რაიმე საზრისიანი „მე"-სთვის. თუ მისი ყოფიერებაც უსაზრისოა, ხომ არ უნდა დამთავრდეს ყველაფერი კაცობრიობის და „მე"-ს თვითმკვლელობით? ნიცშეს მოძღვრებით შეიარაღებული კაპანელი ცდილობს გადალახოს ბოროტისა და კეთილის სამყარო. მის მიღმა ეძებოს საწყისი, რომელიც ჰუმანიზმისა და კოლექტივიზმის არენიდან კი არ ამოვა, არამედ ცხოველური, ინსტინქტური და ინდივიდუალური საწყისებიდან, რომელიც გააშიშვლებს ადამიანის მორალურ და მრავალ სხვა პრინციპთა საფარით შემოსილ სხეულს, და წარმოაჩენს მას თავდაპირველ ორგიულ-დიონისური ღამისეული კულტით და ბუნებით.

ყველაფერს თავისი ახსნა აქვს და კაპანელის ესოდენ ძლიერ გატაცებას ნიცშეს ნიჰილიზმით და მის მიერ გაკვალული გზით სვლასაც თავისი ახსნა უნდა ჰქონდეს. სიცოცხლეში აუღიარებელი გერმანელი მოაზროვნე, რომლის არც ერთი წიგნი არ გაყიდულა მის სიცოცხლეში, 80-იანი წლების დასასრულიდან, და განსაკუთრებით 90-იანი წლებიდან, იმდენად ავტორიტეტული და მოდური გახდა, რომ მის გავლენას განიცდიდა შემოქმედებითი და მოაზროვნე ინტელიგენციის თითქმის ყველა სფეროს წარმომადგენელი — ფილოსოფოსები და მწერლები, პოეტები და ხელოვნების მუშაკები. მისი გავლენა გასცდა ევროპის კონტინენტს. მან ფეხი მოიკიდა რუსეთშიც. არა მარტო ფილოსოფოსებს შორის, არამედ პოეტებშიც. სამართლიანად აღნიშნავს ავერინცევი რუსული სიმბოლიზმის მამამთავრის ვიაჩესლავ ივანოვის გატაცებას ნიცშეთი. ეს იყო 90-იანი წლები, რომელმაც სულიერი ატმოსფერო შეცვალა: „მისგან იწყება მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელთა შემდეგ ყველაფერი იცვლება. პირველ რიგში ვიაჩესლავ ივანოვი კითხულობს ფრიდრიხ ნიცშეს, რომელიც ცნობილი გახდა და ეს კითხვა მას თავბრუს ახვევს"[1]. „თავბრუსდახვევა" — ავერინცევის მიერ გამოყენებული ეს სიტყვა — გამოხატავს კაპანელის დამოკიდებულებასაც ნიცშესადმი. მას თავბრუ დაახვია ნიცშემ ოდნავ გვიანდელ პერიოდში, ვიდრე ვიაჩესლავ ივანოვს. ეს სულაც არ უნდა იყოს გა-

---

[1] С. С. Аверинцев, Вступительная статья к книге Вячеслава Иванова стихотворения и поэмы, Ленинград, 1976, стр. 14.

საკვირო, თუ მოვლენათა შემდეგომ მსვლელობას შეეხედავთ. ნიცშეს ტროუმფული სვლა საუბროვნო სამყაროში გამოიხატა ექსისტენციალიზმის დამოკიდებულებითაც ნიცშესადმი. ის ამ მიმდინარეობის თავისებური სულიერი მამაა, რომელშაც ექსისტენციალისტების აზროვნების საკადში ბევრი რამ ცასსაზღვრა. რადგან კაპანელის აზროვნების გზაც „სიცოცხლის ფილოსოფიასა" გადიოდა, სოლო ამ მიმართულების ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ნიცშე იყო, არ ეწადა გვიკვირდეს, რომ კაპანელმა უკრიტიკოდ აითვისა მისი მასწავლებლის შეხედულებები და ამ გზით ცდილობდა ყველა პრობლემის გადაწყვეტას. ასეთი იყო მის მიერ ყოფიერების, შემეცნების, კულტურისა და ისტორიის საზრისზე გაცემული პასუხები, ასეთია მის მიერ ინდივიდუალიზმის და ესთეტიზმის პრინციპების გააზრება და განვითარება, ცდა — დიონისური საწყისით განსაზღვროს ადამიანის ყოფიერების საზრისი, ეთიკურ და სოციალურ ღირებულებათა მიმართ ნიჰილიზმის ვითარებაში ადამიანი დაუქვემდებაროს მხოლოდ და მხოლოდ ესთეტიკურ ღირებულებას.

ტანჯვა, რომელიც ასულიერებს სამყაროს ყოფიერებას, ამ გზით ქმნის ღირებულებებსაც: ესთეტიკურს, ეთიკურს და ფილოსოფიურს. მისი აზრით, ესთეტიკური ყველაზე მაღალი ღირებულებაა, რომლის გარეშეც არ იქნებოდა არც ეთიკური და არც ფილოსოფიური ღირებულებანი — ეს იმიტომ, რომ ადამიანის გაჩენისთანავე მას თან მოჰყვა განცხრომის, სიამოვნების იდეა, რომელიც ცხოვრების მიზნად იქცა. მორალური ღირებულებანი პირობითია — მათ არ შეიძლება ჰქონდეთ საყოველთაო მნიშვნელობა, ისინი არ განსაზღვრავენ ცხოვრებას. ცხოვრება ყველა მის მიმართებაში, დაწყებული ყოველდღიურობით და დამთავრებული კულტურის ყველაზე მაღალი საფეხურებით, ექვემდებარება მხოლოდ ერთს — ესთეტიკურ ღირებულებას. ინდივიდი თავისი ეგოისტური მისწრაფებების შესაბამისად იმას არჩევს, რაც მას სიამოვნებას ანიჭებს. მშობელი შვილებში ლამაზს სცემს ყველაზე მეტ პატივს. მშობლებს უფრო ის შვილი უყვართ, რომელსაც ბევრი ფული შემოაქვს და ამით სიამოვნებას ანიჭებს მათ. საერთოდ, „ესთეტიკური მოვლენები ინდივიდუალურ და ოჯახურ ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობენ... სიყვარული, რომლითაც სარგებლობს ცალკეული პიროვნება ოჯახსა ან საზოგადოებაში, განიზომება იმ საამოვნებით, რომელსაც სოციალური ინდივიდუალობის

ეგოიზმი მოითხოვს ამ პიროვნებისაგან"[1]. კაპანელის აზრით, სხვაგვარად შეუძლებელია, რადგან ჩვენი ყოფიერება ინდივიდუალობით განსაზღვრება. რომელსაც ინდივიდუალური ინტერესებიერება განაპირობებს. ამიტომ „ყოველი შესაძლებლობა მხოლოდ მაშინაა მნიშვნელობის მქონე, როდესაც ის ესთეტიკური ღირებულება ხდება, რომელიც მიღწევადია აღქმის, განცდის და შეგრძნებისათვის"[2]. კაპანელი უარყოფს მორალურ სორეკს და პრინციპებისაგან თავისუფალი ყოფიერებისაკენ მოუწოდებს ადამიანს, თუმცა, ამავე დროს, ცდილობს ესთეტიკური ღირებულებანი დასახოს განმსაზღვრელად და ადამიანის ცხოვრება თუ ყოფიერება მიიჩნიოს ესთეტიკურ განცდათა სამეფოდ, რომელშიც ყველაზე მნიშვნელოვანია ბიოლოგიური სიამოვნებანი. აქედან გამოყავს მას თანამედროვე მორალის უარყოფის მოტივებიც. მისი აზრით, ეს მორალი ინდივიდის სოციალურისადმი დაქვემდებარებისა და ინდივიდუალობის გამოვლენის ჩახშობის გზაა. კიდევ მეტი, ინდივიდი უფასურდება სოციალური ღირებულებებისადმი დაქვემდებარებით. თანამედროვე კულტურის მორალი, რომელიც მას ესახება სოკრატეს და კანტის მორალურ ნორმებად, ავტორს არსებითად ანტიქრისტიანულად მიაჩნია, რადგან ქრისტიანობისთვის პიროვნებას თავისთავში აქვს ღირებულება და ეს ღირებულება უმაღლესია, ღვთიურია. ის არ შეიძლება გახდეს რაიმე სახის ასოციაციის მსხვერპლი. სოკრატე კი საზოგადოებას, კანონს შეეწირა მსხვერპლად. კანონს, რომელიც გულგრილია ინდივიდუალობის ღირებულებისა და მნიშვნელობის მიმართ.

კაპანელის ნაზრევში ძირითადი ადგილი ეთმობა ინდივიდის თავისუფლების დაკარგვის პრობლემას — ადამიანის ინდივიდუალური ყოფიერების სოციალურში არაბუნებრივი განხორციელების ანალიზს. მისი განხილვის თემა, „სამყაროს მიღება-არმიღების" გვერდით, არის „ინდივიდისა და საზოგადოების" მიმართება, მისთვის სოციალური არა მარტო უსაზრისოა, არამედ ინდივიდუალურის მტერია ყველა ფორმაში. ყოველი სოციალური შთანთქავს ინდივიდუალურს, აკარგვინებს მას საკუთარ სახეს. ეს პირველყოვლისა გამოვლინდება სოციალურის უმარტივეს ფორმაში — ოჯახში. ოჯახს საფუძვლად უდევს ადამიანთა ურთიერთლტოლვა სქესობრივი ინსტინქტის საფუძველზე, მაგრამ ოჯახის შექმნის შემდეგ ორივე ინდივიდი ოჯახური ურთიერთობის მონა

---

[1] კ ა პ ა ნ ე ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

[2] ი ქ ვ ე. გვ. 121.

ხდება ისე, როგორც შვილებიც ოჯახის ტრადიციებისა და კეთილდღეობის დაცვას სწირავენ თავიანთ ინდივიდუალობას. ოჯახში ცალკეული პიროვნების თავისუფლება, მიდრეკილებანი, გემოვნება ყველაფერი დამოკიდებულია კოლექტიურ ასოციაციაზე. „იწყება ინდივიდუალური დამოკიდებულების ატროფია, ისპობა პირადი ცხოვრების თავისუფლება"[1]. კაპანელის აზრით, ძველი ქვეყნების ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ქალიშვილები გათხოვებამდე თავისუფლად ეძლეოდნენ სქესობრივ ცხოვრებას ტაძარში და შემდეგ ამ გზით ნაშოვნ ფულს უმატებდნენ თავიანთ მზითევს, ფაქტობრივად იყო შურისძიება ქალის ინდივიდუალობის დამონებისათვის, რომელიც ოჯახურ ყოფაში შესვლით იწყებოდა. კულტურულ სამყაროში ასეთი შურისძიებაა კარნავალებზე გამოვლენილი თავისუფლება და თანამედროვე ცივილიზაციაში არსებული, ოჯახური ტრადიციების საწინააღმდეგო, ფარული სქესობრივი თავისუფლება. კაპანელის აზრით, ის, რაც ოიდიპოსის კომპლექსის სახელითაა ცნობილი, უფრო ძველი ისტორიის მქონეა. ძველი ბერძნული მითოლოგია ღმერთების სამყაროში, სქესობრივ მიდრეკილებათა საფუძველზე, აფიქსირებს შვილის მამისადმი სიძულვილს და დედა-ღმერთის შერთვის ნიმუშებს. ასეთი იყო კრონოსის მიერ მამის კასტრირება და შვილების მოკვლა, გადარჩა მხოლოდ ზევსი, რომელმაც დედაზე დაქორწინების მიზნით მამა დაასაჭურისა. კაპანელის აზრით, მთელი ისტორიის მანძილზე ინდივიდუალობისათვის ბრძოლა ფსიქოლოგიურად უკავშირდება სამყაროს სექსუალიზებას, შვილის აჯანყებაში მამის წინააღმდეგ ვლინდება ყოველგვარი იმპერატივების უარმყოფელი სქესობრივი ლტოლვა თავდაპირველ სიშიშვლეში. სქესობრივი მეტოქეობა იმავე ძალით იჩენს თავს დედა-შვილის დამოკიდებულებაში, როგორც სიყვარულის დედაშვილურ ფორმაში. სოფოკლეს დრამა მთელი სისრულით ავლენს „ე რ ო ს ი ს ს ტ ი ქ ი ი ს ბ ა ტ ო ნ ო ბ ა ს ყ ო ფ ი თ ი მ ო რ ა ლ ი ს ს უ ლ ი ე რ რ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ზ ე". აქ ვლინდება კონფლიქტი მორალსა და სინამდვილის ესთეტიკურ აღქმას შორის. ცხოვრების სიმართლე სინამდვილეს აღიქვამს როგორც ესთეტიკურ ფენომენს და მისთვის უმნიშვნელოა ადამიანთა მიერ დაწესებული ყოფითი მორალი. ეს ნიშნავს, ინდივიდუალურისა და საზოგადოებრივის შეუთავსებლობას. ყოფიერების ტრაგიზმია ის, რომ „ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ ო ბ ი ს ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა სა-

[1] კ. კ ა პ ა ნ ე ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 110.

ზოგადოებრივ ცხოვრებაში იწვევს შეძრწუნებასა და შავ ჭირს. საზოგადოებრივი ცხოვრების ბედნიერება კი საჭიროებს ინდივიდუალობის ტანჯვასა და დაღუპვას"[1]. ამ აზრით, ოჯახი ბოროტებაა — სასარგებლო სოციალური ევოლუციისათვის, მაგრამ დამღუპველი ინდივიდუალური დამოუკიდებლობისათვის. ავტორი ამით ხსნის ძველი ხალხების პატივისცემას ჰეტერებისა და კურტიზანების მიმართ. ანალოგიურია თანამედროვე საფრანგეთში პროსტიტუციისადმი დამოკიდებულება — მას მიაჩნია, რომ მომავალში იგი დაძლევს ოჯახის კულტს.

კაპანელი ყველგან ხედავს ინდივიდუალიზმის ბრძოლას კოლექტივიზმთან და საზოგადოების ისტორია მიაჩნია არა მარტო კლასთა ბრძოლის არენად, არამედ ტანჯული ინდივიდუალობის ბრძოლადაც ადამიანთა ლოგიკისა და ცრურწმენების წინააღმდეგ. მისი აზრით, „სოციალიზმი წარმოადგენს მეტად ნაყოფიერ ნიადაგს თავისუფალი ინდივიდუალური ნებელობის შემოქმედებისათვის, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ინდივიდუალიზმის ბრძოლა კოლექტივიზმთან გარდუვალია, რადგან ადამიანის პიროვნება უნდა იყოს თავისუფალი, დამოუკიდებელი და მისთვის უმრავლესობის კანონი არ უნდა იყოს სავალდებულო"[2]. ადამიანის პიროვნება სამყაროს ევოლუციის ყველაზე მაღალი ღირებულებაა, ის განუმეორებელია და ამიტომ მის ერთჯერადობაში უნდა იყოს სრულყოფილი; საზოგადოება და გვარი გამეორებადია. კაპანელს გაუგებრად მიაჩნია, რატომ უნდა დაექვემდებაროს პიროვნება საზოგადოებას, რატომ უნდა დავაყენოთ საზოგადოებრივი ეგოიზმი პიროვნებაზე უფრო მაღლა: თუ ეგოიზმი ბოროტებაა, პიროვნული ეგოიზმი განა უფრო ნაკლები ბოროტება არ იქნება, ვიდრე საზოგადოებრივი? — კითხულობს იგი. მას სძულს სოციალურ ერთობათა ფორმები და სოციალური ინსტიტუტები. მისი აზრით, საზოგადოება ბრბოა, რომელიც ერთნაირად რეაგირებს პიროვნების დაცემასა და აღზევებაზე, ის ერთნაირად უკრავს ტაშს მაშინაც, როდესაც ტახტზე აჰყავთ პიროვნება, და მაშინაც, როდესაც — გოლგოთაზე: ის განურჩევლად უდგება პიროვნებას და საერთოდ ყოველგვარ ღირებულებას: ის სილამაზის და სრულყოფილების, ჭეშმარიტებისა და სინათლის,

---

[1] კ. კაპანელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 113.
[2] იქვე, გვ. 118.

ქარმოხიისა და იმედის ჯალათია და მეგობრობს ქაოსთან და პირფერობასთან. ბრბოში კაპანელი გულისხმობს არა მარტო გონებრივად შეზღუდულთ, არამედ განათლებულებსაც, პარლამენტებსაც და პარტიებსაც, რომლებიც ხშირად უუკვიანესი და განათლებული ადამიანებისაგან შედგებიან. მისთვის ერთადერთი დადებითი ფენომენი „მე"-ა. კაპანელი ბერდიაევის დარად იმ პერიოდში მისი ახალგამოსული წიგნის „შემოქმედების საზრისის" მიხედვით სამყაროს შემოქმედად და ერთადერთ ღირებულებად აცხადებს „მე"-ს. ცხოვრების ერთადერთი, პირველადი პრინციპი „მე"-ა. მის გარეთ არაფერს აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, არაფერს შეუძლია განსაზღვროს ადამიანის ცხოვრება, მისი იდეალი, სურვილები და მიზნები. ნივთებს არა აქვს შემოქმედებითი მნიშვნელობა, სამყარო მხოლოდ იმისთვისაა გამოსადეგი, რომ იყოს დიდი ადამიანური „მე"-ს შემოქმედებით ლტოლვათა განხორციელების საშუალება. „მე" სამყაროს შემოქმედებითი და თვითმყოფადი საწყისია. ამ პრინციპებს კაპანელი ბერდიაევთან ერთად იზიარებს, მაგრამ ემიჯნება მას ღმერთის რწმენაში. ბერდიაევმა ღმერთი დააყენა ინდივიდზე მაღლა. საერთოდ კაპანელი უკმაყოფილოა ბერდიაევის მიერ რწმენის დაშვებით. კაპანელის საბოლოო სიტყვა აბსოლუტური ინდივიდუალიზმია, „მე"-ს განუსაზღვრელი თავისუფლებაა და „მე"-სთვის ყოფიერების ყოველ მომენტში ტკბობისა და განცხრომის ქადაგებაა. „მე" არ უნდა იყოს შეზღუდული არც პრინციპებით და არც ღმერთით, მაშინ შეძლებს თავის თავდაპირველი ცხოველური მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას და ინსტინქტების განვითარებას.

1923 წელს გამოვიდა კაპანელის მეორე მონოგრაფია — „სული და იდეა". ეს იყო მისი პირველი ფილოსოფიური შრომა ქართულ ენაზე. განსხვავებით პირველი მონოგრაფიისაგან, ავტორი ამ შრომაში ცდილობს უფრო ჩამოყალიბებული და დამოუკიდებელი სახე მისცეს საკუთარ ნააზრევს. შრომის წინასიტყვაობაში ავტორი გვამცნობს, რომ გვთავაზობს ახალ მსოფლმხედველობას: „მსოფლმხედველობა, რომელიც ჩვენ შემოგვაქვს ქართული აზროვნების ისტორიაში, ახალია თავისი შინაარსით". არსებითად ეს მსოფლმხედველობა იგივე კოსმიზმი და ბიოფსიქიზმია, რომელთაც გვთავაზობდა ადრეულ შრომებში, მაგრამ აქ ამ მსოფლმხედველობისათვის ის ქმნის ახალ სახელწოდებასაც — „ორგანოტროპიზმი". ახალი სახელწოდება არ ცვლის კაპანელის ნააზრევის წყაროებს და არც შინაარსს. მისი ამოსავალია ნიცშეს ინდი-

ვიდუალიზმი, ბერგსონის ანტიინტელექტუალიზმი და გიუიოს ანტიმორალიზმი. კაპანელი ფიქრობს, „რომ რაციონალიზმის ეპოქა დამთავრდა და ახალი ნაკადი ინდივიდუალიზმის, ირაციონალიზმის და იმორალიზმის გამარჯვებას გვაუწყებს".

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ კაპანელის ეს მეორე ნაშრომში უფრო სისტემური ხასიათისაა. მასში წინა პლანზეა წამოწეული ონტოლოგიური, ენოსეოლოგიური და ცხოვრების საზრისის პრობლემები. მაგრამ ენობრივი თვალსაზრისით პირველ შრომასთან შედარებით ის უკან გადადგმული ნაბიჯია. ეს გარემოება ალბათ ნაწილობრივ იმითაც იყო გამოწვეული, რომ ამდროისთვის ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგია ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. მაშინ, როდესაც კაპანელის პირველი შრომა დაწერილი იყო რუსულ ენაზე და შესაბამისი ტერმინოლოგიაც არსებობდა, ამიტომ რუსული წიგნი გაცილებით უკეთ იკითხება, ვიდრე ქართული, რომელიც რაღაცნაირი პარპარიზმებით და გაუგებარი ტერმინებითაა დამძიმებული. ნათქვამს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ კაპანელი თავისებურად „თავისუფალი მწერალია", რომლის ნააზრევში მხატვრული სახეები და მეტაფორებია მოძალებული, და, ამავე დროს, ავტორი მიზნად ისახავს არა სპეციალური ფილოსოფიური სისტემის, არამედ „ფილოსოფიურ-ესთეტიკური სისტემის" შექმნას, თანაც ალოგიზმის საფუძველზე, გასაგები გახდება, რატომ არ იზიდავს თანამედროვე ქართულ-ფილოსოფიური აზრის მოთავეებს: ნუცუბიძის, უზნაძის, დანელიას, გოგიბერიძისა და ბაქრაძის ლოგიკისა და ტერმინოლოგიის ტრადიციებზე ჩამოყალიბებულ აზროვნებას კაპანელისეული ალოგიზმი აზროვნებისა და ენის სფეროში, მისი მეტაფორები და მხატვრული სახეებით აზროვნება. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ფილოსოფიური სისტემები, რომელნიც კაპანელმა გაიხადა ამოსავლად და იმ დროისათვის ასე თუ ისე მოდური გახლდათ (ლაპარაკია ონტოლოგიურ სისტემებზე), მოკლე ხანში მოძველდა და ამდენად თანამედროვე მკითხველისთვის კაპანელის ნააზრევი ნაკლებად შეიძლება იყოს საინტერესო. პრობლემატიკიდან, რომელსაც კაპანელი ეძებდა და წყვეტდა, არსებითი მნიშვნელობა შეინარჩუნა სოციალურ-ფილოსოფიურმა პრობლემებმა: ისტორიისა და ინდივიდის ყოფიერების და საეროოდ მთელი ყოფიერების საზრისის საკითხმა ეპოქის დახასიათებასთან ერთად. ამიტომ ჩვენც ნაკლებად შევჩერდებით კაპანელის ფილოსოფიურ ნააზრევზე. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ კაპანელი ცდილობს სულისა და მატერიის მიმართების

კლასიკური თეორიების უარყოფას. მისი აზრით, შეუძლებელია სულისა და მატერიის დაპირისპირება და მათი პირველადის ძიება. მატერია სულის გარეშე არაფერია. ისე როგორც სული მატერიის გარეშე — მათ ერთიანობაში აქვთ საზრისი. ეს თავისებური ნაირსახეობა პრინციპული კოორდინაციის თეორიისა კაპანელთან იწოდება კოსმიზმად და პიროფსიქიზმად: „პ ი რ ო ფ ს ი ქ ი ზ მ ი და კ ო ს მ ი ზ მ ი სრული გაშოსახულებაა ჩვენი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის. „სულსა“ და „მატერიას“ შორის დამოკიდებულება. ისე როგორც ეს ფილოსოფიურ სისტემებშია გამოხატული, ჩვენთვის ერთგვარი პარალოგიზმია და მთელი ეს წიგნი ამ ისტორიული მეშჩანური პარალოგიზმის უარყოფაა“[1]. მთელი ეს შრომა, ისე როგორც წინარეც, ავტორის მიერ სინამდვილის უშუალო განცდის თავისებური გადმოცემაა. ამ მხრივ კაპანელი მოგვაგონებს იმპრესიონისტებს. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი ეძებდნენ და აღიქვამდნენ ნათელ ფერებს. ყველაფერს მათ შუქზე ხედავდნენ; კაპანელი კი ყველაფერში ეძებს ბნელს, ღამისეულს და ყველაფერს აღიქვამს მუქ ფერებში. მისთვის ყველაფერი ღირებულებას მოკლებულია, რადგან არაფერია აბსოლუტური, მთელი ისტორია და კულტურა, ისე როგორც ადამიანის ყოფიერება, შეიძლება შევადაროთ უნივერსამს, რომელშიც ყველა სახის საქონელია მოცემული და არჩევანი სუბიექტზეა დამოკიდებული. კაპანელის პოზიცია, თუ განწყობა, ერთია — ყველაფერს მოუნახოს შავი ლაქები, მათზე დაიყვანოს ყველაფერი. ისტორიაც და კულტურაც უსაზრისობის უამრავ ნიმუშს ავლენს და კაპანელიც სწორედ მათზე იღებს ორიენტაციას, საზრისიანს კი უყურადღებოდ ტოვებს. ადამიანის ყოფიერება და არსებობაც მრავალსახოვანია: მას აქვს ღირებულება და პრინციპები მის მიერ შექმნილი და ჰუმანურობის მაჩვენებელი; ადამიანს აქვს ისტორია, რომელშიც ახორციელებს თავის ყოფიერებას და საკუთარ არსებობას მასთან შესაბამისობაში მოიყვანს. მაგრამ კაპანელი ხედავს მხოლოდ იმას, რაც ადამიანის შემოქმედებაში უსაზრისოა, მისი ყოფიერების საწინააღმდეგოა, თუმცა მასთან ერთად და მისი მიზეზით არსებობს. ის მუქი სათვალეებით ჰვრეტს სინამდვილეს და ამიტომ სხვა ფერებს არ ცნობს. იგი მოუცავს სევდას, რომელსაც ის სამყაროსეულს უწოდებს, რომელიც განსაზღვრავს მის ნიჰილიზმს კულტურისა და ადამიანის მიმართ. თუ ექსისტენციალისტებმა შიში სიკვდილის წი-

[1] კ. კ ა პ ა ნ ე ლ ი. სული და იდეა. თბილისი, 1923, გვ. 9.

ნაშე ადამიანის ყოფიერების ძირეულ ფენომენად გამოაცხადეს, კაპანელისთვის ეს შიში ადამიანის ყოფიერების სასრულობისა და მსხვრევადობის წინაშე ყველაფერს ართმევს სიმყარეს და ღირებულებას. სწორედ ამით აიხსნება მის თვალში ღირებულებათა გაუფასურება და შემდეგი სახის მტკიცებანი: „რაციონალიზმი აზროვნების ისტორიაში ინკვიზიციების ძიებაა... ირაციონალიზმი ახასიათებს არსებობის ყოველ წუთს... რასაც წუთისოფელს, სამყაროს ეეძახით, ის შემთხვევითობათა დაუსრულებელი დინებაა... ისტორია ლეგენდაა... ერები და ქალაქები, ცივილიზაცია და კულტურა, მარადიული ლანდების კოშმარული დემონსტრაციაა... ჭია-ბუჭყებიდან შეიქმნა ადამიანის „მე", ჭია-ბუჭყებად დაიშლება იგივე „მე"... აბსოლუტური ჭეშმარიტების ძიება, კაცობრიობის დონ-კიხოტობის კეთილშობილი სახეა... სამყაროს ერთ კუთხეში რაც ჭეშმარიტებაა, მეორე კუთხეში ის სიყალბეა... რაც დღეს რომელიმე ერისთვის იდეალია, ის შეიძლება ხვალ სათრეველი და სალაღობო გახდეს... ყველაფერი ლეგენდა და სოფიზმია... სამყაროს დაუსრულებლობაში ლოგიკური თვალთახედვით ნაპოლეონი იგივეა, რაც ტასმანიის ბელურა, კანტი იგივეა, რაც ცეილონის კენგურუ"[1]. ამგვარი აზრებით აღსავსეა კაპანელის შრომები და გასაგებია, რომ ჰუმანიზმის და ოპტიმიზმის პრინციპებზე აგებული საზოგადოებისთვის ეს აზრები, ძალზე შორეული და არქაული მოჩანს. მაგრამ ამ აზრებს ერთნაირად ასაზრდოებდა, როგორც კაპანელის განწყობილება, ისე ეპოქის სოციალური კატაკლიზმები. წარსულის მრავალ უსაზრისობას მიემატა კაპანელის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პერიოდში პირველი მსოფლიო ომი, რომელმაც უამრავ მატერიალურ ღირებულებებთან ერთად ოცი მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და ამდენივე ხვიბრად დატოვა. ეს საკმაო შეიქნა დეკადენტური განწყობილების წარმოშობისათვის რუსეთისა და ევროპის მრავალ მოაზროვნეთა შორის. ამ ფაქტის კარგი ახსნა გერმანული სინამდვილის მიმართ მოცემული აქვს თომას მანს, რომელიც ახასიათებს რა ეპოქის დეკადენტურ სულისკვეთებას, აღნიშნავს:

«Живо чувствовались здесь и объективно определились: невероятная обесцененность индивидуума как такового в результате войны, невнимательность, с которой жизнь проходит теперь мимо отдельной личности и которая претворилась в людских душах во всеобщее равнодушие к ее страданиям и гибели. Эта не-

---

[1] კ. კაპანელი, სული და იდეა, თბილისი, 1923, გვ. 10. 11. 12.

внимательность, это безразличие к судьбе одиночки могли показаться порождением только что закончившегося четырехлетнего кровавого пиршества; но никто не заблуждался: как во многих других аспектах, война и здесь лишь завершила, прояснила и наглядней преподала то, что давно уже намечалось и ложилось в основу нового жизнеощущения. Чувство, что завершилась эпоха, не только охватывавшая девятнадцатый век, но восходившая к концу средневековья, к подрыву схоластических связей, к эмансипации индивидуума, к рождению свободы, эпоха, каковую я, собственно, должен был считать своим вторым духовным отечеством, словом, эпоха буржуазного гуманизма, ощущение, что час этой эпохи пробил, что жизнь меняется, что мир вступает под новые, еще безыменные созвездья,— это невероятно настораживающее чувство, рожденное, правда, не окончанием войны, а уже ее началом, через четырнадцать лет после смены столетий, и было первоосновой потрясения, страха перед судьбой, изведанного тогда такими как я. Не удивительно, что всеразлагающее поражение довело это чувство до крайности».[1]

სწორედ ეპოქის ანტიინდივიდუალისტურმა სულისკვეთებამ და ინდივიდის ღირებულებათა გაუფასურებამ გამოიწვია ინდივიდუალიზმისაკენ მიბრუნება და პროტესტი ინდივიდის გაუფასურების გამო. ამ პროტესტის გამოხატულება დიდი მასშტაბით იყო ნიცშეს, კირკეგორის, დოსტოევსკის და სხვათა ნაშრომები. უფრო პატარა მასშტაბით იგივე გამოიხატა კაპანელის ცნობიერებაში ამ თუ სხვა მოაზროვნეთა გზით.

კაპანელის ცდა („სული და იდეა"-ში) — სისტემური სახით წარმოედგინა მატერიისა და სულის მიმართების ფილოსოფიის ისტორიულ კონცეფციებთან დაპირისპირება და მათი უარყოფით შეექმნა მატერიისა და სულის მიმართების ახალი სურათი, რომელსაც ის ბიოფსიქიზმს უწოდებს, წარუმატებელი გამოდგა. წარუმატებელი იყო ფილოსოფიის ისტორიული დახასიათებაც, რადგან იგი მოკლებული იყო სისტემატურობას, ასევე საკუთარი კონცეფციის წარმოდგენის ცდაც. ძირითადი, რის გამოტანაც შეიძლება კაპანელის მრავალსტუდიანობიდან, არის მტკიცება, რომ სულიერი პროცესები დაკავშირებულია ნერვულ სისტემასთან და რომ შემეცნება ორგანული ბუნებისაა, რომ იდეები წარმოიშობა ორგანული ენერგიის ხარჯვით, შემეცნება იქმნება ნერვული მასალებიდან. ამ მტკიცებათა ნათელვილი კაპანელი ცდილობს, დაასაბუთოს იდეის მიწიერება, აჩვენოს, რომ ის არ არის „ზნეობრივი

[1] Т. Манн. Сочинения, т. 5, 1960, стр. 107.

და ზემატერიალური ბუნება". კაპანელი ამტკიცებს, რომ მატერია გაელენას ახდენს სულზე და სული მატერიაზე. „შემეცნება პასიური ორგანოტროპიულია", იგი დამოკიდებულია ორგანიზმის გაწვრთნილობასა და ასოციაციებზე. კაპანელი ორგანიზმს ადარებს სახელმწიფოს, რომლის ფუნქციობა დამოკიდებულია მოხელეთა საქმიანობაზე — ორგანიზმის მოხელეებია ნერვული სისტემა და გრძნობის ორგანოები. ეს უკანასკნელნი საშყაროში გასასვლელი ფანჯარაა, რომლიდან მიღებულ მასალას ამუშავებს ნერვული სისტემა. ამდენად, აზროვნება მთელი ორგანიზმის მოქმედების შედეგია და არა ტვინის.

კაპანელის პირველ მონოგრაფიაში მსჯელობა იყო კოსმიზმზე, მეორეში იგი შეივსო ორგანოტროპიზმით და ავტორი ცდილობს, გაარკვიოს მათ შორის მიმართება. აღმოჩნდება, რომ აქ განსხვავება არაა. იმავე ბიოლოგიზმის (ორივე განშტოებით — ორგანიციზმითა და სოციალდარვინიზმით), ვულგარული მატერიალიზმის, პრინციპული კოორდინაციის დებულებები შევსებულია გეოგრაფიული დეტერმინიზმის პრინციპებით. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა შრომაში — „სული და იდეა". ავტორის აზრით, მოვლენებისა და პროცესების სახეს განსაზღვრავს ცხოვრების პირობები, რაშიც იგულისხმება გეოგრაფიული და გეოლოგიური გარემო. „ყველაფერს პირობების, შესაძლებლობისა და ტერიტორიის ბეჭედი აზის". ადამიანის ანთროპოლოგიური თვისებები მას გამოყავს ჰავისაგან — ცხვირისა და პირის ზომა დამოკიდებული ყოფილა ჰაერის სიმძიმესა და სიმსუბუქეზე. გარემო აიძულებს ორგანულ სამყაროს, შეეგუოს მას და შემღგომ ორგანულ სამყაროს არ შეუძლია გარემოს შეცვლა, არსებობისთვის ბრძოლა და გარემოსთან შეგუება განსაზღვრავენ განვითარებას. კაპანელის აზრით, მთელი სამყარო განსულიერებულია. „ტლანქი, ხორკლიანი... მატერია ქვის ნატეხი იქნება შარაგზაზე, თუ ფილოსოფოსის საფეთქელში მიმოქცეული სისხლი, სულერთია, არ არის მოკლებული სულიერობას". და შემდეგ. „გ რ ძ ნ ო ბ ა და ა ზ რ ი არის მთელ ბუნებაში... ჩვენთვის არ არსებობს მატერია უსულო"[1]. სულიერობა ყველაფერშია — მინერალებსა და მცენარეებში, ელექტრონსა და რადიუმში. ამიტომ არსებობს მიზიდულობა. ისე როგორც საზოგადოებაში, კაპანელი ბუნებაშიც უარყოფს წინსვლას, განვითარებას. მისი აზრით, მატერიის მარადისობის პრინციპი გამორიცხავს ევოლუციას — ყველაფერი ყველაფრისაგან წარმოიშობა და ყველაფერი ყველაფერში

[1] კ. კაპანელი, სული და იდეა, გვ. 31, 46, 49.

გადადის, რომლის დროსაც სამყაროს ელემენტები უცვლელია. მრავალფეროვნება ელემენტთა გადაჯგუფების შედეგია, სიახლე სხვა არაფერია, თუ არა ელემენტების შეუწყვეტელი ბრუნვა. სამყაროში არაფერი იკარგება და არც არაფერს აქვს დანიშნულება. ყოფიერების აზრით, ბუნების ძალთა თამაში დაუსრულებელია. ახალი სამყაროში მხოლოდ სახეშეცვლილი ძველია. მატერია ჰგავს მოგზაურებს, რომელთა დასვენების წერტილებია საგნები. ეს საყოველთაო მოძრაობა წინსვლის გარეშე ჰგავს პენელოპეს საქსოვს, რომელსაც მუდამ ქსოვს და შლის ოდისევსის მოლოდინში... სულისა და მატერიის ურთიერთშერწყმა კაპანელს ასე აქვს გამოთქმული: „სული ორგანული განცდის ენერგიაა და წარმოუდგენელია, თუ არ იცის მატერია, მატერია და მისი ფორმები წარმოუდგენელია სულის გარეშე“[1]. კაპანელის აზრით, არც მატერიაა სუბსტანცია და არც სული. ამიტომ მატერიალიზმიც და იდეალიზმიც მცდარია. სუბსტანციურობა არ შეუძლია არც ერთს, რადგან ისინი ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ. მთელი სამყაროს განსულიერება, ეს თავისებური პრიმიტიული ანიმიზმი, რომელსაც შეუძლებელია მე-20 საუკუნეში რაიმე გამართლება ჰქონდეს, კაპანელის აზრით, თანამედროვე მოაზროვნეთა მიღწევებით საბუთდება, თუმცა არც ერთი მათგანის ნააზრევს არ იხილავს არსებითად.

შემეცნების საკითხების გააზრებაშიც კაპანელი რელატივიზმისა და აგნოსტიციზმის ნიადაგზე დგას. ის ხშირად იმეორებს პასკალის გამოთქმას: ალპებს აქეთ რაც ჭეშმარიტებაა, ის ალპებს იქით სიცრუეაო. ჭეშმარიტება, მისი აზრით, დამოკიდებულია დროზე, გარემოზე, ვითარებასა და სუბიექტზე. ყოველ შემთხვევაში, არც ერთი აზრი არ გამოხატავს საგანთა სამყაროს ისე, როგორც ის არსებობს და არც შეუძლია მას სწვდეს, რადგან „ჩვენი ცნებები ნამდვილი საგნებიდან გადაღებული სურათები კი არ არის, არამედ ტრადიციულად მიღებული სიმბოლოები... ჩვენ ვლაპარაკობთ არა საგანზე, არა საგნის თვისებებზე, არამედ იმ სიმბოლოებზე, იმ ნიშნებზე, რომელთა გამოსახულებანი შეადგენენ ჩვენს აზროვნებას“[2]. მეცნიერული შემეცნება შეუძლებელია — ერთნაირი ღირებულებისაა ის, რასაც მეცნიერულ შემეცნებას ვეძახით და ისიც, რასაც ცრურწმენად ვთვლით. მაგალითად, დებულება: მთვარე იზიდავს ოკეანეთა წყლებს, ისეთივე მნიშვნელობის

---

[1] კ. კაპანელი, სული და იდეა, გვ. 33.

[2] იქვე, გვ. 111.

გამოთქმაა, როგორც მეგრელი დედაკაცის აზრი, რომ ბავშვი მომთვარა. ე. ი. მთვარემ გახადა ავად. არც მეცნიერებამ და არც იმ დედაკაცმა არ იციან მთვარის მოქმედება. ფაქტია, რომ იზიდავს, მაგრამ როგორ და რატომ, არავინ იცის. ამიტომ ამის გამოთქმა შეიძლება ეროსის ენაზეც: შეყვარებული მთვარე დროგამოშვებით კოცნის ოკეანეს და ტალღები, როგორც ჯულიეტები, იწევენ ხოლმე მაღლა. თუ დავდგებით იმ თვალსაზრისზე, რომ ყველაფერს ეროტიკა უდევს საფუძვლად, ყველაფერი ბიოლოგიურ ურთიერთმისწრაფებათა შედეგია, და, ამავე დროს, განსულიერებული, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველგან სიყვარულია, პლანეტათა შორისაც, და ესაა მათი მიზიდულობის და მოძრაობის წყარო. კაპანელს შემეცნება მთლიანად ბიოლოგიური საწყისებით აქვს ახსნილი. ფიქრობს, რომ ის ნერვული სისტემის, განცდითი სულიერობის ცენტრალიზაციაა. სამყაროში ყველაფერი განცდაა. კაპანელი ასწორებს ბიბლიასაც და გოეთესაც: თუ ბიბლია ამბობდა — თავდაპირველად იყო სიტყვა, გოეთემ თქვა — თავდაპირველად იყო საქმე, კაპანელის აზრით, არც ერთი არაა სწორი, რადგან თავდაპირველად იყო განცდა. აბსოლუტური რელატივიზმი კაპანელთან პირველ რიგში განცდის თავისებურებითაა გამოწვეული. თუ შემეცნება განცდაა, განცდა კი ინდივიდუალური, ეშმარიტება შეუძლებელია იყოს საყოველთაო მნიშვნელობის, ის იმდენია, რამდენი ინდივიდუალური განცდაცაა. კიდევ მეტი — ყოველი შემეცნება ინდივიდუალურის შიგნით თითოეული ორგანოს მიერ დიფერენცირებულია და არ არსებობს მთელი ორგანიზმის ერთიანი შემეცნება, რადგან ჩვენი სხეულის ყოველ ნაწილს აქვს საკუთარი შემეცნება, საკუთარი ინტელექტი და სულიერობა, რომელიც შედის ინდივიდუალურ მსოფლმხედველობაში, როგორც მდინარე ოკეანეში და საჭიროების დროს მოქმედებს ავტონომიურად. ამის საბუთად კაპანელს მოყავს ასეთი მაგალითი: თუ თითს ვიტკენთ, იგი დიდხანს თავისთავად, ჩვენი ჩარევის გარეშე ერიდება რაიმეს მიკარებას. მაშასადამე, თითი ავტონომიურად იმეცნებს მასზე ზემოქმედების ძალას. მისი აზრით, ყოველი სოციალური ჯგუფიც თავისებურად განიცდის სამყაროს. ამიტომ „ჩვენი მსოფლმხედველობა კუთხური, ტერიტორიული და ტროპიულია".

კაპანელი ამ შრომაში ეხმიანება ფილოსოფიაში ორ სიახლეს, თუ უკანასკნელ სიტყვას — ერთი მხრივ, შპენგლერის „ევროპის მზის ჩასვლების" იღებს, და მეორე მხრივ, შალვა ნუცუბიძის „ალეთოლოგიას". შპენგლერის შრომა 1918 წელს გამოვიდა. ამ პერიოდში კაპა-

ნელს უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა თავისი რელატივიზმი და აგნოსტიციზმი, მაგრამ მათ, დასაბუთების მიზნით, კიდევ მიუმატა მეცნიერებათა ახალი რიგი — „მათემატიკური მეცნიერებანი". შპენგლერმა არა მარტო მსოფლმხედველობა გამოაცხადა ეპოქალურად და ინდივიდუალურად, არა მარტო ისტორია ჩათვალა პროვინციულად და პრეზენტისტულად, როდესაც ყოველი ეპოქა თავისი ინტერესების შესაბამის სურათს ქმნის, — ამას კაპანელიც ამტკიცებს, — არამედ მათემატიკაც, მათემატიკური შემეცნება, რომელზეც იზომებოდა შემეცნების სიზუსტე, ეპოქალურად გამოაცხადა და ამტკიცებდა, რომ ყოველ ეპოქას თავისი მათემატიკა აქვს. კაპანელმაც აიტაცა ეს იდეა. მისი აზრით, მათემატიკაც და ბუნებისმეტყველებაც „სულის ქმაკობაა" (ჰეგელის ტერმინი), მისი ობიექტურობა იმის შედეგია, რომ ჩვენი ორგანული ფსიქიკური ჩვეულება შემთხვევით შეესაბამება კოსმოსურ ირაციონალობას. ფაქტობრივად მეცნიერება ილუზიების სამყაროა. ყოველი საუკუნის ჭეშმარიტება ისტორიულ ფსიქიკურ ჩვევათა მიხედვით გადმოცემული მსოფლმხედველობათა წყობაა. ჭეშმარიტების ნიშანია ფსიქიკურობა, იგი განცდის ფორმაა, არა ზეინდივიდუალური ცნობიერების, არამედ ემპირიული ინდივიდის „მე"-ს ვანცდაა. ცნება ფაქტის ასახვაა, მაგრამ ისე კი არა, რომ ფაქტის არსებობა განაპირობებდეს ცნების არსებობას, პირიქით, „თუ ცნება არ არის, არც ფაქტი არსებობს". კაპანელის აზრით, ამ დებულების გამართლებაა ჰეგელის მტკიცება — თუ ფაქტები არ შეესაბამება ჩემს თეორიას, მით უარესი მათთვის. ყოველ შემთხვევაში, შემეცნება საგნის შესახებ არაფერს გვეუბნება, რადგან მხოლოდ თვისებებს გვაცნობს. თვისებები ჩვენი განცდის ფორმებია. იმის თქმა, რომ მაგიდა გრძელია, შავია და ათ გირვანქას იწონის, თვით მაგიდის შესახებ არაფერს გვეუბნება, არამედ გვამცნობს, რომ ჩვენი მხედველობის ძარღვს რაღაცა აღიზიანებს, რასაც დაარქვეს მაგიდა. იწონის ათ გირვანქას, ნიშნავს, რომ ჩვენი კუნთების გარკვეული ენერგიაა საჭირო მის ასაწევად. ამგვარად, თვისებები შთაბეჭდილებებია, ამიტომ „ჩვენი წარმოდგენა საგანზე შთაბეჭდილებათა მეტს არაფერს შეიცავს და როდესაც საგანს განვმარტავთ, მხოლოდ ვალაგებთ შეგრძნებათა რიგს და რაოდენობას ჩვეულების მიხედვით. საგნის შინაგანი თვითური რაობა (კანტის ნოუმენი), ჩვენი ნერვული, ფსიქიკურ გაღიზიანებათა შეუცნობელი მიზეზია"[1].

---

[1] კ. კაპანელი, სული და იდეა, გვ. 67.

თავისი აზრის საილუსტრაციოდ კაპანელი იღებს ასეთ მაგალითს: „კეთილშობილი ადამიანი პატივისცემის ღირსია“ — ამ წინადადების ანალიზით ადგენს, რომ კეთილშობილი ნიშნავს დადებითს. ეს ცნება ჯგუფური, ორგანოტროპული, ტერიტორიული და კუთხურია. მისი მნიშვნელობა ამ კუთხურობით განისაზღვრება. „ღირსია“ გამოხატავს ამ კუთხურ კეთილშობილებასთან ჩვენს დამოკიდებულებას. „პატივისცემა“ კეთილშობილების ღირსების დაკავშირებაა სხვებთან, რომელთა პატივისცემა ჩვევათა გამოხატულებაა. ამდენად, წინადადების საზრისი მთლიანად სუბიექტურია შინაარსის ჩათვლით. ასეთივე ვითარებაა გეომეტრიის სფეროდან აღებულ მსჯელობაში. „სამკუთხედის“ ცნებაში ორი მომენტია — ერთი, რომ არსებობს ფიგურა შემოფარგლული სამი სწორით და მეორე, რომ მას ეძახიან სამკუთხედს; პირველი კუთხური თუ არა, პლანეტარული ჩვეულებითაა განმტკიცებული, მეორე ამ ჩვეულების სიმტკიცის გამოხატულებაა; პირველს შეიძლება მიეწეროს ჭეშმარიტობა-მცდარობა, მეორეს — არა. შემეცნებას, მისი აზრით, ორი მხარე აქვს — სიტყვები და ფაქტები, ჩვეულება აკავშირებს მათ ერთმანეთთან. ჩვეულება კი არაა დამოკიდებული არც ფაქტებზე და არც სიტყვებზე. კაპანელის აზრით, საგნის არსებობა მის აღქმაზეა დამოკიდებული. აღმქმელისაგან დამოუკიდებელი არსებობა, ბერგსონის მსგავსად, კაპანელს უაზრობად ეჩვენება. ეს ნიშნავს, რომ შეუძლებელია არსებობდეს ჭეშმარიტება თავისთავად. თუ არსებობს თავისთავადი ჭეშმარიტება, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობს ჭეშმარიტება ჩვენთვის. კაპანელი ეხმაურება შ. ნუცუბიძის იმ პერიოდში გამოსულ შრომას — „ალეთოლოგიის საფუძვლები“, (1922). აღნიშნავს, რომ „შ. ნუცუბიძე იძლევა ჭეშმარიტების პრობლემის ორიგინალურ დასაბუთებას. ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში ალეთოლოგიის საფუძვლები საპატიო ადგილს დაიჭერს“[1]. მაგრამ კაპანელი არ ეთანხმება ნუცუბიძის ძირითად იდეას — თავისთავადი ჭეშმარიტების არსებობას, რადგან მისი დაშვება გულისხმობს თავისთავადი სინამდვილის აღიარებას. კაპანელის აზრით კი თავისთავადი სინამდვილე არაა, ის მხოლოდ იმდენადაა, რამდენადაც მოცემულობაა. ამიტომ ჭეშმარიტებაც არ შეიძლება იყოს თავისთავადი. ჭეშმარიტება არის, რაც „მე“-დან გადავიტანეთ სინამდვილეზე. „ფაქტის რეალობაში ჩვეხ შევიცნობთ მხოლოდ იმ მტკიცებებს, რომელთაც მივაკუთვნებთ ფაქტს

---

[1] კ. კაპანელი, სული და იდეა, გვ. 68.

ჩვენი სურვილებისა და ორგანულ-ტემპერამენტული დასრილობის გავლენით"[1]. ფაქტის სახე გრძნობის ორგანოზეა დამოკიდებული. სხვანაირი გრძნობა რომ გვქონდეს, ფაქტი სხვა სახეს მიიღებდა. ჩვენი შემეცნების წრე ჩვენზეა დამოკიდებული. ოუნდაც დავუშვათ შემეცნებამდე საგნის არსებობა, ის მაინც გამორიცხულია, რომ ჩვენ მიერ შეცნობილი საგანი ისეთია, როგორადაც შევიცნობთ. საინტერესოა, რომ თავისთავადი ჭეშმარიტების მიმართ ორი საპირისპირო თვალსაზრისი — ასახვის თეორიაც და კაპანელის სუბიექტივისტური პრინციპი — ერთნაირად უარყოფითადაა განწყობილი, თუმცა უარყოფა სხვადასხვა პოზიციიდან ხდება: ასახვის თეორიისთვის თავისთავადი ჭეშმარიტება გამორიცხულია, რადგან შემეცნება ასახვაში მდგომარეობს, ასახვა კი ამსახველისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს; კაპანელთან სხვა ვითარებაა — ერთი მხრივ, იგი ამტკიცებს, რომ მთელი სინამდვილე სულიერია, მაშასადამე მას შთაბეჭდილების მიღების უნარიც უნდა ჰქონდეს. თუ ეს ექნება, თავისთავადი ჭეშმარიტებაც უნდა იყოს, მაგრამ კაპანელი გამორიცხავს თავისთავად ჭეშმარიტებას იმის გამო, რომ მისთვის სინამდვილე არ არსებობს სუბიექტისაგან დამოუკიდებლად. არსებობა უდრის განცდას. თავისთავადი ჭეშმარიტება კი განცდის გარეთ უნდა იყოს. მეორეც, კაპანელის მიხედვით საგანი თავისთავად არასდროს არ გვეძლევა. საგანი ისეთია, როგორადაც განვიცდით. მაგრამ კაპანელი უარყოფს არა მხოლოდ თავისთავად ჭეშმარიტებას, არამედ ყოველგვარ ობიექტურ ჭეშმარიტებას, ქადაგებს პლურალიზმსა და ინდივიდუალიზმს, აღადგენს პროტაგორას თეზისს, რომ ადამიანი არის საზომი ნივთთა — ისეთების, როგორებიც არიან და ისეთებისაც როგორებიც არ არიან. მარქსისტული თეორია კი ამოდის ობიექტური ჭეშმარიტების აღიარებიდან, მაგრამ უარყოფს ობიექტურად არსებულ ჭეშმარიტებას. თუ შემეცნება ასახვაა, ობიექტურად არსებული ჭეშმარიტების დაშვება იქნებოდა შემეცნების შემეცნებამდე არსებობის აღიარება. ჭეშმარიტების ობიექტურობისთვის არაა აუცილებელი მისი ობიექტურად არსებობა, საკმარისია ობიექტით განსაზღვრულობა. შემეცნებას, კაპანელის აზრით, ფაქტის როგორობა ან საგნის რაობა კი არ განსაზღვრავს, არამედ გრძნობის ორგანოთა სტრუქტურა. „მე რომ სხვანაირი გრძნობა მქონდეს, ან ფაქტის შეცნობის სხვანაირი ტრანს-

---

[1] კ. კაპანელი, სული და იდეა, გვ. 69.

ცენდენტალური პირობა, თვით ფაქტი სხვა სახეს მიიღებდა"[1], — ამტკიცებს იგი. ჭეშმარიტება განპირობებულია ერის, ტომის თუ სხვა სახის სოციალურ-ეთნიკური ერთობის ტრადიციებით, ჩვეულებით, კულტურით. მას მოაქვს ასეთი მაგალითი: ინგლისელ ექიმ ლოდორს, რომელიც მართავდა ავსტრალიის ერთ-ერთ პროვინციას, გამოეცხადა ავსტრალიელი, რომელსაც ცოლი გარდაცვლოდა — ავსტრალიელი ამაში შეზობელ ტომს ადანაშაულებდა და ითხოვდა ნებას, მოეკლა ამ ტომის ერთ-ერთი წევრის ცოლი. როცა უარი მიიღო, დაავადდა — აწუხებდა, რომ ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა. ბოლოს მაინც მოაღწია მიზანს. და ლოდორს მოახსენა, რომ შეასრულა თავისი ჭეშმარიტი მოვალეობა. ამისთვის იგი ციხეში ჩასვეს. გამოდის, რომ ის, რაც ავსტრალიელისთვის იყო ჭეშმარიტი, ინგლისელისთვის არ აღმოჩნდა ჭეშმარიტება, და კაპანელი ნიშნის მოგებით კითხულობს: ალეგზანდროლოგიის თვალსაზრისით ვისკენაა აბსოლუტური ჭეშმარიტება? მისი აზრით, აქ ორი კულტურის შეხვედრის საზღვარზე ჭეშმარიტების ლოგიკური პრობლემა გადაიქცა „ტერიტორიულ-ტროპულად". მართალია, მარგსიზმი უარყოფს თავისთავად ჭეშმარიტებას, მაგრამ კაპანელის არგუმენტი მაინც შეუძლებელია მივიჩნიოთ თავისთავადი ჭეშმარიტების უარმყოფელად. მის მაგალითში საკითხი არ ეხება ჭეშმარიტება-მცდარობას, აქ ორი კულტურის ორი წარმოდგენაა ადამიანის მოვალეობაზე — ორივე ფიქრობს, რომ თავიანთი წარმოდგენაა სწორი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს ამიტომ ორი ჭეშმარიტება არსებობდეს. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ორივე მხარე მართალია, ნორმატიული თვალსაზრისით — ერთ-ერთი. სინამდვილეში კი ჭეშმარიტების საკითხი აქ საერთოდ არ დგას. თუნდაც ავსტრალიელის ნათქვამი სიმართლე იყოს, ეს არ ნიშნავს, რომ ის ჭეშმარიტებაა, სიმართლე და ჭეშმარიტება არ ემთხვევა ერთმანეთს: სიმართლე ფსიქოლოგიური კატეგორიაა და გამოხატავს გამომთქმელის დარწმუნებულობას მის სისწორეში; ჭეშმარიტება კი შემეცნებისეული კატეგორიაა და გამოხატავს აზრის შესაბამისობას ნივთთა ვითარებასთან. რასაკვირველია, ჭეშმარიტებას ყოველთვის თუ არა, ხშირად მაინც ახლავს მასში დარწმუნებულობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რაიმეში დარწმუნებულობა მის შესახებ აზრს მიანიჭებს ჭეშმარიტებას. აზრის ჭეშმარიტება არაა დამოკიდებული იმაზე, დარწმუნებულია თუ არა მასში ვინმე.

---

[1] კ. კაპანელი, სული და იდეა, გვ. 69.

კაპანელი ეჩრიდა ამ თვალსაზრისსაც, რომ ჭეშმარიტება ლოგიკის საგანია, რომ ის საერთოდ ლოგიკის კატეგორიაა. კაპანელის აზრით, ჭეშმარიტება ფსიქოლოგიური კატეგორიაა. მარადისობისა და უნივერსალობის მიხედვით ლოგიკაც ისევე ყალბია, როგორც ჭეშმარიტება — ესიც კუთხურია. „თვისებათა შეგრძნობა და შეცნობა... ფსიქოლოგისტურია და არა ლოგიკური"[1]. მისი აზრით, ყოველ ადამიანს თავისი სულიერი გაწვრთნილობა შეაქვს შემეცნებაში. ვაჭარი და მოწაფე სხვადასხვანაირად შეიცნობენ ფანქარს, ისე როგორც ყასაბი და მხატვარი — ძროხას. ყველა შემთხვევაში სუბიექტის განწყობა, მისი ფსიქიკური წარმართულობა განსაზღვრავს იმას, თუ რა სახისად შეიცნობთ საგანს და არასოდეს არ მივდივართ თვით საგნის რაობამდე. „საგნის თვისებათა სისტემაში ჭეშმარიტების გამოსახვა სრულებით არ ნიშნავს საგნის რაობის შეცნობას. ისე როგორც ცარიელი ბოთლებისა და კოლოფების ჩამოწყობა თაროებზე სავაჭრო სახლის გახსნას არ ნიშნავს"[2]. კაპანელი ფიქრობს, რომ ლოგიკა სხვა არაფერია, თუ არა ფსიქიკური ჩვეულებებით გამტკიცებულ პრინციპთა ერთობლიობა. და ლოგიკა ფსიქოლოგიის ერთ-ერთი სახეობაა. იგი აკრიტიკებს ვედენსკისა და ნუცუბიძის ანტიფსიქოლოგიზმს. კაცობრიობის ყველა უბედურებას — ინკვიზიციასა და ინტელექტუალურ კარჩაკეტილობას, ქრისტეს, სოკრატეს, ნიუტონის, გალილეის წამებას — იგი ლოგიკას აბრალებს. ამავე დროს, ამტკიცებს, რომ ლოგიკა მისაღებია როგორც მეთოდი, მაგრამ თუ იგი ამდენი უბედურების მიზეზია, როგორ შეიძლება მისი გამოცხადება მისაღებად. ერთი რამ სწორად აქვს კაპანელს მიგნებული — ეს არის გარკვეული მსგავსება ლოგიკასა და გრამატიკას შორის. ლოგიკა აკვირდება შემეცნების ბუნებას, ისე როგორც გრამატიკა ენისას. შემდეგ იმეორებს ჰეგელის დებულებას: ისე როგორც გრამატიკით ვერ ისწავლი ენას. ლოგიკით ვერ ისწავლი აზროვნებას. კაპანელის თვალსაზრისი არაა უბრალო ფსიქოლოგიზმი — ფსიქოლოგისტები არ უარყოფენ ლოგიკას. კაპანელის მიხედვით ლოგიკა სოფიზმია. ეს ალოგიზმი, შეერწყმული ირაციონალიზმითა და რელატივიზმით, არის კაპანელის შემეცნების თეორიის ძირითადი პრინციპი. ეს იგივე პრინციპებია, რაც პირველ შრომაში იყო. ყველა შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ კოსმიზმი და ორგანოტროპიზმი არაფრით განსხვავდე-

---

[1] კ. კაპანელი, სული და იდეა, გვ. 72.

[2] იქვე.

ბა ერომანეოლოგიას. ახალ სახელწოდებას ახალი შინაარსი არ მიმ-ყოლია.

კაპანელის ნააზრევის გასაცნობად ძირითადია პიროვნებისა და ისტორიული ყოფიერების საზრისის საკითხი. ამ პრობლემის გარშემო „სულსა და იდეაში" ბევრი რამ მეორდება პირველი შრომიდან, მაგრამ, ამავე დროს, არის გარკვეული სიახლეც—ამ დროისთვის უკვე გამოსულია ოსვალდ შპენგლერის „ევროპის მზის ჩასვენება", რომლის გავლენის კვალი დაეტყო კაპანელის ამ ნაშრომს. ეს არ იყო შემთხვევითი — შპენგლერიც „სიცოცხლის ფილოსოფიის" წარმომადგენელი იყო და ისიც კაპანელივით ყოფიერების უსაზრისობას და წრებრუნვის თეორიას ქადაგებდა.

არსებითი განზომილება, რომელშიც კაპანელი ისტორიისა და ინდივიდის ყოფიერების უსაზრისობას ხედავს, ესაა წინააღმდეგობა იდეალსა და სინამდვილეს შორის. ყოველი ყოფიერების, იქნება ეს ინდივიდის თუ სოციალური ერთობების, საზრისი წარმოდგენილია იდეალის სახით, რომელსაც სუბიექტები ესწრაფვიან, მაგრამ ისტორიული სინამდვილე ამ იდეალის საპირისპიროა. იგი მიმოიხილავს ისტორიას ანტიკურობიდან დღემდე და აჩვენებს წინააღმდეგობას იდეალსა და სინამდვილეს შორის ყოველ ეპოქაში, რაც იწვევს ადამიანში საკუთარი უმწეობის შეგრძნებას, „მსოფლიო სევდას", რომელიც გამოხატავს „კაცობრიობის უკეთილშობილეს და უმშვენიერეს გრძნობებს". ადამიანი რომ გრძნობს წინააღმდეგობას იდეალსა და სინამდვილეს შორის, ეს იწვევს მასში ტანჯვას. ეს წინააღმდეგობა გადააწყვეტინებს მას, გადასინჯოს ღირებულებანი — ახალი ღირებულებანი ძველის ადგილს იკავებს და ისევ ახალ იდეალებს წარმოადგენს, რომელთაც არ უწერიათ განხორციელება და თავიდან იწყება შეუსაბამობა იდეალსა და სინამდვილეს შორის. კაცობრიობის მარადიული ტრაგედიის მიზეზი იდეალთა, ღირებულებათა სამყაროშია. იდეალები მოკლებულია მარადისობას — მორალი, ლოგიკა, ჭეშმარიტება დროული, ტერიტორიული და ორგანოტროპულია. კაცობრიობა ყოფიერების საზრისს მორალურობაში, ლოგიკურობაში, ჭეშმარიტებაში ეძებს, მაგრამ აღმოჩნდება, რომ არც ერთი არ არის მარადიული და განხორციელებადი. ადამიანი ბიოლოგიური არსებაა, მისი ინსტინქტები ძლევენ ყველა იდეალსა და ღირებულებას. აქედან წარმოდგება ჰამლეტის ეჭვები და განაზრებანი, კითხვები: რატომ, საიდან, რისთვის. ეს იდეალისა და სინამდვილის გათიშვის შედეგია: თუ ადამიანი შეიგრძნობს, რომ „ბო-

როტება და სიკეთე ისტორიაში ისეთივე მოვლენებია, როგორც სითბო და სიცივე ფიზიკაში, მაშინ ჩვენში არსებობის სიმწარის შეგრძნება გაანახევრდება"[1]. ადამიანის უბედურების წყარო მისსავე ძიების უნარშია. ადამიანი ეძებს მოვლენათა საზრისს, მიზანს, ცდილობს ყოველი არსებული გაამართლოს, ან გაკიცხოს, მაგრამ ერთიც და მეორეც სუბიექტურია, ბუნებაში არაა არავითარი საზომი ამ ორი საპირისპირო შეფასებისათვის. ბუნება საქმიანობს ყოველგვარი მიზნისა და გამართლების გარეშე, მისთვის ყველაფერი სულ ერთია, მას არ ამოძრავებს განგება. არ არსებობს ძალა, რომელიც მოაწესრიგებდა ყოფიერებას. „ქვეყანას არ ჰყავს მმართველი, რომელიც იდგება ქვეყნის გარეშე და მოაწესრიგებს ქვეყნის მსვლელობას, საგანთა და მოვლენათა დინებას. ტრანსცენდენტური, გარესკნელური მიზანი ცხოვრებას არა აქვს"[2]. ავტორი იზიარებს თუ იმეორებს პოლ ვალერის მოსაზრებებს, გამოთქმულს „გონის კრიზისში": ყოველი კულტურა დროთა განმავლობაში ნანგრევებად იქცევა, შემდეგ კი მითის ფორმით რჩება. „ჩვენ ვერ ვამჩნევთ კულტურის ისტორიაში განსაკუთრებულ აზრს, მიზანს. ყოველი ერი, ყოველი საუკუნე, როგორც ლეიდენის კონდენსატორი, დატვირთული ბიოლოგიური ენერგიით, იცლება და შემდეგ უმიზნოდ უსაზღვროებაში იკარგება: იყო ბაბილონი — ჰქონდა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, ჰყავდა მმართველები, იქმნებოდა მეტყველება, ლიტერატურა, ინდუსტრია; სიყვარული, ვნებათაღელვა, ილუზიები, გრძნობები ამშვენიერებდნენ, ასახიერებდნენ მიწა-წყალს, მინდორ-ველებს, ქალაქებსა და სოფლებს; იყო ეგვიპტე ფარაონებით, მოგვებით, სფინქსებით, წვერადებით, იდეალებით; ელადა თავისი მშვენიერი ღმერთებით, ტრაგედიული მითებით და ლამაზი განცდებით; რომი ძლევამოსილი გაშლილობით და გამბედაობით, ორატორებით და იმპერატორებით. იყვნენ და აღარ არიან? — დარჩა არსებობისა და დიდების ნანგრევები, მოწყენილი, დაღრეჯილი, დარჩა ისტორიული თქმები, დებულებები ვარგისნი მხოლოდ გიმნაზიური მჭევრმეტყველებისთვის. საუკუნეები გაივლიან და ეს თქმებიც აღარ იქნებიან — სხვა საქმეები, სხვა დროის ლეგენდები დაიკავებენ მათ ადგილს"[3]. დავიწყების მტვერი ფარავს ყოველივეს, რაც თავადაც მტვრად და ფერფლად ქცეულა და რა აზრი

---

[1] კ. კაპანელი, სული და იდეა, გვ. 81.
[2] იქვე, გვ. 81—82.
[3] იქვე, გვ. 82.

შეიძლება ჰქონდეს აყვავების გადასვლას ფერფლში? სიცოცხლისას სიკვდილში? ნუთუ იმისთვის ცხოვრობდა ერი თუ კულტურა, რომ სიკვდილით დაეშთაერებინა არსებობა? რატომ იყო შემოქმედება, თუ მისი ბოლო არარაობა იქნებოდა? აი კითხვები, რომლებზეც პასუხი ამტკიცებინებს ავტორს, რომ ისტორია უსაზრისოა. იქნებ უკეთესი მდგომარეობა ინდივიდუალურ არსებობას აქვს და შეიძლება მისი საზრისიანობის მტკიცება? ინდივიდი ხომ თავისი განუმეორებელი გრძნობებით და ინტელექტით, განცდებით და ემოციებით ამშვენებს ამა თუ იმ ეპოქას, ერს... მაგრამ მისი ბედიც ისეთივეა, როგორიც კულტურის. მისი შემოქმედების, უკვდავების მოჩვენებითობის მიუხედავად მასაც საბოლოოდ დავიწყება და სიკვდილი უწერია. „ვის ახსოვს დღეს რომელიმე ძველი ელინის თავის ქალა თავისი ლამაზი იდეალებითა და ოცნებებით? საუკუნეთა წვიმები და გეოლოგიური ნაკეცები ფარავენ ინდივიდუალურ ვინაობას, მის კეთილშობილ განცდებსა და მისტიკურ შორეულობაში გააზრებულ ლანდებს“. ყოველ ინდივიდს თავისი სამყაროს მსოფლჭვრეტა გააჩნია, მაგრამ ეს სამყაროც და მსოფლჭვრეტაც წარმავალია მასთან ერთად. წარმავლობის სევდა მოიცავს ყოველივეს და ერთნაირად განგვაცდევინებს როგორც სოციალური, ისე ინდივიდის ყოფიერების უსაზრისობას. კაპანელის ეს ნაზრევი ეხმიანება არა მარტო ევროპელ მოაზროვნეთა პრობლემებს და ფიქრებს, არამედ ის ქართული პოეზიითაც არის ნასაზრდოები. პოეზია და ფილოსოფია, ჰაიდეგერის აზრით, ერთნაირად სვამს ყოფიერების საზრისის პრობლემას და ეს ქართულ პოეზიასაც ისევე ეხება, როგორც ევროპულს. კაპანელი, რომელიც თავის ფილოსოფოსობას იწყებს ქართული პოეზიის მოტივების გააზრებით, ვაჟასა და ბარათაშვილის გენიალობას ხედავს ყოფიერების პრობლემის დასმასა და გააზრებაში. ეხმიანება გალაკტიონისა და გრანელის პოეზიის მოტივებს, და ამას ფილოსოფიით ცდილობს. გასაკვირი არაა, თუ კაპანელი ემსგავსება გალაკტიონის მესაფლავეს, რომლისთვისაც ყველაფერი დავიწყებას ეძლევა. გალაკტიონი თითქოს არ ეთანხმება მესაფლავის მტკიცებას, რომ „ქვეყანაზე ვინც კი კვდება, იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება“, მაგრამ, ყოფიერების ცვალებადობის და წარმავლობის გავლენით დავიწყების აბსოლუტურობაში დარწმუნებული, კაპანელივით უაზროდ მიიჩნევს ისტორიულ თუ ინდივიდუალურ მეხსიერებას, რომელსაც არაფრის შეცვლა არ შეუძლია:

„განისვენეთ, განისვენეთ დავიწყებულ არსთა ძვლებო...
თქვენს ყოფნაში არ ერევა ცოცხალთ ფიქრი საარსებო...
განისვენეთ, ძლიერი და უკვდავია თქვენი ძილი...
რაღად უნდათ, რად სპირიათ თქვენს საფლავებს ვარდ-ყვავილი?
ან რას გარგებთ მოკვდავ კაცთა სამუდამო ცრემლთა ფრქვევა?
ძილით ვეღარ გამოგარკვევთ ვერრა ძალა, ვერც შემთხვევა...
ასე ხდება ქვეყანაზე — ყველა ცოცხლობს, ყველა კვდება,
და ვაი მას, ვის სიკვდილი სიცოცხლეშივ ავიწყდება..."

კაპანელი სწორედ იმათგანია, ვისაც სიკვდილი არ ავიწყდება და მთელი სიცოცხლე აწუხებს სიკვდილის პრობლემა. ის ცდილობს, უპასუხოს კითხვას ყოფიერების საზრისზე სიკვდილთან შეთანაზომებით, საზრისის პრობლემა სიკვდილის თვალსაწიერში თუ განზომილებაში დაიწასოს. ამ კუთხით უდგება ის საკითხს და გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ არარაობის წინაშე ვერ ხედავს საზრისს. მისთვის რელიგიური გზა გამორიცხულია, მკვდრეთით აღდგომა არ სწამს, სიკვდილი საბოლოო წერტილია. ამიტომ სვამს კითხვას — რისთვისაა საჭირო კულტურა, შემოქმედება. იგი აკრიტიკებს ბერდიაევს რწმენისათვის და უკვირს, რისთვის სწამს და რა უნდა სწამდეს. კაპანელი ხელმძღვანელობს „მერანის" ავტორის და ცისფერყანწელების მოტივებით. შემთხვევითი არ იყო, რომ კაპანელმა მონოგრაფია დაწერა გალაკტიონზე — აჩრდილივით გასდევს მის ნააზრევს მოტივები გალაკტიონის პოეზიისა, გალაკტიონისა, რომელსაც ღრმად ჰქონდა გააზრებული ყოფიერების უსაზრისობა და ყოველთვის აწუხებდა კითხვა — „საით" და „რისთვის?" გავიხსენოთ ადგილები მისი ლექსიდან — „რისთვის?":

„გამომაფხიზლა იმავ დემონმა
იმავ ფიქრისთვის, იმავ კვნესისთვის,
მან ჩემს თვალებში ამოიკითხა
საბედისწერო — რისთვისო, რისთვის?"
მას აქეთია მე ჯოჯოხეთს სულით ვატარებ,
მას აქეთია ვცოცხლობ მხოლოდ დემონთა ცისთვის,
ღამეს ვათენებ და დღის ციმციმს ისევ ვაღამებ,
თავში კი ისევ მიტრიალებს: „რად ვცოცხლობ, რისთვის?"

სწორედ ეს კითხვა — „სიცოცხლე რისთვის?" — განსაზღვრავს კაპანელის ნაზრევს და უპასუხებს მას მესაფლავის სულისკვეთებით: „დაკარგული ვართ უფსკრულში; სადღაც, ვქანაობთ, ვირყევით, ვღელავთ, იმედებში ვართ და იმედებით ვიღუპებით, ვიგონებთ სქოლიებ-

სა და კატეგორიებს, ჩვენს ილუზიებში შექმნილ კერპებს ვემორჩილებით, ვთვრებით იდეებით, როგორც ალკოჰოლით და ბოლოს კერპებსაც და იდეებსაც ვიცვლით, როგორც ტანისამოსს.

ჩვენს „მე"-ს ჩვენვე ვკლავთ და სიახლის მაცდურ დაპირებებში ვებრძვით დამტკიცებულსა და მიღებულს...“[1].

კაპანელი სულით პოეტია და მხატვრული სიტყვა მისი განაზრების მუდმივი თანამგზავრი. თავისებური მხატვრული სიტყვაა „საღამოს“, რომელშიც ჩვეული ენაწყლიანობით ხატოვნად წარმოგვიდგენს მისთვის ძვირფას „წარმავლობის სევდას“, მასში გამოთქმული იდეები ახლოა ტერენტი გრანელის პოეტურ სტრიქონებთან ეტიუდში—„სიკვდილის შემდეგ“. ორივეს ერთი მოტივი ამოძრავებს — „memento mori“, სიკვდილის დავიწყება ორივესთვის მიუტევებელია, ხოლო მის გააზრებას ორივე უნუგეშობამდე მიყავს:

„ქარი ქრის, წყალი მიდის, ბრუნავს უაზროდ წუთისოფელი;

ეგრე იყო, ეგრე იქნება, მაგრამ რაც იყო, აღარ არის; რაც არის, აღარ განმეორდება.

გრძნობ თუ არა, ადამიანო, სევდას მარტოობის და წარმავლობისას?

გრძნობ თუ არა, როგორ იკარგება შენი სახეობა დაუსრულებელ ძალთა და სახეთა მდინარებაში?...

ჩვენ არ ვიყავით წუთისოფლად, ვართ და აღარ ვიქნებით: მარადობა წარსულში, ესე იგი ბნელი და თვალგადაუწვდენელი უფსკრული; მარადობა მომავალში, ესე იგი, ისევ ბნელი და თვალგადაუწვდენელი უფსკრული.

ყველაფერი ამაოება და უაზრო მოქანცულობაა, მოქანცულობა დაუსრულებელი. ხრწნა და დავიწყება წუთისოფლად ყველაფრის ბედია.

ქრება სიყმაწვილე, სურვილები, თითების მწველი, ნელდებიან; კეთილშობილი ზრახვანი გულისა და სულის აღარ განმეორდებიან და მოგონებანი იმისა, რაც იყო, დიდხანს ჩვენთან აღარ დარჩებიან.

არ არსებობს წუთისოფლად არც ერთი ღირებულება: მეგობრობა, ნათესაობა, საზოგადოება, სიყვარული, თანაგრძნობა — ყველაფერი მოტყუებაა: არ არის ქვეყნად ისეთი ადგილი, სადაც წმინდასა და კეთილშობილ სულს შეეძლოს დასვენება სიყვარულისა და მიმზიდველობის

---

[1] კ. კაპანელი, სული და იდეა, გვ. 82.

მახლობლად — ადამიანი მარტოა: მას გარსშემოერტყმის პლანეტარული სიცივე, კულტურული ფარისევლობა და უმწეობა"[1].

კაპანელის და გრანელის განაზრებანი პარალელებს ქმნიან. ყველაფერი, რასაც კაპანელი გაიაზრებს ინდივიდებისა და სოციალური სუბიექტების მიმართ, გრანელს განცდილი აქვს საკუთარი ყოფიერების ტრაგიზმის, მისი მსხვრევადობის სახით: „დადგება ზამთარი... მოკვდები ღამით გათენებისას, როდესაც გარეთ იქნება ზამთრის გაცივებული მთვარე და ყინვა... ასე გათავდება სინათლე, გაქრებიან მოგონების წამები. გადავეცემი სიკვდილის მდუმარე ხელებს... ჩემი წამებული სხეული შეუერთდება მსოფლიო ელემენტებს... მოვა უიმედობა... ჩემს სხეულს ნელა ჩაუშვებენ სამარეში... და პირველ მიწას სახეზე მომაყრის ვინმე უხეში მესაფლავე... კუბოს ფიცარზე შეწყდება უკანასკნელი გუგუნი მიწის და ქვების. პროცესია დაიშლება. მე და სიჩუმე დავრჩებით მარტო... ის სოფელი, სადაც დავიბადე, დაემსგავსება უდაბნოს... ასე გაივლიან საუკუნეები. ჩემს საფლავს დაადგება მზე შორეულ რიცხვის. ჩემ მიერ უხილავ საღამოს ბინდი დაფარავს მივიწყებულ ლოდებს და ჩემი საფლავიც შეიმოსება სიბნელით. წამოვა წვიმა, ქარიშხალი, და მოწყენილ საფლავზე დამაყრის ყვითელ ფოთლებს. ასე დროთა შავი წვეთებით დახავსდება ჩემი სამარე, ზედ წამოიზრდება ბალახი... დილაადრიან უიმედოდ იკივლებენ ორთქლმავლები. მოვა კვირადღე და ჩემ ახლოს დარეკავენ ზარებს, აანთებენ სანთლებს. დაიღლებიან ხელაპყრობილი მლოცველები. წირვა გათავდება. საყდარს დაკეტავენ, ხატები დამწყვდეული ტუსაღებივით დარჩებიან შიგ და სასაფლაოს ჩხავილით გადაუფრენს ყვავი. გაქრება თვალები, რომელზედაც ესვენა თბილისის ღამეები მძიმე ლოდებივით. და ჩემი სამარის სამუდამო დარაჯი იქნება ჩემი უნაზესი და — სიჩუმე"[2].

გალაკტიონიც და გრანელიც ლაპარაკობენ სიკვდილზე, როგორც ჩვენი ყოფიერების მუდმივ თანამგზავრზე. იმავეს ფიქრობს კაპანელი და ამ საზომით უდგება ყოველივე არსებულს — სიკვდილის წინამე ყველაფერი უაზრო ჩანს, რადგან „სიკვდილის როკვა" ბატონობს ყველაფერზე. სიკვდილის ეს ყოვლისმომცველობა და ყოვლისშემძლეობა, ყველაფრის სიკვდილით დასრულება ხდება არა სიცოცხლის ბოლოს, არამედ დასაწყისშივე. სიკვდილი წარმოშობასთან ერთადაა მოცემუ-

---

[1] ჯ. კ ა პ ა ნ ე ლ ი, სული და იდეა, გვ. 106—107.

[2] ტ. გ რ ა ნ ე ლ ი, რჩეული, თბილისი, 1961, გვ. 258, 259, 260.

ლი. ეს აფიქრებინებს მოაზროვნეს, რომ შეუძლებელია რაიმე იყოს საზრისიანი, რადგან ყველაფერი წარმავალია, მარადიული მხოლოდ სიკვდილია. სიკვდილში კი საზრისის პოვნა შეუძლებელია. ამ თვალთახედვით ებრძვის კაპანელი იმ თეორიებს, რომლებიც ყოფიერების საზრისს ხედავენ განვითარებაში, წინსვლაში, პროგრესში. კაპანელი, ისე როგორც ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში, აქაც ცდილობს იყოს ობიექტური და წარმოაჩინოს ყველა ის მხარე, რაც პროგრესის სასარგებლოდ მეტყველებს — ქალაქების გაშენება, რკინიგზები, ტელეფონები, აკადემიები, სამეცნიერო ლაბორატორიები, ფუფუნების საგნები — ყველაფერი ეს ხომ უნდა იყოს წინსვლის მაჩვენებელი. განა თანამედროვე ცივილიზაცია უფრო მაღლა არ დგას ჩვენს წინაპრებზე, რომლებიც ველურები იყვნენ? ეს და მრავალი მსგავსი ფაქტი პროგრესის დამადასტურებელია... მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით, სინამდვილეში კი, მისი აზრით, პროგრესი არ არსებობს და ამას ის მრავალმხრივად ასაბუთებს: პირველი, რაც პროგრესის უარმყოფელია, არის სახელმწიფოს არსებობა. მისი შექმნის შემდეგ წარმოიშვა უსასრულო ომების სერია. ომის დროს ფრონტზე იხოცება საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები, ზურგში კი დაავადებულები ამრავლებენ სახელმწიფოს ქვეშევრდომთა მოდგმას. ავადმყოფის შთამომავლობა ისევ დაავადებული იქნება. განა შეიძლება ამაში ვეძიოთ პროგრესი? — კითხულობს კაპანელი. მეორე მაგალითი, რომლის ანალიზით ის უარყოფს პროგრესს, არის ურბანიზაცია. ერისა და სახელმწიფოს წინსვლა, კულტურის დონე, და ღირებულებათა სიმრავლე მით უფრო მეტია, რაც უფრო მეტი ქალაქია მის ტერიტორიაზე, რადგან ქალაქი განათლებისა და კულტურის კერაა, მაგრამ იგივე ქალაქი თავისებური საავადმყოფოცაა, მისი ჰაერი აღსავსეა მიკრობებით და ქალაქის გარემო გაცილებით უფრო მეტად აავადებს ადამიანს. ვიდრე სოფელი. ასე რომ, რაც უფრო მეტი ქალაქია ერის განკარგულებაში, მით უფრო დაავადებულია იგი და ახლოა განადგურებასთან. გაქალაქებას თან სდევს დეგენერაცია — ქალაქი ბუდეა ავადმყოფობისა და ტრაგედიისა. მაშასადამე, ესეც არაა პროგრესის მაჩვენებელი. კაპანელი კიდევ იღებს ერთ სფეროს, სადაც თითქოს პროგრესი უდავო უნდა იყოს — ესაა მეცნიერება და მისი ღირებულება. დღევანდელი ცოდნის დონე ხომ გაცილებით მაღალია, ვიდრე წინა ეპოქების. მაგრამ კაპანელი აგნოსტიციზმზე დამყარებით ამტკიცებს, რომ ჩვენი ცოდნა არაა უფრო მეტი, ვიდრე არისტოტელეს დროს იყო, რადგან იგი მაშინაც და ღღესაც მოჩ-

ვენებითია. საერთოდ არაა არავითარი წყარო, რომელიც გვიჩვენებდა, რომ ჩვენ ნამდვილად ვიცით სამყარო განვითარების რომელიმე საფეხურზე და არა ვართ ილუზიების ტყვეობაში: „რაც უფრო შორს მივდივართ ჩვენს კვლევა-ძიებაში, მით უფრო საშინელია ეს ცხოვრება თითქოს შევდივართ დაუსრულებელ სამხეცეში... სამყაროში ნახევარზე მეტი მიკრობებს ეკუთვნის, პარაზიტები ჩვენში და ჩვენ გარშემო ისე დასეირნობენ, როგორც მეფეები თავიანთ სასახლეებში... მეცნიერს, რომელიც ქვეყნის შემეცნებას ფიქრობს, ხშირად სიცოცხლეს უსპობს უბრალო ტილი, უბრალო ხიწვი. თუ არსებობს ქვეყნად მიზანშეწონილი წინსვლა, თუ არსებობს ბუნებაში პროგრესი, თუ მართლა ბუნების მიზანია კეთილშობილი და უკეთესი ელემენტების გაჩენა, მაშინ რა საჭიროა ადამიანის შემდეგ პარაზიტების წარმოშობა?"[1] მისი აზრით, სამყაროში იმდენი უაზრობაა, რომ პროგრესის იდეა დაემსგავსა ზღაპარს, რომელიც ადამიანმა გამოიგონა თავისი უნუგეშო მდგომარეობის შესამსუბუქებლად. თუ შპენგლერი კულტურებს მიიჩნევდა იზოლირებულ, თავისთავში ჩაკეტილ ერთეულებად, უარყოფდა კულტურათა მემკვიდრეობას და ამით პროგრესსაც, კაპანელი ფიქრობს, რომ პროგრესის უარსაყოფად სულაც არაა საჭირო კულტურათა მემკვიდრეობის უარყოფა. ყოველი კულტურის ელემენტები შეიძლება შედიოდეს სხვა კულტურაში, როგორც ბაბილონელების ასტრონომიული წარმოდგენანი და ელინების მსოფლმხედველობა ევროპულ კულტურაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პროგრესი არსებობს, რადგან ყოველი კულტურა კარგავს თავის სახეს. სამყაროში არაფერი არაა აუცილებელი, ყველაფერი შემთხვევითობას ექვემდებარება. ამიტომ „ისტორია არის შემთხვევითობათა გაქანების პროცესი, შემთხვევითობების კოლოსალური რყევა. ამ დაუსრულებელ რყევასა და გაქანებაში არ არის შესვენება; არის ქარიშხალი, ხეტიალი, გარდაქმნა, სახეცვლილება, ადამიანები; მათი კულტურა, ცივილიზაციური ღირებულებანი, საუკუნეები, აკადემიები, დიდი ქალაქები, საყოველთაო მარადიული ხეტიალის დროითი, შემთხვევითი ფორმებია"[2]. იგი ასურათებს თანამედროვე ცივილიზაციას თავისი ტექნიკური მიღწევებითა და დაპყრობილი სივრცეებით, მანქანებით, ხომალდებით და თვითმფრინავებით. ყოველივე ამით ადამიანი ცდილობს იბატონოს მიწასა, წყალსა და

---

[1] კ. კ ა პ ა ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

[2] იქვე, გვ. 92.

ჰაერში. ამის მიუხედავად „უკუღმართ წუთისოფელში ადამიანი დღესაც ისე უბედური და საცოდავია, როგორც პრეისტორიულ ეპოქაში. შიში და აგონია დღესაც სწვავენ ადამიანის ნერვებს, უსამართლობა და წინააღმდეგობა დღესაც კლავენ ადამიანის ნებისყოფას. თუ ტროგლოდიტს ეშინოდა მხეცებისა და გველების, დღევანდელ ადამიანს მიკრობებისა და ტილების ეშინია. ნიუტონებსა და პასკალებს ბუნება ისე ხოცავს და ამრავლებს, როგორც მორიელებსა და ჰონოკოკებს"[1]. ერები და ხალხები, კულტურები და სახელმწიფოები არარაობიდან გამოდიან და არარაობას უბრუნდებიან, გზას არარაობიდან არარაობამდე არ შეიძლება პროგრესი ეწოდოს.

თითქოს კაპანელის საბოლოო სიტყვა ნათქვამია, — ისტორია და ინდივიდუალური ყოფიერება უსაზრისოა, — მაგრამ კაპანელის ნააზრევში არის მომენტები, რომლებიც შეუძლებელს ხდიან ამ უსაზრისობის პოზიციის პრინციპულობას. ყოველ შემთხვევაში კაპანელის შემეცნების თეორიული საწყისებიდან თუ ამოვალთ, მისთვის ისტორიის უსაზრისობის მტკიცება შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, რადგან ისტორიის საზრისიანობის თუ უსაზრისობის თეორია ერთნაირად ემყარება ისტორიული პროცესისა და თვით საზრისიანობის პრობლემის შემეცნების შესაძლებლობას, მაშინ როდესაც კაპანელი უარყოფს ამ შესაძლებლობას. იგი ყოველგვარ შემეცნებას ილუზიად აცხადებს და კითხვა ისმის, თუ შემეცნება ილუზიაა, რატომ არ ვრცელდება ეს ილუზიურობა ისტორიის უსაზრისობის შემეცნებაზე? არა მარტო ზოგადგნოსეოლოგიური, არამედ კონკრეტულად საზრისის საკითხის გადაწყვეტის პოზიციაც მასთან აგნოსტიკურია: „ცხოვრების აზრი და მიზანი, წუთისოფლის და სამყაროს დასაწყისი და ბოლო, თვით ადამიანის სიცოცხლე, ძიება, შემოქმედება, იდეალები, ოცნებები, სიყვარული, ტრფობა, — ყველაფერი, რაც შეადგენს ადამიანის სიამაყეს, ყველაფერი, რითაც ადამიანი ამშვენებს თავისთავს — განა არ არის მოცული მარადიული საიდუმლოებით? განა ვიცით ჩვენ, რა ასულდგმულებს საგანს, ნივთიერებას? განა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ცოდნა დღეს უფრო ღრმაა, უფრო შინაარსიანი ვიდრე ძველად? განა ცხოვრების აზრი დღეს უფრო კარგად და ნათლად გვაქვს დასაბუთული, ვიდრე არისტოტელეს და პლატონის დროს იყო?

მართალია, საუკუნეთა განმავლობაში ჩვენ შევიძინეთ დიდძალი

---

[1] კ. კაპანელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 94—95.

მასალა; ბევრი რამ ვიცით დღეს ისეთი, რაც უწინ არ ვიცოდით და რის ცოდნა საჭირო იყო, მაგრამ ცხოვრების აზრი და სიღრმე მაინც ვერ შევისწავლეთ: ის, რაც ჩვენ ვიცით, შეეხება მხოლოდ ცხოვრების გარეგნობას, ნივთიერ ძალთა განაწილებას, საერთო მოძრაობის მექანიკას; თუ რა ასულდგმულებს ამ მოძრაობას, ან რა მიზანი აქვს მას, ჩვენ ეს არ ვიცით"[1]. ცხოვრების აზრის გაგების, მასში შეჭრის შეუძლებლობა, როგორ უნდა შევათავსოთ ცხოვრების უსაზრისობის მტკიცებასთან? „არსებობის ქარი მიქრის და მიეჩქარება ადამიანს, მცენარეს, პირუტყვს — ყველაფერს შემთხვევა ათამაშებს, რაც იყო, აღარ არის, რაც არის, აღარ იქნება. ლეგენდები და თქმულებები დარჩება: ბოლოს ლეგენდებსაც დაივიწყებენ, ხსენებაც არ იქნება.

სივრცეს, პლანეტებს, ზესკნელს, გარესკნელს ჩვენი წვალება, უმიზნო განგაში და ტკივილები არ აწუხებთ. ჩვენ სადღაც უპატრონოდ ვართ დაკარგული და არავის ვეცოდებით.

შემთხვევა გვათამაშებს ყოველ წუთს: შემთხვევა ქუჩაში, შემთხვევა რკინიგზაზე, შემთხვევა ზღვაზე, შემთხვევა ჭამის დროს, შემთხვევა წყლის სმისას, შემთხვევა დღით, შემთხვევა ღამით — წუთისოფელი შემთხვევათა შეუწყვეტელი დენაა"[2].

კაპანელი ილაშქრებს ლოგიკის წინააღმდეგ, მაგრამ ეს არ ამართლებს წინააღმდეგობას მის ნააზრევში: თუ არ შეიძლება ვიცოდეთ ცხოვრებისა და ისტორიის საზრისის არსებობა, როგორ შეგვიძლია ამ საკითხის გადაწყვეტა დადებითად ან უარყოფითად. ისტორიის მიმართ აგნოსტიკური პოზიცია გამორიცხავს საზრისის საკითხის გადაწყვეტას, რადგან ეს გადაწყვეტა შემეცნების შესაძლებლობას უნდა ემყარებოდეს. ამავე დროს, კაპანელის აგნოსტიციზმი მისი ნიჰილიზმის ერთ-ერთი ძირეული მომენტია, მეცნიერების გაუფასურების მტკიცების საფუძველია და თუ ამ პრინციპს უარყოფს, უნდა აღიაროს მეცნიერების ღირებულება. კაპანელი ორივე ურთიერთსაწინააღმდეგო პრინციპს ემყარება. ბუნებრივად ისმის კითხვა — თუ შემეცნება ილუზიაა, რატომ არაა კაპანელისეული ყოფიერების უსაზრისობის შემეცნება ილუზია, რატომ უნდა ჩავთვალოთ ის ჭეშმარიტებად. ეს წინააღმდეგობა კაპანელთან ერთად ახასიათებს ყველას, ვინც აგნოსტიციზმიდან ამოსვლით ამტკიცებს უსაზრისობას. ამ წინააღმდეგობის გადალახვა

---

[1] კ. კ ა პ ა ნ ე ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 113.

[2] იქვე, გვ. 101.

შეუძლებელია ერთ-ერთი პრინციპის უარყოფის გარეშე. ამ ნააზრევში სხვა სახის წინააღმდეგობანიც არსებობს — კაპანელი ამტკიცებს ინდივიდუალური და სოციალური ყოფიერების უსაზრისობას, მაგრამ აუხსნელია, თუ უსაზრისოა, რატომ უნდა იარსებოს; თუ არსებობას არა აქვს საზრისი, მაშინ სიკვდილში უნდა ხედავდეს მას, მაგრამ კაპანელი არ იზიარებს მოსაზრებას, რომ ადამიანი არ უნდა გაჩნდეს და თუ გაჩნდება, ადრე უნდა მოისპოს. პირიქით, ის ადამიანს მოუწოდებს გარკვეული ღირებულებებისაკენ: ნუ იქნები „ეგრე შურიანი და ბოროტი, შეიყვარე და შეიგრძენი არსი ყოველი, შეუერთე სული შენი სიცოცხლის მოძრაობას, ბალახების სუნთქვას და მდინარეების აორთქლებას“[1]. თუ ყველაფერი უსაზრისოა, რატომ მოუწოდებს კაპანელი ადამიანს იმას, რასაც ვაჟა-ფშაველა, ალბერტ შვეიცერი და ყველა სიცოცხლის მგოსანი ქადაგებდა — სიცოცხლისადმი მოწიწებას, მისი ყველა ფორმის ხელყოფის შეუძლებლობას. ბიბლიის ერთ-ერთმა გმირმა დაწყევლა ადამიანის გაჩენის დღე: „წარწყმედინ დღე იგი, რომელსა ვიშევ და ღამე იგი, რომელსა ითქვა: წული არს“ და მწერალმა ჯერალდ გორდონმა, ეს სიტყვები — „ის დღე დაიქცეს“ — აქცია თავისი რომანი-ტრაგედიის სათაურად, მაგრამ კაპანელი სულაც არ ადგას ამ გზას — ის მოუწოდებს ადამიანებს სიცოცხლისაკენ, მორალური ნორმებისა და ჭეშმარიტების შემეცნების გარეშე თავიანთ ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილების გზით, ყოველგვარი „ტაბუსა და ტოტემის“ გარეშე. თუ ასეთი სიცოცხლისაკენ მოუწოდებს, ალბათ იმიტომ, რომ ეს მიაჩნია საზრისიანად, თორემ სხვაგვარად რა მნიშვნელობა ექნებოდა ასეთ ყოფასაც? კაპანელი ქმნის თეორიას, აკრიტიკებს მოწინააღმდეგეებს, ეძიებს საზრისის პრობლემაზე გარკვეულ პასუხს. რა მნიშვნელობა აქვს ყოველივე ამას? — თუ ყველაფერი უსაზრისოა, რატომ არ ავრცელებს ის უსაზრისობას მის ყოფიერებასა და საქმიანობაზე, რატომ არ დაუსვა წერტილი მან ყოველივეს, რის მიმართაც შეეძლო ამის გაკეთება, როცა გაიგო, რომ ყოველივე უსაზრისოა? აქ ისეთივე აბორია იქმნება, როგორც „ცრუს შემთხვევაში“. თუ დებულება საყოველთაოა, ის უნდა ვრცელდებოდეს მის გამომთქმელზეც. ისე როგორც ცრუს მტკიცება, რომ ის ცრუა — თუ სიცრუეა, მაშინ შეუძლებელია ის ცრუ იყოს, თუ ჭეშმარიტებაა მაშინაც არ იქნება ცრუ. მტკიცება უსაზრისობის შესახებ თვით

---

[1] კ. კ ა პ ა ნ ე ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 106.

ამ მტკიცებაზეც უნდა ვრცელდებოდეს. თუ არ ვრცელდება, ე. ი. საზრისი მაინც არსებობს. მართალია, ამ არგუმენტზეც აქვთ უსაზრისობის მომხრეებს გარკვეული პასუხი. თუ უსაზრისობა უნდა დამტკიცდეს იმით, რომ თვითმკვლელობით დავამთავრებთ სიცოცხლეს, გამოვა, რომ თვითმკვლელობას ჰქონია საზრისი. — ყოველ შემთხვევაში, კაპანელი ერთ მიმართებაში მაინც ეძებს საზრისს — ეს არის განცდათა სამყარო. მისი აზრით, ადამიანი გარემოსთან ოთხი სახის მიმართებაში იმყოფება, ესენია: ფიზიკური, ლოგიკური, მორალური და ესთეტიკური. პირველი გამოხატავს ორგანულ მდგომარეობას, მეორე — გონებით ხელმძღვანელობას, მესამე — ნებისყოფის ყოფიერებას, საზოგადოების ჩვეულებებს და მეოთხე — ინდივიდუალურ გემოვნებასა და სულიერ წყობას. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი გრძნობაა, მისი განშტოებებია ნებისყოფა და ინტელექტი. გრძნობა „უხვი, ლაღი, ძლიერი, მახვილი და გამბედავია. მგრძნობიარე ადამიანი ყოველთვის გრძნობისა და კეთილშობილების კარებთან დგას"[1]. გრძნობა აძლევს კულტურას სახესა და ინდივიდუალობას. გრძნობაში განიცდება მშვენიერება, როგორც ესთეტიკური იდეალი. „ცივილიზაციას, მეცნიერებას, მეტყველებას აქვს მხოლოდ ესთეტიკური მნიშვნელობა"[2]. კაპანელის მტკიცებით, მთელი სამყარო რღვევისა და ცვალებადობის რიტმს ემორჩილება. წელიწადის დრონი, დღე და ღამე, სითბო და სიცივე, სიკვდილი და სიცოცხლე, სიკეთე და ბოროტება რიტმებია. კაპანელი, რომელიც იდეალებს უარყოფდა, ესთეტიკურ იდეალს უტოვებს ადგილს — თუმცა არაყოველგვარ ესთეტიკურს. სამი სახის ესთეტიკური იდეალიდან — იდეათა ესთეტიკა (პლატონი), ინტელექტის ესთეტიკა (კანტი); სოციალური სიმპათიის ესთეტიკა (გიუიო) — კაპანელი მხოლოდ მესამეს ანიჭებს მნიშვნელობას, რადგან გიუიო ხელოვნებას განიხილავს ბიოდინამიკური და სოციალური აზრით. კაპანელის მტკიცებით, მეცნიერებაც ხელოვნების სახეობაა. ყველაფერი გრძნობაზეა დამოკიდებული. მშვენიერება თავისთავად კი არაა, ის მიმართებაში იქმნება და გრძნობას ეძლევა. ამიტომ ესთეტიკა კულტურის ყველაზე სრული გამოხატულებაა. ეს ესთეტიზმი დამახასიათებელია „სიცოცხლის ფილოსოფიის" სხვა წარმომადგენლებისთვისაც, მაგრამ იგი სწორედ ყოფიერების უსაზრისობის მტკიცების საპირისპიროა. მაშასადამე,

---

[1] კ. კ ა პ ა ნ ე ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 51.

[2] იქვე, გვ. 53.

კელაე წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე, რომელიც გადაუჭრელია ამ თეორიის ფარგლებში.

ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა კაპანელის მსოფლმხედველობის განვითარება მისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში. მას შემდეგ, რაც მან სულიერი მამა იპოვა ნიცშეში, სცადა, მისგან ამოსვლით კოსმიზმისა და ორგანოტროპიზმის მიმართულებით განევითარებინა თავისი მსოფლმხედველობა. რასაკვირველია, მოაზროვნის მსოფლმხედველობის დახასიათება მოითხოვს მისი პოზიციის გარკვევას, არა მარტო ინდივიდუალური და სოციალური ყოფიერების, არა მარტო მეცნიერების, და კულტურის მიმართ, არამედ სხვა მომენტების მიმართაც. ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვეძლო განგვეხილა კაპანელის შეხედულება ქალზე, ოჯახსა და სიყვარულზე, ქართველის ტიპზე. მისი ცდა, გაეაზრებინა ქართველი კაცის ფსიქოლოგია — ეს აუცილებელი იყო თუნდაც იმის გამო, რომ მას ბევრი გაუგებრობა მოჰყვა კაპანელის ცხოვრებაში, მაგრამ ჩვენ შემოვიფარგლეთ კაპანელის ნააზრევის მხოლოდ იმ მომენტებით, რომელთაც თეორიული მსოფლმხედველობისთვის აქვთ მნიშვნელობა — ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური, სოციალურ-კულტურული და ყოფიერების საზრისისეული პრობლემებით. ყველაფერი ზემოაღნიშნული კაპანელის აზროვნებაში ძიების შემდგომ პირველ არსებით პერიოდს ეკუთვნის — ორივე მონოგრაფია ამ პერიოდის კუთვნილებაა.

კაპანელის ნააზრევმა ქართულ პრესაში მნიშვნელოვანი გამოხმაურება და მხარდაჭერა პოვა. განსაკუთრებით ფართოდ გამოეხმაურა პრესა ნაშრომს — „სული და იდეა". აი ზოგიერთი ადგილი ამ წიგნის შესახებ პრესიდან:

ჟურნალი — „ი ლ ი ო ნ ი", № 6, 1923.

„ეს წიგნი ეხება ფილოსოფიურ და ესთეტიკურ საკითხებს. ორი მხრითაა ამ წიგნის გამოსვლა ფრიად საყურადღებო: დღეს წიგნის გამოცემა საერთოდ დიდ სიძნელესთანაა დაკავშირებული. პატარა ბროშურებმა, უდღეურმა ესკიზებმა და მინიატურებმა აგერ ათ წელზე მეტია, რაც სერიოზული წიგნის ადგილი დაიკავეს. საქართველოში მოდაში შემოვიდა ამ უკანასკნელ ხანებში „შტებირ ჰალ ეიბის" სტილი მწერლობაში. დილეტანტ მკითხველსა და დილეტანტ მწერალსაც აკმაყოფილებს ეს საშინელი ალტენბერგიზმი ლიტერატურაში. კაპანელის წიგნი იშვიათი გამონაკლისია ამ მხრივ. მეორეს მხრივ კაპანელის წიგნი უფრო საყურადღებოა. უპირველესი შთაბეჭდილება, რომელსაც

„სული და იდეა“-ს წაკითხვიდან იღებს ადამიანი, ეს არის მისი პრობლემატურობა. ცხადია ავტორს ეტყობა, რომ იგი კულტურული პრობლემების ორბიტშია მოქცეული. ღრმა პრობლემებზე ფიქრი არ უყვარს არც ქართველ მკითხველს და არც ქართველ მწერალს. კ. კაპანელის წიგნში ფრიად ორიგინალური და თავისებური იდეებია გაბნეული“.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ჟურნალი „კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი“ (№ 2—3, 1923 წ.) ასე ახასიათებს კ. კაპანელს:

„კ. კაპანელის მსოფლმხედველობა ბევრგან მატერიალიზმს უახლოვდება. სულისა და იდეის პრობლემა, რომელიც აღძრულია მისი წიგნით, ასეთ გაშუქებას ღებულობს:

კ. კაპანელის აზრით, სული ისეთივე თვისებაა მატერიისა — როგორც რადიუმი, ელექტრონი და მაგნიტი: ზედროული და ტრანსცენდენტური არსობა სულს არა აქვს. სამყაროს ყოველ კუთხეში მატერია განიცდის ერთგვარ წვას ობიექტური პირობების მიხედვით; ყველგან მყარდება ერთგვარი ურთიერთობა სხეულსა და მდგომარეობას შორის. მდგომარეობა ახდენს გავლენას სხეულზე, სხეული კი ავტომატურად ინახავს მდგომარეობის გავლენას თავის ატომურ-იონურ წყობაში როგორც „ბიოლოგიურ მეხსიერებას“.

კ. კაპანელი ამ ურთიერთობას მატერიისა და მოჩვენებითი „სულისას“ ნათლავს „ორგანოტროპიზმის“ სახელით. შემოქმედების ყოველი ფორმა — მეცნიერება, ხელოვნება, რელიგია ორგანოტროპიზმის ნაყოფია; არსებობისათვის ბრძოლაში ყოველი ტანი ეგუება პირობებს, და სული არის ამ ტანის რეფლექსი კუთხური საჭიროებისათვის; მდგომარეობა აღიზიანებს და აწვალებს მატერიას, შედეგი ამისა არის რეფლექსური მოვლენა, რომელსაც ჩვენ ვეძახით სულს. მატერია თავისთავად არსებობს იმდენად, რამდენადაც მატერიაში აისახება რეფლექსი წვალებისა და განცდის.

მატერიას აქვს მარადისობა მინიჭებული, ხოლო დაჯგუფება მატერიალური ელემენტებისა დროულია ყოველ მიწა-წყალზე. ისტორიაში არ არსებობს ჰეგელისებური სწორხაზოვანი გაქანება იდეისა, პროგრესის საკითხი კუთხური ყოფის საკითხია: ყოველ მიწა-წყალზე ყოველ ხალხს აქვს თავისი კულტურული და ცივილიზაციური ინდივიდუალობა სრულებით დამთავრებული; ყოველ ეპოქას აქვს თავის სული და სტილი და არავითარი აბსოლუტური მიზნები ისტორიისა არ არსებობენ. კ. კაპანელი ცდილობს ამ კონცეფციის ილუსტრაცია მოგვცეს ქართული კულტურის მაგალითებზე“.

გაზ. „პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი ბ რ ძ ო ლ ა“ 1923 წ. 20 იანვრის ნომერში წერს: „ქართული ფილოსოფიური აზროვნების აღორძინების საქმეში კ. კაპანელის „სული და იდეა“ უეჭველად მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ფილოსოფიური ლიტერატურით ისეთი ღარიბი კულტურისათვის, როგორიც არის საქართველოს კულტურა, კ. კაპანელის „სული და იდეა“. შეიძლება ითქვას — დაუფასებელ ღირებულებას წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, ვეთანხმებით თუ არა პირადად ჩვენ მასში აღიარებულ ფილოსოფიურ საფუძვლებს.

თითოეული ინტელექტუალური პიროვნება, რომელსაც გათვალისწინებული აქვს ქართული ფილოსოფიური აზროვნების აღორძინების მნიშვნელობა ეროვნული კულტურისათვის, სიხარულით შეხვდება ამ წიგნის გამოქვეყნებას“.

გაზ. „ტრიბუნა“, № 560, 1923 წ., ორგანოტროპიზმის შესახებ წერს:

„მთელი რიგი საკითხები კ. კაპანელს შპენგლერისებურად აქვს განხილული სრულიად მისგან დამოუკიდებლად. „ყოველივე იდეა perse ორგანოტროპიული, ჯგუფური და ტემპერამენტულია, სამყაროს ერთ კუთხეში რაც ჭეშმარიტებაა, მეორე კუთხეში ის სიყალბეა; რაც ჰოტენტოტისათვის წმინდა და ღვთაებრივია, ის ჩვენთვის საზიზღარია და სასაცილოა; რაც დღეს რომელიმე ერისათვის იდეალია, ის შეიძლება ხვალ სათრეველი და სალაღობო გახდეს“-ო, — წერს კ. კაპანელი.

შპენგლერისათვის არ არსებობს კულტურული ზოგადი, კაცობრიული. ის გვეუბნება: ჩვენ განსაზღვრული ეპოქის შვილები ვართ. „გამონაკლისი ვართ და არა წესი“. რაც არ არსებობდა ინდოელისა და ელინისათვის არსებობს ჩვენთვის, რაც არის, ისიც განსაზღვრულია და „არასოდეს არ განმეორდება მსგავსი კულტურა და მსგავსი ადამიანის ტიპი, რომლისათვისაც „მსოფლიო ისტორია“ არის შინაარსი კოსმოსური ჭვრეტისა“ (Закат Европы, стр. 13).

არ არსებობს მარადიული ჭეშმარიტება (შპენგლერი, გვ. 42).

„შემთხვევათა დაუსრულებელი დენა არის ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ წუთისოფელს, სამყაროს, ყოვლობას“, წერს კ. კაპანელი (გვ. 10).

„მსოფლიო ისტორიაში მე ვხედავ ორგანული ფორმების დაუსრულებელ აღმოცენებას და ცვალებადობას, სასწაულებრივი მყარობადობის და სიკვდილის სურათს“ (შპენგლერი, გვ. 20).

„ირაციონალობა ახასიათებს არსებობის ყოველ წუთს და მოძრაობას“... წერს კაპანელი.

შპენგლერსაც ბედი შეაქვს ისტორიის პროცესში. მისი „ბედისწერა“ ირაციონალური ფენომენია.

კ. კაპანელისათვის „არსებობენ ეპოქები, არ არსებობს ისტორია“; შპენგლერისათვის არსებობენ ეპოქები, არ არსებობს ისტორია, როგორც ორგანული მთლიანობა.

პროგრესი იდეა განხილული ბედნიერების თვალსაზრისით უარყოფითად წყდება კ. კაპანელის მიერ. ასეთივეა შპენგლერის დებულებაც. ადამიანთა ბედნიერება მისთვის სულელური ფრაზაა.

პროგრესი განხილული ბედნიერების თვალსაზრისით სხვა დასკვნას ვერ მიიღებს. ობიექტური აზრის ძიება არსებობის გამართლებისთვის ამაო ხეტიალია, ოპტიმისტური ილუზიაა, ქიმერათა შენებაა.

კანტის აზრით, „ბედნიერება ყველა მოთხოვნათა დაკმაყოფილებაა“. ეს დებულება მართალი რომ იყოს, საჭიროა მოთხოვნილება განსაზღვრული იყოს რაოდენობაში. შესაძლებელი უნდა იყოს ჩვენ სურვილთა მთელი კომპლექსის გამოკვეთა, მისაღწევი უნდა იყოს ყველა მიზანი, ყველა მოთხოვნა, დღეს და ხვალაც არც პირველი, არც მეორე და არც მესამე პირობა არ არსებობს და ვერც იარსებებს. ანდა განა სურვილი იგივე ტანჯვის ფორმა არ არის აღმოცენებული „საჭიროებისაგან, მაშასადამე უკმაყოფილებისაგან და ტანჯვისაგან“ (შოპენჰაუერი, „Мир как воля и представление“, გვ. 372).

ამრიგად, თუ ობიექტურად სიცოცხლეს აზრი არა აქვს, ბედნიერების თვალსაზრისით პროგრესი არ არსებობს. კრიტიკის აზროვნებას ვერ ეუფლება ვერც პოზიტივისტ-ობიექტივისტების კონცეფცია აძვეყნიური კეთილმდგომარეობისა, ვერც მისტიკოს-ობიექტივისტების კონცეფცია ღვთაებისა, სანუგეშო გამოსავალს ვერც ი მ ა ნ ე ნ ტ უ რ ი სუბიექტივისტები იძლევიან, რადგან ეს კონცეფცია გამოუვალი უნუგეშობის შედეგია, რომელიც ობიექტური უაზრობის ნანგრევებიდან დაშვებული სუბიექტურ აზრს ეძებს და „მე“-ს გაღმერთებით სურს საკითხის გადაჭრა.

კ. კაპანელის „წარმავლობის სევდა“ ღრმად განცდილი კოშმარია სიკვდილის პრობლემისა. წარმავლობაში ინთქმება ჩვენი პიროვნება. საუკუნეთა დაუსრულებელი ხეტიალი და კულტურათა ბოდვა ავსებს უსაზღვრო სივრცეს. ჭეშმარიტად მოაზროვნე ადამიანის არსებობისათვის უპირველესი პრობლემაა მისი არარსებობის პრობლემა. „ვერ დაი-

ჭირავს სიკვდილსა გზა ეიწრო, ვერცა კლდოვანი"... ისევ ჭეშმარიტებაა. შეიძლება მართალი იყოს ავგუსტ ვაისმანი და თანამედროვე ბუნებისმეტყველნიც. რომ სიკვდილი არ არის ბუნებრივი მოვლენა, რომ უკვდავება ახასიათებს პლაზმებს და სხვ. მაგრამ, კიდეც მიღწეული რომ იქნეს უკვდავება, ბედნიერების საკითხი ამით არ წყდება. უკვდავი რომ ვიყოთ და ყველა სურვილთა კომპლექსის დაკმაყოფილებაც რომ შესაძლო იყოს, კაცობრიობას ესტუმრებოდა საშინელი სენი, — მოწყენა და იგი მთქნარებაში გაატარებდა უკვდავ არსებობას. გოეთეს, რომელსაც ყველა ბედნიერად თვლიდა, 75 წლის განმავლობაში ოთხი კვირაც სიამოვნებით არ გაუტარებია, როგორც თვითონ აღნიშნავს.

მართალია მაინლენდერი, რომელიც კანტს თვლის უდიდეს ფილოსოფოსად „თავის" შესახებ, ხოლო შოპენჰაუერს უდიდეს ფილოსოფოსად „გულის" შესახებ. არავის ისეთი სიმკაცრით არ გაუნადგურებია ადამიანთა იდეალი, როგორც შოპენჰაუერს, მაგრამ „ბიო-ფსიქიკურ კანონს ვერც იგი გადასცდა—ხოლერიანი ქალაქიდან გაიქცა სიცოცხლის დამგმობი. მამა გახდა ასკეტიზმის აპოლოგეტი, მხოლოდ ფორმალურად დაიცვა ასკეტიზმი და ქორწინებაში არ შესულა.

მართლაც რომ „წუთისოფელი ჩვენი ტანჯვის დემონსტრაციაა და ცივილიზაცია ჩვენი ღელვის აორთქლება".....

საერთოდ საინტერესო, ორიგინალური ნააზრევია კ. კაპანელის შრომა. აქვს გადაჭარბება, უკიდურესობა, რაც გასაგებიც არის, სტილი განსაკუთრებული და მოხდენილია. გამოთქმა ლაკონიური და მხატვრული.

საკითხების ხასიათი და სფერო ფართო ასპარეზს შლის დისკუსიისთვის. სამწუხაროა, რომ ასეთი შრომა ვერ პოულობს სათანადო გამოხმაურებას. ავტორი გვპირდება ახალ გამოკვლევას „ცხოვრება, როგორც ესთეტიკური ფენომენი". აღსანიშნავია, რომ ამ ახლო ხანში რამდენიმე სერიოზული შრომა მოგვცა ჩვენმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ.

ავტორს შემოაქვს ახალი წესი პრობლემის დაყენებისა. არის საკითხების ორიგინალური გადაჭრა. საკვირველი შეხვედრა შპენგლერის კონცეფციებთან.

როგორც აღვნიშნეთ, ასეთი შრომანი უეჭველად კრიტიკული ეპოქის ანარეკლია, შპენგლერის და კაპანელის შრომათა კონცეფციების შეხვედრაც აქ აიხსნება; კრიზისები აზროვნების სფეროში, კრიზისები სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში ნიადაგს აპოხიერებს რელატივის-

ტური და პესიმისტური თეორიებისათვის. ასეთი დიდი ინტერესი საქართველოში ჯერ არც ერთ წიგნს არ გამოუწვევია"[1].

შემდგომი პერიოდი კაპანელის მსოფლმხედველობაში იწყება საქართველოს სოციალურ ცხოვრებაში მომხდარ ძვრებთან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გაბატონებისაკენ მსწრაფ ოფიციალურ მსოფლმხედველობასთან — მარქსიზმთან მიმართების შეცვლით; მარქსიზმის კრიტიკიდან მასთან შეგუების, ორგანოტროპიზმისა და მარქსიზმის გაერთიანების ცდით. ამ პერიოდის ძირითადი ნაშრომია „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები. ორგანოტროპიზმი", (1925), სოლო კაპანელის აზროვნების ძირითადი ტენდენცია მის ნააზრევში სოციალური სინამდვილის ცვლილებათა ასახვის ცდა. ეპოქის მოთხოვნათა გააზრება და მათგან გამომდინარე მსოფლმხედველობრივ თუ ესთეტიკურ ღირებულებათა სოციალური სინამდვილის სამსახურში ჩაყენების მცდელობაა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს კაპანელის მიერ გონითი კრიზისის გაცნობიერება და იმ ფორმით ჩამოყალიბება, როგორადაც ეს ესახებოდათ იმ პერიოდის ევროპელ მოაზროვნეებს: პოლ ვალერის, ოსვალდ შპენგლერს, თომას მანს, პაულ ჰაცარდს და სხვებს. განსაკუთრებით იგრძნობა ამ პერიოდში შპენგლერის დიდი გავლენა და ეს გასაგებიცაა — შპენგლერმა თავისებური აჟიოტაჟი გამოიწვია ევროპულ აზროვნებაში. ამ პერიოდისთვის შპენგლერის ნააზრევი ყველაზე მოდური იყო და ვერც კაპანელი გაექცა მას. თუმცა, მაშინდელი პრესის აზრით, კაპანელი შპენგლერისაგან დამოუკიდებლად მივიდა ანალოგიურ იდეებამდე. მაგრამ ეს არ უნდა იყოს მართალი, რადგან ძალზე დიდია კაპანელის იდეების მსგავსება შპენგლერის იდეებთან, სწორედ მას შემდეგ, რაც შპენგლერის წიგნი გამოვიდა.

პირველი დიდი ნაბიჯი, რომელიც კაპანელმა გადადგა ახალ პერიოდში, იყო კულტურის კრიზისის გაცნობიერება. ღირებულებათა გადაფასების იდეა მან ადრეც წამოაყენა, მაგრამ კულტურის კრიზისი წინა შრომებში ასე ნათლად არ დაუსახავს. „ორგანოტროპიზმში" ამ პრობლემამ გამოკვეთილი სახე მიიღო. კრიზისის მრავალ ნიშანთაგან ერთ-ერთი ძირითადია კულტურის მიერ მანქანური ცივილიზაციის სა-

---

[1] მასალები აღებულია კონსტანტინე კაპანელის „ორგანოტროპიზმზე" გამომცემლობისაგან დართული რეცენზიების ნაწყვეტებიდან, იხ. კ. კ ა პ ა ნ ე ლ ი, „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები", თბ., 1925, დანართი გამომცემლობისაგან „სული და იდეა"-ს გარშემო, ქართული პრესა ორგანოტროპიზმის შესახებ.

ხის მიღება. მანქანური ცივილიზაცია ანიველირებს და უკარგავს მას ყოველგვარ ღირებულებას. ერთეული, ცალკეული ითქვიფება სიჩქარეში, მასაში და მთელი პლანეტა მოუცავს ნეერასთენიას. ინდივიდი გადაგდებული ამ მისთვის უცხო სამყაროში. რომელშიც „ისმის ზანზარი, პლანეტარული და არსებობის ულმობელი ტალღები ამსხვრევენ ინდივიდუალიზმის კუნძულებს", რომელშიც ტრადიციები და ღირებულებანი დამსხვრეულია, მოკლებულია ადამიანურ სახეობას, მასში არ ჩანს თანაგრძნობა, იმდენად, რომ ადამიანს თავისთავი ეცოდება. რომელშიც განსაკუთრებით მწვავედ გრძნობს სული ჩვენი ყოფისა და სურვილების ეფემერობას, ქვეყნიური ჩვევებისა და პრინციპების უაზრობას"[1]. კაპანელის აზრით, ურბანიზაციისა და მანქანური ცივილიზაციის პირობებში, ადამიანი სულ უფრო მეტად განიცდის სამყაროს უსასრულობის შეგრძნებით გამოწვეულ საკუთარი უსუსურობის გამო სევდას, მარტოობას, და სამყაროში გადაგდებულობას: „სამყარო, ფერადი და თვალუწვდენელი, იშლება როგორც დაუსრულებელი ბოგინი შეუცნობელი ღმერთებისა, როგორც უპატრონო საავადმყოფო. მდუმარე სასაფლაო მარტოობის გრძნობით". კაპანელის აზრით, ამ საყოველთაო კრიზისულობის გამოხატვა მხოლოდ ხელოვნებას შეუძლია, მეცნიერება უძლურია გამოხატოს და განგვაცდევინოს კრიზისი. მეცნიერება, რომელსაც თანამედროვე ეპოქაში ყველაზე მაღლა აყენებენ, კაპანელის აზრით, ხელოვნების სახეობაა და გაცილებით უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ლიტერატურა და მუსიკა. მხოლოდ ხელოვნებას შეუძლია გამოხატოს გონის კრიზისი, იგი მას გვაძლევს ინდივიდუალიზმის ტრაგედიის სახით, მაგრამ ეს ტრაგედია საერთო საკაცობრიო და სოციალურია, რადგან „ინდივიდუალიზმი ყოველთვის სოციალური გრძნობებით და იდეალებით საზრდოობს და უაღრესი ინდივიდუალიზმი კოლექტიურ განცდებსა და სურვილებს ატარებს". „თვით უდიდესი ინდივიდუალისტები: ფაუსტი, მანფრედი, რასკოლნიკოვი, ჰამლეტი სოციალური გრძნობებისა და იდეალების, სოციალური განცდების და სურვილების მატარებელნი არიან: ჰამლეტის ტრაგედია მთელი საზოგადოებისა და კაცობრიობის ტრაგედიაა; ჰამლეტის ტკივილები და სასოწარკვეთილება, მისი ექსპერიმენტები და ეჭვები, მისი მელანქოლია და რყევა, მისი სულის განცდათა ქარიშხალი შემთხვევებსა და პლანეტარული უმიზნობის ქაოსში გახვეული, კაცობრიობის

[1] კ. კაპანელი, სოციალური ესთეტიკის საფუძვლები. ორგანოტროპიზმი, თბ. 1925, გვ. 134.

სასოწარკვეთილება და სევდაა: ჰამლეტი სიმბოლოა კოლექტიური უპედურების, სოციალური განცდის. სტიუარტების ოჯახის დაშლა, ლორდი დერნლეის დაღუპვა, ბოსველის ვერაგობა და მუხანათობა სოციალურ-ისტორიული და ფსიქოლოგიურ-სიმბოლური რეალიებია იმ დიდი და საკაცობრიო ტრაგედიისა, რომელსაც „ჰამლეტის" სახელი ჰქვია; ფაუსტის ეგოისტურ გრძნობებში, სულიერ მღელვარებასა და მოქმედებაში არის ჩვენი განცდები და სურვილები, ჩვენი ნდომანი და იდეალები. მანფრედის სასოწარკვეთილებაში ისმის ჩვენი ტანჯვის უკმაყოფილების ხმა, მანფრედის დაღუპულ იმედებში ჩვენ ვხედავთ ჩვენი ცხოვრების მწარე წუთებს, ჩვენს მწვავე გრძნობებს. მანფრედის ტრაგედიული აღმაფრენა იუნგფრაუს მწვერვალებზე, მანფრედის ოცნება კოლიზეის ნანგრევებზე და არწივის სიმბოლური ფრენის ათვალებაში ჩვენი წუთისოფლური სევდის ფილოსოფიაა არსებობის კოშმარულ სასაფლაოზე"[1]. ადამიანის გაუცხოების ნიშნები, რომელნიც მიგელ დე უნამუნომ და იოზე ორტეგა გასეტმა, ფრანც კაფკამ და ჰერმან ჰესემ აღწერეს საუკუნის დასაწყისში, ასახვას პოულობს კაპანელის ნააზრევშიც. „მე"-ს დაკარგულობა მისთვის უცხოდ გამხდარ სამყაროში, მისი გაუფასურება, სოციალურისადმი დაქვემდებარება, ტექნიკით ცხოვრების მანქანური რიტმიზირება, ურბანიზაციით „მე"-ს ბედისადმი აბსოლუტური გულგრილობა და „მე"-ს საკუთარი ყოფიერების წყაროებიდან, მისი ინდივიდუალობიდან გამოთიშვა, წარმოადგენს კაპანელის მიერ კრიზისულად დასახული საუკუნის ძირითად ნიშნებს. „ჩვენს მღელვარე საუკუნეს შეუძლია თამამად გაიმეოროს დოსტოევსკის რასკოლნიკოვის სიტყვები: მე ადამიანი არ მომიკლავს, პრინციპი მოვკალიო, ღირებულებათა გაუფასურების ეპოქაში პრინციპი, რომელსაც გამოეცალა არსებობის საფუძვლები, ვეღარ გამოადგება იმას, ვინც ცხოვრობს ახალსა და თავისებურ სოციალურ-ისტორიულ პირობებში"[2]. კაპანელი გრძნობს კაცობრიობის უფსკრულთან მიახლოებას. კულტურის გემის კომპასის რყევას, და ღირებულებათა საყოველთაო დევალვაციას. მას სავსებით გაცნობიერებული აქვს არსებული სამყაროს კრიზისულობა, რასაც ის შემდეგნაირად აჯამებს: „კაცობრიობა ქანაობს უფსკრულზე; უნდობლობა მეფობს ხალხებში; ისტორიული

---

[1] იქვე, გვ. 135.

[2] იქვე, წინასიტყვაობა.

ჟატეგორიები იცრიცებიან და იხეთქებიან; დიდი არმიები, შეიარაღებული თავიდან ფეხებამდე, უცდიან ბრძანებას სისხლის დასაღვრელად. არსენალებს განადგურებისას აწყობენ ნერეული სიჩქარით: სამყაროს კომპასი ირწევა არევდარევით; ადამიანი ტრაგედიული ტორტმანით თხოულობს ყოველდღე, რომ მეცნიერებამ გამოიგონოს ისეთი რამ, რაც შექმნის ატმოსფეროს უჩვეულო ყოფისას; თითქოს რაციონალიზმის და ისტორიული მეშჩანიზმის წინააღმდეგ ეწყობა გრანდიოზული შეთქმულება; სამყაროს სასოწარკვეთით დაღებული აქვს ხასა და შემოქმედებითი სული უცდის სოციალურ ატალღებათა ჰარმონიულ განრიგებას, რათა მოუნახოს არსებობის შეუჩერებელ დენას ფორმულა— შ ე დ ა რ ე ბ ი თ უფრო სწორი.

ცხოვრების ნორმა ინდივიდუალისტური ეპოქების დაიშალა, ის, რაც შეადგენდა არსებობის აზრსა და ღირებულებას ოჯახისას, რელიგიისას წოდებრივი რეგალიებისა პრივილეგიების სახით, ადამიანის სულს დღეს არ უდგება, ტრადიციულ ღირსებათა არე დაცარიელდა და ადამიანი დარჩა უსაზღვროობის არეში ისე, როგორც ლამანჩელი რაინდი სიერა-მორენის ხეობაში თავისი დამტვრეული ფარ-ხმალით; ინდუსტრიისა და წარმოების ვითარება ასხვაფერებს ისტორიულ ეპოქებს და ყოველ პერიოდს კულტურისას თან მიაქვს, თან მოაქვს თავისი სტილი და სული"[1].

ამავე დროს, „სოციალური ესთეტიკის" დაწერის დრო დაემთხვა ჩვენში სოციალურ გადატრიალებას, რომელმაც ახალი მსოფლმხედველობა და იდეოლოგია გააბატონა. კაპანელი ყოველგვარ სიახლეს აღიქვამს კულტურულ ცხოვრებაში და გრძნობს, რომ მოხდა დიდი სოციალური ძვრა მისი ერის ყოფიერებაში, ფიქრობს, ეს სოციალური ცვლილება აუცილებლობით მოითხოვს მსოფლმხედველობის შეცვლასაც, მაგრამ კაპანელისთვის მსოფლმხედველობა გარეგნული რამ როდი იყო, ტანისამოსივით ადვილად გამოეცვალა. მისი მსოფლმხედველობა — ეს იყო სამყარო და ღირებულებანი დანახული თავისი თვალსაწიერიდან თავისივე ინტერესებითა და სულიერი მიდრეკილებებით განპირობებული, საკუთარ ინდივიდუალობას შეზრდილი და შესისხლხორცებული, ამიტომ ვერ ახერხებს, რადიკალურად გაემიჯნოს მის მიერ შექმნილ მსოფლმხედველობას. ამავე დროს, ცდილობს გათვალისწინოს ახალი სამყაროს მოთხოვნები. ამ მიზნით კაპანელმა სცადა, ერთი

---

[1] ი ქ ვ ე. წინასიტყვაობა.

მხრივ. ძველი იდეებისა და შეხედულებების შემდგომი სრულყოფა და, მეორე მხრივ, მათი სინთეზი ახალ იდეებთან, შეხედულებებთან. მარქსიზმის კრიტიკა, მისი პირველი პერიოდიდან დაწყებული და განსაკუთრებით ნათლად გამოსახული მის „ტანჯვასა და შემოქმედებაში", ადგილს უთმობს მარქსიზმთან შერიგების ცდას, არა მარქსის მსოფლმხედველობაზე გადასვლას, არამედ მარქსისა და საკუთარი მსოფლმხედველობის სინთეზის ცდას — ეს არის „სოციალური ესთეტიკის" ძირითადი იდეა, რის გამოც იგი ითვლება კაპანელის აზროვნებაში ახალ ეტაპად. ამ სიახლეზე თავის ნაშრომის წინასიტყვაობაში კაპანელი ასე ლაპარაკობს: „წინამდებარე წიგნი შეიცავს ავტორის გულწრფელ ცდას, აზროვნებისა და ხელოვნების პრობლემათა თეორიულ გადაჭრაში შეიტანოს გარკვეული სისტემა მსოფლგაგებისა: სოციოლოგიზმის და ბიოლოგიზმის უკანასკნელი მიღწევებით, ჩვენ ვიცავთ სოციოლოგიურ მსოფლგაგების პრინციპს ო რ გ ა ნ ო ტ რ ო პ ი უ ლ ი ფ ო რ მ უ ლ ი თ. ამ შემთხვევაში „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები" შეადგენენ „სული და იდეის" ფილოსოფიური თეზისების გაგრძელებას, სრულებით გარკვეული სისტემით აზროვნების, რომელიც უარყოფს ყოველგვარ აბსოლუტიზმს, და ემყარება რა სოციოლოგიურ რელატივიზმს, მიიმართება საკუთარი გზით მატერიალიზმისა და ორგანოტროპიზმისაკენ"[1]. მარქსიზმის ბიოლოგიზმთან შეერთება ადრეც უცდიათ, — კერძოდ რუსეთის ინტელიგენციაში, რომლის კრიტიკა მოგვცა ლენინმა „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში", თუმცა აქ განსხვავებული გზით იყო ნაცადი მარქსიზმის ბიოლოგიზმით შევსება: რუსეთის ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი, ბოგდანოვის მეთაურობით, რომელთაც ლენინმა რუსი მახისტები უწოდა, და რომელნიც ადრე მარქსის პოზიციაზე იდგნენ, მახისა და ავენარიუსის ნაანრევის ჩამოყალიბებისთანავე შეეცადნენ მარქსიზმი შეევსოთ „უახლესი ბუნებისმეტყველების ფილოსოფიით". მათ იფიქრეს, რომ მარქსიზმს აკლია საბუნებისმეტყველო ფილოსოფიური ნაანრევი, რომ ის მხოლოდ სოციალური ფილოსოფიაა და რადგან უკანასკნელ სიტყვაღ საბუნებისმეტყველო ფილოსოფიაში მახიზმი ითვლებოდა, ისინი მახის პოზიციაზე გადავიდნენ. კაპანელი არ წასულა ამ გზით, თუმცა მანაც სცადა მარქსიზმის შევსება ბიოლოგიზმით, მაგრამ არა მარქსიზმიდან, არამედ ბიოლოგიზმიდან ამოსვლით, თანაც ისე, რომ მარქსიზმი

---

[1] იქვე, წინასიტყვაობა.

მოერგო თავისი ბიოლოგიზმისათვის, მოეხდინა მარქსიზმის სოციალური მოძღვრების შეერთება „სიცოცხლის ფილოსოფიის“ ბიოლოგისტურ იდეებთან. ასეთ განუხორციელებელ სინთეზს ეძებდა კაპანელი მისი მსოფლმხედველობის განვითარების უკანასკნელ ეტაპზე. კონკრეტულად როგორ ჰქონდა კაპანელს წარმოდგენილი ეს სინთეზი? შრომაში — „სოციალური ესთეტიკა“ — ყველა ის დებულება, რომელიც მას წინა შრომებში ჰქონდა გამოთქმული, ადამიანის ბიოლოგიური ორგანიზაციის გრძნობათა განმსაზღვრელობის პროგრესის არარსებობაზე, რელატივიზმზე, წრებრუნვის თეორიაზე თუ სხვათა, ძალაში რჩება. ერთადერთი პრინციპული დებულება, რომელსაც კაპანელი ცვლის, ეს არის ინდივიდუალურის ნაცვლად სოციალურის განმსაზღვრელობის, ინდივიდუალიზმის სოციალურით შეცვლის პრინციპი, მაგრამ ესეც ერთ განზომილებაში — ესთეტიკასთან მიმართებაში. შემოაქვს აგრეთვე, მისი თეორიისათვის ახალი პრინციპი პრაქტიკის სახით, მაგრამ ამ შემთხვევაში პრაქტიკა გაგებულია როგორც სასარგებლო და ის გაიგივებულია პრაქტიკის პრაგმატისტულ გაგებასთან. ყოველ შემთხვევაში ამ ნაწილობრივმა ცვლილებებმაც განასხვავა კაპანელის ამ პერიოდის ნააზრევი წინარესაგან და მისცა მას საშუალება ესთეტიკის და ლიტერატურის დარგში გამოეთქვა მრავალი ისეთი მოსაზრება, რომელიც სწორ გეზს იძლეოდა. თუმცა ეს ეხება ცალკეულ პრინციპებსა და დებულებებს. მთლიანად კი მისი კონცეფცია მცდარი და მიუღებელი დარჩა.

კაპანელმა მარქსის მოძღვრება, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების კანონზომიერების აღმოჩენა და გაგება, უყურადღებოდ დატოვა და შეცვალა მარქსის თეორიის იმ მომენტით, რომელიც ეხება იდეოლოგიურ ფორმებს და მათ შორის ესთეტიკას უკავშირებს სოციალურ მოთხოვნილებებს: „სოციოლოგიური ორგანოტროპიზმი გამომსახველია რელატივისტური მსოფლგაგებისა: სოციოლოგიური ორგანოტროპიზმი, როგორც იდეოლოგიური სინთეზი მარქსიზმისა და ბიოლოგიზმის მიზნად ისახავს არა სოციალური კანონების გამოსახვას, არამედ სოციალურ სტრუქტურათა იდეოლოგიური ფორმების ანალიზს და ფილოსოფიურ-ესთეტიკური აბსოლუტების განმარტებას სოციალურ საჭიროებათა შემოქმედებითი ნებისყოფით“[1]. საინტერესოა, რომ კაპანელი ცდილობს თავისი რელატივისტური თეორია გამოაცხა-

---

[1] იქვე, წინასიტყვაობა.

დოს ისეთ მსოფლმხედველობად, რომელიც დაკავშირებულია ქართველი ერის სულთან და რომლის ამოცანაა, უპასუხებდეს ქართული სულის თანამედროვე მოთხოვნებს. ეს საინტერესოა იმ მხრივ, რომ თეორია, რომელსაც საგნად გაუხდია მთელი სამყაროს სტრუქტურა, მასში მომხდარ ძირეულ ცვლათა ანალიზი, თითქოს არაფერს უნდა შეიცავდეს ეროვნულს და მისით განსასღვრულს. მაგრამ კაპანელი ცდილობს, ის, რასაც იგი ქადაგებს ორგანოტროპიზმის სახით, იყოს არა მარტო ეპოქის ახალი გაგება, და ეპოქის მოთხოვნებზე პასუხი, არამედ ქართული სულის და ქართული კულტურის იმ მიმართულებით წაყვანა, რომელსაც მისგან მოითხოვს საერთაშორისო მოძრაობის იდეოლოგიური ატმოსფერო. ეს იქნება ქართული კულტურა „განთავისუფლებული „კუთხურ-ინდივიდუალისტური ნაპუჭებისაგან“, რომელიც საჭიროებს „მორალისა და მსოფლ-გაგების ახალ ნორმებს“, ახალ არეებს „ხელოვნების, მეცნიერებისა და ფილოსოფიის მოძრაობაში“. კაპანელისთვის მაინც ძირითადი მსოფლმხედველობაა და ქართული სული, ეპოქის თვალსაწიერში გაშუქებული, მოითხოვს „მსოფლმხედველობის ძირეულ რეფორმას, ს ო ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ ხ რ ი თ დ ა ს ო ც ი ო ლ ო გ ი უ რ ი მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ“. ამრიგად, კაპანელი ცდილობს, მისი მსოფლმხედველობა იყოს ეპოქის ამოცანებზე პასუხი და, ამავე დროს, ქართული სულით შეფერადებული ისე, რომ ქართული სულის მოთხოვნები განსაზღვრული იყოს ეპოქის მოთხოვნებით. მსოფლმხედველობაში ასეთი ორი — საკაცობრიო და ეროვნული — მომენტის შერწყმა, ერთი შესედვით, შეტად ძნელი და თითქმის განუხორციელებელი ჩანს... და მაინც შესაძლებელია. მარქსის აზრით, ეს გარკვეულწილად განხორციელდა ფრანგულ ფილოსოფიაში, რომელშიც ზოგადსაკაცობრიო პრობლემატიკის დასმასა და გადაწყვეტას ფრანგული სულის ელფერი გადაჰკრავს (იხ. მარქსის „წმინდა ოჯახი“). შეიძლება ითქვას, რომ ასეთივე ხასიათისაა ყველა ერისთვის გამოსადეგი გერმანული ფილოსოფოსობის ფორმაც — მას გერმანული სულის ბეჭედი აზის თავისი ლოგიციზმით და გერმანული სირთულით, რაკ ფრანგული ფილოსოფიის ნახევრად პოეზიურ ასროვნებასთან შედარებით მეტად მძიმე და სპეციფიკური სტილის მქონეა. კაპანელი შეეცადა თავისი ნახევრად მხატვრული ნააზრევი გამოეცხადებინა ქართული სულის გამომსატველად, მისი პოეტურობის, ფრაგმენტულობის და ელერადობის მაჩვენებლად; მისი ბრძოლა ლოგიკის წინააღმდეგ როგორც ეპოქის, ისე ქართული სულის რელატივისტური ტენდენციე-

ბის გამოხატულებად. კაპანელის მიმართება ქართულ სინამდვილესთან ცალკე განხილვას მოითხოვს. აქ მასზე ვერ შევჩერდებით. ჩვენი ამოცანაა, პირველ რიგში ვაჩვენოთ ის სიახლე, რაც კაპანელის მსოფლმხედველობრივი ევოლუციის მეორე პერიოდისთვისაა დამახასიათებელი. პირველ პერიოდში კაპანელი თაეის მსოფლმხედველობას კოსმიზმს და ბიოფსიქიზმს უწოდებდა, შესაბამისად იძლეოდა ამ ცნებათა განმარტებას. პირველ პერიოდშიც იყო ლაპარაკი ორგანოტროპულობაზე და მის შინაარსზე, მაგრამ ჯერ კიდევ გამოკვეთილად არ იყო წარმოდგენილი ამ მსოფლმხედველობის ორგანოტროპიზმი. მეორე პერიოდის შრომას „ორგანოტროპიზმი" ეწოდება და არსებითად იწყება ორგანოტროპიზმის განმარტებით: ორგანოტროპულობა პირველ რიგში ემყარება ბიოლოგიურ და სოციოლოგიურ საწყისებს. ის თავისებური ბიოსოციალური ჰიპოთეზაა, რომლის ანალოგიურს აყენებდა დე რობერტი და არსებითად ბიოლოგისტური სოციოლოგიის პრინციპებიდან ამოდიოდა. კაპანელის აზრით, თანამედროვეობას ახასიათებს ბიოლოგიისა და სოციოლოგიის სინთეზი, რამაც შეარყია კანტის იდეალიზმის ფილოსოფიური საწყისები ზედროული კატეგორიებით: „სოციოლოგიისა და ბიოლოგიის შემოქმედებითი ხასიათის სინთეზმა შეარყია ფილოსოფიისა და საერთოდ, მსოფლმხედველობის ძირეული პრინციპები"[1]. სოციოლოგია ბიოლოგიაზე დამყარებით უარყოფს უნივერსალიების პრობლემას და ყველაფერს განიხილავს შეფარდებითობისა და წარმავლობის განზომილებაში. ამ შეფარდებითობას განსაზღვრავს მიმართება მდგომარეობასა და არსს შორის. სწორედ ეს ურთიერთობაა ორგანოტროპულობა. ამოსავალი ხდება ვითარების შესაბამისად ორგანიზმში გარკვეული რეფლექსების ჩამოყალიბება, რომელთაც შეესაბამება აზრებიც. ყოველი აზრის გამოხატვა შესაძლებელია მიმიკით, სახის გამოსახულებით და ყოველ ორგანოს განცდის საფუძველზე შეუძლია გარკვეული რეაგირება. განცდაზე ეს რეაგირება იქცევა ჩვევად და სხეულის ყოველ ორგანოს მთელი სხეულისაგან დამოუკიდებლადაც შეუძლია მოახდინოს რეაგირება გარემოს გავლენაზე. ყოველ შემთხვევაში გარემოს ცვლილება იწვევს სხეულის და აზრთა ცვლილებასაც. ამიტომაა ყველაფერი შეფარდებითი და ერთხელ და სამუდამოდ არაფერი არაა შეცვლილი. კაპანელი ორგანიცისტების მსგავსად დაწერილებით

[1] იქვე, გვ. 17.

აღწერს ბიოლოგიურ რეფლექსებს და ამტკიცებს მათ განმსაზღვრელობას სოციალური ყოფიერების მიმართ. თავის მხრივ ის აღიარებს წმინდა სოციალურ რეფლექსებსაც — მიმიკას, წაბაძვას და სიმბოლოებს. ისინიც ყალიბდებიან ხანგრძლივი დროის განმავლობაში, იქცევიან ჩვევად, რომელიც მემკვიდრეობით გადადის. ყველაფერი ეს ავტორს სჭირდება იმის საჩვენებლად, რომ მდგომარეობა და არსი ერთმანეთთან ურთიერთობაში არიან, და რომ „მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ს ა დ ა ა რ ს ს შ ო რ ი ს ა რ ს ე ბ ობ ს მ უ დ მ ი ვ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ხ ა ს ი ა თ ი ს ა; მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა მ ო ქ მ ე დ ე ბ ს ა რ ს ზ ე, ა რ ს ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ზ ე. შემოქმედებით ურთიერთობას მდგომარეობასა და არსს შორის, რომელიც სამყაროს ყოველ კუთხეში თავისებურია, ჩვენ ვეძახით ორგანოტროპიზმს“[1]. ორგანოტროპიზმის ძირითადი მოტივია კულტურისა და ყოფიერების ყველა მხარის და ასპექტის გარემოსთან ორგანულ-ბიოლოგიური შეგუების მოთხოვნილებებით ახსნა. ყოველი გარემო თავისებურია. ამიტომ მასთან შეგუების ფორმებიც სპეციფიურ სახეს ღებულობს. ეს ნიშნავს, რომ ის, რაც ერთი გარემოსთვის მისაღები და გასაგებია, უცხო და მიუღებელია მეორე გარემოსთვის: „ყოველ ყოფას ყოველ მიწა-წყალზე წუთისოფლად აქვს საკუთარი სული, სევდა, განცდა, სტილი და იდეა; სამყაროს დაუსრულებლობაში, ხალხთა გუგუნსა და მოძრაობებში, ეპოქათა და მოდგმათა ფერისცვალებაში ყოველი მომენტი არსებობისა, ყოველი სახე წარმოშობილი ბიოგენეტურად, მართლდება თავის შინაწყობაში პირობებით და მდგომარეობებით — სულისა და გარემყარობის ურთიერთობით — ორგანოტროპიზმით; ყოფა ყოფას მოწყვეტილია სულიერად და ყოველი არსი უსაზღვროების არეზე მარტოა განცდაში; სული და მისი რეალიები კუთხებრივ-ტროპული ფორმებია ორგანულ-ბიოლოგიური შეგუებისა; შემოქმედების ყოველი ფორმა გამოსახავს კუთხებრივ ტკივილებს და სიხარულს, კუთხებრივ განცდასა და სევდას; ღირებულება კუთხურ-კლასიკური საჭიროების კვალიფიკაციით ისაზღვრება: იაპონელისათვის იაპონური ხელოვნება დიადი და მშვენიერია, ვინაიდან მასში გამოსახულია იაპონური ყოფის ორგანოტროპული განცდა; ბუშმენისათვის ბუშმენური ხელოვნება სავსეა აზრით და მშვენებით: ყოველი ხალხის და ყოველი საუკუნის სოციალურ-ისტორიული პირობების კომპლექსი

---

[1] იქვე, გვ. 20.

ათავისებურებს ხელოვნების პრინციპს, ესთეტიკურ-ფილოსოფიურ იდეალებსა და ზრახვებს"[1].

კაპანელი ამ ორგანოტროპიზმს მსოფლმხედველობის განვითარების მეორე პერიოდში პირველი პერიოდის ყოფიერების საზრისის პრობლემატიკიდან გადაიტანს ძირითადად ლიტერატურისა და ხელოვნების პრობლემატიკაზე. არც ისტორია რჩება უყურადღებოდ, მაგრამ იმდენად, რამდენადაც შპენგლერის არგუმენტებით უნდა შეავსოს მისი ანტიისტორიზმი და ნიჰილიზმი. მეორე პერიოდში ძირითადი მახვილი ლიტერატურასა და ხელოვნებაზეა გადატანილი. წიგნის სათაურიც გვამცნობს ამ ვითარებას — „სოციალური ესთეტიკა. ორგანოტროპიზმი". ხალხთა ცხოვრების ასახვაში კაპანელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ესთეტიკურ იდეალებს, ფიქრობს, რომ ყველა ხალხის ცხოვრების თავისებურება პირველ რიგში შესაბამის ლიტერატურულ ხელოვნებისეულ ფორმებში პოულობს გამოხატულებას. კიდევ მეტი, მთელი ისტორია მას წარმოსახული აქვს ლიტერატურითა და ხელოვნებით შევსებული, რომლის გარეშე ისტორია უშინაარსოდ ეჩვენება. ამ პრინციპით უდგება ქართულ სინამდვილეს და ქართული ლიტერატურის განვითარებას მიიჩნევს საქართველოს სინამდვილის განცდის გამოხატულებად. „ლიტერატურული იდეალებისა და ტიპების სახეებს მდგომარეობა ამართლებს და ასაბუთებს ასოციაციებით და აპერცეფციებით; მაგრამ, ვინაიდან ქვეყნის ყოველ კუთხეს, ისტორიის ყოველ ეპოქას თავისი საკუთარი მდგომარეობა აქვს, ყოველი ხალხისა და ეპოქის ლიტერატურული იდეალები და სახეები განირჩევიან ერთმანეთისაგან, ესთეტიკური იდეალების მეტამორფოზა უმეშვეოდ გადაკავშირებულია სოციალურ სტრუქტურათა ევოლუციასთან და კულტურის ყოველგვარი ვითარება ათავისებურებს ლიტერატურისა და ხელოვნების მიმართებას.

ხალხის ცხოვრება, ხალხის განცდად ქცეული, ერთადერთი და უდიდესი წყაროა ლიტერატურისა და ხელოვნებისა; თვით ისტორია, თავისი ეპოქებითა და პერიპეტიებით სტრატეგიისა და სახელმწიფოებრივობის სფეროში, უშინაარსოა გარეშე ლიტერატურისა და ესთეტიკური იდეალებისა; ხალხის ისტორია იმდენად შინაარსიანია, იმდენად მდიდარია და თავისებური, რამდენადაც ხალხი ესთეტიკურად ასახავს თავის ყოფას, რამდენადაც ხელოვნება ამოკვეთს ხალხის განცდათა

---

[1] იქვე, გვ. 111.

მგზნებარე დაზგაზე სურვილებსა და მიზნებს, ცხოვრების იდეალებსა და ზრახვებს: საქართველოს წარსული საინტერესოა სწორედ იქ, იმ ეპოქებში, სადაც ქართული სული შლის იდეალების მარაოებს ქართული ლიტერატურის ფურცლებად, სადაც დიდი მწერლები და ფილოსოფოსები ქართულ აზროვნებას მეტყველების მშვენიერ ფორმებში ასახავენ"[1]. ამავე დროს, კაპანელი ამ ორგანოტროპულ კავშირს მდგომარეობასა და განცდას შორის, რომელშიც მდგომარეობა განსაზღვრავს სულიერ ვითარებას, არ წაომოაჩენს ცალმხრივ მიმართებად. ის აკრიტიკებს იპოლიტ ტენის მიერ ხელოვნების მდგომარეობის და გეოგრაფიული ვითარებით განსაზღვრულობის მტკიცებას, რადგან მიაჩნია, რომ ეს საქმის ვითარების ერთი მხარეა. კაპანელი მოითხოვს, რომ განვიხილოთ მდგომარეობასა და ხელოვნებას შორის კორელაცია სრულყოფილად, რაც ნიშნავს, რომ არა მარტო მდგომარეობა ახდენს გავლენას სულიერ სამყაროზე, არამედ თავის მხრივ, სულიერი სამყარო მდგომარეობაზეც: „კაცობრიობის წარსულში როგორც პრეისტორიულ, ისე ისტორიულ პიროებში, ჩვენ ვხედავთ არა მარტო მდგომარეობის გავლენას, არამედ გავლენის პირუკუღმა გავლენასაც მდგომარეობაზე"[2]. და შემდეგ: „მართალია, მდგომარეობა აძლევს ფორმას სულიერობას, მაგრამ მდგომარეობის შეცვლის დაჩქარება შეუძლია სულიერობის გავლენას... ორგანოტროპიზმის ესთეტიკურ ფილოსოფიაში მოცემულია ურთიერთობის პრობლემა მდგომარეობასა და სულს შორის, სულსა და მდგომარეობას შორის"[3].

ამით განსაზღვრულია კაპანელის მსოფლმხედველობის ძირითადი ცნება, გარკვეულია მისი ფილოსოფოსობის ამოსავალი პრინციპი, რომლითაც ხსნის ყოველივეს, რის საფუძველზეც უარყოფს ლოგიკისა და აზრის საყოველთაო მნიშვნელობას. იგი ამტკიცებს, რომ ლოგიკური კანონის საყრდენი ორგანოტროპული კორელაციაა. ცნების ბუნებაში შედის გენეტური ელემენტი, ლოგიკური დებულებები იქმნებიან ორგანოტროპულ ურთიერთობათა სფეროში და დამოკიდებული არიან ტერიტორიის ანუ გარემოს ვითარებაზე. ამიტომ მიაჩნია მას ტრანსცენდენტალური იდეალიზმი, აპრიორული კატეგორიებით და გნოსეოლოგიური აბსოლუტიზმით, უარსაყოფად. ყოველ დროს და

---

[1] იქვე, გვ. 141.
[2] იქვე, გვ. 142.
[3] იქვე, გვ. 144.

ყოველ ადგილს შესაბამისი ტიპი ჰყავს თავისი აზროვნებით. არ არის მართებული ჰამლეტის მტკიცება — „ნივვზის ნაჭუჭში რომ ვიყო მოთავსებული, მაინც ის ვიქნები, რაც ვარო“. კაპანელი ფიქრობს, — ჰამლეტის მდგომარეობის შეცვლა მას გადაასხვაფერებდა. ერთი საუკუნით ადრე რომ დაბადებულიყო, ის ჰამლეტი აღარ იქნებოდა, სხვა იდეები და სხვა ილუზიები სხვანაირად დაატრიალებდნენ მის ცხოვრებას. ჰამლეტს სურს შეაერთოს ეპოქებს შორის გაწყვეტილი კავშირი, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან დროც და სივრცეც სხვადასხვა ათვლის სისტემებიდან განსხვავებულია. აბსოლუტებს და უნივერსალიებს, კანტის „წმინდა გონების“ მსგავს კატეგორიებს, კაცობრიობა იცვლის ძველი ტანისამოსივით და მათთვის ადგილი არ რჩება მარქსისა და აინშტაინის ფარდობითობის პრინციპის შემუშავების შემდეგ. კაპანელის დასკვნით, ინტელექტუალიზმი არის ინდივიდუალიზმის ტრაგედიის ნაწილი და ინდივიდუალიზმთან ერთად უნდა ჩაბარდეს წარსულს. ახალმა დრომ მოიტანა სოციალური ევოლუციისკენ მისწრაფება და მას უნდა შეეფარდოს აზროვნების გაგებაც, როგორც გენეტური პროცესისა, რომელსაც მდგომარეობა და ვითარება განსაზღვრავს — „ერთი მხრივ ფ ა ქ ტ ი უ რ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი თ, მეორე მხრივ გ ე ნ ე ტ უ რ ი პ რ ო ც ე ს ი ს დეტერმინიზმით: აქტი ინტელექტისა და ინტუიციის, ბუნება ცნებისა, ყოველთვის ატარებს ორგანოტროპულ რეფლექსებს და ის, რასაც გნოსეოლოგიური იდეალიზმის მომხრენი მიაწერენ სულს ან „წმინდა გონებას“, შესაძლებელია იყოს ნაყოფი კ ო ო რ დ ი ნ ა ტ ე ბ ი ს მექანიზაციისა; რიცხვობრივ ცვლილებათა გამრავლება აწყობს მატერიაში ხარისხის ს ხ ვ ა ო ბ ა ს“[1]. ის, რაც მდგომარეობის გზით ეძლევა სხეულს, იქცევა ჩვეულებად, რომელსაც გაცნობიერება არ სჭირდება. ამით აიხსნება ის, რომ კონდუქტორს გაქანებული მატარებლის კიბეზე სძინავს. და არ ვარდება, რადგან სხეული შეჩვეულია მდგომარეობას იმდენად, რომ წონასწორობის შესანარჩუნებლად არ სჭირდება საფრთხის გაცნობიერება. მოკლედ, ყველაფერი ბიოლოგიისა და სოციოლოგიის რელატივობით შევსებული პრინციპებით უნდა აიხსნას. ასეთი მსოფლმხედველობა მრავალმა მოაზროვნემ მოამზადა. „ბიოლოგიამ ერთი მხრივ, სოციოლოგიამ მეორე მხრივ მახვილი ჩასცა აბსოლუტებისა და კატეგორიების სამყაროს: დარვინმა მოუსპო არსებობის საშუალება თეო-

[1] ი ქ ვ ე, გვ. 22—23.

ლოგიას; მარქსმა გამოუნახა მამოძრავებელი იმპულსი კულტურას, აინშტაინმა, ბერგსონმა და შპენგლერმა დაცრიცეს აბსოლუტიზმი — აკადემიური და ფილოსოფიურ-ესთეტიკური: ანრი პუანკარემ აინშტაინზე კიდევ უფრო ადრე გარკვევით დასვა რელატივობის პრობლემა la valuer de la science. აზრის მიმართება ყოველთვის ისაზღვრებოდა კულტურისა და იდეოლოგიის საერთო ევოლუციით და დღესაც ასე ხდება. თუ საშუალო საუკუნეებიდან დაწყებული მეთვრამეტე საუკუნემდე აზროვნების დირიჟორი იყო თეოლოგიური იდეალიზმი, ჩვენი დროის იდეოლოგიური მეთაურებია სოციოლოგიური შერჩევანი არსებობის საჭიროებისათვის და ბიოლოგიური ფილოგენეტიზმი"[1].

კაპანელი ორგანოტროპიზმის პრინციპით უდგება სამყაროს ყველა ფენომენს და ყველაფრის ახსნას ცდილობს მდგომარეობით და საჭიროებით, სულერთია, იქნება ეს ლოგიკა, ჭეშმარიტება, მეცნიერება თუ ხელოვნება. მისი აზრით, ეს არის ამოსავალი მარქსის თეორიისა და ამიტომ თვლის შესაძლებლად მარქსის თეორიასთან თავისი ნააზრევის გაერთიანებას. მას აზროვნება და მისი კანონები საყოველთაობას მოკლებულად მიაჩნია — ისინი გამოწვეულია პრაქტიკული მოთხოვნილებებით, პრაქტიკა კი სხვადასხვა კლასთან განსხვავებულია. ამიტომ არ უნდა არსებობდეს ერთიანი ლოგიკა, თუმცა კაპანელი იმასაც ხედავს, რომ ლოგიკის პრინციპები ყველას ემსახურება, მაგრამ ამას ლოგიკის გააბსოლუტურებად თვლის. მისი ენით თუ ვიტყვით, ლოგიკა თავისი სილოგიზმებით და იმპერატივებით წააგავს იმ როსკიპს, რომელიც დღეს ერთს ეკუთვნის და ხვალ მეორეს, და, ამავე დროს, ურცხვად დგას ორლეანელი ქალწულის რაინდულ პოზაში. მისი აზრით, ლოგიკა კლასობრივია, რადგან ყოველ სოციალურ წყობაში სილოგიზმების მიუხედავად ფიქრები და განცდები განსხვავებულია, ამიტომ ყველას თავისი ლოგიკა უნდა ჰქონდეს. „მდგომარეობის შეფარდება აწყობს ლოგიკურ პრინციპებს და ყოველი კუთხის, ყოველი კლასის ლოგიკა ისევე თავისებურია, როგორც ესთეტიკა"[2]. მისი აზრით, ლოგიკა ეწინააღმდეგება განცდისა და მდგომარეობის ჭეშმარიტებას საყოველთაობისადმი მისწრაფებით. ფაქტობრივად მის მნიშვნელობას განსაზღვრავს მდგომარეობა და განცდა. ამის საილუსტრაციოდ მას

---

[1] იქვე, გვ. 24.

[2] იქვე, გვ. 35—36.

მოყავს ასეთი მაგალითი: „მე ვიყიდე გუშინ წითელი ქათამი“. იმისდა მიხედვით, თუ რა მხარეს ვუსვამ ხაზს, ამ წინადადებაში იცვლება ქვეშდებარე და შემასმენელი და შესაბამისად აზრის კონსტრუქციაც — თუ ყურადღებას ვაქცევ „მე“-ს, ის იქნება სუბიექტი, თუ „წითელს“ ვაქცევ ყურადღებას, მაშინ ის გახდება სუბიექტი. ეს მართლაც ასეა, მაგრამ სულაც არ მიუთითებს ლოგიკის მდგომარეობით განსაზღვრულობაზე, არამედ მიუთითებს წინადადების მნიშვნელობის, მისი საზრისის შეცვლაზე იმის მიხედვით, თუ გამოთქმის რა მხარეს ვაქცევთ ყურადღებას. საზრისის ეს ცვლილება სწორედ ერთიანი ლოგიკის ფარგლებშია შესაძლებელი. ლოგიკური კატეგორიები და სილოგიზმის ფიგურები რომ პრაქტიკის შედეგია, ფაქტია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, ისინი დამოკიდებული იყვნენ სოციალური ჯგუფების საჭიროებასა და ვითარებაზე. ამიტომ არ შეიძლება გავიზიაროთ კაპანელის მტკიცება, რომ „აზრის ღირებულება ეფარდება მდგომარეობის შეცნობას, ხოლო მდგომარეობის შეცნობა წარიმართება სოციალური საჭიროების ინტერესის მიხედვით“. ლოგიკური კონსტრუქცია არაა განპირობებული საჭიროებითა და ინტერესებით და ლოგიკა არაა ორგანოტროპული და კლასობრივი. როდესაც კაპანელის ამ მოსაზრებებს ვაკრიტიკებთ, უნდა გავითვალისწინოთ ის ვითარება, რომელშიც ისინი გამოითქვა. 20-იანი წლების დასაწყისში და შემდეგაც ბევრ მარქსისტს ეშვი არ ეპარებოდა კლასობრივი ენის, კლასობრივი ლოგიკის და აზროვნების არსებობაში, კაპანელმა სწორედ ეს აზრები გამოიყენა მისი რელატივიზმის მარქსთან დასაახლოვებლად. კაპანელის ტრაგედია იმაშია, რომ რელატივიზმის პოზიციებიდან აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მებრძოლი, თვითონ ააბსოლუტურებს სინამდვილის ცალკეულ მომენტებს და ამით მათ უაზრობად აქცევს. სადავო არაა მისი მტკიცება — „ქვეყნად პრაქტიკული ცხოვრება რომ არ ყოფილიყო, არც ლოგიკა, არც მორალი არ იქნებოდა“. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, სწორი იყოს დებულება, რომ „ბურჟუაზიული ლოგიკა სულ სხვა სახისაა, პროლეტარული კი სხვა“. ხშირად კაპანელის დებულებაში არის მომენტი, რომელიც ჭეშმარიტებას შეიცავს, მაგრამ გააბსოლუტურებით შეცდომად იქცევა. ასეთია მისი მტკიცება შემოქმედების და მეცნიერების განვითარების პრაქტიკის მოთხოვნებით და მასთან კავშირით განპირობებულობის შესახებ. ეს პრინციპი თავის დროზე ენგელსმა ჩამოაყალიბა, მაგრამ კაპანელთან, ისე როგორც ყველაფერი სხვაც, ეს პრინციპიც სახეს იცვლის და ცალმხრივად წარმოიდგინება: „მდგომა-

რეობა და იდეა ისტორიულად შემოქმედებით ურთიერთობაში არიან, ოუმცა იდეა აქტიურ მოქმედებას იწყებს მხოლოდ მაშინ, როდესაც სოციალური საჭიროება ამახვილებს იდეის გაელვენას. როგორც წინადადებაში ასრი იცვლება სოციალური საჭიროების განცდის ცვლილებით, ისე იდეოლოგიის ისტორიულ ვითარებაში ასრის მიმართება და ღირებულება იცვლება შეფარდებით სოციალ-კლასობრივი ინტერესისა. რამდენადაც წარსული კაცობრიობისა დაყოფილი იყო ყოველ საუკუნეში კლასებად და რამდენადაც თითოეული კლასი გამოდიოდა ისტორიულ მოძრაობათა ხელმძღვანელად, იმდენად სოციალური არე იდეოლოგიისა იკუმშებოდა კლასობრივი ინტერესებისა და საჭიროების საზღვრებში. მეცნიერება, ფილოსოფია, ხელოვნება, ხუროთმოძღვრება და სხვა დარგი შემოქმედებისა ყოველთვის ყოველი ხალხის ცხოვრებაში იმდენად სახიერდებოდნენ, იმდენად ვითარდებოდნენ, რამდენადაც რომელიმე კლასის ინტერესებისათვის საჭირო იყვნენ; ამიტომ არასოდეს, არც ერთ ეპოქაში არ ჰქონებიათ თვითარსობითი და დამოუკიდებლობითი ხასიათი: გონებისა და სულის სახეობითი ფორმები ყოველთვის გამოყენებით თვისებას ატარებდნენ"[1]. აქაც კაპანელი მარქსიზმის დამახინჯებული და ცალმხრივი ინტერპრეტაციიდან ამოდის. ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ ენგელსმა ეს ცალმხრივი გაგება გააკრიტიკა თავის წერილებში და ხაზი გაუსვა სულიერი ცხოვრების შინაგან ლოგიკას, მის უკუქმედებას მატერიალურ პროცესებზე.

კაპანელის ორგანოტროპიზმის თვალთახედვით, სამყაროში არაა ერთიანობა— ისტორია და კულტურა წარმოდგენილია სიმრავლის სახით, რომელშიც ყოველი კულტურა დამოკიდებულია დროზე, ტერიტორიასა და ხალხის რასობრივ ბიოლოგიურ თვისებებზე. ამიტომ კულტურათა შორის საერთო ენა და სტილი არ არსებობს. ყოველი კულტურა საკუთარი სტილის და სულიერი სამყაროს მქონეა, რომელიც ორგანოტროპულ მიმართებაშია მის საჭიროებებთან და გარემოსთან. მაშინაც, როდესაც კაცობრიობის სახელით მსჯელობენ, გულისხმობენ იმ ხალხებს, რომელთა წარმომადგენლები თავად არიან, დანარჩენთ ბერძნებივით ბარბაროსებად თვლიან. ის, რასაც მსოფლიო ისტორიას ვეძახით, ერთი ფრაგმენტია უსასრულო სამყაროში, ერთი კუთხეა პლანეტარულ არსებობაში. ყველაფერი ჩვენი სუბიექტური საზ-

[1] იქვე, გვ. 39.

რისით და თვალთახედვით გვაქვს ვააზრებული. შპენგლერის „ნაღვაწ-
ურად კაპანელი აკრიტიკებს არა მარტო მსოფლიო ისტორიის პროგრეს-
ციულ გაგებას, არამედ მისი პერიოდიზაციის სქემასაც ანტიკურობის,
საშუალო საუკუნეებისა და ახალი დროის სახით. მიუთითებს, რომ ის,
რაც ჩვენ ახალ დროდ გვესახება, გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად
გვეჩვენება, ვიდრე ანტიკური სამყარო. ეს გამოწვეულია „ჩვენი ცხოვ-
რების ე გ ო ც ე ნ ტ რ ი ს ტ უ ლ ი დაკავშირებით მ ა ხ ლ ო ბ ე ლ
მდგომარეობასთან კუთხურ-ტროპიული სურვილებით". ამის შედეგია
კაპანელის ისტორიოსოფიაში ისტორიის უარყოფა, ისე როგორც გნო-
სეოლოგიაში ობიექტური ჭეშმარიტების და „ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს,
დ რ ო ი ს ა და ე პ ო ქ ი ს ი ლ უ ზ ი ა დ" გამოცხადება.

კაპანელის ნააზრევის ახალი მომენტები განვითარების ამ ეტაპზე,
ძირითადად, ეს არის მარქსთან დაახლოების სურვილი შპენგლერის
იდეების გამოყენების გზით, მის მიერ წამოყენებული პრინციპების
განმტკიცება, ორგანოტროპიზმის განმარტება როგორც მდგომარეობა-
სა და სულს შორის ურთიერთქმედების პრინციპისა, რომელშიც განმ-
საზღვრელი მდგომარეობაა, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოცხა-
დება ხალხის ცხოვრების ასახვად (ასახვის ცნება პირველ პერიოდში
საერთოდ გამორიცხული იყო), და ბოლოს, ალბათ ყველაზე ნაყოფიე-
რი მისი შემდგომი კვლევითი საქმიანობისთვის, — ესაა ხელოვნების და
ლიტერატურის სოციოლოგიის პრინციპები. კაპანელი იყო ქართულ
სინამდვილეში პირველი მოაზროვნე, ქართული და მსოფლიო ლიტე-
რატურის კლასიკური ნიმუშების სოციოლოგიური ანალიზი რომ გააკე-
თა და საფუძველი ჩაუყარა ხელოვნებისა და ლიტერატურის სოციო-
ლოგიას საქართველოში, რომელიც შემდგომშიც დიდხანს იყო დავი-
წყებას მიცემული. ეს დარგი იმ პერიოდისათვის ევროპაშიც სიახლეს
წარმოადგენდა. ქართული ლიტერატურის ისტორია კაპანელის გააზ-
რებაში სოციალური სინამდვილის, ქართველი ხალხის სულიერი ცხოვ-
რების სურათადაა წარმოდგენილი და მისი განვითარება ახსნილია
სოციალური მიზეზებით. სხვა მხრივ კაპანელის მსოფლმხედველობის
პრინციპები არ შეცვლილა. და ამდენად მისი კოსმიზმი, ბიოფსიქიზმი
და ორგანოტროპიზმი ერთმანეთის შევსებას უფრო წარმოადგენენ,
ვიდრე დაპირისპირებას.

კაპანელის მსოფლმხედველობის უფრო სრულად წარმოსადგენად
საჭიროა ზოგადად მაინც აღვნიშნოთ მისი დამოკიდებულება არა მარ-
ტო ყოფიერებისა და ცნობიერების, კულტურისა და ისტორიის პრობ-

ლემებთან, არამედ მისი მიმართებაც ქართულ კულტურასთან და ქართულ სინამდვილესთან. აღსანიშნავია, რომ კაპანელმა აქაც სცადა თავისებურად გაეაზრებინა და დაეხასიათებინა ქართველი ერის სოციალური ფსიქოლოგია. მე-20 საუკუნის დასაწყისში ეს სიახლე იყო. ევროპაში ხალხთა ფსიქოლოგიის პრობლემატიკა ის-ის იყო მუშავდებოდა და კაპანელმა ეს სიახლე ქართულ სინამდვილეს მიუსადაგა. ამავე დროს, იგი შეავსო ორგანოტროპული პრინციპით. კაპანელის ნაზრევში ამ მიმართულებით ბევრი რამაა მიუღებელი და ეს კრიტიკოსებმა ადრეც აღნიშნეს, მაგრამ, ამასთან, არის მრავალი საინტერესო მიხვედრა და, რაც მთავარია, ასეთი ანალიზი ახალი იყო ქართული კულტურის მიმართ. თვითონ ხალხთა ფსიქოლოგიის (როგორც მაშინ უწოდებდნენ), სოციალური ფსიქოლოგიის (როგორც ახლა ჰქვია) პრინციპი მაშინ ახალი იყო არა მარტო ქართული, არამედ ევროპული აზროვნებისთვისაც. ბუნებრივია, ყოველი სიახლე სიძნელეებთანაა დაკავშირებული, სიძნელეები კი შეცდომებთან. მიუხედავად ამისა, სიახლის დანერგვის ცდა არ არის უარსაყოფი.

კაპანელის მსოფლმხედველობის ეს სქემატური სურათი საკმარისი უნდა იყოს იმის აღსანიშნავად, რომ ქართული სულიერი კულტურის და განსაკუთრებით ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში კაპანელს გარკვეული ადგილი უკავია და არ იქნება მართებული მე-20 საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში მისი ღვაწლის გაუთვალისწინებლობა. ამას ადასტურებს კაპანელის ესთეტიკის, ლიტერატურის ისტორიის და სხვა სფეროთა კვლევის შედეგებიც, რომლებიც სპეციალურ განხილვას მოითხოვენ.

კაპანელის ნაზრევი მისი სულის ვნებათაღელვის შედეგია, კაპანელის სული კი ორგანული ნაწილია ქართული სულიერობის. ქართულ ხასიათში და მის სულიერ კოლიზიებში კაპანელი პოულობდა ნიცშეანურ მოტივებს. ეს მოტივები და შესაბამისი განაზრებანი საუკუნის დასაწყისის ქართველ შოაზროვნეებში საკმაოდ ღრმად იყო გამჯდარი და მას ვერ ავხსნით მხოლოდ ნიცშეს ფილოსოფიის გავლენით. ნიცშესადმი დამოკიდებულება იმიტომ გაჩნდა ქართველ მოაზროვნეებში, რომ ქართულ სულს ჰქონდა შესაბამისი საწყისები. ამიტომ საესებით მართებულად ეღერს ფილოსოფოსის, ანთროპოლოგის და ფსიქოლოგის გრიგოლ რობაქიძის სიტყვები, რომლითაც მან 1917 წელს მიმართა ქართველ მწერლებს და რომელიც მთლიანად და საესებით ეხება კაპანელსაც: „ჩვენმა სულმა იცის წამება, — მაგრამ ჩვენს მხრებს არ

მოსხმიათ მელანქოლიის მოსასხამი, ჩვენმა გულმა იცის ცეცხლი. — მაგრამ ჩვენი ფიქრები ფერფლით არ დამტვერულან. წამება ჩვენი დიონისოს ვნებაა და ცეცხლი ჩვენი სიცოცხლის გენია...

და ნიცშეს ზარატუსტრას სწორედ ჩვენში შეუძლია დაიბადოს ღვთიური სიხალისით...

წამება და ცეცხლი: ამ ორ სიტყვაში მოცემულია მთელი ჩვენი სიცოცხლე".

ე. კოდუა

ხული და იდეა

შესავალი

რაციონალიზმი — ისტორიული მსოფლმხედველობის გნოსეოლოგიური ეპოპეა — ფსიქოლოგიურად დაიშალა; ბერგსონი არსებობის ტრაგედიას ხედავს ინტელექტუალიზმში; ნიცშე ნებისყოფის წვასა და ორგანულ-ქიმიურ აორთქლებაში ახრჩობს ისტორიულ-მეშჩანურ ცნებებს; გიუიო აცხადებს, რომ კაცობრიობის მორალს წუთისოფლად არ ესაჭიროება სანქცია — La morale sans obligation ni sanction.

იდილიური მსოფლმხედველობისა და სულიერი მყუდროების ტაძარი ირღვევა სოციალურ-ისტორიულ რყევასთან ერთად და ციეილიზაციის ქარიშხლიან გაქანებაში ისმის ახალი ხმები, იშლება ილუზიებისა და მარადიული სოფიზმების ახალი მარაოები.

ჩვენც ფსიქოლოგიურად მსოფლიო იდეოლოგიის მეტამორფოზას ვეთანაბრებით და ჩვენი შემოქმედებითი გამჭრიახობის ფარგლებში ერთგვარ ფილოსოფიურ-ესთეტიკურ სისტემას ვიძლევით.

ბიოფსიქიზმი და კოსმიზმი სრული გამოსახულებაა ჩვენი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის: „სულისა“ და „მატერიის“ დამოკიდებულება ისე, როგორც ეს ფილოსოფიურ სისტემებშია გამოხატული, ჩვენთვის ერთგვარი პარალოგიზმია და მთელი ეს წიგნი ამ ისტორიულ-მეშჩანური პარალოგიზმის უარყოფაა.

სული როგორც მატერიის მუხვადობის დინამიკური აორთქლება, მატერია როგორც სტატიკური სახე კოსმოსური სულიერობის დინამიკური დენისა, მორალი როგორც ისტორიულ-პლანეტარული განზოგადება ორგანულ-ტერიტორიული ჩვეულების, ტროპიზმი და სამყარო როგორც ესთეტიკური ფენომენი — აი ჩვენი მსოფლმხედველობის points d'emergence. წინამდებარე წიგნი სწორედ ამ თვალსაზრისით არის დაწერილი და ყოველი ჩვენი წერილი როგორც ფილოსოფიური, ისე ესთეტიკურ-კრიტიკული და ისტორიულ-ფსიქოლოგიური, როგორც აქ მოთავსებული, ისე სხვა ენებზე (Страдание и творчес-

ТВО). ამ მსოფლმხედველობით არის დათანწყობილი. ჩვენთვის რაციონალიზმი ახროვნების ისტორიაში მიზეზია ინკვიზიციებისა, შვიათობისა და ტრაგედიის: ქრისტე, სოკრატე, ჯორდანო ბრუნო ამ გრანდიოზული და sub specie aeternitatis სოფისტური ტრაგედიის დიდი გმირები არიან. კანტის მორალი, მისი კატეგორიები და იმპერატივები ჰამლეტის ქარიშხლიანი სულის სისტემატიზაციაა.

ირაციონალობა ახასიათებს არსებობის ყოველ წუთს და მოძრაობას: ერთეულების სარბიელს საზღვრავს მრავლობის სტიქიური დანაწილება და ინდივიდუალობის ბედი ირაციონალურ ნებისყოფაზეა დამოკიდებული.

შემთხვევათა დაუსრულებელი დენა არის ის, რასაც ჩვენ ვეძახით წუთისოფელს, სამყაროს, ყოვლობას.

არსებობის ცვალებადობა და სტიქიურობის შეგრძნება ადამიანში იწვევს კოსმოსურ სევდას, რომელიც თავისებურად ახალისებს კაცობრიობის ინტელექტუალურ კულტურას, აღრმავებს განცდას და მთლიან პიროვნებას ისევე ეძახის:

Praeter intelligere!`

შეიგრძნობს რა ადამიანი თავისი ყოფის წარმავლობას, შეიქმნება უფრო გულკეთილი და ნაღდი: ორგანული წვა კოსმოსურად გაშლის ადამიანის სულსა და რაც უფრო ქალაქური, რაც უფრო აჩქროლებული და ათქრიალებული იქნება წუთისოფლური ყოფა, მით უფრო მძლავრი, ტკბილი და ორგანული გასდება ადამიანში წყურვილი მარადისობისა და მშვენიერებისა — კოსმიზმი.

ჩვენს ყოველდღიურ ყოფას რომ ჩამოვაშოროთ ისტორიულ-ტრადიციული მორალი და მისი კატეგორიები, კუთხურ ჩვეულებათა ნაოჭები, ჩვენ რომ ყოველ საღამოს ვგრძნობდეთ, თუ როგორი აჩქარებით, სიზმარეულად, ქურდულად გაივლიან წლები, როგორ ველურად, შმაგად, ატორტმანებით ჩავიძირებით არარაობისა და რღვევის უფსკრულში, და მთელი ჩვენი ნერვული ღელვიდან დარჩება მხოლოდ ერთი მუჭაღა მტვერი, რომელსაც გაანიავებს წუთისოფლის ქარიშხალი, ჩვენ გაცილებით უფრო ბედნიერი და გულკეთილი ვიქნებოდით, უფრო ხშირად აგვიჩუყდებოდა სიყვარულით გული ამ უთავბოლო და მუდამ მოუწყობელ არსებობაში. მოვლენები და საგნები დროული, დრეკილი და ხრწნადი ფორმებია მარადიულად უცვლელი ცვალებადობის: სული ყოვლობის ნივთიერების შინაგანი რყევის დინამიკური აორთქლებაა: იდეები ორგანულ ღელვათა თეთრმკვრეტი ასხივოსნებაა და არსებობის

ყოველი წუთი შემთხვევათა გაურკვეველი და უსაზღვრო დენაა; ჩვენი წუთისოფლური ტანჯვა და ყოფა ბოლოს და ბოლოს მხოლოდ თქმა და ზღაპარია, — ისტორია ლეგენდაა; ერები და ქალაქები, ცივილიზაცია და კულტურა, ორგანული ფორმები, საუკუნეების ღრეკანი და კაცობრიობის განგაში მარადიული ლანდების კოშმარული დემონსტრაციაა, დაუსრულებელი და უთავბოლო კადრილია.

ჭია-ღუებიდან შეიქმნა მე ადამიანის; ჭია-ღუებიდან დაიშლება იგივე მე და უცვლელ ცვალებადობაში ვერასოდეს ვეღარ განმეორდება მთლიანი იგივეობით. მხოლოდ დაშლილი უჯრედები მარადიულ ხეტიალში ერთმანეთს ვეღარ შეიცნობენ და ჩვენი მე დაფლეთილი, ჩვენი სული დადრესილი უსახო ყოვლობაში დაიბნევა.

ძიება გნოსური, ძიება აბსოლუტური ჭეშმარიტებისა კაცობრიობის დონკიხოტობის კეთილშობილური სახეა და ცხადყოფს წუთისოფლად ჩვენს გულწრფელ გულუბრყვილობას, მაგრამ ყოველგვარი იდეა per se ორგანოტროპული, ჯგუფური და ტემპერამენტულია; სამყაროს ერთ კუთხეში რაც ჭეშმარიტებაა, მეორე კუთხეში ის სიყალბეა; ჰოტენტოტისათვის რაც წმინდა და ღვთაებრივია, ის ჩვენთვის საზიზღარი და სასაცილოა; რაც დღეს რომელიმე ერისათვის იდეალია, ის შეიძლება ხვალ სათრეველი და სალაღობო გახდეს.

ჭეშმარიტება ორგანულ-ფსიქიკური ჩვეულების დროული, წარმავალი ტემპერამენტული ფორმაა და sub specie aeternitatis ყველაფერი ლეგენდა და სოფიზმია.

ცხოვრების აზრი მოხერხება და თქმაა.

სამყაროს დაუსრულებლობაში ლოგიკური თვალთახედვით ნაპოლეონი იგივეა, რაც ტასმანიის ბეღურა, კანტი იგივეა, რაც ცეილონის კენგურუ.

სულისა და მატერიის ისტორიული განმარტება

საბერძნეთის ფილოსოფოსების წარმოდგენაში სული ორგვარია: პირველი გვარის სული არის იდეა, ლოგოსი; მას არა აქვს ნივთიერი არსებობა, ის არის უსხეულო, მოკლებული განფენილობას, ნასვრეტობას და სხვა მატერიულ თვისებებს. მეორე გვარის სული ჰაერის მსგავსი ორგანული ნივთიერებაა, რომელიც მიმოფანტულია ჰაერში, სივრცეში, — აქედან შედის ადამიანის სისხლში, ნერვულ სისტემაში და აცხოველებს მთელს ორგანიზმს. პნევმა — მეორე გვარის სული არის ფსიქეს, პირველი გვარის სულის, სადგური. ფსიქე არის სამნაირი: ნერგოვნებითი, მგრძნობელობითი, რომელიც დგას უფრო მაღლა, ვიდრე ნერგოვნებითი, მესამე, ყველაზე უფრო მაღალი და კეთილშობილი სული იყო მეტყველებითი სული.

პნევმაც სამგვარი იყო: პირველი ნივთიერების პნევმა; მეორე — ცხოველობის პნევმა; მესამე შეადგენდა ზოგადი ხასიათის პნევმას. პირველი გვარის პნევმის ადგილი იყო ღვიძლი, მისეული ქსოვილებით. მეორე გვარის პნევმის ადგილი იყო — გული; მესამენაირი პნევმისა კი — ტვინი ნერვებითურთ.

ფილოსოფოსი არისტოტელე, თავისებურად საერგებლობდა ამ კლასიფიკაციით: იგი ფიქრობდა, რომ ცხოვრების მასულღგმულებელი ძალა სხვადასხვა პირობებში სხვადასხვა სახისა იყო: არისტოტელეს აზრით, სამყაროში არის სულიერობის სხვადასხვა მდგომარეობა, რადგან სულიერობა შემოქმედებითი მუხვადობაა, სრულყოფისკენ გაშლილი მიმდინარეობაა. სულიერობის აღმათხევით მიმდინარეობას არისტოტელე უწოდებს ენტელექიას; მცენარეული სული, ცხოველობაში — ცხოველური, ადამიანში კი უმაღლესი წერტილი ენტელექიის, ყველაზე უფრო სრულყოფილი სახე უნივერსალური სულიერობისა.

ყველგან და ყველაფერში არის ტრფიალება ენტელექიისა: მინერალი, მცენარე, პირუტყვი, ადამიანი შემოქმედებითი წერტილებია, სადაც ისვენებს ენტელექია, რომლებშიც ცხადყოფილია სრულყოფის სახეები და სახიერებანი.

ჰუმანისტები იმეორებდნენ არისტოტელეს სიტყვებს და ამტკიცებდნენ: სული ყველაფერშია.

ჰუმანისტებისა და ანტიკური ფილოსოფოსების მსოფლმხედველობაში სული არსებობდა როგორც ერთგვარი თვითმყოფი რაობა (სუბსტანცია); სული იყო ძალა, ენერგია, ideeforce, — სული იყო ის, რაც აძოძრავებდა ნივთიერებას. თვით ნივთიერება (მატერია) იყო ერთგვარი მასა, რომელსაც არ შეეძლო თავისთავად მოძრაობა, რომლის არსებობა დამოკიდებული იყო სულის არსებობაზე, სული, როგორც ამბობს პლატონი, ერთგვარი დემიურგია შემოქმედი ცხოვრების სახეებისა და ფორმებისა. მატერია იყო „დაუსრულებადი" და „გამოურკვეველი", „ტლანქი", „ბნელი", „ძნელი გვარი", რომელიც ქმნის „მესამე დასაწყისს წუთისოფლისას", რომელიც აზროვნებისთვის წარმოადგენს არარაობას, რომელსაც არა აქვს სახე, რომელიც „ყოველი მიმღებია", რომელიც არ არის არც მიწა, არც წყალი, არც ჰაერი, არც ორთქლი, არც ცეცხლი. მატერია არის დემონური ვრცეულობა, რომელშიც იქმნება და რომელიც თვითონ ვერ ქმნის. მატერია საჭიროა, როგორც შესაძლებლობის განუსაზღვრელი რეალობა — რეალობა ბრმა, მოვლენა ყალბი, რომელიც გვეჩვენება დიდად, მაგრამ თავისთავად პატარაა, რომლის არსებობა არის ეფემერობა, არარაობა, რომლის სახე მუდამ გარბის და მუდამ ტყუის: ასე ახასიათებს პლატონი მატერიას თავის „ტიმეა-ში". ნეოპლატონისტმა პლოტინმა თავის მეორე „ენეადი"-ს მეოთხე წიგნში და მესამე „ენეადების" მეექვსე წიგნში მოგვცა თითქმის უფრო მკაცრი, უფრო ულმობელი დახასიათება მატერიისა. მატერია არ არის რთული, იგი მარტივია და „ერთეული ტლანქად მიმდინარე", მას სხეული და რაოდენობა არა აქვს; მას არა აქვს ფორმა და ზომა: იგი მხოლოდ „ზომის ვრცეულობას იძლევა", უცხო ძალა ქმნის სახეს, ფორმას და რაოდენობას მატერიაში; მატერია არის მხოლოდ „ილუზია განფენილობისა".

არისტოტელეს აზრით, თუმცა მატერიას არა აქვს არავითარი დადებითი თვისება, მაგრამ აქვს „ნიჭიერება" ყოფნისა და არყოფნის. მატერია მეტაფიზიკური ორმაგობაა და უარყოფს აზროვნების ლოგიკურობას.

სულ სხვანაირად უყურებენ მატერიას თვით მატერიალისტები.

მატერიალიზმის წარმომადგენლები: დემოკრიტე, ეპიკურე, ლევკიპე, ლუკრეციუს კარა მატერიას სსნიან როგორც ერთგვარ ყოვლობას, ერთგვარ აბსოლუტურობას, მხოლოდ მატერია ნაწილდება, იმუხვება;

ნაწილები ერთმანეთს შორდებიან და ისევ ერთდებიან; მოძრაობა ნაწილებისა არის თვით ცხოვრება. ყოველი მატერიის ნაწილი ანუ ატომი მონაწილეობს მოძრაობაში.

არაფერი წუთისოფლად არ იკარგება; ხრწნადი საგნების ატომები ერთმანეთს შორდებიან. მაგრამ არსებობას მაინც განაგრძობენ. არსებობენ თუ არა ატომები? ამის საყურადღებო პასუხს, საკმაოდ დასაბუთებულს, ჩვენ ვხედავთ ლუკრეციუს კარას პოემაში — „De rerum natura". ატომი ისე პატარაა, რომ ადამიანი მას ვერ ხედავს: გარეგან გრძნობათა ორგანოების საშუალებით ადამიანს არ შეუძლია შეიცნოს და შეიგნოს ატომის არსებობა და ოდენობა, მაგრამ, რომ ატომი არსებობს, ამას ჩვენ გვიმოწმებენ სხვადასხვა მაგალითები: ტანისამოსი, რომელიც გადაკიდებულია წყლის პირას, სველდება; როდესაც ტანისამოსი მზეზეა, ატომებს ეშინიათ და გარბიან. ამნაირად სიმშრალე და სისველე, ისე როგორც ყველაფერი, დამოკიდებულია მოძრაობაზე. ბეჭედი, რომელსაც ჩვენ რამდენიმე წელიწადს ვატარებთ, წვრილდება: მას შორდება ნაწილები, რომელთა დანახვა ჩვენ არ შეგვიძლია, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ კი ვხედავთ, რომ ნაწილი შემადგენლობისა ბეჭედს დაჰკარგვია და დღეს ის აღარ არის, რაც იყო. ლუკრეციუს კარა გეელაპარაკება თავისი პოემის მეორე ნაწილში ატომთა მოძრაობასა და თვისებებზე: ატომები არიან განუწყვეტელ მოძრაობაში; ატომთა მოძრაობა არის შეუჩერებელი „დაღმათრევა" დაუსრულებელ უსაზღვროებაში, „დაღმათრევითი" მოძრაობა: ანუ პირვანდელისკენ სწრაფვაა, პარალელურია და სწორი, მხოლოდ შემდეგ სხვადასხვა ატომთა და სხვადასხვა გარემომცველთა გამო, მოძრაობათა პარალელები იშლება და იწყება არევ-დარევითი განგაში. რით აიხსნება, რომ ატომთა განგაშსა და მოძრაობას ჩვენ ვერ ვხედავთ და საგნებს, რომელთა შემადგენლობა (ატომები) მოძრაობაშია, აქვთ წყნარი სახეები? — ამის პასუხად ლუკრეციუს კარა იძლევა სურათს: წარმოვიდგინოთ, ამბობს იგი, შორს ჩვენგან თამაშობს ჯოგი... ცხვრები დახტიან ხან იქით, ხან აქეთ, მაგრამ მათ თამაშსა და მოძრაობას ჩვენ ვერ ვხედავთ, რადგან შორს ვართ. ჩვენ ვხედავთ მხოლოდ მაღლობს, რომელიც ჯოგის ფერად მოჩანს.

ატომები არიან სხვადასხვა ფორმის: ზოგი მრგვალია, ზოგი წვეტიანი, ზოგი წულუტი. დასავლეთ ევროპის ფილოსოფიაში ატომიზმს საპატიო ადგილი უკავია: არა მარტო მატერიალისტებს, ოვით დეკარტსაც სჯერდა ატომის არსებობა. დეკარტი ფიქრობდა, რომ ატომს აქვს

განფენილობა და ატომთა შორის ხედავდა მხოლოდ გარემცველობით განსხვავებას. დეკარტის სიტყვით, ატომი უზუაოა. მას არა აქვს არც წონა, არც მასა; წონას ატომი ღებულობს მხოლოდ მოძრაობაში, ნიუტონს არა მარტო ატომთა არსებობა სჯეროდა, არამედ ატომთა შორის ეძებდა მსოფლიო მიზიდულობის კანონის მიზეზს, ავოგადრო ატომებს ეძახის ელემენტარულ მოლეკულებს (molecules elementaires); იგი შეეცადა დაემტკიცებინა ატომების არსებობა journale de Phrysique-ში: Essai d'une manière de déterminer les masses relatives des molecules elementaires des corps et des proportions selon lesquelles elles entrent dans les combinaisons.

ინგლისელმა ფიზიკოსმა Prout-მა 1815 წ. და სამი წლის შემდეგ — 1818 წ. გერმანელმა მეცნიერმა Meinecke-მ წარმოადგინეს თავისებურად დასაბუთებული ჰიპოთეზა მატერიისა და ატომების თვითმყოფ რაობაზე. პროუტმა და მეინეკემ ერთგვარად გააღრმავეს თალეს მილეტელის კოსმოლოგია: აიღეს წყალბადი მატერიის თვითმყოფ რაობად, პირველყოფილი „ქაოსი", მათი აზრით, სავსე იყო მხოლოდ წყალბადის ატომებით: წყალბადის ატომთა მილიარდები ინძრეოდნენ და ირყეოდნენ დაუსრულებლად; უთვალავ წელთა განმავლობაში გრძელდებოდა დამუხვა და განწვალება, რაც უფრო ცივდებოდა წყალბადური მასა, მით უფრო იხეთქებოდა და ნაწილდებოდა.

ნაწილები უერთდებოდნენ ერთმანეთს არევდარევით და უთავბოლოდ: თანდათან რთულდებოდა ქიმიური შემადგენლობა პირველყოფილი მატერიისა.

რთული ნივთიერება უერთდებოდა რთულს და ბუნებრივი რეაქტივებით იქმნებოდა მოძრავი, ორგანული ნივთიერება. ორგანულ ნივთიერებაში ეწყობოდა თავისთავად, ბუნებრივად ორგანიზაცია-ნერვული სისტემა, რომლის ნაწილები უთვალავ წელთა განმავლობაში ერთმანეთს შეჩვეულნი ქმნიდნენ ერთეულ, განუკვეთელ ხმაშეწყობილებას — იმ ხმაშეწყობილებას, რომელსაც მარადიულად შემოქმედებითი ხასიათი აქვს, რომელიც წარმოადგენს ყოვლობის პროტილეას, ენერგიას, ძალას, სულს.

ბოლო დროს ატომის შედგენილობაც შეისწავლეს: ამტკიცებენ, ატომი ელექტრული იონებიდან შედგება და არ არსებობს მატერია, რომელსაც არ ჰქონდეს ელვისებური ძალაო.

სული და შემეცნება როგორც ორგანული ჩვეულება

ყოველობის ენერგია უნივერსალობის სულიერ მოვლენათა მრავლობაში გამოიხატება, სულიერი მოვლენები კი ჩნდებიან ორგანულ-ნერვულ სითხეში, რომელიც ბოლოსა და ბოლოს შედგება იმ მინერალებისაგან, რომელნიც ბუყბუყებენ მინერალური წყლების აუზებში და, რომელთა აორთქლება ზრდის და ამაგრებს მცენარეულობას, მათით საზრდოობს ძლიერი ნებისყოფა ცხოველების და ადამიანების.

საზოგადოდ ცხოველებისა და ადამიანების ნერვების გაღიზიანება იწვევს ამ მინერალების არაჩვეულებრივად აჩქარებულ მოძრაობას. მოძრაობაში მატულობს ნერვული ენერგია. რაც უფრო ძლიერია გაღიზიანება, მით უფრო დიდია ნერვული ენერგიის დენა, მით უფრო მდიდარია სული ადამიანისა ყოველობის შეგრძნებებით და ემოციებით.

სული თავისი შეგრძნებით და ემოციებით, თავისი სხივოსანი იდეებით და შეცნაურებებით ორგანული მოძრაობის ქიმიური სახეცვლილების შედეგია: ქიმიური ელემენტების შემოქმედებითი ატალღება იძლევა სულიერობას ისე, როგორც აჩქარებული მოძრაობა იძლევა სითბოსა და ცეცხლს.

მთელი გონება შემეცნების პროცესის მხოლოდ ჩვეულებით განყენებული სფეროა სულიერობის და ემორჩილება ორგანულ-ნერვული ელემენტების სახეცვლილებას ისე, როგორც კონკრეტული სახეები ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური ცხოვრებისა. ჩვენი საკმელების ქიმიურ ელემენტებს ისეთივე გავლენა აქვს ჩვენს შემეცნებაზე, როგორც ჩვენს კუნთებზე: იდეა ისე ისახება ბიოორგანულად როგორც შეგრძნება, იდეას ისე ესაჭიროება თვითმშვრეტი გასხივოსნებისათვის ჩვენი მუსკულების ქიმიური შემადგენლობა, როგორც ფიზიოლოგიურ გაღიზიანებას: როდესაც ჩვენ ჩქარა მივდივართ ან ავდივართ მთაზე, თუნდაც ნელ-ნელა, ვამჩნევთ, რომ, რაც უფრო და უფრო გვეკიმება მუსკულები ფეხებისა და მკლავების, მით უფრო და უფრო გვეძნელება განყენებულად აზროვნება და ფიქრი ტრანსცენდენტალობის სფეროში. ელემენტარული სახეები შემეცნებისა ამ დროს ჩვენ გვაქვს, გვაქვს წარმოდგენები, ფიზიოლოგიური შეგრძნებები, მაგრამ გვეძნელება ასოციაციებზე ფიქრი და მეტაფიზიკურად მსჯელობა. ორგანული ენერგია არაჩვეულებრივ მოძრაობაში ზედმეტი გვეხარჯება და სულიერობის სფეროში ვერ შედის ჩვენი ნერვების ქიმიური ელემენტების შემოქმედებითი ატალღება.

მთელი ჩვენი შემეცნების პროცესი ორგანული ჯიშისაა.

საჭმლის მიღების შემდეგ თითქმის მთელი საათის განმავლობაში ჩვენ მეტად გვეძნელება განყენებულად ფიქრი, მეტაფიზიკური თხზულების წაკითხვა და სხვა... ახალგაზრდობისა და ჯანმრთელობის დროს ვერ ვამჩნევთ ამ სახის ორგანულ მოქანცულობას, მაგრამ დაახლოებით ოცდაათი წლის შემდეგ თითქმის ყოველთვის სადილის შემდეგ ვგრძნობთ, რომ ჩვენი ორგანიზმი ვერ ასრულებს, ფიზიოლოგიურ მოვალეობასთან ერთად, მეორე მოვალეობას — ინტელექტუალური სახისას. თუ ჩვენ თავს ძალას დავატანთ ამ დროს და მაინც დავიწყებთ გონებით მუშაობას, მაშინვე გვეპარება ძილი, ვგრძნობთ თავის ტკივილსა და ნერვების მოდუნებას. მაშასადამე, იდეის განსახეობა თხოულობს ორგანულისა და თერმული ენერგიის დახარჯვას, ნერვების წვას და დრესას. შემეცნების ფსიქიკური condicio იქმნება იმ მასალებიდან, რა მასალებიდანაც შედგება ორგანულად ჩვენი ნერვული სისტემა. იდეა არ არის ზებუნებრივი და ზემატერიული მოვლენა, იგი ნერვული ნივთიერების წვის გასხივოსნებაა, ბიოორგანულად იდეა ჩვენში ისე მზადდება, ისე იქმნება, როგორც ელვა ჰაერში, როგორც ცეცხლის ალი კაჟსა და ფოლადს შორის, როგორც მინერალური ელემენტების სხივოსანი ბუყბუყი მინერალურ ზოლებში.

სპეციალური ორგანოები: მხედველობის, გემოვნების, ყნოსვის, სმენის, შეხების ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, ვერ შემოაქვთ და ვერ გააქვთ ცხოვრების სახეები, თუ ორგანიზმი ვერ ჭამს და ვერ სვამს წესიერად; მოხუცებულობის დროს სული ვერ იჩენს იმდენ აქტივობას; რამდენსაც ჩვენ ვხედავთ ახალგაზრდობის დროს; შეგრძნებები, იდეები, იდეალები, აფექტები — მთელი სულიერი აქტივობა მოდუნებულია ისე, როგორც მოდუნებულია თვით ორგანიზმი, რომელშიც ხდება შემეცნება.

მოძრაობაში ისახება თვით შეგნება. შემეცნება იმდენად შინაარსიანია, რამდენადაც დიდია და ძლიერი ორგანული გაღიზიანება. შემეცნება ათლეტურ ტანსაღობაში კი არ ღრმავდება, არამედ ამ ტანსაღობის გაღიზიანების დაშლაში.

ონანისტები, მორფისტები და ეროტულად აგზნებული ადამიანები სულიერად მდიდრები არიან, მათ ეადვილებათ მგოსნობა, ორატორობა, მეტაფიზიკურად აზროვნება მანამდე, სანამ ორგანულ გაღიზიანებებს აქვთ აქტიური ხასიათი, სანამ ნერვული სისტემა იტანს შემოქმე-

დებითი ტალღების მატერიალურ წვასა და მინერალების აორთქლებას. მაგალი სულიერობა იმ სახით, რა სახითაც ჩვენ მას ვხედავთ შემოქმედებითი ევოლუციის დღევანდელ პირობებში, ორგანული ჩვევისა და შეგრძნების შედეგია. ფილოსოფიური ფსიქოლოგია ამტკიცებს ამას მაგალითებით, რომელთა შორის საკვლევით ირკვევა მატერიის გავლენა სულზე და სულის გავლენა მატერიაზე, ირკვევა ის, თუ როგორ ინახება სტატიკურად, ფიზიოლოგიურ-მატერიალურ სფეროში ორგანულ-განცდისა და ნერვული მღელვარების ყოველი სახე, თუ როგორ იქმნება თანდათანობით სულიერობის სფეროში განსახეობა თვითმჭვრეტი მატერიისა.

პროფ. პავლოვს უნდოდა თურმე კუჭის საჭმლის მომნელებელი სითხის გამოკვლევა, ამისათვის რუსი მეცნიერი უჭრიდა მუცელს ძაღლს იმნაირად, რომ გარედან შესაძლებელი ყოფილიყო დანახვა კუჭს საჭმლის მომნელებელი სითხის დენისა.

კუჭის გაღიზიანება გარედან რომელიმე ნივთიერებით ან ბალიანი იწვევდა კუჭში საჭმლის მომნელებელ სითხეს. ამ ფიზიოლოგიურ-აქტიდან პავლოვი გადავიდა ფსიქიკურზე: იგი მხოლოდ აჩვენებდა საჭმელს ძაღლს, ფიზიოლოგიური ქიმიიდან, როგორც ვიცით, ყოველ საჭმელს ესაჭიროება კუჭში განსაკუთრებული შემადგენლობის სითხე — ცხიმი, ცილა, სახამებელი, სიმჟავენი და სხვა ნივთიერებანი. პავლოვის ცდებში აღმოჩნდა, რომ იმ დროს, როდესაც ძაღლს საჭმელს აჩვენებენ, ძაღლის შემეცნება ტვინიდან განკარგულებას იძლევა — კუჭმა ამა და ამ შემადგენლობის სითხე მოამზადოსო. შეცნაურება მხედველობითი აპარატიდან მიდის ტვინში, ტვინი იძლევა განკარგულებას შესაფერისი სითხის მოსამზადებლად. შემეცნების ორგანული სახე აქ საუცხოოდ მტკიცდება. ორგანიზმში შენახულა მეხსიერება იმისა, რომ ამ და ამ საჭმლის მომნელებელ სითხეში უნდა შედიოდეს ეს და ეს ნივთიერებაო, — და განკარგულებას ორგანული ჩვეულების შემეცნებისას კუჭი ასრულებს იდეალურად. მაშინვე ქმნის და იძლევა იმ სითხეს, რომელიც ნაჩვენები საჭმლისათვის აუცილებელია.

ჰელმჰოლცი შემდეგნაირად იქცეოდა: იღებდა ფანქარს პერპენდიკულარულად და რამდენიმე წუთს უყურებდა. შემდეგ აიღებდა სამკუთხიან პრიზმას და იყურებოდა ფანქრისაკენ ამ პრიზმიდან. როგორც ვიცით, ასეთ პრიზმას თვისება აქვს, გვიჩვენოს საგანი არა იქ, სადაც არის, არამედ სხვაგან, რადგან სინათლის სხივებს განზე ისვრის. რამდენიმე წუთის შემდეგ ეს მეცნიერი პრიზმას გადადებდა და თვალებ-

დახუჭული მარჯვენა ხელით ეძებდა ფანქარს. თურმე ხელი ეძებდა ფანქარს არა იქ, სადაც პრიზმიდან მას ეჩვენებოდა. არამედ იქ. სადაც მანამდე ფანქარი იყო, მხოლოდ რამდენიმე ცდის შემდეგ ხელი ეძებდა ფანქარს. იქ. სადაც პრიზმიდან თვალი იყურებოდა ცდების დროს.

მაგრამ მეცნიერი ისევ უბრუნდებოდა პირვანდელ მდგომარეობას. ჯერ უყურებდა ფანქარს უპრიზმოდ რამდენიმე წუთს, შემდეგ ხუჭავდა თვალებს და ხელით ეძებდა ფანქარს — ხელი ეძებდა ფანქარს სწორედ იქ, სადაც უნდა ყოფილიყო პრიზმიდან რომ ეყურებინათ. შემეცნების პროცესი ორგანოტროპულია, ასოციაცია მხოლოდ ჩვეულებათა შეგრძნებაში იქმნება თანდათანობით.

მეო, — ამბობს ვუნდტი, — შევაჩვიე ჩემი ძაღლი სიტყვა „ჰოპის" წარმოთქმის დროს ჯოხზე გადახტუნვასო. როდესაც, ერთხელ, ბრძანება მივეცი „ჰოპით", მაგრამ უჯოხოდ, ძაღლმა გაკვირვებული შემომხედა. მხოლოდ როდესაც ბრძანება განმეორებული იყო, ძაღლმა დაიწყო ყეფა და წუხილი. ბოლოს, როდესაც რამდენიმეჯერ მოვითხოვე და განვიმეორე „ჰოპ", ძაღლმა ძალა დაატანა თავის თავს და იხტუნა ჰაერში, თან ხმამაღლა წამოიყეფა, თითქოს უკმაყოფილო იყო ჩემი მეტად არაჩვეულებრივი და უსაფუძვლო ბრძანებით. რამდენიმე დღის შემდეგ ძაღლი სრულებით შეეჩვია ჩემს მოთხოვნილებებს და სიტყვა „ჰოპზე", უჯოხოდ თავისუფლად ხტუნავდა ჰაერში. ასოციაცია ჯოხის სახისა და ბგერა „ჰოპ" ძაღლმა შეითვისა როგორც ორგანული პროცესი და როდესაც ძაღლს უჯოხოდ მოსთხოვეს ხტუნვა, ძაღლი გაკვირვებას გამოთქვამდა ორგანული ღელვით:

თითქოს ორგანულად იშლებოდა ძაღლის „პიროვნება", ძაღლის მსოფლმხედველობა, როდესაც ბრძანება არ შეეფერებოდა შეგრძნობილ სინამდვილეს: ძაღლი წუხდა, ყეფას იწყებდა. მთელი ჩვენი შემეცნების პროცესი თავისი ასოციაციებით და მორალით ბოლოს და ბოლოს წმინდა ფილოსოფიური თვალსაზრისით მხოლოდ ერთგვარი რთული სახეა იმ მეტად კონკრეტული მაგალითის. რომელიც ისახება ჯოხს, ძაღლს და „ჰოპს" შორის.

შევეჩვიეთ ცხოვრების ონტოლოგიური სახეცვლილების თანდათანობას და როდესაც ცხოვრება დროგამოშვებით არღვევს მიმდინარეობის წესრიგს ან ისტორიულად, ან ბიოლოგიურად, ჩვენი სულიერი პიეტიზმი ირღვევა: „ტრაგედიას" ვეძახით ამ მომენტს და მეტად მწვავედ ვგრძნობთ ცხოვრების ასეთ „უკუღმართობას": მიწისძვრა, პლანეტების არევ-დარევით მოძრაობა, სხვადასხვა დროს ხალხთა გადასახ-

ლება და ისტორიულ-სოციალური რევოლუციები — თქმა არ უნდა, ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ეს ისეთივე მეტაფიზიკური სულმოკლეობაა, ისეთივე, „ტრაგედიაა", როგორც იმ ძაღლის სულიერი განცდა და ორგანული მღელვარება, რომელმაც „ჰოპის" დროს ჯოხი ვერ დაინახა და ფიქრობდა: ვის გაუგონია „ჰოპი" უჯოხოდო; ასოციაციები ორგანულ-ბიოლოგიური შემოქმედებაა.

ნერვული სისტემაა შემოქმედი აპარატი და სხვადასხვა ნაწილები ამ სისტემისა ასრულებენ მხოლოდ იმ დანიშნულებებს, რომლებიც მათ ევალებათ. გარეგან გრძნობათა ორგანოები არიან თავისებური ფანჯრები, რომლებითაც ნერვული სისტემა უკავშირდება მსოფლიოს ყოფას, წუთისოფელს. მხედველობის, შეხების, ყნოსვის, გემოვნებისა და სმენის ორგანოები, როგორც მოხელეები, ემსახურებიან ნერვულ სისტემას: მიაქვთ ცენტრებში მიმღეობის სახეები, შეგრძნებები და მოაქვთ ცენტრებიდან პერიფერიებში გადასაცემად ამბები და განკარგულებები. ორგანიზმი მთელი სახელმწიფოა, რომლის არსებობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას მოხელეები; თუ რომელიმე ფუნქცია არ სრულდება როგორც საჭიროა, სახელმწიფო ინგრევა, ირყევა, ავადმყოფდება; ბოლოს ავადმყოფობა იპყრობს მთელს სახელმწიფოს და სახელმწიფო იშლება. მოვლენისა და საგნის რაობა არის ჩვენი ორგანულ ჩვეულებათა რაობა, ჩვენი ნერვული მიმღეობის ფენომენური რაობა. მართალია სოფისტი: ადამიანი არის საზომი წუთისოფლის; მატერიისა და მოძრაობის რაობა მხოლოდ და მხოლოდ ფენომენურია, მაგრამ რაკი შემეცნების პროცესში საქმე გვაქვს არა საგნის რაობასთან, არამედ საგნის მიმღეობის რაობასთან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საგანი არ არსებობს ჩვენ გარეშე, უჩვენოდ მიმღეობა არის განცდა და არა ჭვრეტა, განცდა არის წვა და წვის პროცესში იქმნება მიმღეობის რეალობა. საგანი ორმაგ ყოფაშია: ამაში კანტი მართალია, მაგრამ მიმღეობის პროცესში საგანი არის მხოლოდ ფენომენი განცდისა და ფენომენის რეალობა არის განცდის რეალობა; ჭვრეტა არის ნერვული დრესის სხივისებური ენერგია. ყოველგვარი შემეცნება ორგანული შემოქმედებაა და არ არსებობს არავითარი განსაკუთრებული აპარატი შემეცნებისა. ტვინი ასრულებს ტელეფონის როლს, მას ევალება მხოლოდ იმის გადაცემა, რაც უკვე მზად არის, ტვინის ხვეულები იგივეა, რაც ტელეფონის მავთულები, რომელთაც აქვთ დამოკიდებულება ძარღვებისა და უჯრედების ნასვრეტებთან.

ორგანოტროპიზმი და კოსმიზმი

მოვლენებისა და საგნების სახეები წუთისოფლად ყველგან იქმნება საერთო ცხოვრების პირობების მიხედვით — გეოგრაფიულისა და გეოლოგიური შესაძლებლობის ფარგლებში: შემოქმედებითი ევოლუცია აყალიბებდა არსებობის ფორმებს იმ მასალებით, რომლებიც ადგილობრივად მოიპოვებოდნენ და იყვნენ შეგუებულნი ქიმიოტროპულად ტერიტორიულ მდგომარეობასთან.

ორგანული და არაორგანული ბუნება, მცენარეულობა, პირუტყვი, ადამიანი, ქვეყნები და პლანეტები — ყველაფერი თავისებური სახეა შემოქმედებითი ენტელექიის შესაძლებლობისა, ყველაფერს აზის ბეჭედი პირობების, შესაძლებლობისა და ტერიტორიისა. საკვირველია გარეგან გრძნობათა ორგანოების მოკვეთილობა: იქ, სადაც ჰაერი იყო მსუბუქი და ბევრის შესუნთქვა იყო საჭირო, ადამიანს შეექმნა დიდი ცხვირი და გაშლილი პირი. იქ, სადაც ჰაერი იყო მძიმე და ცოტას შესუნთქვა იყო საჭირო, ცხვირიც შედარებით პატარაა და პირიც. არსებობის ზოგადი, კოსმოსური პირობები ერთნაირი კალაპოტია ყოველი ორგანიზმისათვის, — როგორც მცენარისათვის, ისე ცხოველისათვის. ორგანული ატეხილობის ფორმა ყველგან ტროპულია და ყოველი ტროპიზმი ტერიტორიულია. სიცოცხლის ფენომენის სახეცვლილება უაღრესად ემორჩილება ევოლუციას და არის ყოველთვის შედეგი გარშემო წრის ფიზიკური თვისებებისა — იქნება ეს დარვინის არსებობისათვის ბრძოლის კანონზე აშენებული თუ შემთხვევათა დაზგაზე აკვეთილი, სულ ერთია. ყოველი არსის სასიცოცხლო ფუნქციები მოძრაობენ თერმოტროპულად და ქიმიოტროპულად: ნილოსის ნიანგს არ შეუძლია ცხოვრება ჩრდილოეთის ოკეანეში და ჩრდილოეთის ეგრეთ წოდებულ თეთრ დათვს არ შეუძლია ცხოვრება აფრიკის უდაბნოში. შეგუებას და შეჩვევასა აქვს თავისი ენერგია, რომელიც საზრდოობს ორგანიზმსა და გარემოს შორის ქიმიურ-თერმული დამოკიდებულებით; საუკუნეთა განმაელობაში ეს დამოკიდებულება ხდება ორგანული — კანის ნასვრეტებით და ძარღვებით შემოდის ორგანიზმში ქიმიური ნივთიერება, ორგანიზმი იცლება არასაჭირო ელემენტებიდან და ამნაირად იქმნება ინდივიდუალური სახე ტერიტორიული ტროპიზმით, ორგანული შეგრძნებით.

არსი ნელ-ნელა ითვისებს ორგანულად ქიმიურ-თერმულ შემადგენლობას ცხოვრებისას და ხდება ცხოვრების შემოქმედებითი ინდი-

ვიდუალიზაცია: სითბო, სინათლე, ელექტრონი, ჰაერის მოძრაობა — ყველანი ერთად და სათითაოდ ქმნიან ნერვული აშლილობის თავისებურებას; ბევრი სხვა ნივთიერება, ფუსფუსი და მოძრაობაც მონაწილეობს ამ თავისებურების შექმნაში და ბოლოს და ბოლოს ყოველი ორგანული ქმნილება, მცენარე იქნება ის თუ ცხოველი, რაგინდ მარტივი იყოს მისი სხეული, არის მეტად რთული ბიოლოგიური ინდივიდუალიზაცია ცხოვრების ელემენტების და ყოველ მის მოძრაობაში იკუმშება არაერთი მილიონი წარსულის სახეებისა და ფორმების არაერთი წვა, არაერთი ცახცახი პირველყოფილ ძალთა.

ნერვული სისტემა არის ერთნაირი აპარატი ორგანული აშლილობის სტიქიური მოძრაობის; ეს აპარატი შეიქმნა პირველყოფილ ნივთიერებათა განწვალებაში სტიქიურად: არავითარი მიზანშეწონილობა, გონივრულობა ამ შემოქმედებაში არ ყოფილა, გარდა შესაძლებლობისა. აპარატმა მიიღო მხოლოდ ის სახე, რომელიც შესაძლებელი იყო მიეღო მას განუსაზღვრელ ქიმიურ-თერმულ პირობებში იმ საჭიროების მიხედვით, რომელიც თავისთავად იქმნებოდა უთავბოლო და სტიქიური ყოვლობის ორგანულ ტეხილობაში.

ძარღვები ცოცხალ ორგანიზმში იგივეა, რაც მდინარეები ბუნებაში; თუ ძარღვთა ქსოვილი მეჩიდროა და სისხლით მდიდარია, ორგანიზმი ძლიერია და შემოქმედება მისი დიდია, თუ ძარღვებში არ არის ბლომად დაგროვილი ბიოდინამიკური სითხე პირველყოფილ ნივთიერებათა, ორგანიზმი ისე ღარიბია იდეალებით და გრძნობებით, როგორც საჰარა მცენარეებით და მწვანეულობით.

წუთისოფელი ნივთიერებათა წვაა და ამ ღვთაებრივი წვის შედეგია უნივერსალობის იდეოლოგიური განსხვავებანი.

გოეთეს სული „ფაუსტში" ამბობს: ცხოვრების ტალღებში, მოქმედებათა ქარიშხალში მე ამოვდივარ, მე ჩავდივარო.

ყოვლობის ენტელექია მთლად გამოიხატება ამ სიტყვებში: სულიერი მღელვარება ამოდის და ჩადის ბრძოლის ცეცხლით და ორთქლით ცხოვრების ნაპრალებსა და უფსკრულებში, ორგანული ცხოვრება იწვის, იმუხვება; სისხლის ბურთულები ბუყბუყებენ და დნებიან, ნერვული ქსოვილი განცდათა ტალღებში მძიმდება და ნერგოვნებითი ინსტინქტი იცრიცება, ამოდიან თვითმჭვრეტი სხივები ორგანული უფსკრულიდან და ეფინებიან მთელს ინდივიდუალობას, იწყება გასხვავებანი, განათება, გამჭვირვალება. ტყუილად კი არ არის, რომ ხელოვანებმა მოისურვეს წმინდანებისა და წინასწარმეტყველების სუ-

რათების თავების გარშემო შარავანდების გაკეთება. თითქოს ეს თავისებური სიმბოლოა ორგანული გასხივოსნებისა და სპირიტუალიზაციისა.

ბიოლოგი და ბუნებისმეტყველი საბატიე ამბობს: ვინ იცის, როდესაც კაჟი ფოლადს ეკარება და მათ შორის ცეცხლის ალი ჩნდება, შეიძლება ეს „არაორგანული" ბუნების თავისებური მკრძნობელობის ენა იყოსო.

დიდი ფსიქოლოგები და პოეტები ამბობენ — ბუნებასაც აქვს თავისი ენა, თავისი წუხილი, თავისი სევდა, ოცნება, გრძნობა და იდეალები. იბსენი და ჩვენი ბრძენი ვაჟა-ფშაველა ელაპარაკებიან ბუნებას, კლდეებს და მდინარეებს. პერ გუნტი ლაღად გატარებული ცხოვრების შემდეგ უკვე ღრმად მოხუცებული ბრუნდება სახლში და როდესაც მოხუცი ცეცხლისაგან გადამწვარი ტყით შინისაკენ მიეშურება, მას მოესმის უცნაური ხმა, რომელიც წააგავს ბავშვის ქვითინს— ეს ბუნების ქვითინია, ეს ყოვლობის წვაა აცრემლებული. იგი გლოვობს დაღუპულ სიცოცხლეს პერ გუნტისას, ამტყუნებს ჭაღარა მგზავრს, რომ მან ამაოდ გაატარა თავისი ცხოვრება. ნისლები მიმოდიან მის ფეხთა ქვეშ და იდუმალად ებუტბუტებიან მას: „ჩვენ — აზრნი ვართ, რომელნიც შენ ბოლომდის ვერ განსჭვრიტე", ქარისაგან დაფორიაქებული, გამხმარი ფოთლები ჩურჩულებენ: „ჩვენ სიმღერანი ვართ, რომელნიც შენვე არ იმღერე". ნამის ცვარნი ხის ტოტებიდან ცვივიან და ჩუმად ქვითინებენ: „ჩვენ საქმენი ვართ, რომელნიც შენ ვერ შეასრულე".

აზრები, სიმღერები, ცრემლები, საქმეები — ყველაფერი ბუნებაში არის. ვაჟა-ფშაველას გმირს — მინდიასაც კარგად ესმის ბუჩქებისა, ბორცვ-კორდების, ბალახების და მცენარეების წუხილი და სევდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მან ტანჯვით გარდაქმნა თავისი მე, შეჭამა გველის ხორცი — ცხოვრების სიმწარე და თავის ორგანულ-ნერვულ სიმჭვირვალეში შეიგრძნო მარადისობისადმი ღვთაებრივი სიყვარული. მართალია მეცნიერი საბატიე: სულიერობას აქვს ადგილი მინერალებსა და მცენარეებში; ელექტრონი, მაგნიტი, რადიუმი ელემენტებია უნივერსალური სულიერობის, მთელი სამყარო ასულდგმულებულია და ბუნება თავისი ენტელექიით და გრადაციებით მხოლოდ აფერადებული სულიერობაა: ტლანქი, ხორკლიანი და წყლუტი მატერია ქვის ნატეხი იქნება შარაგზაზე თუ ფილოსოფოსის საფეთქელში მიმოქცევადი სისხლის ბურთულა, — სულ ერთია, — არ არის მოკლე-

ბული სულიერობას. ამბობენ: მთვარე მოქმედებს დედამიწაზეო. მაგალითად, იზიდავს ოკეანეების წყლებს და იწვევს მათ ამოწევას და უკუქცევასო. რა ხდება ამ დროს? როგორ მოქმედებს მთვარე ჩვენს პლანეტაზე? რა ძალა აქვს მთვარეს ისეთი, რომ სივრცის დაუსრულებლობაში გადადის ჩვენთვის წარმოსადგენ საზღვარს და იზიდავს ოკეანეთა წყლებს? ფიზიკა ამბობს: მოძრაობა წყალთა მასისა, რომელსაც ჩვენ ვეძახით ოკეანეების ამოწევას და უკუქცევას, პერიოდულად ხდება და უდრის ცვლილებას იმ მდგომარეობისას, რომელშიც არის დროგამოშვებით მთვარე დედამიწის მიმართო.

ეს ლომონოსოვის სტილით გამოთქმული დებულება ფიზიკოსებისა, ჩვენი აზრით, არაფრით განსხვავდება იმ სადა რელიგიურ-მისტიკური წარმოდგენისაგან, რომელიც აქვს თუნდაც სამეგრელოს მივარდნილ კუთხეში რომელიმე სოფლელ დედაკაცს, როდესაც მას მთვარის მობრუნების დროს ბავშვი ავად გაუხდება და იგი. სრულებით დარწმუნებულია იმაში, რომ ეს მთვარის ბრალია, ამბობს — ბავშვს მთვარეული დაემართაო.

როგორც სოფლელმა დედაკაცმა არ იცის, როგორ მოქმედებს მთვარე მობრუნების დროს ბავშვის ნერვულ სისტემაზე და ხდის ბავშვს ავად, არც ფლამარიონმა იცის, როგორ იზიდავს მთვარე შორიდან უკიდეგანო ოკეანეთა უთვალავ ტალღას...

ფაქტი ის არის, რომ იზიდავს და მოქმედებს ძალა მიმზიდველობისა და მოქმედებისა. ის ისე ცხადია, როგორც სქესთა შორის ჩვენს პლანეტაზე სიყვარული და ამიტომ ფიზიკოსების მძიმე სტილის მაგიერ ჩვენ შეგვეძლო უფრო პოეტურად გვეთქვა: შეყვარებული მთვარე დროგამოშვებით კოცნის ჩვენს ოკეანეებს და ტალღები, როგორც ჯულიეტები, იწევიან ხოლმე მაღლა.

ყოვლობის უსაზღვროებაში გაშლილია სურვილი სიყვარულისა და პლანეტები წარმოადგენენ ისეთსავე მგრძნობიარე ორგანიზმებს, როგორც დედამიწაზე ცხოველები და ადამიანები.

სული ორგანიზმში არის მხოლოდ ნაწილი მსოფლიო სულიერობისა და მატერია თავისი ფორმით მხოლოდ ცხადყოფს სულის დროგამოშვებით სტატიკურ, შეკუმშულ, უძრავ მდგომარეობას. სული — ლოგოსი მატერიის მუხვადობაში სტიქიურად შექმნილი ორგანული მეხსიერებაა. ჩვენი ნერვები და კუნთები ბიოდინამიკური მავთულებია ამ მეხსიერებისა. ჩვენში მშვენიერად შენახულა მეხსიერება ნერგოვნებითი და ცხოველობითი ენტელექიისა როგორც ბიოლოგიური ფაქტი:

წარბის მუსკულის შეკვეცა ნიშნავს ყურადღებას; წამწამის მუსკულის აწევა ნიშნავს ჩაფიქრებას; ცხვირის ნესტოების მუსკულების გაწევა წყრომას გამოხატავს; პირის კუთხეების მუსკულების გაფართოება ხიხლის ნიშანია.

სულიერობის ორგანოტროპულობა მტკიცდება ამ ფაქტებით; სულისა და მატერიის დამოკიდებულება ფსიქოფიზიკურად ირკვევა, სული ორგანული განცდის ენერგიაა და წარმოუდგენელია, თუ არ იცის მან თავის მხრივ მატერია, მატერია და მისი ფორმები წარმოუდგენელია, თუ არ არის სული.

სული მატერიის განწვალების დინამიკური აორთქლებაა; მატერია სულის სტატიკური განსხეულებაა.

მატერია როგორც სუბსტანცია შეუძლებელია, რადგან ყოველი სუბსტანციობა სულის შემოქმედებითი განსახეობაა; სული როგორც სუბსტანცია შეუძლებელია, რადგან სულის სუბსტანციობის წარმოდგენა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, როდესაც უნივერსალური სულიერების მიმდინარეობა მიიღებს მატერიულ-სტატიკურ სახეს. სული უმატერიო ერთფეროვანი ნირვანაა, უსახო, გაურკვეველი ქაოსია, კოსმოსური მატერია უსულო ბაბილონელების ფანტასტიკურ თიამატს წააგავს: ენტელექიასა და შემოქმედებით მუხვადობას მას ვერ მივაწერთ, რაც უნდა სპირიტუალური იყოს ჩვენი წარმოდგენა.

ევოლუცია და მატერიის მარადისობა

სამყარო, რომელშიც მიმდინარეობს ყოფა მინერალური, მცენარეული და ცხოველური, არის მატერიული განწვალების დაუსრულებლობა და ყოველი მოვლენა წუთისოფლად წარმოადგენს ერთგვარ სახეცვლილებით იგივეობას ამ დაუსრულებელი განწვალებისას: შეუჩერებელი და უთავბოლო რყევა საგანთა, რომელიც განუწყვეტლივ ხდება ჩვენ თვალწინ, მუდმივი წარმოშობა ორგანულისა და არაორგანული ფორმების, ხალვათობა ფერადებისა და ბუნების ძალთა ვნებათა ღელვის არის მხოლოდ ირგვლივობითი მოძრაობა იმ ელემენტების, რომელთა რიცხვი და ხარისხი რჩება ყოველთვის ერთი და იგივე და რომელთა შეუწყვეტელი შემოქმედებითი გადაჯგუფება ქმნის მარადიული სხვადასხვაობის უსაზღვრო ფერადობას. წუთისოფელი მხოლოდ „ელემენტების“ ხეტიალია და ეგვიპტელების რელიგია ბიოლოგიის

ერთგვარ შესავალს წარმოადგენს. ემბრიოლოგიური გამოკვლევანი გვიჩვენებს (ბერის კანონი), რომ ყოველი უმაღლესი ტიპის ცხოველის ჩანასახი განიცდის სახეცვლილებათა მთელ რიგს, სანამდე მიიღებდეს ბოლოს თავის საკუთარ გვარულ ფორმას. ამნაირად ენტელექიის კიბე, რომლითაც პირველყოფილი მდგომარეობიდან ამოდის ცხოველთა სამეფო. არის ასლი იმ მდგომარეობისა, რომელსაც განიცდის ორგანიზმში ემბრიონი თავისი სახის დასრულებამდე: ადამიანის ჩანასახი თანდათანობით ზრდის დროს იღებს სახეს თევზისას, ფრინველისას, მაიმუნისას და ბოლოს — ადამიანისას. ეგვიპტელი ბრძენი საუკუნეთა უფსკრულში ინსტინქტურად გრძნობდა მცენარეულ და პირუტყვულ ყოვლობასთან ნათესაობას და თავის წარმოდგენაში ურიგდებოდა იმ ბედს, რომელიც მის სულიერ ყოფას მოელოდა...

წინათაც ჰქონდა ადამიანს ერთგვარი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ არსებობის დაუსრულებელ ჯაჭვში მისი ცხოვრება წარმოადგენდა მხოლოდ ერთ რგოლს, ერთ მარჯვალს და მთელი სიცოცხლე იყო მხოლოდ ელემენტების ტრიალი უთავბოლო და შეუჩერებელი.

რაც ყოფილა, — იქნებაო, ამბობდა ისრაელი ბრძენი, დამწვარი განცდით და ნერვული ღელვით. მართლაც, ყველაფერი ყველაფერში შედის და ყველაფრიდან ყველაფერი ჩნდება და მეორდება: პურში, რომელსაც ჩვენ ვჭამთ; ჰაერში, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ, წყალში, რომელსაც ჩვენ ვსვამთ, ჩვენ ვიზიდავთ, ვიღებთ ნივთიერებათა ქიმიურ შემადგენლობას, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში შედიოდა ჩვენი წინაპრების სისხლსა და ხორცში. იქთიოზავრებისა და პირველყოფილი „პითეკანთროპუსების“ მარილებით საზრდოობენ მცენარეები.

სურნელოვანი ყვავილი, რომელიც საამოდ აღიზიანებს ჩვენს ყნოსვით ნერვებს, სტიქიური დაგროვებაა მარადიული მუხვადობის კეთილშობილი ელემენტების და რაც დღეს ნაგავში ყარს, ის ხვალ თეთრ ზამბახად გაიშლება.

არაფერი, რასაც ჩვენ წუთისოფლად ეხედავთ, არ იკარგება.

უძირო სივრცე პლანეტური წვით გადაორთქლილი, ზღვა და მდინარეები, ცხოველთა და მცენარეთა დაუშრეტელი გზნება — ყველაფერი საერთო წყაროდან ჩნდება და ეს წყარო ყოვლობისა, მარადიულად მდინარე როგორც დიდი ოკეანე, არასოდეს არც იკლებს და არც მატულობს.

მცენარე, რომელიც დღეს თავმომწონედ ვაშლილა ღა იზიდავს ხარბად მზის სხივებიდან სითბოსა და სინათლეს, ხვალ პუსრიდან ამ

სითბოს და სინათლეს ბნელ ოთახს გადასცემს და ააჩქარებს მოძრაობას პოეტის ანუ ვაჟრის სისხლისას.

შეყვარებულნი, რომელნიც ერთმანეთს ვნებიან სუნთქვაში ჰკოცნიან და სიყვარულს ეფიცებიან, ასრულებენ მხოლოდ ბიოგენეტიკურ მოვალეობას: — ენერგია ყოვლობის უნდა გადასცენ ახალ ორგანიზმს, რომლის ჩასახვის დროს ისინი გრძნობენ კავშირს მარადისობასთან და თავიანთ სურვილთა აორთქლებაში უერთდებიან უნივერსალობას, — თითქოს უბრუნებენ მცენარეებს, მინერალებსა და პირუტყვებს, ბიოლოგიურად მიღებულ ელემენტებს. ორთქლმავლიდან წვის ენერგია შედის ვაგონების მოძრაობაში; თოფის წამლის ქიმიური დაშლა იძლევა სინათლესა და მექანიკურ ძალას: ვოლტის სვეტში თუთია და ჟანგბადი ელექტრულ ჩქერში გადადის.

ფიზიოლოგიური გაღიზიანება იძლევა შეგრძნებას, შეგრძნება გადადის შთაბეჭდილებაში. შთაბეჭდილება ქმნის შეცნაურებას.

ბიოლოგიური ზღვა ღელავს: ტალღა ტალღას მისდევს და მოძრაობა იძლევა სახიერებას საგნებისა და მოვლენებისას. სახეცვლილებით იგივეობაში ყოვლობის ენერგია ღებულობს სტატიკურ-მატერიალურ სახეს და არც ერთი ატომი თავისი გრძნეული სხეულისა ბუნებას არ ეკარგება: გოთებისა და ვანდალების ძვლებით დანოყიერებული მინდვრებიდან იკვებება დღევანდელი ევროპა და პარიზელი ინტელიგენტის სისხლის ბურთულებში მოძრაობენ ბუნების წიაღში სახეცვლილი ატომები ატილასი, კარლოსებისა და მათი ცხენებისა.

ბუნების ძალთა თამაში დაუსრულებელია და ყველაფერი ახალი წუთისოფლად არის მხოლოდ სახეცვლილი ელემენტებიდან შემდგარი მარადიული იგივეობა.

მუხვადი და განწვალებადი მატერია მოგზაურობს და საგნები მხოლოდ დასვენებითი წერტილებია ამ უსაზღვრო მოგზაურობის: ზღვის ტალღების აქაფება, პლანეტების სიერცის უფსკრულში ტრიალი, პირუტყვთა და მცენარეთა ზმორება, ატომთა შორის მიზიდულობა, სქესების შემოქმედებითი დამძიმება და ერთმანეთისადმი ვნებიანი ლტოლვა, მინერალების ბუყბუყი, სითბო, ელექტრონი, რადიუმი და მაგნიტი — ყველაფერი გვიმტკიცებს იმას, რომ მატერიას აქვს შემოქმედებითი ენერგია, აქვს ძალა, აქვს სული.

მთელი ჩვენი შემეცნება არის მხოლოდ ცენტრალიზაცია ნერვული სისტემის განცდითი სულიერების.

ჩვენი სხეულის ყოველ ნაწილს აქვს საკუთარი შემეცნება, საკუთა-

რი ინტელექტი და სულიერობა, რომელიც შედის ინდივიდუალურ მსოფლმხედველობაში, როგორც მდინარე ოკეანეში და რომელიც საჭიროების დროს მოქმედებს ავტონომიურად: საკმარისია თითი გვეტკიცოს და რამდენიმე დღე თითი თავისთავად, უჩვენოდ ერ-დება ყველაფრის მიკარებას; შეიძლება ეს ვინმემ მიაწეროს შეჩვევას, მაგრამ რა არის ჩვეულება, თუ არა განცდითი სახე შემეცნებისა და სულიერობის?

არის მხედარი, რომელსაც ცხენზე შეუძლია არა მარტო მარჯვედ ჯდომა, არამედ თავისუფალი ძილი და დასვენება იმიტომ, რომ მასში დაგროვილა მეხსიერება დიდი ხნის ორგანული განცდის და ჩვეულების, და ეს მეხსიერება მოქმედებს როგორც ბიოლოგიური ენერგია ინტელექტუალური სახის.

ბავშვი რომ პირველად ანბანის წერას იწყებს, მთელი ტანი მუშაობს: კალმისტარი რომ თითებით უკავია და დასაწერად ემზადება მაგიდაზე თავდახრილი, მაშინ მისი ტანის ყველა კუნთიც მონაწილეობს წერის პროცესში და ხარჯავს ენერგიას. ზოგიერთ ბავშვს პირიდან ენაც აქვს გამოწეული, როგორც ნიშანი ორგანული აღელვებისა და ნერვების დაჭიმვისა.

მაგრამ ორგანიზმი ინახავს ჩვეულების ენერგიას და რამდენიმე წლის შემდეგ ბავშვს წერის დროს არ ესაჭიროება არც ნერვების დაჭიმვა, არც ენის გამოგრძელება, არც ორგანული აღელვება.

ინტელექტი არის მოხერხება, ეშმაკობა — die liste der Vernunit, რომელიც იქმნება სტიქიურად, მატერიის მუხვადობის პროცესში როგორც ბიოლოგიური ფაქტი.

სტატიკური და დინამიკური მხარეები შემეცნებისა და სულიერობის, რომელიც შეადგენს ბერგსონის ფილოსოფიის საგანს, არის იგივე კანტის დუალიზმი — ძველი ფენომენისა და ნოუმენის ფილოსოფია, იგი გვხვდება მხოლოდ ლოგიკური განზოგადებისა და სუბიექტივობის სფეროში.

ინტუიცია არის განცდის ეპიფენომენი და სული სულიერ მოვლენათა ცხადყოფა: წუთისოფლის მოვლენებსა და საგნებს ჩვენი ორგანულ-ნერვული ჩვეულება აძლევს ღირებულებას და სახიერებას.

არარა არის ჩვენს შემეცნებაში ისეთი რამ, რასაც შეიძლება ჰქონდეს უნივერსალური, კოსმოსური ხასიათი. ალპების იქით რაც ჭეშმარიტებაა, ის ალპების აქეთ სიცრუეაო, — ამბობდა პასკალი.

ჩვენი მსოფლმხედველობა კუთხური, ტერიტორიული და ტოპუ-

ლია; ჩვენი მორალი და პრინციპები, ჩვენი იდეები და ღმერთები, ჩვენი მოკვეთილობა და სტილი — ყველაფერი ჩვენი შეფარდებულია იმ მდგომარეობასთან, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, რომელსაც ჩვენ ვაძლევთ სახეს, ფერებს, ღირებულებას და რომელიც ჩვენზე მოქმედებს...

ამასთანავე, მატერიას, სხეულს აქვს გვარული, რასული კეთილშობილება: გოჭი, რომელიც აბრეშუმის საბანში აღზარდეს და სუფთა სალონში პარკეტებზე აგოგმანეს, რამდენიმე ოვის შემდეგ ტალახსა და ნაგავს ეძებს. მემკვიდრეობითი ინსტინქტი ეძახის ტალახისკენ და ვერავითარი პედაგოგი ვერ გარდაქმნის მის ფიზიოლოგიურ ნერვულ მიდრეკილებას.

წიწილა კვერცხიდან ახალგამოჩეკილი, გამწარებით ეძებს საკენკს ისე, როგორც დედამისი: მთელი ორგანული მეხსიერება მემკვიდრეობით გადმოსულა და ცხადდება როგორც ბიოლოგიური ფაქტი, რომელიც ამოძრავებს და ამოქმედებს სხეულს, მატერიას.

ყოველი სხეული, რაგინდ მარტივი იყოს ორგანულად, არის უნივერსალური ენტელექიის შესვენების წერტილი: პლანეტების სისტემითა და მოძრაობიდან დაწყებული გათავებული ცხოველებით და ადამიანებით ყველაფერი დაუსრულებელი და შეუჩერებელი შემოქმედებითი მდინარების სტატიკური სახეებია.

ყოველი საგანი თავისი მოძრაობით შეკავშირებულია ყოვლობასთან; ყოველი მოვლენა თავის მსვლელობაში შებოჭილია საერთო ბიოლოგიური თხევის ძლიერებით, რომელიც მუდამ ქსოვს და შლის როგორც პენელოპეს დაზგა ოდისევსის მოლოდინში...

უბრალო ხელის აწევა, ფეხის გადადგმა ჩვენი, ჩვეულებრივი სიანჩხლე და ნერვულობა ადამიანისა, ფიზიკური და ფსიქიკური თავისებურებანი ცხოველების — ყველაფერი წინასწარ განსაზღვრულია წარსულის ორგანული ევოლუციის შესაძლებლობით. ბუნებაში გვარებისა და ჯიშების არსებობა ბიოგენეტიკური დეტერმინაციის ცხადყოფაა: ქათმის კვერცხიდან მხოლოდ ქათამი იბადება, ძაღლის შვილი ძაღლი იქნება, ქერის თესლი ისევ ქერს იძლევა. რა სახის უნდა იყოს მდგომარეობა, გვარის ენერგია მაინც თავს იჩენს: არსებობს ორგანული მეხსიერება როგორც ბიოლოგიური ფაქტი და მხოლოდ ეს აძლევს ღირებულებას, ლოგიკას და აზრს ჩვენს ცხოვრებას.

გვარული და ინდივიდუალური ბრძენობა არის ბიოლოგიურად დაკროვილი პოტენციის ერთეული სახიერება და სოციალური ფაქტო-

რები ვერ იმოქმედებენ ამ პოტენციის გარეშე ისე, როგორც ექიმი ვერ მოარჩენს ავადმყოფს, რომელსაც აღარა აქვს სიცოცხლის ძალა.

მიქელანჯელოსა და ტოსკანელი კარბონაროს სისხლი შემოქმედებითმა ევოლუციამ (évolution créatrice) სხვადასხვა მასალებიდან დააშენადა, — და ცხადია, მათი სულიერი და ინდივიდუალური ღირებულებანი სხვადასხვაობენ წუთისოფლად.

ენტელექიის საფეხურები მატერიალური ყოვლობის შემოქმედებითი განწვალებაა და განწვალების პროცესში თავისთავად იქმნება ღირებულება გვარული, რასული, ინდივიდუალური.

ყოველ ეპოქას ისტორიაში, ისე როგორც ყოველ ადამიანს, ყოველ ცხოველს, ყოველ მცენარეს ბუნებაში, აქვს თავისი სული და თავისი მატერია.

სული ისტორიაში ქმნის ხასიათს, მატერია — ტიპს. ხასიათი არის იდეა, აზრი — ლტოლვა; ტიპია — ფორმა, სხეული, სახე.

* * *

არსებობს თუ არა თავისთავად (per se) ის, რასაც ჩვენ ვეძახით მატერიას, სხეულს, ნივთიერებას? არის თუ არა ჩვენი შეგრძნებათა და შეცნაურებათა გარეშე სხვა სახის ყოფა, სხვა მდგომარეობათა და მოვლენათა ფორმები? სხეულებრივი, მატერიალ-ბიოლოგიური განწვალება ყოფის, რომელიც მიმდინარეობს უსაზღვროდ და შეუჩერებლად, ისეთია per se, როგორც ჩვენ, ადამიანები ჩვენს ცოდვილს პლანეტაზე ვხედავთ ჩვენი სუსტი თვალებით, თუ სხვანაირია, სხვა ფორმებისა და თვისებებისაა?

აზროვნების ისტორიაში ასეთი ხასიათის საკითხები ძველია და მათი ჩამოყალიბება კანტის ტერმინებში (ნოუმენი და ფენომენი) ლოგიკური დასკვნაა XVIII საუკუნემდე დასრულებული მსოფლმხედველობისა. მატერიის ორმაგი არსებობა იგივე ფენომენალიზმია და როდესაც ვამტკიცებთ ამ ორმაგ არსებობას, ისე როგორც ყოველთვის, ვტრიალებთ სუბიექტივობისა და ფენომენალობის სფეროში: შემეცნება წარმოებს ტრადიციულ ცნებათა და ჩვეულებათა საშუალებით; შემეცნების პროცესი დამზადებული კატეგორიებიდან ერთგვარი განსოვადებითი გადასვლაა ინდივიდუალურ-ფსიქიკურ ასიმილაციაზე.

ჩვენი ცნებები ნამდვილი საგნებიდან ვადაღებული სურათები კი

არ არის, არამედ ტრადიციულად მიღებული სიმბოლოები, ნიშნები, რომელთაც შევეჩვიეთ ჩვენი გრძნობათა ორგანოების საშუალებით და შესაძლებლობით.

ჩვენ ვლაპარაკობთ არა საგანზე, არა საგნის თვისებებზე, არამედ იმ სიმბოლოებზე, იმ ნიშნებზე, რომელთა გამოსახულებანი შეადგენენ ჩვენს აზროვნებას და რომლებიც არსებობენ იმდენად, რამდენადაც ჩვენ მათ ვამჩნევთ წუთისოფლად.

ჩვენ ვაძლევთ სახესა და სახიერებას მთელს ყოფას, მთელს სიცოცხლეს და მოძრაობას, მაგრამ, ამავე დროს, ვერავინ იტყვის ქვეყნად, რომ ჩვენი გრძნობათა ორგანოები ჩვენი თვალები და ყურები, ჩვენი შეხებითი და ყნოსვითი აპარატები იდეალური სისწორით იღებენ საგანთა ფორმებს და ნაკვთებს.

ჩვენს პლანეტაზე რომ უცბად გაჩნდნენ სხვა ჯიშის „ადამიანები", სხვანაირი გრძნობითი აპარატების მქონე „ხალხი", ალბათ სულ სხვა სახესა და სხვა მოვლენებს დაინახავენ. ჰოლანდიელი მეცნიერი ზვედენბერგი, რომელმაც პირველად ჩაიხედა მიკროსკოპში XVII საუკუნის დამლევს, კინაღამ შეიშალა ჭკუიდან. მან დაწვა თავისი ნაწერები და თქვა: ჩვენი აზროვნება შეურაცხყოფაა ბუნების საიდუმლოებისო.

დაუსრულებლობისა და საიდუმლოების ოკეანეში ჩვენი ყოფა და კულტურა არის მხოლოდ პატარა, ეფემერული კუნძული. ის, რასაც ჩვენ ვეძახით მატერიას, ენერგიას, ძალას არის ერთგვარი ონტოლოგიური პროექცია იმისა, რასაც ვეძახით სულს, იდეას, აზრს და რაც თავისთავად (per se) წარმოადგენს მატერიის დინამიკური მუხვადობის აკვამლებას და სხივოსან აორთქლებას მარადობისაკენ.

ორგანული მეხსიერება და კოსმიზმი

პირველად სიტყვა გაჩნდა, — ამბობდნენ თეოლოგები; გოეთემ შეასწორა: არა, სიტყვა კი არ ყოფილა პირველად, საქმე იყო. ჩვენ ვფიქრობთ, არც სიტყვა, არც საქმე — პირველად განცდა იყო.

შორეულ წარსულში ჩვენ არ გვქონდა ჩამოყალიბებული ორგანული სახეობა და მთელი ჩვენი ტანი ერთად ასრულებდა იმ ფუნქციებს, რომელთაც დღეს ასრულებენ ჩვენი გარეგანი და შინაგანი გრძნობათა ორგანოები, თვალები, ყურები, კანი, ლორწოიანი გარსები და სხვა... ჩვენი ორგანოების მოყვანილობა შედეგია იმ შეფარდებულობის, რო-

მელიც არსებობდა უთვალავ საუკუნეთა განმავლობაში ორგანული ევოლუციისა და კოსმოსურ-სტიქიურ მსვლელობას შორის. ჩვენი ნერვული სისტემა გაღიზიანებათა მიმღები და გამანაწილებელი აპარატია: ეს საკვირველი აპარატი მით უფრო მარჯვედ, სახიერად რთულდებოდა და ვითარდებოდა, რაც უფრო მეტ გაღიზიანებას იღებდა ჩვენი ტანი: ყოველგვარი გაღიზიანების კვალი რჩებოდა ჩვენს სხეულში და როდესაც გაღიზიანება კვლავეყოფდებოდა, ნერვული სისტემა მარჯვედ იღებდა მას, რაკი კვალი ძველი გაღიზიანებისა ხელს უწყობდა მიღებას.

შეფარდებულობიდან შეიქმნა ჩვეულების ძალა და ყოველგვარი შემთხვევითი განმეორებული მოვლენა ჩვენს სხეულში უფრო მარჯვედ მოძრაობდა, ვიდრე პირვანდელი.

საერთოდ არა მარტო ჩვენში, არამედ მთელს ბუნებაში კვალი მოძრაობისა რჩება როგორც ბიოლოგიური ფაქტი ორგანული მეხსიერების და ვინ იცის, შეიძლება ეს იყოს მთავარი მიზეზი ბუნების სახეების ჩამოყალიბებისა და ჩვენი ამეტყველების. არა მარტო ცხოველს და ადამიანს, არამედ ყოველგვარ ნივთიერებას ბუნებაში აქვს თვისება საკუთარი, სპეციფიკური: კაჟს რომ ფოლადი მიეკარება, ცეცხლი გაჩნდება, მაგრამ ყოველგვარი ქვა კაჟის მაგივრობას ვერ გაწევს; მხოლოდ კაჟს აქვს ამისთანა განსაკუთრებული თვისება. სპეციფიკურობა ჩვენს ორგანოებს მარტო კი არ ახასიათებს, არამედ „უასაკო“ ბუნებასაც და შესაძლებელია მომავალში ფსიქოლოგიამ გაარღვიოს ჩინეთის კედელი ორგანულსა და არაორგანულ ბუნებას შორის; თუ ჟანგბადის დანაწილება შეიძლება უფრო მარტივ ელემენტებად, ალბათ შეგრძნობაც შეიძლება დანაწილდეს... თუ ელექტრონის შემადგენელი ელემენტები დავინახეთ, მაშინ სულის არსებობა, სულიერი მოვლენების მოძრაობა უფრო გასაგები იქნება ჩვენთვის.

სამყარო თანდათანობით გვიახლოვდება. რაც უფრო შორს მიდის ჩვენი გონება, მით უფრო ახლო ვგრძნობთ თავს ბუნებასთან, ყოვლობასთან; შემეცნების ისტორიას ახსოვს დრო, როდესაც ადამიანი ერიდებოდა ბუნებას, სხეულს, მატერიას ყოვლობისას; ცხოველებიც უსულო რამეები იყვნენ ადამიანის წარმოდგენაში; ძაღლს სული არა აქვსო, ამბობდა დეკარტი. მაგრამ დღეს შეიძლება სხვანაირი შეხედულება იქონიოს ადამიანმა: ბუნების მეტყველება, ცხოველებისა და მცენარეების მორფოლოგიური დეტალები გვიმტკიცებენ, რომ გრძნობა და აზრი არის მთელს ბუნებაში, ყოვლობის ყველა ტანში. მცენარეებიც ისე სუნთქავენ, როგორც ცხოველები და ადამიანები. და ამ სუნთქვის

დროს სარგებლობენ სისხლით. მცენარის სუნთქვა გაძლიერებულიც შეიძლება იყოს და მისუსტებულიც და ამის მიხედვით მცენარეებშიც იქმნება სითბო, სიცხე, ორთქლი, ენერგია, სული. ცხოველთა სისხლის ფუნქციებსა და მცენარეთა სუნთქვის პროცესს შორის არა მარტო მსგავსება არსებობს, არამედ სრული იგივეობა. მცენარეთა უჯრედების თეთრი წვენი, — ეს იმათი სისხლია; ამ სისხლის საშუალებით სუნთქავენ უჯრედები, იმის საშუალებითვე გაძლიერებული სუნთქვის დროს მცენარეს ეტყობა ტანის სითბოს გადიდება. მართალია, მცენარეების სისხლი თეთრია და უფერული, როგორც უხერხემლო რბილტანა ცხოველებისა და მწერების სისხლი, მაგრამ დიდი გაღიზიანებისა და აჩქარებული სუნთქვის დროს ის იღებს მოწითალო ფერს და მაშინ კი ჩანს დიდი მსგავსება იმ პირობებთან, რასაც ცხოველთა სამეფოში ვხედავთ და რაც ანოყიერებს, ასაზრდოებს ჩვენს ნებისყოფასა და სულიერობას, ჩვენს იდეალებსა და გრძნობებს.

მცენარის გაჭრილ ადგილზე რჩება წითელი ლაქები — ნიშანი ღრმა ტკივილებისა და მწვავე განცდისა. გადაჭრილი მცენარე ძლიერად სუნთქავს და ამის გამო თეთრი სისხლი ივსება ჟანგბადით და ძლიერად გაღიზიანებული პიგმენტები წითლდება.

თითქოს ჩვენი მსოფლმხედველობა თანდათანობით უნივერსალურ სახეს ღებულობს. დღეს, დარწმუნებული ვართ, ცხოველების და ადამიანების ძირითადი ფიზიოლოგიური თვისებები მცენარეებსაც აქვთ; დღეს ვიცით, რომ განოყიერება, გამრავლება, სუნთქვა, საჭმლის მიღება, ქიმიური მუშაობა მცენარეებსაც შეუძლიათ; განსხვავება ცხოველებსა და მცენარეებს შორის დღევანდელი ბიოლოგიისა და მორფოლოგიის მიხედვით მხოლოდ განცდის პოტენციალობაშია. ადამიანებისა და ცხოველების ორგანული რყევა, ფიზიოლოგიური წვა უფრო ღრმაა შედარებით მცენარეების ორგანულ-ფიზიოლოგიურ მოვლენებთან, ამასთანავე, ინსტინქტურ-ფსიქიკურ თვისებებს ჩვენი ბუნებისას მცენარეებშიც ვხედავთ და სული ჩვენს წარმოდგენაში ბიოკოსმოსურად იშლება. შესაძლებელია, რომ ეს ბუნება, რომელსაც ჩვენ არაორგანულს ვეძახით, რომელსაც არა აქვს დღევანდელი ინტელიგენტის წარმოდგენაში სული და სხეული, იყოს სულიერი და გონიერიც, შესაძლებელია სულის ძირითადი თვისებები, ჩვენთვის უხილავი სახით, იყოს მინერალებშიც.

კაჟის აცეცხლება, წყლის რაკრაკი, ჰაერეთის ზუზუნი, ნივთიერების რახუნი უსათუოდ ელემენტების რყევის ამეტყველებაა და ერთვვარი

ღელვის მაჩვენებელია. წარმართული მსოფლმხედველობის კონცეფცია სტიქიებით და ღმერთებით ერთგვარად ეხმარება ჩვენს გრძნობათა სუსტ ორგანოებს მსოფლიო სულიერობის შეცნობაში. ძველი ბერძნების მხატვრული სული გრძნობდა კოსმოსური სულიერობის რხევას და ბუნების ხმებში ხედავდა თავისი გონიერებისა და ილუზიების თანაბარ გამოსახულებას.

პოეტები და მეტაფიზიკოსები დღესაც ჩვენი სულიერი მოვლენების მსგავს სახეებს ეძებენ სამყაროში და ხშირად დღევანდელ მოახროვნეს ზღვისპირად ან მუხის ძირას შეიძლება ისე აუჩუყდეს გული, როგორც შორეულ წარსულში ელინს აუჩუყდებოდა, როდესაც მას სირენების, ნიმფებისა და დრიადების ხმები მოესმოდა.

ფოთლების შრიალი, ტალღათა გუგუნი, ფრინველების ჭიკჭიკი, პირუტყვების ღმუილი ისეთივე ეპიზოდური გამოსახულებაა მსოფლიო ენტელექტისა, როგორც ჩვენი ბგერები და მეტყველება.

თვით ჩვენი სხეული უჯრედების მთელი სამყაროა და ყოველი ჩვენი სურვილი ჩვენში მოთავსებული უთვალავი არსების სურვილთა ჯამია: ჩვენს „მე"-ს ამოძრავებენ, ამოქმედებენ პატარა homuncul-ები და ყოველ წუთს ჩვენი ნებისყოფა განსაზღვრულია „ვიღაცეების" სურვილებით.

ჩვენი ინდივიდუალობა იძირება კოსმოსურ სირთულეში, საუკუნეები და ყველა დროის ორგანული ფორმები ჩვენში იკუმშებიან და ჩვენს სხეულს, მის ნაწილებსა და უჯრედებს ნათესაობა აქვთ სამყაროს ნაწილებთან.

ბუნებისმეტყველებმა და ექიმებმა იციან ეს: მარილები, რომელთაც ექიმები ავადმყოფებს აძლევენ, როდესაც სხეულში შედიან, უჯრედებს აღიზიანებენ და ნერვულ-ფსიქიკურ აქტივობას იწვევენ; ალბათ არის რაღაც ნათესაობა, რაღაც დამოკიდებულება ჩვენს ორგანულ-ფსიქიკურ აორთქლებასა და სამკურნალო ნატრიებს შორის.

ყოველგვარი აღელვების დროს, ყოველგვარი დიდი წუხილისა და სიხარულის დროს ჩვენ ბუნებისაკენ ვიყურებით, თითქოს სული ჩვენი შორეულის დაუსრულებლობაში ეძებს მეგობრობასა და ნათესაობას, თითქოს იგი ხელახლა რიტმულად შედის იმ მარილებსა და სიმჟავეში, იმ მინერალებსა და მცენარეებში, რომელნიც სამყაროშია მიმოფანტული და რომელთა ნაწილების აორთქლებით ჩვენში იქმნება ჩვენი სულის აქტივობა, ჩვენი იდეალები და ილუზიები.

ახალი კვლევა-ძიებანი გვარწმუნებს, რომ მოძრაობაში მატერია-

ლური მასა მატულობს, ჩვენთვის არ არსებობს მატერია უსულო, არ არსებობს ისეთი ხიწვი, რომელშიც არ იყოს ერთგვარი შინაგანი რყევა, ბრგვინაობა, ერთგვარი თვითგადამსახი დინამიკური თვითაორთქლება: მხოლოდ, რაც უფრო ძლიერია შინაგანი ატომურ-იონური სიმძლავრე, მით უფრო დინამიკურია თვითგადამსახი აორთქლება და ასხივოსნება: მოძრაობაში მატერიული მასა ითუნთება, იდრესება, იონოდინამიზმით ივსება. მასა მატულობს და მასასთან ერთად სულიერობის აორთქლება და სულიც.

მოვლენები და საგნები მხოლოდ სხვადასხვა სტატიკური სახეებია ყოვლობის დინამიკური მოძრაობის. ბალახი, ქვა, ცხოველი, პლანეტა, ცეცხლი, ადამიანი, მიკრობი, მორიელი, სოკრატე სხვადასხვა ფორმის შეკუმშული ელექტრულ-დინამიკური ერთეულებია, სტატიკურად ჩამოყალიბებული ყოვლობის დეტერმინიზმით და ორგანოტროპულად შეგრძნობილი ჩვენში.

სამყაროში ჩვენ ვამჩნევთ მხოლოდ ისეთ სტატიკურ სახეებს, რომელთა შეცნაურება-შეცნობა შეუძლია ჩვენს გრძნობათა ორგანოებს თავიანთ ტროპულ ჩვეულებათა მიხედვით: მთელი ჩვენი გონება ყოვლობის დაუსრულებლობაში მხოლოდ ქაფის ბუშტია და ჩვენი მე თავის გრძნობებით და იდეალებით ისე ეფემერულია და საცოდავი, როგორც უღრან ტყეში ქარისაგან აფორიაქებული ფოთლები, როგორც ოკეანის ტალღებში შემთხვევით გადაგდებული ნივთი.

გრძნობა და რიტმი

ადამიანს წუთისოფელთან აქვს ოთხი სხვადასხვა სახის დამოკიდებულება:

1. ფიზიკური — გამომსახველი ორგანული მდგომარეობისა და ტროპული შეთანაბრების.

2. ლოგიკური — გამომსახველი არსებობის ისეთი მომენტებისა, რომელთაც წინ მიუძღვის გონება;

3. მორალური — ნებისყოფის დამყენებელი გარკვეულ გზაზე შეფარდებით საზოგადოებისა და ისტორიის ტრადიციასთან;

4. ესთეტიკური — გამომსახველი ინდივიდუალური გემოვნებისა და სულიერ წყობათა.

ადამიანის სახე შეიძლება მოკვეთილი იყოს სწორად: იგი შეიძლება

პატივსაცემი იყოს თავისი მახვილი გონებით; იგი შეიძლება საინტერესო იყოს მტკიცე ხასიათით, მაგრამ ყველა ამ თვისებასთან ადამიანში შეიძლება იყოს ისეთი რამ, რაც მას, როგორც ინდივიდუმს, აძლევს განსაკუთრებულ სიმშვენიერეს წუთისოფლად.

ბავშვობიდანვე ადამიანში თავს იჩენს გენეტიკურ-ინდივიდუალური კულტი — კულტი გამომხატველი ორგანულ-ჯიშური დახრილობისა, მიდრეკილებისა, კულტი, რომელიც არის კონდენსატორი ბიოლოგიური მეხსიერების და რომელიც ხშირად გვევლინება ან ორგანული თვისების, ან ფსიქიკური ნიჭიერების სახით.

არის კულტი ტანსაღობის, ინტელექტური მახვილობის, მორალური ძიების, გემოვნებისა და სილამაზის; ყოველ კულტს ჰყავს თავისი ყარმომადგენელი — კულტის სახის მატარებელი — გვარი, ჯიში, ერი, სახელმწიფო, კერძო ადამიანი. განსაკუთრებულ ისტორიულ-სოციალურ ხვეულში განსაკუთრებული ბიოლოგიური პოტენცია იჩენს თავის ინდივიდუალურ სახეს, ჩამოქნილს თანდათანობით სტიქიური ღელვისა და კოსმოსური რყევის პროცესში.

ინდივიდუალობაში არის სამი დიდი მომენტი განთვისებული ერთმანეთისაგან ჩვენი ლოგიკური განყენებით — მომენტი გრძნობისა, მომენტი ნებისყოფის და მომენტი ინტელექტის.

ორგანულ ევოლუციაში გრძნობას უფრო მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ვიდრე ნებისყოფასა და ინტელექტს: ნებისყოფა თავისებური დინამიკური ფორმაა გრძნობის; ინტელექტი იგივე გრძნობის ემანაციაა; გრძნობა როგორც ბიოლოგიური ფაქტი შემოქმედებითი მოძრაობის და რხევის პირვანდელი თვითშჩენი მიზეზია; გრძნობა მთლიანი ორგანულ-ფსიქიკური ელემენტია, ინტელექტი კი — რყევადი; გრძნობა ყოველთვის უფრო კოსმოსური ხასიათისაა, ვიდრე ინტელექტი: გრძნობა ყოველთვის აერთებს და მხოლოდ აერთებს; ინტელექტი ბუნებრივად ანაწილებს და ხელოვნურად აერთებს.

გრძნობის პროცესი უხვი, ლაღი, ძლიერი, მახვილი და გამბედავია. მგრძნობიარე ადამიანი ყოველთვის გრძნობისა და კეთილშობილების კარებთან დგას; ენება სიყვარულში გადადის; ენებათა რყევა ერთგვარი რიტმის დასაწყისია; ენებიანი ველურია, მაგრამ ველური კეთილშობილი, გულკეთილი; გემოვნება ოცნებით ფარავს წუთისოფლის ჭუჭყსა და განკერძოებულ ყოფას ტკბილი ალერსით, მთვრალი უჯრედების რიტმული ათამაშებით უკავშირებს შორეულობას, მარადობას.

ადამიანი ეძებს ვეფხვის ლამაზ ტყავს, ირმის მშვენიერ რქებს,

ზღვის ცხოველების ფერად ნაჭუჭებს; ადამიანი იგონებს სხვადასხვა ფორმას თიხის, რკინის, სპილენძის, ვერცხლის ჭურჭლეულობისას; ადამიანი ქსოვს, კვეთს, ქმნის — აშენებს კოშკებს, სრა-პალატებს; თხზავს სისტემებს და ჰიპოთეზებს, რომ გაამშვენიეროს და გაამარადოს თავისი ყოფა-ჩმახი, ჭუჭყიანი, დროული და წარმავალი.

პირველყოფილი ტროგლოდიტი მშიშარა და მთრთოლვარე თავის ბანჯგვლიან სხეულში გრძნობს ესთეტიკურ-ერრტულ მოთხრვნილებას; სექსუალური რყევა ადამიანის საერთოდ თავისებური ნაძალადევი ფორმაა წუთისოფლური უზნეობისა და მარადიულად უპრინციპო ყოფის; დროგამოშვებით ქარიშხლიანი არითმია ბუნების ძალების, ისტორიულ-კულტურული რყევა და განგაში, არევ-დარევითი ცივილიზაციური ნახტომები და გაქანება ბიოლოგიური ეროსის დემონური თამაშია და ეს დემონური თამაში ვნებიანი და სტიქიური, აღელვებული ორგანული ინსტინქტებით, აძლევს ყოველი საუკუნის კულტურას თავისებურ სახეს, გარეგნობას, ინდივიდუალობას.

კაცობრიობის ცივილიზაცია ბიოლოგიური ეროსის ემანაციაა. ჩვენი კულტურის სტატიკური სახეები — ბიბლიოთეკები, ბარელიეფები, მუზეუმები, ნანგრევების რომანტიკული გამომეტყველება, დროული და წარმავალი მოფარგვლილობაა ორგანულ-ბიოლოგიური აორთქლების.

მეცნიერება არ არის თვითური ცოდნა რაობის,—მხოლოდ ილუზიების გადანაწილებაა; ყოველი საუკუნის ვეშმარიტება მსოფლმხედველობათა დათანწყობებაა ისტორიულ-ფსიქიკურ ჩვეულებათა მიხედვით

თვით მათემატიკა თავისი ფორმულებით, ინტეგრალებით, დიფერენციალებით და ლიმიტებით, თვით მექანიკა თავისი ეშმაკეული მიხვედრილობით, თვით ბუნებისმეტყველება თავისი მორფოლოგიური დეტალებით, ჩვენი აღელვებული და მარადიულად მაძიებელი სულის მხოლოდ მოხერხებაა — die List der Vernuft, მოხერხება, რომელსაც აქვს ობიექტური მნიშვნელობა იმდენად, რამდენადაც ჩვენი ორგანულ-ფსიქიკური ჩვეულება შემთხვევით შეეფარდება კოსმოსურ ირაციონალობას.

ალგებრული და გეომეტრიული ფორმულები, ქიმიური ელემენტების მოძრაობის კანონები, ასტრონომიული შეთანაბრებანი კაცობრიობის ტანჯული სულის მახვილი ლეგენდებია, დამამშვენებელი წუთისოფლური თქრიალისა და კოშმარული აცეცხლების. კულტურას, ცივილიზაციას, მეცნიერებას, მეტყველებას აქვს მხოლოდ ესთეტიკუ-

რი მნიშვნელობა. ფორმები ჩვენი შემოქმედებისა და მეტყველებისა დროული მოსერხებისა და გემოვნების გამოსახულებაა. უდიდესი და უმშვენიერესი ჩვენი შემოქმედება მაჩვენებელია ჩვენი ესთეტიკური იდეალის ორიგინალობისა და სისრულის. ბოლოს და ბოლოს საინტერესოა არა ის, თუ რას ვაკეთებთ, არამედ როგორ ვაკეთებთ. კულტურულ-ცივილიზაციური შემოქმედება ერთგვარი ოსტატობაა, გოტიკური სტილის აწვერადება რომანტიკული აღმაფრენის სიმბოლოა; ეიფელის კოშკი ფრანგული სულის ატორტმანების იდეური სტატიკაა; შექსპირის კოსმიზმი ინგლისური გაშლილობის გამოსახულებაა.

ისტორიულ-კულტურული მღელვარება აყალიბებს ფორმებს — განცდა ქმნის სახეს.

საუკუნეები და ერები, როგორც ლეგენდარული არმიები, იკრიბებიან და იშლებიან: სახელმწიფოები და ადამიანები თავიანთი ჩვეულებებით, სურვილებით, იდეალებით და ილუზიებით აფართქალდებიან, ათქრიალდებიან, ღელავენ, ეძებენ და იტანჯებიან, საუკუნეთა განმავლობაში მრავლდებიან, ორგანულ-ბიოლოგიურად იზრდებიან; დაიქანცებიან ღელვა-ძიებაში და წუთისოფელს შორდებიან, ვით უდაბნოში მოხეტიალე მგზავრები. დროთა მდუმარე სასაფლაოზე მოდიან სხვები და შლიან უთავბოლო პოემის ახალ რვეულებს, ჩმახავენ ახალ სიტყვებს, იგონებენ ღმერთებს და მეცნიერულ ზღაპრებს...

ყოფის ოკეანეს აღელვებს რღვევისა და ცვალებადობის რიტმი; მთელი სამყარო რიტმულ მოძრაობათა დენაა. ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა; დღე და ღამე; სითბო და სიცივე; სიკეთე და ბოროტება; სიკვდილი და სიცოცხლე რიტმებია.

მსოფლიო ისტორიაში რევოლუციები და მყუდროების იდილიები, ფილოსოფიაში რწმენა და იქვები, ბიოლოგიაში სისავსე და სიცარიელე, პლანეტების კოსმოსურ მოძრაობაში გაყრა და მიმზიდველობა, სქესთა შორის ზიზღი და მზიდარულობა იგივე რიტმებია ყოვლობის დაუსრულებელი პოემისა.

სიხარულის უთავბოლო ნახტომები ცეკვაში გადადის ორგანულად, არეულ-დარეული მოძრაობებიდან ჰარმონიული წყობა იქმნება, გაურკვეველი ბგერები ტაქტს ემორჩილებიან და იწყება მუსიკა—რიტმული რხევა.

როიალის ხმაზე, ან კარგი ორატორული მეტყველების სმენის დროს ხშირად ჩვენი კუნთურ-ნერვული შეგრძნებანი ისე საამოდ ატორტმანდებიან, რომ გვეძნელება დაჯდომა, გვეძნელება დგომა ერთ ალაგას,

გვაღელვებს სურვილი მოძრაობისა, ხტუნვისა, სურვილი ესთეტიკური გაქანებისა და ბრძოლისა... თითქოს უხილავი ატომები შემოდიან ჩვენში, ხტიან, ცეკვავენ; თითქოს ჩვენი ნერვული სისტემის სვეულებში ყველგან კოცნა და ალერსია; თითქოს ჩვენი სხეულის ყოველი უჯრედი გრძნობს გახალისებას, აცხოველებას; თითქოს ჩვენში ვიღაცეები ამოძრავდნენ, ამღერდნენ, ამეტყველდნენ; თითქოს უხილავს, უსაკოს და შეუცნობელს ვუახლოვდებით; სიმძიმე ჩვენი ტანისა, ჩვენი ფიზიოლოგიური ვრცეულობა შეგრძნებათა არითმიაში იძირებიან; სული თანდათანობით იშლება; დროისა და სივრცის საზღვრების შეცნობა ილესება ლირიკულ-ესთეტიკურ განცდაში; საუკუნეები იკუმშებიან და ისტორიული პერიოდების ხარვეზები ჩვენ წინაშე შლიან სამარადჟამო ძიებათა ფერად მარაოებს.

მშვენიერების იდეა

რა არის მშვენიერება? სად იბადება და რას წარმოადგენს მშვენიერების იდეა? თვით საგანია, თვით ბუნების მოვლენაა მშვენიერი, თუ ადამიანშია მშვენიერების იდეის შემოქმედი ძალა? საზოგადოდ მიღებულია, რომ სილამაზე შეადგენს საგნის ანუ მოვლენის თვისებას, ორგანულ მოყვანილობას. ჩვენ თითქმის ყოველდღე ვამბობთ: „ლამაზი ხმა“, „მშვენიერი სახე“, „ლამაზი ქალი“, „მშვენიერი ბუნება“ — ვამბობთ ამას და თან საგანს ვაკუთვნებთ თვისებას, თითქოს საგანი იყოს ლამაზი, მშვენიერი; ჩვენ როდესაც ვამბობთ, ეს ქალი ლამაზია, ღარწმუნებული ვართ, რომ სილამაზე შეადგენს ქალის თვისებას, რომელსაც აქვს ჩვენთვის ობიექტური მნიშვნელობა და რომელიც სრულებით არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა სულიერ განწყობილებაზეა ამ „სილამაზის“ მჭვრეტი.

ერთი სიტყვით, საზოგადოდ მიღებულია ის აზრი, რომ სილამაზე არის საგნის ანუ მოვლენის თვისება, წმინდა ორგანული ხასიათის, რომელიც დამოუკიდებელია თავისი არსებობით. სწორია თუ არა ეს აზრი? რა თქმა უნდა, არა. ჩვენ ვიცით, რომ ერთი და იგივე საგანი თითქმის ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ადამიანზე სხვადასხვა შთაბეჭდილებას ახდენს თავისი გარეგნობით; ერთი ფიქრობს, რომ საგანი მშვენიერია, მეორეს საგანი ეზიზღება, მახინჯად ეჩვენება. რაც უფრო თავისებურია ინდივიდუალური და ეროვნული წყობილება ადამიანის

ცხოვრებისა, მით უფრო სუბიექტურია მისი ესთეტიკური შეხედულება. სხვადასხვა პირობებსა და ცხოვრების მოვლენებში გაწვრთნილ ადამიანებს მშვენიერების იდეა სხვადასხვა სახით ეჩვენებათ და სხვადასხვა ესთეტიკური იდეალი აქვთ. ისტორიულ, ეროვნულ და კლასიკურ მიზეზებს ესთეტიკური იდეალის შექმნის პროცესში ზედ ემატება ინდივიდუალურ-ორგანული განცდის შემოქმედებითი აგზნებულება.

ეროვნულ-ისტორიული ცხოვრების ფარგლებში იქმნება ერის მორალი, ესთეტიკა, ერის ფილოსოფია და პოეზია, ლიტერატურა და მეცნიერება.

კაცობრიობის სული ისტორიულ შეგრძნობაში გამოიხატება, არის მრავალ საუკუნეთა და მრავალ ჩამომავლობათა განცდის და თანდათანობით სულიერი ვარჯიშობის ნაყოფი. მშვენიერია წუთისოფლად ყველაფერი, რის ყოფას და სახეს ჩვენ შევეჩვიეთ; მშვენიერია ყველაფერი, რაც აკმაყოფილებს ჩვენს ნერვულ გაღიზიანებას, რაც ფსიქოლოგიურად შეეფარდება იმ გრძნობებს, რომლებიც შემუშავებულია ინდივიდუალობაში ცხოვრებისა და ჩვეულებათა პირობების მიხედვით; აღმოსავლეთში, მაგალითად, უყვართ მყვირალა ფერები, ჩრდილოეთში კი, სადაც მზე აღმოსავლეთურად არ აცხუნებს, უყვართ მკრთალი ფერები. მშვენიერების იდეა სხვადასხვა პირობებში სხვადასხვა სახისაა — საერთო მასშტაბი არ არსებობს; ჩინეთში ლამაზს ეძახიან ისეთ ქალს, რომელიც ტანად მსხვილია, ფეხები პატარა აქვს, თხელი თმა და დიდი ყურები. ჩვენში ასეთი ქალი საზიზღარი იქნებოდა; იაპონელებს უყვართ ყვითელი კანი და შავი კბილები — თეთრი კბილები ძაღლებს აქვთო—ამბობს იაპონელი. ჩვენს მოგონებაში კი თეთრი კბილების დანახვა ღვთიურ ცახცაცხს იწვევს; სამხრეთ აფრიკაში ახალგაზრდებს ძალით უმტვრევენ კბილებს, რადგან სრულებით უკბილო ახალგაზრდა სილამაზის იდეალია; მშვენიერება ორგანული შეჩვევის და ნერვული წვის შედეგია. ისტორიული პირობები, გეოგრაფიული მდებარეობა, შთამომავლობათა ადათები, ინდივიდუალობის თავისებურება — აი ფსიქოლოგიური პირობები, რომელთა შორის ისახება მშვენიერების იდეა. მშვენიერება შემოქმედებითი ევოლუციის ისტორიოლოგიური სახეა: ყოველ კუთხეს დედამიწისას, სადაც უცხოვრია ადამიანს, აქვს თავისი ისტორია და მასთან ერთად თავისი ესთეტიკა — საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი სულის აქტივობა და წყობილება. მშვენიერების იდეა უაღრესად ისტორიულ-ტროპულია. ქართველს უყვარს ისეთი სახე, რომელიც ქართველის ტემპერამენტს შეეფერება; ევრო-

ბელს უყვარს ის სახე, რომელიც ევროპელის ტემპერამენტს შეეფერება; ტემპერამენტი კი მრავალ შთამომავლობათა განცდის დაზგაზეა ნაქსოვი და, მაშასადამე, ყოველთვის ისტორიულია, ყოველთვის იწნება განსაზღვრულ ეთნოგრაფიულ და ისტორიულ პირობებში, ცხოვრების მძაფრ ბრძოლასა და ტანჯვაში მშვენიერების სახე არის მხოლოდ ისტორიულ-კულტურული მგრძნობელობის და ორგანული გაღიზიანების ესთეტიკური განსახეობა. განსახეობა შემოქმედებითი პროცესია და ამ შემოქმედებით პროცესში სილამაზის ემოცია, რომელიც სუბიექტურია და ორგანული, სუბიექტური ილუზიის საშუალებით ძარღვთა წვაში სხვადასხვა ადამიანის ორგანული წყობილება ღებულობს მოჩვენებით ობიექტურ ხასიათს. რადგან სხვადასხვა ნერვული სისტემა სხვადასხვანაირად იწვის და განიცდის, სილამაზე ღრმად სუბიექტური ცნებაა, და სილამაზის ემოციის „ობიექტივაცია", სადაც უნდა იყოს და რა პირობებში, სულ ერთია, ყოველთვის ინდივიდუალურია. მშვენიერების იდეა ეყრდნობა ადამიანის განცდას და სულის ძიებას: თუ სული კმაყოფილია, თუ ადამიანის გული ცხოვრების სახეების შეგრძნებით მთვრალია, მაშინ ადამიანს ეძნელება, რა თქმა უნდა, მოძრაობა და ძიება, ეძნელება აღშფოთება და აღელვება, მაშინ იგი მოდუნებულია და სისხლის მოძრაობა მისი წყნარია. ილუზიებსა და ოცნებებს ადამიანის გულის სიღრმეში ადგილი არა აქვს, თუ ადამიანი ბედით კმაყოფილია, თუ არ იწვის სურვილებით იგი, თუ არ იტანჯება სული მისი ცხოვრების სიჩმახით. დანტე ალიგიერი იმიტომ ეტრფოდა ბეატრიჩეს სახის მშვენიერებას, რომ გრძნობდა წუთისოფლის უკეთმართობას, უწესრიგობასა და სიმახინჯეს. დანტე უყურებდა ამ ცხოვრებას როგორც კოშმარულ მოჩვენებას და ეტრფოდა ბეატრიჩეს, როგორც მშვენიერებას, როგორც სულის დამამშვიდებელ ძალას. დანტემ იგრძნო ცხოვრების სიჩმახე და შექმნა ბეატრიჩეს სახე, რომ დაეფარა წუთისოფლის სიმახინჯე თავისი გრძნეული სიზმრებით.

ბეატრიჩეს სახე ნაზ და გრძნეული სიზმრებითაა ნაქსოვი: ადამიანს უნდა ჰქონდეს მშვენიერი სული, რომ ნახოს მშვენიერი სიზმარი. მხოლოდ სულის სიმშვენიერე სულის სინაზეა და ვინც ტლანქ ცხოვრებას ურიგდება, სული მისი ტლანქია, ისე როგორც ყოველდღიური ცხოვრება, მშვენიერების იდეა ადამიანობასთან ერთად იბადება სწორედ იქ, სადაც იწყება იდეალის შეგრძნობა, როგორც ფსიქოლოგიური აუცილებლობა. როდესაც ადამიანი ამბობს — საგანი მშვენიერიაო, არკვევს და ახასიათებს არა ობიექტურ მოვლენას, არამედ თავისი სულის შინა-

არსს და დამახასიათებელ თვისებას. სილამაზე არის იდეური კავშირი ორგანული განცდისა და სულისა ილუზიის საშუალებით გატანილი ინდივიდუალობიდან უნივერსალობაში. რაც უფრო მდიდარია ადამიანი ილუზიებით, მით უფრო ჩქარა იშლება ცხოვრება მის თვალწინ ესთეტიკურ ფენომენად, მით უფრო ხშირად ხედავს სული მოქანცულ ბეატრიჩეებსა და დულცინეებს. სილამაზე სულიერი ხორციელობაა — ილუზიების ტალღებში შექმნილი და განცდის ცეცხლში „სინამდვილედ" ქცეული. სანამდე სული განიცდის აღფრთოვანებას, სანამდე გული აღგზნებულია, მხოლოდ მანამდე არსებობს „სინამდვილე" მშვენიერი და თვალწარმტაცი. ძარღვების სიმთვრალე — ორგანული სიგიჟე სისხლის აჩქარებული მოძრაობით ქმნის სურვილის სიღრმეს და სული ადამიანის ლაღად დასეირნობს ოცნების ბაღებში, წყვეტს ყვავილებსა და ისვენებს სხვადასხვა ბუჩქის ძირას... დღეს ხედავს ზღვის ტალღებზე მცურავ აფროდიტეს, ხვალ ღრუბელთა შორის მოციმციმე ბეატრიჩეს, დღეს მხურვალედ „ეწებება" ნესტან-დარეჯანს: მკერდი მკერდსა შეეწება, გარდაეჭდო ყელი ყელსა, ხვალ მულღასანზარის ველზე თინათინის სახეს გაშლის კოსმოსურ მშვენიერებად, მარიხსა და ოტარიდს შეუერთებს თავის ოცნებებსა და მწველ გრძნობებს. მშვენიერების იდეას იცნობენ მხოლოდ განცდით და გრძნობებით მდიდარი ძარღვები. საგანი მით უფრო მშვენიერია, რაც უფრო ღრმაა ორგანული წვა ადამიანისა, რომელიც ჭვრეტს საგანს; რაც უფრო აჩქარებით ბუყბუყებს ნერვული სისტემა, მით უფრო მალე იტაცებს ადამიანს ოცნება: რაც უფრო შეუბრალებელია ცხოვრების ქარიშხალი, რაც უფრო იბუგება წუთისოფლის სიმწარით ადამიანი, მით უფრო ლაღად ნამავს ორგანული ტანჯვა სულის შემოქმედებას, მით უფრო მდიდარია იდეალებით და ილუზიებით სული.

იდეა არის განცდის განსახოება. მშვენიერების იდეა იფშვნება ორგანულად, იზრდება მით უფრო ჩქარა, რაც უფრო ღრმაა სულიერი მღელვარება. ნერვული მოქანცულობა ყოველთვის იწვევს სულის სილაღეს, სისავსეს შემოქმედებითი სევდისას, — და შემოქმედებითი სევდა ქმნის ეროტიკულ მკრთომარეობას: იწყება შეყვარების პროცესი და თან იზრდება შემოქმედებითი სევდა, რომელიც ბოლოს და ბოლოს ღებულობს კოსმოსურ ხასიათს. ორგანული წვის ორთქლი ეფინება მთელს ინდივიდუალობას, ჩხვლეტს სხეულს, შეაქვს ეროტიკული სითბო ძარღვთა ნასვრეტებში და წულით მთვრალი იძირება სიყვარულისა და სევდის გრძნობებში. ინძრევა, ირყევა, იწვის. იკრიცება ინდი-

ვიდუალობა და თანდათან უახლოვდება ყოვლობას — უნივერსალობას: თვალწინ იშლება განუკვრეტელი სამყარო მთებით, ოკეანეებით, ჩქარად მორბენალი მდინარეებით, ფერადი სახეებით. შეგრძნების ცეცხლი აღრმავებს სიყვარულს: თრთოლა, სიცოცხლე, მოვლენათა და საგანთა უბნობა, ზღვის ტალღებზე მზის სხივების ლივლივი, შუადღის ხილვა ტკბილვნებიანი — ყველაფერი ღელავს, ყველაფერს ეძლევა ილუზიური ღირებულება სიყვარულის ენტელექიაში, ყველაფერს აქვს მიმზიდველობა, რადგან მშვენიერების შეგრძნობა — ეს ესთეტიკური ანთროპომორფიზმია — ცხოვრების თვითმყოფი რაობის უარყოფაა და ილუზიების განმტკიცება.

წუთისოფელი თავისთავად არც მშვენიერია და არც საზიზღარი, არც კეთილმოქმედია და არც ბოროტი: ცხოვრების დამახასიათებელი თვისებებია სტიქიურობა და ირაციონალობა. ადამიანის აზროვნება ისტორიოლოგიურია, ადამიანის მორალი არ არის ბუნების მორალი. ჩვენს იდეალებსა და ოცნებებს, ჩვენს გრძნობებსა და ტრაგედიებს ბუნება არ იცნობს. ჩვენი ენა ბუნებას არ ესმის და არც ჩვენ გვესმის ბუნების ენა. ბეატრიჩეები და დულცინეები არსებობენ მხოლოდ ჩვენს სულიერ მოძრაობაში. ბუნებისათვის ბეატრიჩეები და დულცინეები იგივეა, რაც ბუჟყები და ჭიები.

წუთისოფლის მოვლენების თვითმყოფ რაობას ჩვენ არ ვიცნობთ, ჩვენ არ ვიცით, რას წარმოადგენს საგნები და მოვლენები per se, ჩვენ ვეყრდნობით მხოლოდ ჩვენს ორგანულ შეცნაურებას, ჩვენს სულიერ მიმღეობას; ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რასაც გვეუბნებიან ჩვენი გრძნობათა ორგანოები და თვითდაკვირვებანი. ჩვენთვის წუთისოფელი ფენომენია მწვავე ორგანული შეცნაურებისა და ჰვრეტის საგანთა, მოვლენათა სახეები და ფერები ფსიქოლოგიურად ილუზიურია. ჩვენი ნერვული დრესა და მღელვარება აძლევს ცხოვრებას სიმდიდრეს და ღირებულებას, სახეებსა და ფერებს: საკმარისია შეიცვალოს ჩვენი ნერვული მდგომარეობა, რომ ცხოვრების მოვლენებმა მიიღონ სხვა სახეები და სხვა ფერები. ჩვენი იდეალი ჩვენი ორგანული ცახცახის. ჩვენი ხორციელი წვის ლიღნიოა ინდივიდუალური ლირწების დინებით შექმნილი, ან შთამომავლობის ფსიქოლოგიური წვრთნით აბოლებული და ანათებული.

.ბეატრიჩეები და დულცინეები, ვენერები და ლაურები მშვენიერები არიან მხოლოდ იმიტომ, რომ შემოქმედებითმა სულმა მოინდომა მათი გამშვენიერება. როდესაც შემოქმედებით სულს ეკარგება თავისი

ხორციელი ენერგია, როდესაც ორგანულ-ეროტიკული ცეცხლი მღელვარებისა და მოძრაობის შემდეგ ქრება, საგანს ეკარგება თავისი მშვენიერი სახე. ჰაინრიხ ჰაინეს გმირს ტანგეიზერს, რომელიც ერთ გამოქვაბულში რვა დღის განმავლობაში ტკბება სილამაზის ღმერთის — ვენერას სიყვარულით, რვა დღის შემდეგ საზიზღრად ეჩვენება მშვენიერი „არსება" და იგი გაჯავრებული ეუბნება მას — მე შენ არ მიყვარხარო. მშვენიერება ინდივიდუალურ-ეროტიკული სურვილებისა და გულის ენებათა ილუზიური განსხეულებაა. ერთხელ თურმე ინდოეთის ღმერთი — ვიშნუ შეხვდა მშვენიერ ქალწულს, დაუწყო მას გაშმაგებული ცქერა; ქალწულმა ვერ აიტანა ვიშნუს თვალების სიბასრე და უცბად ამოეფარა ღმერთს უკან. მაშინ თურმე ღმერთს კინჩხზე ამოუვიდა თვალები და ისე უცქერდა ქალწულს — ძლიერია ინდივიდუალობაში სურვილის ძალა.

რა არის ტობოსელი დულცინეა, თუ არა ლამანჩელი რაინდის სურვილის ილუზიური განსხეულება? ჩვენ ვიცით, რომ ტობოსელი დულცინეა (მშვენიერება) იყო ერთი ჩაგოდრებული გლეხის გოგო, სახელად ალდონსა. სანჩო პანსა მას ეძახის ალდონსას და წარმოდგენილი ჰყავს მხოლოდ როგორც ალდონსა. მაგრამ ლამანჩელ რაინდს ვინ დააჯერებს, რომ დულცინეა არის მხოლოდ ალდონსა? ვინ დააჯერებს დანტეს, რომ ბეატრიჩე არის უბრალო, სუსტი, ფიზიკურად საზიზღარი არსება? ვინ დაარწმუნებს ტარიელს, რომ ნესტან-დარეჯანის ორგანულ მთლიანობაში არის ნაწილი წმინდა გონების თვალსაზრისით ესთეტიკურად მიუღებელი? ცხოვრება ესთეტიკური ფენომენია, მშვენიერების სახე ადამიანის სულის ილუზიაა.

არც ერთი მშვენიერი, არც ერთი საზიზღარი ქალი არსად არ დაბადებულა და არც დაიბადება, ისე როგორც არც ერთი ბოროტება და არც ერთი სიკეთე წუთისოფლად არასოდეს არ ყოფილა: „მშვენიერი" „საზიზღარი", „ბოროტი", „კეთილი" — ყველაფერი ეს ჩვენი, ადამიანების გამოგონილია და თავისთავად არაფერი მშვენიერი, არც არაფერი საზიზღარი არ არსებობს: შინაარსს, ღირებულებას, თვისებებს, სახეებს და მიზნებს ცხოვრებას აძლევს მხოლოდ ადამიანი და მისი ორგანულ-ფსიქიკური ჩვეულება.

ეგოიზმი და კოსმიზმი სიყვარულში

სიყვარული და ეგოიზმი ერთად შეუძლებელია ოტყვის comme il faut-ს ხალხი, მეშჩანიზმით დამძიმებული და სალონურ ბავარდაჟს შეჩვეული.

ჩვენ ვამბობთ: სიყვარული ყოველთვის ეგოისტურია. აბა რომელ ქალს შეუძლია სიყვარულისთვის თავისი სიყვარული დათმოს? თუ ქალს მართლა უყვარს კაცი არათავისთვის, რატომ არ აძლევს კაცს ნებას სხვა ქალთან ისიამოვნოს? თუ მას კაცი უყვარს არა როგორც იარაღი თავისი სიამოვნებისათვის, არამედ გარეშე თავისი სიამოვნებისა, უნდა უყვარდეს ისიც, ვინც მის ქმარს ასიამოვნებს. ცხადია, ვერც ერთი ტანსაღი ქალი ვერ მოითმენს იმას, რომ მისთვის საყვარელი კაცი სხვა ქალს კოცნიდეს მის თვალწინ.

რატომ? თუ მე ვინმე მიყვარს, რატომ არ მინდა, რომ მას სხვამ ასიამოვნოს? ჩემს პატარა ბავშვს ერთხელ გზაზე ძალიან მოსწყურდა, ვიღაც მგზავრმა მას წყალი დაალევინა; მე ეს ისე მესიამოვნა, რომ დღესაც, როდესაც მომაგონდება სახე იმ ადამიანის, რომელმაც ჩემს ბავშვს წყალი დაალევინა, სიყვარულისა და სათნოების გრძნობა დამეკარგა ძარღვების ნასვრეტებში.

რატომ ქალს არ უყვარს სხვა ქალი, რომელიც მის ქმარს კოცნის, ასიამოვნებს? ცხადია, ყოველგვარი სიყვარული თვითშეყვარებაა; როდესაც სოფიო ივანეს ელაპარაკება — მე შენ მიყვარხარო, სიცრუეს ამბობს. სოფიოს უყვარს მხოლოდ თავისი თავი და თავისი სიამოვნება.

სიყვარულის მიზანი ეგოისტურია, მაგრამ პროცესი კი პანთეისტური და კოსმოსური.

მშობლიური და ოჯახურ-ნათესაური სიყვარული სექსუალური სიყვარულისაგან წარმოიშვა; არსებობს მხოლოდ ერთადერთი ფორმა სიყვარულისა — სექსუალური სიყვარული: დედა შვილს რომ ეალერსება, ფიზიოლოგიურად სექსუალობაში დნება და სულიერად ითალხება სექსუალურ-ეროტიკული რომანტიზმით.

ქალიშვილი რომ თხოვდება, დედას უხარია იმიტომ, რომ ქალიშვილს „ბედნიერებას" თვითონ განიცდის თავისი წარსულის მოგონებასა და წარმოსახვაში.

ჩვენი თვალები, როდესაც ლამაზ სახეს ხედავენ, ნერვები სექსუალურ ტროიალებით იოუნოუბიას; სილამაზისადმი ტროიალება

ადამიანში მით უფრო მძლავრია, რაც უფრო ძლიერია სქესობრივი მოთხოვნილება.

ლამაზი ქალის ღანახვაზე ჩვენი სული კოსმოსურად იშლება: მაშინვე გვებადება სურვილი უსაზღვრო სიყვარულისა და კეთილმოქმედების; ორგანულ ხვეულებში მაშინვე აიშლებიან ტრფიალებანი და ნდომანი. გიყვარს არა მარტო ქალი, რომელსაც ხედავ, არამედ ყველაფერი გარშემო, გიყვარს ტანისამოსი, რომელიც მას აცვია, გიყვარს ქვაფენილი, რომელზეც ქალი დგას, გიყვარს ახლომახლო ადამიანები, მცენარეები, ბალახი, სახლები და მათი სახურავები, გიყვარს ამ დროს მთელი ქვეყანა, მთელი სამყარო ზესკნელით, ქვესკნელით და გარესკნელით.

სიყვარული ჩვენი სულის კოსმიზმის უდიდესი და უმშვენიერესი ფორმაა; თვით კოსმიზმი როგორც ფორმა ორგანულ-ეროტიკული ტრფიალების ერთგვარი ემანაციაა სექსუალობისა.

დიდი პოეტები შეყვარებულებს მთვარესა და პლანეტებთან ალაპარაკებენ, ბალახებსა და მცენარეებს სულიერად უკავშირებენ: გოეთე, შილერი, შელი, რუსთაველი, ბარათაშვილი, ბესიკი, ვაჟა-ფშაველა სიყვარულს კოსმიზმის შეგრძნებას უთანაბრებენ; რუსთაველი შეყვარებულ ავთანდილს ამღერებს მულღაზანზარის ველზე და ამ სიმღერით ჰაერი რიტმულად ატალღდება, აირნევა; ბალახები და პირუტყვები ეროტიკულად აცახცახდებიან: თითქოს ვნების ამყოლობაში აინძრევა მთელი სამყარო და ჩვენი სულის ოცნება თავის მოჩვენებათა გრძელი რიგით ფარავს აქოთებულსა და ჭუჭყიან სინამდვილეს; შეყვარებულს ავიწყდება, რომ არსებობს ქვეყნად ორგანული ნაკლი და უსრულობა, ჭეჭყი და წირპლი, ავიწყდება, რომ ქალს ხშირად გვირაბული სუნი აქვს, ავიწყდება რომ, ის, რასაც ის ღვთაებას ეძახის, არის მხოლოდ ფიზიოლოგიური მასა.

ბეშმარიტების პრობლემა და ლოგიკა

შეუთანხმე აზრები ერთმანეთს, — ლაპარაკობდნენ ელინები; შეუთანხმე აზრები ავტორიტეტს, — ამბობდნენ საშუალო საუკუნეებში; შეუთანხმე აზრები ფაქტებს — ამბობენ დღეს; ჰეგელი ფაქტებს ომს უცხადებდა — ფაქტები თუ ჩემს თეორიას არ ემორჩილებიან. მით უარესი ფაქტებისათვის, — ამბობდა იგი.

მაგრამ, დრო რომანტიკული იდეოლოგიით შეიცვალა და ფაქტებს დღეს უფრო ენდობიან, ვიდრე რაციონალისტურ ტრიადებს, სქოლიოებსა და გააზრებულ ზვიადობას. დღეს ფაქტების ინტერპრეტაციაა საჭირო იმიტომ, რომ ფაქტების ტრიალსა და ქარიშხალში ვიხრჩობით.

ჩვენი აზრით შემთხვევითი ფაქტის კაუზალური ასახვაა და ჩვენი მსჯელობა ასახული ფაქტების სისტემა — სისტემა მწყობრი და სახიერი; იმ დროს, როდესაც ფაქტები სამყაროში ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და ერთმანეთთან ჩხუბობენ, ჩვენს პატარა თავის ქალაში იდეები და სახეები ფაქტებისა ერთმანეთთან მეგობრულად ბინადრობენ.

ფაქტის ასახვას ცნებას ეძახიან და ყოველი ცნება ასახული ნიშნებისა და თვისებათა ერთგვარი კოეფიციენტია: ჩვეულება აგროვებს ფაქტის ასახულ თვისებებს და ერთ ცნებაში აყალიბებს; ცნება ფაქტის ცხადყოფაა: თუ ცნება არ არის, არც ფაქტი არსებობს; თუ ცნება არის, ფაქტი ცხადყოფილია სიტყვით, სახელით; სიტყვა ერთგვარი საგიზიტო ბარათია, ცნების ერთგვარი აფიშაა, გამომსახველი ცნების გარემომცველობისა და ფაქტის მოცემულობის.

ჩვენ ვიცნობთ არა საგანს, არამედ საგნის თვისებებს; შემეცნება ასახულ თვისებათა სისტემაა: მაგიდა შავია, გრძელი, ფართო და იწონის ათ გირვანქას; რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ რაღაცა აღიზიანებს ჩვენს მხედველობით ძარღვს და რაც აღიზიანებს, იმას სახელად დაარქვეს მაგიდა; შევეჩვიეთ ჩვენ ამ სიტყვას იმიტომ, რომ სანამდე ჩვენ ვიხმარდით მას, სხვებმა ისმარეს და ჩვენ ეს გვესმოდა; შემდეგ დავიწყეთ ხმარება ამ სიტყვის ისე, როგორც სხვები ხმარობდნენ; მაგიდა იწონის ათ გირვანქას — ეს ნიშნავს იმას, რომ მის ასაწევად საჭირო ენერგია ნაკლები, ვიდრე თერთმეტ გირვანქიანს ესაჭიროება და მეტი, ვიდრე ცხრა გირვანქიანს... ესე იგი საგანი იწვევს ჩვენი კუნთების ერთგვარ გაღიზიანებას; ამნაირად, თვისებათა ასახვა შთაბეჭდილებათა სისტემაა; ჩვენი წარმოდგენა საგანზე მეტს არაფერს შეიცავს, გარდა შთაბეჭდილებებისა და როდესაც ჩვენ საგნის განმარტებას ვიძლევით, მხოლოდ ვალაგებთ ჩვეულების მიხედვით შეგრძნობათა რიგსა და რაოდენობას; საგნის შინაგანი, თვითური რაობა არის შეუცნობელი (კანტის ნოუმენი) მიზეზი ჩვენი ნერვულ-ფსიქიკურ გაღიზიანებათა. შთაბეჭდილებათა ფორმას აყალიბებს ორგანოტროპიზმი. ავიღოთ წინადადება: „კეთილშობილი ადამიანი ღირსია პატივისცემის“. ანალიზი ამ წინადადებისა შემდეგს გვიჩვენებს: სიტყვა კეთილშობილი ნიშნავს ყოველდღიურ ჩვეულებაში განმტკიცებულ

დადებით ცნებას, ცნებას ორგანოტროპულს, ჯგუფურს, ტერიტორიულს, კუთხურს; თავისთავად ეს ცნება ანალიტიკურია და ორგანოტროპული; ჩვენ მაინც ვუმატებთ სიტყვას — „ღირსია", რომელიც სასავს კეთილშობილებასთან ჩვენს დამოკიდებულებას; სიტყვა „პატივისცემა" ნიშნავს კეთილშობილების ღირებულების გადაკავშირებას სხვებთან, რომელთა პატივისცემა ონტოლოგიურ ჩვეულებათა ასახვაა.

გავარკვიოთ გეომეტრიული ცნება: „სამკუთხედი". სამკუთხედის განმარტებაში, ისე როგორც ყოველ განმარტებაში, ორი მხარეა: ერთი ლაპარაკობს, რომ არსებობს წუთისოფლად ფიგურა, რომელიც შემოფარგლულია სამი სწორი წირით; მეორე ნაწილი: — ასეთ ფიგურას ეძახიან სამკუთხედს. პირველი არის საფუძველი ონტოლოგიურად ახატული, ისტორიულ-ტერიტორიული ჩვეულებებით განმტკიცებული, პლანეტარული (შეიძლება მარიხზე სხვანაირი ასახვა იყოს სამკუთხედის); მეორე არის თვითგანმარტება ონტოლოგიურად ასახულ ჩვეულებათა; პირველი შეიძლება იყოს ჭეშმარიტება, ან სიცრუე; მეორე არც ჭეშმარიტებაა და არც სიცრუე; პირველი არის საფუძველი ყოველგვარ თეორემათა და მოაზრებათა სამკუთხედის შესახებ; მეორე არის რეზიუმე ფაქტებისა ერთ სიტყვაში — სამკუთხედში. პირველი ჭეშმარიტებაა იმდენად, რამდენად მეორე მოხერხება და თქმაა; პირველი ცოდნაა იმდენად, რამდენად მეორე ენის მეტყველების საშუალებაა; პირველი გამოსახავს დამოკიდებულებას სამ სწორ წირთა შორის; მეორე ამ დამოკიდებულების სახელწოდებაა*.

ბუნება ჩვენი შემეცნების ორ მხარეს შეიცავს: მას ერთი მხრივ საქმე აქვს სიტყვებთან, მეორე მხრივ მოვლენებთან, ფაქტებთან; სიტყვებსა და ფაქტებს აერთებს ერთმანეთთან ჩვეულება წუთისოფლური, ჩვენი განცდით დაწმენდილი და შეფარდებული შთაბეჭდილებებით გაღიზიანებულ სულიერ მდგომარეობასთან.

ბოლოს და ბოლოს შემეცნების პროცესი არამცთუ ფსიქიკურია, არამედ ნეროზულიც. ჩვენ შეგვაქვს ჩვენი ნერვულ-ფსიქიკური ინდივიდუალობის ლოგოსი ყოვლობაში და სული ჩვენი დაუსრულებლობის დენაში იგივეა, რაც თერმომეტრი ქვაბში: ჩვენ ვიძლევით ყოვ-

---

* შ. ნ ე ც ე ბ ი ძ ე, „ალეთოლოგიის საფუძვლები", „ჭეშმარიტების პრობლემა" (თბილისი, 1922 წ. წიგნი I,) სწორედ ამ საკითხებს ეხება. შ. ნეცებიძე იძლევა ჭეშმარიტების პრობლემის ორიგინალურ დასაბუთებას, ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში „ალეთოლოგიის საფუძვლები" საპატიო ადგილს დიკერს.

ლობის მოვლენების განმარტებას ჩვენი შთაბეჭდილებებით და ნერვულ-ფსიქიკური შეცნაურებებით ისე, როგორც ქვაბში რყევადი მდგომარეობის თანდათანობითი ცვლილებების ასახვას იძლევა შიგ მოთავსებული თერმომეტრი.

საგანი წუთისოფლად მხოლოდ იმ წუთიდან არსებობს, რა წუთს იგი ცნებაში აისახება: ჭეშმარიტება თავისთავად არსებობს იმდენად, რამდენადაც ჭეშმარიტება ჩვენთვის არსებობს; ჩვენ გადაგვაქვს ჩვენი მეობიდან უნივერსალობაში სახეები; ჩვენს ორგანულ-ფსიქიკურ ჩვეულებაში იჩალხება ტრანსცენდენტალური გონება და ფაქტის ასახულ თვისებათა აყოვლადებაში სული ჩვენი ქსოვს ონტოლოგიური რეალიზმის ფორმებს: ჩვენ შევიცნობთ ფაქტის რეალობაში მხოლოდ იმ თვისებებს, რომელთაც მივაკუთვნებთ ფაქტს ჩვენი სურვილებისა და ორგანულ-ტემპერამენტული დახრილობის გავლენით. საგანთა და მოვლენათა დენას ჩვენ შევიცნობთ იმით, რომ ვეძებთ კანონს გამომსახველს სტატიკურობისას: ვცდილობთ ფაქტი ფაქტს გადავაბათ, შემდეგ ხელოვნურად შევათამაშოთ ფაქტები და ცდების საშუალებით ფორმულები გამოვიყვანოთ; მაგრამ ფაქტი, რომელსაც მე შევიცნობ, არის ხელოვნურად ამოგლეჯილი ყოვლობის სტიქიური დენიდან: მე რომ სხვანაირი გრძნობა მქონდეს, ან სხვანაირი ტრანსცენდენტალური პირობა ფაქტის შეცნობის, თვით ფაქტი სხვა სახეს მიიღებდა; ცხადია, აქედან ჭეშმარიტება თავისთავად არ არსებობს, რადგან შემთხვევითი და დეფექტური სტრუქტურა შეცნობის შემთხვევით ფაქტს ირჩევს: ვინ იცის, ბუნებაში რამდენი პასკალისა და ბოილ-მარიოტის კანონისებრი ფაქტები აღმოჩნდებოდა (შეიძლება კიდევ უკეთესი), ჩვენ რომ უკეთესად მოწყობილი გრძნობათა ორგანოები გვქონდეს. ჩვენი შემეცნება წააგავს ფარგალს, რომელიც შეიძლება გაფართოვდეს, შეიძლება შევიწროვდეს; წრეწირი, რომელსაც ჩვენი შემეცნება ხაზავს, არა ბუნებრივია, არამედ ხელოვნური.

ჩვენ რომ ჩვენი თვალებით ან სმენით ფაქტს შევიცნობთ, განა ის ჭეშმარიტი შეცნობაა? ჩვენ რომ მიკროსკოპში ვიყურებით და გადიდებულ მოვლენებს ვხედავთ, ვინ არის იმის თავდები, რომ ჩვენი თვალები და გამადიდებელი შუშა არ გვატყუებს? — ვხედავთ რაღაცეებს, შევიცნობთ, სახელებს დავარქმევთ ისე, როგორც ჩვენ გვეხერხება, როგორც შეგვიძლია, როგორც მოვისურვებთ და შემდეგ ვლაპარაკობთ — ეს ჭეშმარიტებაა. შეიძლება კაცი დაეთანხმოს დროებით იმ აზრს, რომ საგანი არსებობს მანამდე, სანამ ჩვენ შევიცნობთ, მაგრამ

არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩვენ მიერ შეცნობილი საგანი ისეთია, როგორც ჩვენ შეგვიცნობთ.

დღემდე ფიზიკა გვასწავლიდა, მოლეკულები ატომებისაგან შედგებაო; დღეს ფიზიკოსები ამტკიცებენ — მოლეკულები და თვით ატომები ელექტრონებისაგან შედგებაო. როდესაც ვლაპარაკობდით: მოლეკულები მხოლოდ ატომებისაგან შედგებაო, განა ეს ჭეშმარიტება იყო? ახლა ლაპარაკობენ: ატომები ელექტროიონებისაგან შედგებაო: ვინ იტყვის, არის თუ არა ეს დებულება ჭეშმარიტება თავისთავად?

ავსტრალიაში ადგილობრივ მცხოვრებლებს თურმე ასეთი წარმოდგენა აქვთ ადამიანის მოვალეობაზე: ვინმეს რომ ნათესავი მოუკვდება, ვალდებულია მეზობელ ტომს მოუკლას სამაგიეროდ ერთი წევრი, რადგან ნათესავის სიკვდილს ავსტრალიელი აბრალებს მეზობელ ტომს, რომელმაც მას გამოუგზავნა ბოროტი სული.

ერთხელ თურმე ინგლისელ ექიმ ლოდორს, მმართველს ავსტრალიის ერთ-ერთი პროვინციისას, გამოეცხადა ერთი ავსტრალიელი, რომელსაც ცოლი გარდაცვლოდა და თხოვა: გამიშვი მეზობელ ტომს მოვუკლავ სამაგიეროსო. ლოდორი დაემუქრა, თუ კიდევ მსგავსის თქმას გაბედავდა, იგი მას ციხეში ჩააგდებდა. ავსტრალიელი დაავადმყოფდა, მას აწუხებდა სინდისი მოვალეობის შეუსრულებლობის გამო: ცოლის სული მას ხშირად ეცხადებოდა და, როგორც ჰამლეტს მამის აჩრდილი, მოსვენებას არ აძლევდა. ერთხელ წამოვარდა თურმე ლოგინიდან ავადმყოფი და გაიქცა. რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნებულმა გამოუცხადა ექიმ ლოდორს: რაც გინდა მიქენი, შევასრულე ჩემი ჭეშმარიტი მოვალეობა, მეზობელს ცოლი მოვუკალიო. ლოდორმა შეიპყრო ავსტრალიელი და ციხეში გაგზავნა.

საინტერესოა: ალეთოლოგიის თვალთახედვით ვისკენ არის აბსოლუტური ჭეშმარიტება — ინგლისელის თუ ავსტრალიელის მაარეს.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ორი სხვადასხვა სახის კულტურულ-ტროპული ტრადიცია აქ ერთმანეთს შეხვდა და პრობლემა ჭეშმარიტებისა, პრობლემა ლოგიკური გადაიქცა ტერიტორიულ-ტროპულ პრობლემად.

ლოგიკა მხოლოდ ჩვეულებით აყოვლადებული ინტელექტუალური ზოგადობაა — ზოგადობა კუთხური, ჯგუფური, ხშირად ტემპერამენტული ხასიათის, და როგორც ასეთი, ყალბი მარადობისა და უნივერსალობის თვალთახედვით.

ყოვლობის მიმდინარეობა ალოგიკურია და რაც უფრო გაყვება ადამიანი ლოგიკას, მით უფრო უბედური იქნება იგი წუთისოფლად.

ჭეშმარიტება როგორც პრობლემა ლოგიკის საგანია: ლოგიკის დებულებები საფუძველია ჭეშმარიტების: შემეცნების დროს ჩვენ ვსარგებლობთ იმით, რაც გვაქვს და რასაც ჩვეულებრივად ვენდობით: ზენ დებირენი, რანუვიე და ბოლცანო სინამდვილის ოდენობას ჩვენი ახრის გარემომცველობას უფარდებენ და, როგორც პარმენიდე, საგანსა და შეცნობას შორის იგივეობას ხედავენ. ფსიქოლოგიურად ბუნებრივია. როდესაც ფილოსოფოსი-რაციონალისტები საგანს შეცნობას უფარდებენ და სანამ საგანს შეიცნობენ, შეაქვთ შეცნობის პროცესში თავიანთი აპრიორიზმი და პრედიკატები: კანტმა ადრე შეამჩნია ეს, მაგრამ მაინც აპრიორიზმსა და ტრანსცენდენტალობას მიენდო, როგორც აუცილებელ პირობებს შემეცნებისას.

მაგრამ, რას წარმოადგენს ეს აუცილებელი პირობები და არსებობს თუ არა თავისთავად ჭეშმარიტება, რომელსაც ჩვენ ვიჭერთ არსებობის ოკეანეში ამ აუცილებელი პირობებით?

როგორც დავინახეთ, ფაქტისა და შემეცნების დამოკიდებულება ყოველთვის შემთხვევითი ხასიათისაა. შემეცნების უდიდესი მომენტები — განყენება, შედარება, აყოვლადება ბოლოს და ბოლოს ერთგვარი ფსიქიკური combinaison-ებია და შედეგი ამ კომბინირების არის ცნება, რომელიც ერთგვარ გააზრებულ სინთეზს წარმოადგენს — სინთეზს შეგრძნობილ თვისებათა.

მაგრამ, თვისებათა შეგრძნება და შეცნობა, როგორც აპერცეფციის პროცესი გვიჩვენებს, ფსიქოლოგისტურია და არა ლოგისტური. ყოველ ადამიანს პროფესიისა და სულიერი წვრთნის ფსიქიკური ატრიბუტები შეაქვს საგნის შეცნობის პროცესში: ფანქარს მოწაფე და ვაჭარი სხვადასხვა სახით შეიცნობენ; ძროხის კუნთებს მხატვარი და ყასაბი სხვადასხვა თვალთახედვით უყურებენ. აპრიორული და ტრანსცენდენტალური რაც არის შემეცნების პროცესში, ყველაფერი შემოტანილია პროფესიული წინდახრილობით და ონტოლოგიურ ჩვეულებათა ასახვით. დარჩა აპერცეფციის ინდუქციური ელემენტი — თვისებების რაობათა შეცნაურება და ამ ელემენტის განზოგადება ხან განყენების სახით, ხან შედარების და ხან აყოვლადების.

მაგრამ განყენება, შედარება, აყოვლადება, სწვრივადობა და სხვა მთავარი მომენტები შემეცნებისა აზროვნების ჩვეულების სტატიკაა და როგორც ასეთები ცხადყოფენ საგნის თვისებათა სისტემას და არა საგანსა და საგნის რაობას.

საგნის თვისებათა სისტემაში ჭეშმარიტების გამოსახვა სრულებით

ار ნიშნავს საგნის რაობის შეცნობას, როგორც ცარიელი ბოთლებისა და კოლოფების ჩამოწყობა თაროებზე სავაჭრო სახლის გახსნას არ ნიშნავს*.

ლოგიკის ძირითადი პრინციპები ფსიქიკური ჩვეულებითაა განმტკიცებული; განუწყვეტლობა და ხშირი განმეორება ფსიქიკური ფაქტისა საფუძველს აძლევს აზროვნებას ისე, როგორც ფიზიკურ მოძრაობა ხშირი განმეორება აძლევს საშუალებას მარჯვე მოძრაობისას კუნთებს.

ფსიქოლოგია ორგანოტროპულია და ლოგიკა მხოლოდ ერთგვარი სტატიკურ-გრაფული განყოფილებაა ფსიქოლოგიის; რუსეთში ვედენსკი და ჩვენში ნუცუბიძე წინააღმდეგს ამტკიცებენ: მათი და მათი წინაპრების აზრით ლოგიკა სრულებით დამოუკიდებელია ფსიქოლოგიისაგან, პირიქით, ფსიქოლოგიას ეძლევა ღირებულება იმიტომ, რომ არსებობს ლოგიკის კანონები...

ჩვენთვის ლოგიკა მხოლოდ ერთგვარი დაკვირვების სისტემაა, როგორც გრამატიკა: ლოგიკა აკვირდება შემეცნების ბუნებას, გრამატიკა კი ენის ბუნებას; ლოგიკის ცოდნა ადამიანს არ შველის შეცდომებში, არც გრამატიკა შველის მაინც და მაინც ენის შესწავლაში: ვისაც უნდა შეისწავლოს ქართული ენა და ლიტერატურა, უნდა შეისწავლოს რუსთაველი, თმოგველი, ბარათაშვილი, ჭავჭავაძე და არა ხუნდაძის გრამატიკა.

ლოგიკა მხოლოდ სტატისტია აზროვნების ბუნებაში; აზროვნების ფაქტები კი ალოგიკურ ყოვლობას უკავშირდება.

ლოგიკა მისაღებია როგორც მეთოდი, როგორც ხერხი და არა როგორც ნორმა, არა როგორც საზომი.

რაც უფრო უმეშვეოდ და ლირიკული განცდებით შეედივართ ყოვლობაში, რაც უფრო შორს ვიხედებით კეთილშობილი ზრახვებით და ინტუიციით, რაც უფრო კოსმოსური და მეტაონტოლოგიურია სული ჩვენი, მით უფრო ვამჩნევთ, რომ ლოგიკა როგორც ნორმა ყალბია და კაცობრიობის კულტურის ერთგვარ დეფექტს წარმოადგენს.

საშუალო საუკუნეების ინკვიზიციებსა და ინტელექტუალურ კარჩაკეტილობას ლოგიკა ხელს უწყობდა: ყოველგვარ ჯგუფურსა და კუთხურ განაპირებას ლოგიკით ასაბუთებენ; ლოგიკამ აწამა ქრისტე,

---

* აქ ვეხებით ჰეშმარიტების პრობლემას იმდენად, რამდენადაც გვესაჭიროება უარყოფა ამ პრობლემისა ჩვენი მსოფლმხედველობის გამოსარკვევად. შ. ნუცუბიძის ფილოსოფიურ დებულებებს ცალკე გავარჩევთ.

სოკრატე, ბრუნო, გალილეი; ლოგიკით ხელმძღვანელობენ დიპლომატიური შანტაჟებისა და აფერების დროს.

ლოგიკა უარყოფს გენიოსური კეთილშობილებისა და კოსმოსური სევდის გაშლილობას, ლოგიკა სულისა და ნებისყოფის ბორკილია. ლოგიკის დებულებები მეშჩანური comme il faut-ს მარჯვლებია.

ლოგიკის საუკეთესო ფორმა არის სოფიზმი — ფორმა, რომელიც უარყოფს ლოგიკას და კარიკატურულად ეთანაბრება ყოვლობის ირაციონალობას.

იდეალების ევოლუცია

კულტურის ისტორიაში ხშირად არის მომენტები მიმდინარეობათა გაერთიანების, სინთეზის: ერთმანეთს საუკუნეთა განმავლობაში დაშორებული ელემენტები სხვადასხვა მიზეზის გამო ერთდებიან, მთლიან სახეს იღებენ.

აგრეთვე არის მომენტები გაყრისა და განაპირების: ელემენტები, რომელნიც წინათ, მთლიან ერთეულში იყვნენ მოთავსებულნი, ერთმანეთს შორდებიან და სხვადასხვა გზით იწყებენ „ევოლუციას", ხეტიალს.

მომენტი სინთეზის „პროგრესული" მომენტია ისტორიაში; მომენტი გაყრისა და დანაწილების „რეგრესის" მაჩვენებელია.

ძველი პოლიციურ-მონარქიული სახელმწიფოები—ბაბილონი, ასურეთი, სპარსეთი — დაიპყრეს მაკედონელებმა: კულტურა ამ სახელმწიფოების, დათანაწყობებული ელინიზმით, შევიდა ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციაში, რომელშიც დროთა ვითარებაში ჩაისახა ქრისტიანული მოძღვრების ძლიერი ორგანიზაციები.

ანტიკური ცივილიზაცია ღებულობს უნივერსალურ ხასიათს: ფსიქოლოგიურ გაშლილობასა და კოსმიზმს მატერიულ ფორმას აძლევს ცეზარების მსოფლიო ხასიათის გაქანება; მაგრამ, საშუალო საუკუნეები ფეოდალური განწვალებით არღვევენ მთლიან კულტურულ-ცივილიზაციურ მიმდინარეობას და რელიგიური პერსპექტივების ჰაერეთი ისტორიულ-რასული ტემპერამენტის მიხედვით კაცობრიობის კულტურის მთლიან მიმდინარეობას ორად ყოფს:

ერთი. მიმართულება იღებს ბიზანტიურ-აღმოსავლეთურ სახეს; მეორე — რომანულ-გერმანულს, დასავლეთურს.

ბიზანტიურ-აღმოსავლეთური კულტურა ცუდ პირობებში ვითარ-

დება — ბიზანტიას ჯერ ჯვაროსანთა ლაშქრები იკავებენ. შემდეგ თურქები, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე სლავური სახელმწიფოები ორიგინალობას ვერ იჩენენ; რუსეთს მოძრაობის საშუალებას არ აძლევენ მონღოლები ორნახევარი საუკუნის განმავლობაში; საქართველოს სისტემატურად აოხრებენ ისევ მონღოლები და სპარსელები.

რომანულ-გერმანული ცივილიზაცია გაცილებით უკეთეს პირობებში ვითარდება: საქართველო, რუსეთი და სხვა კულტურული სახელმწიფოები იფარავენ საუკუნეთა განმავლობაში ევროპას აღმოსავლეთის ურდოებისაგან; ხალხთა დიდი გადასახლების შემდეგ ევროპა დასვენებულია; მან არ იცის, ვინ არიან ჯალალედინები, ქაიხოსროები, ჩინგისხანები, ბატიები და სხვა...

ევროპა არ წყვეტს კავშირს საშუალო საუკუნეების განმავლობაში ანტიკურ ქვეყნებთან, ძველი ცივილიზაციის სხივოსან წარმომადგენლებთან: პლატონი და არისტოტელე ისეთივე ავტორიტეტები არიან ევროპელებისათვის საშუალო საუკუნეებში, როგორც ქრისტეს მოციქულები და წინასწარმეტყველები.

მართალია, ფანატიკურ-რელიგიური გატაცება, პაპების მრუშობა და ბერების ორდენების ლირწებრიობა კულტურული მუშაობის წესიერ მიმდინარეობას ხელს უშლიან, მაგრამ წყურვილი შემოქმედებისა და ჭეშმარიტების ხილვის, წყურვილი ცოდნისა და მშვენიერების ევროპელს ისევ ელინიზმისაკენ ეძახის: თვით კათოლიკური ეკლესია, მიუხედავად თავისი სიმკაცრისა და ასკეტიზმის, საპატიო ადგილს უთმობს წარმართულ ესთეტიკას; პარიზის ცნობილი ღვთისმშობლის ტაძრის (Notre Dame de Paris) სახურავზე კათოლიკე მხატვარს გამოყავს საუცხოო სიმბოლო სიშმაგისა და ჯიქურობის — Chimere. დიონისეს კულტი დიდი ხალისით სრულდება დღემდე ევროპის დიდი ქალაქების ქუჩებში ეგრეთ წოდებული კარნავალის სახით.

საშუალო საუკუნეების იდეოლოგი, ქრისტიანი, მორწმუნე კათოლიკე დანტე ალიგიერი ანტიკური მწერლების ჯოჯოხეთში მოთავსებას ვერ ბედავს და რადგან ჰომეროსი, პლატონი, არისტოტელე, ციცერონი მონათლულნი არ იყვნენ, დანტე იძულებულია დატოვოს ისინი სამოთხის გარეთ, სადმე ჯოჯოხეთის მახლობლად, მაგრამ იქ, სადაც ტანჯვა არ არის.

ანტიკური კულტურის ასეთი განსაკუთრებული პატივისცემა ახასიათებს მთელს საშუალო საუკუნეებს; ტერტულიანე ლაპარაკობს: ქრისტიანული ფილოსოფია მხოლოდ კეთილშობილი დაგვირგვინებაა

წარმართული კულტურის კეთილშობილი ზრახვებისაო; მინუცი სულის უკვდავებას ამტკიცებს და ამბროსი პატიეს სცემს ანტიკურ ქვეყანას და რომის რესპუბლიკის ეპოქას მშვენიერ დროს ეძახის (Gaston Boissier La fin du paganisme, 254, 279, 339).

რენესანსის ეპოქა ამის შემდეგ ფსიქოლოგიურად გასაგებია: კლასიკური ცივილიზაციის გაკვლავყოფებას ნიადაგი ჰქონდა თვით საშუალო საუკუნეებშიც: ახალი საუკუნეების სოც. ისტორიული და გეოგრაფიული კოსმიზმი მთლიანობისა და ბუნებრიობის ნატვრაში უფრო მძლავრად იხრება თავისუფლებისა და ესთეტიკური იდეალებისაკენ.

კლასიკური ლიტერატურა ჰუმანისტების ხელში და ბიბლია პროტესტანტების უბეში — ორი დიდი ძალაა, რომელნიც ებრძვიან მონასტრული ტრადიციების სიმშრალეს, სქოლასტიკურ უსულობას. ჰუმანისტების იდეალია მთლიანი პიროვნება, ადამიანობა სრული, დამთავრებული: პროტესტანტები და რეფორმატორები ქრისტიანული მოძღვრების ეკლესიური ფორმებისა და ორგანიზაციების განახლებას აპირებენ კულტურის საერთო მომდინარეობასთან შეფარდებით და საზოგადოებრივი სულიერი განწყობილების ალღოს აღებით.

რეფორმაცია იყო რენესანსის ფსიქოლოგიური გაგრძელება რელიგიის სფეროში და გამოსახავდა ახალი საუკუნეების ახალ მორალს, არღვევდა კათოლიკურ-ფეოდალურ მსოფლმხედველობას და იძლეოდა პერსპექტივებს, რომელნიც აკმაყოფილებდნენ იმ დროს რელიგიურად მოაზროვნე წრეებს.

კაცობრიობა დაქანცული აღმოსავლეთში ლაშქრობით, ფეოდალური განწვალებით, მტკიცე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების უქონლობით, გრძნობს მოთხოვნილებას სულიერი განახლებისას და ახალი ფილოსოფიურ-რელიგიური პრინციპების ძიებისას.

გეოგრაფიული და კოსმოსური მსოფლმხედველობის გაფართოება, ამერიკის აღმოჩენა, ოკეანეების გაცნობა, დასაბეჭდი მანქანების გამოგონება, ბუნებისმეტყველებისა და მორალის სფეროში ახალი კვლევა-ძიებანი კათოლიკური მთლიანი მსოფლმხედველობის მაგიერ ნიადაგს უმზადებს ადამიანის ქაოსურ სულიერ დრამას, მონტენის მწარე თქმას: que sais-je?

რომის პაპების თეოკრატიული მმართველობის იდეალი ფეოდალიზმთან ერთად დაიღუპა და ვერც ანსელმ კენტერბერიელის Credo ut intelligam, ვერც თომა აკვინელის პათოსური მეტყველება, ვერც

დაგვიანებული ტრიდენტის კონგრესი ვერ ახერხებენ საშუალო საუკუნეების მსოფლმხედველობის რესტავრაციას.

თვით იეზუიტიზმი, მისი პედაგოგიური და დიპლომატიური ცდები, მისი პოლიტიკურ-რელიგიური ზრასვები მხოლოდ ამწვავებენ არსებობის ტრაგედიის გრძნობას და ყოველგვარი უკუხედვა, ყოველგვარი სურვილი წარსულის დაბრუნებისა იწვევს წინააღმდეგობას აზროვნებისა და გრძნობის სფეროში.

ლუთერის თეზისებს, რომელნიც ვიტენბერგის უნივერსიტეტის კარებზე იყო გაკრული, ფსიქოლოგიურად აყოველადებს რენესანსის ხელოვნება — ენებიანობისა და წარმართული გრძნობების ამშელელი; ტიციანის ვენერა თავისი ლაღად აბორცული ძუძუებით ისე ებრძოდა რომის პაპებსა და ასკეტიზმს, როგორც რუსო და ვოლტერი კათოლიკობას და კლერიკალობას.

ირღვევა საზოგადოდ კვიეტური და იდილიური სულიერი წყობა და ადამიანი გრძნობს თავის უსუსურობას, უმწეობას მოვლენათა და საგანთა უსაზღვრო დენაში.

სოციალური ინტერესების წინააღმდეგობანი, ყოველდღიური ცხოვრების უაზროდ ატორტმანებული და მრუში მოძრაობა, დიადი პრინციპების და ფიქრების უშედეგოდ დაღუპვა, ჭეშმარიტებისა და კეთილშობილების დამარცხება — ყველაფერი ეს იწვევს პესიმისტურ აზრებსა და სევდას.

გაცვეთილი ფრაზა „მსოფლიო სევდა“ უფრო ღრმა ხასიათისაა, ვიდრე სიტყვიერების ოფიციალური ისტორიკოსები ფიქრობენ: მანფრედისა და ფაუსტის წუხილი, ჰამლეტის ტრაგედია, ბარათაშვილისა და ლეოპარდის სასოწარკვეთილება კაცობრიობის უკეთილშობილესი და უმშვენიერესი გრძნობის გამოსახულებაა.

საშუალო საუკუნეებში არ იყო ისე მწარე წინააღმდეგობა იდეალსა და სინამდვილეს შორის: ყოველგვარ საშინელებასა და საზიზღრობას კათოლიკობა ხსნიდა რელიგიური საჭიროებით; სისხლი, ღალატი, სიკვდილით დასჯა, წვალება — ყველაფერი მისაღები იყო, თუკი ამას მოითხოვდა ინტერესი რელიგიისა და ეკლესიური ტრადიციისა.

ახალ საუკუნეებში კათოლიკობას დაეკარგა ძალა; ავტორიტეტი ეკლესიისა დაეცა; ადამიანი მეტს ვერ არწმუნებს თავის თავს, რომ იდეალს შეუძლია გაამართლოს სინამდვილე. იქვები იპყრობს ადამიანის სულს და ნებისყოფას ინტელექტი ახრჩობს იმიტომ, რომ ადამიანი მთლიანად არ არის განთავისუფლებული ტრადიციისაგან: გრძნობა

ილისა. რომ არსებობს უთანხმოება იდეალსა და სინამდვილეს შორის, არის მიზეზი ტანჯვისა და ცრუპლუბის, რადგან ადამიანს არ ყოფნის გამბედაობა ისტორიულ-ტრადიციულ ღირებულებათა სრული გადაფასებისა.

რენესანსი, რეფორმაცია, საფრანგეთის დიდი რევოლუცია ინდივიდუალური მთლიანობისა და უფლებრიობისათვის იბრძვიან. მაგრამ წარსულის კულტი, ისტორიულ-ლოგიკური ტრაფარეტი ასასეერებს ენერგიას ამ ბრძოლისას და მებრძოლი ივსება მხოლოდ ეჭვებით.

ჰამლეტმა არ იცის, რა ქნას და ეძებს ფაქტებს, რომ დარწმუნდეს— სად არის ჭეშმარიტება, მაგრამ ჰამლეტის ლოგიკა ტრადიციული და ყალბია; ჰამლეტი კეთილშობილი რაინდია ძიებაში, მაგრამ პრინციპი ამ ძიებისა ყალბია.

ჰამლეტს ესაჭიროება თავისი სულის დასამშვიდებლად წუთისოფლური უზნეობა გამართლოს მორალური პრინციპების წინაშე, მაგრამ ეს მორალური პრინციპები, რომლითაც ჰამლეტი ზომავს წუთისოფლურ უზნეობას, რეალობას, ორგანულ მრუშობას, ფიზიოლოგიურ წვას, რას წარმოადგენს თავისთავად? არის თუ არა ღირებულება ტრანსცენდენტური, მარადიული იმ თვალთახედვაში, რომელსაც ჰამლეტი უცხადებს ნდობას, რომლითაც იგი ატაცებულია?

ჰამლეტს მამა მოუკლეს და სული მამისა მოსვენებას არ აძლევს მას: შურისძიებისაკენ ეძახის. სული აქ არის სიმბოლო კაცობრიობის ისტორიული მორალის, სუსტებისა და უძლურების მორალის. რა უნდა სულს? სულს აწუხებს, რომ ქალი, რომელიც მას კოცნიდა, მას ეკუთვნოდა მთელი ტანით, ახლა სხვას ჰყავს; ახლა ამ ქალს სხვა კოცნის, სხვა ეალერსება, ახლა ეს ქალი სხვისია მთელი ტანით.

მაგრამ ეს ხომ ბუნების კანონია: ბრძოლა, სუსტის დამარცხება, ძლიერის გამარჯვება; სუსტების ხვედრი ძლიერებს ეკუთვნის; ძმამ ძმა მოკლა და რძალი ცოლად წაიყვანა, მწვავე ფაქტია, მაგრამ ფაქტი მისაღები ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური თვალთახედვით.

სქესობრივი წვა, მზიდარულობა ენებათა, ფიზიოლოგიურ-ნერვული რეალობა, განცდა, ნდომა მიკარებისა, შეერთებისა — ეს ხომ საღი სხეულის თვისებებია, თვისებები მოუშორებელი.

მხოლოდ ჰამლეტის მამის სული მსჯელობს როგორც ლუარსაბ თათქარიძე ძილში: თათქარიძეს ესიზმრება, ვითომ მოკვდა, საფლავში ჩაასვენეს და მარტოდ დარჩა, მას აწუხებს ის, რომ ცოლი, მისი დარეჯანი არ ჩაჰყვა საფლავში.

ჰამლეტის მამის სულიც ეგრე სჯის: ტრადიციული მორალი, ლოგიკა საუკუნეების მეშჩანური, ფილისტერული ფსიქოლოგია მოდგმათა თსოულობენ, რომ ძმას არ ჰყავდეს ცოლად ძმის ქვრივი, მაგრამ ამ ლოგიკას, ამ მორალს ავიწყდება, რომ ქალისადმი ტრფიალება თავისთავად არ ემორჩილება არც მორალს, არც ლოგიკას. სასოვადოდ ცხოვრებას არ უდგება არც ჩვენი მორალი, არც ჩვენი ლოგიკა: ჩვენი მორალი, მისი პრინციპები, ჩვენი ლოგიკა, მისი კატეგორიები მხოლოდ ჩვენი წუთისოფლური ჩვეულებების შედეგია; ჩვენი ჩვეულების გარეშე ჩვენს იდეალებსა და პრინციპებს არა აქვს არავითარი საფუძველი, არავითარი რეალობა; ფორმები ჩვენი მორალისა და აზროვნების ისე იკეცება ჩვენს ნერვულ-ფიზიოლოგიურ თვისებებში, მათ ჩვეულებებში, როგორც ტანისამოსი, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად ვატარებთ და რომელიც თანდათანობით ღებულობს ჩვენი ტანადობის გამომსახველ ფორმას, რასაც სპენსერი შეფარდებულობის კანონს ეძახის, ის ბოლოს და ბოლოს ორგანული ჩვეულების კანონია.

სული ჩვენი უნდა შეეჩვიოს მწვერვალებისა და სიღრმეების დანახვას, როგორც ჩვენი ტანი ეჩვევა შემოდგომის სუსხში ნოტიო ჰაერეთს: წუთისოფლური ღირებულებები—ოჯახი, ნათესაობა, სიყვარული, იმედი, ალერსი, მეგობრობა იდილიურ-კვიეტური ცნებებია — ისტორიული მეშჩანიზმის გამომსახველი:

ტრაგედია ინდივიდუალიზმისა ბოლოს და ბოლოს ჩვეულებათა ტრაგედიაა და იმ დღიდან, რა დღესაც ადამიანი დარწმუნდება, რომ ბოროტება და სიკეთე ისტორიაში ისეთივე მოვლენებია, როგორც სითბო და სიცივე ფიზიკაში, შეგრძნება არსებობის სიმწარისა ჩვენში განახევრდება.

ქვეყანას არა ჰყავს მმართველი, ქვეყნის გარეშე რომ იდგეს და ისე აწესრიგებდეს ქვეყნის მიმდინარეობას — საგანთა და მოვლენათა დენას; ტრანსცენდენტური, გარესკნელური მიზანი ცხოვრებას არა აქვს; ჩვენ ვერ ვამჩნევთ კულტურის ისტორიაში განსაკუთრებულ აზრს, მიზანს; ყოველი ერი, ყოველი საუკუნე, როგორც ლეიდენის კონდენსატორი, დატვირთული ბიოლოგიური ენერგიით, იცვლება და შემდეგ უმიზნოდ უსაზღვროებაში იკარგება: იყო ბაბილონი, მას ჰქონდა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, ჰყავდა მმართველები, იქმნებოდა მეტყველება, ლიტერატურა, ინდუსტრია: სიყვარული, ვნებათა ღელვა, ილუზიები, ეროვნობები ამშვენიერებდნენ, ასახიერებდნენ მიწაწყალს, მინდორ-ველებს, ქალაქებსა და სოფლებს, იყო ეგვიპტე ფარა-

ონებით, მოგვებით, სფინქსებით, წვერადებით, იდეალებით; ელადა თავის მშვენიერი ღმერთებით, ტრაგედიული მითებით და ლამაზი განცდებით; რომი ძლევამოსილი გაშლილობით და გამბედაობით, ორატორებით და იმპერატორებით იყვნენ და აღარ არიან? დარჩა არსებობისა და დიდების ნანგრევები მიწყენილი, დაღრეჯილი: დარჩა ისტორიული თქმები, დებულებები სავარგონი მხოლოდ გიმნაზიური მკვლევრმეტყველებისათვის; საუკუნეები გაივლის და გაქრება: სხვა საქმეები, სხვა დროის ლეგენდები დაიკავებენ მათ ადგილს.

ვის ახსოვს დღეს რომელიმე ძველი ელინის თავის ქალა, სადაც მოთავსებული იყო ლამაზი იდეალები და ოცნებები? საუკუნეთა წვიმები და გეოლოგიური ნაკეცები ფარავენ ინდივიდუალურ ვინაობას, მის კეთილშობილ განცდებსა და მისტიკურ შორეულობაში გააზრებულ ლანდებს. დაკარგული ვართ უფსკრულში; სადღაც ვქანაობთ, ვირყევით, ვღელავთ, იმედებში ვართ და იმედებით ვიღუპებით, ვიგონებთ სქოლიოებსა და კატეგორიებს, ჩვენს ილუზიებში შექმნილ კერპებს ვემორჩილებით, ვთვრებით იდეებით, როგორც ალკოჰოლით და ბოლოს კერპებსაც და იდეებსაც ვიცვლით, როგორც ტანისამოსს.

ჩვენს „მე"-ს ჩვენვე ვკლავთ და სიახლის მაცდურ დაპირებებში ვებრძვით დამტკიცებულსა და მიღებულს...

კარგად ამბობს დოსტოევსკის რასკოლნიკოვი: „მე ქალი არ მომიკლავს, მე პრინციპი მოვკალი". პრინციპი შეცნობილი ჩვეულებათა ლოგიკური სინთეზია და როგორც ასეთი ინტელექტუალური კულტურის ნავთსაყუდელს წარმოადგენს. მხოლოდ ამ მდორე ნავსაყუდელში იხრჩობა ხალისი და სიცოცხლე ჩვენი ყოფისა; რაც უფრო მალე გავა აქედან მღელვარე ოკეანეში კაცობრიობის სული, რაც უფრო მიეენდობით აფექტებს, სტიქიურ-კოსმოსურ ყომარბაზობას, მით უფრო ლამაზი იქნება ჩვენი არსებობა წუთისოფლად.

ჰამლეტის ტრაგედია ინაა, რომ ხომალდი მისი აზროვნებისა ისტორიულ-ლოგიკური ტრადიციის მდორე ნავსადგურში დგას: ჰამლეტი ვერ კლავს პრინციპს, მხოლოდ ეძებს და ემორჩილება, შურიანობს და ნაღვლიანობაში იხრჩობა, როგორც ილია ჭავჭავაძის მეურმე, რომელიც თავისი უძლურების გამო შურით ხარებს უტყლაშუნებს შოლტებს.

ნაპოლეონსა და ცეზარს შეუძლიათ ათასების დახოცვა ბრძოლის ველზე ფეტიშებისა და ყალბი ღმერთების სახელით, რასკოლნიკოვს და ჰამლეტს კი თითო ადამიანის მოკვლაც ეძნელებათ. ტრაგედია ინდივი-

დუალობისა მხოლოდ ჩვეულების ტრაგედიაა და ვინ იცის, შეიძლება ყველაფერი, რითაც ჩვენ წუთისოფლად თავს ვინუგეშებთ, მხოლოდ ლანდური ჩვენებაა ტკბილი ჩვეულების, მეშჩანური იდილიის.

ფილოსოფოსმა ვუნდტმა პატარა ძაღლი შეაჩვია ჯოხზე ხტუნვას; როდესაც ფილოსოფოსი ძაღლს ეტყოდა: „ჰოპ", ძაღლი ჯოხს გადაახტებოდა. ერთხელ ვუნდტმა ძაღლს უბრძანა უჯოხოდ ხტუნვა, „ჰოპ-ჰოპ", — უთხრა ფილოსოფოსმა ძაღლს, მაგრამ ძაღლი, შეჩვეული „ჰოპის" დროს ჯოხის დანახვას, არ დაიძრა ადგილიდან და სულელურად შეჰყურებდა პატრონს, — თითქოს საყვედურობდა თვალებით — ვის გაუგონია „ჰოპ" უჯოხოდო?

ფილოსოფოსის ჯოხი სიმბოლოა ორგანული ჩვეულების, ტრადიციის პრინციპის, კერპის: ჩვენც გვიკვირს, როდესაც ცხოვრება უპრინციპოდ (უჯოხოდ) გვახტუნებს.

პროგრესი არ არსებობს

არსებობს თუ არა პროგრესი? — ასეთი საკითხი ბევრს უსაფუძვლოდ მიაჩნია: — არსებობს, რა თქმა უნდა; ქალაქების გაშენება, რკინიგზები, ტელეფონები, ტელეგრაფები, აკადემიები და სამეცნიერო ლაბორატორიები, ფუფუნების საგნები — განა ყველაფერი ეს კაცობრიობის წინსვლის ნიშანი არ არის? პროგრესი არსებობს: ისტორია თანდათანობით აგროვებს ფაქტებს, მასალებს: ერები გამოდიან პირველყოფილი მდგომარეობიდან, ტოვებენ ტყეებს და აშენებენ ქალაქებს, სწავლობენ, იძენენ ცოდნას, აკეთებენ გზებს, ხიდებს, ეცნობიან ერთმანეთს — განა ეს პროგრესი არ არის შედარებით იმ მდგომარეობასთან, რომელშიც კაცობრიობა იმყოფებოდა რამდენიმე ათასი წლის წინათ; ეს მდგომარეობა უკეთესია, უფრო ლამაზია და მისაღები, უფრო ხელს უწყობს საერთოდ კაცობრიობის გაკეთილშობილებას, მაშ პროგრესი არსებობს: ასეთია ლოგიკა კაცობრიობის.

მართალია თუ არა ეს ასრი? ხდება თუ არა საერთოდ ცხოვრების ელემენტების გაკეთილშობილება?

სახელმწიფოებრივი ფორმა არსებობისა უარყოფს პროგრესის იდეას: ისტორია გვიმტკიცებს, რომ მას შემდეგ, რაც სახელმწიფოები არსებობენ, არის განუწყვეტელი ბრძოლა და ომი სახელმწიფოთა შორის. ომის დროს ხდება შერჩევა არა უკეთესი ელემენტების, არამედ

ისეთი ელემენტების, რომელნიც საერთო ცხოვრების გაკეთილშობილებას ხელს უშლიან: ომი მოითხოვს, რომ უკეთესები, ტანსაღები გამოვიდნენ ბრძოლის ველზე და ეს ტანსაღი ხალხი ხოცავს ერთმანეთს იმ დროს, როდესაც სუსტნი, ავადმყოფნი შინ რჩებიან, ამრავლებენ ავადმყოფ მოდგმას, თაობებს; უკეთესი, უმშვენიერესი ელემენტი ისპობა; სუსტი, უარესი ფიზიოლოგიური და ორგანული სიმახინჯის განსახიერება აგრძელებს თავის არსებობას თავისი ავადმყოფი თესლით. განა კაცობრიობის ინტერესი მოითხოვს, რომ უკეთესი და უმშვენიერესი ელემენტი დაიღუპოს და ცუდი დარჩეს?

სად არის აქ წინსვლა?

ავიღოთ ცივილიზაციის მეორე თანამდევი თვისება: გაქალაქების პროცესი, შემჩნეულია, რომ სახელმწიფო, ერი მით უფრო კულტურულია, მით უფრო პატივცემულია, მით უფრო მეტი ღირებულების მატარებელია საერთო თვალთახედვით, რაც მეტი ქალაქებია იმ მიწაწყალზე, რომელიც უჭირავს ერს, სახელმწიფოს.

მაგრამ ყოველი ქალაქი არის ერთგვარი საავადმყოფო: ჭლექი, რევმატიზმი, ნევროზი, ლუესი უფრო ქალაქშია გავრცელებული, ვიდრე სოფელში. პარაზიტები გადამდებ სნეულებათა სწორედ ქალაქში მრავლდებიან. სოფლის ჰაერი კლავს პარაზიტებს; ქალაქის აყროლებული ჰაერი მათ ამრავლებს. სოფლიდან მოსული ტანსაღი ელემენტი, ტანსაღი ადამიანის მეორე, მესამე მოდგმა ქალაქში უსათუოდ ავადმყოფდება ან ჭლექით, ან ნევროზით, ან ლუესით ან სხვა რამე გადამდები სენით, შეიძლება ითქვას თამამად: რაც მეტი ქალაქია იმ მიწაწყალზე, რომელიც ერს უჭირავს, მით უფრო ავადმყოფია ერი, მით უფრო ახლოა იგი განადგურების კართან. გაქალაქებას თან სდევს დეგენერაცია, ორგანული გადაშენება, ხრწნა... ქალაქი ბუდეა საშინელების, ავადმყოფობის, ქალაქი ბუდეა ტრაგედიისა; კულტურა, ცივილიზაცია გამოიხატება ქალაქების მრავლობაში, მხოლოდ ყოველი ქალაქი მომასწავებელია უბედურების, ავადმყოფობის, დეგენერაციის. პარიზი, ბერლინი, ლონდონი — ცენტრებია კაცობრიობის ტრაგედიისა: ჭლექი, ლუესი, ნევროზი ანადგურებს კაცობრიობას ამ ცენტრებში. სოციალური შერჩევა ომის დროს და გაქალაქების პროცესი ისტორიაში უარყოფს პროგრესს, კაცობრიობის ორგანულსა და ცივილიზაციურ გაკეთილშობილებას.

მეტყვიან: მეცნიერება და მისი ღირებულება ხომ უდავოა? ჩვენ ხომ ახლა მეტი ვიცით, ვიდრე ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ? მედიცინა,

ასტრონომია. ბუნებისმეტყველება ჩვენი შემეცნების თანდათანობითი განვითარების მაჩვენებელია... დადგება დრო, როდესაც ჩვენ ყველაფერი გვეცოდინება.

— ჩვენი შემეცნება მხოლოდ გარეგნულად არის დიადი და თვალსაჩინო: არსებითად ჩვენ იმასე მეტი ბევრი არაფერი ვიცით, რაც იცოდნენ საბერძნეთში არისტოტელეს დროს; ჩვენ დღესაც ბევრი რამე არ ვიცით: ჩვენი გარეგანი გრძნობათა ორგანოები სუსტია სამყაროს რაობის შესაცნაურებლად, მიკროსკოპი, გამადიდებელი შუშა ამის დამამტკიცებელია: როდესაც ჩვენ მიკროსკოპში ვიხედებით, ვხედავთ, რომ საგანი ისეთი არ ყოფილა, როგორც მას ჩვენ ვხედავთ ჩვეულებრივად, მას ისეთი სახე აქვს, როგორის მიღება შეუძლია ჩვენს მხედველობით აპარატს; ჩვენ რომ სხვანაირი თვალები გვქონდეს, მაშინ საგანიც სხვა სახის იქნებოდა; სამყარო, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, არის მხოლოდ ის სამყარო, რომლის დანახვა შეუძლია ჩვენს თვალებს.

ვერავინ დაგვიდგება, რა თქმა უნდა, იმის თავდებად, რომ ჩვენი თვალები სწორად ხედავენ სამყაროს რეალობას. ორგანული ევოლუციის თანდათანობით სახეცვლილებამ შექმნა ჩვენი გარეგანი გრძნობანია ორგანოები, ერთგვარი ფანჯრები, ერთგვარი ღარები, რომლებითაც უთვალავ წელთა განმავლობაში მოძრაობდნენ სტიქიურად, ბიოდინამიკურად პირველყოფილი პროტოზოები და სპერმები, მაგრამ ფანჯრები და ღარები შეიქმნა მხოლოდ შესაძლებლობის ფარგლებში და არც ერთ ჩვენს ორგანოს იდეალური სახე არა აქვს. მიზანშეწონილობას და იდეალობას ბუნება დასცინის, ენა და მორალი — ადამიანის სამყაროს ენა და მორალი არ არის.

სვედენბერგმა, ჰოლანდიელმა მეცნიერმა, რომელმაც პირველად ჩაიხედა მიკროსკოპში, აიღო და დაწვა ყველაფერი, რაც მას ჰქონდა დაწერილი: გამადიდებელმა შეშამ დაარწმუნა, რომ მისი წმინდა გონების კატეგორიები, რომელნიც იყვნენ აშენებულნი მისი მხედველობითი აპარატის ასახვაზე, ტყუოდნენ და სამყაროს ჰქონდა სხვა სახე, არა ისეთი, როგორიც მას ეჩვენებოდა და როგორიც მან აღწერა...

ჩვენი ცოდნა, მთელი ჩვენი მსოფლმხედველობა იმაზე არის აშენებული, თუ რა სახისაა ჩვენი ორგანულ-ფიზიოლოგიური ჩვეულება: თანდათან გაფართოება, თანდათან გაღრმავება ორგანული ჩვეულებისა არის საფუძველი ჩვენი აზროვნებისა.

სულის აქტიურობას ქმნის მემკვიდრეობით მიღებული ენერგია ორგანული ჩვეულებისა.

მსოფლმხედველობა ადამიანის ჩვეულების განვითარების ნაყოფია. აბსოლუტური, უნივერსალური სასიათი ჩვენს შემეცნებას არა აქვს: ჩვენი სული ჩვენი ორგანული განცდის აორთქლებაა... ჩვენი იდეები უფრო ჩვენს ნერვულ სისტემასთან არიან დაკავშირებული, ვიდრე სამყაროსთან. ამიტომ რამდენი მოაზროვნეა წუთისოფლად, იმდენი სხვადასხვა თვისებები მიეწერება სამყაროს: სპინოზა ყოველგან ხედავს მათემატიკურ ღვთაებას, ბერგსონი სტიქიურ ძალთა ათამაშებას (elan vital), კანტი უკავშირებს მოვალეობის იდეას ვარსკვლავებსა და სივრცის ესთეტიკურ ჭვრეტას. ყოველი ფილოსოფოსი თავისი ორგანულ-ესთეტიკური განცდის ფანჯრიდან იყურება სამყაროში და ყოველ მათგანს ეს ქვეყანა ეჩვენება იმ სახით, რა სახეც უფრო შეეფარდება მის ორგანული ჩვეულების დენას, ჩვენ ვუახლოვდებით ჭეშმარიტებას მხოლოდ ილუზიის ფარგლებში: მიუხედავად იმისა, რომ ბევრი უჯრედი და ხვეული შევისწავლეთ, ჩვენი დამოკიდებულება ბუნებასთან ისეთივეა, როგორიც იყო შორეულ წარსულში. ბევრი რამ წინათ არ ვიცოდით და დღესაც არ ვიცით. მიუხედავად ჩვენი მეცნიერული და აკადემიური გაქნილობისა, ჩვენზე ისე ბატონობს შემთხვევათა გრძელი რიგი, როგორც ბატონობდა ადამიანზე მრავალ საუკუნეთა წინათ.

რაც უფრო შორს მივდივართ ჩვენს კვლევა-ძიებაში, მით უფრო საშინელია ეს ცხოვრება; ჩვენ თითქოს შევდივართ დაუსრულებელ სამხეცეში:

სხვადასხვაგვარი მიკრობები სხვადასხვანაირად ირაზმებიან ჩვენ გარშემო, ახალ-ახალ სახელებს ვარქმევთ მათ, ვებრძვით დროგამოშვებით, მაგრამ ვემორჩილებით ბოლოს და ბოლოს...

სამყაროს ნახევარზე მეტი მიკრობებს ეკუთვნის, პარაზიტები ჩვენში და ჩვენ გარშემო ისე დასეირნობენ, როგორც მეფეები თავიანთ სასახლეებში. მეცნიერს, რომელიც ქვეყნის შემეცნებას ცდილობს, სიცოცხლეს უსპობს ხშირად უბრალო ტილი, უბრალო ხიწვი, თუ არსებობს ქვეყნად მიზანშეწონილი წინსვლა, თუ არსებობს ბუნებაში პროგრესი, თუ მართლა ბუნების მიზანია კეთილშობილი და უკეთესი ელემენტების გაჩენა, მაშინ რა საჭიროა ადამიანის შემდეგ პარაზიტების გაჩენა? ზოგიერთი გვარის ტილები, ვენერიულ სნეულებათა მიკრობები გაჩნდნენ, ცხადია, ადამიანის შემდეგ. თუ ბუნებამ შეცდომით შექმნა ადამიანის გაჩენამდე მორიელი, რწყილები და სხვა გვარი მავნე ცხოველები, შეიძლება ეს საჭირო იყო ორგანული ევოლუციისათვის, მაგრამ სრულებით ვაუგებარია ადამიანის გაჩენის შემდეგ პარაზიტე-

ბის გაჩენა: ეს იმას ნიშნავს, რომ ნაპოლეონისა და ლუესის მიკრობებს ბუნება ერთნაირად უყურებს და მათ შორის განსხვავებას ვერ ხედავს. ნუთუ ნაპოლეონი უფრო კეთილშობილი სახე არ არის შემოქმედებითი ევოლუციის, ვიდრე ლუესის მიკრობი? პარიზში ცხოვრობენ ბერგსონებიც და სუსუნატის ჰონოკოკებიც. რად ესაჭიროებოდა შემოქმედებით ევოლუციას? რა საჭიროა M-me სევინიეს სხეულთანოთახში ბინადრობდეს საზიზღარი მორიელი? მაგრამ, კიდევ უფრო უაზრობა არაა განა სასქესო ორგანოს არსებობა იმ ალაგას, სადაც იგი არსებობს? განა ღვთიური ცახცახი, რომელსაც ჩვენ განვიცდით სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების დროს, უფრო ლამაზი და ესთეტიკურად მისაღები ადგილით არ უნდა იყოს გაღიზიანებული? ეტყობა ჩვენი ესთეტიკა, ჩვენი მორალი, ჩვენი კატეგორიები ბუნებისათვის უცნობია და თქმულება პროგრესისა და საერთო ცხოვრების მიზანშეწონილობის შესახებ ერთგვარი ზღაპარია, შექმნილი იმ დროს, როდესაც ადამიანს ენატრებოდა მყუდრო, მეშჩანურად აწყობილი, ტკბილი ცხოვრება, ცხოვრება სავსე იდილიებით. ფილოსოფია, მისი მოვალეობის იდეა, მისი კატეგორიები ერთგვარი გამომხატველია კაცობრიობის მეშჩანური სულიერი განწყობილებისა. პროგრესისა და მიზანშეწონილობის იდეა მხოლოდ ისტორიული ზღაპარია.

ისტორია არის შემთხვევათა გაქანების პროცესი, შემთხვევების კოლოსალური რყევა; ამ დაუსრულებელ რყევასა და გაქანებაში არ არის შესვენება, არის ქარიშხალი, ხეტიალი, გარდაქმნა, სახეცვლილება; ადამიანები, მათი კულტურა, ცივილიზაციური ღირებულებანი, საუკუნეები, აკადემიები, დიდი ქალაქები დროული, შემთხვევითი ფორმებია ყოვლობის მარადიული ხეტიალისა. სხვადასხვა დრო, დაწესებულებანი, ღირებულებანი, კულტურული ტიპები, მართალია, დაშლილ ელემენტებად შედიან ახალ მიმართულებებში, როგორც ბაბილონელების ასტრონომიული ცნებანი, როგორც ელინების მსოფლმხედველობა ევროპის კულტურაში, მაგრამ მთლიანობა, ინდივიდუალობა, სახეობა კულტურულ-ცივილიზაციური იკარგება ყოფის დაუსრულებლობაში და ისტორიული ეპოქა, მისი სული და იდეა წარმოადგენს სამყაროში ტრაგედიულ ეფემერობას, რომლის ნაწილები მარადიულ ხეტიალში ერთმანეთს ვერ ცნობენ და რომელსაც ეკარგება წუთისოფლური ინდივიდუალური მოფარგლულობა.

ჩვენ ვიცით ცივილიზაციური სტრუქტურა. ეკონომიკური ტიპები, სასელმწიფოებრივი ფორმები შველი ქვეყნების, მაგრამ, ჩვენ ვიცით

მხოლოდ შემთხვევით დარჩენილი მასალებით; მეფეები და დიდი მოღვაწენი, წინასწარმეტყველები და მოგვები, მეცნიერები და ფილოსოფოსები აკეთებდნენ თავიანთ დიდსა და საკაცობრიო საქმეებს შემთხვევით: ნიუტონს რომ მაგარი სურდა დამართოდა იმ დღეს, რა დღესაც მას თავში მოუვიდა იდეა მიზიდულობის კანონისა, შეიძლება შემდეგ სრულებით არ დაფიქრებულიყო ამ კანონზე. და კაცობრიობას შეიძლება დღესაც არ ჰქონოდა გარკვეული წარმოდგენა სამყაროს მოძრაობის შესახებ.

ნაპოლეონის მამა რომ დამთვრალიყო იმ დროისათვის, როდესაც ნაპოლეონი ჩაისახა დედის მუცელში. შეიძლება თვით ნაპოლეონი რაქიტიანი და რეგვენი ყოფილიყო, როგორც ჩვეულებრივად ხდება ალკოჰოლიკების ოჯახში.

შემთხვევითია ყოველი წარმოსახვა, შემთხვევითია ყოველი მოქმედება, მოძრაობა და ფორმა: გარკვეული, განსაზღვრული, სწორი ლოგიკური და მიზანშეწონილი პლანეტარულ ყოფაში არარა არის; კულტურულ-ცივილიზაციური აფიქრიალება და ნერვული ლაყლაყი შემთხვევათა დემონური თამაშია და რაც არის ისტორიაში, არის მხოლოდ იმიტომ, რომ შემთხვევათა დენამ წარმოშვა.

არც თეოლოგიური, არც იმანენტურ-ტელეოლოგიური აზრი და მიზანი ჩვენს ყოფასა და კულტურას არა აქვს წუთისოფლად.

იყო დრო პრეისტორიული: ადამიანი ცხოვრობდა გამოქვაბულებში, დადიოდა შიშველი; მხეცის ტყავის გაძრობა მისი იდეალი იყო: მას ჰქონდა ერთადერთი იარაღი — ქვის ნაჯახი; ადამიანი არ იცნობდა დედამიწის სიმდიდრეს, ნივთების თვისებებს; ჰაერეთის მოკლენები მასში იწვევდა გაკვირვებას; მიწის დამუშავება არ შეეძლო, მრეწველი ვერ გახდებოდა; შიშველი, ღარიბი, ალქატი, მშიერი ადამიანი დადიოდა ტყეში, ისვენებდა წყლის პირად.

გრძელი რიგი პრეისტორიულ მოდგმათა გაჰყვა ჟამთა დენას; შეუცნობელი, გაურკვეველი ბურუსი ფარავს შორეული წარსულის კულტურას, წინაისტორიულ ეონებს.

ცივილიზაცია ეგვიპტური, ქალდეური, სპარსული, ელინური და რომაული რიგ-რიგად გადიან ისტორიიდან. მსოფლიო კულტურის დიდი ქალაქები: თებესი, სპარტა, კართაგენი, ათინა, რომი ტოვებენ ნანგრევებს: კაცობრიობა მაინც ჯიუტად იბრძვის; მეცნიერები არკვევენ მატერიის თვისებებს, კოსმოსურ სფეროებს, ერები აშენებენ ქალაქებსა და სახელმწიფოებს, ქალაქთა შორის გაჰყავთ გზები, გვირაბები, მავ-

თულები; აშრობენ ჭაობებს და ჭანჭრობებს; ქალაქებში აკეთებენ სახლებს, სასასლეებს, მუზეუმებს, პანსიონებს. ქარხნებში ამზადებენ საჭირო ნივთებს და საგნებს: ფერმებში საქონლებს და ფრინველებს ამრავლებენ; ადნობენ მადნებს, წურავენ სურნელოვან მცენარეებს; კოსმეტიკურ სითხეებს კონსერვებად აწყობენ; სამკურნალო მარილებს წმენდენ ქიმიურ ლაბორატორიებში.

ხომალდები აერთებენ კონტინენტებს და ოკეანეებზე ლაღად დასეირნობენ; რადიო მიარხევს ჰაერეთის ტალღებს და კუნძულები ერთმანეთს დაშორებულნი, გარკვეეით ლაპარაკობენ ერთმანეთის გასაგონად.

ბაღები, ბოსტნები, ამწვანებული მინდორ-ველები, ხეხილი; რკინგზებით დასერილი და ელექტრონით განათებული აგარაკები; დიდ ქალაქები თეატრებით, ვიტრინებით და ქვაფენილებით, მეცნიერებით, პოეზიით და ფილოსოფიით — აი დღევანდელი სახე მსოფლიო კულტურის.

მაგრამ, უკუღმართ წუთისოფელში ადამიანი დღესაც ისე უბედური და საცოდავია, როგორც პრეისტორიულ ეპოქებში: შიში და აგონია დღესაც წვავს ადამიანის ნერვებს; უსამართლობა და წინააღმდეგობა დღესაც კლავს ადამიანის ნებისყოფას. თუ ტროგლოდიტს ეშინოდა მხეცებისა და გველების, დღევანდელ ადამიანს მიკრობებისა და ტილების ეშინია.

ნიუტონებს და პასკალებს ბუნება ისე ხოცავს და ამრავლებს როგორც მორიელებსა და ჰონოკოკებს.

ჯიშებისა და გვარების ევოლუცია სიკეთესა და ბოროტებას ისე ითმენს, როგორც ჩვენ ვითმენთ სიცივისა და სითბოს ცვალებადობას. სამყაროს აზღვავებულ ძალთა გაქანებაში ადამიანი თავისი ფორმულებით და ქიმერული წრეწირებით საცოდავია, საზიზღარი რომ არ იყოს თავის ფლიდობით, ცუღლუტობით, პრანჭიაობით და ფიზიოლოგიური მოყეანილობით.

არასოდეს კაცობრიობის წარსულში გულშემატკივრობას და თანაგრძნობას არ ჰქონია ადგილი, და სწორედ ამაშია ცხოვრების საშინელება — ადამიანის მორალისა და სინამდვილის — უთანხმოება: ერთი რომ საფლავში მიდის და ფერფლად იქცევა, მეორე ეროსის ცეცხლში იძირება, პირველყოფილ ძალთა სიგიჟისა და ნეტარების მორევში ბანაობს; ერთს რომ სიყვარულის და ბედნიერების ბულბული უმღერის, მეორეს მაშინ ცხოვრების თავშეუკავებელი და უზნეო დემონი ჯოჯო-

ხეთისაკენ მიაქანებს; ერთი რომ სივრცეში მიმოფანტულ მნათობთა ეუნდების ჭვრეტით ტკბება და უთვალავ ყვავილთა სუნთქვით ძღება, მეორეს მაშინ პირი ევსება ჭაობითა და ბუზებით.

ადამიანი — პოეზიისა და ფილოსოფიის საუნჯე, ჭეშმარიტებათა ზვიადი მეტყველი, კულტურისა და ცივილიზაციის მესაჭე, ჭუჭყიანი, სუნიანი და მყრალია, როგორც ტაბასტიანი დედაკაცი.

ოჯახი, ცოლი, შვილი, ნათესაობა, სახლი, სამზარეულო, კულტურა ჩვეულებებით გატკბილებული სახელებია. წუთისოფლური ჭუჭყი და სუნი უნდა გეზიზღებოდეს, თუ ხარ კეთილშობილი...

მარადობაში ჩვენი ოჯახი და სიყვარული, ნათესაობა და მეგობრები ისე გაიფანტება, როგორც ცეილონის კუნძულზე ქარიშხალის დროს ტყეში დამხრჩვალი ბეღურის ფრთები...

ჩვენი სული და გონება სოფიზმებითაა დაბლანდული, კაცობრიობას არა აქვს შინაგანი შედეგება, ერთეული სული; არსებობენ ეპოქები, არ არსებობს ისტორია: თითქოს როგორც გრანდიოზული მძიმე არტილერია, სავსე ცეცხლით და ენერგიით, ღელავს და ორთქლდება სამყარო: ჭლექის მიკრობები და სოკრატეები, რღვევის დემონები და კეთილშობილი სულები ერთნაირად დაძრწიან, შემთხვევებს ერთნაირად ემორჩილებიან.

გაივლიან რა ჩქარსა და უაზრო ცვლილებებს, დაღლილი, დათენთილი ერები შეუცნობელი უფსკრულისაკენ მიექანებიან — როგორც აცეცხლებული ლეგენდარული არმია მაძიებელი სულებისა, (ჩვენ გამოვდიეართ არარაობიდან და შემოვირბენთ რა ქარიშხლიანი გაქანებით ჩვენს ყოფას, ჩმახსა და უთავბოლოს, ისევ არარაობაში ვიკარგებით.)

მარადისობის იდეა

საღამო ჟამს, როდესაც დიდი ქალაქის ქუჩებში ჩოჩქოლი დაწყნარდება და სივრცეში შორიდან აიშლება ძაღლების სევდიანი ყეფა, სული ჩვენი ატორტმანდება და გული ნერვიულად შეიკუმშება; საუკუნეთა კარები ლანდურ ჩვენებაში გაიღება: ერებსა და სახელმწიფოებს, სხვადასხვა დროის ღმერთებსა და ლეგენდებს, მეტყველების სისტემებსა და ჰიპოთეზებს რაღაც მწუხრული ზეწარი გადაეფარება. ატირდებიან ხეები, ფოთლებში აშრიალდება ენტელექიის რიტმი და მდინარეები

ნელად აორთქლდებიან, თითქოს ნერვები ყოვლობის გრანდიოზული სხეულის. რომელიც დაუსრულებლად იწვის და ღელავს, განიცდის და კვამლდება. დიდი ქალაქის ნოტიო დინჯად აიღრუბლება და ყოფა ადამიანისა ამ ბურუსით გარშემორტყმული, თითქოს იძირება გაურკვეველსა და უთავბოლო ნირვანაში.

სამყარო იწყებს ლოცვას: მინერალების ბუყბუყი, მცენარეების ზმორება, პირუტყვების ღელვა, ადამიანების განცდა ღვთიური რყევაა უნივერსალური სულიერობის, ყოვლობის ენტელექიის. ჩვენს ნერვულ სისტემაშიც იღვიძებს სურვილი განყოვლადების, სურვილი სავსე სინაზით, სავსე ალერსით და წყურვილით.

არც ერთი ბოროტი აზრი, არც ერთი ცუდი ფიქრი ჩვენში აღარ არის... სივრცე, კაცობრიობა, ქალაქი, სახურავები სახლებისა და ქუჩების აგუგუნებული ტროტუარები მარადობის იდეით ივსება: თითქოს უხილავი ატომები ჩვენი განცდისა და სულის მღელვარებისა ეფინებიან წუთისოფელს, საგნებსა და მოვლენებს; თითქოს ჩვენში ალაპარაკდნენ ჩვენი წინაპრების დაუკმაყოფილებელი სურვილები, თითქოს ჩვენში ამღერდნენ დაღუპული სახელმწიფოები, ერები და ბიოლოგიური ტიპები.

ადამიანთა შორის მტრობა და ლალვა, წუთისოფლის ჭორები და ინტრიგები სასაცილო და საზიზღარია ამ წუთს დაუსრულებლობის წინაშე:

გაუგებარია, რატომ ადამიანი ადამიანს ახრჩობს; რა საჭიროა ქვეყნად ამდენი ცრემლი, ამდენი წვალება და ერთმანეთის დევნა: ქვეყანა დიდია, არსებობს მარადიული, მოძრაობა დაუსრულებელი, პლანეტარული სახეცვლილება უსაზღვრო, ჩვენი ინდივიდუალური ყოფა კი წარმავალი, ხრწნადი და უსუსური...

მზემ სირცხვილი არ იცის — რამდენი საუკუნეა დაჰყურებს გულგრილად დედამიწასა და მის ცოდვებს.

პირველყოფილი ქაოსიდან ადამიანის კულტურამდე დიდი და გრძელი გზაა გასული, გზა ოღროჩოღრო.

არსები და მოვლენები ყოველ წუთს იღუპებოდნენ და დღესაც იღუპებიან ამ გზაზე.

ლეპიდონდრონებისა და იქთიოზავრების ეპოქა, გეოლოგიურ-ვულკანური ღელვანი, ტრიოგლოდიტების ხეტიალი და შიში, სახელმწიფოების დაღუპული იმედები, ოლიმპოს ასხივოსნება, ღმერთების, გმირე-

ბის და იმპერატორების ტრაბახი, მეცნიერება, სოფიზმები—ყველაფერი ლეგენდაა, ტანჯული სულის ლეგენდა.

ჩვენი ქიმიის და ფიზიკის კანონები, მათემატიკის ფორმულები და ლიმიტები მოხერხებული თქმაა კოსმოსური ლეგენდისა, მხოლოდ თქმა, ზღაპარი... თავის ქალა, რომელშიც დღეს მოთავსებულია დიადი აზრები და იდეალები, რომლებიც დღეს ერთგვარი საყდარია ბუნების მოვლენებისა, ხვალ მტვრად იქცევა და ჭია-ღუებით ივსება.

ჩვენი ზვიადი და გაპრანჭული ყოფიდან რჩება მხოლოდ ერთი მუჭაღა მტვერი და ვინ იცის, სამყაროის დაუსრულებლობაში ვინ უფრო მაღლა დგას: ნაპოლეონი თუ ტასმანიის ბეღურა, კანტი თუ ცეილონის კენგურუ?

სევდავ მარადისობისა, დაუსრულებლობის იდეავ, რა პატარაა თქვენ წინაშე წუთისოფელი? რა სასაცილოა ჩვენი ყოფა, რა უმიზნოა ჩვენი ღელვანი? რა სულმოკლეობაა ჩვენი წუხილი?

ოჯახი, ცოლი, შვილი, დედა, ნათესაობა, ერთმანეთის პატივისცემა და ფარისევლობა, მეგობრობა, ზვიადი პათოსი და უზრუნველყოფილი მთქნარება, ჩვენი კუთხური ჩვეულებები, მორალი, აზრები — ყველაფერი დროულია. ღირებულება მარადიული არაფერს არა აქვს, ყველაფერი შემთხვევითია: შემთხვევით ვიბადებით, შემთხვევით წავალთ წუთისოფლიდან და უდიდესი ყოფა, უმშვენიერესი სახე დავიწყებას მიეცემა...

ჩემ გვერდით აგერ სძინავს ჩემს პატარა ქალიშვილს, ღიმილი პატარა ტუჩებს ნელა არხევს: ეტყობა, ძილში ჩაჰყოლია ტკბილი ფიქრები და უმანკო სული ოცნებას განაგრძობს; არსებობის ტკივილები მას ამჟამად არ აწუხებს; სული მისი დარდსა და ეჭვებს არ იცნობს.

მაგრამ, ვინ იცის, რომელი შემთხვევა, სად რას იზამს: ვინ იცის, რომელი სენის საზიზღარი მიკრობი სად, როდის შეიპარება მის მშვენიერ ტანში? ვინ იცის, რა ტანჯვა მოელის? რამდენი ცრემლი დასჭირდება? ვინ იცის, რა პირობებში დავშორდებით წუთისოფლად ჩვენ ერთმანეთს? შემდეგ ხომ ჩვენ ერთმანეთს ვერასოდეს ვერ შევხვდებით: დაუსრულებლობის დენაში შეიძლება ჩვენი სხეულების უჯრედები ერთმანეთს შეხვდნენ სადმე, რომელიმე ხეობაში, ან მთის მწვერვალზე, ან ოკეანის უფსკრულში, ან გარყვნილი ქალაქის რომელიმე მტვრიან შესახვევში, მაგრამ ერთმანეთს ისინი ვეღარ იცნობენ, ისე დაშორდებიან ერთმანეთს და გაგრძელდება სამყაროში მათი უნუგეშო ხეტიალი.

სიყვარული, იმედები, ალერსის ტკბილი გრძნობანი, ჩვენი ყოველდღიური ჩვეულებები, ერთმანეთის ცქერა, თამაში, სიხარული. — ყველაფერი გაქრება, გაქრება ისე, როგორც სიზმარი, როგორც ლეპიდონდროსები და ბრონტოზავრები, ქალიკარნასელი მეოცნებენი და სევდიანი რომანტიკოსები.

რაღაა ჩვენი ყოფა, წუთისოფელი? რა საჭიროა ეს ცრემლები, სევდა, წუხილი, კომერციული განგაში და მანქანების თქრიალი? რა გვაჩქარებს, რას დავეძებთ?...

ერები, სახელმწიფოები რისთვის ღელავენ? ყველაფერი ტერიტორიულ-ფიზიოლოგიური ეგოიზმია და ყოველგვარი რომანტიკა ორგანული სისავსის ვნებიანი აორთქლებაა: ეგვიპტე, ასურეთი, ათინა, რომი, კართაგენი ღელავდნენ, ტერიტორიულ-ფიზიოლოგიურად იწვოდნენ, ეძებდნენ, იმედებში იყვნენ... სადღა არიან კეთილშობილი, მაძიებელი სულები?

აღელდნენ, ასხივოსდნენ, გაქრნენ...

— დარჩა მხოლოდ ლეგენდა, თქმულება, დარჩა მხოლოდ მოგონება ცარიელი, სევდიანი. — დავიწყება მარადიული, არარაობა მტვრიანი, ამაოება ჩუმი.

სამყაროში დაძრწიან წარსულის უჯრედები და სულები: პირუტყვების ღმუილში, მცენარეების შრიალში, მინერალების აქაფებაში, ჩვენი საფეთქლის რიტმულ რხევაში წარსული მღერის, მუსიკას უკრავს...

ყოველ წუთს ჩვენ ვიშლებით, წარსულში ვიძირებით, ვიკარგებით: ირღვევა ჩვენი ყოფა, იცრიცება ჩვენი სახე და უჯრედები ჩვენი ორგანული ერთეულისა თანდათანობით შორდებიან ერთმანეთს და თითოეულ მათგანს მიაქვს ჩვენი სულის ნაწილი, მიაქვს ჩვენი ტკბილი ჩვეულებები და იმედები.

ყოვლობის არითმია არ გაიმეორებს არასოდეს სურვილებსა და ტკბილ ჩვეულებებს ჩვენი მეობით: ძარადობის თქრიალში განმეორდება ყველაფერი, ჩვენი სხეულის ნაწილებიც განმეორდებიან, მაგრამ ჩვენი მე — მთლიანი, ერთეული, ვნებიანი, შემოქმედი, ცეცხლოვანი, ჩვენი მე — თესლით, სისხლით, სიყვარულით, იმედებით ვერასოდეს ვეღარ განმეორდება. რატომ დილიდან საღამომდე ერთმანეთს არ ვკოცნით? რატომ ერთმანეთის ალერსში არ ვატარებთ დროს? რატომ ადამიანებს ერთმანეთი სძულთ, ეზიზღებათ?

არსებობის ქარი მიქრის და მიეჩქარება; ადამიანს, მცენარეს, პირუტყვს — ყველაფერს შემთხვევა ათამაშებს: რაც იყო, აღარ არის,

რაც არის, აღარ იქნება. ლეგენდები და თქმულებები დარჩება; ბოლოს ლეგენდებსაც დაივიწყებენ, ხსენებაც არ იქნება.

სივრცეს, პლანეტებს, ხესკნელს, გარესკნელს ჩვენი წყალობა, უმიზნო ვანგაში და ტკივილები არ აწუხებთ: ჩვენ სადღაც უპატრონოდ ვართ დაკარგული და არავის ვეცოდებით.

შემთხვევა გვათამაშებს ყოველ წუთს: შემთხვევა ქუჩაში, შემთხვევა რკინიგზაზე, შემთხვევა ზღვაში, შემთხვევა ჭამის დროს, შემთხვევა წყლის დალევაზე. შემთხვევა დღით, შემთხვევა ღამით — წუთისოფელი შემთხვევათა შეუწყვეტელი დენაა; დიდ ქალაქებში მეცნიერები და ლუესის მიკრობები ერთნაირად ემორჩილებიან შემთხვევებს...

ადამიანები მაინც ტრაბახობენ, მაინც იპრანჭებიან; მეცნიერები და ქალები მიზნებს ისახავენ და იმედებით ბერდებიან;

ქვეყანა სავსეა ცრუ ჰიპოთეზებით და ყალბი პათოსით. ქალები კოცნას ერიდებიან და ინახავენ ლამაზ ტუჩებს ჭიებისათვის; განკერძოებულია მშვენიერება, თითქოს მდინარეში წყლის დალევა არ შეეძლოს რამდენიმე პირუტყვს ერთად.

ავადმყოფისთვის ექიმი მოგვყავს და ვარჩენთ იმიტომ, რომ ხელმეორედ გახდეს ავად, თითქოს ერთხელ ტანჯვა საკმარისი არ იყოს...

სოფიზმებით და მეშჩანობით შეკრულია წუთისოფელი: ნებისყოფა რომ ერთ ნაბიჯს წინ გადაადგმევინებს ადამიანს, ტრადიციული სოფიზმები მეორე ნაბიჯით უკან წევენ მას...

უდიდესი მტერი ადამიანის მისივე სოფიზმებია; უდიდესი დეფექტი კულტურის ლოგიკაა — ჩვენი, ტრადიციული, ისტორიული ლოგიკა, ლოგიკა, რომელიც ჩამოკიდებია ჩვენს სულს, როგორც ძველი ტანისამოსის სასირცხვო ნაგლეჯები...

დააკვირდით სივრცის სიღრმეს: აქ არც ზომა და არც საზღვარია; ჩვენ რაღაც მოვჭორეთ წუთისოფლად, გამოვიგონეთ კატეგორიები, მორალი, მოვალეობა და ვიხრჩობით ჩვენს ჭორებში.

საწყალი ადამიანი ცრუობს თავისთვის, სივრცე ლურჯი, თვალმიუწვდომელი იცინის...

იყვნენ საუკუნეები და ხალხნი; მზე ამოდიოდა და ჩადიოდა როგორც ყოველთვის; მოდგმები არევდარევით იცვლებოდნენ; ოჯახური და სოციალური ღირებულებანი იქმნებოდა: ქალები ქსოვდნენ, კაცები ნადირობდნენ, ვაჭრობდნენ, ოცნებობდნენ, მუშაობდნენ — აშენებდნენ სახლებს, თხრიდნენ არხებს, იყო სიყვარული და ალერსი, იყო სევდა და წუხილი.

უთვალავი კეთილშობილი ზრახვანი, დიადი განცდანი და ფიქრები, იდეალები და მოქმედებანი იყო — ფაუსტებისა და ჰამლეტების ეპოქა — ჩვენი ცივილიზაციის ტრაგედია — ყალბი მორალის ლამაზი პათოსი იყო და სსენება დარჩა ბლექითა და ლუესით დაავადებულ კაცობრიობაში.

მოდგმა მოდგმას მისდევს აჩქარებით; სხეულებრივი ფორმები არსებობისა მარადიული წყვდიადიდან გამოდიან: ტრიალებენ, ირყევიან, ქანაობენ, ეძებენ და ტირილით ისევ წყვდიადში იკარგებიან. ლანდები მოძრაობენ პლანეტარულ გარსში გახვეულნი: როგორც გრანდიოზული, მძიმე არტილერია, ღელავს და ორთქლდება კაცობრიობა; გაიელის რა ჩქარსა და უაზრო ცვლილებებს, შეუცნობელი უფსკრულისაკენ მიექახება.

როგორც ლეგენდარული არმია მაძიებელი სულებისა, ჩვენ გამოვდივართ არარაობიდან და შემოვირბენთ რა ქარიშხლიანი გაქანებით ჩვენს ყოფას ჩმახსა და უთავბოლოს, ისევ არარაობაში ვიკარგებით.

მართალია, ჩვენი განცდა და სულისკვეთება მომავალში შევა, უჯრედები ჩვენი ტანისა იქნება დაუსრულებელ ხეტიალში; ჩვენი სხეული ქიმიურად სახეცვლილი, ნაწილებად შევა სხვა სხეულებში, მაგრამ ჩვენი მე, ჩვენი სახე არასოდეს აღარ იქნება, წავა და ვეღარ წამოვა კვლავ წუთისოფლად; ბუნების ცვლილება სპობს ინდივიდუალობის სისალეს; ინდივიდუუმი მყიფე ელემენტია ბიოლოგიური სახეცვლილებისა და ნივთიერებათა მიმოქცევადობა შლის სახეს, ტიპს: რკინა ჟანგად იქცევა, სპილენძი ხენჯად, ადამიანი მტვრად.

მარადობა ათრევს და ალაღობებს ელემენტებს, სახეს კი ხრწნის...

წარმავლობის სევდა

So ist das Leben.
ნიცშე

დაუსრულებელი ფერადობა, ლაბორატორიებისა და ინსტიტუტების გაშენება, დიდ ქალაქებში უაზრო ჩოჩქოლი, მოუსვენარი მღელვარება, პროფესორებისა და დოცენტების ტრაბახი, ტყუილი, სიცრუე. მოწამლული ჰაერით სუნთქვა, ბლექი, ვენერიული სნეულებანი, შანტაჟი, კომერციული აფერები, ჯიიძვერა და უსინდისო პირთა ინტრიგე-

ბი, დილეტანტების და უზნეო ქალების შეღებილი ლოყები, მშრომელია ოფლი, მოტყუებულთა ცრემლები, მეოცნებეთა შიმშილი და სიღატაკე — აი ცივილიზაცია, აი ის, რასაც ჩვენ ვეძახით კულტურას, განათლებას, წინსვლას...

მაგრამ ყველაფერი ეს იყო ძველად:

რომი, ბაბილონი, კართაგენი, ათინა იცნობდნენ კულტურას, — სული დალიეს ამ „ბედნიერებაში".

ჩვენს დიდ ქალაქებსაც ძველი ცივილიზაციის ცენტრების ბედი მოელის:

მიიხრწნება ორგანულად და ამოშრება წუთისოფლად პრობლემებისა და რეაქტივების, ინტრიგებისა და შანტაჟების მყრალი ჭაობი; ბოლო მოეღება ალქიმიკოსთა ფუსფუსს და მორწმუნეთა იდეალი კოშმარით დამთავრდება: ველად გაჭრილ პირუტყვთა ბღავილი და შუაღამის სიჩუმეში ძაღლის სევდიანი ყეფა სიმფონიურად დაასრულებენ არსებობის ზღაპარს.

რაც არის, აღარ იქნება...

საუკუნე საუკუნეს მისდევს და აჩქარებით ერთმანეთს ფარავს, ვით დაუსრულებელი ჯაჭვის მარჯვლები; საზღვარი არა აქვს სამყაროს, საზღვარი არა აქვს არც სივრცეს:

რაც უფრო შორს იხედება საწყალი ადამიანის გონება, მით უფრო დიდია ეს ქვეყანა და პატარაა ადამიანი — ადამიანი, ოცნებებისა და ცრემლების აღუვსებელი ჭურჭელი.

პლანეტები და ვარსკვლავები სივრცის სიღრმეში მიმოფანტულან, ოკეანეები და მათი კუნძულები გადაშლილან დედამიწის გარშემო; დედამიწაზე მინერალების, მცენარეებისა და ცხოველთა გრძნეული სუნთქვა ისმის — უსწორმასწორო, ხალვათი.

საუკუნეთა დასაწყისში აცეცხლებული კოსმოსური ნისლოვანები სივრცეში დახეტიალობდნენ; ერთი მათგანი შეიქმნა—ჩვენი მზე თავის გარშემო მოსრიალე პლანეტებით, რომელნიც უთვალავ წელთა განმავლობაში მოსწყდნენ შუაგულს, სივრცეში თანდათანობით გაცივდნენ; გაცივებულსა და ჭუჭყიან ფენებზე მინერალური ელემენტების უსწორმასწორო გადაჯგუფებასა და აბუყბუყებაში მცენარეები და ცხოველები გაჩნდნენ, მათ შორის წარმოიშვა ადამიანი — მოხერხებული, ფლიდი, ცუღლუტი, მანკიერი და ეშმაკი.

წუთისოფელი ძალდატანებაა: ჭიანჭველა მიეჩქარება მწერის დასაჭერად, მონადირე ტყეში ათვალიერებს თავის მსხვერპლს, მეთევზე

გულის ფანცქალით ელის ანკესზე თევზის მოხვედრას: მეომარი მტერს ემუქრება და შურით ივსება, თითქოს ვერ ეტევა ამქვეყნად, თითქოს მას არ ყოფნის მზე და ჰაერი.

ქარი ქრის, წყალი მიდის, ბრუნავს უაზროდ წუთისოფელი:

ეგრე იყო, ეგრე იქნება, მაგრამ რაც იყო, აღარ არის: რაც არის, აღარ განმეორდება.

გრძნობ თუ არა, ადამიანო, სევდას მარტოობისა და წარმავლობისას?

გრძნობ თუ არა, როგორ იკარგება შენი სახეობა დაუსრულებელ ძალთა და სახეთა მიმდინარეობაში?

— თუ გრძნობ, რადა ხარ ეგრე შურიანი და ბოროტი? შეიყვარე და შეიგრძენი არსი ყოველი:

შეუერთე სული შენი სიცოცხლის მოძრაობას, სუნთქვას ბალახებისას და მდინარეების აორთქლებას: ხომ ხედავ, რა უცბად ქრება ყველაფერი?

მხოლოდ მეხსიერება, მწვავე მეხსიერება რჩება, რომელიც არ აძლევს მოსვენებას ჩვენს სულს, სხეულს და ნერვებს. მართლაც, რა არის სიამოვნება, რომელიც ჩვენ ბედნიერებას გვპირდება?

ან რა არის ტანჯვა, რომელიც ჩვენ ეგრე გვაშინებს?

მხოლოდ ჩვენი ჩვეულება, ჩვეულების სიტკბოება და მისი უარყოფა.

რა უაზროა ადამიანის ცხოვრება?

* * *

ჩვენ არ ვიყავით წუთისოფლად, ვართ და აღარ ვიქნებით: მარადობა წარსულში, ესე იგი ბნელი და თვალგადაუწვდენელი უფსკრული; მარადობა მომავალში, ესე იგი, ისევ ბნელი და თვალგადაუწვდენელი უფსკრული.

შუაში რაღაც მოჩვენება, პატარა, სუსტი, წარმავალი მოჩვენება, რომელიც სადღაც მიეჩქარება, რაღაცას ეძებს და თან ამ ძიებასთან ერთად ქრება და იკარგება: სივრცე ლურჯი, თვალმიუწვდომელი ფანჯრებიდან შორს ტურფად იშლება.

— ეგრე იყო, ეგრე იქნება. რად არის წარმავალი ადამიანის ცხოვრება?

* * *

ან რა აშინებს ადამიანს და რატომ არის იგი ასე სულმოკლე? სულიერი არ არის განა:

— სამი დღე გაგრძელდება ჩვენი სიცოცხლე თუ სამი საუკუნე? ყველაფერი ამაოება და უაზრო მოქანცულობაა, მოქანცულობა დაუსრულებელი. ხრწნა და დაიწყება წუთისოფლად ყველაფრის ბედია.

ქრება სიყმაწვილე, თითების მწველი სურვილები ნელდებიან; კეთილშობილი ზრახვანი გულისა და სულის აღარ განმეორდებიან და მოგონებანი იმისა, რაც იყო, დიდხანს ჩვენთან აღარ დარჩებიან.

ქარი დაბერავს და სახე გამოიცვლება; ვნებათა ღელვაში დაქანცულ გულს დასვენება მოენატრება, მთელი ცხოვრება თითქოს დაცინვით შეგხედავს; და ის, რაც შენ წუთისოფლად გინახავს, სიკეთე იყო თუ ბოროტება, ტანჯვა იყო თუ სიამოვნება, ზღაპრად დარჩება; სინანულის გრძნობა გულზე ჩამოგეკიდება, როგორც მძიმე ქვა. ცრემლებით წარსულს ვერ დააბრუნებ და დაუკმაყოფილებელ სურვილთა შურისძიება დაგახრჩობს, როგორც შეუბრალებელი მევალე. ყოფა შენი მერყეევია, ისე როგორც ყველაფერი წუთისოფლად:

ცხოვრებაში, როგორც სიცრუეთა და მოტყუებათა ჯურღმულში, ყოველ წუთს უნდა ელოდე უსამართლობას და განსაცდელს. სიცრუე ყველაფერში და ყოველგან სიცრუე;

არ არსებობს წუთისოფლად არც ერთი ღირებულება: მეგობრობა, ნათესაობა, საზოგადოება, სიყვარული, თანაგრძნობა — ყველაფერი მოტყუებაა; არ არის ქვეყნად ისეთი ადგილი, სადაც წმინდასა და კეთილშობილ სულს შეეძლოს დასვენება სიყვარულისა და მიმზიდველობის მახლობლად — ადამიანი მარტოა: მას გარშემოერტყმის პლანეტარული სივრცე, კულტურული ფარისევლობა და უმწეობა. ცხოვრების სისავსე, სიხარულის გრძნობა, წარმართული ვნებათა ღელვა, ცახცახი სიყვარულისა და ნდომა მშვენიერებისა მხოლოდ ორგანული ბუყბუყის აორთქლებაა.

* * *

წუთისოფელი ირაციონალური, უთავბოლო და უზნეო მიმდინარეობაა: უძლურია ადამიანის გონება და ყალბია ყველა პრინციპი არსებობისა. სოკრატე ბრძენმა თურმე საწამლავი ღალია და ცხიდან

გაქცევაზე უარი თქვა — რატომ? ქრისტე ჯვარზე აცვეს: ვიღაცის სურვილი იყო ეს, მაგრამ რისთვის? — ჯორდანო ბრუნო ცეცხლში დაწვეს, — რა მიზნით?

განა ამით რაიმე შეიცვალა დაუსრულებლობაში? სივრცე ცოვაღ გაშლილია და ფარავს ჩვენს პლანეტას ამაყად. ყველაფერს აქვს თავისი ადგილი ცხოვრებაში: ფორმათა და სახეთა სხვადასხვაობა, ცვალებადობა მდგომარეობათა და მიმდინარეობათა... — ყველაფერს აქვს თავისი საფუძველი და ყველა მართალია თავისთვის: არსად არაფერი არ არის განსაზღვრული და გარკვეული, არსად არაფერი არ არის გონივრული, ღვთაებრივი და ზედროული; რაღაც ადამიანებს არ უნდათ თავისუფლება გულისა და სულის: მათ ეზიზღებათ ხალვათობა და გაშლილობა შემოქმედებითი ნებისყოფისა. ადამიანები თანდათანობით იგონებენ სხვადასხვა ზღაპრებს და თავს ინუგეშებენ...

დაუსრულებლად ირყევიან და, ვით სიზიფე, მუდამ იწყებენ...

სად არის აზრი? ვის სულშია თავმოყრილი მიზეზები და პრინციპები ღვთაებრიობისა? ვინ იტყვის ჭეშმარიტებას ყოვლობაში განზოგადებულს?

* * *

ძლევა და ტანჯვა, მოქანცულობა და ტკივილები, შემთხვევათა კოშმარი და დემონური ხარხარი წინააღმდეგობათა ახრჩობს ჩვენს სულს და ებრძვის ჩვენს ნებისყოფას.

ცხოვრება ჯოჯოხეთური მანქანაა მარადობის ფრთებით უფსკრულისაკენ რომ მიექანება: ამ ფრთების გაშლისა და შეკვეცის დროს ეშმაკი და ანგელოზი კოცნიან ერთმანეთს.

სიყვარული და სიკვდილი ორმაგობაა მარადიული.

* * *

სუნთქვა სიყვარულისა უფრო ძლიერია, ვიდრე სიკვდილის სუნთქვა: სტიქია სიყვარულისა უსაზღვროა, ვით ოკეანე, ვით მარადობა; სტიქია სიკვდილისა ერთდროულია, ვით ლანდი, ეით ფიქრი; სიყვარულს ძალუძს ერთი წუთი მარადობად აქციოს და მარადობა კი წუთად შეცვალოს; სიკვდილი უარყოფს ყოველგვარ მარადობას და გვევლინება მხოლოდ ერთი წუთით. გახვეული ცისკრის სხივთაგან მოქსოვილ მსოფლიო სისარულის ხავერდში, სიყვარული თვალწინ ვეშლის

ზურმუხტოვან სივრცეს, ღმერთებით და იდეალებით გამშვენიერებულს.. აღელვებულსა და უსაზღვრო ზღვაზე ღრუბელთა მსუბუქ ფრთებით მოექანება ჩვენსკენ სიყვარული. რათა მან მძლავრი გრგვინვით, თვით ოქროს ზმანებათა ოქროს ნემსებით დაჩხვლიტოს სული ჩვენი, რათა მან ოცნების გაზაფხულით, ყვავილებით და ოქროს ქსოვილებით დაატკბოს გული ჩვენი, მარტოდ შთენილი და მოტყუებული. სიკვდილი ფარავს მგზნებარე ენებას ცრემლთა მდინარისაგან შექმნილი ღრუბლებით და ამოტყორცნის ხალხთა და სამეფოთ, რომელთაც ელის ცვივი დავიწყება და გახრწნა... სიყვარულს ცეცხლი უკიდია, მაგრამ იგი არ იწვის, ვით არ იწვოდა ბიბლიური ცეცხლმოკიდებული ჩირგვი; სიკვდილმა არ უწყის — რა არის ღვთიური წვა. სიყვარული ცეცხლში იწრთობა და კოცნა მისი გვიხსნის მთელს სიღრმავეს კოსმოსური ტანჯვა-დაქანცულობისას; იგი აერთებს ოცნების ოკეანეში უსაზღვრო ლურჯ ეთერს და დემონურ სიცივეს მიწისას; სიკვდილი აშორებს ცასა და დედამიწას ერთმანეთს მსოფლიო სივრცეთა სიცივით... ბასრი და ბრწყინვალე წვეტით ეჭრება სიყვარული უძრავ, ცივ მარმარილოს და შემოქმედებით აღტაცებაში ამოალიელვებს მისგან სხივოსანს. მკვეთრ სახეს ნათელ მოღიმარე გულის დედოფლისას: სუნთქვა სიყვარულისა უფრო ძლიერია, ვიდრე სიკვდილის სუნთქვა.

* * *

სიყვარული საწამლავია, საწამლავი, რომელსაც ამზადებს თვით ბუნება, ყოველი იმედი ფუჭია, წუთისოფლად ცხოვრება უმიზნოა და უაზრო.

საუკუნეთა ძიებისა და ცრემლების ნაყოფი ჯერჯერობით მხოლოდ უსამართლობისა და ამაოების იდეაა! დედამიწაზე მშვენიერების ხანგრძლივობა და სრული ბედნიერება ჯერ არავის უნახავს. დიდი ხანია ადამიანებს თავისუფლად და უშიშრად არ შეუძლიათ არც სიყვარული, არც სიძულვილი; მათ სჩვევიათ მხოლოდ ღალატი, სინანულის ცრემლები: ცოდვა და ურვა სულისა. ეს ცხოვრება ყველაფერს კეთილს ტალახში სვრის, ყველაფერს კარგსა და მშვენიერს მარად ლანძღავს და შეურაცხყოფს.

კეთილისთვის დაჯილდოების მაგივრ გოლგოთის მთაზე აიყვანეს ქვეყნის მხსნელი და იქ ჯვარზე აცვეს. სოკრატე ბრძენს საწამლავი დაალევინეს იმიტომ, რომ ქადაგებდა ათინაში სიყვარულს; ჯორდანო

ბრუნო ცეცხლში დაწვეს იმიტომ, რომ სიმართლის თქმა ხმამაღლა გაბედა. ხალხთა გუგუნი და მღელვარება. სისხლის წვიმა და ცრემლების ოკეანე — ყველაფერი ეს მხოლოდ მეშჩანობის ხმაა, სევდის მომგვრელი ხმა ამაოებისა. ვინ იცის, რამდენი ცრემლი და ტკბილი იმედია დაკარგული საუკუნეთა თანაუგრძნობლად; მეფობენ ცხოვრებაში მხოლოდ სულით მდაბალნი და უგრძნობელნი: წუთისოფლად ბუდობს მხოლოდ წვრილი სურვილები, მხოლოდ მეშჩანობა; იდეალები, სიყვარულის ცრემლები, მაღალი გრძნობები და ოცნებები მხოლოდ და მხოლოდ გმირთა შემოქმედებაა.

თუ რამე არის საყურადღებო წუთისოფლად — ეს არის გმირთა მარტო ძახილი, საუკუნეთა გრდემლებზე ამეტყველებული!

* * *

რა არის ეს სასიზღარი წუთისოფელი, ფარისევლობით ატრუსული და მეშჩანობით ახრიოკებული?

— ნიღაბთა კრებული, უსულო, უსახო, უგრძნობი, უგულო;

დიდი ხანია სამყაროის ყრუ ველში ადამიანის აზრი დაბორგავს უნავსაყუდლოდ და უმიზნოდ; საუკუნეთა სრბოლა ერთსახიანი და უფერულია: იდეალები და ღმერთები იცვლებიან, მშვენიერების მიმბირველობა მუდამ წუთიერი და წარმავალია.

მშვენიერი სახე მხოლოდ სისხლის მღელვარების ნერგოვნებითი ორთქლია და გულის ტრფიალება აცახცახებულ ძარღვთა ცეცხლია.

სატრფოს აბრეშუმეულ ნამწვის დაფუშვა იქვნარევ გულის ძგერას აღარაფერს ეუბნება და მარგალიტის მსგავსი სიყვარულისა და სინანულის ცრემლი შენანების სურვილში ზიზღს იწვევს:

ზიზღი ყოფილა სიცოცხლის შხამის და სურვილების უკანასკნელი სიტყვა, კუნთების დამთენთი, ძარღვების დამგლეჯი, იმედების უარმყოფი სიტყვა.

საღამო ჟამს

წუთისოფელი ოდენობას თვისას შლის უსაზღვრო სივრცის დაუსრულებელ საიდუმლოების სანახაობათა შორეული ლანდებით. ძრწიან უფსკრულნი, გალობენ უხმოდ ფერხულში ჩაბმულნი ვარსკვლავნი და პლანეტები: არსნი თვალშეუდგამად ხმობენ მარადობას, რათა ვანაქარვონ ყოფას ცეცხლი და ააკვამლონ შინაგანი წვა...

ჯერ კიდევ შეუცნობელი პირველყოფილი ქაოსი, უცნაურის იგივეობით ძლევამოსილი და თან ცივი, თითქოს ნელ-ნელა მსვლელობს ზღვად დაფენილ ღრუბელთა შორის.

ჰაერში კვნესის საიდუმლო სუნთქვა სტიქიათა უთვალავ საუკუნეთა სიგიჟისა და ისმის შორეული ბრგვინაობით ტლანქი ძახილი ჭლექით დაავადებულ სურვილებისა; ფერადი მორთულობით ბრწყინავენ ჩვენებანი იდეალებისა და საუკუნეთა უზარმაზარ წიგნებს ოქროთ მოვარაყებულ ყდებში შლიან არსებობის ოკეანეზე სამარადჟამო ძიებად.

ხალხთა ცხოვრებანი და საუკუნეების მკვეთრი მახვილობანი თითქოს ირწევიან საიდუმლოების სამრეკლოში და ბრწყინვალე წარმოდგენათა ძაფებზე ამონაქსოვ ოცნებებში ძილისპირულს მღერიან...

O altitudo, non liquet!

წუთისოფელი და წარსული

ბევრი რამ არის ადამიანის ცხოვრებაში საიდუმლო, — ამბობს შექსპირის გმირი და მართლაც, ცხოვრების აზრი და მიზანი, წუთისოფლის და სამყაროს დასაწყისი და ბოლო, თვით ადამიანის სიცოცხლე, ძიება, შემოქმედება, იდეალები, ოცნებები, სიყვარული, ტრფობა, — ყველაფერი, რაც შეადგენს ადამიანის სიამაყეს, ყველაფერი, რითაც ადამიანი ამშვენებს თავის თავს — განა ეს არ არის მოცული მარადიული საიდუმლოებით? განა ვიცით ჩვენ, რა ასულდგმულებს საგანს, ნივთიერებას? განა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ცოდნა დღეს უფრო ღრმაა, უფრო შინაარსიანი, ვიდრე ძველად? განა ცხოვრების აზრი დღეს უფრო კარგად და ნათლად გვაქვს დასახული, ვიდრე არისტოტელეს და პლატონის დროს იყო?

მართალია, საუკუნეთა განმავლობაში ჩვენ შევიძინეთ დიდძალი მასალა; ბევრი რამ ვიცით დღეს ისეთი, რაც უწინ არ ვიცოდით და რის ცოდნა საჭირო იყო, მაგრამ ცხოვრების აზრი და სიღრმე მაინც ვერ შევისწავლეთ: ის, რაც ჩვენ ვიცით, შეეხება მხოლოდ ცხოვრების გარეგნობას, ნივთიერ ძალთა განაწილებას, საერთო მოძრაობის მექანიკას; თუ რა ასულდგმულებს ამ მოძრაობას, ან რა მიზანი აქვს მას, ჩვენ ეს არ ვიცით; მოხმარება რომელიმე ნივთის ან მოძრაობის ჩვენ შეგვიძლია, მაგრამ რას წარმოადგენს თვით ნივთი, რას წარმოადგენს

მისი მოძრაობა, ეს კი ჩვენ არ ვიცით: ჩვენ ვხმარობთ ელექტრონს, შეგვიძლია მისი კილოვატებით გამოანგარიშება, ვიცით რა ძალა აქვს ელექტრონის მოძრაობას, მაგრამ, აბა რომელი მეცნიერი გვეტყვის, თუ რა არის ელექტრონი და როგორ ამზადებს ბუნება ამ ძალას? ვერც ერთი მეცნიერი ვერ იტყვის, რომ ეს არის და აქ მზადდება ელექტრონის ძალაო, ისე როგორც ვერც ერთი ადამიანი ვერ იტყვის დედამიწის ზურგზე კვერცხი გაჩეხდა უწინ თუ ქათამი; ბუნების გარეგნობა და სტიქიურ ძალთა მექანიზმი ჩვენ შევისწავლეთ, მაგრამ თვით სული, მოძრაობისა და წუთისოფლისა შეადგენს ჩვენთვის საიდუმლოებას.

მეცნიერები ამბობენ, ქვა, რომელსაც სივრცეში ისვრიან, ისევ დედამიწაზე ვარდება იმიტომ, რომ დედამიწას აქვს ერთნაირი მიზიდულობის ძალაო. თქმა არ უნდა, ეს კარგადაა მოფიქრებული, მაგრამ განა ვიცით, რაში გამოიხატება და სად იბადება ეს ძალა? ვინ იტყვის: რა მიზეზია, რომ ყველაფერი დედამიწას უბრუნდება? — ამ კითხვაზე ჯერჯერობით ვერც ერთმა მეცნიერმა ვერ გვიპასუხა. მეცნიერები ამბობენ: ჩვენ გვინდა მოძრაობის და ცხოვრების კანონები შევისწავლოთ და სრულებით არ არის საჭირო პირვანდელი მიზეზების ცოდნაო; ბუნების სიმდიდრეს კანონებით კი მოვიხმართ, ცხოვრებას გავალამაზებთ, ელექტრონებს გავაჩაღებთ, ტელეფონებსა და ტელეგრაფებს გავაბამთ, ვივლით, ვიმოქმედებთ, ვიცხოვრებთ და აბა რა საჭიროა მიზეზების და მიზნების ცოდნაო?

ეგრე მსჯელობს კაცობრიობა, ასეთია მეშჩანური ცხოვრების სიტყვა და თვით ლოგიკა. მაგრამ საკმარისია მეშჩანობაში შემოიჭრას რომელიმე ტრაგედია, მაშინვე ლოგიკა ირყევა: გონება რწმუნდება, რომ ცხოვრება არც ისე ერთფეროვანი და ერთაზრიანი ყოფილა როგორც ეგონა მას. გამოანგარიშება და წინასწარ გათვალისწინება ცხოვრების მრავალმხრივობისა შეუძლებელია: ადამიანი სუსტია, მისი მსოფლმხედველობა განსაზღვრულია, იგი იცნობს მხოლოდ განსაკუთრებულ ჯგუფს მოვლენებისას. იგი იცნობს მხოლოდ ერთ კუთხეს შემოქმედებისას და სულისას ტემპერამენტით განჭვრეტილს.

მაგრამ, ქვეყანაზე არაფერია ისეთი, რომ მოსვენებაში იყოს და ჰქონდეს მარადიული ღირებულება და ხასიათი; იოტისოდენა ქვიშის კენჭი და ვეებერთელა მთა-კლდეები რღვევისა და ცვალებადობის სტიქიას ერთნაირად ემორჩილებიან. შემთხვევებს და ცვლილებებს ექვემდებარება ყველაფერი: უსარმაზარი მთა დღეს ამაყად გამომცქერალი დრეტია გასმაენლობაში ნოყიერ მინდვრად იქცევა; ზოგ ადგი-

ლას სრულებით მოულოდნელად ქვეყანა წყლ-ო ივსება და მრავალ საუკუნეთა შემოქმედება იფარება...

ხშირად იქ, სადაც ტბა იყო და მეოვზეები თევზებს იჭერდნენ, შენდება დროთა განმავლობაში მშვენიერი ქალაქი და ბაღი. ხშირად ქალაქი კატასტროფულად ისე ღრმად ვარდება ღედამიწაში, რომ იქ, სადაც წინათ ხალხი ცხოვრობდა და ბრძოლა იყო გაჩაღებული, იქ, სადაც ოდესღაც ტაძრებით და ღმერთებით ამაყობდენ, კანონებსა და იდეებს იგონებდენ, ახლა ვხედავთ მხოლოდ სალ კლდეებს და ხეობებს.

ასე ეკარგება წუთისოფლად ყოველივე მოვლენას და საგანს თავისი სახე, ასე ისპობა ინდივიდუალობა, ასე წარმავალია ყველაფერი, რასაც კი ვხედავთ, გვიყვარს და მოგვწონს: ყველაფერი ირღვევა და იშლება, ყველაფერი იკარგება და იძირება უნუგეშოდ და სამუდამოდ არარაობისა და ამაოების უფსკრულში იბადებიან და ქრებიან საუკუნეთა ილუზიები; სილამაზე, მშვენიერება, აღტაცება, სიყვარული — ყველაფერი წარმავალია, ყველაფერი დროულია. რაც უნდა გრძელი იყოს ბედნიერება წუთისოფლად, დღე უბედურებისა მაინც დადგება: სიცოცხლის ქარი მიქრის და მიიჩქარის.

საიდუმლოებითაა მოცული ჩვენი არსებობა წუთისოფლად და რაც ჩვენ ვიცით, ყველაფერი დროული იგივეობაა: ჩვენ ვფიქრობთ, წინ მივდივართ, მაგრამ ისევ იქ ვართ, სადაც ვიყავით; წარსულს უარვყოფთ და ისევ წარსულს ვუბრუნდებით; ქიმიამ ალქიმია უარყო, მაგრამ პერსპექტივებში გვესახება ისევ ალქიმიის ეპოქა: მენდელეევის სისტემა ირღვევა, ევკლიდეს პოსტულატები დაშალა ლობაჩევსკიმ, რიმანსა და ლეჟანდრს ახალ სფეროებში გადააქვს ჩვენი სული და იდეალები, მითურ-კოსმოსური ეპოქა ჩვენი მსოფლმხედველობის, რომელსაც ჰქონდა ადგილი შორეულ წარსულში, კვლავ შედის ცივილიზაციის ისტორიაში და კვლავ იწყება სამყაროის ანთროპომორფიზმი: დღეს ჩვენი ბიოლოგები მცენარეებსა და მინერალებში სულსა და გრძნობებს ეძებენ, დაუჯერებელი იყო წინათ სიტყვებისა და გრძნობების უმავთულო გადაცემა: დღეს ჩვენი სიტყვები სივრცის დაუსრულებლობას არხევენ და ვნებიანი პარიზი უმავთულოდ ნიუ-იორკს ელაპარაკება.

შეიძლება მეტერლინკის პრეზანტიზმიც არ იყოს მოკლებული ფსიქოლოგიურ საფუძველს, მთელს ყოვლობას შეიძლება ასულდგმულებს ერთი განცდა, ერთი „აზრი", ერთი სული.

წუთისოფელი ჩვენი ტანჯვის ღემონსტრაციაა და ცივილიზაცია

ჩვენი ღელვის აორთქლება; დრო ჩვენი განცდით იზომება და სივრცე ჩვენი წარმოდგენების ილუზიაა.

წარსული აწმყოში შედის, აწმყო მომავალში; ყველაფრის ნაწილია ყველაფერი და ახლის ფორმაში ძველის სული მოძრაობს.

ყველაფერი საუკუნეთა შრომის, ძიების და წვალების ნაყოფია, ცხოვრების ყოველი სახე წარსულის განცდის გამომხატველია; არის კავშირი უხილავი, მარადიული საიდუმლოებით გარემოცული წარსულ-სა და ცხოვრების ყოველ მოვლენასა და წუთს შორის: ხშირად ადამიანის უბრალო და უმიზნო ხელის მოქნევაში ისახება წინაპართა განცდა, მრავალათასწლიანი ორგანული ცახცახი.

წარსულის სული ამოძრავებს აწმყოს, წარსულის შფოთვით ნაშობი ორთქლი ათბობს მომავალს. უშინაარსო, უიდეალო და ჩმახი იქნებოდა კაცობრიობის ცხოვრება, რომ მას არ ჰქონდეს წარსული, რომელიც სასოწარკვეთილებისა და უიმედობის დროს ყოველთვის იძლევა იდეალებისა და მისწრაფებათა განახლების მაგალითებს:

ამბობენ, თურმე, როდესაც მიქელანჯელოს სახელგანთქმული ქანდაკება — „მოსე" შეჰქონდათ მუშებს მუზეუმში, მიქელანჯელო შორიდან უყურებდა ქანდაკებას და როდესაც ქანდაკება ვერ შეეტია მუზეუმის კარებში, მიქელანჯელო წამოვიდა გულმოსული, მიუახლოვდა ქანდაკებას, რაც ღონე ჰქონდა, მოიქნია და დაარტყა „მოსეს" თავზე ჩაქუჩი: რად ვერ ინძრევი, განა არ იცი, შენშია ჩემი სულიო,—უთხრა მოქანდაკემ ქანდაკებას.

შემოქმედების ცეცხლმა მოინდომა ნივთიერების გასულდგმულება და იდეალის განივთიერება: წარსულის განცდა (მიქელანჯელო) ეტრფოდა „წარსულის (სიმბოლო — მოსე წინასწარმეტყველი) სახეს და ტრფობა ქმნიდა რელიგიურ აღტაცებასა და ილუზიებს. შორეული აღმოსავლეთის სულისკვეთება განსახიერდა დასავლეთის სულის განცდაში: ასე უერთდება წარსული აწმყოს და მომავალს; ასე გადადის ორგანული მღელვარების პროცესი შემოქმედებით აღტაცებაში: ყოველი წუთი ამქვეყნად განსაზღვრულია საუკუნეთა მიმდინარეობაში, ყოველ მოქმედებაში და აქტივობაში, წუთისოფლის ყოველ კუნჭულში თავმოყრილია სურვილი, რომელიც შეიქმნა სტიქიურად, ირაციონალურად მრავალი წლის განმავლობაში. ჩვენი წინაპართა სულები ტრიალებენ ჩვენში და ჩვენ გარშემო: ისინი მონაწილეობენ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

წარსულს ყოველთვის აქვს მიპოვებული უკვდავება აწმყოში და

მთელი ჩვენი სულიერი არსება ცხოვრების წარსულის შინაარსის განმეორებაა; მხოლოდ ამ განმეორებას აქვს თავისი ინდივიდუალური სახე. რომელსაც მემკვიდრეობა გადაყავს მარადობაში: დაკვირდით ცხოვრებას, შეისწავლეთ თანამედროვე კულტურა, სტილი, შემადგენლობა, შინაარსი: შეიხედეთ ტაძრებში, მონასტრებში, სხვადასხვა დაწესებულებებში: — მიუხედავად ორი ათასი წლის ქრისტიანობისა, წარმართული გრძნობა კიდევ მძლავრია ჩვენში; დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქალაქების ძველ ტაძრებში, თითქმის ყოველგან დაინახავთ ჩვენი წმინდანების გვერდით წარმართული გრძნობის გამომხატველი ღმერთების სურათებს. ამ მხრივ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი წარმოადგენს საუცხოო მაგალითს: სახელგანთქმული ტაძრის („ნოტრ დამ დე პარის") სახურავზე გაკეთებულია დიდი ქანდაკება ქიმერების — Chimeres, ქიმერები და დემონები ღვთისმშობლის ტაძრის სახურავზე — სიმბოლოა გამომხატველი უხილავი და გამოუცნობელი კავშირისა, რომელიც არსებობს მოვლენათა შორის და რომლის საიდუმლოებით მოცული ძალა განაგებს ადამიანის ცხოვრებასა და სიცოცხლეს, შეადგენს ადამიანის ბედისწერას, აღელვებს სხეულთა და მოვლენათა ზღვას და აერთებს ცხოვრების გამოუთქმელ ტკივილებს და წუთისოფლის ნეტარებას; აი ძალა სტიქიური, ირაციონალური, ძალა, რომელიც ცდილობს შეზღუდოს ყოველივე მოვლენის და არსის თავისუფლება და რომელსაც ძველი ბერძნები ეძახდნენ მოირას. წუთისოფლის მოვლენათა და ძალთა მთვრალ ქანაობაში იბადება იდეა აუცილებლობის: აქ იწყება კავშირი ქრისტესა და ლუციფერს შორის, აქ ისახება იდეა ცხოვრების ორმაგობისა — განხეთქილებისა და შეთანხმების, ბრძოლისა და შერიგების, სწორედ აქ არის იდეალისა და რელიგიური ძიების დასაწყისი. სწორედ ეს აღელვებდა წარსულში გმირებსა და ღმერთებს, და ამით იტანჯებოდნენ პრომეთე, ქრისტე, ბუდა.

ესთეტიკური იდეალი

არსებობს სამგვარი ესთეტიკური თვალთახედვა: ესთეტიკა იდეალის (პლატონი), ესთეტიკა ინტელექტის (კანტი), ესთეტიკა სოციალური სიმპათიის (გიუიო). პლატონი და პლოტინი წუთისოფლის მიმდინარეობას უყურებენ, როგორც დროულ ფორმას მარადიული უნივერსალიებისას — universalia ante rem: რაც არის, არის როგორც დროული გამოსახულება იდეალის, რომელიც რეალურია მარადიულად, რო-

მელსაც არა აქეს დასაწყისი, რომელიც არ იხრწნება არასოდეს. სახე ყოველი ცხადყოფს წყობას, რიგს, სისტემას, რომელთა ორიგინალები ინახება შორეულსა და შეუცნობელ სამყაროში. არის ქვეყანა, სადაც ბინადრობენ საერთო იდეალები, უკვდავი რეალიები, არის სფერო კოსმოსური. სადაც ფერები და სახეები, ფორმები და წირები არასოდეს არ იშლებიან, ყოველი საგანი, რომელიც წუთისოფლად არსებობს, სახეს იღებს ჩვენს სულსა და წარმოდგენაში იმიტომ, რომ ორიგინალი ამ სახისა სხვაგან, სხვა სამყაროში არის და ასლი ამ ორიგინალისა ჩვენში იმყოფება, როგორც გამოკრთომა ზედროულისა და მარადიულის.

დეკარტის შემდეგ სამყაროს გრძნობითი ფორმები — ფერები და ხმები, მორალური და ესთეტიკური თვისებები — სიკეთე და მაღეიერება თანდათანობით ანთროპომორფულ და ლოგისტურ სახეს იღებს: კანტი ესთეტიკური სიამოვნების გრძნობას ხსნის ჩვენი ინტელექტის თამაშით და შეცნაურებათა სიმსუბუქით. შილერი და ინგლისელი ევოლუციონისტები შეთანხმებულად, მწყობრად აყალიბებენ თეორიას: ესთეტიკური ემოცია და ინტელექტუალური თამაში ერთი და იგივეაო. ესთეტიკა ამნაირად — ფსიქოლოგიური დილეტანტიზმით, ფორმალიზმით და ტრანსცენდენტალური სკეპტიციზმით თაედება. ხელოვნება იდეათა თამაშია — აი ტრანსცენდენტალური ესთეტიკის უკანასკნელი სიტყვა.

გიუიო უარყოფს ხელოვნებას როგორც თამაშს იდეებისას და ამტკიცებს, რომ ესთეტიკური იდეალი ბიოდინამიკური და სოციალური ხასიათისაა: ქვეყანა გრძნობისა და ნებისყოფის, ქვეყანა რეალური და იდეალური ერთმანეთს ედუღება და რაც ღრმა და სერიოზულია ჩვენში, რაც ჩვენი ინდივიდუალობის მთავარ ატრიბუტს წარმოადგენს, რაც ჩვენს სულსა და გულს აღელვებს და რისთვისაც ჩვენ გვეხარჯება ორგანული, კუნთური ენერგია, არის საფუძველი ესთეტიკური იდეალისა; კანტის ესთეტიკა, ესთეტიკა შეცნაურებათა თამაშისა და ჭვრეტისა გარდაიქმნა ფსიქოლოგიურად განცდისა და ორგანული იმპულსის ესთეტიკად; შიმშილი და გაძღომა, სითბო და სიცივე, ენება და ზიზღი ორგანული ესთეტიკის ფსიქოლოგიური წახნაგებია: წინააღმდეგობანი ქმნიან ტაქტსა და რიტმს და ლტოლვა მშვენიერებისადმი არის არა წმინდა ინტელექტის ათამაშება, როგორც კანტი ფიქრობდა, არამედ ღრმა ორგანულ-ბიოლოგიური მოთხოვნილება ჩვენი ბუნებისა და ფსიქიკის, ისეთივე მოთხოვნილება, როგორც შიმშილი და წყურვილი.

ფრინველი მღერის არაგანსაზღვრული მიზნითო — ამბობდა შილერი, ჩვენ ვიტყვით: ფრინველი მღერის არაგანსაზღვრული მიზნით, მაგრამ განსაზღვრული ორგანული ვრცნობა არსებულ მის სერეულ პუნებას და განსაზღვრული პოეტიკური სურვილი ამღერებს ამას: ფრინველი მღერის იმიტომ, რომ განიცდის ან სექსურ ლტოლვას, ან შიმშილს, ან შიშს, ან კმაყოფილებას; განცდა ამეტყველებს არსს და სურვილი ნდომის ნებისყოფის ესთეტიკური ფორმაა. ნდომა თუ ჩვენში არ არის, არც მშვენიერებაა და არც იდეალი ჩვენთვის: ვისაც სურვილი არა აქვს, იმისთვის მშვენიერი ელენეს სახე და დახატული ბოლოკი ერთი და იგივეა. ჩვენი სურვილი მემკვიდრეობით მიღებულ ტვისებათა ინდივიდუალური ფორმაა და ყოველ ლტოლვაში ჩვენ გამოვხატავთ ძალაუნებურად არა მარტო იმას, რაც ჩვენ გვინდა, არამედ იმასაც, რაც ჩვენს წინაპრებს უნდოდათ და რაც ჩვენში გადმოვიდა როგორც წარსულის ნაშთი, დიდი ხნით დამზადებული...

შორეული წარსულიდან ადამიანი სხვადასხვა საშუალებებით უკავშირებს თავის თავს, თავის განცდებს და იდეალებს სამყაროს: მითურ-კოსმოსური სოციოლოგია საფუძველია რელიგიისა და ესთეტიკის; იდეალი რელიგიური და ესთეტიკური იდეალი ერთმანეთს მისდევს ყოველი ერის ცხოვრებაში: რელიგია და ღმერთები, გმირები და ხელოვნება ერთმანეთის შევსება და დამატებაა, რელიგია იძლევა ბუნების მოვლენების განმარტებას, მოვლენათა შორის კავშირს და ზედროული ნებისყოფის სიმბოლოს; რელიგია ემბრიონული კოსმოლოგიაა, და როგორც ასეთი, ადამიანის მისწრაფებათა აბსოლუტური გამოსახულებაა. დროისა და სივრცის განსაზღვრულობას რელიგია უარყოფს და იღებს წუთისოფლის მიმდინარეობას ისე, როგორიც არის, იმ იმედით, რომ სხვა სამყაროში ანაზღაურებული იქნება... ხელოვნება, პირიქით, განსახეობაში იძლევა ინტენსიურსა და ექსპანსიურ იდეალობას, რომელიც არ ემორჩილება არავითარ კანონს, გეგმას, მოვალეობას, გარდა ორგანულ-ესთეტიკური სიამოვნებისას და მეობის სისავსის შეგრძნობისას.

რელიგია საგანია მსჯელობისა და რწმენის: ხელოვნების სფეროა განცდა და განცდის ესთეტიკური წარმოსახვა; ხელოვნების მიზანია იდეალის დაუყოვნებლივი რეალიზაცია: კათოლიკების ეკლესიაში ვგრძნობთ, რომ მუსიკა და მხატვრობა მაშინვე აკმაყოფილებენ ჩვენს სულს; წარმოდგენაში გვაქვს მარადობის შიში და იმედი, შორეულობაში ვეძებთ აზრს არსებობისას, მაგრამ მუსიკა და მისტიკური აგუგუ-

ნება ხმებისა აღებენ გრძნობის კარებს და ოცნებაში გვესახება ის, რაც ენას ვერ გამოუთქვამს და რაც გულს უნდა. ხელოვნების საგანი ძალიან უფრო დიდია, რაც უფრო ღრმა არის ვანცდა წარმოდგენაში ასახული ძველებისა. განცდაში თანდათანობით იშლება ილუზია რეალობისა. ეს ილუზია აერთებს ინდივიდუალობას სოციალობასთან და სამყაროსთან: გრძნობის სიმბოლო, რომელსაც ხელოვნება იძლევა, აღიზიანებს ჩვენს ნერვულ-ფსიქიკურ ბუნებას და ყოველგვარი ნაწარმოები ხელოვნებისა მაშინ არის ჭეშმარიტი და დიადი, თუ იწვევს ჩვენში სოციალური ან კოსმოსური ხასიათის სიმპათიის განცდას, ხელოვნების პრინციპი სოციოლოგიურ-კოსმოსურია: ხელოვნება ჩვენ ყოველთვის გვაერთებს ვინმესთან, ან რამესთან; სული ჩვენი აწყობილია სოციალურად და კოსმოსურად; ტანჯვის გრძნობას ანახევრებს თანაგრძნობა; სიხარულს აორკეცებს კოლექტიური განცდა. როდესაც ჩვენ გარშემო ტირილია, ჩვენც გული გვეკუმშება მწუხარებისაგან; ჩვენ გარშემო რომ სიხარულია, ჩვენც სიხარული გვივლის ტანში; სცენაზე რომ ქორწილია, ჩვენც ნაწილობრივ განვიცდით ქორწილს. როდესაც ჩვენ რომელიმე დიდი პოეტის ნაწერს ვკითხულობთ, სახე გვეწყობა შეფარდებით იმ აზრებთან, რომელიც წიგნშია. გრძნობა, კარგად გამოხატული, გადამდებია, როგორც „ისპანკა", იდეა ხელოვნებისა დინამიტია, სოციალური ევოლუციის და ყოველი გრძნობა, ყოველი ჩვენი სიტყვა, მიუხედავად ჩვენი პრინციპისა და მსოფლმხედველობის, ჩვენ გვაერთებს ყოვლობასთან.

კასტური ფსიქოლოგია და ესთეტიკური იდეალი ძველი იცრიცება: ეპოქა განდეგილობისა და რომანტიკული ინდივიდუალიზმის, ფაუსტისა და ჰამლეტის ეპოქა გვიმტკიცებს, რომ ინდივიდუალური ტანჯვის ილუზიების გზით ჩვენ, როგორც ოსკარ უაილდი, მივდიეართ კოლექტივიზმისა და კოსმიზმისაკენ. ძველი ეპოსის გაშლილობა, საშუალო საუკუნეების ვაგაბონდური ტრუბადურიზმი, გოთური სულის აღმაფრენა და რომანტიკულ-კოსმოსური აწვერადება მაჩვენებელია იმისა, რომ ადამიანი თანდათანობით შედის თავისი განცდებით და ილუზიებით ახალ სამყაროში, საზოგადოებრიობისა და ყოვლობის სფეროში.

თანამედროვე მეცნიერება და ტექნიკა მითურ-კოსმოსური მსოფლმხედველობის რეგენერაციაა; ნივთიერების იონებად დანაწილება, ახალი ქიმიური ელემენტების მიკვლევა, ჰაერის დაპყრობა, ოკეანეებისა და კუნძულების შეცნობა, მსოფლიო დეტალების და ხვეულების

თანდათანობითი ათვალთვალება თანამედროვე მეცნიერებას აძლევს მეტაფიზიკურ ხასიათს და სული ჩვენი შეუცნობელის სფეროში შედის. სავსე ფორმულებით და პრინციპებით, როგორც შეიარაღებული რაინდი გოთური სტილისა სასახლის დერეფანში შედიოდა. სავსე მისტიკური გრძნობით და ნერვულ-ფსიქიკური ატორტმანებით; პოეზია არის მეტაფიზიკური ფორმა მეცნიერების და უმაღლესი მეცნიერული დებულებები და თეორიები ყოველთვის თავდება ლეგენდარული პათოსით.

მეცნიერი წერს ღწურსა და დეტალურ ისტორიას ქვეყნისას, პოეტი ლეგენდებად ანაწილებს წუთისოფლის სახეებსა და ფორმებს; თვით ლეგენდა რეალური დოკუმენტების უღწურესი ელემენტია, უფრო ფილოსოფიური, ვიდრე ისტორია ფაქტებისა; ისტორია მოგვითხრობს მხოლოდ მშრალსა და სადავო ფაქტებზე იმ დროს, როდესაც ლეგენდა აყალიბებს ღრმასა და მარადიულ გრძნობებს, რომლებმაც წარმოშვეს თვით ფაქტები.

რაც დღეს ჭეშმარიტი და ფაქტია, ხვალ ის ლეგენდად იქცევა: სიშორე რეალობას აბნელებს და აზვიადებს; რაც ახლოა — ფაქტია, რაც შორსაა — ლეგენდა: ზედმეტი სინათლისაგან მთის მწვერვალიდან სივრცე შავად მოჩანს და ხშირად უდიდესი ჭეშმარიტება და რეალობა უმშვენიერესი ლეგენდაა წუთისოფლისა. დღევანდელ სალონებსა და თეატრებში ელექტრონით განათებული ფორმები მისტიკურ სახეებს იღებენ და რეალობის განცდა ჩვენში უმეშვეოდ გადადის შორეულობის შეგრძნებაში. დღევანდელი მეცნიერები პოეზიისა და მეტაფიზიკისა შესავალია: სამყაროს გრანდიოზულ ტაძარში მეცნიერი მხოლოდ მეკარეა, პოეტი კი — ქურუმი, ფილოსოფოსი — მოგვი.

მეცნიერება ბოლოს და ბოლოს ერთგვარი ფორმაა ხელოვნების — ფორმა ალქატი და სტატიკური; ხელოვნება უმეშვეო გამოსახულებაა კოსმოსური სულიერების დინამიკური დენისა, ყოვლობის მატერიული მუხვადობის და შემოქმედებითი განწვალებისა; მეცნიერულ დებულებათა ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, თუ რაოდენ შესაძლებელია განრიგება ფაქტების დროის და სივრცის პირობებში პლანეტარული ლოგიკისა და ტრადიციული ტროპიზმის მიხედვით; ხელოვნება არღვევს ბანალობას ჩვეულებისას, ყოველდღიურობისას ჩვენი ნერვულ-ფსიქიკური იმპულსების ამყოლობით და დროულ სახეში გვიჩვენებს მარადიულის ვლენას.

იდეალი და ტანჯვა

კაცობრიობის იდეალი კულტურის საერთო მსვლელობასთან ერთად ვითარდება. ესთეტიკა კულტურის უსრულესი გამოსახულებაა: კულტურა ტანისა და სულის. კულტურა ორგანული და ფსიქიკური, კულტურა მორთულობისა და ყოფა-ცხოვრების ერთგვარი ესთეტიზაციის პროცესია; დიდი კულტურა ყოველთვის ღრმა ესთეტიკურ იდეალს გამოსახავს და კულტურის პერიპეტიებში სული ჩვენი თანდათანობით ეჩვევა სილამაზის დაფასებას, გული ჩვენი თანდათანობით ითხოვს ესთეტიკურ გაქანებას, ტრიალსა და ხეტიალს, მოძრაობასა და ათამაშებას: ევროპული ვალსი, ჩვენებური ლეკური, სალონური ახითხითება და გრძნობათა არითმია კულტურული ადამიანის ნერვულ-ფსიქიკური არყევის მაჩვენებელია და სექსურ-ეროტიკულ ვნებათა ღელვასთან ერთად გამოსახავენ სურვილს კოსმოსური გაშლილობისას და გაქანებისას მარადობისაკენ.

მუსიკა უმეშვეო ამოძახილია ადამიანის ნერვულ-ფსიქიკური რხევის. მუსიკის ხმა ჩვენ გვართმევს ჩვენს საკუთარ მე-ს, ჩვენს განცდებსა და იდეალებს, რათა გადაგვიყვანოს ყოვლობაში, რათა სოციალური ემოციებით და ჩვენი ლირიკული გრძნებით მარადისობასთან შეგვაერთოს; ჩვენი ზურნა და ჭიანური ჩვენი ისტორიული ფსიქოლოგიის ინსტრუმენტალური ახმაურებაა: შეწუხებული ხმა, დაჩქარებული ბგერები, თითქოს ჩვენი წინაპრების აღელვებას და მოძრაობას გამოსახავენ, თითქოს ჯალალედინები, ხოჯა ხანები, შაჰ-აბასები და მათი ურდოები დაძრწიან ხევებში, თითქოს ჩვენი წინაპრები გარბიან მთათა ბილიკებით: გულშეწუხება, აჩქარება, ატორტმანება, დევნა, ტკივილები, ცრემლები — თითქოს ეს ყველაფერი ერთად ისმის ზურნასა და ჭიანურის ხმებში: რაც უცხოელებისთვის გაუგებარი და მყვირალაა ამ ხმებში, ის ჩვენთვის რიტმული და მუსიკალურია: წარსულის განცდა შენახულა ჩვენში და ამ განცდის რხევა ჩვენს ნერვულ ხვეულებსა და უჯრედებში მუსიკად იქცევა, როცა გვესმის ჩვენი ფსიქიკურ მდგომარეობასთან შეთანაბრებული ახმაურება ნივთებისა და ინსტრუმენტებისა.

ყოველგვარი ესთეტიკური იდეალი გამოსახავს ტერიტორიულ-ტროპულ გემოვნებასა და სულიერობის წყობას; მხატვრულ ნაწარმოებს აქვს ესთეტიკური ეფექტები მხოლოდ იმ ადამიანისთვის, რომელსაც აქვს ფსიქიკური ორგანიზაცია სწვრივად იმასთან, რომელმაც შექ-

მნა ესთეტიკური ეფექტი. ღირებულება მხატვრული ნაწარმოებისა იზომება იმის მიხედვით, თუ როგორი ხასიათის სულიერ ამყოლობას იწვევს ჩვენში — თუ ჩვენი სურვილები და ვანცდებია ვამოხატული. ჩვენ მოვვეწონება, თუ არა და არა; ტოლსტოი განსაკუთრებული ფილოსოფიურ-რელიგიური თვალთახედვით აფასებს შექსპირს და ლაპარაკობს: შექსპირის ნაწერები არავითარ ლიტერატურულ-ესთეტიკურ ღირებულებას არ წარმოადგენსო. ლოგიკა ტოლსტოის, რუსი თავადის მსოფლმხედველობის გამომსახველი, ვერ იგუებს შექსპირის გაშლილობასა და ირაციონალობას.

საფრანგეთის ფსევდოკლასიკოსებიც, განსაკუთრებული თეორიით შეზღუდულნი, შექსპირს, როგორც ტოლსტოი, ისე უყურებდნენ: შექსპირი მწერალი არ არისო — ამბობდა ვოლტერი.

ლიტერატურული ნაწარმოების ღირებულება ყოველთვის შეფარდებულია საზოგადოების ფსიქოლოგიასთან: აზრი კარგია, თუკი ესაპიროება რომელიმე ჯგუფს ან ეპოქას; იდეას პატივს სცემენ იმდენად, რამდენადაც სოციალურ-ისტორიულ შეგრძნებას გამოსახავს; ისტორიაში გასავალი და ფასი აქვს ისეთ აზრებს, რომელნიც ჯგუფური, ან ისტორიული განცდის მაჩვენებელია.

თვით იდეა თავისი ბუნებით შედეგია ორგანულ-ფსიქიკური აქიოტაჟის: არა მარტო იდეა ლიტერატურული, არამედ ყოველგვარი ცნება კუთხური ან ინდივიდუალური განაპირებაა ზოგადი ფსიქოლოგიისა, ზოგადი მეტყველების; მხოლოდ ყოველგვარი ფსიქოლოგიური ზოგადობა თავისთავად რასულსა და პროფესიულ-კუთხურ ილუზიებს ეყრდნობა; არის ილუზია, რომელიც მთელს კაცობრიობას ეჩვენება, რომელსაც იზიარებს არაერთი ერი და საუკუნე (idola tribus), რომელიც ინდივიდუალურ გემოვნებას აკმაყოფილებს და მემკვიდრეობით მიღებულ თვისებებს აყალიბებს; არის ილუზია თეატრული (idola theatri), რომელიც გამომდინარეობს დიდი ავტორიტეტებისა და ტრიბუნების სიტყვებისაგან.

ილუზია მოუვა ხოლმე კაცობრიობას და ატრიალებს ყოველ ეპოქას თავისებურად; ილუზია მოუვა ერს და კერძო ადამიანსაც; დროგამოშვებით ადამიანი განიცდის ილუზიებს, როგორც ერთგვარ ავადმყოფობას, როგორც ერთგვარ ინფლუენციას: ილუზია ისე გადამდებია, როგორც ინფლუენცია; ილუზია ადამიანს იმორჩილებს სავსებით და თავისი ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური ინტერესით ალაპარაკებს; ინდივიდუალური ფსიქიკის ფესვები ფიზიოლოგიურ-ნერვულ ბუნებაშია

და ჩვენი იდეალები დამოკიდებულია იმაზე, თუ რაოდენი ენერგია, სისხლი და სითბოა ჩვენს სხეულში; ვარდისფერი სახე და იმედები, რომელიც ეჩვენება ახალგაზრდას, არის იდეური გამოკრთომა მისი მ.ნაგანი ორგანული სისავსისა, ენერგიისა და გრძნობის; მოხუცისთვის ᲩᲕᲔᲣᲐᲜᲐᲡ ნაკლები ფასი და ნაკლები სახე აქვს.

ენას ალაპარაკებს განცდა: ჩვენ ვაფასებთ მხოლოდ იმას, რაც ᲙᲕᲔᲙᲐᲠᲔᲑᲐ, რასაც ვხედავთ, რაც ჩვენთვის სასარგებლოა; იდეა სარგებლობისა — ეგოცენტრიზმი ტროპული ფსიქოლოგიის აზარმაკია: ალტრუიზმი ერთგვარი ფორმაა ეგოიზმის: ადამიანი გულკეთილია არა იმიტომ, რომ სხვისთვის უნდა კარგი, არამედ იმიტომ, რომ გულკეთილობა მას სიამოვნებს პირადად: მდიდარი რომ ღარიბს აძლევს, ღარიბზე არანაკლებ სიხარულს განიცდის თვითონ იმ გრძნობაში, რომ მას შეუძლია გაცემა: „რასაცა გასცემ, შენია, რას არა, დაკარგულია“.

ალტრუიზმი ეგოიზმის ფსიქოლოგიური ორეულია: როცა გაქვს, გაქვს სურვილი გაცემის; ვისაც არა აქვს, არც გაცემა შეუძლია.

* * *

ადამიანი მოწაფეა და ტანჯვა მისი მასწავლებელი; სისხლით იწერება ისტორია და ცრემლებით იერეცხება საუკუნეები; რაც არის, ყველაფერი ტანჯვამ შექმნა და ვინც იტანჯება, ის მარადიულს ხედავს წარმავალში.

ტანჯვაში სულს ნათელი ეფინება; ქარიშხალი და ვნება სულს ღვთაებისაკენ ეძახის: ძველი ღმერთები და გმირები, ტაძრები და კერპები ტანჯვის შემოქმედებაა.

ადამიანის გულში არის სისათუთე, რომელიც სავსეა ტანჯვაᲗᲐ გამოსახულებებით, მოგონებებით, სახეებით და ლანდებით; სული ძლიერია და მდიდარი მხოლოდ მაშინ, როდესაც ტანჯვამ უკვე გაიარა...

ტანჯვა ქმნის სილამაზეს: რაც უფრო ვიტანჯებით, მით უფრო ეძებს სული ლამაზ სახეს, სისრულეს, ხმაშეწყობილობას; მილოსელი ვენერა ისეთი სულის შემოქმედებაა, რომელიც არ იყო კმაყოფილი და იტანჯებოდა, რომელსაც ენატრებოდა სრულყოფილი სილამაზე.

ტანჯვაში ისახება სურვილი გაშლისა, გალაღებისა, გაქანებისა: ᲔᲠᲘ, რომელიც სხვაზე მეტად იტანჯება, სხვაზე უფრო მალე იგონებს ღმერთებს და იდეალებს, მეცნიერებას და ხელოვნებას.

მეტყველება და ტექნიკა — ორივე გაჭირვების მოხერხებაა და რასაც მდგომარეობა უკარნახებს, იმას აკეთებს სული დატანჯული.

ყოველი ერის რელიგია ფსიქოლოგიური ასახვაა ონტოლოგიური მდგომარეობის: ეგვიპტელების ღმერთი იყო ხარი, რადგან ხარი მათ ძალიან ესაჭიროებოდათ მიწის დამუშავებაში.

საბერძნეთში ყოველი ქალაქი თავის ღმერთს ადიდებდა და ყოველი ღმერთი იყო გამომხატველი ადამიანის ინტერესებისა და სურვილებისა.

იდეალი შორეულისა და ზედროულის მხოლოდ დროისა და პირობების შედეგია; რაც მარადიულია, ის შეიქმნა დროულ პირობებში; რაც დროულია, ის მარადიული თვალთახედვით ყალბია; რასაც ოდესღაც ადიდებენ, ის დღეს ჩვენ გვეზიზღება და რასაც დღეს ჩვენ ვადიდებთ, ის მომავალს სასაცილოდ არ ეყოფა.

ყოველი საუკუნე თავისას ამბობს, ყოველი ერი თავისებურად ლოცულობს და ყოველი ადამიანი თავის თავს ატყუებს. ჭეშმარიტება მხოლოდ ილუზიაა მისი და ხშირად ბოროტება სიკეთეა, ისე როგორც სიკეთე ბოროტებაა:

ქრისტემ ლაზარე გააცოცხლა — განა სიკეთე უქნა? — ლაზარეს ორჯერ სიკვდილი დასჭირდა; რომ არ გაეცოცხლებინა, მხოლოდ ერთხელ მოკვდებოდა. ტყუილი არასოდეს არ თქვაო, ჩვენ ვეუბნებით ბავშვს, მაგრამ თვითონ ვამბობთ ტყუილს, როდესაც ბავშვი ავად გახდება: დალიე, წამალი ტკბილია შაქარივითო. ჯარის უფროსი ჯარისკაცს ტყუილისათვის სჯის, მაგრამ ბრძოლის ველზე თვითონ ამბობს ტყუილს, რომ გაამხნევოს ჯარისკაცი: მდგომარეობა ქმნის ლოგიკას, გაჭირვება ქმნის ილუზიას; მდგომარეობის და გაჭირვების გარეშე ყველაფერი სოფიზმი და ლეგენდაა.

იდეა და ფორმა

იდეა ნიშნავს აზრს, შინაარსს, შინაგან ლტოლვათა და ხილვათა ლოგიკურ სახეობას.

ფორმა არის მოკვეთილობა ნაკვთებისა, მეტყველება გარეგნობისა.

იდეა ჩვენი შეცნაურების შინაგანი რაობაა.

ფორმა ჩვენი ერთღროული შთაბეჭდილების ეფემერული მოკვეთილობაა.

იდეა თეორიულ-ლოგიკური პრინციპია შემოქმედებისა: ფორმა ჩვენი შემოქმედებითი ჟვრეტის ილუზიური განსახეობაა.

იდეა და ფორმა ორი დიდი ელემენტია ყოველი შემოქმედების, ისტორიისა და ცივილიზაციის ყოველი სახის.

მეტყველებისა და ლიტერატურის ისტორიაში არაერთხელ დასმულა საკითხი: რა უფრო მნიშვნელოვანია ცხოვრებასა და შემოქმედებაში — იდეა თუ ფორმა? აზრი თუ გარეგანი სახეობა.

რა არის უფრო დიადი და მეტყველი: შინაგანი რაობა თუ გარეგანი სახეობა?

ცივილიზაციისა და კულტურის გრანდიოზული სახეები რაში უფრო გამოიხატებიან: ნაკვთთა სიმეტრიაში თუ ლოგიკურ სახეობაში?

განსაკუთრებით მწვავედ წამოაყენა ეს საკითხი მხატვრულმა ლიტერატურამ: გამოჩნდნენ მწერლები, რომლებიც თამამად ლაპარაკობენ ფორმის უპირატესობაზე, ნაკვთთა სახეობის სიდიადეზე. ამტკიცებენ, ყოველ შემთხვევაში ცდილობენ დაამტკიცონ, რომ იდეა შემოქმედებისა ბოლოს და ბოლოს ფორმის რითმულსა და რიტმულ წყობაში გამოიხატება, რომ ფორმა არის ყველაფერი და აზრი კი მეორეხარისხოვანი ელემენტი.

მართალია თუ არა ეს?

შემოქმედება — იქნება მხატვრული თუ თეორიულ-მეცნიერული— სულ ერთია, არის ერთგვარი ესთეტიკური განსხეულება ადამიანის სულიერი მღელვარებისა; ყოველი ადამიანის სულიერი მღელვარება, ყოველი ადამიანის გრძნობებისა და ცნებების შემოქმედებითი მოძრაობა არის ერთგვარი ენერგიის დახარჯვა, ერთგვარი ლოგიკურ-ესთეტიკურად ჩამოყალიბება ნებისყოფის ცხადყოფისა. ყოველი ნებისყოფის ცხადყოფა გამოიხატება ნერვულ შერხევაში, შემოქმედებით განცდაში: მხატვარმა, მეცნიერმა, მწერალმა ჯერ თვითონ უნდა დაინახოს სახე, ჯერ თვითონ უნდა შეიგრძნოს და შეიცნაუროს და მხოლოდ ინდივიდუალური სახეშეგრძნობის შემდეგ შეიძლება გაობიექტივება, გარეთ გამოტანა.

შემოქმედს შეუძლია კვეთოს ცხოვრების სახე მხოლოდ განცდის დაზგაზე.

განცდა არის ესთეტიკური სახეობის საფუძველი. განცდაში გამოიხატება შინაგანი ხილვა შემოქმედებითი გრძნეულებისა.

ამ შინაგანი ხილვის გაობიექტივება შემოქმედებითი პროცესის განსხეულებაა; ყოველი განსხეულება ფორმის ჩამოყალიბებაა. შემოქმე-

დი ჯერ ათამაშებულია: მან არ იცის, რა ხდება მასში: ის მხოლოდ ამოძრავებულია გამოუთქმელი სიხარულით, მწვავე სიტკბოებით; ის ეებებს ოიხას, მარმარილოს, ტილოს, ქაღალდს: ინსტინქტურად გრძნობს მისტიკურ ორსულობას: გრძნობა გადადის განცდაში და იწყება ღვთიური ატალღება ნებისყოფისა, იწყება შინაგანი ხილვა იდეალური სახისა. ფსიქოლოგიურად მოძრავდება ესთეტიკური ნაკვეთების ლოგიკური აყოვლადება: სხეულებრივი ოცნება სინამდვილისკენ მიიწევა, ოვიო სინამდვილე ადამიანის სურვილებში ილესება, იჩალხება და ესთეტიკურ სახეცვლილებას განიცდის. შემოქმედებით დაზგაზე იკვეთება იდეალური სახე.

დიადი და ღვთაებრივია აქ იდეა, სხეულებრივი ოცნება; ფორმა, ფერები, ნაკვთები, ხაზები მხოლოდ ტანისამოსია შემოქმედებითი სულიერობისა, მხოლოდ დროისა და გემოვნების შესაფერი გარეგნობაა. მარადიულობა მხოლოდ იდეაში გამოიხატება, მხოლოდ იდეა არის გამომსახველი მარადობის მგოსნურ-ფილოსოფიური შეგრძნობისა, სამყაროს დაუსრულებლობის შეცნაურებისა, ზოგადი, საკაცობრიო სევდის ღვთაებრივი განზოგადებისა, ყოველი შემოქმედება მსოფლიო სევდის გამოსახულებაა, შეგრძნობა ამ სევდის პოეტურად და ფილოსოფიურად სულის აწყობაა.

მშვენიერია წუთისოფლად მხოლოდ ის სახე, რომელშიც და რომლის საშუალებით ადამიანი გამოსახავს მარადობის წყურვილს და არსებობის სევდას. ტარიელის ცრემლები რუს პირად, ავთანდილის სიმღერა მულღაზანზარის ველზე, დანტეს დაუსრულებელი ხეტიალი, შექსპირის გრანდიოზული ოცნებები ჩვენი სულის მარადიული სევდიანობის სახეებია.

სამყაროს თვალგადაუწვდენელ სივრცეში წუთისოფლის წარმავლობის შეცნაურება პოეზიას აერთებს ფილოსოფიასთან: საღამოს ჟამს, როდესაც სული ჩვენი ითვალისწინებს და კიდევაც გრძნობს სიცოცხლის არარაობას, როდესაც ჩვენში იღვიძებს მარადობის წყურვილი და ჩვენ ვეტრფით დაუსრულებლობის სიჩუმეს როგორც შეყვარებულნი, ჩვენს აზროვნებაში ცხოვრების შინაარსი ღვთაებრივი სევდის შეგრძნობაში გადადის: მაშინ ადამიანი გრძნობს ერთსა და იმავე დროს წარმავლობის სიმწარეს და მარადობის სიყვარულს. რა თქმა უნდა, ყველა ამას ვერ გრძნობს, მაგრამ დიდი პოეტები და მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები და პოლიტიკოსები, ფილოსოფოსები და მორალისტები აქ ერთიდებიან. ცხოვრების სახეების სიმშვენიერე და ამ

სიმშვენიერის წარმავლობა — ხრწნადობის იდეა ადამიანის სულიერ მღელვარებაში ერთად ისახება.

მართალია რუსთაველი, როდესაც ამბობს:

შაირობა სიბრძნისაა ერთი დარგიო. მართლაც, შეუძლებელია პოეტობა, თუ არ არის ერთგვარი სულიერი და შემოქმედებითი სილაღე, ერთგვარი ესთეტიკურ-ეროტიკული სისავსე შეგრძნობა-შეცნაურების სფეროში.

პოეზია მეტყველების უმშვენიერესი სახეა და რაც უნდა წყობილი იყოს გარეგნობა, შინაარსის სიდიადე მაინც აუცილებელია: შინაარსი აძლევს ფორმას დინამიკურ ხასიათს, ფორმის სახეობა შინაარსის სიმკვეთრეზეა დამყარებული. ფორმა მხოლოდ ტექნიკური და მატერიალური მხარეა შემოქმედებისა; შინაგანი, სულიერი მხარე აზრია, ის აზრი, რომელიც აძლევს სახეს მთელს ცივილიზაციას კაცობრიობისას, მთელს დაუსრულებელს მიმდინარეობას და ცვალებადობას ისტორიისას, საერთო შემოქმედებისას. ფორმის პატივისცემა და აზრის უარყოფა სულისა და სულიერობის უარყოფაა:

— ეს ერთგვარი სილატაკეა.

გოეთე „ფაუსტში“ ამბობს: „როდესაც ადამიანს თავში აზრი აკლია, საგანგებოდ გამონახული სიტყვებით ცდილობს თავისი უაზროობა დაფაროსო“. საქმე ისაა, რომ ხშირად თავში აზრი აკლია არა მარტო ცალკე ადამიანს, არამედ მთელს საზოგადოებასა და ეპოქას. ამ დროს უაზრო თავებში იბადება სიტყვებისადმი უსაზღვრო „პატივისცემა“; იწყება თავხედური, უზნეო და უზრდელური გამოსვლები აზრისა, ლოგიკისა და წარსულის საწინააღმდეგოდ. ქუჩური ხასიათი ეძლევა საზოგადოებისა და ერის ესთეტიკას: ლანძღავენ და აგინებენ ავტორიტეტებს, ებრძვიან ტრადიციას, საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებული ცხოვრებისა და ისტორიის ფორმებს, სახეებს. ეს არის დრო ისტორიული და კულტურული დეგენერაციისა, რომელიც ამაჩინჯებს ცივილიზაციას.

ტრადიციისა და ისტორიის უარყოფა ჩვენ კიდევ გვესმის იქ, სადაც ერი კარგად იცნობს თავის ტრადიციას და ისტორიას: იტალიაში წარსულის უარყოფა იყო ერთგვარი ისტორიოლოგიური ანარქიზმი, ეს იყო ერთგვარი ბუნტი, ერთგვარი აჯანყება წარსულის შეგრძნობილი ვრანდიოზობის წინააღმდეგ. საქართველოში ქართველი უარყოფს იმ წარსულს, რომლის შესახებ მას არა აქვს არავითარი წარმოდგენა. სა-

ქართველოში ქართველი ამბობს: მე წარსული მეზიზღებაო და თან არც კი იცის, რა ეზიზღება მას.

სურვილი შემოქმედების „ახალი“ ფორმის შემოღებისა საქართველოში იმ დროს, როდესაც ჩვენ არა გვაქვს შესწავლილი კლასიკური ფორმები ჩვენი ეროვნული სულიერი მიმდინარეობისა, მიუღებელია თავისთავად: ილია ჭავჭავაძე რა მწერალია — ამბობს ქართველი ინტელიგენტი და თან არც კი იცის, რა დაწერა ილია ჭავჭავაძემ, თითქოს აქ მართლდება პარადოქსი ოსკარ უაილდისა: კლასიკოსი ისეთი მწერალია, — ამბობს უაილდი, — რომელზეც ყველა ლაპარაკობს და რომლის ნაწერებს აღარავინ კითხულობსო.

საზოგადო, საკაცობრიო თვალთახედვითაც მიუღებელია წარსულის უარყოფა და მარტო წარმავალი ფორმის პატივისცემა: რა არის ის, რაც ჩვენ გვხიბლავს დანტესა და გოეთეს ნაწერებში — ფორმა თუ იდეა? რას აქვს ამ ნაწერებში მაღალი, ზოგადი, საკაცობრიო ღირებულება — ფორმას თუ იდეას? ფორმა დანტეს ნაწერების—ჩვეულებრივი იტალიური ტერციები დღეს ვერავის ხიბლავს. მშრალი, დიდაქტიკური წყობა სიტყვებისა, ცივი, ერთსახიანი თხრობა ამბისა მოკლებულია ესთეტიკურ მიმზიდველობას. დღეს ევროპელი ინტელიგენტი დანტეს პოემაში გრძნობს საშუალო საუკუნეების თვითმპყრობელ კათოლიკობას; წარსული მკითხველის ოცნებაში იღებს სხეულებრივ სახეს და თანდათანობით იშლება სიმბოლურად რელიგიურ-ესთეტიკური ჭვრეტის დაუსრულებლობაში. აქ ლაპარაკობს იდეა, აზრი, აქ არის განცდა კოლოსალური ნებისყოფისა და არა უშნო პრანჭიაობა აკრობატისა და ჟონგლიორისა.

ფაუსტის ტრაგედია კაცობრიობის სულიერი განცდის ეპოპეაა: ფორმა, ლექსთა წყობა, ტექნიკური დრამატიზაცია ამ საკაცობრიო ტრაგედიისა კი არ იზიდავს ჩვენს ყურადღებას, არამედ მაძიებელი სულის ტრაგედიული განცდის სიდიადე; რომელ ენაზეც უნდა წაიკითხოთ, ლექსად იქნება, თუ პროზით, სულ ერთია, „არსებობის ტალღებში“, „მოქმედებათა ქარიშხალში“ ადამიანის სულის მღელვარეაა აზარმაცი ჩვენი სიმპათიისა და ყურადღების, ჩვენი აღტაცებისა და ღრმა პატივისცემის.

საზოგადოდ, საკაცობრიო ღირებულებას შემოქმედებას აძლევს ყოველთვის აზრი — იდეა, ლოგოსი, ფორმა შემოქმედებისა ყოველთვის დროულია. იგი, ასე ვთქვათ, ბრბოს გემოვნებაზეა დამყარებული; მხოლოდ აზრი არის გამომხატველი იმ ღვთაებრივი სევდისა, რომელიც

ისახება მარადობისადმი ტრფიალებაში და რომელსაც აქვს რელიგიურ-ესთეტიკური ღირებულება ამ უსწორმასწორო წუთისოფელში.

ის, ვინც ვერ გრძნობს მარადობისადმი ტრფიალებას; ის, ვინც კმაყოფილია თავისი სიტყვებით; ის, ვისაც სჯერა, რომ ცხოვრების დაუსრულებლობის ვამოსახვა შეიძლება განსაზღვრულ ფორმულაში, სულით ღარიბია და ვერასოდეს ვერ ეტყვის ვერც თავის ერს და ვერც კაცობრიობას ახალსა და უჩვეულო სიტყვას.

ახალ სიტყვას უნდა ძლიერი განცდა: მარგალიტებს ისვრის მხოლოდ ატალღებული ზღვა. ვისაც უნდა გამოსახოს ლამაზი ფორმა, უნდა ატაროს თავის სულში განცდათა ქაოსი.

სოციალური ესთეტიკის საფუძვლები

ორგანოტროპიზმი

წინასიტყვაობა

ქართული კულტურის წარსული თავის ორგანულ ვითარებაში თანდათანობას მოკლებულია და შეიცავს უფრო ცალკეული ეპიზოდების არითმიულ დენას, ვიდრე წყობასა და გარკვეული გზით მიმართებას: თითქოს საქართველოს მიწა-წყალი თავის გეოლოგიურ-გეოგრაფიული უსწორმასწორობით, ტეხილებით და ღრეტოებით ქართველი ხალხის ისტორიული შემოქმედების სიმბოლურ სახეს წარმოადგენს, თითქოს ქართული ნებისყოფის სოციალურ-კულტურულ ვითარებასა და საქართველოს ბუნებრივ პირობებს შორის არსებობს თავისებური შეფარდება. დაულაგებელი, უსისტემო და ქაოსურ-აზიურია ქართული სული თავის ისტორიულ წარსულში: ფიზიოლოგიური მომენტი ანელებს ქართული სულის ისტორიულ-გენეტიკურ წვასა და შემოქმედებით წვალებას: შორეული წარსულიდან ატალახებული სოციალური ყოფა ჯალალედინებისა, ქაიხოსროებისა და ხოჯა-ხანების ჩვეულებათა გადმონაშთებით, უკულმართად ჩალეკილი ქართული სხეულისა და საზოგადოებრიობის უჯრედულ ხვეულებში, მემკვიდრეობით მოდგმათა რიგებში გადმოცემული, ხშირად ალაღობებდა ქართული რასის ისედაც მოთენთილ ნებისყოფას. ქართულმა სულმა თავისი ისტორიული სახეობა ჩამოაყალიბა სუპერისტორიულ პირობებში და ისიც ეპიზოდებით.

მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართული კულტურის მიმართება იხრება გარკვევით ევროპისაკენ და ქართული სულის ისტორიულ-აზიური ფორმები თავიანთი ჭრელი ორნამენტალიზმით თანდათანობით იცრიცებიან: მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული საზოგადოებრიობის დათანაწყობებასთან, კლასობრივი ინდე-

ოლოგიის წარმოსახვასთან ერთად იწყება ქართული კულტურის სისტემატური ინტელექტუალიზაცია; აზიურ-ტირანიული ღრეობა და მცოსარეული ლირწებრიობის ვანვაში ქართველი ხალხის ცხოვრებაში იცვლება სახელმწიფოებრიობისა და სოციალური ყოფის პირობებით. ლიტერატურასა და საზოგადოებაში შემოდიან არა სალაღობოდ, არა ნათესავებისა და ნაცნობების გასართობად, არამედ გარკვეული სოციალურ-ფილოსოფიური იდეებით, საზოგადო მოღვაწეობისა და შემოქმედების ახალი ზრახვებით, ახალი მიზნებით. მაგრამ სიახლის მიმდინარეობა ცხოვრების საჭიროებამ თანდათანობით პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ზრუნვისაკენ გადახარა და ქართული კულტურის ფენებში ნარჩა ცუდი წარსულის ნალეკი წოდებრივი პრეტენზიებისა და „უჩემოდ ვინ იმღერეთას“ სახით. ხოლო საერთაშორისო მოძრაობათა იდეოლოგიური ჰაერეთი სულ სხვა მიმართულებით ეძახის ქართულ შემოქმედებას.

ინდივიდუალისტურ-თეოლოგიური კონსტრუქცია სულისა და განცდის, მოკლებული ისტორიულ საფუძვლებს, შინაგან სიმართლეს, იდეოლოგიური ჰაერეთის განახლებას ეწინააღმდეგება და ამიტომ, ბუნებრივია, პოლიტიკურ-სოციალურ რევოლუციასთან ერთად ძირეული რეფორმა აზროვნებისა, მეცნიერებისა და ლიტერატურულ-ესთეტიკურ ცნებათა რეორგანიზაცია ესაჭიროება არა მარტო სოციალურ-ისტორიულ წყობას სამყაროისას, არამედ კულტურულსა და იდეოლოგიურსაც: სული ადამიანისა, გადახრილი სუპერისტორიული ვითარებისაკენ, სული, განთავისუფლებული კუთხურ-ინდივიდუალისტური ნაჟუჟებისაგან, საჭიროებს ახალ ნორმებს მორალისა და მსოფლგაგებისას, ახალ იდეოლოგიურ აზარმაცებს ნებისყოფათა მოძრაობისას ხელოვნებისა, მეცნიერებისა და ფილოსოფიის არეებში.

წუთისოფლურ ჩოჩქოლსა და მოძრაობაში, რღვევისა და განახლების ქარიშხალში რა სახის უნდა იყოს მიმართება ადამიანის სულისა?

კაცობრიობა ქანაობს უფსკრულზე: უნდობლობა მეფობს ხალხებში; ისტორიული კატეგორიები იცრიცება და იხეთქება; დიდი არმიები, შეიარაღებული თავიდან ფეხამდე, უცდიან ბრძანებას სისხლის დასაღვრელად; არსენალებს განადგურებისას აწყობენ ნერვული სიჩქარით; სამყაროს კოშმასი ირწევა არევ-დარევით; ადამიანი ტრაგედიული ტორტმანით თხოულობს ყოველდღე, რომ მეცნიერებამ გამოგონოს ისეთი რაე, რაც შექმნის ატმოსფეროს უჩვეულო ყოფისას; თითქოს რაციონალიზმისა და ისტორიული მეშჩანიზმის წინააღმდეგ ეწყობა

გრანდიოზული შეთქმულება; სამყაროს სასოწარკვეთით დაღებული აქვს ხახა და შემოქმედებითი სული უცდის სოციალურ ატალღებათა ჰარმონიულ განრიგებას, რათა მოუნახოს არსებობის შეუჩერებელ დენას ფორმულა შ ე დ ა რ ე ბ ი თ უფრო სწორი და ღწურა.

ცხოვრების ნორმა ინდივიდუალისტური ეპოქებისა დაიშალა: ის, რაც შეადგენდა არსებობის აზრსა და ღირებულებას ოჯახისას, რელიგიისას წოდებრივი რეგალიებისა და პრივილეგიების სახით, ადამიანის სულს დღეს არ უდგება; ტრადიციულ ღირსებათა არე დაცარიელდა და ადამიანი დარჩა უსაზღვროების არეზე ისე, როგორც ლამანჩელი რაინდი სიერა-მორენის ხეობაში თავისი დამტვრეული ფარ-ხმალით; ინდუსტრიისა და წარმოების ვითარება ასხვაფერებს ისტორიულ ეპოქებს და ყოველ პერიოდს კულტურისას თან მიაქვს, თან მოაქვს თავისი სტილი და სული. ბუნების თანდათანობით გარდაქმნასა და ფერისცვალებაში ადამიანი თვითონ იცვლება სულით, იდეებით, განცდებით, ილუზიებით: პირამიდების აშენება ნილოსის თვალგადაუწვდენელ ცხელ ჭალებზე და საცოდავი ქოხების შეკოწიწება ციმბირის ცივ ტაიგებში სხვადასხვა ილუზიებს და განცდებს, სხვადასხვა სახის გრძნობებსა და იდეალებს იწვევს.

ცივილიზაციის ისტორია წარმოადგენს დროულ-სივრცულ ცვალებათა იდეოლოგიურ ფორმულებს და ყოველ პერიოდს ევოლუციისას აქვს თავისებური ტანი და სული, თავისებური ფიზიკურ-მატერიალური კონსტრუქცია და იდეურ-ინტუიციური სიმბოლოები.

წარმოების ვითარებასთან კაცობრიობა დროგამოშვებით იცვლის საყოფაცხოვრებო ნორმებს, იდეებს, ილუზიებს, განცდებსა და ჩვენი დროის ადამიანს ისე არ გამოადგება ძველი ისტორიულ-კულტურული პრინციპები, — იდეური განსახეობანი თავიანთი ზედროული აბსოლუტებით და უნივერსალიებით, — როგორც ორგანულად გავსებულ ვაჟკაცს არ გამოადგება ბავშვობის დროის ტანისამოსი. საყოფაცხოვრებო ნორმების გამოთვლისათვის კულტურისა და სოციალ-ეკონომიკურ სტრუქტურათა სახეცვალებასთან ერთად ჩვენი სული მოითხოვს მსოფლმხედველობის ძირეულ რეფორმას ს ო ც ი ა ლ უ რ ი გ ა დ ა ხ რ ი თ და ს ო ც ი ო ლ ო გ ი უ რ ი მ ი მ ა რ თ უ ლ ებ ი თ; ნიშნები ამისა ჩვენ უკვე გვაქვს მეცნიერებასა და ფილოსოფიაში, ხელოვნებასა და საზოგადოებრივ მოძრაობებში; თუ თეოლოგიური იდეალიზმი ოდესღაც გამომსახველი იყო ინდივიდუალისტური აბსოლუ-

ტებისა და საზღვარგადაცილებული პრეტენზიებისა, სოციოლოგიური ორგანოტროპიზმი გამომსახველია რელატივისტური მსოფლგაგებისა: სოციოლოგიური ორგანოტროპიზმი როგორც იდეოლოგიური სინთეზი მარქსიზმისა და ბიოლოგიზმისა მიზნად ისახავს არა სოციალური კანონების გამოსახვას, არამედ სოციალურ სტრუქტურათა იდეოლოგიური ფორმების ანალიზს და ფილოსოფიურ-ესთეტიკური აბსოლუტების განმარტებას სოციალურ საჭიროებათა შემოქმედებითი ნებისყოფით. სწორედ აქედან იწყება ჩვენი ფილოსოფიური ომი კანტისა და ნეოკანტელების წინააღმდეგ, სწორედ აქედან ერღვევა საფუძველი კანტის, შილერისა და ინგლისელი ევოლუციონისტების ესთეტიკურ ფილოსოფიას — „თამაშისა" და „წმინდა ხელოვნების" თეორიას, რომელსაც დღემდე ქადაგებენ, როგორც ჩვენში, ისე ევროპაში და რომელიც ყოველთვის თავდება დეკადანსის ყოველგვარი ფორმით და მისტიციზმით.

ჩვენს მღელვარე საუკუნეს შეუძლია თამამად გაიმეოროს დოსტოევსკის რასკოლნიკოვის სიტყვები: მე ადამიანი არ მომიკლავს, მე პრინციპი მოვკალიო. ღირებულებათა გადაფასების ეპოქაში პრინციპი, რომელსაც გამოეცალა არსებობის საფუძვლები, ვეღარ გამოადგება იმას, ვინც ცხოვრობს ახალსა და თავისებურ სოციალურ ისტორიულ პირობებში.

წინამდებარე წიგნი შეიცავს ავტორის გულწრფელ ცდას—აზროვნებისა და ხელოვნების პრობლემათა თეორიულ გადაჭრაში შეიტანოს გარკვეული სისტემა მსოფლგაგებისა: სოციოლოგიზმის და ბიოლოგიზმის უკანასკნელი მიღწევებით ჩვენ ვიცავთ სოციოლოგიური მსოფლგაგების პრინციპს ო რ გ ა ნ ო ტ რ ო პ უ ლ ი ფ ო რ მ უ ლ ი თ. ამ შემთხვევაში „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები" შეადგენს „სული და იდეის" ფილოსოფიური თეზისების გაგრძელებას სრულიად გარკვეული სისტემით აზროვნებისა, რომელნიც უარყოფს ყოველგვარ აბსოლუტიზმს და ემყარება სოციოლოგიურ რელატივიზმს, მიემართება საკუთარი გზით მატერიალიზმისა და ორგანოტროპიზმისაკენ. ჩვენი მიზანი სრულებით არ არის ხელოვნების დაკავშირება საზოგადოებრივ ცხოვრებასთან: ერთი მხრით, ჩვენ ეს მიგვაჩნია საკმაოდ გარკვეულ ცნებად (პლეხანოვი, ტოლსტოი, რესკინი), მეორე მხრით, ეს თავისთავად გამომდინარეობს ჩვენი დებულებებიდან: ჩ ვ ე ნ გ ვ ა ი ნ ტ ე რ ე ს ებ ს გ ე ნ ე ზ ი ს ი შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი-

თი სულისა და მისი ვერბალურ-ესთეტიკური ფორმების მიმართება ცივილიზაციურ სივრცეში.

სოციალური საჭიროების ორგანოტროპული ურთიერთობა, რომელსაც ჩვენ ვარკვევთ ამ წიგნში, გაადგილების და შეფარდების პრობლემა, რომელთა საშუალებით ჩვენ ვარღვევთ რაციონალისტურ-ინდივიდუალისტური ესთეტიკის საფუძვლებს — თამაშისა და წმინდა ხელოვნების თეორიას, უსაზღვროების იდეას სიყვარულით და შემოქმედებითი სევდით, აი რას ვუპირისპირებთ ჩვენ ბურჟუაზიულ მისტიკურ დეკადანსის magischen idealismus-ის სხვადასხვა მიმართულებებს; ხელოვნების ჰიპერტროფიის პრობლემა, ჩვენი ღრმა რწმენით, ცივილიზაციის ჰიპერტროფიის პრობლემაა და კულტურის წყობათა საერთო რეორგანიზაცია თავისთავად გამოიწვევს ხელოვნების რენესანსს, ხოლო ეს რენესანსი ხელოვნებისა დაიჭერს კავშირს არა რელიგიასთან, როგორც წარსულში იყო, არამედ მეცნიერებასთან; თვით მეცნიერება თანდათანობით მიიღებს გაშლილ სახეს, დაუახლოვდება ხელოვნებას ძირითად ფორმებში და გედვით ამაყკისრიანი ინტეგრალები, რომელთა საშუალებით აინშტაინი, პენ-ლევე, პუანკარე, მინკოვსკი და სხვები უსაზღვროებათა სივრცეებს ანგარიშობენ, არ იქნება მომავალში ისე დაშორებული ხელოვნებას, როგორც დღესაა. ჩვენ არ ვეთანხმებით ერნსტ რენანს, როდესაც იგი ამბობს: მეცნიერება მტერია ხელოვნებისო; ჩვენ ვერც შპენგლერს დავეთანხმებით, როდესაც იგი უარყოფს ხელოვნების ღირებულებას. აპრიორიზმის და საერთოდ კანტის ფილოსოფიის თვალსაზრისით რენანიც მართალია და შპენგლერიც — ხელოვნებას თავისთავად ღირებულება არა აქვს, მაგრამ ჩვენთვის თავისთავად არამცთუ ხელოვნება, არამედ არც ერთი ფორმა შემოქმედებისა არაეითარ ღირებულებას არ წარმოადგენს: ყველაფერი ღირებულია იმდენად, რამდენადაც არსებობს სოციალურ ურთიერთობაში, რამდენადაც ემსახურება სოციალურ საჭიროებას: ხომალდი, დატვირთული ძვირფასი ნივთებით, რომელიც მიაპობს ოკეანის ტალღებს და მიიჩქარის ნიუიორკიდან ლონდონისაკენ, დიდ ღირებულებას წარმოადგენს იმიტომ, რომ ემსახურება ადამიანთა და სახელმწიფოთა ურთიერთობას — სოციალური ცხოვრების საჭიროებას. მაგრამ იგივე ხომალდი, ჩაძირული

ძვირფასი ნივთებით ოკეანის უფსკრულში, ვინა წარმოიდგენს რაიმე ღირებულებას კაცობრიობისათვის? — არ არსებობს ღირებულება ურთიერთობისა და სოციალური საჭიროების გარეშე. მაგრამ ხელოვნება ხომ ფუნქციაა სოციალური ცხოვრების და ღირებულება მისი განიზომება სოციალური საჭიროებით, პლანეტური ურთიერთობით, რასაც მკითხველი დაინახავს ამ წიგნში.

კონსტანტინე კაპანელი

ქ. თბილისი
1925, იანვრის 28.

რეფლექსი და აზრი

ჩვენი დრო ღირებულებათა გადაფასების დროა; გადაფასებას მოითხოვს ცხოვრების ყოველი მხარე, კულტურის ყოველგვარი ფორმა — ტექნიკა და ინდუსტრია ისე საჭიროებს ცვლილებებს, ფერისცვალებას, როგორც მეცნიერება და ფილოსოფია. ცხოვრების ძველი ნორმები საკმაოდ დაცვეთილი და დაცრეცილია: კულტურის მატერიული და იდეური მხარეები ერთნაირად ატარებს დაღებს ამ დაცვეთილობისა და დაცრეცილისა. აზრი ადამიანისა სულის მიმართებასთან ერთად იხრება საერთო ევოლუციისაკენ: თეოლოგია, რომელიც ამაგრებდა და იმედებით ასულდგმულებდა ინდივიდუალისტურ კულტურას, თანდათანობით ადგილს უთმობს სოციოლოგიასა და ბიოლოგიას — სოციალისტური კულტურის ერას.

სოციოლოგიისა და ბიოლოგიის შემოქმედებითი ხასიათის სინთეზმა შეარყია ფილოსოფიისა და საერთოდ მსოფლმხედველობის ძირეული პრინციპები: განსაკუთრებით შეიცვალა მდგომარეობა ფსიქოლოგიისა და გნოსეოლოგიური იდეალიზმისა; სხვადასხვა სახის „ნიჭიერებანი", „ფუნქციები", „ტრანსცენდენტური მოვლენები", რომლებიც იძლეოდნენ სულისა და აზროვნების „განმარტებებს" და რომელთა გამეორებანი მეხსიერების, ყურადღების, გრძნობის და ნებისყოფის აბსტრაქციებით ტრაფარეტებად გადაიქცნენ ჩვენში, ბოლოს და ბოლოს კარგავენ მეცნიერულ ღირებულებას — სადაც აზრი ემყარება ზედროულ მოცემულობას, იქ მეცნიერებას ადგილი არა აქვს, რჩება მხოლოდ თეოლოგია; ამ მხრივ გერმანელი ფილოსოფოსების: შუპეს, ჰუსერლის, კოჰენის და სხვათა გნოსეოლოგიური იდეალიზმი იგივე თეოლოგიაა, მხოლოდ რომანტიკულ-მეტაფიზიკური გადახრით.

სოციოლოგია ბიოლოგიის დახმარებით უარყოფს ყოველგვარი „მოცემულობისა" და „უნივერსალიების" პრობლემას — ის, რაც დოგმატურად მოცემული იყო ძველ აზროვნებაში, სოციოლოგიური თვალსაზრისით, გენეზისის პრობლემად იქცა, ხოლო ფილოგენეტიკური

იდეა არსებობისა დაუსრულებლად ტრიალებს არსისა და მდგომარეობის ურთიერთობაში — ორგანოტროპულობაში. ფილოგენეტიკური პროცესი მკვნარეულისა და ცხოველური სამყაროისა გვიჩვენებს ცხოვრების სხვადასხვა პირობებში — წყალში, მიწაში, მიწაზე, ჰაერში — თუ როგორ წარმოიშვა, ჩაისახა არსებობის ორგანული ცხოვრების ფუნქციები, უჯრედული რეფლექსური მოძრაობა გარკვევით ეტყობა ერთუჯრედიან ცხოველს, რომელიც გაჭირვების დროს უცბად იკუმშება, ვიწროვდება, იკვეცება, ხოლო კარგ პირობებში ფართოვდება, იშლება სამოქმედოდ — აქტივობას იჩენს, ერთუჯრედიან ცხოველებს აქვთ ერთგვარი რეზერვი ენერგიისა, რომელსაც ისინი იღებენ გარედან ჰაერისა და კვების საშუალებით; მაგრამ, ამავე დროს, მათ აქვთ ერთგვარი რეზერვი სულ სხვა წყაროდან — მემკვიდრეობით მიღებული ჩვეულებებიდან.

მემკვიდრეობით მიღებული ორგანული ჩვეულებები თანდათანობით ცვლიან უჯრედულ სტრუქტურას და ამ ცვლილებებში სისტემატურად იქმნება სიადვილე ჩვეულებათა გამეორებისა, რომელიც შეადგენს ინდივიდუალური ცხოვრების სიმდიდრეს: როდესაც ტანს მდგომარეობა დაუწყებს გაღიზიანებას, ორგანულ ჩვეულებათა ენერგია რეფლექსების სახის წინააღმდეგობას უწევს მდგომარეობას. ეს საპასუხო რეაქციები ტანისა შესაძლებელია იქაც, სადაც ტანს არა აქვს ნერვული სისტემა, მხოლოდ უკანასკნელ პირობებში საპასუხო რეაქციას იძლევა არა რომელიმე ნაწილი ტანისა, არამედ მთელი ტანი.

ნერვულ სისტემაში ენტელექიურად განაწილებულია ოთხი სხვადასხვა სახის შრომა ორგანული ლაბორატორიისა: პირველი — ვეგეტატიური ფორმა, რომელიც ლორწოიანი გარსებისა და შინაგანი ნასკვების საშუალებით ასაზრდოებს ტანს; მეორე — საბერავი — საწმენდი ნაწილი, რომელიც შედგება ფილტვებისა და გასავალი მილებისაგან, საიდანაც ორგანული ლაბორატორიის ჟანგეული აორთქლება გადის და ტანი სუფთავდება; მესამე — ხერხემალი და მოგრძო ტვინი, როგორც ლაბორატორიის დინამო-სადგურები, საიდანაც ლაბორატორია იწყებს მუშაობას; მეოთხე — პატარა ტვინი და დიდი ტვინის ზოლებიანი ნაწილი, რომელნიც საბოლოოდ აწესრიგებენ ორგანული ცხოვრების მოუსვენარ ღელვასა და მუშაობას. კოსმოსური ცხოვრების ფილოგენეტიკურმა ვითარებამ მოგვცა სხვადასხვა სახის რეფლექსები: კუნთების თეთრი ბურთულების და სპერმატოზოიდების მემკვიდრეობითი და თანშობილი ხასიათის რეფლექსები, რომლებიც გაადგილე-

ბულია ნერვული სისტემის ვეგეტატიურ ნაწილში. ჩვეულებრივი, მარტივი ორგანული რეფლექსები შეადგენენ სპეციალური ორგანოების თვისებებს და გენეტიკურად ესენიც თანშობილნი არიან; ორგანული. ჩვეულებრივი რეფლექსების დაყოფა შეიძლება ორად: ე გ ზ ო გ ე ნ უ რ ი რეფლექსები (ცანისა, კუნთებისა, გარსებისა), რომელნიც წარმოიშობიან გარედან მოქმედებისაგან; ე ნ დ ო გ ე ნ უ რ ი რეფლექსები (მოძრაობისა, დაღლისა, კვებისა და სხვა...), რომელნიც დამოკიდებულნი არიან ტანის შინაგან მიზეზებზე.

ენდოგენური და ეგზოგენური რეფლექსები წარმოადგენენ ერთგვარ წყაროს უმაღლესი, კრებითი ხასიათის რეფლექსებისათვის, რომელთა ორგანიზაცია მოითხოვს ჩვეულებრივი ორგანული რეფლექსების კოორდინაციებს, ერთმანეთთან გადაკავშირებას: ჩხვლეტის ან დაწვის დროს ჩვენს ხელს ამოძრავებს თვითდაცვითი რეფლექსი, რომელიც უკავშირდება მხედველობის რეფლექსს და როდესაც თვალი დაინახავს ცხელს, ან წვეტიან რამეს, აცნობებს გასაჭირს ხელს; აქ ხდება ერთგვარი კოორდინაციული განკითხვა საჭიროებით გაღიზიანებული უჯრედებისა და ყოველი აქტი ტანისა გამოწვეულია ან გარედან გაღიზიანებით, ან შინაგანი იმპულსებით: ნერწყვის დენა საჭმლის მიღების წინ და სექსური თრთოლვა სქესთა ერთმანეთთან დაახლოების დროს ორგანულ-დინამიკურ განკუთხვათა „ფედერაციული“ შეფარდებაა არსებობის ბიოლოგიურსა და სოციალურ საჭიროებასთან. კრებითი ხასიათის რეფლექსები თავიანთი ბიოლოგიური და სოციალური როლებით გაიყოფიან: სტენიური, თვითდაცვისა და საორიენტაციო რეფლექსებად; სტენიური რეფლექსები ამოძრავებენ ადამიანისა და ცხოველის ტანს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დროს; როდესაც სხეულს არსებობის პირობები ხელს უწყობს, სტენიური რეფლექსები იწვევს ტანში სიამოვნებისა და ბედნიერების გრძნობას; თვითდაცვის რეფლექსები ყოველთვის სტენიური ხასიათისაა: ცხოვრების უარყოფითი პირობები როდესაც ემუქრებიან სხეულს და იგი ცდილობს ყოველგვარი საშუალებით — შეკუმშვით, შეკვეცით ან გადახრით — გადაურჩეს მდგომარეობას, ჩვენ გვაქვს თვითდაცვითი რეფლექსი; საორიენტაციო რეფლექსი ირჩევს ბრძოლის მეთოდებს — იხრება ხან თვითდაცვისკენ და ხან აგრესიულობისაკენ, იმის მიხედვით, თუ რა შესაძლებლობას ხედავს სხეული არსებობის რეალურ პირობებში. სტენიური, თვითდაცვისა და საორიენტაციო რეფლექსები ბიოლოგიურ სინამდვილესთან არის გადაკავშირებული და ყოველი მათგანი ასრულებს მოვალეობას უფრო ფიზიოლოგიური კეთილდღეობისათვის.

გარდა ამ რეფლექსებისა, არის წმინდა სოციალური ხასიათის რეფლექსები: წაბაძვისა, მიმიკისა და სიმბოლოებისა; სპეციალური ხასიათის რეფლექსები იქმნებიან საუკუნეთა განმავლობაში თანდათანობით: მათი მექანიზმი მომდინარეობს მემკვიდრეობით და თან იმატებს რეალურ ცხოვრებაში ინდივიდუალურ შეჩვევებს, ტანისა და ნერვიული სისტემის წვალების შედეგებს; მოდგმიდან მოდგმაში ნელ-ნელა გადადის კუნთებრივი შეჩვევანი და ყოველგვარი ფორმა ჩვენი ტანის მოძრაობისა, ჩვენი ნებისყოფის სახიერებისა მხოლოდ რეპროდუქციაა რეფლექსურ ცენტრებში შენახული ბიოლოგიური მეხსიერებისა; რაც უფრო აწვალებს არსებობა ტანს, მით უფრო ტანი ინახავს თავის ატომურ-იონურ წყობაში ფილოგენეტიკურ ცვლილებათა და წვალებათა მოდუსებს; სული ტანში დინამიკური აორთქლებაა მატერიულ-იონურ ცვლილებათა და ეს დინამიკური ფორმა ორგანული აორთქლებისა მიღებულია არა როგორც უნივერსალური „რეალია", არამედ როგორც ეპიფენომენი, როგორც შედეგი განსაკუთრებული პირობებისა.

ჩვენი ტანის სპეციალური ორგანოები თავიანთი სპეციფიკური თვისებებით, ჩვენი ხელებისა და ფეხების ავტომატური მოძრაობანი ამეტყველებისა და ბგერითი განწვალების პანტომიმური პირობებით მხოლოდ რთული კოორდინატებია შეფარდებითი რეფლექსებისა. ტანი რეფლექსების კომპლექსია; ინდივიდუალობა და მისი ყოფაქცევის ფორმები წინასწარ განსაზღვრულია მიდგომათა ფილოგენეტიკური ორგანოტროპიზმით.

ქვეყნად არ არსებობს ისეთი ტანი, რომელიც სრულიად დამოუკიდებელი იყოს სხვა ტანებისაგან; ყოველი არსი იმყოფება არსთა შორის და იმდენად, რამდენადაც ისაზღვრება ერთეული მრავლობით, ერთეულში იქმნება ორგანული წყობა შეფარდებით მრავლობასთან: მდგომარეობასა და არსს შორის არსებობს მუდმივი ურთიერთობა შემოქმედებითი ხასიათისა—მდგომარეობა მოქმედებს არსზე, არსი მოქმედებს მდგომარეობაზე. შემოქმედებით ურთიერთობას მდგომარეობასა და არსს შორის, რომელიც სამყაროს ყოველ კუთხეში თავისებურია, ჩვენ ვეძახით ორგანოტროპიზმს. ამ ურთიერთობაში შეუძლებელია ადამიანის გონებამ დაუშვას რომელიმე აბსოლუტი, რომელიმე ზედროული კატეგორია; აქ სრული რელატიური მსოფლგაგება და რეფლექსოლოგია ეძიებს იმ ფენებს, იმ ნაკეცებს ორგანულ ცხოვრებაში, რომელიც დალეკილია არსსა და მდგომარეო-

ბას შორის არსებულ ორგანოტროპულ ურთიერთობაში; რეფლექსოლოგიის საგანია ორგანიზმის შეფარდებით მოქმედებათა შესწავლა. შეფარდებითი მოქმედება არსისა ისაზღვრება მემკვიდრეობით და ინდივიდუალურად შეძენილი რეაქციებით, დაწყებული მარტივი ორგანული რეფლექსებით, რომლებიც წუთისოფლად საზღვრავენ ადამიანის მოქმედებასა და საერთოდ ყოფაქცევას.

ვინაიდან მემკვიდრეობის პირობები ოჯახურ-სოციალურ არეებში სხვადასხვაობენ აღსრდისა და მდგომარეობის მიხედვით, ყოველი პიროვნება წარმოადგენს თავისებურებას, განუმეორებელს დროულსივრცისეულად; შეცნობა და შემდეგ განვითარება შინაგანი პროცესისა ორმაგი ასოციაციებით ატარებენ უსათუოდ ინდივიდუალურ ხასიათს: განსახება შინაგან განცდათა ყოველთვის ვერ არის აბსოლუტურად სწორი, რადგან სიტყვა არის მხოლოდ სიმბოლო, ნიშანი, რომელსაც ხშირად არა აქვს სხვადასხვა ადამიანისათვის ერთი და იგივე მნიშვნელობა და ამიტომ იწვევს ხშირად არა ერთსა და იმავე აზრს, არამედ მხოლოდ მსგავს აზრებს; გარდა ამისა, აზრი გამომსახველი განცდისა, რამდენიმე დღის შემდეგ, და მით უფრო წლებისა, ივსება შემოქმედებითი განსახიერებით, ინდივიდუალური ფანტაზიებით, რაც ხელს უშლის უსათუოდ სიღწურესა და სისწორეს ადამიანის მეობისა ობიექტური თვალთახედვით. უკიდურესი ინდივიდუალიზაცია ამ შემთხვევაში ყოველთვის თავდება სოლიფსიზმით და რამდენადაც სული ადამიანისა დამძიმებულია ფილოგენეტიკური ნალექებით, იმდენად გონება მოკლებულია შინაგანი ხილვის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას: კ ა ნ ტ ი ს Kritik der reinen Vernunft თავიდან ბოლომდე ამ თვალთახედვით შეიცავს პარალოგიზმს, ვინაიდან reine Vernunft თავისთავად არ არსებობს; გნოსეოლოგიური იდეალიზმი ნეოკანტიანელებისა ემყარება წმინდა გონების პრიმატს და ამიტომ შეცდომაზეა აწყობილი მთელი ფილოსოფია იმათი, რომელნიც—ჰ უ ს ე რ ლ ი, შ უ პ ე, კ ო ჰ ე ნ ი და საქართველოში ნ უ ც უ ბ ი ძ ე — ფიქრობენ, რომ ჭეშმარიტების დასაბუთება შეიძლება ლოგიკურად: გნოსეოლოგიურ იდეალიზმს ავიწყდება, რომ ის, რასაც ლოგიკური კანონები ემყარება, არის მხოლოდ ო რ გ ა ნ ო ტ რ ო პ უ ლ ი კ ო რ ე ლ ა ც ი ა უმაღლესი ბიოდინამიკური რეფლექსებისა; პრობლემა ფ ა ქ ტ ო ბ რ ი ვ ი მ ო ც ე მ უ ლ ობ ი ს ა ბოლოს და ბოლოს არის პრობლემა იდეოლოგიის ფ ი ლ ო გ ე ნ ე ტ ი კ უ რ ი დ ა ლ ე ქ ვ ი ს ა; ცნობის ბუნებაში ყოველთვის შედის ელემენტი გენეტიური და რამდე-

ნადაც ცნება გენეზისის არეში გადადის, ლოგიკისა, მისი ძირითადი კანონებისა და ჭეშმარიტების პრობლემა თავისთავად იხსნება. ლოგიკური დებულებები იქმნება ორგანოტროპულ ურთიერთობათა ხვეულებში, როგორც ჩვენი ტანისამოსის მოყვანილობა ჩვენი კუნთების ხანგრძლივ მოძრაობაში.

ცნება და ღირებულება გაადგილებულია სამყაროში — ყოველ კუთხეს და ყოველ წუთს არსებობისას აქვს საკუთარი მყარობა და ჭეშმარიტება, საკუთარი გამართლება და საკუთარი პრინციპი: ფაუსტისა და ჰამლეტის უბედურებანი შედეგია გნოსეოლოგიური აბსოლუტიზმის პრეტენზიებისა და თავაწყვეტილი ტრანსცენდენტური იდეალიზმისა, რომელსაც მარადიულობის წყურვილი ახრჩობს. მაგრამ შეპოჭილია ორგანოტროპული გენეტიზმით. განა ტრანსცენდენტური იდეალიზმის ფორმულა არ არის ჰამლეტის სიტყვები: „ნიგვზის ნაჭეჭში რომ ვიყო მოთავსებული, მაინც ის ვიქნები, რაც ვარო". თავისთავად ეს არ არის მართალი: არამცთუ ნიგვზის ნაჭეჭში, არამედ უპარალო მდგომარეობის გამოცვლის შემდეგ ამას ჰამლეტი ვერ იტყოდა: ჰამლეტი, რომ ერთი საუკუნით ადრე დაბადებულიყო, ან ერთი საუკუნით გვიან, ჰ ა მ ლ ე ტ ი არ იქნებოდა — სხვა იდეები და სხვა ილუზიები სხვანაირად დაატრიალებდნენ მის ცხოვრებას და ქვეყნის ურთიერთობას, „დაირღვა დროთა შორის კავშირი და მე უნდა შევაერთო ეპოქებიო", — განაგრძობს დანიელი ტრაგედიული რაინდი და აქაც ნათლად ჩანს კანტის ტიპის ადამიანი:—დრო ორ მოვლენათა შორის და სივრცე ორ წერტილთა შორის სხვადასხვა ადგილიდან სხვადასხვა მოცემულობით იხედება; კაცობრიული მსოფლმხედველობა შეიცავს გადაადგილების პრობლემას; ჩვენ ვერ ვიტყვით — universalia in rem, ვერც universalia ante rem; უნივერსალიები აზროვნებაში მ ა რ ქ ს ი ს ა და ა ი ნ შ ტ ა ი ნ ი ს შემდეგ ისე საკოდავია, როგორც ძველი ტანისამოსის სასირცხვილო ნაგლეჯები; ვინც აბსოლუტებსა და უნივერსალიებს ქადაგებს ფილოსოფიაში, ეს. ცხადია, ისევ იმ საშუალო საუკუნეებისაკენ იხედება. საიდანაც წარმოიშვა ეს უნივერსალიები თავიანთი ფეოდალურ-არისტოკრატიული პრეტენზიებით და „წმინდა გონებით".

Reine Vernunft კ ა ნ ტ ი ს ა იგივეა, რაც les données immediates ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ა, განსხვავება მხოლოდ საკითხისადმი მიდგომაშია: დასაყრდენი კანტისათვის ინტელექტია, ბერგსონისათვის ინტუიცია; ინტელექტი სტატიკურად გაყოვლადებული ფორმაა აზროვ-

ნებისა, ფორმა მოცემული მათემატიკურ კოორდინატებსა და სქოლიოებში, ფორმა უძრავი, უნივერსალური, შემცველი ყოვლობისა; ინტუიცია ელვისებური გაალებაა შინაგანი ხილვისა, ინტელექტის მხოლოდ ისეთი მომენტებისა, რომლებშიც ორგანული წვა ანათებს არსებობას, როგორც კედლის ხვრელიდან შემოჭრილი მზის სხივი ანათებს ჰაერში განიავებულ მტვერს; ვერც ინტელექტის ბლაგვი წახნაგები, ვერც ინტუიციის მისტიკურ-ელვისებრი გაალებანი ვერ იხედებიან დროულ-სივრცისეული მრავლობის გარეშე — არსი და მისი სული, აზრი და მისი ფორმები განსაზღვრულია ერთი მხრით ფაქტობრივი მდგომარეობით, მეორე მხრით გ ე ნ ე ტ ი კ უ რ ი პ რ ო ც ე ს ი ს დეტერმინიზმით, აქტი ინტელექტისა და ინტუიციის ბუნება-ცნებისა ყოველთვის ატარებს ორგანოტროპულ რეფლექსებს და ის, რასაც გნოსეოლოგიური იდეალიზმის მომხრენი მიაწერენ სულს ან „წმინდა გონებას", შესაძლებელია იყოს ნაყოფი კ ო ო რ დ ი ნ ა ტ ე ბ ი ს მექანიზაციისა; რიცხვობრივ ცვლილებათა გამრავლება აწყობს მატერიაში ხარისხის ს ხ ვ ა ო ბ ა ს და ვინ იცის, განა ც ო ც ხ ა ლ ი ა რ ს ი თავისი სულით და ინტელექტით მართლა ასე დაშორებულია არაორგანულ ბუნებას, როგორც ინტელექტუალისტები ფიქრობენ? სული და მისი განყენებული ფორმა ინტელექტი ისეთივე პროდუქტებია ბუნებისა, ყოვლობისა, როგორც შაქარი და ქინაქინა; ყოველი სხეული ქვეყნად ერთგვარი აპარატია გაღიზიანებათა და მძლეობათა, ყოველი ტანი ერთგვარი აკუმულატორია იმ გავლენათა, რომელთაც ახდენენ სხვა ტანები ან, ზოგადად რომ ვთქვათ, მდგომარეობა, ყოველი მდგომარეობა თავის წყობაში ინახავს ევოლუციის ფილოგენეტიკურ ფორმებს და საგანთა ფაქტობრივი ურთიერთობის შედეგებს: შემოქმედებისა და სულის გამღიზიანებელი იმპულსთაგანი ერთი ფილოგენეტიზმია, მეორე — გარემყარობა, გავლენა გარე მყარობისა აპერცეფციულად ემყარება ორგანული ევოლუციის ფილოგენეტიკურ შესაძლებლობას; სინთეზი ფილოგენეტიზმისა და ფაქტობრივი მყარობისა შემეცნებაში აპერცეფციის საფუძველია; შემეცნება შეუძლებელია, თუ არ არის ინტეგრალური შეხვედრა ფილოგენეტიზმისა და ფაქტობრივი მყარობისა. გნოსეოლოგიური იდეალიზმი ივიწყებს აპრიორიზმის ფილოგენეტურ პირობას და პრობლემა ბიოლოგიური მეხსიერებისა, რეფლექსებისა, ჩვეულებათა კუნთებრივ-ნერვული კოორდინატებისა ცალკე პრობლემად მიაჩნია; ამ მიზნით ცდილობენ კ ო ჰ ე ნ ი და ჰ უ ს ე რ ლ ი, კ ე დ ე ნ ს კ ი და ნ უ ც უ ბ ი ძ ე ლოგიკის არეთა გა-

ფართოებას, პრეტენზიას აცხადებენ ჭეშმარიტების მეცნიერებასა და უნივერსალიების რეგენერაციაზე: თქმა არ უნდა, ეს თავისებური დეფორმაციაა ძველი ინტელექტუალიზმისა. მაგრამ, ცოტა არ იყოს, ისე დაკვიანებული, რომ ინტელექტუალიზმს ვერ იხსნის ღალუპვისაგან.

ინტელექტუალიზმი თავისი ლოგიკურ-ალეთოლოგიური საკითხებით ერთგვარი ფორმულაა ინდივიდუალისტური კულტურისა და ისიც, როგორც ინდივიდუალისტური კულტურა, თავის კონსტრუქციაში მოკლებულია სწორედ იმ ჭეშმარიტებას, რომლის დასაბუთებას ცდილობს თვითონ; კაცობრიობის სული XIX საუკუნემ სოციალური ევოლუციისაკენ გადახარა და წარმოების ვითარებამ გამოიწვია ღირებულებათა გადაფასების სურვილი. ბიოლოგიამ ერთი მხრით, სოციოლოგიამ მეორე მხრით მახვილი ჩასცა აბსოლუტებისა და კატეგორიების სამყაროს: დარვინმა მოუსპო არსებობის საშუალება თეოლოგიას; მარქსმა გამოუნახა მამოძრავებელი იმპულსი კულტურას, აინშტაინმა, ბერგსონმა და შპენგლერმა დაცრიცეს აკადემიური და ფილოსოფიურ-ესთეტიკური აბსოლუტიზმი; ანრი პუანკარემ აინშტაინზე კიდევ უფრო ადრე გარკვევით დასვა რელატივობის პრობლემა — La valeur de la science. აზრის მიმართება ყოველთვის ისაზღვრებოდა კულტურისა და იდეოლოგიის საერთო ევოლუციით და ღღესაც ასე ხდება — თუ საშუალო საუკუნეებიდან დაწყებული მეთვრამეტე საუკუნემდე აზროვნების დირიჟორი იყო თეოლოგიური იდეალიზმი, ჩვენი დროის იდეოლოგიური მეთაურებია სოციოლოგიური შერჩევანი არსებობის საჭიროებისათვის და ბიოლოგიური ფილოგენეტიზმი.

ბიოლოგიზმი სიმბიოგენეზით და ევოლუციის შემოქმედებითი ნაბტომებით სამყაროს ორგანული ფორმების ახსნა-განმარტებისათვის იმეორებს რომაელი პოეტი-ფილოსოფოსის სიტყვებს: Desine quapropter novitate exterritus ipsa expuere ex animo rationem sed magis ecri, indicio perpende et si tibi vera videntar, dede manus aut si falsum est accingere contra*; და ამასთანავე, სპობს ძველ უფსკრულს სულსა და მატერიას შორის იმით, რომ მატერიის ციტოდურ-ონურ განწვალებაში ეძიებს სულიერობის პრინციპს. ბიოლოგიურ სამყაროში ჩვენ ვხედავთ ორგანულ ფორმათა შორის რეფლექსური კოორდინატების ვითარებას არსებობის საჭიროებათათვის: სპე-

---

* Lucrecius, De rerum natura.

ციფიკური თვისებანი ჩვენი გრძნობათა ორგანოებისა ალბათ რთული რეფლექსების ფორმებია და სულის შემოქმედებითი გამახვილება მხოლოდ სინთეზური შედეგია ორგანოტროპულ გადასრნათა; ფაქტი სულიერ სფეროში თითქმის ყოველივის რეფლექსური მოვლენაა — დაუჯერებელია, რომ ენის ელექტრიზაცია არ იწვევდეს ქიმიურ ცვლილებებს გაღიზიანებასთან ერთად: რა არის ბოლოს და ბოლოს ენის ელექტრიზაცია, თუ არა ქიმიური ცვლილებები? და რა არის ქიმიური ცვლილებები, თუ არა ის, რასაც ჩვენ გემოვნებას ვეძახით; ამრიგად, გემოვნების ორგანული შეცნობა უბრალო გამოყოფაა ენის ორგანოტროპული მდგომარეობიდან იმ მომენტისა, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ გემოვნების სახით.

არსებობის ყოველ მოვლენაში — იქნება ეს ქვის ნატეხი შარაგზაზე, თუ იდეა თავის ქალაში — მოცემულია სინთეზური ფორმულა შემოქმედებით ცვლილებათა რეფლექსური კოორდინატებისა. სული და ინტელექტი თავის ლოგიკურ-რაციონალისტური ნორმებით ისეთივე პროდუქტებია სამყაროს ბიოდინამიკურ ცვლილებათა, როგორც ელექტრონი და სინემატოგრაფი. სამყაროში მოძრაობის ყოველგვარი კვალი განმეორებით მოძრაობის სიძნელეს აადვილებს: ცვლილება ტანისა, ჩვეულებად ქცეული, ბოლოს და ბოლოს ტანის თვისებას შეადგენს და კვლავყოფდება ორგანული რეფლექსების სახით მით უფრო ადვილად, რაც უფრო ხშირი იყო მისი სტიქიური, მექანიკური განმეორება კოსმოსური არსებობის დენაში. — საგანი და არსი ერთნაირად ინახავს ორგანული ცვლილებებით შეძენილ თვისებებს და მით უფრო ვირტუოზულად ასახიერებს მათ, რაც უფრო ხშირად მოითხოვს არსებობის ორგანოტროპული პირობები ორგანულ ცვლილებათა კვლავინდებურ ვითარებას.

აქ არის კოსმოსური სულიერების დასაწყისი და ენტელექიის პირველი ნახტომის დინამიკური ფორმა — élan vital.

გრძნობისა და მეტყველების სიმბოლური განიშნებით განმეორებითი მოძრაობა უფრო მარჯვეა, ვიდრე პირვანდელი; მოძრაობის ი ო ნ უ რ ი და ბ ი ო ბ ლ ა ს ტ ი კ უ რ ი ენერგია არ იკარგება — რჩება ჩვეულების სახით; შემოქმედებითი ევოლუციის ყოველი საფეხური ხასიათდება ორგანული განცდის მოგონებით, გახსენებით, გაკვლავყოფებით. განმეორებითი მოძრაობა ამზადებს რეფლექსოლოგიურ ნიადაგს მოძრაობათა შორის ერთგვარი ხარვეზის შეგრძნობისათვის, რომელსაც ჩვენ ვეძახით ხელოვნებაში რიტმის შეგრძნებას; სულის მოძრაო-

ბის ჩვეულება ბოლოს და ბოლოს რიტმის პროცესია; რიტმი იგივე სულია: „უასაკო“. არაორგანული ბუნება ისე გამოსახავს ჩვეულების ძალას, ენერგიის სულს, როგორც მცენარეული და ცხოველური: ქრონომეტრი, როგორც ამბობენ, კარგი თვისებებისაა, თუკი დიდხანს იყო სმარებაში; ძველი წინწილა ხშირად უკეთესია, ვიდრე ახალი: კარი რამდენიმე დღის შემდეგ გაკეთებისა და ჩამოკიდებისა უფრო მარჯვედ ექცევა, ვიდრე პირველად რომ ჩამოკიდეს.

ერთი სიტყვით, განმეორება ერთი და იმავე განცდისა მატერიულიონურ წყობაში იძლევა ტანის ბიოლოგიურ მეხსიერებას: კონდუქტორი მატარებელს მიჰყვება, მას გაქანებული მატარებლის კიბეზე სძინავს, სხეული ისე შესჩეოდა მდგომარეობას, რომ ინტელექტის მაგივრობას ასრულებს და გააზრება არ არის საჭირო, რათა ტანმა შეინახოს თავისი თავი მუდმივად; თითი, რომელიც თქვენ რამდენიმე დღის წინათ იტკინეთ, მიუხედავად იმისა, რომ მოგირჩათ უკვე თავისთავად, გონების, ინტელექტის დაუკითხავად კიდევ დიდხანს ერიდება ყველაფრის მიკარებას: როდესაც თქვენ ხელი ჯიბეში მიგაქვთ, თითი განზე იწევა რეფლექსურად მანამდისაც, სანამ თქვენ გაიაზრებთ თითის შესახებ, თითქოს იგი იყოს შეიარაღებული საკუთარი, ავტონომიური ხასიათის ინტელექტით, — მეხსიერების დინამიკური გაღვარებით — სული. არა მარტო ყოველ უჯრედს, არამედ ყოველ „ციტადს“, ყოველ „ბიობლასტს“ სხეულისას აქვს საკუთარი, ავტონომიური განცდა და სული, საკუთარი „ინტელექტი“. სული ინდივიდუალური მხოლოდ კონსორციული ნალეკია მატერიალურ იონურ წვალებათა, ნალევი პატარა ჰომუნკულების, რომელთა რიცხვი და შინაგან წვათა განმეორებანი ხარისხობრივად იძლევიან ტემპერამენტს ინდივიდუალობისას.

ყოველ ტანში პატარა სურვილების მთრთოლვარე მოძრაობა სურვილთა ატალღებას იძლევა; სურვილთა ატალღება, ჩვეულებად ქცეული, ამზადებს ინტერვალებს რიტმისა და მუსიკისათვის. ამეტყველება სტატიკური ფორმაა მატერიის დინამიკური განცდისა და რყევის: წყალთა მასების ხმაურობა, მცენარეთა რხევა და შრიალი, ცხოველებს ღმუილი ისეთივე ფორმებია კოსმოსური მეტყველებისა, როგორც ჰეგელის დიალექტიკა და ჰიუგოს ვერბალიზმი; ძაღლებს შეუძლიათ ყეფით, კუდის ქნევით, ტანის რეფლექსური კონვულსიებით ზოგიერთი იდეის გამოსახვა; ზღვის ლომი ითვისებს ადამიანის მოქმედებებს თავისებურად და იმეორებს მათ დროგამოშვებით ფსიქიკური ნიშნების ამყოლობით.

მეთაური ირემი აჩერებს ჯოგს განსაკუთრებული ხმებით და ნიშნებით; მაიმუნები, განსაკუთრებით გიბონები, ხშირად იკრიბებიან საბაასოდ; ზოგიერთ ფრინველს შეუძლია ხმების გაბგერება, არტიკულაცია; შ ტ ა ი ნ ტ ა ლ ი ამბობს: ენა არ არის თანშობილი თვისება პრეისტორიული ხასიათისა, ადამიანი ქმნის ენასო. ნ უ ა რ ე მეტყველების ევოლუციას განცდისა და ნებისყოფის განვითარებას უფარდებს. მეტყველება არის ამოძახილი მუსკულების მოძრაობისა; კუნთურ-ნერვული ენერგიის დახარჯვა საფუძველია რიტმული მოძრაობის. რიტმული მოძრაობა ყოველთვის სწერვად ხდება ამეტყველებასთან: ჯერ კუნთურ-ნერვული რყევა, შემდეგ ყვირილი, როგორც განიავება და ფსიქოლოგიური შვება; შემდეგ არტიკულაცია და ვოკალიზაცია: ხმა ისეთივე კუთვნილებაა ჩვენი ტანისა, როგორც კუნთების ელასტიკურობა; გაბგერება კერძოობითი ფორმაა ორგანულ-ფსიქიკური ღელვის; სიტყვა სიმბოლური გამოსახულებაა აღელვებული კუნთების მოძრაობისა და რიტმის. სიტყვას აქვს ორგანულ-ფსიქიკური შეთანაბრებითი ლოკალიზაცია, მაჩვენებელი იმისა, რომ სიტყვა სუსტია როგორც სიმბოლო; პლასტიკა და ორატორული მეტყველება გვაგონებს შემოქმედებითი ევოლუციის შორეულ წარსულს — ჩვენი ორგანულ-ბიოლოგიური სპირიტუალიზაციის ემბრიონულ ეპოქებს: დავიწყებულის გახსენება როდესაც გვინდა, ჩვენ წარბზე ვისვამთ ხელს; როდესაც სურვილი გვაქვს, ვინმეს ჩვენი სიყვარული დავემტკიცოთ, ხელს გულზე მივიდებთ, როგორც სიმბოლოს გრძნობის ლოკალიზაციისას, ზიზღის გამოსახატავად პირის კუთხეებს ვაკეთებთ და ხელებს ვიქნევთ ნერვულად. სწორედ აქ ცხადდება დრამატული ელემენტი ჩვენი სულიერი ცხოვრებისა, სწორედ აქ ისახება ღრმა ორგანული მოთხოვნილება ადამიანის ბუნებისა — განასახიეროს თავისი შინაგანი არსება არისტოტელეს „კათარსისის“ არეში. სულიერობის ნერვულ-ორგანული აკვეთა შინაგანი ხილვის დრამატული ემბრიონია; მატერიას აქვს თვისება, შეინახოს თავის ატომურ-იონურ წყობაში ყოველგვარი შინაგანი რყევის კვალი, მოძრაობა აადვილებს ყოველთვის მოძრაობის განმეორებას; ფსიქოლოგიური ფესვი ჩვენი მეტყველებისა არის უსათუოდ ჩვენი კუნთების მოძრაობა და ამ მოძრაობის რიტმული ენერგია — ქორეოგრაფია არის პირვანდელი სახე ესთეტიკური დასაწყისის; ცეკვა ორგანულ-ფსიქიკური აღელვების პრიმიტიული ფორმაა: მართალია, ტანის მოძრაობა ვერ გამოსახავს საკუთარ სულის მოძრაობას, მაგრამ სულის მოძრაობაზე ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ ერთგვარი წარმოდგენა ყო-

ველთვის, როდესაც ჩვენს სულსა და ნერვებთან ერთად ირხევა ჩვენი ტანი. ჩვენს სულსა და ჩვენს ტანს შორის არსებობს ერთგვარი უმეშ-ველო კავშირი: წარბის მუსკულის შეკვეცა ნიშნავს ყურადღებას, წამწამის მუსკულის აწევა ნიშნავს ჩაფიქრებას; ცხვირის ნესტოების მუსკულის გაფართოება წყრომას გამოხატავს, პირის კუთხეთა მუსკულების გაწევა ზიზღის ნიშანია; მთელი სახე ადამიანისა წარმოადგენს ერთგვარ სცენას, სადაც სულიერი მოვლენები, როგორც მსახიობები, იძლევიან ორგანულ-ფსიქიკურ განცდათა გამოფენას. ტანი ადამიანის რთული ინსტრუმენტია, რომლის ნაწილები თავიანთი უჯრედული სულებით უკრავენ აკომპანიმენტს მთლიანი ინდივიდუალობის სულიერობისას. სიმღერა ფსიქიკური რეზონანსია ორგანული აღლვებისა და პირველყოფილი ადამიანის მეტყველება ალბათ დაიწყო სიმღერით; ყოველი ერი პირველად წყობილსიტყვიერებით ლაპარაკობს, გრაფიკული და პლასტიკური ხელოვნება სტატიკური ფორმებია ორგანულ-ფსიქიკური აღლვებისა და რიტმის; სანამ ადამიანი დაიწყებდა ენის მოძრაობას, კუნთებრივ მოძრაობაში იყო და ღელავდა, როგორც ბავშვი, რომელიც იწყებს წერა-კითხვას. დღესაც წითელკანიანი ინდოელები ერთმანეთს ესაუბრებიან კუნთებით და თითების რხევით. კუნთების ამოძრავება სულიერი აღლვებისა და ნებისყოფის არითმიის მაჩვენებელია. ნებისყოფის არითმია თავისთავად ერთგვარი დრამატიზაციის პროცესია და ორგანულ-კუნთებრივი გამომეტყველება ჩვენი ტანისა თავისი ფიზიოლოგიურ-ანატომიური ნაოჭებით, ნერვულ-უჯრედულ განცდებით და ჩვეულებებით თავისებური ცხადყოფა ყოვლობის ენტელექიის შემოქმედებითი ევოლუციისა და მისი ფორმების განსახიერებისა.

კულტურულ-ესთეტიკური ასახვა წუთისოფლური მიმდინარეობის როგორც მთელი ჩვენი გარეგნობათა ორგანოებით, ისე მთელი ჩვენი შინაგანი ხილვით — ინტუიციით მოხერხებისა და გამჭრიახობის ნაყოფია; ხელოვნების არე უფრო ფართოა, ვიდრე მეცნიერების: თვით მეცნიერება ერთგვარი ფორმაა ხელოვნების; განყენების შესაძლებლობა ადამიანის სულში ესთეტიკური განცდისა და წვალების პროდუქტია. მოწყობილ ტანში ფილოგენეტიკურ-ნერვული სისტემა ემსახურება ტანის აქტივობას იმდენად, რამდენადაც ტანის კუნთურ მოძრაობებში ავტომატურად უკავშირდებიან ერთმანეთს ორგანული რეფლექსები; ხოლო რეფლექსების ერთმანეთთან დაკავშირებას იწვევს ორგანული ცხოვრების ესთეტიკური ინტერესები — ინტერესები თვითდაცვისა და ორიენტაციის არსებობისათვის ბრძოლაში: სული ინდივი-

დუალური, რომელსაც კანტი და ნეოკანტიანელები უყურებენ როგორც ეროვნულ ვალდებულებათა აბსოლუტს. თავის შინაგან წყობაში სოციალურ-ეროვნული კატეგორიაა და არსებითად დამოკიდებულია სოციალურ ურთიერთობაზე: გნოსეოლოგიაში და ონტოლოგიაში სულის სტატიკური შეხედვაა და ხელოვნური განსაზღვრა ნებისყოფის შემოქმედებითი დანართებისა: აზრი ტანის რეფლექსურ მოძრაობათა თავისებური ფუნქციაა და ყოველთვის, როდესაც სული სახიერდება სულიერ მოვლენებში, ჩვენ ვხედავთ პარალელურად კუნთურ მოძრაობათა ავტომატურ ფორმებს, რომელთა საშუალებით ნებისყოფა კუმშავს წარსულის ორგანულ ჩვეულებებს აწმყოში მოქმედებისათვის.

სწორედ ამიტომ ჩვენ უარვყოფთ ინტელექტუალიზმს და მის გნოსეოლოგისტურ ფილოსოფიას, რომელიც მხოლოდ იდეოლოგიური ფორმულაა ინდივიდუალიზმის სტატიკური პათოსისა.

გააზგილება და შეფარდება

ჭეშმარიტებას სახავს არა იდეები, არამედ მდგომარეობანი: აზრის ღირებულება მდგომარეობის რეფლექსია; ყოველი აზრი ჩნდება არა მარტო ადამიანში, არამედ საგანშიც: აზრი იმდენადაა აზრი, რამდენადაც ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ი და კ ო რ ე ლ ა ტ უ რ ი ა. აზრი სიტყვებში გამოსახული, მდგომარეობის საშუალებით საგანს ერთვის ორგანოტროპულად; ჭეშმარიტება არ არსებობს მდგომარეობის გარეშე: ლოგიკური წყობის უძრავი, სტატიკური ფორმები სინამდვილეს არ შეეფერება; ც ნ ე ბ ა ა ი ს ა ხ ე ბ ა მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს გ ა ნ ც დ ა შ ი და არა ლოგიკურ-სტატიკურად ჩაწყობილ ინტელექტში; თვით ი ნ ტ ე ლ ე ქ ტ ი ო რ გ ა ნ ო ტ რ ო პ უ ლ ი კ ო ო რ დ ი ნ ა ტ ე ბ ი ს რ ე ფ ლ ე ქ ს უ რ ი ფ ო რ მ ა ა: ინტელექტს წინ მიუძღვის ინსტინქტი, ინსტინქტი რეფლექსების ქსოვილია, გამაგრებული, განმტკიცებული ჩვეულებებში; ინსტინქტის ორგანული წვალება, ცრეცა ინტელექტის თვითმჭვრეტ სხივებს იძლევა. ერთი სიტყვით, სული წარმოუდგენელია ორგანული წვალებისა და განცდის გარეშე: წინადადება, რომელშიც გამოსახულია ჩვენი აზრი ცხოვრების შესახებ, შემადგენელ წყობაში მიჰყვება მდგომარეობის განცდას და სწორედ ეს საუკეთესო დამამტკიცებელია იმისა, რომ არ არსებობს არავითარი ზოგადი და სტატიკური რეალია (realia) ინტელექტუალური ხასიათისა. ლოგიკა თავის

ისტორიულ ფარგლებში ეწინააღმდეგება მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს ა და გ ა ნ ც დ ი ს ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ს: ჩვენ უარვყოფთ სილოგისტურ ლოგიკას, მის ფორმალურ დებულებას არა მარტო იმ მოსაზრებით, რომელიც წამოაყენა სტიუარტ მილმა, არამედ სულ სხვა მოსაზრებიც — სტიუარტ მილმა შეარყია სილოგისტური ლოგიკის შინაგანი წყობა, ჩვენ ვხედავთ შეურიგებელ წინააღმდეგობას მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს გ ა ნ ც დ ა ს ა და ძველი ს ი ლ ო გ ი ს ტ უ რ ი ფორმის მეტყველების კონსტრუქციას შორის: აზროვნების ლოგიკურ-სტატიკური ფორმა ირყევა ცხოვრების საჭიროების მიხედვით; ცხოვრების საჭიროება იძლევა განცდის ინტენსივობას, განცდის ინტენსივობა კი დინამიკურ სახეს აძლევს მეტყველების კონსტრუქციას; ავიღოთ კონკრეტული მაგალითი, რომელიც არღვევს, სუბიექტისა (ქვემდებარე) და პრედიკატის (შემასმენელი) ს ტ ა ტ ი კ უ რ ურთიერთობას; წინადადება ავიღოთ ყოველდღიური ცხოვრებიდან, რომ უფრო თვალსაჩინო იყოს განმარტება: „მე ვიყიდე გუშინ წითელი ქათამი“.

ლოგიკურ-სინტაქსური შემეცნებით ამ წინადადებაში ლაპარაკია იმაზე, რომ მე ვიყიდე ქათამი: „მე“ სუბიექტია, „ვიყიდე“ პრედიკატი; „წითელი“ განმარტება და სხვა. რეალური ცხოვრების ასახვაში აზროვნების პროცესი ყოველთვის ასეთი შემეცნების ფორმას ვერ მიიღებს: სუბიექტისა და პრედიკატის ურთიერთობა მდგომარეობასთან იცვლება და რამდენადაც ცვალებადია ძირითადი ფორმები მეტყველების ლოგიკური კონსტრუქციისა, იმდენად ცვალებადია ღირებულება აზრის მიმართებისა; მდგომარეობის განცდის ყოველ მომენტს სუბიექტისა და პრედიკატის ურთიერთობა გადააქვს აზრის სრული შეცვლით და გ ა მ ა ხ ვ ი ლ ე ბ ი ს პათოსით ერთი ა დ გ ი ლ ი დ ა ნ მ ე ო რ ე ზ ე. ყოველი სიტყვა ამ წინადადებაში მიიღებს როგორც სუბიექტის, ისე პრედიკატის ხასიათს, თუკი ჩ ვ ე ნ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა, რომელიც აძლევს წინადადების ყოველ გამოთქმას ერთგვარ ინტონაციას, მ ო ი თ ხ ო ვ ს ა მ ა ს: წინადადებაში — „მე ვიყიდე წითელი ქათამი“, თუკი ჩემი ოჯახურ-სოციალური მდგომარეობა გაამახვილებს სიტყვას „მე“, მაშინ „მე“ იქნება მართლა სუბიექტი, თუ არა და — არა, სუბიექტი იქნება სხვა რომელიმე სიტყვა, რომელსაც გაამახვილებს ჩემი მდგომარეობის სოციალური საჭიროება; თუ მე ოჯახში შემოვედი ერთგვარი აღელვებით და ჩემი ცხოვრების საჭიროება მოითხოვს, მივაქციო ყურადღება სხვებისა იმაზე, რომ მე ვიყიდე წ ი თ ე ლ ი ქათამი და არა თეთრი, შავი და პრელი, ცხადია, აზრი მთელი წინადა-

ღებისა და მაშასადამე სუბიექტიც. იქნება გამოსახული ჩემს ინტონაციაში, რომელიც მიუთითებს სოციალური საჭიროების განცდას და რომელიც გამოითქმება სიტყვაში — „წითელი". თუ მე მდგომარეობა მაიძულებს გამახვილებით წარმოვთქვა სიტყვა „ქათამი", თუ მე განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ვთქვა, რომ ვიყიდე ქათამი (და არა ღორი, ბატი, ცხვარი ან სხვა რომელიმე ცხოველი), აზრი, სუბიექტის მაჩვენებელი, გადმოვა სიტყვაზე — „ქათამი". ჩვენ გვაქვს ამ ანალიზში ცოცხალი მაგალითი იმისა, რომ აზრის მიმართებას იძლევა მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს გ ა ნ ც დ ა და სტატიკური დათანაწყობება აზროვნებისა, ლოგიკურ-სინტაქსურად მიღებული, სინამდვილეს შორდება: სინამდვილე ქცევადი და დინამიკურია და ყოველი მდგომარეობა სინამდვილისა ამახვილებს მეტყველების ფსიქიკურ საფუძველს თავისებურად: ღირებულება აზრისა წინადადებაში ეფარდება მდგომარეობის შეცნობას, ხოლო მდგომარეობის შეცნობა მიიმართება სოციალური საჭიროების ინტერესის მიხედვით. სოციალური საჭიროება შესაძლებლად ხდის აზროვნების ვითარების დანახვას, განსაკუთრებით ლოგიკური წყობის კონსტრუქციას. აზროვნების ლოგიკურ წყობას, რომელიც ღვთაებრივ და ტრანსცენდენტურ მოვლენად მიაჩნიათ გნოსეოლოგიური იდეალიზმის წარმომადგენლებს, ჩვენ ვუკავშირებთ ორგანულად, უმეშვეოდ სოციალურ საჭიროებათა კ ო რ ო ლ ა რ ი ე ბ ს და ამით მთელი საიდუმლოება „წმინდა" გონებისა, მისი ანტინომიებისა, აპრიორული პრინციპებისა და სქოლიოებისა ჩვენ თვალწინ იღებს პ ლ ა ნ ე ტ ა რ უ ლ და ო რ გ ა ნ ო ტ რ ო პ უ ლ ხასიათს; შემეცნების პროცესი უკავშირდება სოციალურ საჭიროებათა გენეტიკურ ევოლუციას და ყოველი ფორმა ინტელექტისა ითარგება პლანეტარული ყოფის ჩვეულებათა ხვეულებში.

გნოსეოლოგიური მიმართულება აზროვნებისა — ჰეშმარიტების ლოგიკური ძიება, გარეშე სოციალური ურთიერთობისა, წარმოადგენს უსაფუძვლო პრეტენზიებს ადამიანის სულისას, საზოგადოებრივი ფსიქოლოგია თანდათანობით აცხადებს სითამამეს და წარმოების ვითარებაში ამუშავებს მსოფლმხედველობის ისეთ სისტემას, რომელიც აკმაყოფილებს კოლექტიურ ინტერესებს. ადამიანთა ურთიერთობაში შექმნილ სურვილებს; რამდენადაც ცხოვრების პირობები და ნივთები ადამიანთა გარშემო ქაოსურ-სტიქიურ მოძრაობაში ეწყობიან თანდათანობით სოციალური სურვილების მიხედვით, იმდენად ადამიანთა სურვილებსა და პირობებს შორის იმართება ერთგვარი საორიენტაციო

ჩვეულება შემოქმედებითი ნებისყოფისა. მთელ სამყაროში ჩვენ ვხედავთ ასეთი ხასიათის ურთიერთობას: პლანეტები მოძრაობენ გასხვავებულ ურთიერთობაში: დედამიწა ოკეანეებით და ხმელეთებით ისე შეგუებულია სამყაროს ურთიერთობას, როგორც თევზი წყალში ყოფნას — მოაშორეთ თევზი წყალს, ჩათხარეთ მიწაში და მაშინვე დაიღუპება: დედამიწა, მოწყვეტილი პლანეტებთან ურთიერთობას. გადავარდება გარესკნელში და, აგრეთვე, დაიღუპება; სამყაროში შეუძლებელია ცალკეული ყოფა, განაპირებული დგომა: ყოველი ნივთი შემოკრულია ნივთებით და არსებით; ყოველი არსი შემოკრულია არსებით და ნივთებით, მათი ურთიერთობა ქმნის მათი ტანების ფორმებს, მათი განცდებისა და იდეების სახეებს. ურთიერთობას აქვს შემოქმედებითი ხასიათი: აიღეთ ხე და ტყე: ხეები ტყეში ერთმანეთზე ახდენენ გავლენას და ამ გავლენაში მოძრაობს ორგანული ყოფის ენერგია, ამოჭერით რამდენიმე ძირი ხე და ეს იქონიებს გავლენას მახლობელ ხეებზე, მათ შესვდებათ ნაკლები სისველე, ნაკლები ნოტიო და მეტი მზის სხივები; აიღეთ ჯოგი; ყოველი ცხოველი ჯოგური ცხოვრების პირობებს ეგუება და ითვისებს ჯოგის ფსიქოლოგიას, ინსტინქტურ-ორგანულ მოძრაობებს, სოციალური ყოფის კორელაციას; ბიზონები, სირაქლემები, ნიანგები, ქვემძრომები, ფრინველები — საერთოდ მთელი ცხოველური სამყარო აწყობს და ახერხებს წუთისოფლურ ყოფას ორგანოტროპული ურთიერთობით — შეგუების შემოქმედებითი სწორწონაობით. განა ასევე არ ხდება ადამიანებში? მათ პროფესიულ და სოციალურ საჭიროებათა ურთიერთობაში? განა წარმოების იარაღები, კულტურული შემოქმედების ხერხი, მიღწევანი ხელოვნებისა და მეცნიერებისა ორგანოტროპული ორგანიზაცია არ არის? ყოველმა კუთხემ სამყაროში აკეთა ის, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა; ყოველი პროფესია ირჩევა გენეტიკური მეხსიერების და მდგომარეობის ურთიერთობით; ბუნების შესაძლებლობა ხელს უწყობს ამ ურთიერთობას— სადაც წითელი თიხაა, ადამიანი აკეთებს ჭურჭელს, სადაც დიდძალი ხე-ტყეა, ადამიანი აშენებს და დურგლობას ეჩვევა, სადაც რკინა ბლომად არის, ადამიანი ზეინკლობას სწავლობს; მდგომარეობა იძლევა ორგანოტროპული შემოქმედების შესაძლებლობას, ნებისყოფის ვირტუოზული წრთვნისა და ვარჯიშობის ორგანულ-ფსიქიკურ მოთხოვნილებებს, შემდეგ ინტელექტურ რეფლექსებს, ასოციაციებს და აპერცეფციებს; ლოგიკური აპერცეფციები და ასოციაციები სხვადასხვაობენ ისე, როგორც მდგომარეობანი: ბუშმენის ასოციაციები სხვა წყობისაა,

პარიზელი ინტელიგენტის ასოციაციები სხვა წყობის; სულები ისე სხვადასხვაობენ, როგორც მათი მდგომარეობანი.

ჩვენს სულს არა აქვს არც ერთი ისეთი ხასიათის თვისება, რომელიც არ იყოს შეძენილი ან მემკვიდრეობით, ან ინდივიდუალურად სოციალურ არეში — ჭეშმარიტების, ცნობიერების, ლოგიკისა და მორალის პრობლემა არსებითად დამოკიდებულებისა და შეფარდების პრობლემაა; ქვეყანა ისეა მოწყობილი, ისეთი ხასიათისაა საგანთა და მოვლენათა წუთისოფლური დენა, რომ „ერთში" რაც ისახება, ის წარმოადგენს „მეორის" გავლენას: ერთმანეთზე ახდენენ შემოქმედებითი ხასიათის გავლენას არა მარტო ცხოველები და ადამიანები, არამედ მცენარეებიც; მცენარე მცენარეზე ახდენს გავლენას, მიუხედავად იმისა, რომ მოძრაობა არ შეუძლია; ტყეში, მაგალითად, ყოველი ხე იღებს არსებობისათვის იმდენ სინათლესა და იმდენ ნოყიერებას, რამდენიც მას ერგება სხვა ხეთა შორის; სოციალური ურთიერთობის პრინციპები ბუნებრივად აწყობილია და ყოველი ბუნებრივი მოვლენა ემორჩილება მას დროულ-სივრცისეულად. მთელს სამყაროში — ბუნების ყოველ კუთხეში სოციალური შეფარდების ფორმები არსებსა და მოვლენებს აძლევენ მიმართებას. დამოკიდებულებისა და შეფარდების საკითხი ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რომელიმე აბსოლუტი: ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველგვარი ატრიბუტი, ყოველგვარი კატეგორია, რომელთა შესახებ ესოდენ მჭევრმეტყველებას ხარჯავენ ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე, კ ა ნ ტ ი, ს პ ი ნ ო ზ ა, ლ ა ი ბ ნ ი ც ი, ბ ე რ ნ ა დ ო, ბ ო ლ ც ა ნ ო და სხვები, წარმოადგენენ სოციალურ-გენეტიკურ ჩვეულებათა კოროლარიებს.

არსისა და მისი შემეცნების ცალკეული, სრულებით განაპირებული დგომა შეუძლებელია: შემეცნებისა და საერთოდ აზროვნების ბუნება ვერ იარსებებს პირობებისა და შეფარდების გარეშე; აზრი იმდენად არის დასაბუთებული, რამდენადაც შეფარდების გამომსახველია, რამდენადაც „ერთში" ჩანს „მეორეს" გავლენა. წარმოვიდგინოთ, რომ ერთი ღამის განმავლობაში ჩვენი ძილის დროს ქვეყნად ყოველი არსი ათასჯერ გადიდდა; სახლი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ტახტი, რომელზეც ჩვენ ვწევართ, თვალები, რომლებითაც ჩვენ ვიხედებით, თითები, რომლებითაც ჩვენ ვწერთ, მაგიდა, რომელზეც ვსადილობთ, ლუკმა, რომელსაც პირში ვიდებთ, პირი თვითონ, კბილები, მთელი ტანი და ჩვენ გარშემო მთელი სამყარო საგნებით და მოვლენებით — ერთი სიტყვით, ყველაფერი ღამის განმავლობაში ათასჯერ უფრო გა-

დიდდა. შევამჩნევდით თუ არა ჩვენ ასეთი საყოველთაო მოცულობის გადიდებას, ასეთი არაჩვეულებრივი ხასიათის მოვლენას? — ცხადია. ვერა. ეთქვათ ჩემი ოთახიდან ჭიშკრამდე გუშინ იყო ორასი ნაბიჯი, ღამის განმავლობაში ეს მანძილი გახდა ათასჯერ მეტი, მაგრამ ჩემი ფეხებიც ხომ ათასჯერ უფრო დიდი იქნება გუშინდელზე და თუ ეს ასეა, მაშინ მე ოთახიდან ჭიშკრამდე რომ მივიდე, დამჭირდება დღეს იმდენი დრო, რამდენიც გუშინ დამჭირდა. ჩემი ორგანული ენერგია დაიხარჯება იმდენი, რამდენიც გუშინ დაიხარჯა და ფსიქიკურად, განცდის სფეროში ჩემთვის არსებითად არაფერი შეიცვლება. ვინ იცის, შეიძლება სამყაროში შეფარდებათა ასეთი ცვლილება ყოველ წუთს ხდება, მაგრამ ჩვენ ვერ ვამჩნევთ — შემეცნების ჩვეულება შემეცნების ფორმებს ხდის სავალდებულოდ და როდესაც ლაპარაკობენ ლოგიკური პრინციპის შესახებ, ივიწყებენ თითქმის ყოველთვის, რომ ლოგიკა მთელი თავისი ფორმულებით და კატეგორიებით პლანეტური და სოციალური საჭიროების გამონაწურია: მდგომარეობის შეფარდება აწყობს ლოგიკურ პრინციპებს და ყოველი კუთხის, ყოველი კლასის ლოგიკა ისე თავისებურია, როგორც ესთეტიკა; ბურჟუაზიული ლოგიკა სულ სხვა სახისაა, პროლეტარული კი — სულ სხვა: ყოველი მდგომარეობის სოციალური ინტერესი თავისებურად ასაბუთებს თავის არსებობას და მდგომარეობასთან ერთად იცვლება ჩვენი სულის ლოგიკურ-ესთეტიკური პრინციპი. ცხადია, სოლოგიზმის ფორმები ლოგიკის სახელმძღვანელოებში ჩაწერილი, დარჩება ისე, როგორც იყო, მაგრამ სოციალური მდგომარეობის ყოველი თავისებური წყობა, მიუხედავად იმისა, რომ ლოგიკის სახელმძღვანელოში არის ჩაწერილი, თავისებური იქნება, ამაში შინაგანი სიმართლე უსათუოდ მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი თ განისაზღვრება, და არა იმით, რაც სილოგიზმებშია ჩაწყობილი.

პრობლემა ლოგიკური სუბსტანციისა წარმოუდგენელია, თუ არ არის კონკრეტული მატარებელი მეობისა და რა არის მეობა, თუ არა ერთგვარი კონა პერცეფციებისა; როდესაც ჩვენ შინაგანი ხილვით ვიჭრებით იმაში, რასაც ეძახიან „მე"-ს, ვამჩნევთ რომელიმე პერცეფციას: მეობის შეგრძნობათა სამყარო ყოველ წუთს შეიცავს მდგომარეობის რომელიმე გამოვლენას; სითბო, სიცივე, სინათლე, სიბნელე, სიყვარული, სიძულვილი, სიამოვნება, ტანჯვა პერცეფციებია; ჩვენ ვერ დავიჭერთ მეობის ვერც ერთს წუთს პერცეფციათა გარეშე და როდესაც რაიმეს განვიცდით, ან რაიმეზე ვფიქრობთ, ჩვენს მეობაში იწყება პერ-

ცეფციათა მთელი მოძრაობა, მთელი ღელვა; ამ ფსიქიკურ ღელვაში განსაკუთრებით ვამოიყოფა რომელიმე მომენტი, რომელიც ეთანხმება ჩვენი ყოფის სოციალურ ინტერესს და აქ არის როგორც ლოგიკის, ისე ესთეტიკური დასაწყისის პრინციპი: ჩვენ ვიგებთ ადვილად ისეთ აზრებს, რომელთაც აქვთ მსგავსება ჩვენს აზრებთან; ჩვენ ვიგრძნობთ რომელიმე სიხარულს, ან ტკივილს მორალური ხასიათისას იმდენად, რამდენადაც დაკავშირებული ვართ საყოფაცხოვრებო ინტერესით ჩვენი აზრებისა და განცდების სოციალურ არეებთან; საკვირველია თვით აზრისა და განცდის ურთიერთობა: აზრი მაშინ შეითვისება, როდესაც აფექტის პროცესს გაივლის; ხოლო ამისათვის აზრს ესაჭიროება სოციალური არე და შეფარდებათა ობიექტები: საკმარისია, მე შევხედო მჭიარული სახის ადამიანს და იდეა-შეცნობა აფექტის სახით შეცვლის მთელ ჩემს სულიერ განწყობილებას, მიუხედავად ჩემი ლოგიკური და ესთეტიკური პრინციპებისა; საკმარისია, მე დავინახო გაბრაზებული ადამიანი, რომ ჩემში წარმოიშვას ერთგვარი მსგავსი ხასიათის სულიერი მოვლენა, მაჩვენებელი შეფარდებისა იდეებში. ამრიგად, იდეები და გრძნობები მართლდებიან ცხოვრებაში ერთგვარი შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ დ ა უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი თ: სხვათა იდეები და აზრები, სხვათა გრძნობანი და ილუზიები იმდენად გასაგებია ჩემთვის, იმდენად ირკვევა ჩემს ცნობიერებაში, რამდენადაც ჩემი სული, ჩემი ცნობიერების სამყარო — ჩემი მე თავიანთი ფორმების გენეტიკურ ცვლილებებში ისეთივე მდგომარეობაში იყვნენ, როგორც სხვათა სულები, სხვათა იდეები და ცნობიერებანი. ლოგიკური, მორალური, ესთეტიკური „დასაწყისები" კი არ წარმოადგენენ მარადიულ უნივერსალიებს, არამედ დროულ-სივრცულ კოროლარიებს, შემუშავებულს თანდათანობით სოციალურ ჩვეულებათა ფორმებში; სხვათა აზრები და გრძნობები ჩვენში მხოლოდ მაშინ გამოიწვევს თანაგრძნობას, როდესაც შესაძლებელია ფსიქოლოგიურად იდეათა და გრძნობათა სოციალიზაცია; შეცნობა რომელიმე ფაქტისა ცხოვრებაში მდგომარეობს გარკვეულ შეფარდებათა შეცნობაში: არც ლოგიკური, არც მორალური, არც ესთეტიკური, არც რელიგიური ფაქტი ცალკეულ კატეგორიას არ წარმოადგენს და ბოლოს და ბოლოს ფაქტის რეალობა გამოისახება ურთიერთობაში, რომელიც გვხვდება ყველგან, სადაც სამყაროში არსი იკავებს რომელიმე ადგილს არსთა შორის; სული ყოველთვის დაინახავს თავის სურვილებში იმას, რაც მდგომარეობის გავლენამ შექმნა სულში, ხოლო მეორე სული თავის განცდებსა და სურვილებში უკავ-

შირდება პირველს იმდენად, რამდენადაც გენეტიკურად ჩაისახნენ საერთო მდგომარეობაში, საერთო ყოფაში. სულისა და ინტელექტის ორგანიზაცია წუთისოფლად წარმოადგენს სოციალური ცხოვრების გენეტიკურ ფუნქციას და ყოველი სულიერი მოვლენა — ყოველი გრძნობა, ყოველი იდეა ისეთივე სოციალური ფენომენია, როგორც ყოველი მოვლენა, ყოველი არსი.

წუთისოფელი უთვალავ ფერებში სხვადასხვაობას გვიშლის თვალწინ. საიდან არის ეს სხვადასხვაობა გვარებისა, ჯიშებისა, რასებისა, ხასიათებისა, ფორმებისა? ვინ ჩამოაყალიბა სახეები კანონთა, ჩვეულებათა, ზნეობათა, იდეათა, გრძნობათა? ვინ შექმნა მასალა არსებობისა, წყობა სხეულისა, დახრილობანი ტემპერამენტისა, თვისებანი მოვლენათა, უხეირობანი და ბოროტებანი ბაქტერიებისა? ყველაფერი ყველგან განასახიერა არსებობის საჭიროებამ: ბ ერ გ ს ო ნ ი ს შემოქმედებითი ევოლუცია და ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს ენტელექია ბოლოს და ბოლოს არსებობის საჭიროებათა ორგანოტროპული რეალიებია; მეტყველება, რელიგია, მეცნიერება, ტრადიცია, ფილოსოფია, ესთეტიკური გემოვნება რ ე ფ ლ ე ქ ს ი ო ლ ო გ ი უ რ ი ფორმებია პლანეტურ საჭიროებათა სოციალური და კლასობრივი განცდებისა: პირობები, რომელთა შორის ტრიალებს ყოველდღიურად არსებობის საჭიროებისათვის ადამიანი, ქმნის თანდათანობით, ტანჯვით, წვალებით, ღელვით ტემპერამენტსა და სულის თვისებებს; ადამიანი ითვისებს ყოველგვარ ჩვეულებას, ყოველგვარ გრძნობას სოციალურ წვალებათა ხვეულებში; არ არსებობს არც ერთი თვისება პლანეტური ყოფისა, რომელიც არ იყოს გენეტიკური შედეგი არსისა და მდგომარეობის ორგანოტროპული ურთიერთობისა, იდეები არიან მატერიულ-იონურ წვალებათა ასხივოსნებანი და იდეოლოგიათა მოდიფიკაციებს აწყობს სოციალურ საჭიროებათა l'influence de l'habitude. კოსმოსურ უსაზღვროებაში. ყოფას ყოველთვის აქვს სული ორგანოტროპული და კუთხური ხასიათისა; რაც უფრო შორს გაიშლებიან მეცნიერულ-ასტრონომიულ პერსპექტივებში სივრცეები და არეები უსაზღვროებისა, მით უფრო პლანეტური განცდა კაცობრიობისა შეიგრძნობს სევდას ეფემერული არსებობისას. მით უფრო ღრმად და მწვავედ სიყვარულის რელიგია შეიპყრობს შეშინებულ სულს: კაცობრიობის მომავალი კერპი იქნება კოსმოსური ეროსი, მარადიული ქალურობის რომანტიკული გაალებით, გაშლილი საფყაროში და შეკუმშული ადამიანის სულში ორგანოტროპულ გადმონაშთთა აპერცეფციებით.

სული თავისი ასოციაციებით და ტემპერამენტით გენეტიკური ფორმაა შემოქმედებითი ეეოლუციისა, რომლის ყოველ მომენტში -ჭრება ნებისყოფის ინტერესი, რომლის ყოველი ატრიბუტი გამონა-ეურია სოციალურ-კლასობრივ და პროგრესიულ გადახრათა. მას შემ-დეგ, რაც არსებობს აზრი, არსებობს აზრის გამოყენე-ბითი პრინციპი: ანტიკურ ქვეყნებში აზრი ემსახურებოდა არისტოკრატიულ ესთეტიზმს და სამყარო მაშინ ადამიანს ეჩვენებოდა როგორც ორანჟერეა ცისფერი ლილვივით და წრეწირული გუმბათით; საშუალო საუკუნეებში აზრი თეოლოგიას ემსახურებოდა და სულიერ მოვლენებს ერთმანეთთან აკავშირებდა სუპერისტორიული თეიზმი; ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ სამყაროში აზრი ემორჩილებოდა საკუთ-ებით აგრესიული ინდივიდუალიზმის აპეტიტს — ლოგიკა თავისი სილო-გიზმებით და ვერბალური იმპერატივებით წააგავს იმ როსკიპს, რომე-ლიც დღეს ერთს ეკუთვნის, ხვალ მეორეს და, ამავე დროს, ურცხვად დგას ორლეანელი ქალწულის რაინდულ პოზაში; ლოგიკა გნოსეოლო-გიზმით და მორალიზმით გადმონაშთია მეშჩანურ-ინდივიდუალისტური სულის კონსტრუქციისა და სოციალური ესთეტიკის პრინციპი მოითხოვს გნოსეოლოგიის განყენებული, მეტაფიზიკური აპოლოგეტი-კიდან დარჩეს მხოლოდ თეორია იდეათა სოციალური შეთანხმებისა — თეორია სოციალური საჭიროე-ბისა, თეორია აქტივიზმისა და პრაქტიციზმის. ქვეყნად პრაქტიკული ცხოვრება რომ არ ყოფილიყო, არც ლოგიკა და არც მორალი არ იქნებოდა: ლოგიკა და მორალი სუპერისტორიულად კი არ ქმნიან პრაქტიკას, არამედ პრაქტიკა და მისი საჭიროები-თი გამახვილება ქმნის ლოგიკისა და მორალის პრინციპებს; ამავე დროს, ლოგიკასა და მორალს შეუძლია პრაქტიკის მიმართების გადახრა და არსებობის კონსტრუქციის ფერისცვალება; იდეა პრაქტი-კისა და საჭიროების ეპიფენომენია, ხოლო დროგამოშვებით პრაქტიკა და სოციალური საჭიროება იდეის გავლენას განიცდის; მიგომარეობა და იდეა ისტორიულად შემოქმედებით ურთიერთობაში არიან, თუმცა იდეა აქტიურ მოქმედებას იწყებს მხოლოდ მაშინ, როდესაც სოცი-ალური საჭიროება ამახვილებს იდეის გავლენას. რო-გორც წინადადებაში აზრი იცვლება სოციალური საჭიროების განცდის ცვლილებით, ისე იდეოლოგიის ისტორიულ ეითარებაში აზრის მიმარ-თება და ღირებულება იცვლება სოციალურ-კლასობრივ ინტერესთან. შეფარულებით: რამდენად წარსული კაცობრიობისა დახეთქილი იყო

ყოველ საუკუნეში კლასებად და რამდენადაც თითოეული კლასი გამოდიოდა ისტორიულ მოძრაობათა ხელმძღვანელად, იმდენად სოციალური არე იდეოლოგიისა იკუმშებოდა კლასობრივი ინტერესების და საჭიროების საზღვრებში: მეცნიერება, ფილოსოფია, ხელოვნება, ხუროთმოძღვრება და სხვა დარგები შემოქმედებისა ყოველოვის ყოველ სალხის ცხოვრებაში იმდენად სახიერდებოდა, იმდენად ვითარდებოდა, რამდენადაც რომელიმე კლასის ინტერესებისათვის იყო საჭირო. ამიტომ არასოდეს, არც ერთ ეპოქაში შემოქმედებასა და მეცნიერებას, ფილოსოფიასა და ხელოვნებას არ ჰქონია თ ვ ი თ ა რ ს ო ბ ი თ ი და დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ი თ ი ხასიათი: გონებისა და სულის სახეობითი ფორმები ყოველთვის გ ა მ ო ყ ე ნ ებ ი თ ოვისებას ატარებდა, გონება ადამიანისა კაცობრიობის წარსულში არასოდეს „წმინდა“ არ ყოფილა: ინტელექტის ყოველი ფორმა, აზრის ყოველი ასხივოსნება, გრძნობისა და ნებისყოფის ყოველი აფექტი ორგანოტროპულადაა დაკავშირებული მდგომარეობის საჭიროებასთან; ყოველი ტანი ცდილობს შეეგუოს მდგომარეობას, შეეჩვიოს არსებობის პირობებს — გეოლოგიურს, კლიმატურს, ატმოსფერულს, სოციალურს; ყოველი სხეული წუთისოფლად იღებს ისეთ ფორმას, იკეთებს ისეთ გარეგან, თუ შინაგან ორგანოებს, რომელნიც შეეფარდებიან მდგომარეობის მყარობადობას, საგანთა და მოვლენათა ირაციონალურ, სტიქიურ დენას: სამყაროში არ არსებობს არც ერთი ტანი, რომელიც არ განიცდიდეს გავლენას სხვა ტანებისა და მოვლენებისას, რომელიც არ იყოს იძულებული მდგომარეობით, გარემყარობით აირჩიოს ესა თუ ის მიმართება; მდგომარეობა რეგულატორია იმ ქიმიურ-ბიოლოგიურ ცვლილებათა და მოძრაობათა, რომელნიც ხდება სხეულში: ყოველი სხეული სამყაროში წარმოადგენს ერთგვარ ქიმიურ ლაბორატორიას, რომელშიც ჩვეულებით განმტკიცებული „წესით“ მიმოდიან ქიმიურ-ბიოლოგიური პროცესები.

შემოქმედების ორგანოტროპული პრინციპი

კაცობრიობის მსოფლგაგება კონცენტრულად შლის დროულობისა და ვრცეულობის არეს: ე ვ კ ლ ი დ ე ს პოსტულატებისა და პ ტ ო ლ ე მ ე ო ს ი ს ჰორიზონტიდან, თეოლოგიურ-რელიგიური აბსოლუტებისა და ტელეოლოგიურ-რაციონალისტური კატეგორიებიდან თანდა-

თანობით, ეპვების და რყევის განცდებით, გააზრებათა და განსახლებათა გრძნეული კოორდინატებით ჩვენ შევდივართ ლობაჩევსკის, რიმანისა და აინშტაინის კოსმოლოგიურ სფეროებში. საიდანაც სოკრატეს ტიპის ადამიანები და კანტის მორალი თავისი მძიმე ტერმინოლოგიით და კატეგორიებით ისე საცოდავად მოჩანან, როგორც ლამანჩელი რაინდი და მისი ფარ-ხმალი სიერა-მორენის ხეობაში.

კაცობრიობა თითქოს თანდათანობით შედის დაუსრულებელ სამხეცეში: სული ჩვენი შეიარაღებული მეცნიერებით და ტექნიკით, სავსე ეპვებით და ფორმულებით, შებოჭილი კუთხური ჩვეულებებით და სოციალურ-ოჯახური ინტერესებით. თანდათანობით უსაზღვროების ქაოსში იჭრება: დრო იყო, როდესაც ადამიანს ჰქონდა რწმენა უკვდავებისა, ღვთაებრიობისა და სტაბილიზმისა: ლოცვებით და იმედებით, პრეტენზიებით და პრივილეგიებით ადამიანი ინუგეშებდა წუთისოფლად თავს და ყოველ წუთს თავის ყოველდღიურ არსებობას იგი აფერადებდა რომანტიზმით და ილუზიებით: შეიცვალა ფსიქოლოგიური ჰაერთი — პაპების potestas clavium-ის და ინდულგენციების მაგიერ ადამიანმა დაინახა ქვეყნად ბრძოლა არსებობისათვის თავისი კოშმარული შემთხვევებით, მიკრობებით და შეგუების უცნაური ჩვეულებებით. ფეოდალურ-არისტოკრატიული პათოსისა და მოკაზმულობის ნაცვლად ადამიანი შეჰყურებს დიდ ქალაქთა მღელვარე ქუჩებს, ვიტრინების რიალებასა და მანქანების გრაგანს.

რელიგიურ-ეკლესიური დოგმატები, სუბსტანციები, სქოლიოები და კატეგორიები აზიის ხოჯა-ხანებისა და დასავლეთ ევროპის ფეოდალების სასახლეებში შეთხზული, ეგოცენტრისტული „ჭეშმარიტებები“ ცეზარებისა, მეფეებისა და ეპისკოპოსების სოციალურ-ისტორიული სტრუქტურა სხვადასხვა ხალხისა, დატვირთული ტროპული ინტერესების სილოგიზმებით და აყოვლადებული სქოლასტიკური პათოსით, ჩამოეკიდა ცივილიზაციის ენორმულ ისტორიას, როგორც საარეკვილო ნაგლეჯები ძველი ტანისამოსისა. ფილოსოფიური სისტემები და ლიტერატურული ტიპები ევროპისა ფსიქოლოგიური რეალიებია კუთხურ-ეროვნული ტრადიციებისა, რასულ-ისტორიულ კერძოობათა. ყოველგვარ ღირებულებას ამ ქვეყნად აქვს მხოლოდ ადგილობრივი ხასიათი — ყველაფერს აქვს მნიშვნელობა მხოლოდ განსაკუთრებული ჯგუფისათვის. განსაკუთრებული საზოგადოებისა და ეპოქისათვის; მნიშვნელობისა და ღირებულების საკითხი, ბოლოს და ბოლოს,

ინტერესისა და საჭიროების საკითხია: არ არსებობს არავითარი კატეგორიები, არავითარი პრინციპები, არავითარი ლოგიკური კანონები საყოველთაო ხასიათისა, მარადული ღირებულებისა: პრობლემას დროისას, სივრცისას, მოძრაობისას, მორალისას კაცობრიობა ყოველ საუკუნეში სოციალურ-ფსიქოლოგიურ რეზულტატებს უთანაბრებს — ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, აინშტაინის კოსმოლოგიური რელატივიზმი ისეთივე სიმბოლური გამოხმაურებაა ჩვენი დროის სოციალურ-ისტორიული რყევისა და პლანეტარული განცდისა, როგორც ნიუტონის სელესტური მექანიკა იყო თავისი დროის გაზვიადებული თეოლოგიური რაციონალიზმის მათემატიკური სიმბოლიკა.

კაცობრიობის მსოფლმხედველობა ყოველთვის ისტორიული და ტროპულია; სამყაროს წყობა და სახეობა ერთეულების ქაოსია, უდიდესი ჭეშმარიტება მხოლოდ ტროპული განცდის დათანაწყობებაა: სული ჩვენი იხედება წუთისოფლად სოციალურ-ტროპული ინტერესებისა და საჭიროების თვალებით. სისტემები და პრინციპები, ღმერთები, ზეკაცები, კანონები და იდეალები განსხეულებულია ტროპულ-კუთხური ტანჯვით და ილუზიებით. რა არის ნიცშეს ზეკაცი, თუ არა გერმანელი არისტოკრატის პათოსი? რა აქვს საერთო ზარატუსტრას ინდოელთან? განა ტოლსტოი ზიზღით არ უყურებს შექსპირს და განა ამ ზიზღში არ ისახება მთელი ფსიქოლოგია ბარინიზმისა და მისი თვისებური მორალისა? განა ძველი ეგვიპტელი ღვთიური სიხარულით არ ივსებოდა, როდესაც ლოცულობდა ნილოსის წინაშე? განა ეგვიპტელისათვის უმაღლესი ჭეშმარიტება არ იყო ნილოსის ღვთაებრივი კეთილმოქმედება — ეგვიპტის ჭალების დანოყიერება? განა აქ სოციალურ-ტერიტორიული ინტერესი არ ქმნის იდეას ღვთაებრივობისას, და ძლიერებისას? განა საშუალო საუკუნეების ქრისტიანები ცრემლებით არ ივსებოდნენ და როზგებს არ ირტყამდნენ საიქიოსათვის? განა საუკუნეთა განმავლობაში ევროპელები ერთმანეთს ცეცხლში არ წვავდენ ზიარების საკითხისათვის? განა მთელი ერები არ იბრძოდნენ მუმიებისა და ჩონჩხებისათვის? ვინ იცის, რამდენი გულუბრყვილო პატრიოტი მიდიოდა ბრძოლის ველზე pour le roi, pour le patrie? — მაგრამ, ყველაფერი ეს დღეს ისე სასაცილოა ჩვენთვის, როგორც ტიბეტელი დალაი ლამა მლოცველის პოზაში. ყველაფერს, რასაც ისტორიაში ერთ დროის ღიდი აზრი ჰქონდა, რაც უდიდეს ჭეშმარიტებად ითვლებოდა,

რისთვისაც თავს იკლავდნენ და ხშირად ერთმანეთსაც ხოცავდნენ შეუბრალებლად, ჩვენ დღეს ირონიით ვუყურებთ: დრომ და პირობებმა თან წაიღო აზრი ცხოვრებისა, სული ეპოქებისა. ყოველ ეპოქას, ყოველ ტერიტორიას, ყოველ კუთხეს, ყოველ ჯგუფს აქვს სული და სტილი, საკუთარი განცდა და ინდივიდუალობა, რომელთაც ბუნება არ იმეორებს მთლიანი იგივეობით და რომლის ნაწილები დაუსრულებელ ხეტიალსა და ცვალებადობაში არიან. ჩვეულება ორგანულ-ფსიქიკური, რომელიც ყალიბდება საუკუნეთა განმავლობაში განსაკუთრებულ მიწა-წყალზე, განსაკუთრებულ სოციალურ-ისტორიულ პირობებში, მემკვიდრეობით მიღებული ფსიქოლოგიური ატრიბუტებისა და ორგანულ-ტროპულ შეფარდებულობათა საშუალებით იძლევა კულტურისა და ცივილიზაციის ღირებულებებს: დიადი ლაბორატორია ლოგიკურ-გნოსეოლოგიურ და მეტაფიზიკურ-რელიგიური კატეგორიებისა ისტორიულ-კულტურული ჩვეულებაა: ყოველ ეპოქაში მტკიცდება გაბატონებული კლასისა და ჯგუფის მსოფლმხედველობა; ყოველ ისტორიულ პერიოდში ფილოსოფია და ესთეტიკა, მორალი და რელიგია გამოსახავენ რომელიმე კლასის ან ჯგუფის სულიერ მოთხოვნილებებს; კანტის მსოფლმხედველობა ფსიქოლოგიური გამოკრთომაა იმ პოეტურ-ინდივიდუალისტური და რაციონალისტურ-თეოლოგიური სულიერი განწყობილებისა, რომლებითაც შებოჭილია კანტის დროის საზოგადოებრივი აზრი; ყოველ დიდ კულტურას აქვს თავისი ენა, თავისი სტილი და იდეა, რომელიც გასაგებია მხოლოდ იმ ადამიანისათვის, რომლის სული შეჩვეულია და ეკუთვნის ამ კულტურას: სოკრატესა და კანტის რაციონალიზმი, ყოველგვარი სუპერისტორიული პრეტენზიებით, აბსოლუტური ჭეშმარიტების გამოსახვისა ყალბია, ვინაიდან ჭეშმარიტება, როგორც ასეთი, ვერასოდეს ვერ შორდება დროისა და პირობების გავლენას, მდგომარეობისა და ისტორიული განცდის ჰაერეთს.

პროცესი ინტელექტუალიზაციისა ემორჩილება დროულ-სივრცულობას და ძველი არაბეთის დიდი ბრძენი ალ-ფარაბი თავისი არაბული ვიზიონიზმით ისე გამოსახავს არაბეთის ტროპული განცდის ჭეშმარიტებას, როგორც კანტი თავისი გნოსეოლოგიური დუალიზმით ევროპის ფეოდალურ-არისტოკრატიული რაციონალიზმის აპოგეას და ამ აპოგეის ფსიქოლოგიურ დესტრუქციას.

ყოველი კულტურა, ყოველი გეოგრაფიული და გეოლოგიური მყარობისა, შეფარდებით იღებს სრულყოფილ ისტორიულ-ფსიქო-

ლოგიურ სახეს და ყოველი სრულყოფა არის მხოლოდ დროული და კუთხური სიმბოლო რასულ-ბიოლოგიური შესაძლებლობის ფ ი ლ ო-გ ე ნ უ რ ი დ ა ს ო ც ი ო გ ე ნ უ რ ი ტრანსფორმაციისა: რომაელის ტოგა და ევროპელის სერთუკი, ანტიკური ცირკები და ინგლისელების საფეხბურთო მოედნები, მიკენის კულტურა და გოთური სტილი, ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე დ ა კ ა ნ ტ ი, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ა კ ე დ ო ნ ე-ლ ი დ ა ნ ა პ ო ლ ე ო ნ ბ ო ნ ა პ ა რ ტ ე, დ ა ნ ტ ე დ ა რ უ ს-თ ა ვ ე ლ ი, ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა დ ა ი ბ ს ე ნ ი პლანეტურ-ტროპულ შესაძლებლობათა ფსიქოგენეტური რეალიებია: ყოველ მათგანს აქვს საკუთარი ფორმა, მიზანი და მიზეზი, ყოველ მათგანს აქვს საკუთარი იდეა, აზრი, სული და არსებობის წყარო, ყველაფერი ეს გამართლებულია ჩვეულებით, ადათებით, ისტორიულ-სოციალური პერიპეტიებით, პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესებით, ონტოლოგიური საჭიროებებით და ცივილიზაციური ნევროზით.

სამყაროს ყოველ კუთხეს აქვს განსაკუთრებული შესაძლებლობა აღელვების, ათქრიალებისა და ატორტმანების: ცივილიზაცია თავისი ქარხნებით, ქალაქებით, ინსტიტუტებით, ლაბორატორიებით და კოსმეტიკით არის ბიოლოგიური ღელვისა და წვის შემოქმედებითი აკუმულება, აორთქლება, ენერგიის განიავება — élan vital; ცივილიზაცია ყოვლობის ენტელექიის ქაოსური ნახტომია და ყოველი ფორმა კულტურის ტანჯვითაა ნაქსოვი და ცრემლებით ნარეცხი; იერუსალიმი, რომი, ბაბილონი, პარიზი, ბერლინი, ნიუ-იორკი, ლონდონი ბიოლოგიური ღელვისა და აორთქლების გიგანტური სადგურებია.

სამყარო იწვის როგორც ბიბლიური ცეცხლმოდებული ჩირგვი და ამ წვის ასხივოსნება ანათებს ყოვლობის ქაოსურ სიბნელეს, როგორც ელვა ქარიშხლიანი ღამის წყვდიადს. ხალხები თავიანთი ტანჯვებით და ინტუიციებით ანთებენ ცეცხლსა და სანთელს სამყაროს სხვადასხვა კუთხეებში; ადამიანები თავიანთი ინდუსტრიებით და კომბინაციებით დაძრწიან კოშმარულ დაუსრულებლობაში, იგონებენ პრინციპებს და თხზავენ კატეგორიებს თავიანთი ინტერესებისა და გემოვნების ფორმებში. მოდგმები და თაობები ამ პრინციპებით, ამ კატეგორიებით იბოჭავენ სურვილებსა და ნებისყოფას; შავ მანტიაში ხვევენ გრძნობათა ცეცხლის ალებს, კეთილშობილ ჩხვლეტას სულისა და გულისას; როგორც ლეგენდარული სიზიფე, ადამიანები უსარგებლო ტვირთის გადატან-გადმოტანაში ითენთებიან და მუდამ დაუკმაყოფილებელ სურვილთა ძიებაში იხრჩობიან.

მსოფლიო ცივილიზაციის თანდათანობით გაშლაში არ არის მიღწეული დენა, არ არის ერთეულობის მიზანი; სხვადასხვა კუთხიდან სხვადასხვა სახეები და სულები მოჩანან: არიან ეპიზოდები, პერსონები, კერძოობანი, ფრაგმენტები, ინდივიდუალური და სოციალური თავისებურებანი, რომელნიც რიგრიგობით იძირებიან მარადიულობის ხასაში და რომელთა შორის არ არის გამაერთიანებელი ხიდი, არ არის ვადასასვლელ-გადმოსასვლელი ფონი. La durée éternelle არსებობის სასაფლაოზე შლის ასალ-ასალ ჩვეულებებს: უსასღვროებაში კულტურები და ეპოქები ისე იძირებიან, როგორც არსები და პატარა ხიწვები; ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი დიდი ოკეანის კუნძულზე თავისი კონვულსიებით საცოდავად მოჩანს, როგორც ბეღურა ტასმანიის უღრან ტყეში. ფილოსოფოსები, მეცნიერები და გმირები სამყაროს ქაოსურ განგაშში თავიანთი მოქანცული სხეულებით, თავიანთი ფილოსოფიურ-მორალური სოფიზმებით და პრინციპებით ამეტყველებენ მხოლოდ პირუტყვულ-მეცნიერულ ეგოცენტრიზმსა და ტერიტორიულ-კუთხურ ჩვეულებებს; აფრიკის ცხელ ქ ა მ ი დ ე ბ შ ი ტ უ ა რ ი ნ ე ბ ი ს ბ რ ი გ ა ნ დ ი ზ მ ი წარმოიშვა ფსიქოგენეტურად, როგორც ევროპაში რაინდობის კულტი, ან ლ ა ი ბ ნ ი ც ი ს მონადოლოგია: საკმაო საფუძვლიანობის პრინციპის სოციალ-ტროპიზმი ასაბუთებს, ამართლებს როგორც ერთს, ისე მეორეს და ბოლოს და ბოლოს წუთისოფელი წარმოადგენს კუთხურ-ტროპულ ჩვეულებათა დაუსრულებელ ყაზარმას. ამ ენორმული ყაზარმის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სულებია თავიანთი ინტერესებით, ფეტიშებით, თავიანთი იდეალებით და ილუზიებით, თავიანთი მორალურ-რელიგიური რეგალიებით და ტრადიციებით: ყოველ კუთხეშია ღმერთები, პრინციპები, ჭეშმარიტებანი, სილოგიზმები რელიგიისა და ფილოსოფიისა, რომელთაც აზრი და მნიშვნელობა მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში აქვთ, ყოველ კუთხეში არის ლაპარაკი ქაობრიობაზე, აბსოლუტობაზე, მარადიულობაზე, მაგრამ ყოველგვარი დასაბუთება ტროპულია: საბერძნეთის ფილოსოფოსები ქაობრიობაზე მსჯელობენ და თან ამ მსჯელობაში გულისხმობენ ყოველთვის ბერძნებს, სხვებს ბარბაროსებს ეძახიან; განა ეს ტროპიზმი და ეგოცენტრიზმი არ არის? კ ა ნ ტ ი ქადაგებს მორალის აბსოლუტობას ყველა ხალხისა და საუკუნისათვის, მაგრამ მის განყენებულ სისტემურ პ რ ო ფ ე ტ ი ზ მ შ ი გარკეევით იკითხება გერმანული სითამამე ბიურგერული პათოსით და სოციალურ-ფსიქოლოგიური ტროპიზმით. ტ ო ლ ს ტ ო ი თავისი ეთიკური მაქსიმალიზმით და

თავადური გაშლილობით კონკრეტული სიმბოლოა რუსული სულის ისტორიულ-ტერიტორიული გაქანებისა და ნირვანული უსაზღვროების შეგრძნებისა, რაბინდრანათ თაგორის რიტმულ მეტყველებაში მუსიკალურ იდეებად ირხევა ინდოეთის წარსული, ჰაერი, ბუნება და ულრან ტყეთა შტოები. ყოველი დიდი მწერალი და მოაზროვნე აბსოლუტების მწვერვალებს ხედავს კერძოობისა და ისტორიული ტერიტორიულობის შინაგანი ხილვის თვალებით.

რა არის ბოლოს და ბოლოს ის, რასაც ჩვენ კაცობრიობის ისტორიას ვეძახით? — ერთი პატარა კუთხე სამყაროსი სხვადასხვა განმეორებით და ვარიაციებით: უთვალავი პლანეტა და ქვეყანა დასრიალებს უსაზღვროებაში; დრამები, ტრაგედიები და კომედიები კუთხურად იშლებიან; ძალთა პერიპეტიები ჯგუფდებიან როგორც სტიქიონთა როია; ჩვენ კი ვზომავთ ფანტასტიკურ უსაზღვროებას ჩვენი სუსტი თვალებით და საერთოდ შეგრძნებათა ორგანოებით, რომელთა სპეციფიკური ატრიბუტები მხოლოდ დეტერმინაციაა იმისა, რასაც მენდებირანი ეძახოდა l'influence de l'habitude.

ჩვენ სრულიად ანგარიშს არ ვუწევთ იმას, რომ ჩვენი საზომი ჩვენი მდგომარეობისა და სოციალურ-პლანეტური ასოციაციების ნაყოფია; ჩვენ გვავიწყდება, რომ როგორც წმინდა ინტელექტუალური, ისე წმინდა მორალური მიღწევა ჩვენი სულისა მხოლოდ ისტორიულ-კუთხურ ჩვეულებათა ფენომენოლოგიაა.

რაც ხდება ჩვენი პატარა პლანეტის პატარა და ეფემერულ კუთხეებში, ის გვაკვირვებს და მსოფლიო ისტორიას ვეძახით რამდენიმე საუკუნის ეპიზოდურსა და ფრაგმენტულ. აღწერას; რა არის „მსოფლიო ისტორიის" არე დაუსრულებლობასთან შედარებით, იმ დაუსრულებლობასთან, რომელსაც გვისახავენ ნათლად ჩვენს წარმოდგენაში ბიოლოგია და ასტრონომიული მეცნიერებანი? რა პატარად და საცოდავად მოჩანს ჩვენი წუთისოფელი თავისი ცრემლებით, ტკივილებით და კომბინაციებით კოსმოლოგიური თეორიების სამრეკლოდან? რა უაზროა ჩვენი ყოფა და ტორტმანი როგორც ოჯახური, ისე სოციალური უსაზღვროების გაშლილ სივრცეზე?

საღამო ჟამს, როდესაც წუთისოფელი მიიძინებს ფერად სიჩუმეში და ინტელექტი ჩვენი კუთხური არსებობიდან უნიეერსალობისკენ მიიწევს თანდათანობით, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ მეტად პატარა ადგილი გვიკავია მუდამ შეუცნობელსა და მარადიული საიდუმლოებით მოცულ უნიეერსალობაში: მართალია, დედამიწა, კოპერნიკის

შემდეგ არ არის გეოგრაფიული ცენტრი სამყაროისა, მაგრამ ის, რაც დედამიწაზე ხდება, ჩვენ მაინც ყოველობის ცენტრად მივიჩნია და ზეიადი პათოსით ვამტკიცებთ ბალღურ ეგოცენტრიზმს, მუდამ მერყეს და ცვალებადს: ჩვენ ვაზვიადებთ ჩვენს მდგომარეობას არა მარტო სამყაროსა და დაუსრულებლობის წინაშე, არამედ ჩვენი საკუთარი წარსულის წინაშეც; ისტორიკოსების აზროვნება ცალმხრივი და ეგოცენტრისტულია: „საშუალო“ და „ახალი“ საუკუნეები გაჭიმულია თავიანთი ინკვიზიციებით, კარლოსებით, ინდულგენციებით და რეფორმაციებით; ჩვენთან რაც უფრო ახლოსაა საუკუნეები, მით უფრო ბევრს ვლაპარაკობთ მათზე, რადგან ჩვენი ცხოვრება და ინტერესი ეგოცენტრისტულად გადაკავშირებულია მახლობელ მდგომარეობასთან. გაივლიან წლები და ჩვენ სულიერად დავშორდებით ყველაფერს, როგორც დაშორებული ვართ დღეს სფინქსებსა და პირამიდებს. ნაპოლეონისა და ლუდოვიკოების „ისტორია“ შეადგენს ტომებს, მხოლოდ ცეზარებისა და მაკედონელების შესახებ ცოტა რამ ვიცით, და რაც ვიცით, იმასაც მთქნარებით და ზანტად ვამბობთ, რადგან სული, შეხუთული მდგომარეობით და ორგანოტროპიზმით, დაჰშორებია წარსულს, დაჰშორებია სინამდვილეს, ერთ დროს მწველსა და ცეცხლის მფრქვეველს. ამბობენ: დრაკონები, სოლონები, პიზისტრატები არასოდეს არ ყოფილანო, ამბობენ, თითქოს ეს სახელები იყოს გამოგონილი, ლეგენდარული, — ამბობენ, ჰომეროსი არასოდეს არ ყოფილა ქვეყანაზეო, შექსპირს არ დაუწერია „ჰამლეტიო“; საუკუნეები გაივლიან, სუსხიანი ქარიშხალი გადარეცხს არსებობის ტალახსა და ჭუჭყს, დროული მყარობის პრეტენზიებსა და სოფიზმებს; ჩმახი ცხოვრების petits faits მარადობის ოკეანეებში ჩაიძირებიან: ჩვენი კულტურისა და ცივილიზაციისაგან, ჩვენი ისტორიულ-ფილოსოფიური სილოგიზმებისა და სისტემებისაგან დარჩება მხოლოდ მითები და ლეგენდები, მხოლოდ თქმა და ზღაპარი; აფრიკის უდაბნოში შავად აწვერადებული პირამიდები, კელნისა და პარიზის გოთური სტილის ტაძრები, დიდი ქალაქების მანქანათა გრაგანი და ღვედების თქრიალი, უზარმაზარი არეები ისტორიული და სუპერისტორიული პერიპეტიებით დასცინიან ჩვენს ეგოცენტრიზმს წუთისოფლად, დასცინიან ჩვენს კატეგორიებსა და პრინციპებს, გვიმტკიცებენ, რომ ჩვენი მორალი და ჩვენი მსოფლგაგება, ჩვენი ღმერთები და ჩვენი ლოცვები ყალბია sub specie aeternitatis, რადგან გარეშე წრისა, გა-

რეშე მდგომარეობისა, გარეშე l'influence de l'habitude-ისა ყოველგვარ კატეგორიას, ყოველგვარ ღმერთსა და პრინციპს ეკარგება აზრი ცხოვრებაში, ეკარგება საფუძველი მყარობისა, ეკარგება principium rationis sufficientis.

ქვეყნად არის მხოლოდ პროცესები, არის მხოლოდ ღელვა, განგაში, ტორტმანი; ბედისწერა გარდაისახა სტიქიურობასა და ირაციონალობაში; არიან მხოლოდ ტანები და მათი მექანიკური ფიზიოლოგიური დამოკიდებულებანი ერთმანეთთან; ტანებსა და მოვლენებს შორის შემთხვევათა ფერხულია გამართული და ადამიანის გონებამ ვერ გამონახა ფორმულა შემთხვევათა ლიმიტების გამოსარკვევად; ექსპერიმენტები და პოზიტივიზმი, petits faits ყოველდღიურ არსებობაში, პრაქტიკისა და ინდუსტრიის არითმეტიკა — ყველაფერი ეს საერთო კულტურულ მიმდინარეობაში გარეული, იძლევა ქაოსურ სურათს და ამ ქაოსში ადამიანებმა შეიტანეს წუთისოფლად თავიანთი ეგოცენტრიზმი, თავიანთი კუთხურ-ტროპული სურვილები. ყველაფერს, რაც ამ სურვილებს ეწინააღმდეგება ბოროტება დაარქვეს, ყველაფერი, რაც არ არის მიზანშეწონილი კუთხურ-ტროპულ ეგოცენტრიზმთან, ტრაგედიად გამოაცხადეს; შეთხზეს პოსტულატები, კოროლარიები, სილოგიზმები ტროპულ-ეგოცენტრისტული თვალთახედვით და ინტერესებით; ჩინეთის კედლებით შემოხაზეს თავიანთი მიწა-წყალი და ისტორიული პერიოდები; პატრიოტიზმი გამოაცხადეს პრივილეგიად: ქვეყანა გიბრალტარის სვეტებთან თავდებაო, — ამბობდენ ელინები, — ვინც ბერძენი არ არის, ყველა ბარბაროსი და სულელიაო, — აი ტროპული მსოფლგაგების ისტორიული ფორმა.

დღემდე ასეთი ტროპიზმი, მიუხედავად ცივილიზაციის ჰუმანური პრინციპებისა, მიუხედავად კანტის „მაღალი და კეთილშობილი" მორალისა, არის ერთადერთი idée force მატერიალური და სულიერი კულტურისა: განა სახელოვანი გერმანელი ფილოსოფოსები და მეცნიერები არ იყვნენ, რომ ვილჰელმ მეორეს დაუდასტურეს ევროპის განადგურების გეგმა სწორედ გერმანული ორგანოტროპიზმისათვის? განა ფრანგებისა და გერმანელების ისტორიული ურთიერთობა ორგანოტროპული კარჩაკეტილობისა და კუთხურობის დიადი ფაქტი არ არის? განა ვუნდტის აზრი ბერგსონის ფილოსოფიაზე, ტოლსტოის აზრი შექსპირის შემოქმედებაზე ღრმად არ არის გადაკავშირებული ისტორიულ-გენეტიკურ და კუთხურ-ტროპულ ჩვეულებებთან, ადათებთან, განცდებთან? განა ამ დი-

და ადამიანების ურთიერთობაში ნათლად არ ჩანს ლოგიკური დებულებების, სილოგისტური დასკვნებისა და მორალის პრიმატების ეასალური დამოკიდებულება ისტორიულ-ტემპერამენტულ ჩვეულებებსა და ფსიქიკურ-გენეტიკურ ლისანსებზე? განა აქ ლოგიკა და ჰეშმარიტება არ ემორჩილება კუთხურ ფსიქოლოგიას, ისტორიული მყარობის თავისებურებას, რასულ-ბიოლოგიურ დეტერმინაციას?

მართალია, ლოგიკისა და გნოსეოლოგიის ზოგიერთ სახელმძღვანელოში, მათემატიკურ ფორმულებსა და ლიმიტებში აზრი ადამიანის ჰეშმარიტებას ღაღადებს, მაგრამ რით განსხვავდება არსებითად ასეთი ხასიათის „ჰეშმარიტების ღაღადი" იმ პატარა ბავშვის ოცნებისაგან, რომელმაც შემოიგდო ჯოხი ბარძაყთა შორის და რომელიც დარწმუნებულია, დროებით მაინც, რომ შეჯდა ტაიჭზე? ჰეშმარიტება სუპერკონდიციური ბერებისა და ეპისკოპოსების პრობლემაა: ინტელექტუალისტებისა და ალეთოლოგისტების მარადიულ ჰეშმარიტებას ბოლოს და ბოლოს ისეთივე მნიშვნელობა აქვს კულტურის ევოლუციაში, როგორც საშუალო საუკუნეების თეოლოგების აზრს ანგელოზთა იერარქიაზე, ან მაგების ასტროლოგიას. ფილოსოფიური იდეა მსოფლიო ვითარებისა, გადაავლებს რა თვალს წუთისოფელს, აისახავს რა წარმოდგენაში ყოვლობის მიმდინარეობას უსაზღვროებასთან გადაკავშირებით, ამჩნევს სხვადასხვა მიწა-წყალზე სხვადასხვა სახეებს ზოოგენური და ფილოგენური ატრიბუტებით, ცივილიზაციური თავისებურებებით და ფაქტიურ-ემპირიული ჰეშმარიტებებით: ყოვლობის აბსოლუტურ დენას ჩვენ ვამჩნევთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ჩვენ ვაკავშირებთ ჩვენს სივრცით წარმოსახვაში ფაქტიურ-ემპირიულ სხვაობათა მყარობებს ერთმანეთთან და რამდენადაც ჩვენ ვაწვალებთ ჩვენს შინაგან ხილვაში უნაზეს გრძნობებს ჩვენი სულისა და მეობისას.

ლოგიკურ-ალეთოლოგიური ზოგადობანი, იდეალისტურ-რაციონალისტური აბსოლუტები, სუპერისტორიული და სუპერემპირიული კატეგორიები იმდენად არსებობენ, რამდენადაც ჩვენი შემოქმედებითი განსახეობანი აყოვლადებენ კერძო ფაქტებს; ბოლოს და ბოლოს ყოვლობის ის არე, რომელსაც შეიცავს საგანი ჩვენი მსოფლმხედველობისა და რომელიც ჰეგელს ეჩვენებოდა როგორც გრანდიოზული გაქანება აბსოლუტური იდეისა, თავისი გეოლოგიურ-ფილოგენური მეტამორფოზებით, ისტორიულ-სოციალური ცვლილებებით, რასულ-ბიო-

ლოგიური ტიპებით, ფილოსოფიურ-ესთეტიკური სისტემებით, ერთი სიტყვით, მთელი მყარობებით და მისი ცივილიზაციური აკვამლებით, არის მხოლოდ ერთი და ისიც მეტად ეფემერული წრეწირი იმ უსაზღვროებისა, რომლის შიშს განვიცდით ყოველ წუთს და რომელსაც გვესახავს იდეა კოსმოსური დენისა — იდეა მარადობისა.

ვიზიონერებს, ფილოსოფოსებსა და პოეტებს კუთხურ-ისტორიული მსოფლგაგებანი განუზოგადებიათ თავიანთ ოცნებათა განსახლებებში: ანალოგიებით და სილოგიზმებით აუყოვლადებიათ ჰიპოთეზები, სისტემები აზროვნებისა და თეორიები მდგომარეობათა ინტერესების მიხედვით ჩამოუყალიბებიათ; ქიმიკოსებს, კომბინატორებს და ფაბრიკანტებს აუშენებიათ ინსტიტუტები, ლაბორატორიები, სეისმოგრაფიული სადგურები, ობსერვატორიები; მკურნალებსა და ბიოლოგებს მოუნახავთ მარილები, ბალახები, სითხეები, აწყობენ ნარევებს, ამზადებენ მიქსტურებს, ემულსიებს; მოუწყვიათ ქალაქები და სახელმწიფოები რკინის გზებით და გვირაბებით, ასანსიონებით, ელექტროსა და რადიოს სადგურებით; დალაგებულან, დაწყობილან ფერადი მორთულობით და თავიანთი კუთხურ-ტემპერამენტული სოფიზმებით ადამიანები ერთმანეთს ედავებიან და აჯერებენ.

იდეებსა და ღმერთებს წუთისოფლად იცვლიან, როგორც ტანისამოსებს; დროთა ხვეულა აწყობს კრებნარებს, ბიოლოგიურ წვათა და ნერვულ-ფსიქიკურ დრესათა ჟანგულებს ანიავებს დაუსრულებელი წამოწყება მარადიული ცვალებადობისა: სხეულში ხდება მუდმივი ტრანსფორმაცია ენერგიისა იმის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულება აქვს სხეულს სხვა სხეულებთან. არც ერთ ტანს, არც ერთ ხიწვს სამყაროში არ შეუძლია გადალახოს როია საგანთა და მოვლენათა: ღირებულება სიტუაციურია: ყაჩალისა და მიკრობის არსებობას ბიოლოგიური ევოლუციის თვალსაზრისით ისეთივე საფუძველი აქვს, როგორც წმინდანისა და გმირის თავგანწირვას; სიკეთე და ბოროტება ისეთივე კანონიერი მოვლენებია დაუსრულებლობის არეზე, როგორც სითბო და სიცივე; წინააღმდეგობანი ქმნიან მოწინააღმდეგეთა სიდიადეს და ყველაფერი ღირებულია იმდენად, რამდენადაც დროულ-სივრცული საჭიროება მოითხოვს ღირებულების აუცილებლობას: არ არსებობს ღირებულება თავისთავად. არის ღირებულება მხოლოდ საჭიროებისათვის.

შეყვარებულები სიყვარულს ერთმანეთს ეფიცებიან, მაგრამ სიყვარულის ამყოლობაში ერთმანეთის ზიზღით შორდებიან: პოზა დიდებისა

და ჭეშმარიტების კარგავს თავის პათოსის სიზვიადეს შემთხვევათა რიგაში და ერთეულების მყარობა თავისი პრინციპებით და კატეგორიებით ისაზღვრება ონტოლოგიურ მრავლობაში; დიდება და მშვენიერება ცხოვრების ალოგიკურად ღრეკილ ხვეულებში მტვრად და ნაფოტებად იქცევა; მტვრისა და ნაგავისაგან მშვენიერი და დიადი სახეები იქმნებიან.

ცხოვრება უარყოფს ყოველგვარ აბსოლუტობას — იდეის, სისტემის, პრინციპის, მორალის და უფლების აბსოლუტობას: ყველაფერი, რაც არის ადამიანში, — ყველაფერი, რასაც ფარავს აღზრდა, მორალი, ტრადიცია, — ყველაფერი, რაც იწვევს მისწრაფებას, იდეალს, ლტოლვას, მოძრაობას სულისა და გულისას, შედეგია დროული და კუთხური შეჩვევის, ტემპერამენტული და ორგანულ-რასული დახრილობის: რა მნიშვნელობა აქვს ევროპელის ილუზიებსა და იდეალებს ტიბეტის დალაი-ლამისათვის და რა აქვს საერთო ტიბეტის დალაი-ლამას პარიზის ან ლაიფციგის პროფესორთან? უნივერსალური სულიერობის ყოველი სახე — ყოველი მოვლენა ანთებულია კუთხური ინტერესებით და სურვილებით; კუთხური ხერხი და კომბინაციებია კ უ თ ხ უ რ ი ს ა ჭ ი რ ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს; ცივილიზაცია კუთხური ტანჯვისა და ღელვის აორთქლებაა: ცნებები და იდეალები, გრძნობები და ზრახვები იმდენად იღებენ ზოგად ხასიათს, რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც ერთმანეთს ემსგავსებიან სხვადასხვა კუთხეთა ინტერესები და ჩვეულებები; მათემატიკა და ლოგიკური ყოვლადობა ჩვენს პლანეტაზე კუთხური სულების ჩვეულებათა ერთმანეთთან მსგავსებას წარმოადგენენ და უმძიმესი აბსოლუტები გერმანელი ფილოსოფოსებისა გერმანულ ფსიქოლოგიას გამოსახავს ისე, როგორც ტუარინების ბრიგანდიზმი გამოსახავს აფრიკის უდაბნოებში დამშეული სხეულების ინტერესებსა და ველურ სურვილებს: სწორი და მრუდი, პატიოსანი და უსინდისო, ეგოიზმი და თავგანწირვა ისეთი სიტყვები და ცნებებია, რომელთა მნიშვნელობა და შინაარსი ღირებულია მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში — ტერიტორიისა, ისტორიისა და ოჯახურ საზოგადოებრივ ჩვეულებათა პირობებში.

მარადიული არარა არის სამყაროში და ამიტომ საბოლოოდ არც წუთისოფლურ ღირებულებათა კვალიფიკაციაა მისაღები: ეს კვალიფიკაცია დროულ ჩვეულებათა ეპიფენომენური შემოქმედებაა და ნაკარნახევია ინტერესებით — ისტორიულ-სოციალური ტრადიციის ფსიქოლოგიური გადანაშთებით; ღირებულება კუთხურ-ტროპული აყიო-

ტაჟის საკითხია და რაც დღეს ადამიანებს ბოროტებად მიაჩნიათ ქვეყანაზე, ხვალ იმას თაყვანს სცემენ, ხვალ მას ღმერთად აღიარებენ; იდეალი შორეულისა და ხედროულის მხოლოდ დროისა და პირობების შედეგია: რაც ჩვენთვის მარადიულია, ის შეიქმნა დროულ პირობებში; რაც დროულია, ის მარადიული თვალთახედვით ყალბია, რასაც ოდესღაც ადიდებდნენ, ის ჩვენ დღეს გვეზიზღება და რასაც დღეს ჩვენ ვადიდებთ, ის მომავალს სასაცილოდ არ ეყოფა: ჭეშმარიტება დროისა და ეპოქის ილუზიაა; ყოველი საუკუნე თავისას ამბობს, ყოველი ხალხი თავისებურად ლოცულობს; ყოველი ჯგუფი თავისი სოციალური ინტერესების თვალებით იხედება და ყოველი ადამიანი სულის ექსტაზით და სხეულის ნეიროზით თავის თავს ინუგეშებს. სამყარო ბაზარია, სადაც ცხოველებს შემოაქვთ ყოველი კუთხიდან თავიანთი საჭიროებებით და ინტერესებით ნაქსოვი სურვილები; წინააღმდეგობათა რკალი გარდაუვალია მარადიულად: ადამიანი, რომელიც თავის მეგობარს შემოსავლიან ადგილს აძლევს, კარგი, პატიოსანი და მშვენიერი კაცია, რაც უნდა ცუღლუტი და უსინდისო იყოს სხვებისათვის; მოსამართლე, რომელიც ათავისუფლებს ავაზაკს, ავაზაკის წარმოდგენაში კეთილშობილი და დიდებული ადამიანია: სოციალური საჭიროებით და ინტერესით შებოჭილია სული და ლოგიკა ადამიანისა; სწორედ ამიტომ ხშირად ბოროტება სიკეთეა, ისე როგორც სიკეთე ბოროტებაა: ქრისტემ ლაზარე გააცოცხლა — სიკეთე უქნა განა? — ლაზარეს ორჯერ სიკვდილი დასჭირდა, — რომ არ გაეცოცხლებინა, მხოლოდ ერთხელ მოკვდებოდა. ტყუილი არასოდეს არ თქვაო, ჩვენ ვეუბნებით ბავშვებს, მაგრამ ჩვენ თვითონ ვამბობთ ტყუილს, როდესაც ბავშვი ავად გახდება — დალიე, წამალი ტკბილია შაქარივითო; ჯარის უფროსი ჯარისკაცს ტყუილისათვის სასტიკად სჯის, მაგრამ ბრძოლის ველზე თვითონ ამბობს ტყუილს, რომ გაამხნევოს იგი: მდგომარეობისა და გაჭირვების გარეშე ყველაფერი სოფიზმი და ლეგენდაა, სამყაროს მარადიულ ფერისცვალებაში მარადიულად ცვალებადი ღმერთებია საჭიროება და ინტერესი.

არსებობისა და სამყაროს პატარა კუთხე, რომელსაც იცნობს ჩვენი სული, რომელიც გვაოცებს გეოლოგიურ-ბიოლოგიური ფენებით და სოციალურ-ისტორიული პერიპეტიებით, შემოზღუდულია უსაზღვროების გარსით და რასაც ჩვენ ჩვენს კუთხურ-პლანეტარულ მყარობაში ვქმნით დიდი ექსტაზით და პათოსით, დაუსრულებლობის ირგვლივო-

ბაში მხოლოდ ლანდური ჩვენებაა, მხოლოდ თქმაა: მარადისობის ცხელ სახაშ.. ..ძირებიან ჯ..შები და სახეები, ფორმები და რეალობები, პრ..ციპები და ღმერთები. ისტორიული ეპოქები თავიანთი სტილებით და კოსტუმებით იშლებიან და იკეცებიან როგორც ფერადი მარაოები; ბიოლოგიური ბრგვინაობის ორთქლით ინისლება სამყაროის ინტელექტუალური ჰაერეთი და ყალბი პათოსი სქოლასტიკური რეგალიებისა ადამიანის სულში ადგილს უთმობს კოსმოსურ გრძნობათა ატალლებას; მორალი იხრჩობა ფიზიოლოგიურ წვაში; ისტორიულ კუთხურობათა მეშჩანიზმი იცრიცება და იძენძება... პრინციპს კლავს უსაზღვროების შეგრძნობა და სულის ლტოლვას ანელებს შიში წარმავლობისა. ისტორიოსოფია უარყოფს ისტორიას და სილოგიზმი ისე გამოიყურება ლოგიკის სახელმძღვანელოებიდან, როგორც სველი ქაღალდი შემოდგომის ავდარში.

სამყარო როგორც სხეული და ენტელექია

ქვეყანა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, ჩვენი გრძნობათა ორგანოებისა და ჩვენი შემეცნებითი ბუნების გარეშე ჩვენთვის წარმოუდგენელია: მართალია, რ ა ღ ა ც ა არის ჩვენ გარეშე, მაგრამ თვით ეს აზრი ჩვენი, რომელიც ამბობს, რომ რ ა ღ ა ც ა ჩვენ გარეშე იმყოფება და ჩვენზე მოქმედებს, არის ნაყოფი ჩვენი გრძნობათა ორგანოებისა და სულიერობის შემოქმედებისა, ორგანული ლაბორატორიის მუშაობისა; თუმცა, ამავე დროს, მთელი ჩვენი არსება თავისთავად შემოქმედებაა ჩვენი ორგანოებისა და სულიერობისაგან ერთგვარად დამოუკიდებელი მდგომარეობისა, რომელსაც აწყობს ყოველ წუთს სამყაროს ყოველ კუთხეში კოსმოსურ ფერისცვალებათა არანეემანი. სამყარო per se უცნობია ჩვენთვის, მაგრამ როდესაც ჩვენ ამას ვამბობთ, ჩვენი აზრი, გამოთქმული ამ სიტყვებში, ვერ შორდება ჩვენს ეპიფენომენურ რეალობას, ვინაიდან ჩვენი გრძნობათა ორგანოები და ჩვენი გააზრებანი უცნობზე იმდენად შეძლებენ მსჯელობას, რამდენადაც ჩვენი სუსტი ცნობიერების სამყარო, განსაზღვრული ბ ი ო ლ ო გ ი ურ-ფ ი ზ ი ო ლ ო გ ი ურ ი პ ი რ ო ბ ე ბ ი თ, ნაცნობიდან გადადის უცნობზე მხოლოდ სახეობით გააზრებაში, მხოლოდ იმ ეპითეტებით და ატრიბუტებით, რომელნიც მიეწერებიან ცნობილ მდგომარეობას ტანჯვით, წვალებით სოციალურ საჭიროებაში და რომლებითაც ჩვენი სული და

ინტელექტი იძულებულია დაახასიათოს უცნობი მდგომარეობა.

კანტმა, როდესაც იგრძნო ეს, მთელი შემეცნების პრობლემა გადაიტანა პრაქტიკული ცხოვრებისა და რწმენის სფეროში: სხვა გამოსავალი კანტს არ ჰქონდა, აქ ის უნდა დაყრდნობოდა რწმენას. ვინაიდან თეორიული, განყენებული პროცესი ლოგიკურ-ალეთოლოგიური ხასიათისა აქ ყოველთვის სქოლასტიკით და ვერბალიზმით თავდება.

კანტის ფილოსოფია საუკეთესო მაგალითია იმისა, რომ გნოსეოლოგიზმი ფილოსოფიაში არის მთავარი მხარე: შემეცნების ანალიზში გულწრფელი მოაზროვნე უსათუოდ წააწყდება საკითხს — საიდან? ფაქტი ჩვენი ინტელექტური ცხოვრებისა დაკავშირებულია ჩვენს გრძნობათა ორგანოებთან, მათ სპეციფიკურ თვისებებთან და მუშაობასთან; ჩვენი მსჯელობა დაშენებულია იმაზე, თუ რას ამბობს ჩვენი თვალები, ყურები, ჩვენი სხეულის მთელი კანი და ლორწოიანი გარსები გემოვნების და ყნოსვის ორგანოებისა; ცხადია, ჩვენ რომ არცერთი გრძნობის ორგანო არ გვქონდეს, გააზრების საშუალებაც არ გვექნება, მაგრამ, მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ გამოიგონა გამადიდებელი შუშა (მიკროსკოპი), ნათლად დამტკიცდა, რომ ჩვენი თვალები რასაც ხედავს, ისეთი სრულებით არაა სამყარო; ჩვენი თვალები ვერ ღებს სინამდვილეს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მიკროსკოპიდან ხედავს ქას; ვინ იტყვის, როდის ვიღებთ ჩვენ სამყაროს სწორ სახეს — მიკროსკოპიდან, თუ მარტო ჩვენი თვალებით? ყოველ შემთხვევაში საათვალეებიც იმას ამბობს, რომ ჩვენი თვალი, როგორც მიმღები ორგანო, ძალიან მგრძნობიარეა, მაგრამ, ამავე დროს, ძალიან სუსტი და განსაზღვრული თავისი ფიზიოლოგიურ-ანატომიური და მორფოლოგიური ბუნებით. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დარწმუნდნენ გნოსეოლოგისტები, რომ აზროვნების პროცესის განხილვა გენეტიზმის გარეშე შეუძლებელია და უნაყოფო. აზროვნება ეპიფენომენია სულიერობის და სული თავისთავად დინამიკური აორთქლებაა მატერიული განწვალებისა, აზროვნება, ამრიგად, ერთგვარი ყაყუხედვაა მესამე საფეხურიდან — თვითქვრეტაა თავისი პირვანდელი ბუნებისა, მატერიული სამყაროისა; სული და ინტელექტი ისეთივე თვისებებია მატერიისა, როგორც სითბო, სინათლე, ელექტროობა და რადიაცია.

ინტელექტის ინტუიციური ხილვა დროგამოშვებით ისე ანათებს სამყაროს, მის საგნებს, არსებასა და მოვლენებს, როგორც ელვა ღამის

წყვდიადში; ერთი ან ნახევარი წამით ჩვენ ვხედავთ სამყაროს და მოვლენათა ქაოსურ როიას; შემდეგ ისევ ბნელი ქაოსი აღებს თავის ხახას: ჩვენი ინტელექტი უინტუიციოდ იღებს სამყაროს მხოლოდ სტატიკურ, უძრავ ფორმებს და ინტელექტუალური შემეცნება ერთგვარად ყალბია; ინტელექტი მხოლოდ ინტუიციურ ვაღლუბაში ჭვრეტს ნივთებს კავშირს ადამიანთან; ინტუიციური გაალება იგივე პოეტური და სიმბოლური ხილვაა ჩვენი სულისა, რომელსაც სამყარო ეჩვენება როგორც მთლიანი სხეული, რომელიც ოდენობით გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ჩვენ ვართ, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენს თვალებში; ჩვენი გრძნობათა ორგანოების მიმღეობასა და შეცნობაში ჩვენც ერთგვარ პატარა სამყაროს წარმოვადგენთ: ჩვენში ჩვენი სხეულის ნერვულ-უჯრედულ ხვეულებში, ჩვენი სხეულის ლორწოიან გარსებში უთვალავი არსებები და ბაქტერიები ისე თავისუფლად დანავარდობენ როგორც სამყაროში ჩვენ; დროგამოშვებით ბაქტერიები და ჭიები ჩვენს სხეულში ისეთსავე აჯანყებებს ახდენენ, როგორც ჩვენ ვახდენთ ისტორიაში; სამყაროს უსაზღვროებაში მთელი ჩვენი სურვილებით, იდეალებით, გრძნობებით, ილუზიებით ბოლოს და ბოლოს ჩვენ იგივე ვართ, რაც ჭიები და მიკრო ორგანიზმები ჩვენს ნაწლავებში; სამყარო სხეულია. ერთი დიდი სხეული თავისი ნერვული სისტემით, ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური მყარობით, მორფოლოგიით და ინსტინქტებით, სამყარო, როგორც სხეული, ისე განიცდის თავის ორგანულ-გეოლოგიურ და ბიოლოგიურ ცვლილებებს, როგორც ცალკეული ადამიანი განიცდის თავისი ტანის ცვლილებებსა და ტკივილებს; შეიძლება სამყაროში მეტეოროლოგიური მოვლენები, მაგალითად გვალვა, ისეთი რამე იყოს, რაც წააგავს ჩვენი კუჭის დისპეპსიას; განა მდინარეები თავიანთი წყალთა მასების ტალღებით ბუნებაში იგივე არ არიან, რაც სისხლის მილები ჩვენს ორგანიზმში? განა გაჭირვების დროს ჩვენი ტანი ისე არ იკრუნჩხება კონვულსიებში, როგორც ჩვენი პლანეტა გეოლოგიური ფენების რყევისა და ძვრის დროს? განა სამყაროს დროგამოშვებით ისე არ მოევლინება კოსმოსური არითმია და განგაში, როგორც ადამიანებს ისტორიაში? განა პლანეტები ერთმანეთთან სიყვარულით არ არიან შეკავშირებული — ვინ არის, რომ სივრცეში აჩერებს ამ პლანეტებს? რატომ არის, რომ პლანეტები უფსკრულში არ ცვივდებიან? ჩვენ ვფიქრობთ, რომ პლანეტები ისე განიცდიან სექსუალურ ატრაქციებს, როგორც ადამიანები და ცხოველები: პლანეტების რიტმულ რხევაში უსაზღვროების არეზე ჩანს კოსმოსური ეროსის თამაში — პლანეტები ეარშიყებიან

ერთმანეთს და უსაზღვროებაში გადაწოლილნი, ერთმანეთს კოცნიან შორეული ნდომით; პლანეტები ისე არიან დედლები და მამლები, როგორც დედამიწაზე ფრინველები და ცხოველები. პლანეტების უზარმაზარ საშოებში ღიაბღეებისა და სიკვდილის დაუსრულებელი ქარიშხალია და ამ ქარიშხალში ტრიალებენ ჩვენს პლანეტაზე თაობები და არსები თავიანთი ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური ინტერესებით, სოციალ-ისტორიული პერიპეტიებით, მორალურ-ესთეტიკური ჩვეულებებით და კულტურულ-ცივილიზაციური ილუზიებით.

ამ თვალთახედვით მეტად საცოდავია ჩვენი ყოფა წუთისოფლური — თუ მართლა ჩვენ ქვეყნად გვიკავია ისეთივე ადგილი, როგორც ჭიებსა და მიკრობებს ჩვენს ტანში, მაშინ ჩვენი მორალი, ჩვენი მეცნიერება, ჩვენი ფილოსოფია და ხელოვნება მხოლოდ კომბინაციები და მოხერხებაა, ნ ა კ ა რ ნ ა ხ ე ვ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი თ დ ა გ ა ვ ი რ ვ ე ბ ი თ. ჩალის ფასად არ ღირს მაშინ ჩვენი წუთისოფლური ყოფა მთელი ჩვენი ოჯახურ-ნათესაური ფარისევლობით და ობლიჟანსებით, მთელი გერმანული გნოსეოლოგიით და ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს სილოგიზმებით.

წუთისოფელი მხოლოდ ქიმიზმი და ყნოსვაა ტანებისა... სული წვალების აორთქლებაა, იდეა — წვის ასხივოსნება. მთელ სამყაროში, რომელიც წარმოადგენს ერთ ორგანიზმს, ერთ სხეულს, მეთოდურად დაშლისა და წვის ქიმიური პროცესი ყოველგან ერთნაირად ტარდება, მხოლოდ ფორმებში გამოისახება სხვაობა, რომელიც ახასიათებს ბუნების მოვლენების ბედს ამ ქვეყნად: ტყეში ხე ორგანულად ისე ფუღუროვდება, როგორც ჩვენი სხეული მოხუცებულობისა და სისუსტის დროს, მხოლოდ ფორმა ორგანულად დაშლილი ხისა და ჩვენი ტანისა სხვადასხვა სახისაა; წყალთა მასები მდინარეებსა და ოკეანეებში ისე მოძრაობენ, როგორც სისხლის ბურთულები ჩვენი ტანის სისხლის მილებში, მხოლოდ პროცესი მოძრაობისა ოკეანეებში სხვა ფორმისაა, ჩვენს ტანში კი — სულ სხვა; ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა ს თქმით. მთები ისევე იბურებიან ფიქრთა ნისლებით, როგორც ჩვენი თავის ქალა; მთის წყაროს ისეთივე წუხილი და სევდა აქვს ინდივიდუალობის დაკარგვისას. როდესაც ის უერთდება დიდ მდინარეს, როგორც ჩვენ, როდესაც ჩვენი წუთისოფლური ყოფის ბოლოს ჩვენი ტანი უერთდება ბუნებას, როდესაც ჩვენი „მე", აკინძული ბიოგენეტიკური წვალებით, იშლება სამარადჟამოდ და მთელ ჩვენს ფორმულებსა და ნორმებში ჩაწყობილი ყოფიდან, მთელი ჩვენი კულტურულ-ცივილიზაცი-

ური პრეტენზიებიდან რჩება მხოლოდ ერთი მუჭა მტვერი, რომელიც გაიფანტება მ ე ტ ე ო რ ო ლ ო გ ი უ რ ცვლილებებში და რომელიც გახდება გეოლოგიური ფენების მასალა. უსაზღვროებას დაღებული აქვს უძირო ხახა და არსები რიგრიგობით იძირებიან ამ ხახაში: ვერც დამსახურებული პროფესორების ფორმულები, ვერც აჩქარებული დოცენტების ტრაბახი და პრეტენზიები, ვერც გულაჩუყებულ მეოცნებეთა ლამენტაციები ვერ გარდაქმნიან მყარი -- არსებობის ბიოდინამიკური დენის მეთოდს: არსებობის წყობაში ადამიანს შეუძლია შეიტანოს განრიგების სისტემა, მაგრამ ეს სისტემა დონკიხოტური დარჩება, თუ შეუფარდებელი იქნება მდგომარეობასთან, პირობებთან — ყოფის საჭიროებასთან: ყველაფერი, რასაც ხალხები ისტორიაში აკეთებენ, ყველაფერი, რასაც ჩვენ ვხედავთ კულტურის ევოლუციაში, ყოველთვის არსებობის საჭიროებით იყო გამოწვეული და არსად ჩვენს პლანეტაზე ცივილიზაციის არც ერთ ფორმაში არ არის მოცემული ისეთი სახე, ისეთი თვისება, რომელიც არ იყოს ნაკარნახევი ორგანული ყოფის სოციალური საჭიროებით; ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს სილოგიზმების კონსტრუქცია, საშუალო საუკუნეების universali-ები, ს პ ი ნ ო ზ ა ს ატრიბუტები, კ ა ნ ტ ი ს იმპერატივები, ნეოკანტიანელების გნოსეოლოგიზმი, ჩვენი დროის ბიოლოგიზმი და სოციოლოგიზმი სოციალურ-პლანეტურ წვალებათა რეფლექსებია: იდეოლოგიას რომ დავაკვირდებით კარგად, რომ ჩავიხედავთ იდეოლოგიის გენეტიკური წარმოშობის შინაგან ხვეულებში, აღმოვაჩენთ ყოველთვის იდეების და ილუზიების ზ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი თ ი, ს ა ჭ ი რ ო ე ბ ი თ ხასიათს.

ისტორიაში არ ყოფილა არც ერთი იდეა, რომელსაც არ ჰქონოდეს ოდესმე სოციალური საჭიროების მნიშვნელობა; როდესაც ვინმე ამტკიცებს იდეის დამოუკიდებლობას, „სიწმინდეს“ (ბ ე რ გ ს ო ნ ი ს pure perception კ ა ნ ტ ი ს reine Vernunft), ამტკიცებს ამავე დროს ორგანოტროპიზმის შინაგან სიმართლეს — სახელდობრ იმას, რომ მისი საკუთარი ყოფა ხელოვნურად მოწყვეტილია ცხოვრების შემოქმედებით, წ ა რ მ ო ე ბ ი თ პრაქტიკას; ყოფას, ვინაიდან უმეშვეო, ორგანული დამოკიდებულება არა აქვს არსებობის წარმოებით მიმდინარეობასთან. სული თავის იდეოლოგიურ წარმოსახვებში გაურბის სინამდვილეს რეფლექსურად და იწყება დაუსრულებელი იდეალისტური ბავარდაჟი „აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე“, „წმინდა ხელოვნებაზე“, იდეის ალეთოლოგიურ-თეოლოგიურ პრიმატებზე; სწორედ აქ ისახება ო რ გ ა ნ ო ტ რ ო პ უ ლ ი ხასიათი იდეასა და მღგომარე-

ობას შორის: სული თავისი შინაგანი დუღილის ასხივოსნებით—იდეით ერთვის ტანის სოციალურ-პლანეტურ წვალებაში შექმნილ რეფლექსებს; იდეა ბოლოს და ბოლოს მატერიის სოციალურ-პლანეტური წვალების რეფლექსებია, რეფლექსები აორთქლილი გენეტიკურად და პრაქტიკული ცხოვრების საჭიროებისათვის ჩვეულებებში სახეებად და ფორმულებად ქცეული.

სამყარო, რომელშიც მიმდინარეობს ყოფა მინერალური, მცენარეული და ცხოველური, არის მატერიული განწვალების დაუსრულებლობა და ყოველი მოვლენა წუთისოფლად წარმოადგენს ერთგვარ სახეცვლილებით იგივეობას ამ დაუსრულებელი განწვალებისას. შეუჩერებელი და უთავბოლო რყევა საგანთა, რომელიც განუწყვეტლივ ხდება ჩვენ თვალწინ, მუდმივი წარმოშობა ორგანულისა და არაორგანული ფორმებისა, ხალვათობა ფერადებისა და ბუნების ძალთა ღელვისა არის მხოლოდ ირგვლივობითი მოძრაობა იმ ელემენტებისა, რომელთა რიცხვი და ხარისხი რჩება ყოველთვის ერთი და იგივე და რომელთა შეუწყვეტელი შემოქმედებითი გადაჯგუფება ქმნის მარადიული სხვადასხვაობის უსაზღვრო ფერადობას. წუთისოფელი მხოლოდ „ელემენტების“ ხეტიალია და ეგვიპტელთა რელიგია ბიოლოგიის ერთგვარ შესწავლას წარმოადგენს: ემბრიოლოგიური გამოკვლევანი გვიჩვენებს (ბერის კანონი), რომ ყოველი უმაღლესი ტიპის ცხოველის ჩანასახი განიცდის სახეცვლილებათა მთელ რიგს, სანამდე მიიღებდეს საკუთარ გვარულ ფორმას, ამნაირად, ენტელექიის კიბე, რომლითაც პირველყოფილი მდგომარეობიდან ამოდის ცხოველთა სამეფო, არის ასლი იმ მდგომარეობისა, რომელსაც განიცდის ორგანიზმში ემბრიონი თავისი სახის დასრულებამდე. ადამიანის ჩანასახი თანდათანობით, ზრდის დროს, იღებს სახეებს: თევზისას, ფრინველისას, მაიმუნისას და მხოლოდ ბოლოს ადამიანისას. ეგვიპტელი ბრძენი საუკუნეთა უფსკრულში ინსტინქტურად გრძნობდა მცენარეულ და პირუტყვულ ყოვლობასთან ნათესაობას და თავის წარმოდგენაში ურიგდებოდა იმ ბედს, რომელიც მის სულიერ ყოფას მოელოდა. წინათაც ჰქონდა ადამიანს ერთგვარი წარმოდგენა იმაზე, რომ არსებობის დაუსრულებელ ჯაჭვში მისი ცხოვრება წარმოადგენდა მხოლოდ ერთ რგოლს, ერთ მარცვალს და მთელი სიცოცხლე იყო მხოლოდ ელემენტების ტრიალი უთავბოლო და შეუჩერებელი. რაც ყოფილა, იქნებაო, — ამბობდა ისრაელელი ბრძენი, დამწვარი განცდით და ნერვული ღელვით. მართლაც ყველაფერი ყველაფერში შედის და ყველაფ-

რიდან ყველაფერი ჩნდება და მეორდება — პურში, რომელსაც ჩვენ ვჭამთ, ჰაერში, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ, წყალში, რომელსაც ჩვენ ვსვამთ, ჩვენ ვიზიდავთ, ვიღებთ ნივთიერებათა ქიმიურ შემადგენლობას, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში შედიოდა ჩვენი წინაპრების სისხლსა და ხორცში. იქთიოზავრებისა და პირველყოფილი „პითეკანთროპუსების“ მარილებით საზრდოობენ მცენარეები. სურნელოვანი ყვავილი, რომელიც საამოდ აღიზიანებს ჩვენს ყნოსვით ნერვებს, სტიქიური დაგროვებაა მარადიული მეხვადობის კეთილშობილი ელემენტებისა და რაც დღეს ნაგავში ყარს, ის ხვალ თეთრ ზამბახად გაიშლება. არაფერი იმიდან, რასაც ჩვენ წუთისოფლად ვხედავთ, არ იკარგება: უძირო სივრცე, პლანეტური წვით გადაორთქლილი, ზღვა და მდინარეები, ცხოველთა და მცენარეთა დაუშრეტელი გზნება — ყველაფერი საერთო წყაროდან ჩნდება და ეს წყარო ყოველობის, მარადიულად მდინარე, როგორც დიდი ოკეანე. არასოდეს არც იკლებს და არც მატულობს.

მცენარე, რომელიც დღეს თავმომწონედ გაშლილა და იზიდავს ხარბად მზის სხივებიდან სითბოსა და სინათლეს, ხვალ ბუხრიდან ამ სითბოს და სინათლეს ბნელ ოთახს გადასცემს და აჩქარებს მოძრაობას პოეტის ან ვაჭრის სისხლისას. შეყვარებულნი, რომელნიც ერთმანეთს ვნებიან სუნთქვაში ჰკოცნიან და სიყვარულს ეფიცებიან, ასრულებენ მხოლოდ ბიოგენეტიკურ მოვალეობას: — ენერგია ყოვლობისა უნდა გადასცენ ახალ ორგანიზმს, რომლის ჩასახვის დროს ისინი გრძნობენ კავშირს მარადისობასთან და თავიანთ სურვილთა აორთქლებაში უერთდებიან უნივერსალობას, თითქოს უბრუნებენ მცენარეებს, მინერალებსა და პირუტყვებს ბიოლოგიურად მიღებულ ელემენტებს; ორთქლმავლიდან წვის ენერგია შედის ვაგონების მოძრაობაში; თოფის წამლის ქიმიური დაშლა იძლევა სინათლესა და მექანიკურ ძალას; ვოლტის სვეტში თუთია და ჟანგბადი ელექტრულ ჩქერში გადადის. ფიზიოლოგიური გაღიზიანება იძლევა შეგრძნებას, შეგრძნება გადადის შთაბეჭდილებაში, შთაბეჭდილება ქმნის შეცნაურებას. ბიოლოგიური ზღვა ღელავს: ტალღა ტალღას მისდევს და მოძრაობა იძლევა სიცოცხლეს საგნებისა და მოვლენებისას. სახეცვლილებით იგივეობაში ყოველობის ენერგია ღებულობს სტატიკურ-მატერიულ სახეს და არც ერთი ატომი თავისი გრძნეული სხეულისა ბუნებას არ ეკარგება: გოთებისა და ვანდალების ძვლებით დანოყიერებული მინდვრებიდან აკეთებენ ღღევანდელი ევროპა და პარიზელი ინტელიგენტის სისხლის

ბურთულებში მოძრაობენ ბუნების წიაღში სახეცვლილი ატომები ატილასი, კარლოსების და მათი ცხენებისა. ბუნების თამაში დაუსრულებელია და ყოველი ახალი წუთისოფლად არის მხოლოდ სახეცვლილი ელემენტებიდან შემდგარი მარადიული ივიეობა.

მუხვადი და განწვალებადი მატერია მოგზაურობს; საგნები მხოლოდ ღასვენებითი წერტილებია ამ უსაზღვრო მოგზაურობის: ზღვის ტალღების აქაფება, პლანეტების სივრცის უფსკრულში ტრიალი, პირუტყვთა და მცენარეთა ზმორება, ატომთა შორის მიმზიდველობა, სქესების შემოქმედებითი დამძიმება და ერთმანეთისადმი ენებიანი ლტოლვა, მინერალების ბუყბუყი, სითბო, ელექტროობა, რადიაცია და მაგნეტიზმი — ყველაფერი გვიმტკიცებს იმას, რომ მატერიას აქვს შემოქმედებითი ენერგია, აქვს ძალა, აქვს სული. მთელი ჩვენი შემეცნება არის მხოლოდ ცენტრალიზაცია ნერვული სისტემის განცდითი სულიერობის. ჩვენი სხეულის ყოველ ნაწილს აქვს საკუთარი შემეცნება, საკუთარი ინტელექტი და სულიერობა, რომელიც შედის ინდივიდუალურ მსოფლმხედველობაში, როგორც მდინარე ოკეანეში და რომელიც საჭიროების დროს მოქმედებს ავტომატურად: საკმარისია ჩვენ ითი გვეტკინოს და რამდენიმე დღე თითი თავისთავად, უჩვენოდ ერიდება ყველაფრის მიკარებას; შეიძლება ეს ვინმემ მიაწეროს შეჩვევას. მაგრამ რა არის ჩვეულება, თუ არა განცდითი სახე შემეცნებისა და სულიერებისა? არის მხედარი, რომელსაც ცხენზე შეუძლია არა მარტო მარჯვედ ჯდომა, არამედ თავისუფლად ძილი და დასვენება იმიტომ, რომ მასში დაგროვილა მეხსიერება დიდი ხნის ორგანული განცდისა და ჩვეულებისა და ეს მეხსიერება მოქმედებს როგორც ინტელექტუალური სახის ბიოლოგიური ენერგია. ბავშვი რომ პირველად ანბანის წერას იწყებს, მთელი ტანით მუშაობს: კალმისტარი რომ თითებით უკავია და საწერად ემზადება მაგიდაზე თავდახრილი, მაშინ მისი ტანის ყველა კუნთიც ღებულობს მონაწილეობას წერის პროცესში და ხარჯავს ენერგიას, ზოგიერთ ბავშვს პირიდან ენაც აქვს გამოწეული, როგორც ნიშანი ორგანული აღელვებისა და ნერვების დაჭიმვისა.

მაგრამ ორგანიზმი ინახავს ჩვეულების ენერგიას და რამდენიმე წლის შემდეგ ბავშვს წერის დროს არ ესაჭიროება არც ნერვების დაჭიმვა, არც ენის გამოგრძელება, არც ორგანული აღელვება. ინტელექტი არის მოხერხება, ეშმაკეულობა — die Liste der Vernunft, რომელიც იქმნება სტიქიურად მატერიის მუხვადობის პროცესში, როგორც ბიოლოგიური ფაქტი.

სტატიკური და დინამიკური მხარეები შემეცნებისა და სულიერობისა, რომელიც შეადგენს ბერგსონის ფილოსოფიის საგანს, არის იგივე კანტის დუალიზმი — ძველი ფენომენისა და ნოუმენის ფილოსოფია, რომელიც არის მხოლოდ ლოგიკური განზოგადებისა და სუბიექტივობის სფეროში. ინტუიცია არის განცდის ეპიფენომენი და სული — სულიერ მოვლენათა ცხადყოფა: წუთისოფლის მოვლენებსა და საგნებს ჩვენი ორგანულ-ნერვული ჩვეულება აძლევს ღირებულებას და სახიერებას. არარა არის ჩვენს შემეცნებაში ისეთი, რასაც ჰქონდეს უნივერსალური, კოსმოსური ხასიათი: ალპებს იქით რაც ჰეშმარიტებაა, ის ალპებს აქეთ სიცრუეა, ამბობდა პასკალი.

წიწილა, კვერცხიდან ახლა გამოჩეკილი, გამწარებით ეძებს საკენკს ისე, როგორც დედამისი: მთელი ორგანული მეხსიერება მემკვიდრეობით გადმოსულა და ცხადყოფდება როგორც ბიოლოგიური ფაქტი, რომელიც ამოძრავებს და ამოქმედებს სხეულს, მატერიას. ყოველი სხეული, რაგინდ მარტივი იყოს ორგანულად, არის უნივერსალური ენტელექიის შესვენების წერტილი: პლანეტების სისტემისა და მოძრაობიდან დაწყებული, გათავებული ცხოველებით და ადამიანებით, ყველაფერი დაუსრულებელი და შეუჩერებელი შემოქმედებითი მდინარების სტატიკური სახეებია. ყოველი საგანი თავისი მოძრაობით შეკავშირებულია ყოვლობასთან; ყოველი მოვლენა თავის მსვლელობაში შებოჭილია საერთო ბიოლოგიური თსევის ძლიერებით, რომელიც მუდამ ქსოვს და შლის როგორც პენელოპეს დაზგა ოდისევსის მოლოდინში... უბრალო ხელის აწევა, ფეხის გადადგმა ჩვენი, ჩვეულებრივი სიანჩხლე და ნერვიულობა ადამიანისა, ფიზიკური და ფსიქიკური თავისებურებანი ცხოველებისა — ყველაფერი წინასწარ განსაზღვრულია წარსულის ორგანული ევოლუციის შესაძლებლობით. ბუნებაში გვარებისა და ჯიშების არსებობა ბიოგენეტიკური დეტერმინიზაციის ცხადყოფაა: ქათმის კვერცხიდან მხოლოდ ქათამი იბადება, ქერის თესლი ისევ ქერს იძლევა. რა სახისაც უნდა იყოს მდგომარეობა, გვარული ენერგია, მაინც თავს იჩენს: არსებობს ორგანული მეხსიერება, როგორც ბიოლოგიური ფაქტი და მხოლოდ ეს აძლევს ღირებულებას, ლოგიკას და აზრს ჩვენს ცხოვრებას. გვარული და ინდივიდუალური ბრგვინაობა არის ბიოლოგიურად დაგროვილი პოტენციის ერთიანული სახიერება და სოციალური ფაქტორები ვერ იმოქმედებენ ამ პოტენციის გარეშე ისე, როგორც ექიმი ვერ მოარჩენს ავადმყოფს, რომელსაც აღარა აქვს სიცოცხლის ძალა.

არსები ერთმანეთის �eb-ებიან და ამ დაუსრულებელ დაჯახებათა ხმაა ის, რაც ისმის ᲩᲕᲔᲣᲜᲐᲓ, რასაც ჩვენ ცხოვრებასა და წუთისოფელს ვეძახით; უსაზღვროების ყოველ კუთხეში ყოფას აქვს თავისი კუთხურ-რეფლექტორული ბრგვინაობა, თავისი შინაგანი დრესა, ღელვა და წვა. მატერია ყოვლობის ენტელექის სტატიკური ფორმაა და, როგორც ასეთი, გარეგნულად იგივეა, რაც იყო, მაგრამ შინაგან არსობაში ყოველთვის ფერისცვალებაშია: მატერია არსებობის ყოველ წუთს ᲘᲒᲘᲕᲔᲐ სტატიკურად, მხოლოდ დინამიკურად არ არის ᲘᲒᲘᲕᲔ; ამიტომ ითქმის: მატერია არის და ამავე დროს არ არის — არის სტატიკურად, არ არ-ს დინამიკურად.

ყოვლობის როიაში, მოძრაობათა და ღელვათა თქრიალში მატერია განიცდის თავისი არსობის შინაგან წინააღმდეგობას, წვალებას; ამ წვალებაში მატერიის ყოველი ნაწილი თავისებურ რეზონანსს იძლევა; ყოველი ატომურ-იონური წყობა მატერიისა თავისებურად ხმაურობს მდგომარეობისა და პირობების მიხედვით; არსი გენეტიკურად მიღებულ ბიოლოგიურ პოტენციაში — ორგანულ მეხსიერებაში თავისებურ შინაგან ბრგვინაობას იძლევა; მატერია განცდაშია, არსი წვალებაშია; სამყარო იწვის და სამარადჟამოდ დანთებულ ცეცხლში მწველ განცდათა კონვულსიებით იკრუნჩხებიან ტანები და სხეულები; ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა და სოციალურ საჭიროებათა ინტერესებში ყოველი არსი ერკვევა თანდათანობით და ამ თანდათანობაში სახიერდებიან კულტურა და ცივილიზაცია, მეტყველება და მეცნიერება, ფილოსოფია და ხელოვნება.

კულტურულ-ცივილიზაციური განგაში — წუთისოფლური ხმაურობა კოსმოსურად მატერიულ-იონურ რყევათა შემოქმედებითი სიგნალიზაციაა: ქარის ღმუილი, წყალთა მასების ჩქეფანი, მცენარეთა შრიალი, პირუტყვთა ბღავილი, კაცთა ღრეობა მატერიულ-ორგანულ ღელვათა სიგნალებია უსაზღვროების ყრუ სიჩუმეში.

რასაც ჩვენ „რაკუნს“ ვეძახით, ის თავისებური გაბგერება და თქმაა: „არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთა და უსულოთ შორის“; ცეცხლის ალი, რომელსაც აჩენს კაჟისა და ფოლადის ერთმანეთთან დაჯახება, ისეთივე ცხადყოფაა მათი იონურ-ატომურ შედგენილობათა ღელვისა, როგორც ჩვენი წამოყვირება და დორბლიანი გაბრაზება ცხადყოფაა ჩვენი ორგანულ განცდათა და ლტოლვათა. ენა და მეტყვე-

ლება საერთოდ, რომელნიც გააჩნია წუთისოფლად ადამიანებს, შედეგია ბიოლოგიურ-ისტორიული წვალებათა, კუთხურ-ტერიტორიულ საჭიროებათა და ჩვეულებათა: ყოველი ადამიანი წუთისოფლად, ისე როგორც ყოველი არსი, თავისი არსებობის თავისებურ სიგნალს იძლევა და ეს თავისებურება შემოქმედებითი სიგნალიზაციისა ისაზღვრება სამყაროს ყოველ კუთხეში ბიოლოგიური და სოციალურ-ისტორიული დეტერმინაციით.

არსებობის ყოველი მომენტის შემოქმედებითი გაშლა დამოკიდებულია წინამყარობის შინაგანი წვისა და შემოქმედებითი ღელვისაგან; მატერია იმთავითვე ჩათრეულია ენტელექიურ პალპიტაციაში და ყოველგვარი საჭიროება, იქნება ის ბიოლოგიური თუ სოციალური, მატერიას აძლევს მოძრაობის მიმართებას; მოძრაობის მიმართებით ბიოლოგიურსა და სოციალური ინტერესების განხორციელებაში არსი აწყობს სამოქმედო არეს. სულიერი და ინტელექტუალური მოძრაობის ყოველი პროდუქტი იარაღია ცხოვრების ტექნიკის ორგანულ-ბიოლოგიური მოხერხებისა და გამჭრიახობისა; შემოქმედება — რელიგიური, ფილოსოფიური, მეცნიერული, ესთეტიკური — ცდილობს მატერიული ნიშნებით — სახეებით, რეგალიებით, ლაბორატორიებით, შუშებით, კოლბებით, კატეგორიებით, პრინციპებით განამტკიცოს წუთისოფლად სულის შინაგანი ხილვის სიმბოლიკა; შემოქმედებითი ენერგიის გაშლა სიგნალების გაცემაა სამყაროში: მუსიკით, მეტყველებით, მხატვრობით ჩვენ ვაძლევთ ერთმანეთს ჩვენი სურვილებისა და ინტერესების გამომსახველ სიგნალებს, ერთგვარ ნიშნებს; ამ ნიშნებით, ამ სიგნალებით ჩვენ ერთმანეთს ველაპარაკებით, ჩვენს იდეებსა და ზრახვებს გამოვსახავთ, ჩვენს ნდომათა და სურვილებს სხვასთან ვაერთებთ; ჩვენი ბგერები და მათი მატერიული ფორმები — ანბანები სქელტანიან წიგნებში ისეთსავე სიგნალებს იძლევიან, როგორც რკინიგზაზე საყვირი ან ზღვის ჩირაღი ქარიშხლიანი ღამის წყვდიადში; ისტორიული ეპოქები, სხვადასხვა ხალხთა ცივილიზაციური სახეები; სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურები თავიანთი ფერადი კოსტიუმებით, ხვეული პერიპეტიებით და რეგალიებით სახეობითი ფორმები და სიგნალებია, განსახიერებული, გამოწვეული ბიოლოგიური და სოციალური ინტერესებით. შემოქმედების მოთხოვნილება ისე ბუნებრივი და ორგანული ხასიათისაა, როგორც ფიზიოლოგიური ნდომა და სექსუალური გატაცება.

შემოქმედების პროცესი გართობა და თამაში კი არაა, არამედ

არსებობისათვის ხერხი და საჭიროების ტექნიკა; მუსიკალური სიმფონია ან კარგი სურათი ისე ანათებს სულის შინაგან ხილვას, როგორც ელექტრონი ბნელ ოთახს; პოეზიას წუთისოფლად ისეთივე სარგებლობა მოაქვს, როგორც ჭაობის გაშრობას; თქმა ისეთივე შვებაა სხეულისათვის, როგორც ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების გრძნობა; კანტისა და ინგლისელი ევოლუციონისტების აზრი ხელოვნებაზე მხოლოდ დილეტანტიზმია: ხელოვნება და მეცნიერება ბოლოს და ბოლოს ორივე ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ა; მეცნიერება და ხელოვნება ორი სხვადასხვა ფორმის სიგნალია ჩვენი სულის ტკივილებისა და ინტელექტუალურ-ესთეტიკურ მოხერხებათა მაჩვენებელი. განცდის რეფლექსურ-ფსიქოლოგიურ შედეგს შეადგენს ყოველგვარი ხმაურობა, მხოლოდ ადამიანში ორგანულ-ბიოლოგიური ხმაურობა თანდათანობით განიწვალება ბგერებად, რომელთა სახეობითი ფორმა გვიჩვენებს თითქმის ყოველთვის რომელიმე მოქმედებას, შრომას, ენერგიის დახარჯვას: გაბგერება და სიტყვის წარმოთქმა — ეს უბრალო და პრიმიტიული ფორმები ჩვენი მეტყველებისა — საჭიროებენ სასუნთქ ორგანოთა მოძრაობასა და შრომას? განა ყოველ გამოთქმაში არ არის განსახიერებული მოძრაობითი სქემა ჩვენი კუნთებისა? — ყოველი სიტყვის მოცემულობაში არის ერთგვარი შრომა — შრომა ფილტვებისა, სასუნთქი ორგანოების, ნერვული სისტემის; რომ დავაკვირდებით შემოქმედებით განსახეობათა მექანიზმს, სავსებით გარკვევით დავინახავთ ერთ ფრიად საყურადღებო ფსიქოფიზიკურ მოვლენას: ყოველი ემოცია ჩვენი სულისა ფიზიოლოგიურ-მატერიული განსახეობისაკენ მიილტვის: სიხარული თავდება სიცილ-ხარხარით — კუნთების ახითხითებით, მწუხარება — კონვულსიებით და ცრემლებით, გაბრაზება — კუნთების ღრეობით; რაც უფრო ძლიერია ემოცია, როგორც განცდა, მით უფრო დიდია მოთხოვნილება ამ ემოციის სულიერი მატერიალიზაციისა. ჩვენ ხშირად ვშიშობთ, რაიმე ცუდი არ დაემართოს იმ ადამიანს, რომლის დიდი მწუხარება სიჩუმეში ტარდება და ნერვულ-კუნთურ გამოსახვას ვერ პოულობს. ემოცია სუსტდება, როდესაც კუნთები იწყებს მოძრაობას ემოციის გამოსახატავად; არამც თუ ემოცია, ყოველი სულიერი მოვლენა, როდესაც აღწევს ერთგვარ ინტენსივობას, გადადის ჩვენი ტანის მოძრაობით პროცესში; ამაში არის ღირებულება და სიცხოველე სულიერ მოვლენათა: რა იქნებოდა თავისთავად სულიერი მოვლენა, რომ მის კუნთურ-ნერვულ მატერიალიზაციას ვერ ახერხებდეს ჩვენი სხეული? რა არის მთელი ჩვენი მეტყვე-

ლება გრაფიკული სიტყვებით და ფერადი სახეებით, თუ არა ვოკალური შედეგი ამ კუნთურ-ნერვულ მოძრაობათა, რომელთაც აქვთ ადგილი ჩვენს სასუნთქ ორგანოებში — ფილტვებსა და დიაფრაგმებში? არსებობს ერთგვარი კოორდინაცია მეტყველების ფორმათა და ფიზიოლოგიურ-მუსიკალურ მოძრაობათა შორის: შემოქმედების პროცესი ნაწილობრივ უსათუოდ არის პროცესი კუნთების მუშაობისა, უჯრედული წვისა, ჟესტიკულაციისა; შემოქმედებითი პროცესი იწყება კუნთურ-ნერვული მატერიალიზაციით და თავდება ისევ მატერიალიზაციით — ფერებით, მხატვრული სახეებით, ბგერებით, მელოდიით. სული მხოლოდ მეშვეობას ეწევა მატერიულ ფორმათა შორის: კუნთურ-ნერვული მოძრაობა აორთქლდება იდეური სხივებით და ეს სხივები ისევ ქსოვენ შემოქმედებით წარმოსახვაში მატერიულ ფორმებსა და სახეებს, ტიპებსა და ნაკვთებს. ჩვენი წამოყვირება ისეთივე კუნთურ-ნერვული მოქმედებაა როგორც ჩვენი ხელების ქნევა და საერთოდ ჟესტიკულაცია: რამდენადაც ადამიანი სულიერად მოძრაობს, რამდენადაც იგი აზროვნებს, იმდენადვე ღელავს ორგანულად და კუნთურად: სახის სხვადასხვა გრიმასებით, ტანის სხვადასხვა მოძრაობით, ბგერებით, სიტყვების, ერთი სიტყვით, მთელი ორგანულ-კუნთური არსობით ადამიანი, როგორც ცოცხალი არსი, პასუხს აძლევს მდგომარეობისა და პირობების გავლენას და ამ პასუხით, ამ სიგნალებით იგი გამოსახავს თავის სურვილებსა და ინტერესებს; ამ სიგნალებით ადამიანი თითქოს ამბობს: მე მინდა, მე ვფიქრობ, მე ვგრძნობ. მთელი რიგი სულიერ ლტოლვათა ადამიანს იწვევს მოქმედებისა და მოძრაობისათვის: სული ადამიანისა ბოლოს და ბოლოს ემოციებში გამოისახება და არ არსებობს სულიერობის პროცესში ისეთი მოვლენა, რომელიც არ იყოს ერთგვარი რეფლექსი ნერვული ხასიათისა, რომელსაც არ ჰქონდეს ჩვენი ტანის რომელიმე ნაწილში საკუთარი სამოქმედო არე. ჩვენი ტანი და მისი გარეგანი გრძნობათა ორგანოები აკვეთილია განსაკუთრებულ პირობებში ბიოლოგიური ინტერესებით და სოციალური ხასიათის საჭიროებებით: როგორც ჩვენი ფიზიკური, ისე სულიერი ცხოვრება ინახავს ისეთ თვისებებს, რომელნიც საჭიროა ან ბიოლოგიური, ან სოციალური საჭიროებისათვის; წუთისოფელი წარმოადგენს ურთიერთობას; არსთა, საგანთა, ცხოველთა და ადამიანთა ურთიერთობა შეიცავს ცხოვრების ყოველ მომენტს — არსებობის საჭიროებანი და სოციალური ინტერესები ხშირად აერთიანებენ ადამიანებს; ამ გაერთიანებისაგან უდიდესი საშუალებაა მეტყველება როგორც კუნთური,

ისე სიტყვიერი ხასიათისა; დღესაც არიან ველურები, რომელნიც ერთმანეთის კუნთებით და ვესტიკულაციით ელაპარაკებიან: წარმოელენ ინდოელებს, — ამბობს ლიობოკი, — ცოტა სიტყვები აქვთ, თუ ერთმანეთის კუნთების მოძრაობას ვერ ხედავენ, ვერ იგებენ ერთმანეთის აზრს, ამიტომ ისინი მხოლოდ დღეს სინათლეზე ელაპარაკებიან ერთმანეთს; კუნთებრივი სიგნალი წარმოიშობა ორგანული ცხოვრებისაგან უმეშვეოდ და ორგანიზმის მოქმედების შეჩერებასთან ერთად იკარგება; მეტყველური სიგნალი ორგანული ცხოვრებიდან იწყება, მაგრამ სტატიკურად განაგრძობს ორგანული ღელვის სახიერებას: კუნთებრივი სიგნალი გამოიხატება ტანის პანტომიმურ მოძრაობასა და ცეკვაში; მეტყველურ-სიმბოლურ სიგნალს შეადგენს მხატვრობა, სკულპტურა, დაწერილი სიტყვა; როგორც კუნთების მოძრაობას. ისე მეტყველებას აქვს ბოლოს და ბოლოს ერთი და იგივე მიზანი — გრძნობათა, აზრთა და სურვილთა სოციალიზაცია, გაზიარება განცდათა და სულიერ მოვლენათა. მეტყველება იწყება ბიოლოგიით და ფიზიოლოგიით; თავდება სოციოლოგიით და კოსმოლოგიით: ჩვენი ტანი ისე არის მოწყობილი, რომ მას ესაჭიროება ჰაერი და ნივთიერებათა წვა; ჰაერით დაჟანგულობა ორგანულ პოტენციას იძლევა და ტანი, სავსე ელექტრულ-იონური დინამიზმით, ირხევა; ჰაერის ჩქერი, რომელიც შედის ტანში, განსაკუთრებით ფილტვებში, ამოძრავებს სასუნთქ მილებს, იწვევს მათ გაღიზიანებას და დაჟანგულობის სხვადასხვა სახით ისევ შორდება სხეულს; ჰაერის მიმოქცევა სასუნთქ მილებში იწვევს სისტემატურად მახლობელი კუნთების შეკუმშვას და გაწევას; ნერვულ-უჯრედული პალპიტაცია, ჰაერის მოძრაობით გამოწვეული, ქმნის ბგერათა ტალღებს: ბგერათა ტალღები სასუნთქი ღროტოებით ამოდიან და ეფინებიან სამყაროს სხვადასხვა სახის რხევით.

მეტყველების გენეზისში უნდა აღინიშნოს როგორც უტყუარი ფსიქოლოგიური ფაქტი ის, რომ ხმოვანი ბგერები უფრო ახალი ფორმაციისა არიან, ვიდრე თანხმოვანები: წარმოშობა თანხმოვანთა უნდა მიეწეროს ფსიქოლოგიურად იმ ეპოქებს, როდესაც ცხოველური მდგომარეობიდან ადამიანი კიდევ არ იყო გამოსული და როდესაც არტიკულაცია არ ჰქონდა ისე თავისუფალი, ელასტიკური, როგორიც დღეს აქვს. ჰაერი მძლავრად აწვებოდა სასუნთქ ორგანოებს და უკუქცევა გაჟანგულების ვერ პოულობდა თავისუფალ გზას სასუნთქავი მილებით: გამოთქმის ფსიქოლოგიური დაჭინთვა და პათოსი თავდებოდა

გაღიზიანებული უჯრედების ბლაგვი ხრანტალით და ნერვულ-ორგანული პალპიტაცია ვერ ახერხებდა სრულ გაბგერებას.

თანხმოვნების აკუმულაცია ქართულ მეტყველებაში ფსიქოლოგიური გაჭირვებისა და გაბგერების სიძნელის მაჩვენებელია; ყოველი თანხმობის გამოთქმაში ჩანს ფიზიოლოგიური მისწრაფება ფსიქოლოგიურ დაბრკოლებათა გადალახვისაკენ. ამეტყველების პროცესი გენეტიკურად ორგანული განცდის ნაკურია და რამდენად მყარი პირობები აწვალებენ ორგანულ განცდას, იმდენად გამოთქმა იძენს შინაგან თავისუფლებას.

სიტყვა და სოციალური საჰირონება

მეტყველებ ს გენეზისი იხედება შორეულ წარსულში და იქ. სადაც ცივილიზაციის ისტორია ვერ ხედავს სიტყვებსა და სიმბოლოების მინიშნებას, ამჩნევს მეტყველების რუდიმენტულ ფორმებს კუნთურ-ნერვულ მოძრაობაში: სადაც სულს ვერ მოუხერხებია ქარაგმული მინიშნება, იქ კუნთები იძლევიან სახეობითი ხასიათის ნიშნებს; შეიძლება კუნთური მეტყველების ატავისტური ნაშთია ის, რომ გამოთქმა ცივილიზაციის დასაწყისში ყოველთვის კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი და ს ა ხ ე ო ბ ი თ ი ხასიათისაა.

კაფრები შავ ღრუბლებს „დედებს“ ეძახიან და წვიმას „დედათა რძეს“; ლოცვის დროს კაფრები ცას წვიმა გამოგვიგზავნეო კი არ ეტყვიან, არამედ „გვაწოვე დედათა ძუძუებიო“; დაბეჭდილ ანბანებს კაფრები „თესლებს“ ეძახიან.

ბონგოები თავიანთი მუსიკალური ინსტრუმენტებით გამოსახავენ ბგერებს მხეცის ღმუილისას, ტალღათა ხმაურისას, ან ფრინველის ჭიკჭიკისას. საყურადღებოა ველური ამერიკელების ქარაგმულ-ესთეტიკური თქმა: მამაკაცებისათვის განსაკუთრებული სახელები აქვთ და ეს სახელები ნათლად გამოსახავენ თვისებრიობითი სახეობის ფორმებს ისე, როგორც დედაკაცების სახელები ცხადყოფენ თავისებური სინაზისა, სისათუთისა და სიაზიზის იდეას, განსახიერებულს ორგანოტროპულად და ყოველთვის შეფარდებულს იმ ინტერესებთან, რომელთაც აქვთ ადგილი სოციალურ ურთიერთობაში.

არსებობისათვის ბრძოლაში პროფესიასთან ერთად ისახება მეტყველების პირვანდელი ფორმა და სულის ესთეტიკური გადახრა ამა თუ იმ მიმართებით ყოველთვის დამოკიდებულია სოციალურ-ინდუს-

ტრიულ საჭიროებაზე. ყოველი ხალხის იდეოლოგია გამოსახავს სოციალურ ტენდენციებსა და განცდებს, მეურნეობისა და ინდუსტრიის საყოფაცხოვრებო ფორმებს; მეტყველება და ესთეტიკა ვითარდება ყოფის ინტერესებით; სახეობითი ფორმები ველური ამერიკელების მეტყველებისა მაჩვენებელია საგანთა თვისებრივობის ესთეტიზაციისა ყოფაცხოვრების ინტერესებთან მიმართებით:

მამაკაცთა სახელები:	დედაკაცთა სახელები:
მატყუარა მგელი,	წითელი თაიგული,
თეთრი დათვი,	ბადახრილი ყვავილი,
წითელი კამეჩი,	ბტირალი სვეტი,
ირმის თავი,	სურნელოვანი ბალახი,
ცხენის კუდი,	მთის წყარო,
ხისხლიანი ხელები.	თეთრი ღრუბელი.

ჩვენს სოფლებშიც, განსაკუთრებით მთაში, დღესაც იხმარება სახელები: ირემა, დათვია, მაყვალა, ბრომელა, მზია; მთაში ეს სახელები ძალიან ხშირია და ნათლად მოწმობენ იმას, რომ მეტყველების პრიმიტიულ ფორმას ახასიათებს ს ა ხ ე ო ბ ა, ხოლო სახეობა ესთეტიკურად ითარგმნება, იკვეთება არსებობისათვის ბრძოლის საჭიროებებში — სოციალურ-ინდუსტრიულ წვალებასა და ტანჯვაში. კულტურის ფორმა დასაწყისში ყოველთვის ისეთია, როგორც შეეფერება ხალხის საჭიროებასა და ინტერესებს: მონადირე ხალხის მეტყველება და ესთეტიკა განსხვავდება არსებითად იმ ხალხის მეტყველებისა და ესთეტიკისაგან, რომელიც ეწევა მიწის დამუშავებას: არსებობის საჭიროება სხვადასხვა პირობებში მოითხოვს სხვადასხვა სახის იარაღებს და ხერხს მოქმედებისას; აქედან, ცხადია, სული ადამიანისა თავისი მეტყველებით და ესთეტიკით, თავისი ფილოსოფიით იხრება სოციალური მდგომარეობისაკენ; მეტყველების გენეზისი გვიჩვენებს, რომ კულტურის დასაწყისში ყოველ გამოთქმას აქვს სახეობითი ხასიათი და ემყარება ფსიქოლოგიურად სოციალური საჭიროების ესთეტიკურ განცდას: წითელკანიანი ამერიკელების ლექსიკონში მოცემულია სულის ესთეტიკური წყობა და ეროტიკული განცდა მდგომარეობასთან ო რ გ ა ნ ო ტ რ ო პ უ ლ ი კავშირებით და კუთხურ-სოციალური ასოციაციებით.

ყოველი სიტყვა სახეა საგნის თვისებისა, რომელსაც გაეცნო ადა-

მიანი არსებობისათვის ბრძოლაში, სოციალურ ურთიერთობაში, კოსმიურ-მყარულ პირობებში. ყოველი სახე იმაჟინურია: ცნებითი გაჩენა ამახინჯებს სიტყვის ბუნებას; ცნების ევოლუცია სიტყვას თანდათანობით უკარგავს პირვანდელ სახესა და ღირებულებას, ამრუდებს შეფარდებას სინამდვილესა და გააზრებას შორის. სიტყვა — სახე პირვანდელ ფორმაში შეფარდებულია სოციალურ საჭიროებასთან: არ არსებობს ხალხის ლექსიკონში ისეთი სიტყვა, რომელიც კონკრეტულად არ ყოფილიყო ფონეტიკურ-სიმბოლური სახე რომელიმე ეპოქის სოციალურსა და ინდუსტრიულ საჭიროებებში; პრიმიტიულ მეტყველებაში ნათლად ირკვევა სიტყვის ორი მხარე — ს ა ჭ ი რ ო ე ბ ი თ ი და ს ა ხ ე ო ბ ი თ ი. ჩვენი თეორიის მიხედვით მეტყველება შედეგია არსებობისათვის ბრძოლისა, მისი ხერხებისა და ფორმების: ჩვენ ვამბობთ: კონკრეტულიდან განყენებულისაკენ, ერთეულიდან ზოგადისაკენ და არა პირუკუღმა; ენათმეცნიერება არ იცნობს არც აზიაში, არც აფრიკაში, არც კუნძულებზე დიდი ოკეანისა ისეთ მართლა ველურ ტომს, რომელსაც ჰქონდეს გვარეულობისა და ჯიშის გამომსახველი სიტყვა ან ტერმინი სიმბოლური ხასიათისა; არიან ველურები, რომელთაც აქვთ სხვადასხვა სიტყვა სხვადასხვა ფერის ძაღლის დასარქმევად, მაგრამ, ამავე დროს, არა აქვთ სიტყვა, რომელიც ზოგადად გამოსახავდეს ჯიშურ ცნებას — „ძაღლი". ასეთ მდგომარეობაშია ცხენის და სხვა ცხოველების დასახელების საქმე. წითელი ცხენი, შავი ცხენი, თეთრი ცხენი ცალკეულად თითო-თითო სახელს ატარებს; ცხენი, რომელიც მირბის, ისეთი ერთი სიტყვით გამოისახება, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ცნებასთან — „ცხენი"; ჩრდილოეთ ამერიკაში ამბობენ: „თეთრი მუხა", „წითელი მუხა", „შავი მუხა", მაგრამ ვერ იტყვიან საზოგადოდ ისეთ სიტყვას, რომელიც გამოსახავს საერთოდ ცნებას — „მუხა".

ცხოვრების პრიმიტიულ პირობებში საერთოდ გონების განყენება არ ხდება, ამიტომ ველურებს არა აქვთ ზოგად ცნებათა გამომსახველი სიტყვები: პრეისტორიული არსებობის დროს ყოველი სიტყვა გამოსახავს კონკრეტულ მდგომარეობას და სახეს, თითქო სულის შემოქმედებითი წარმოსახვა იშერს არსებობის ოკეანეში élan vital-ის სოციალურ საჭიროებათა ფორმებს.

სოციალურ საჭიროებათა ვითარებაში, ეკონომიკურსა და ოჯახურ მდგომარეობათა ცვლილებებში სიტყვა განიცდის ერთგვარ ფერისცვალებას — კონკრეტულიდან თანდათანობით ხდება უფრო და უფრო

განყენებული; ბოლოს და ბოლოს სიტყვა კარგავს პირვანდელ შინაარსს, და, ეფარდება რა წარმოების ვითარებას, ახდენს მეტყველებაში ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ დეფორმაციას. ასეთია ქართული სიტყვა — „დაკეტე", რომელიც ოდესღაც ნიშნავდა კარებზე ბაწრის საშუალებით კეტის გაყრას, დღეს კი „დაკეტვა" ნიშნავს დახურვას, მიხურვას და არა კეტის გადებას.

ასეთივე ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი დეფორმაციის მაჩვენებელია რუსული სიტყვა „подлец", რომელიც ძველ რუსეთში, თითქმის მე-17 საუკუნის დამლევამდე ნიშნავდა ადამიანს, რომელსაც საცხოვრებელი ბინა ჰქონდა ქვედა სართულში; თუნდაც ძალიან პატიოსანი რომ ყოფილიყო, ქვედა სართულში მცხოვრებს მაინც „პოდლეცს" ეძახდნენ, დღეს კი ადამიანი შეიძლება ქვედა სართულში ცხოვრობდეს, მაგრამ „პოდლეცი" არ იყოს; კულტურის ევოლუციასა და წარმოების ვითარებაში სიტყვამ გამოიცვალა შინაარსი და მიმართება. ამ მხრივ სწორედ მეტად საინტერესოა ქართული სიტყვა „ცხონება", რომელიც წარმართულ საქართველოში იხმარებოდა იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც ჩვენ ვხმარობთ ახლა სიტყვას — სიცოცხლე. „ცხონდი მეფეთმეფეო", ეუბნება ერთი გმირი მეორეს „ვისრამიანში", ესე იგი, იცოცხლე დიდხანს მეფეთმეფეო. ქრისტიანობის შემოღების შემდეგ საქართველოში სოციალური ფსიქოლოგიის ევოლუციასთან პარალელურად „ცხონება", როგორც ცნება, იღებს „ტრანზიტულ" ფორმას — გამოსახავს ცხოვრებას საიქიოში: კულტურის ევოლუციამ სიტყვას მისცა ახალი შინაარსი, სოციალურმა საჭიროებამ გარდაქმნა სიტყვის მნიშვნელობა.

ადამიანი მოძრაობს ადამიანთა შორის და ყოველი სიტყვა, რომელსაც ადამიანი ხმარობს, პირდაპირ დამოკიდებულებაშია სოციალურ ცხოვრებასთან: სიტყვა იმდენად არსებობს, რამდენადაც ცხოვრების საჭიროება მოითხოვს სიტყვის არსებობას: თავისთავად სოციალური საჭიროებისაგან დამოუკიდებლად სიტყვას მნიშვნელობა არა აქვს: თუ რომელიმე საზოგადოების სოციალური სტრუქტურა იცვლება, მაშინ სიტყვაც განიცდის ცვლილებას. საყურადღებოა ამ მხრივ ქართული სიტყვა „პატიჟი", რომელიც რუსთაველის დროს ნიშნავდა ტანჯვას, წვალებას; რუსთაველის ავთანდილი, მულღასანსარის ველზე მიმავალი, „ცასა შესტირს", „ეუბნებოს, ეტყვის".. „მას უთხრნენ ჩემნი პატიჟნი", ესე იგი, გადაეცი მას, თინათინს, ჩემი წვალებაო. დღეს კი სიტყვა „პატიჟი" სულ სხვა მნიშვნელობით იხმარება: ცხადია, კულ-

ტურის ევოლუციამ — სოციალურ საჭიროებათა ისტორიულმა ცვლილებამ — სიტყვას წაართვა ერთი შინაარსი, მისცა მეორე.

სოციალურ საჭიროებათა ცვლილება ადამიანის მოხერხებით, წარმოების ინტენსიური განვითარების გამო ხშირად სიტყვას აყენებს პირდაპირ „აბსურდულ" მდგომარეობაში: სიტყვის ვარეგანი მხარე რჩება, მაგრამ შინაარსი სხვა არის: ასეთია რუსული სიტყვა — „чернило", რომელიც ნიშნავდა და ნიშნავს დღესაც ისეთ რამეს, რაც შავად რჩება ქაღალდზე, ან სხვა რამეზე, მაგრამ წარმოების განვითარებამ, სოციალური შემოქმედების გამჭრახობამ, ადამიანის მოხერხებამ წარმოშვეს სხვა ფერი, რომელიც ცხოვრების საჭიროებას ეხმარება, ემსახურება ისე, როგორც „чернило". რუსულ მეტყველებაში იხმარება ფრაზა — „красное чернило": წარმოიდგინეთ: შედიხართ საღმე მაღაზიაში და დიდი რიხით ამბობთ — „дайте мне, пожалуйста, красное чернило", თან სრულებით არ აკვირდებით, რომ სისულელეს ამბობთ: საიდან შეიძლება, წითელი იყოს, თუ შავია! როგორ შეუძლია ვინმეს, ქვეყანაზე გაიჩინოს: красное чернило? ეს იქნება არა მარტო ქიმიის კანონების წინააღმდეგ, არამედ ჩვენი შემეცნების წინააღმდეგიც. მაგრამ ჩვეულება, სოციალური ფსიქოლოგიით გამტკიცებული, ხშირად ინახავს კულტურის აბსურდულ ფორმებს.

სოციალური საჭიროების ფორმები ერთგვარი არტახებია მეტყველებისა და ხელოვნებისათვის; სული ადამიანისა ვერ გაექცევა ვერასოდეს იმას, რაც მის გარშემო ხდება, რაიც შეადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარ თვისებებს: თუ კულტურის ევოლუცია ინტენსიურად მიმდინარეობს. მეტყველებაც მორფოლოგიურად და ფონეტიკურადაც აღწევს შინაგან თავისუფლებას და ელასტიკურობას: ისტორიული პულსაცია ეხოვს მეტყველების ფორმებს სოციალურ განცდათა დასაგაზე: ხალხის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა თუ არ იცვლება, არც მეტყველების ფორმა იცვლება; ქართული მეტყველება, განსაკუთრებით პერიფერიებისა, საუცხოოდ ამტკიცებს ჩვენს დებულებას: საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც შენახულა ძველი ცხოვრების სტრუქტურა, ძველი სოციალურ-ოჯახური სტილი, მეტყველებაც ინახავს ძველ სიტყვებს: სვანეთში. მაგალითად. დღესაც ხმაროობენ ისეთ სიტყვებს, რომელთაც ახალი ქართული ლიტერატურა არ ხმარობს, მაგრამ სახარების უძველეს თარგმანებში მკითხველი შეხვდება ხშირად. სამეგრელოში დღესაც ხმარობენ სიტყვას — „შქართუნი". რაც ნიშნავს საბანს. სახურავს: საყურადღებოა, რომ ძველ ქართულში

ეს სიტყვა იხმარებოდა. „ვისრამიანის“ მთარგმნელი ამ სიტყვას ხმარობს: ეტყობა მაშინდელი საზოგადოებისათვის სიტყვა „შქართუნს“ ჰქონია, ყოველდღიური თუ არა, აკადემიური საქიროების მნიშვნელობა მაინც. „ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა „კაპანა“ ნიშნავს ხევს. ლროტოიან ადგილს. სამეგრელოში დღესაც არსებობს სოფელი „კ ა პ ა ნ ა“. საერთოდ ჩვენში, როდესაც კულტურის ცენტრალიზაცია ხდებოდა, როდესაც პერიფერიებსა და ცენტრებს შორის იყო სოციალური ურთიერთობა და მასთან ერთად ფსიქოლოგიური ურთიერთობაც, მეტყველების ფორმები უფრო მეტ არეს პოულობდენ ჩვენს მიწა-წყალზე. სწორედ ამ თვალთახედვით აიხსნება ნ. მ ა რ ი ს მტკიცება, რომ ზოგიერთი სიტყვა და ფრაზა „ვეფხისტყაოსნისა“ საქართველოს განაპირა ადგილებისათვის უფრო გასაგებია, ვიდრე ცენტრებისა და ქალაქებისათვის: პერიფერიებში სული სოციალური არსებობისა დარჩა ისტორიული კონსერვაციის ფორმაში, ქალაქებსა და ცენტრებში ცხოვრების ინტენსიურმა მოძრაობამ ჩაკლა სიძველე განცდისა და ყოფისა, მასთან ერთად ძველი მეტყველების ფორმაც.

ჩვენი მაგალითებიდან ცხადია, თუ რა დიდი შემოქმედებითი ურთიერთობა არსებობს მეტყველებისა და სოციალური საქიროების ყოველდღიურ ვითარებას შორის: ამასთანავე, ცხადია, თუ რამდენად ყალბია ის აზრი, რომელსაც ევროპაში ქადაგებენ დ ე-ბ ო ნ ა ლ დ ი, მ ი უ ლ ე რ ი და ჩვენში მათი ატაშეები — აზრი, თითქოს მეტყველება წარმოადგენდეს რაღაც ზ ე დ რ ო უ ლ, პ რ ე ი ს ტ ო რ ი უ ლ კატეგორიას, რომელიც კაცობრიობამ მიიღო დამზადებული მეორე სამყაროდან: ყოველგვარი სიტყვა სოციალური წვალებისა და ტანჯვის ნაყოფია, ყოველი სიტყვა შრომისა, ან პროფესიის რომელიმე ფორმასთან არის ორგანულად დაკავშირებული.

სოციალური სემანტიკის თვალთახედვით აღსანიშნავია მეტყველებაში ორი მომენტი: — ერთი, როდესაც სიტყვა, რომელიც წინათ ნიშნავდა საგნის, ან მოვლენის რომელიმე ნაწილს, რომელიმე კონკრეტულ თვისებას, იხმარება შემდეგ თვით ამ საგნის აღსანიშნავად მთლიანად ანდა მსგავსი მოვლენის: ასეთია რუსული სიტყვა — „мир“, რომელიც წარმოიშვა სიტყვიდან „мигать“. აქ ჩვენ გვაქვს შემოქმედებით წარმოსახვაში ერთგვარი სიმბოლური მიმსგავსება და შეკვეცა... არის მეორე შემთხვევა, როდესაც რომელიმე სიტყვა წინათ იხმარებოდა მოქმედების გამოსათქმელად — იყო ზმნა, მაგრამ შემდეგ თანდათანობით იღებს არსებითი სახელის სიმბოლოს: ასეთია სიტყვა —

ar (რომაული), რომელიც ერთ დროს გამოსახავდა ხ ვ ნ ა ს, თ ხ რ ა ს და რომლიდან შემდეგ წარმოიშვა სიტყვა — ars (bas latin), აქედან — სიტყვა არტისტი. საკვირველი რამ არის მეტყველების ევოლუცია და მისი შემოქმედებითი ფორმები; ერთ დროს სიტყვა ეხებოდა ინდუსტრიას, მეურნეობას (ar-ars), დღეს ხელოვნების ერთი ფორმაღაგანია (არტისტი).

პრიმიტიულ ენათა შესწავლამ დაამტკიცა, რომ პირველყოფილი ადამიანი შორეულ წარსულში და დღესაც ზოგიერთ ველურ ქვეყნებში, აგრეთვე ოკეანეთა დიდ კუნძულებზე ყოველთვის სიტყვებს იგონებს რომელიმე ი ნ დ უ ს ტ რ ი უ ლ ი, ა გ რ ა რ უ ლ ი, ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი და ს ო ც ი ა ლ უ რ ი საჭიროებისათვის: არსებობისათვის ბრძოლის პროცესში უდიდესი ინჟინერია ს ა ჭ ი რ ო ე ბ ა; მეტყველების ყოველი ფორმა ისე, როგორც საერთოდ ხელოვნების ყოველგვარი სახე, ორგანულად უკავშირდება სოციალურ-ისტორიულ საჭიროებათა ფორმებს; ჩვენ ვერ მივიღებთ კ ა ნ ტ ი ს ა და ნეოკანტელების აზრს მეტყველებისა და საერთოდ ესთეტიკურ-ინტელექტუალური დასაწყისის შესახებ: წმინდა გონების სტატიკური ფორმები და აპრიორები, რომელსაც ეყრდნობა კ ა ნ ტ ი ესთეტიკური პრინციპის გამოსარკვევად და რომელსაც პოეტური გატაცებით და იდეალიზმით იმეორებს შ ი ლ ე რ ი, ჩვენთვის ს ო ც ი ა ლ უ რ ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა თ ა გ ა დ მ ო ნ ა შ თ ე ბ ი ა. ის, რასაც ინტელექტუალიზმი ეყრდნობა. ჩვეხთვის კარგავს მნიშვნელობას. რადგან ჩვენს სულს დღეს სამყაროსთან აქვს ისეთი ხასიათის ურთიერთობა, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს მდგომარეობასთან, რომელშიც შემუშავდა ინტელექტუალისტების „აპრიორიზმი".

ლუდოვიგ ნ უ ა რ ე მ აღმოაჩინა ენათმეცნიერებაში ფაქტი შემდეგი ხასიათისა: ველურების გამოთქმაში ჩვენ თურმე ყოველთვის შეგვიძლია გავარკვიოთ სამი ცნება ა გ რ ა რ უ ლ-ს ო ც ი ა ლ უ რ ი ცხოვრების დამახასიათებელი: „თხრა", „ქსოვა", „ჭრა"; ხალხი, რაც უნდა ველური იყოს, მაინც, — ამბობს ნ უ ა რ ე, — ამ სამი სხვადასხვა ცნების გამომსახველ სიტყვებს უსათუოდ ხმარობს. საყურადღებოა ისიც, რომ ველურების ცხოვრებაში ხელოვნების ფორმები უკავშირდებიან აგრარულ დღესასწაულებს: კულტურული ბერძნებიც კი ტრაგედიულსა და კომედიურ ფორმებს ადამიანის განცდისას აგრარუ-

---

* Ursprung der Sprache, Mainz.

ლი და სოციალური ინტერესებით ხსნიდენ ხოლმე: ტრაგედია წარმოშობა მაგალითად იკარიონის ვენახის გაფუჭებისა და თხის დაკვლის პროცესისაგან: კომედიის წარმოშობა, მეცნიერების აზრით, მიეწერება საბერძნეთის სოციალურ უთანასწორობას, რომლის შედეგი იყო ბერძნულ ქალაქებში ღამღამობით ყმების ხეტიალი და ზოგიერთი მებატონის ჭიშკართან დაცინვა, აყალმაყალი და სხვა...

მეტყველებისა და ხელოვნების ევოლუციაში სოციალური ფსიქოლოგია თამაშობს შემოქმედებით როლს: იქ, სადაც სოციალური განცდა უსწორმასწოროდ მიმდინარეობს, სადაც საზოგადოებრივი კოლექტიური სული ისტორიულ ხვეულებში სისრულესა და სისავსეს ვერ აღწევს, სადაც არ არის ერთგვარი ესთეტიკური ექსპანსიობა, მეტყველების ევოლუცია სუსტია, არტიკულაცია ბლაგვი, გაბგერება ბნელი, შეხუთული, ღრუ; ყოველი ეპოქისა და ყოველი ხალხის მეტყველება მით უფრო თავისუფალია და რიტმული თავის შინაგან ფონეტიკურ-მორფოლოგიურ წყობაში, რაც უფრო ძლიერია საზოგადოების ან მასზე გაბატონებული კლასის სული თავის კულტურულ-ესთეტიკური სისრულისა და სისავსის შეგრძნობაში: მეტყველება შეფარდებულია სოციალურ განცდასთან, აგრარულ-ინდუსტრიულ ფორმებთან, კულტურულ-ცივილიზაციურ ფერადობასთან; მეტყველება და მისი სიმბოლური ქარაგმები ვერ იარსებებს გარეშე საზოგადოებრიობისა, ხალხის ისტორიულ-ეპოქალური პერიპეტიებისა, გარეშე ჯგუფებისა და მასებისა. მეტყველება დაიწყო ისეთი ბგერებით და მარცვლებით, რომელთაც კავშირი ჰქონდათ ცხოვრების პრაქტიკასთან, შრომასთან, წარმოების იარაღებთან; მონადირე ხალხის მეტყველება სავსეა ისეთი სიტყვებით, გამოთქმებით, ქარაგმებით, რომელთა საჭიროებას ყოველდღე გრძნობს მონადირე ადამიანი; იგავ-არაკებში, თქმულებებსა და ლეგენდებში, რელიგიურ სიმბოლოებსა და სახეებში სოციალური მდგომარეობა პოულობს თავის გამოსახულებას; ხალხი, რომლის ყოველდღიური ყოფა მიმდინარეობს მრეწველობასა და ვაჭრობაში, ხმარობს სიტყვებს მრეწველობისა და ვაჭრობისათვის დამახასიათებელს. სული არსებობისათვის ბრძოლაში საჭიროებისაკენ იხრება და მეტყველება მარჯაფად ემსახურება სულის გადახრის ვითარებას. საზოგადოების კლასობრივი, ჯგუფური და პროფესიული დანაწილებანი ახდენენ თავისებურ გავლენას მეტყველებასა და ლიტერატურაზე: ყოველ კლასს აქვს საკუთარი ემოციები და იდეები, ამიტომ საჭიროებს სიტყვებს ამ ემოციებისა და იდეების გამოსათქმელად. ყოველ პროფესიას

ესაჭიროება მთელი რიგი ნივთებისა, საწარმოო იარაღებისა, განსაკუთრებული ხერხისა, გამჭრიახობისა, რომელთა თანდათანობით ვარჯიშობა — ჩვეულებაში განმტკიცება აწყობს სულისა, აზროვნებისა და შემოქმედების თავისებურ სისტემას; ასე რომ, სისტემა იდეოლოგიისა, ხელოვნებისა და მეცნიერებისა არ არის universalia ante rem; დღევანდელი სული მორალისა და ლოგიკის პრინციპებით, დაწყობილი სოციალური საჭიროების ფარგლებში, შედეგია იმ ურთიერთობისა, რომელიც ამოძრავებს თითოეულ წევრს საერთო ინტერესებთან შეთანხმებით და ეს შეთანხმება საზღვრავს ხელოვნებისა და მეცნიერების ფორმათა თავისებურებას ყოველი ეპოქისა, ყოველი ხალხისა და ყოველი კლასის ცხოვრებაში*. სოციალურ ურთიერთობას თან ახლავს ერთგვარი გაზიარება ფსიქოლოგიური ხასიათისა. ერთგვარი გრძნობათა სოციალიზაცია, რომელსაც ვერ გაექცევა ვერც ერთი ცხოველი, ვერც ერთი ადამიანი.

ყოველი მომენტი ენისა და ლიტერატურის ვითარებისა მ ა ტ ე რ ი უ ლ-ს ტ ა ტ ი კ უ რ ი ფორმაა სოციალური მოძრაობისა და ტკივილების კოლექტიური სულის დათანაწყობებისა და შემოქმედებითი განრიგებისა. მეტყველება სულის განთავისუფლებაა განცდისაგან: გამოთქმის საშუალება სულის ტკივილებს ანახევრებს, ათავისუფლებს იდეას სოციალური ცხოვრების ამყოლობაში და ამოძრავებს შემოქმედებით ნებისყოფას; ლიტერატურულ-ესთეტიკური ნაწარმოები მონუმენტია განცდათა ემანაციისა; რაც უფრო ღელავს შემოქმედებითი სული ინდივიდუალური ყოფის ნაპუპში, მით უფრო მარჯვედ ქსოვს იგი სოციალურ ურთიერთობაში კლასობრივი, ჯგუფობრივი და ისტორიული ხასიათის იდეალებს.

მელოდიური ტონალობა, თქმის რიტმი, სიტყვების წყობა, გაბგერების სისუფთავე მომდინარეობს გენეტიკურად ისტორიულ-სოციალური სიღრმიდან; სული იწმინდება, ირეცხება ისტორიულ ცვლილებათა ქარიშხალში და მეტყველებაც არსებობის ყოველ წუთს ეთვისება თავის კონსტრუქციაში ცხოვრების ცვლილებებს; ხელოვნების რომელიმე ფორმის განსახიერებას ყოველ ეპოქაში წინ უძღვის სოციალური სულისა და იდეოლოგიის დათანწყობება და სანამ მეტყველების, აზროვნების სტილი ეპოქის შემოქმედებაში ასე თუ ისე ჩამოყალიბდება, სოციალური ფსიქოლოგიის შინაგანი ლტოლვა განიცდის განსაკუთრებული სტილისა და ფორმის საჭიროებას. სიტყვების დაწყობა

* Lévy-Bruhl; „Les fonctions mentales dans les sociétés inférieures.

მეტყველებაში მაჩვენებელია ერთგვარი სოციალური განცდისა, სურვილების დაჯგუფებისა და მიმართებათა: სხვადასხვა სახის განცდა სიტყვებს სხვადასხვა ფორმაში აწყობს; ყოფა ასახიერებს მეტყველებას — ქალაქურსა და ინტელიგენტურ ყოფას აქვს თავისებური სიტყვათა წყობა, თავისებური ფონეტიკა, გაბგერება, არტიკულაცია; სოფლურ ყოფას თავისებური მეტყველება და არტიკულაცია აქვს; მთა თავისი მეტყველების ფონეტიკური თავისებურებით ძალიან განსხვავდება ბარისაგან; უაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას მეტყველება ფონეტიკურ-სემანტიკური თვალთახედვით დიდ ღირებულებას წარმოადგენს ქართული კულტურისას, განსაკუთრებით ქართული მეცნიერებისათვის: ქართული არტიკულაციის მხედრულ-ვაჟური პათოსი, რომელიც შეადგენს უაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას ნაწერების მთავარ თვისებას, ღირსია ცალკე მეცნიერული კვლევა-ძიებისა და არა ლანძღვა-გინებისა, როგორც ზოგიერთებს ემარჯვებათ უცოდინარობის და უკულტურობის გამო. საქართველოს პერიფერიების მდიდარი კულტურა, ორგანულად შეჭრილი ქართული შემოქმედების ფორმებში, სახიერდება არა მარტო ხალხურ მუსიკაში, არამედ ხალხურ მეტყველებაშიც, ხალხურ გამოთქმაშიც: გამოთქმაში ისმის სულის წვალება — განცდა და ტკივილები არსებობისა; გამოთქმის ტემბრი სოციალური წვალებისა და ტანჯვის რეფლექსია: ყოველდღიურ ცხოვრებაში ცნობილია, რომ სხვადასხვა სულიერ განწყობილებას სახის სხვადასხვა გამოთქმა აქვს: მხიარული ადამიანის გამოთქმა არ წააგავს მწუხარე ადამიანის გამოთქმას: ყმის გამოთქმა სხვა ინტონაციისაა, მებატონის გამოთქმა სხვა ინტონაციის, საქმის მეთაურის გამოთქმა არ წააგავს მიმყოლის გამოთქმას; სოციალური საჭიროება იძლევა მეტყველების ფორმებს და გამოთქმის თავისებურებას: ოცი-ოცდახუთი წლის წინათ ჩვენში ადგილი ჰქონდა სოციალური ფსიქოლოგიის სულ სხვა ფორმას; ცხადია, მაშინ მეტყველებაც სხვა სახისა იყო, მაშინ არავინ ხმარობდა სიტყვებს: „პროფკავშირი“, „კომინტერნი“, „აღმასკომი“, „ადგილკომი“, „პოლიტგანი“; სამაგიეროდ ამბობდენ: „პოლიცია“, „აღმატებულება“, „ბრწყინვალეპა“, „თავადი“, „გუბერნატორი“ და სხვა... ამ სიტყვებს მოითხოვდა მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების საჭიროება — მაშინდელი ურთიერთობა ადამიანთა შორის: დღევანდელი ურთიერთობა სხვა სახისაა და, ცხადია, სოციალური საჭიროება მოითხოვს სხვა სიტყვებს სხვა განცდებისა და სხვა იდეალების გამოსათქმელად.

ვინც დაახლოებულია ლიტერატურასა და საერთოდ ესთეტიკური ხასიათის საკითხებთან, ვისაც აინტერესებს ხელოვნებისა და კულტურის დიადი სახეები, მათი ახსნა-განმარტება, ის ჩვენს წიგნში დაინახავს სრულებით ახალ დებულებას, რომელიც უარყოფს ძველ თეორიებს მეტყველებასა და ხელოვნებაზე, რომელიც გარკვევით და მკვეთრად ამბობს: მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი ს ა და ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს ფ ო რ მ ებ ს ი ძ ლ ე ვ ა ს ო ც ი ა ლ უ რ ი ს ა ჭ ი რ ო ე ბ ა.

ამ სრულებით ახალ ფ ი ლ ო ს ო ფ ი ურ-ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი დებულების საილუსტრაციოდ ჩვენ ავიღებთ ქართული მეტყველების მორფოლოგიურ ევოლუციას: საქართველოში, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, მეტყველება საუცხოოდ გამოსახავს სოციალური ფსიქოლოგიის ამყოლობას — შეფარდებას სულის თავისებური გაბგერებისას სოციალურ-კულტურულ ვითარებასთან; სოციალურ-კულტურული გაშლა ჩვენი ისტორიისა ათავისუფლებს მეტყველების შინაგან ფორმებს და მეათე, მეთერთმეტე საუკუნის ქართული მეტყველება უფრო თავისუფალია შინაგანი წყობით, უფრო რიტმულია და მელოდიური გაბგერებაში, ვიდრე მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საუკუნეთა მეტყველება; სხვა ქვეყნებში, სადაც კულტურის ევოლუცია უფრო სწორხაზოვნად მიმდინარეობს, უფრო რეგულარულად ვითარდება, მეტყველებაც თანდათანობით და სისტემატურად იღებს რიტმულ სახეს, თანდათანობით და სისტემატურად განცდა ფსიქოლოგიური იძლევა შემოქმედებითი ხასიათის ღელვით თანხმოვანთა აკუმულაციას და ხმოვან ბგერებს იწვევს ფონეტიკურ-ესთეტიკური არტიკულაციისაკენ. საქართველოში კი სოციალურ-კულტურული ვითარების უსწორმასწორობა ახდენს ქართული მეტყველების ერთგვარ „უკანონო“ დეფორმაციას და ყოველი მწერალი თავისი პათოსით, თავისი სტილით სავსებით ემორჩილება სოციალურ-ფსიქოლოგიური ჰაერეთის დაწოლასა და შეკუმშვას, ნერვულობასა და კონვულსიებს: მარცვლების რიტმული წყობა, ხმოვანთა და თანხმოვანთა შეფარდებულობა, პათოსი თქმისა, გაბგერების ეპიკური ან ლირიკული ტონი მეტყველების ევოლუციაში ყოველთვის ყველა ხალხის და ისტორიის ცხოვრებაში სოციალურ-ისტორიული განცდის ინსტრუმენტული ფორმებია; სულიერი სისავსე ინდივიდუალურ მყარობაში იძლევა მეტყველების სრულყოფის ესთეტიკურ ფორმას, მდგომარეობა კვეთს მეტყველებისა და ხელოვნების ფორმას, მდგომარეობა სულისა და აზროვნების თერძია; მდგომარეობის შევიწროება და შეკუმშვა იწვევს არტიკულაციისა და გაბგერების შევიწროებას; მდგომარეობის გაშლა, სოციალურ-კულტურული ვითა-

რების გაფართოება აწვევს მეტყველების ესთეტიზაციას: ხალხი რაც უფრო გახიცდის სოციალურად და იწვის ისტორიულად პერიოდულ შესვენებაში, მით უფრო რიტმულია და ლამაზი მისი მეტყველება.

არას გვარგებს სიმძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა,
არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა,
წესი არის მამათაგან მოვირვება, ჭირთა თმენა,
არვის ძალუძს ხორციელსა განგებისა გარდავლენა.

აქ სიტყვათა წყობაში გამოსახულია არა მარტო რუსთაველის დიდი ნიჭი და პოეტური ვირტუოზობა, არამედ მეთორმეტე საუკუნის სოციალური სულის როგორც შინაგანი სიმდიდრე, ისე ფონეტიკურ-ესთეტიკური სრულყოფა და თავისუფლება არტიკულაციისა: ყოველი სიტყვა, აქ მოთავსებული, თავისთავად ატარებს კორელატურ რიტმს, თავისთავად გამოსახავს ფონეტიკურსა და ვერბალურ თავისუფლებას მეტყველებაში; სიტყვები და მათი მარცვლები ჰარმონიულად ეფინებიან ცნებათა ტალღებს, როგორც ძვირფასი ძოწეული ლამაზი ქალის ელასტიკურ კუნთებს; აქ არის სრული ესთეტიკურ-ვერბალური მიღწევა, გამომსახველი არა მარტო რუსთაველის დიდი ნიჭისა, არამედ ეპოქის შინაგანი მოძრაობის რიტმულობისა, ელასტიკურობისა და მოქნილობისა, ეპოქის სულის სისავსისა, სოციალურ-ისტორიული განცდის მელოდიისა: მთელს ტაეპში არ არის არც ერთი მარცვალი, რომელშიც იყოს ფონეტიკური სიბლაგვე და არტიკულაციური ხორკლიანობა; ქართული მეტყველებისათვის აქ მოცემულია იდეალური ელასტიკურობა და, ვიმეორებთ, ამას იძლევა არა რუსთაველის პოეტური ტექნიკა, არამედ ეპოქის სული, სოციალური მელოდია.

XIII საუკუნიდან მონღოლთა შემოსევამ საქართველოს კულტურის ევოლუციის ჩარხი უკუღმა დაატრიალა და კულტურულ დაცემას თან მოჰყვა სულის ფონეტიკურ-ესთეტიკური გაბლაგვება ქართულ მეტყველებაში:

მკვრელნი, მთქმელნი და რიტორნი, მგოსანნი და მობაასენი
ეარდ-ბულბულს გაიძახიან ყოველი სული იმთენი
აწღა მიწყე წენობა, გამცრიცე, გამაყვითენი,
შენი ბრალია, შემშალე თეთრ-წითლად და პირიმთენი.

ქართული კულტურისა და ლიტერატურის განახლების პერიოდს ახასიათებს გაბგერების შევიწროება და ფონეტიკურ-ვერბალური სიბ-

ლაგვე, სიღრუე, რომელნიც ამოძახილია ბნელი ეპოქების სულის ღელვისა და შეხუთვის: აკუმულაცია თანხმოვანთა („მკვრელნი", მთქმელნი"), ბლაგვი და ხორკლიანი წყობა სიტყვებისა („აწღა მიწყე წუნობა"), ესთეტიკურ სიმკვეთრეს მოკლებული სიტყვები („გამცრიცე", „გამაყვითენი") თითქოს აქანდაკებენ ხალხის სხეულის მოდუნებას კულტურულ-სახელმწიფოებრივ ძალდატანებაში, თითქოს პოეტის სული შეხუთულია ისტორიული ჰაერეთით, თითქოს გაბგერების ენერგია და ხალისი ჩაძენძილია სოციალურ-ისტორიულ უკულმართობაში.

ჩვენი აზრი რომ სწორია, ამას ამტკიცებს სხვადასხვაობა მართული გამოთქმისა საქართველოს აღმოსავლეთსა და დასავლეთში; ამ სხვადასხვაობაში ლაპარაკობს მორფოლოგიურად და ფონეტიკურად ისტორიულ-კულტურულ ვითარებათა სხვადასხვაობა. დასავლეთ საქართველოში გამოთქმა ნერვული, ხალისიანი, ჩქარი, ინტენსიურ-პათეტიკურია; აღმოსავლეთ საქართველოში გამოთქმა მძიმე, ზვიადი, მკვეთრი, სახიერი და მონოტონურია; დასავლეთ საქართველოს ინტონაციაში ისმის მარცვალთა შორის განცდის გაბგერების შინაგანი თავისუფლება, თითქოს გამოთქმა ფსიქოლოგიური და ორგანულ ნერვული რეზონანსია ისტორიულ-კუთხური დასვენებისა და სულიერი ენერგიისა, რომელსაც ინახავდა ეპოქათა გრძელი რიგი; აღმოსავლეთ საქართველოს ეპიკურსა და ზვიად გამოთქმაში თითქოს კვნესის ქართული სული, თითქოს ფონეტიკურ-მორფოლოგიურ არტიკულაციაში ვიღაც მოსთქვამს აღელვებით, მძიმე ამოსუნთქვით, თითქოს ოხრავს დაჭყლეტილი სხეული:

ოხვრა არის შვება უბედურისა.

მეტყველება მატერიულ-ბიოლოგიური განცდის და წვალების ეპიფენომენია: სიტყვათა წყობა ინსტრუმენტული გამოსახვაა ნერვებისა და სულის კონვულსიებისა: სტილი ორგანულ-ნერვული ემოციების მელოდიაა, გამოსახულია სიტყვებში; სტილის სული მდგომარეობისა და ყოფის აორთქლებაა სოციალურ-ისტორიული რეფლექსებით შენახული და შემოქმედებით ინდივიდუალიზაციაში გატარებული.

საუცხოო მაგალითებს სოციალური კულტურის ევოლუციისა და მეტყველების ფონეტიკურ-ესთეტიკურ ფორმათა შეფარდებულებისას წარმოადგენენ ილია ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე და აკაკი წ ე რ ე თ ე ლ ი, საქართველოს XIX საუკუნის ტროპულ-ფსიქოლოგიური იმაჟები: წ ე-

რ ე თ ლ ი ს სული და სტილი დასავლეთ საქართველოს ისტორიული უზრუნველობისა და უდარდელობის სული და სტილია: თქმა ხალისიანი, ნაივური, ბავშვური; გააზრება ჩქარი, ცვალებადი, პათოსის კულტი და ლოგიკის სიძულვილი („პოეტი", „ხან ესა ვარ, ხან ისა") — ყველაფერი ეს ახასიათებს წ ე რ ე თ ე ლ ს. როგორც იმერეთის ესთეტიკურ-ინტელექტუალურ განსახეობას, როგორც მდგომარეობისა და ყოფის ორგანოტროპულ სიმბოლოს, ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს სული და სტილი აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ტკივილებისა და სოციალურ რყევათა მძიმე გაბგერებაა; მკვეთრი სიტყვების ეგზიუბერანსი და მონოტონობა, პათოსი ეპიკური, აყოვლადებული პირამიდულ განცდაში, სასოწარკვეთილების სარკაზმი, ფსიქოლოგიური სისწორე გამოთქმისა, აზროვნების ლოგიკური მიმართება („პოეტი", „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის"), სოციალური ტონუსი ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს შემოქმედების მთავარი თვისებებია და ამ თვისებებს ამართლებს ისტორიული გ ა ნ ც დ ა და ბ ე დ ი აღმოსავლეთ საქართველოისა.

მეტად საყურადღებოა ისტორიული რეფლექსოლოგიის თვალთახედვით ის, რომ აღმოსავლეთ საქართველოში არამცთუ ფართო მასა, არამედ ხშირად მეცნიერებიც ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან ცნებებს, რომელნიც გამოიხატებიან სიტყვებში — „დაწყობილი" და „დაწყებული"; ეს ორი სიტყვა აღმოსავლეთ საქართველოში ძალიან ხშირად ერთმანეთის მაგიერ იხმარება და სწორედ ეს ფაქტი ცხადყოფს სოციალური განცდისა და სიტყვის ხმარების ფსიქოლოგიურ შეფარდებულებას: აღმოსავლეთი საქართველო ისტორიულად იყო მოუსვენარი გლეჯისა და ბრძოლის არენა; ხალხის შემეცნებით წარმოსახვაში განმტკიცდა, რომ დ ა წ ყ ო ბ ი ლ ი თუ რამე იყო, დ ა წ ყ ე ბ უ ლ ს ნიშნავდა, ვინაიდან სისტემატური აოხრება მდგომარეობისა და ყოფისა მოითხოვდა დაწყების სისტემატურ გამეორებას: დ ა წ ყ ო ბ ი ლ ი ყოველთვის ინგრეოდა და ამიტომ დაწყობას ყოველთვის დ ა წ ყ ე ბ ა ესაჭიროებოდა; მდგომარეობის უკუღმართმა განცდამ სხვადასხვა ცნება ერთმანეთს ისე დაუახლოვა, რომ ხალხი მათ შორის განსხვავებას ვერ ამჩნევს. მტრები ანგრევენ მდგომარეობას. სოციალურ ყოფას. ამიტომ ყოველთვის იწყებოდა და თუ დაწყებული იყო, დაწყობილი იქნებოდა.

ამ სემანტიკურ-ფილოლოგიურ მაგალითში მოცემულია საუცხოო ფაქტი იმის დამამტკიცებელი, თუ როგორ ერთი და იგივე ისტორიული განცდა აღუღებს ერთმანეთთან სხვადასხვა ცნებას, სხვადასხვა სი-

ტყვაში გაქრობასულს. სიტყვა შემოქმედების სტატიკური ფორმაა, ცნება — დინამიკური: სიტყვა რჩება ხშირად, ცნება კი იცვლება: სოციალური კულტურის ევოლუცია ასხვაფერებს მეტყველების იდეოლოგიურ კონსტრუქციას; მხოლოდ იდეოლოგია იცვლება სოციალურ წარმოებასთან ერთად: იდეოლოგიას აქვს პირდაპირი დამოკიდებულება საზოგადოების საჭიროებასა და ინტერესებთან; ცნებაში არ არის არაფერი ზედროული, აბსოლუტური, არაფერი მარადიული და ღვთაებრივი; ცნება სოციალურ წვალებასა და საჭიროებაში აისახება; ვინაიდან ყოველ ეპოქას აქვს თავისი საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა, ყოველ ეპოქას აქვს თავისი საკუთარი სოციალური ხასიათის საჭიროებანი; ცნება ესთეტიკური, მორალური, ფილოსოფიური ყოველი საუკუნისა და ყოველი ხალხის ცხოვრებაში სხვაფერდება იმის მიხედვით, თუ რა სახისაა ცვლილება ადამიანთა შორის ინტერესებისა და საყოფაცხოვრებო მიმართებათა.

სოციოლოგიური კომპლექსიზმი კუთხურ-ტროპულ სხვაობათა მყარობებში აზროვნების მეთოდოლოგიური გამარჯვებაა: ყოველგვარ აპრიორიზმსა და ალეთოლოგიას, ყოველგვარ იდეალისტურ-აბსოლუტურ განმარტებას ფილოსოფიისა და ხელოვნების პრობლემისას ბოლო ეღება მას შემდეგ, რაც ადამიანის სულმა იგრძნო თავისი ყოფის ეფემერულობა დაუსრულებლობის არეზე, მას შემდეგ, რაც სული დაიცრიცა მეცნიერულ კვლევა-ძიებათა რელატივებით დაეჭვებით; აშკარავდება უდავო შეფარდებულობა იდეოლოგიასა და სოციალურ კულტურულ მყარობათა ცვალებადობას შორის, აშკარავდება დამოკიდებულება პირდაპირი და ორგანული ჩვენი სულის ესთეტიკურ-ფილოსოფიური გააზრებისა და მდგომარეობისა; აზროვნების ფორმებისა და ცნებათა ფაქტობრივი მოცემულობის საკითხი გენეზისისა და შეფარდებულობის საკითხად გარდაიქცა; ღირებულება აბსოლუტური სულისა და შემოქმედების ფორმათა, რომელიც თეოლოგებისა და რაციონალისტების დეფინიციებში გამოსახავდა ტრანსცენდენტურ ჭეშმარიტებას, რომელიც ჩვენი პლანეტის განსაზღვრულ კუთხეში მეფეებისა, ეპისკოპოსებისა და ინდივიდუალისტების რეგალიებში ელვარებდა ყალბი პათოსით და პრეტენზიებით, sub specie aeternitatis საცოდავია.

ინდივიდუალისტური მომენტი

მეტყველება თავის ევოლუციაში განიცდის სისტემატურ გავლენას მდგომარეობისას და რამდენადაც ყოფა-ცხოვრების ფსიქოლოგია მოქმედებს კერძო ადამიანის ნებისყოფასა და სურვილებზე, იმდენად საერთოდ მდგომარეობა იძლევა შემოქმედების ერთგვარ ფარგლებს: შემოქმედება როგორც მხატვრული, ისე განყენებული, იწვევს შემოქმედ'ნ ექსტაზს. ორგანულ ეროსს, რომელიც წარმოუდგენელია იმ ურთიერთობის გარეშე, რომელსაც ადგილი აქვს ორგანულ ცხოვრებასა და მდგომარეობას შორის, ექსტაზი დიონისური ან აპოლონური შეუძლებელია გრენლანდიაზე და ციმბირში, შეუძლებელია ისეთ პირობებში, სადაც არსისა და მდგომარეობის ურთიერთობა არ იძლევა ორგანული სისავსის შეგრძნებას, სადაც ბუნება და მისი კლიმატიურ-გეოგრაფიული თავისებურება ხელს არ უწყობს ამ შეგრძნების განცდას.

საერთოდ, სულის არა მარტო გარეგანი ფორმა, არამედ შინაგანი გაშლის საშუალებაც დაკავშირებულია სოციალური ევოლუციის ინტენსიობასთან: სული იკლაკნება ცხოვრების ხვეულებში და შემოქმედების სტილი და ფორმა ყოველი საუკუნისა სოციალური საჭიროების წნევით იქმნება. საბერძნეთის შემოქმედების ფორმები, მეტყველებისა და აზროვნების არქიტექტონიკა, ორნამენტები და ქანდაკებები, თვით მათემატიკურ-ფილოსოფიური დებულებანი აკვეთილია საბერძნეთის სოციალურ-ისტორიული განცდით, მდგომარეობისა და არსობის ურთიერთობით: მსოფლმხედველობა ხალხისა, რომელსაც არ ჰქონდა დაუსრულებლობის წარმოდგენა, რომელიც ქვეყნის ბოლოს ხედავდა გიბრალტარის სვეტებთან და რომლისათვისაც სამყარო იყო ერთგვარი მოედანი განსაზღვრული ბილიკებით და არეებით, არსებობის წარმოსახვაში, მის ფილოსოფიურ-მათემატიკურ გაინტეგრალებაში იყო მარტივი, როგორც ე ვ კ ლ ი დ ე ს პლანიმეტრიული ხაზები და წრეწირები; თავის განცდას და სხივოსან აკვამლებას სული ასახიერებდა კუნთურ-პლასტიკურ ფორმებში; „გამრუდებასა“ და „დატეხას“ ადგილი არ ჰქონდა: ს ო კ რ ა ტ ე ს დროს საბერძნეთი ნაწევარს არ იცნობდა და 1-სა და 3-ს შორის იცნობდა მხოლოდ ერთ ოდენობას—2-ს; ელინი ვერ ხედავდა განწვალების პროცესს — სიღრმეს, ხვეულებს, სულის ტეხილობას, ვინაიდან სოციალური ფსიქოლოგია, გაშლილი განსაზღვრულ არეზე და შემოზღუდული თვითშეცნობის სიამაყით, იყო სრულებით გარკვეული, დასრულებული, წყობილი; სულ სხვაა ეგვიპ-

ტისა და ინდოეთის ფსიქოლოგია დაუსრულებლობის შეგრძნობით. უსაზღვროების ხედვით: ბ უ დ ა და აწვერადებული პირამიდები „კოლოსალური სიმბოლოებია უსაზღვროების შეგრძნებისა და საბერძნეთის კულტურაში მსგავსი ამ სიმბოლოებისა არა არის რა: პ ლ ა ტ ო ნ ი ს ფილოსოფიური ინტუიცია მხოლოდ იმიტაციაა იმისა, რაც ორგანულად განიცადა ინდოეთმა და ეგვიპტემ; საბერძნეთმა უსაზღვროება შეკუმშა და ოლიმპიის ლამაზ ფერდობზე იხილა საიდუმლოება ცისფერი სიჩუმისა: ანფანტური და ნაივურია ელადის სული, მარტივი და მწყობრია მისი შემოქმედების ფორმები. ელადა არ იცნობს ფაქტის სიღრმეს, სიტუაციის რთულობას, სხვაობათა ნარევებს; სამყაროს შეცნობა ელადურ ფორმაში ყოველთვის პლასტიკური და ღიაა: ელინური სული შეიცნობს მხოლოდ უკიდურესობას: ტრაგედია ან კომედია, დრამა ჩვენი გაგებით — დრამა ტრაგი-კომედიური უცნობია ელინისათვის; ე ს ქ ი ლ ე, ს ო ფ ო კ ლ ე, ე ვ რ ი პ ი დ ე თავიანთ დრამებში არასოდეს მიზეზობრივ ფაქტებს არ იღებენ; ჩვენ არ ვიცით, — ე ს ქ ი ლ ე ს ტრაგედიიდან არ ჩანს,—როგორ და რა პირობებში მოიტაცა ცეცხლი პრომეთემ? ჩვენ არ ვიცით, ო ი დ ი პ ო ს მეფემ როგორ მოკლა მამა და როგორია მისი ქორწილი დედასთან? დრამიდან არ ჩანს, როგორ დამარხა ანტიგონემ ძმა? ფაქტი უკვე მომხდარია და ტრაგედია უკვე განსახიერებულია დასაწყისშივე; ფაბულა ტრაგედიისა მხოლოდ სულის გაწმენდისათვის ვითარდება თავისი შედეგებით; არქიტექტონიკა შემოქმედებისა ისახავს მორალურ-დიდაქტიკურ მიზანს და თეატრი განასახიერებს მხოლოდ მომხდარი ფაქტების შედეგებს იმდენად, რამდენადაც ეს შედეგები არღვევენ ელინური მსოფლმხედველობის ძირითად პრინციპებს და იწვევენ ამით ტანჯვისა და სასოწარკვეთილების გრძნობას. წუთისოფლურ ჩვეულებებს, განმტკიცებულს ადამიანის სულში, ბერძნული ტრაგედია უპირისპირებს ბედისწერის გარდუვალობას და დეტერმინიზმის ბორკილებს; პ რ ო მ ე თ ე, ა ნ ტ ი გ ო ნ ე, ი ქ ს ი ო ნ ი, ა ლ კ ე ს ტ ა ტრაგედიული არსებობის რეალიებია იმდენად, რამდენადაც ტრაგედიის ფაქტი უკვე მიღებულია, გარეშე ყოველგვარი კრიტიკისა და გადაფასებისა, გარეშე ყოველგვარი ეჭვებისა: არც ერთი ეჭვნარევი ქცევა პ რ ო მ ე თ ე ს ა და ა ნ ტ ი გ ო ნ ე ს მოქმედებებში არ ჩანს.

ელინიზაციის პერიოდი — ელინური მსოფლმხედველობის რღვევის პერიოდი — წარმართული სულის დაცრეცისა და განწვალების პერიოდია მისტიკურობის შეგრძნობამდე: პითაგორიზმი ელინური სულის

რღვევის თვითშეგრძნებაა და ქრისტიანული ფილოსოფიის ფესვები ელინიზმის დაშლაში მაგრდებიან; საშუალო საუკუნეებმა კიდევ უფრო დაცრიცეს სული ადამიანისა: სამყარო ადამიანისათვის გახდა კოშმარული მოჩვენება; ბედისწერა გარდაისახა და მეფისტოფელის პოზაში ჩადგა; ბრაზმორეულმა ადამიანმა ამოიღო ხმალი თავისი მეობისა და სულის სინაზის დასაცავად; ინდივიდუალიზმმა შემოზღუდა ფეოდალური ყორეებით ეზოები და არსებობის სევდა შეანელა თავისი სულის სიღრმეში სატრფოს ალერსით: სულმა უარყო წუთისოფლური სიტლანქე და სატრფო — ხშირად ჭუჭყიანი საცვლებით, ჩაგოდრებული დედაკაცი — ბეატრიჩედ გახადა.

სული, დაქანცული ბრძოლით და წუთისოფლური კოშმარებით, სული მაძიებელი ცხოვრების აზრის, სული დათენთილი და სავსე ეჭვებით, ისვენებს ქალის კალთაში და ამით ივიწყებს მარტოობას, უსამართლობას, ამქვეყნიურ შეურაცხყოფას; სატრფო წუთისოფლური ნუგეში იყო სულისათვის, რომელიც ბრუნდებოდა ბრძოლის ველიდან აღლვებული სექსუალურ-ეროტული პალპიტაციით, შემთხვევით ბევრჯერ დამარცხებული, მაგრამ სივრცით წარმოსახვასა და ოცნებაში გამაგრებული. რელიგია სდევნიდა მიწიერ ყოფას, გრძნობისა და სექსუალობის ინტერესებს ინკვიზიციებით, მაგრამ რაინდობის კულტი და გულის დასმა საშუალო საუკუნეთა განმავლობაში იცავდნენ გრძნობისა და სექსუალობის ინტერესებს, სხეულს, ეროტიკას, იცავდნენ მანამდე, სანამ ნატურალისტური წარმოშობის დაშლა ადგილს დაუთმობდა ქალაქების გამრავლებას და ნერეულ მისვლა-მოსვლას ცენტრებში, სანამ ჰუმანიზმი დაყრდნობილი ფსიქოლოგიურად ახალი ეპოქების კულტურულ ვითარებას, ნიადაგს მოუმზადებს ინდივიდუალიზმის რესტავრაციას სოციალურ პირობებში.

საზოგადოება არსებობს ინდივიდუუმების წყალობით, მათი თავისუფალი შეთანხმების ძალით; პიროვნებას აქვს ბუნებრივი უფლება შეთანხმებისა მეორე პიროვნებასთან, საზოგადოება არის იარაღი ინდივიდუალურად დასახული მიზნებისა; საზოგადოება საჭიროა მხოლოდ იმისათვის, რომ მიაღწიოს საზოგადოების თითოეულმა წევრმა ბედნიერების მაქსიმუმს; ასეთია ფორმულა XVIII საუკუნის მსოფლმხედველობისა და იქ იპოვა დასაყრდენი ემანუილ კანტის მორალურმა იმპერატივმა: „ნუ უზამ სხვას იმას, რაც შენთვის არ გინდა“. იმპერატივის ფორმულა, ამოღებული სახარებიდან, ეგუება რუსოს და კანტის დროის საზოგადოებრივ მსოფლგაგებას, ფსიქოლოგიას; კა-

ტეგორიული იმპერატივი იყო სინთეზური დებულება საშუალო საუკუნეებიდან მიღებული ფეოდალურ-არისტოკრატიული ინდივიდუალიზმისა და თეოლოგიურ-ეკლესიური ეთიკის გაერთიანების ნიადაგზე წარმოშობილი, იმ ნიადაგზე, რომელიც ფსიქოლოგიურად მოამზადა ჰუმანიზმმა და რეფორმაციებმა. ჰუმანიზმმა — ინდივიდუალობის მთლიანობის მაძიებელმა—შეაერთა ეს ორი სხვადასხვაგვარი იდეოლოგიურ-კულტურული მიმდინარეობა ევროპის ახალ მსოფლმხედველობაში. ცივილიზაციამ ფეოდალური ეზოებიდან, დაღვრემილი მონასტრებიდან ქალაქებში გადასულმა, მიიღო ახალი მორალური ხასიათის სანქცია: „მიზანთა წყობაში ადამიანი მიზანია თავისთავად" — ამბობს კ ა ნ ტ ი ს ეთიკური პრინციპი; პოლიტიკურ ეკონომიაში იწყება საზოგადო მეურნეობის ატომიზაცია; საშუალო საუკუნეობრივი მექანიკური განაწილება ქვეყნიური დოვლათისა კერძო საკუთრებად გრძელდება მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ადგილი ეთმობა თავისუფალ კონკურენციას, რასაც სდევნიდა აგრესიული ინდივიდუალიზმი ფეოდალური წესწყობილებისა. საზოგადო ბედნიერება ადამიანს შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ მაშინ, თუკი ყოველი ცალკე პიროვნება თავისთვის განახორციელებს ბედნიერებას: „დეე, ყოველმა თქვენგანმა იფიქროს საკუთარი თავის ბედნიერებაზე და ეს ჩვენ მალე მიგვიყვანს საერთო ბედნიერებამდე",—სწერდა გ ო ე თ ე სენ-სიმონისტებს: ლიბერალური ბურჟუაზია, რომელიც ევროპის დიდ ქალაქებში შეიქნა მემკვიდრე ფეოდალური არისტოკრატიისა, აცხადებს პრეტენზიებს აბსოლუტურ თავისუფლებაზე და მორალური კანონი ითხოვს, რომ ადამიანი არასოდეს უარს არ ეუბნებოდეს თავის უსაზღვრო სურვილებს. თუნდაც ეს იყოს საზოგადოებისათვის მავნებელი: ლიბერალური ინდივიდუალიზმისათვის საზოგადოება არის ერთგვარი სააქციონერო კამპანია, რომელიც საჭიროა ინდივიდუალური ინტერესების დასაცავად; ლიბერალური ინდივიდუალიზმის სახელმწიფო სისტემა მანჩენსტერის სკოლის პოლიტიკური თეორიაა, რომელსაც ფერდინანდ ლ ა ს ა ლ ი უწოდებს ბარბაროსულად მოწყობილ (Die indirecte, Steuer, S. 116) საექსპლოატაციო საზოგადოებას; რუსი ფილოსოფოსი, აზროვნების კონსტრუქციით მისტიკოსი ვლ. ს ო ლ ო ვ ი ო ვ ი შემდეგი სიტყვებით ახასიათებს ლიბერალური ინდივიდუალიზმის თავაწყვეტას: „მოისპო რა ტრადიცია, რომელიც თითოეულ პიროვნებას ქმნიდა საზოგადოებრივი ჯგუფის უმაღლეს ელემენტად, ახალმა კულტურულ-ცივილიზაციურმა მოძრაობამ ადამიანი მიაკუთვნა თავის თავს; ინდივიდუალობა

თითქოს განთავისუფლდა, მაგრამ საფუძველი და საზრდო დაკარგა: კერძო ეგოისტური ინტერესი, შემთხვევითი აფექტი, წვრილმანი უმნიშვნელობა, ატომიზმი ხელოვნებაში" — აი უკანასკნელი სიტყვა დასავლეთის ცივილიზაციისა*: „თუ ისტორია კაცობრიობისა,—განაგრძობს ს ო ლ ო ვ ი ო ვ ი, — არ უნდა დამთავრდეს ამ უარყოფითი შედეგით, თუ გამოჩნდება ახალი ისტორიული ძალა. მისი ამოცანა იქნება შემუშავება ცხოვრებისა და ცოდნის ისეთი ელემენტებისა, რომ შეარიგოს „უმაღლეს დასაწყისში" ერთმანეთთან მტრულად განწყობილი ელემენტები. შერიგებითი ხასიათის „უმაღლესი დასაწყისი" გულისხმობს ზეინდივიდუალურ პრინციპს, რომელიც იქნება გარეშე ყოველგვარი ეგოიზმისა, ალტრუიზმისა, უტილიტარიზმისა და რომელსაც არსებობის სიღრმეებში, სოციალური დუღილის ქვაბში ასახიერებს წარმოებისა და ინდუსტრიის განვითარება. ყოველი კერძო ადამიანი, დაკარგული ინდივიდუალისტურ-ატომისტურ საზოგადოებაში, დაავადმყოფებული თვითგანმტკიცებისა და მარტოობის სფეროში ინდუსტრიისა და კაპიტალისტური წარმოების დიფერენციაციით, იძულებულია განეწყოს სოლიდარულად საზოგადოებასთან, ეგოიზმისა და ალტრუიზმის მორალის ზღუდეებიდან გადავიდეს სოციალური ურთიერთობის სოლიდარიზაციაში; უდიდესი ხელისშემშლელი ყოველი კერძო ადამიანის არსებობისათვის ბრძოლაში არის მარტოობა სულიერი და მატერიალური. ატომიზმი კულტურულ-ცივილიზაციური, განკერძოება ფიზიკური და მორალური; ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ საზოგადოებაში „ინდივიდუალისტური დასაწყისი" ღრღნის სოციალურ ურთიერთობათა ენერგიას და ამით ნიადაგს უსპობს ყოველგვარ ნიჭს და ორიგინალობას; პიროვნება იღუპება არა იმიტომ, რომ იგი იყოს შრომის ფუნქციის მანქანა, არამედ იმიტომ, რომ ინდივიდუალისტური წარმოება საშუალებას არ აძლევს მას, აირჩიოს შრომის სპეციალური დარგი თავისი ნიჭისა და სიმპათიის შეფარდებით; პიროვნება იტანჯება არა შრომის სპეციალიზაციით და განწვალებით, არამედ იმით, რომ სოციალური არე შეზღუდულია ინდივიდუალიზმის ჩინური ყორეებით. ცხოვრების ბილიკები დაკავებულია და ყოველი შემთხვევის საფარაჯოზე დგას კერძო წარმოების ნიადაგი; მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა ფორმა ისე არის მორთული, რომ დააკმაყოფილოს სურვილები წრისა: ფილოსოფია, ესთეტიკა, ხელოვნების სხვადასხვა ფორმა მაკ-

---

* Вл. Соловьев, «Философ. начала цельного знания». жур. МНПр. 1877, кн. 3—4.

ლერობს; ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმი, შეიარაღებული მეცნიერების, ფილოსოფიის და ხელოვნების დიადი არსენალით, ორგანულად ვერ სცილდება კომერციულ-მაკლერულ სინამდვილეს. ვერ იხედება სოციალურ-ურთიერთობათა კონსოლიდაციის სფეროში, რომლის ფსიქოლოგიური ნიადაგი ისტორიულად მომზადებულია ინდივიდუალიზმის რღვევით: კაპიტალიზმის გაშლა მსოფლიო მასშტაბით, ოკეანეებისა და კუნძულების გაცნობა თანდათანობით აფართოებენ კაცობრიობის სულსა და მსოფლმხედველობას; წარმოებისა და მრეწველობის ვითარება თანდათანობით იხლართება ადამიანის სოციალურ ურთიერთობათა პერიპეტიებში და სული, ოდესღაც შეზღუდული ფეოდალურ-არისტოკრატიული ინდივიდუალიზმით, თანდათანობით ეშვება კოსმოსურ უსაზღვროებაში.

ხელოვნება და სოციალური სული

მრავალ საუკუნეთა აბსოლუტიზმს ფსიქოლოგიურად გამოეცალა საფუძველი: აბსოლუტიზმი ხმლისა და ეკლესიის, ერთ დროს გამაგრებული ინტელექტუალური მორჩილებისა და მოცემულობის აბსოლუტიზმით, თეოლოგიისა და ეპისკოპოსების აბსოლუტიზმით დაცარიელდა შინაგან წყობაში; იდეოლოგია ინდივიდუალიზმისა და იდეალიზმისა, იდეოლოგია მეობის აბსოლუტური პრეტენზიებით და რელიგიურ-მორალური მისწრაფებებით დამთავრდა ჰ ა მ ლ ე ტ ი ს ა და ფ ა უ ს ტ ი ს პრობლემებით; ადამიანი, რომელიც ოდესღაც თავის თავს ინუგეშებდა ფარ-ხმალით და ეკლესიით, დარჩა თავისი ეჭვების ამარა; სევდა შეიპარა კაცობრიობის სულში — სევდა მარტოობისა და რღვევის: ინდივიდუალიზმის განგაში და ელვარება ფეოდალურ სასახლეებში გაქრა: სული, რომელიც შეყვარებული იყო ინდივიდუალიზმზე, სევდით და ეჭვებით აივსო; რომანტიზმმა წესი აუგო ინდივიდუალიზმის დამარცხებას, მ ა ნ ფ რ ე დ ე ბ ი ს ა და ს ა რ დ ა ნ ა პ ა ლ ე ბ ი ს ქაოსურ სურვილებს, მათი სასახლეებისა და ციხე-ციხეების ნგრევას; რომანტიზმმა აღიარა სასოწარკვეთილებით, რომ ძლიერი პიროვნებ-სა და მისი წუთისოფლური გაქანებისაგან რჩება მხოლოდ ერთი მუჭაღა მტვერი; რომანტიზმმა არწივის ჰორიზონტიდან დაინახა, რომ ამ ქვეყნად ნ ა პ ო ლ ე ო ნ ე ბ ი ისე საცოდავად ქრებიან, როგორც ბელურები ტყეებში ქარიშხლის დროს.

საფრანგეთის რევოლუციამ და parvenus — იმპერატორმა კაცობრიობის მოაზროვნე ნაწილს დაუმტკიცეს, რომ ცხოვრებაში აბსოლუტებს ადგილი არა აქვთ, რომ ცხოვრება არის დაუსრულებელი ფერისცვალება და პრინციპების დაღუპვა, რომ დიადი და მშვენიერი წუთისოფლად თავდება ნაგვით და არარაობით; ნაგვისა და მტვრიდან ჩნდებიან მშვენიერი სახეები და დიადი ფაქტები.

მეორე მხრით, საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, ბუნებისმეტყველების განვითარებამ, სოციოლოგიისა და ბიოლოგიის მიღწევებმა მოუღეს ბოლო ყოველგვარ ალეთოლოგიურ-ეპისკოპოსურ აზროვნებასა და მსოფლმხედველობას; ბიოლოგიასა და სოციოლოგიაში განმტკიცდა პრინციპი გაადგილებისა, ლოკალიზაციისა: მდგომარეობა და ცხოვრების პირობები ყოველი არსის მოძრაობას აძლევენ მიმართულებას, სულისა და ტანის ფორმებს; არარა არის წუთისოფლად მარადიული და ზედროული; ყოველი ფორმა სულისა და ტანის შემოქმედებაა დროისა და მდგომარეობის გავლენის; სამყაროს სურათი, რომელსაც ვხედავთ ჩვენ, შედეგია წვალებისა გეოლოგიურ ევოლუციათა; ყოველი არსი, მოძრაობს რა კოსმოსურ რ ო ი ა შ ი, განსაზღვრულია თავის მოქმედებებში მდგომარეობით; ისტორიამ და მეცნიერებამ გააშიშვლეს ყოფა წუთისოფლური, ჩამოგლიჯეს მსოფლმხედველობიდან ტრადიციულად განმტკიცებული პრინციპები; ქალაქური ცხოვრების ვითარებამ, კაპიტალიზაციის უსამართლო პროცესმა სავსებით გაანადგურა პიროვნება: ქალაქი გახდა სიმბოლო კოსმოსური ქაოსისა და ადამიანმა იგრძნო საშინელი სევდა მარტოობისა, უიმედობისა, სასოწარკვეთილებისა, იგრძნო, რომ ინთქმება ქაოსის ხახაში.

ეკონომიურად შეძლებული კლასი დიდი ქალაქის კაფე-რესტორნებში თავიანთ მეტრესებთან ივიწყებს ინდივიდუალიზმის დაღუპვას, მარტოობის გრძნობას: შემოქმედება და ხელოვნება დავიწყებისა და გართობისათვის, თამაშისა და სიამოვნებისათვის, — ამბობს ქალაქის სული; აზრი, იდეა, შინაარსი საინტერესო არ არის; ფერები და ფორმა, კოსმეტიკა, საღებავი, სურნელოვანი წყლები, ლამაზი ტანები, სულის სიმთვრალე, გაღიზიანება ნერვებისა რაც შეიძლება მეტი. — აი კაფე-რესტორნული იდეოლოგია დიდი ქალაქისა, სული ცივილიზაციისა და კულტურისა, ალკოჰოლით დასუსტებულ ნერვებს ეზარება ძლიერი ბანცდა, ეზარება ტრაგედია, შ ე ქ ს პ ი რ ი, არ უყვარს მეცნიერება, სერიოზული გააზრება; დათენთილი სული ვერ ითმენს შინაგანი ხილვის განათებას და ნერვები მიეჩქარებიან სინემატოგრაფში, სადაც არის

ღერებისა და ლანდების ბორიალება, ისეთივე აჩქარებული მოძრაობანი, როგორიც ახასიათებს ბურჟუაზიულ ურბანიზმს. მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა მ შ ე ქ მ ნ ა ს უ ლ ი ე რ ი გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა და სულიერი განწყობილება ო რ გ ა ნ ო ტ რ ო პ უ ლ ა დ მ ი ი ლ ტ ვ ი ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს ა კ ე ნ; სული მიიჩქარის განიავებისაკენ, სულმა დაკარგა ეპიკური სიმშვიდე, ხელოვნებაში შემოიჭრა ნეგროზი; ინდივიდუალიზმი იხრჩობა თავის ნაჯუჯში; დაღლილი, დათენთილი ტანი გრძნობს რა უკანასკნელ წუთებს, მიეჩქარება კაფე-რესტორნებში მეტრესებთან სათრეველად და სალაღობოდ; განცდა განცდას ახრჩობს და ნერვულ კონვულსიებში ისმის გედის სიმღერა დიდი ქალაქისა — დეგენერაციის მწარე თქმა და კოშმარული ვიზიონები ბ ო დ ლ ე რ ი ს ა და ვ ე რ ლ ე ნ ი ს ლამენტაციებში, ექსპრესიონისტულ დაჭინთვასა და ფუტურისტულ ღრეობებში. სოციალური ყოფა აძლევს მიმართებას შემოქმედებას, სოციალური ყოფა მოქანდაკეა ხელოვნებ-ს ფორმებისა: გოთური სტილი, აწვერადებული და საზღვარაცილებული, რელიგიური ლტოლვის სტატიკური ფორმაა; იმპრესიონიზმი ევროპის დიდი ქალაქების ვიტრინების ლივლივებითაა შთაგონებული; ექსპრესიონიზმი ჭერმანული დაძაბულობის პათოსია; სოციალური ფსიქოლოგიის ინტენსივობა ს უ ლ ი ს გ ა დ ა ხ რ ი ს მ ი მ ა რ თ უ ბ ი თ ქმნის ხელოვნებისა და მეტყველების ფორმებს. კულტურის ევოლუცია ასხვაფერებს ცნებებსა და მეტყველების იდეოლოგიურ კონსტრუქციას; ცნებას აქვს პირდაპირი დამოკიდებულება სოციალურ საჭიროებასა და ინტერესებთან; ცნებაში, ისე როგორც მეტყველებაში, არ არის არაფერი აბსოლუტური, არაფერი ზედროული, არაფერი მარადიული და ღვთაებრივი: ყოველი ცნება თავისი გამომსახველი სიტყვით (რომელიც ერთგვარი სავიზიტო ბარათია ცნების) აისახება მეურნეობისა და სოციალური კულტურის ევოლუციაში და ვინაიდან ყოველ ეპოქას აქვს თავისი საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა, ყოველ ეპოქას აქვს თავისი სოციალური ხასიათის საჭიროებანი, ცნება ესთეტიკური, მორალური, ფილოსოფიური ყოველი საუკუნისა და ყოველი ხალხის ცხოვრებაში სხვაფერდება იმის მიხედვით, თუ რა სახისაა ცვლილება ადამიანთა შორის მატერიალური ინტერესებისა და სოციალურ ურთიერთობათა.

სოციალურ-ტროპული კომპლექსიზმი აზროვნების სწორად აღებული მეთოდოლოგიური პრინციპია — პრინციპი ახალი იმდენად, რამდენადაც სოციალურ-კულტურული კონსტრუქცია მეთოდოლოგიისა

ითქვიფება ორგანოტროპიზმში; ყოველგვარ აპრიორიზმსა და ალეთოლოგიას, ყოველგვარ იდეალისტურ-აბსოლუტურ განმარტებას ფილოსოფიისა და ხელოვნების პრობლემებისას ორგანოტროპიზმის შემდეგ ბოლო ეღება: აშკარავდება უდავო კავშირი კაცობრიობის იდეოლოგიისა და სოციალურ-კულტურულ მყარობათა, აშკარავდება დამოკიდებულება პირდაპირი და ორგანული სულის ესთეტიკურ-ფილოსოფიური გაიზრებისა მდგომარეობასთან; აზროვნების ფორმებისა და ცნებათა ფაქტობრივი მოცემულობის საკითხი გენეზისის და შეფარდებულობის საკითხად გადაიქცა. სულიერობა არის თვისება მატერიისა ისეთივე, როგორც რადიაცია და ელექტრონი; ჩვენს ამეტყველებასა და გააზრებას ისე ესაჭიროება ორგანულ-მატერიული ღრეცა და წვა, როგორც ელექტრონსა და მაგნეტიზმს: ჩვენი გრძნობათა ორგანოები მხოლოდ არხევენ, ასახიერებენ, ავითარებენ იმ განცდათა ფსიქიკურ კაპიტალს, რომელიც ჩვენი ნერვული სისტემის უჯრედულ ხვეულებში გადმოლეკა წინაპართა ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურმა ღელვამ. წინაპართა განცდა, ისე როგორც ყოველი ეპოქის განცდა, ვითარდებოდა და სახიერდებოდა მეურნეობისა და მატერიალური კულტურის განსაკუთრებულ პირობებში. კაცობრიობის მეცნიერებისა და მატერიალური კულტურის ფორმა დამოკიდებულია გეოგრაფიულსა და მეტეოროლოგიურ პირობებზე. ეგვიპტის ოჯახური და საზოგადოებრივი მეურნეობის ფორმა შეფარდებულია ნილოსის მიდამოების გეოგრაფიულსა და მეტეოროლოგიურ პირობებთან; საქართველოს მეურნეობა და სოციალური კულტურა საქართველოს ჰაერისა და მიწა-წყლის თავისებურებასთან არის დაკავშირებული; ხელოვნება და საერთოდ შემოქმედება ყოველი ხალხისა ისახება სოციალური ევოლუციის ფარგლებში.

სიტყვა ყოველ ეპოქაში იქმნება ნივთის საჭიროების დროს; ფერეები და ნაკვთები ხელოვნებაში იარაღებია იმ სულიერი სისავსის გამოსახატავად, რომელიც დაგროვდა სოციალურ-ისტორიულ პროცესში და რომელსაც მიმართებას აძლევდა ადამიანთა ურთიერთობა, შექმნილი ეკონომიკური და ბიოლოგიური ინტერესებით: არსებობის განსაკუთრებულ პირობებში ადამიანი იჩენს ერთიანურ ხერხს და ოსტატობას; სხვადასხვა პროფესია — პროფესია ნადირობის, თევზაობისა, მიწის დამუშავების, ვაჭრობისა და მრეწველობისა აიხსნება არა ტრანსცენდენტურად მოცემული ნიჭიერებით, არა ზეშეგნებით, როგორც ფიქრობენ ყველა კატეგორიის რაციონალისტები და ალეგორისტები

ბი, არამედ ბუნებრივ-მატერიალური შესაძლებლობით და ინტერესით; თავისებურება რასული ჩვენთვის არ არის universalia ante rem; რასა შეგუებისა და ბიოლოგიური წვალების შედეგია: არავითარი მარადიული რეალია რასას არა აქვს და რასული თავისებურება ისე, როგორც ჯიში, ხშირად იცვლება მატერიალურ და სოციალურ ურთიერთობაში; ბიოლოგიური ფაქტი სოციალურ პირობებში განიცდის ფერისცვალებას და თუ სოციალურ-მყარული პირობები ხელს არ უწყობს, შეიძლება ჯიში როგორც ბიოლოგიური ფაქტი გადაშენდეს. გადასხვაფერდეს. ხელოვნება ყველა ხალხისა და რასისა ეძიებს ისეთ ფორმებს, რომელნიც გამოსახავენ მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ საჭიროებათა ასოციაციებს; ავსტრალიელები და ესკიმოსები რასულად და ანთროპოლოგიურად დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ მათი ერთნაირი მეურნეობა — წარმოება და სოციალური საჭიროების ინტერესები მათს ხელოვნებათა ფორმებს ერთმანეთს ამსგავსებს; ყველა რასის ყველა მონადირე ხალხს ერთნაირი არქიტექტონიკის ხელოვნების ფორმები აქვს; ყველა რასის ყველა მიწის მუშა ხალხს აქვს ერთნაირი არქიტექტონიკის ხელოვნება. სოციალური საჭიროების ინტერესი არის დირიჟორი და კონსტრუქტორი ხელოვნების ფორმებისა: რაც უფრო ერები თანდათანობით კულტურის ევოლუციაში ერთნაირ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში იქნებიან, მით უფრო საერთო იდეები და საერთო განცდანი ექნებათ მათ; მრეწველობის განვითარება და ქარხნების გამრავლება სხვადასხვა მიწა-წყალზე ერთსა და იმავე იდეოლოგიურ სტრუქტურას სახავენ; თუ აზროვნების და ხელოვნების ევოლუციის წარსულში სულს კუთხური ტროპიზმი ახასიათებდა, მომავალში ინდუსტრიისა და სოციალური კულტურის ცენტრალიზაციასთან შეფარდებით სული გაიშლება თავის ესთეტიკურ-ფილოსოფიურ ზრახვებში უნივერსალურად და კოსმოსურად: სული კულტურისა და ცივილიზაციისა მიილტვის მარადობისა და უსაზღვროებისაკენ, მაგრამ კაცობრიობა, მიმოფანტული სხვადასხვა მიწა-წყალზე ტომებად, შებოჭილია სამყაროს სხვადასხვა კუთხეში ადგილობრივი მდგომარეობით და სოციალურ-ტროპული ინტერესით.

ესთეტიკური გრძნობის გამოსახვა პირვანდელი ფორმაა კულტურისა და ცივილიზაციისა: ორნამენტიკამ წარმოშვა და განავითარა ტექნიკა; ცეკვამ და კოსმეტიკამ ხელი შეუწყეს კაცობრიობის გამრავლებასა და ქვეყნის კულტურულ მოშენებას სქესების ერთმანეთთან დაახლოვებით; პოეზიამ და მუსიკამ ავარჯიშეს სოციალური ტემპერამენტი

და მისი ნებისყოფის სიძლიერე, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არსებობისათვის ბრძოლაში და საერთოდ ბიოლოგიურ-ორგანულ თავდაცვაში.

ყოველი ფორმა ხელოვნებისა და ლიტერატურისა გამოწვეულია სოციალური ინტერესით და ძველი ესთეტიკური ფილოსოფია სილამაზისა და მშვენიერების ღვთაებრივობისა, ხელოვნება თამაშის თეორიით მოკლებულია აკადემიურსა და ფსიქოლოგიურ საფუძველს: ხელოვნება თამაში კი არ არის, არამედ ფუნქცია სოციალური ცხოვრებისა; მართალია, ხელოვნების მიმართება ხშირად ნაკარნახევია ბიოლოგიური მოთხოვნილებით, მაგრამ თვით ბიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოითხოვს ერთგვარ სოციალურ არეს, ერთგვარ ურთიერთობას სხვა არსებებთან და ამიტომ ბიოლოგიური ინტერესის განხორციელება ყოველთვის სოციალურ მოხერხებასა და შესაძლებლობაზეა დამოკიდებული; სოციალური კულტურის ევოლუცია ახდენს ხელოვნების ფორმების სახეცვლილებას: ქორეოგრაფიას ეკარგება ის მნიშვნელობა, რომელიც მას ჰქონდა პრეისტორიულ მდგომარეობაში, ვინაიდან საზოგადოებრივი ჯგუფები გამრავლდნენ და ტექნიკურად შეუძლებელი შეიქნა ერთი ცეკვის გარშემო შემოერთება მრავალი ათასი ადამიანისა: ვიწრო თემში, რამდენიმე ათეული კაცისათვის კიდევ შესაძლებელი იყო კუნთურ-მიმიკური გამოსახვა შინაგანი განცდისა, რომელიც წარმოადგენდა პლასტიკურ ფორმას კუნთების მოძრაობაში, მაგრამ დროთა ვითარებაში, სოციალური კულტურის ევოლუციაში არსებობის საჭიროებასთან, ადამიანთა შორის ურთიერთობათა ვითარებასთან ვითარდება ფორმა კუნთურ-პლასტიკური შემოქმედებისა. პრინციპი ესთეტიკური განცდისა ყოველი ეპოქის და ყოველი ხალხის ცხოვრებაში აისახება ფსიქოლოგიურად სოციალურ საჭიროებაში: მონადირე ხალხის ცხოვრება აისახება ფსიქოლოგიურად ნადირობის საჭიროებაში: მონადირე ხალხის ცხოვრებაში, მაგალითად, ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ცეკვასა და პანტომიმას; ცეკვას თან ახლავს ყოველთვის სიმღერა ხან უბრალო ტონალური გაბგერების სახით, ხან სიტყვებით, ჟესტიკულაციით და მიმიკით საერთოდ, ველური და უკულტურო ხალხის ცხოვრებაში სიტყვათა რიცხვი ძლიერ მცირეა და ყოველგვარი საჭიროების დროს ველური ადამიანი სურვილის გამოსახატავად ხმარობს კუნთების მოძრაობას: აზრი აქვს, მხოლოდ სიტყვები არა აქვს... დრამატიული ხელოვნება მუსიკით პირველყოფილი სულიერი ლირიზმის გამოსახვა და ყოველგვარი სულის ლირიზმის ჩვენებელი

ერთგვარი სევდისა და სოციალურობაში გაშლის წყურვილისა. სულის მოძრაობაში ყოველთვის არის სურვილი ერთგვარი მეობის გარღვევისა, გაორებისა, მრავლობაში გასვლისა; მაგრამ ყოველი ხალხის ცხოვრებაში სულის ესთეტიკური ფილოსოფიური განცდა სახიერდება ადგილობრივი პირობების ასოციაციებით და მეთოდი, რომლითაც შეიძლება სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ხალხის ხელოვნების ფორმებს შესწავლა. ვერც გასცილდება ვერასოდეს ორგანოტროპიზმის საზღვრებს: მდგომარეობისა და შემოქმედების ურთიერთობა ფორმულაა კულტურულ-ცივილიზაციური მოძრაობის, ესთეტიკურ-ფილოსოფიური გააზრებისა და ხელოვნებისა; წმინდა ხელოვნებისა და ხელოვნება-თამაშის თეორია ესთეტიკური აბსოლუტებისა ირღვევა ეთნოლოგიური და ისტორიულ-სოციალური ფაქტებით; ყოველი ხალხისა და ყოველი საუკუნის კულტურა, ხელოვნება, ესთეტიკური იდეალები თხოულობენ შინაგან გამართლებასა და ფსიქოლოგიურ ინტერპრეტაციას: იაპონელისათვის გაუგებარია რ ე მ ბ რ ა ნ დ ტ ი ს სურათები, განსაკუთრებით ზოგიერთი მისტიკური შინაარსისა; რომელი ევროპელი მოაზროვნე იტყვის: რისი თქმა უნდა ავსტრალიელს იმ მხატვრობით, რომელიც იპოვა გ რ ე ი მ ელენელგის გამოქვაბულში? საჭიროა დიდი და ღრმა დაკვირვება პაპუასების სოციალურ-კულტურული და აგრესიული ცხოვრებისა, მისი თავისებური შინაგანი სტრუქტურისა და რელიგიურ-სტრატეგიული სიმბოლოებისა, რომ ახსნათ, თუ რატომ უკეთებენ პაპუასები თავიანთ საომარ ნავს წინა ნაწილზე ჩიტის თავს? რა ესთეტიკური ღირებულება აქვს ს ი ქ ს ტ ი ნ ი ს მ ა დ ო ნ ა ს რომელიმე ბუშმენისათვის და თუნდაც მონგოლისათვის? რა აზრი აქვს სუდანელი ზანგისათვის „აბესალომ და ეთერის“ მუსიკას, ან ვ ა გ ნ ე რ ი ს მუსიკალურ ინსტრუმენტობას? განა ჩვენთვის გაუგებარი და სასაცილო არ არის ბუშმენებისა და პოლინეზიელთა ხორალები? — ყოველ ყოფას ყოველ მიწა-წყალზე წუთისოფლად აქვს საკუთარი სული, სევდა, განდა. სტილი და იდეა; სამყაროს დაუსრულებლობაში, ხალხთა გუგუნსა და მოძრაობებში, ეპოქათა და მოდგმათა ფერისცვალებაში ყოველი მომენტი არსებობისა, ყოველი სახე წარმოშობილი ბიოგენეტიკურად, მართლდება თავის შინა-წყობაში პირობებით და მდგომარეობებით — სულისა და გარემყარობის ურთიერთობით—ორგანოტროპიზმით; ყოფა ყოფას მოწყვეტილია სულიერად და ყოველი არსი უსაზღვროების არეზე მარტოა განცდაში: სული და მისი რეალ[illegible]ები კუთხურ-ტროპული ფორმებია ორგანულ-ბიოლოგიური შეგუებისა; შემოქმედების ყოველი

ფორმა გამოსახავს კუთხურ ტკივილებს და სიხარულს, კუთხურ განცდასა და სევდას; ღირებულება კუთხურ-კლასური საჭიროების კვალიფიკაციით ისაზღვრება: იაპონელისათვის იაპონური ხელოვნება დიადი და მშვენიერია, ვინაიდან მასში გამოსახულია იაპონური ყოფა, ორგანოტროპული განცდა; ბუშმენისათვის ბუშმენური ხელოვნება სავსეა აზრით და მშვენებით: ყოველი ხალხის და ყოველი საუკუნის სოციალურ-ისტორიული პირობების კომპლექსი ათავისებურებს ხელოვნების პრინციპს, ესთეტიკურ-ფილოსოფიურ იდეალებსა და ჭრახვეს: ესთეტიკური ღირებულება განიზომება ყოველთვის სოციალური ფსიქოლოგიის მიმართებით ადამიანთა ურთიერთობის ინტერესისა და საჭიროების ფარგლებში; ფილოსოფიურ-ესთეტიკური იდეა იკვეთება კუთხურ-ტროპული განცდის დაზგაზე და სული ადამიანისა, როგორც ალკოჰოლიკი, იხრება გაღიზიანებისა და მდგომარეობისაკენ მთელი თავისი მემკვიდრეობით მიღებული თვისებებით და ჩვეულებებით.

სოციალური ფსიქოლოგიის ვარჯიშობა და ჩვეულებების ეანჭკიცება მმართველობს ხელოვნების ფორმების შერჩევაში: საბერძნეთში სოციალური ფსიქოლოგიის მთავარი ყურადღება მიქცეული იყო ადამიანის ტანისკენ, კუთხურ-პლასტიკური ინტენსიურობისაკენ და ამიტომ ელინს ასე ემარჯვებოდა ხელოვნების იდეალების განსახიერება ქანდაკებებში ტანადობისა და ორგანულ-კუნთური მოყვანილობის უმეშვეო ფორმებში: მეტყველებისა და ლიტერატურის ფორმები, სტილი ბერძნული გამოსახველია სულის მ ო ქ ა ნ დ ა კ უ რ ი წყობისა: ჰომერისა ჰომერების მეტყველებითი „ინსტრუმენტოვკა" დამახასიათებელია ელინური განცდისათვის, დამახასიათებელია როგორც ეპიფენომენი სოციალური ფსიქოლოგიისა. საშუალო საუკუნეებში არქიტექტურა სიმბოლურად აერთებდა სულსა და ხორცს გოგანტური კათედრალების გაშლილი გუმბათების რელიგიურ-ესთეტიკურ წარმოსახვაში; რენესანსის სოციალური ფსიქოლოგიის აფექტონალიზმი ადამიანის სულის ცივილიზაციურ ვიზიონერობას და სევდას სახავს მხატვრობითა და მისი ფერებით — ჩრდილისა და სინათლის ნიუანსებით.

ხელოვნება ამეტყველებს სხვადასხვა ფორმებში სოციალურ-ისტორიულ გრძნობებსა და იდეალებს: როგორც ბუშმენებისა და ავსტრალიელების ცეკვაში, საბერძნეთის ქანდაკებებში, ისე საშუალო საუკუნეთა არქიტექტურასა და რენესანსის მხატვრობაში ხელოვნება იძლევა საზოგადოებრივ გრძნობათა დინამიკური ეაერთიანების სტატიკურ ფორმებს. ხელოვნება ყოველთვის აერთიანებს ადამიანებს ეახსა-

კუთრებულ სოციალურ-ისტორიულ პირობებში; საერთო გრძნობა ასახული ლიტერატურაში, აფერადებული მხატვრობაში, გამოქანდაკებული მარმარილოსა და ბრინჯაოში, გაბგერებული მუსიკაში ამოძრავებს და ამოქმედებს სოციალურ სულს, მიმართებას აძლევს სოციალურ ნებისყოფას, იწვევს აზროვნების კოროლარიებს, სავალდებულოს განსაკუთრებული ეპოქისათვის და საზოგადოებისათვის; ვერავითარი ადმინისტრაციული ზომები ვერ შექმნიან მთლიანობას ფსიქოლოგიურს ხალხის ცხოვრებაში ისე, როგორც ხელოვნების პლასტიკური ან ლიტერატურულ-ესთეტიკური ფორმა: გერმანიის გაერთიანებისათვის გ ო ე თ ე მ უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე ბ ი ს მ ა რ კ მ ა; პოლიტიკურად დაწეწილი იტალია ფსიქოლოგიურად გარდაისახა ისტორიულ პროცესში მას შემდეგ, რაც დ ა ნ ტ ე მ განასახიერა იტალიის საშუალო საუკუნეობრივი სული თავისი კოშმარებით და ილუზიებით; საქართველოს კულტურის ძლიერებისა და ცენტრალიზაციისათვის შოთა რ უ ს თ ა ვ ე ლ მ ა და შ ა ვ თ ე ლ ე ბ მ ა გაცილებით უფრო მეტი გააკეთეს, ვიდრე თ ა მ ა რ მეფემ და დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ებ ე ლ მ ა; ხელოვნება სტატიკური ფორმაა ისტორიული idee force-ის და ხელოვნების რომელიმე დარგი ხ ა ლ ხ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა და წ უ თ ი ს ო ფ ლ უ რ ი კ ვ ა ლ ი ფ ი კ ა ც ი ი ს ა თ ვ ი ს ხშირად უფრო საჭიროა, ვიდრე ფარ-ხმალი და ზარბაზანი თავიანთი ბარბაროსული იერიშებით. დიდი პოეტი, დიდი ფილოსოფოსი, დიდი მეცნიერი ისტორიაში არიან სოციალურ გრძნობათა და ნებისყოფათა შემკრებნი: ნ ი უ ტ ო ნ ი ისეთივე კონსტრუქტორია ცივილიზაციური რგოლებისა, როგორც მ ა რ ქ ს ი; შ ე ქ ს პ ი რ ი ს ქარიშხლიან ტემპერამენტებში მოცემულია წუთისოფლურ წვალებათა და ღელვათა გალერეა თავისი პათოსებით და ირაციონალებით ისე, როგორც რ ო ბ ე ს პ ი ე რ ი ს და ლ ე ნ ი ნ ი ს პაროლებში მოცემულია სოციალურ ზრახვათა და ნდომათა დიდი და ძლიერი შენაკადები; მ ე მ ო ქ მ ე დ ებ ი ს სახე კ ო ე ფ ი ც ი ე ნ ტ ი ა ს ო ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ ც დ ი ს ა და წ ვ ა ლ ებ ი ს; ხ ე ლ ო ვ ნ ებ ა ფ უ ნ ქ ც ი ა ა ს ო ც ი ა ლ უ რ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს.

მრავალრიცხოვანი და უზარმაზარი კაცობრიობა მიმოფანტულია ჰ უ ჰ ყ ი ა ნ ი პლანეტის სხვადასხვა კუთხეში, ცხოვრობს ყოველ მიწაწყალზე თავისებურად: ადამიანთა ურთიერთობა დედამიწის ერთ კუთხეში სხვა სახისაა, მეორე კუთხეში — სხვა სახის; გეოგრაფიული, კლიმატიური, ბიოლოგიური პირობები წუთისოფლად ყველგან ათავისებურებს ცხოვრებას; კუნძულებზე, ავსტრალიაში, ბრაზილიაში, ციმბირ-

'ში, ევროპის დიდ ქალაქებში სოციალური ცხოვრება ერთნაირი არ არის; რაკი ერთ კუთხე'ი ერთნაირი სოციალური ცხოვრებაა თავისი პრინციპებით, წუთისოფლური მორალით, კუთხურ-ტროპული ადათებით, სოციალური ფსიქოლოგიაც ამ კუთხეში ისეთია, რომელიც გამოსახავს იმ სურვილებსა და ტკივილებს, იმ ზრახვებსა და გრძნობებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ განსაკუთრებულ პირობებში, განსაკუთრებულ მიწა-წყალზე. სხვადასხვა ხალხის ლიტერატურა, თეატრი, პანტომიმურ-პლასტიკური ნიშნები, მხატვრობა, ქანდაკებანი, რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემები ბოლოს და ბოლოს ეთნოგრაფიული მასალებია; წუთისოფლის ყოველ კუთხეში სოციალურ ურთიერთობას გამოუნახავს სიმბოლოები, ქარაგმები, ნიშნები ადგილობრივი იდეალებისა და სურვილების გამომსახველად; მთელი ცივილიზაცია თავისი ნანგრევებით და უდაბნოებში აწვერადებული პირამიდებით, თავისი ბარელიეფებით და ციხე-კოშკებით, დიდი ქალაქების ასანსიონებით, ლაბორატორიებით და ინსტიტუტებით ადამიანისა და მდგომარეობის ორგანოტროპული ურთიერთობის გამომსახველია; სული ყოველ ეპოქაში გადახრილია მდგომარეობის პათოსისაკენ: წარმართულ ეპოქებში ცივილიზაციის ისტორია აღმერთებდა ტანის კულტს და სული ილტვოდა ორგანული სახიერებისაკენ; საშუალო საუკუნეებში მეცნიერება ემსახურებოდა თეოლოგიას; ევროპის ქალაქურ-ვაჭრულმა ეპოქებმა წარმოშვეს იდეა სოციალური ცხოვრებისა: ნიცშეს ტრაგედიულ შემოქმედებაში გადატყდა ინდივიდუალიზმის ხმალი და ადამიანმა იგრძნო სოციალური ცხოვრების არეზე არსებობის ახალი სევდა: საშინელ ტკივილებში გაირღვა ფეოდალურ-არისტოკრატიული წყობა ცხოვრებისა, დაიცრიცა ინდივიდუალიზმის ფსიქოლოგია, საცოდავი ნაოჭები ძველი ყოფის ცივილიზაციის ენორმულ ისტორიას ჩამოეკიდა; ადამიანი ტრაგედიულად გადაეშვა სტიქიურ ირაციონალურ რიოაში სასოწარკვეთილებით და კოშმარებით: ნიცშეს არისტოკრატიულ-ინდივიდუალისტური პოზა, ოსკარ უაილდის ილუზიური სამყარო, მეტერლინკის შიში და თრთოლვა, დოსტოევსკისა და ანდრეევის კოშმარული ჩვენებანი, ტოლსტოის ესთეტიკურ-რელიგიური ნირვანა კაცობრიობის სულიერი ტკივილების სოციალური კოროლარიებია.

ეპოქა ამეტყველებს თავის განცდებს; სოციალურ-ისტორიული წვა ასხივოსნებს იდეებსა და ზრახვებს; შემოქმედება იძლევა ფორმულას; არსებობის განსაკუთრებული არე თავისი ცივილიზაციური და კულტუ-

რულ-ესთეტიკური ინტერესებით, თავისი ტემპერამენტებით და ნებისყოფათა პერიპეტიებით სახიერდება ტიპებში და მათ თქმაში: ფ ა უ ს ტ ი და ჰ ა მ ლ ე ტ ი სახეებია ევროპის სულიერი ტკვილებისა, რომელთა გამწვავება და სიღრმავე წარმოუდგენელია ევროპის კულტურის სოციალური ევოლუციის გარეშე, რომელთა ძირითადი თვისებები გადაკავშირებულია ორგანულად სოციალურ-მყარულ პირობებთან; ზოგადი და აბსოლუტური, რაც არის ფ ა უ ს ტ ი ს ა და ჰ ა მ ლ ე ტ ი ს ტემპერამენტებში, კაუზალურად უკავშირდება იმ ეპოქების იდეოლოგიას, რომლიდანაც გენეტიკურად წარმოისახა ევროპელი ინტელიგენტის ტრაგედია და რომელიც ბიოლოგიური ევოლუციის ათვალებით, წუთისოფლური უსაზღვროების მიხედვით, მხოლოდ ერთი ფორმულაა კუთხური ფსიქოლოგიისა და ორგანოტროპიზმისა, რომლითაც შებოჭილია სამყაროს სული თავისი არსებობის ყოველ მომენტში.

კულტურა და ცივილიზაცია აერთებენ ადამიანებს და ერებს: ეგოიზმის ჩინური კედელი ირღვევა; სოციალურ საჭიროებათა ურთიერთობაში სხვადასხვა კუთხიდან იკრიბებიან; დიდი ქალაქები იზიდავენ და ითრევენ თავიანთ კომერციულ განგაშში სხვადასხვა რასას და ნაციას; კუთხურ-ტროპულ მყარობათა არეები ფართოვდებიან. სული ერთი კუთხისა მეორე კუთხის სულს ემსგავსება, განცდა იღებს ხასიათს პ ლ ა ნ ე ტ ა რ უ ლ ს და კ ო ს მ ო ს უ რ ს: რკინიგზა, ტელეფონი, ტელეგრაფი, რადიო, გაზეთები აერთებენ სხვადასხვა კუთხის სულებს, ტემპერამენტებს, გრძნობებს, იდეალებს და ზრახვებს; ეგოცენტრიზმი გაორებას გრძნობს, სული მძიმდება შორეულის ტრფიალებით, ლანდურ ჩვენებათა ნარეევებით: შთაბეჭდილებები შთაბეჭდილებებს ცვლიან; სიჩქარე, რომლითაც მოძრაობენ დღეს მატარებლები, ტელეგრამები, გაზეთები, ჰაეროსტატები, გვაძლევს ყოველ წუთს ფაქტებს ისეთი სოციალური ცხოვრებიდან, რომელიც მდებარეობს რამდენიმე ათასი ვერსის სიშორეზე; წ რ ე წ ი რ ი მორალურ-ესთეტიკური ხასიათისა, რომელიც წინათ აზრს და შინაარსს აძლევდა ჩვენს ყოველდღიურ ყოფას ოჯახსა და საზოგადოებაში, გაირღვა ფსიქოლოგიურად პრაქტიკულ ცხოვრებაში, სოციალურ საჭიროებაში; შორეულის გრძნობა, რომელიც წინათ აწუხებდა რომელიმე ბ ა ი რ ო ნ ს ან ლ ე კ ო ნ ტ დ ე ლ ი ლ ს, დღეს გახდა ბუნებრივი თვისება თითქმის ყოველი მოქალაქისა, რომელიც თავის სოციალურ ყოფაში, ვაჭრობა-მრეწველობაში, ან მეცნიერებაში დაკავშირებულია შორეულ ცხოვრებასთან: კაპიტალისტური წარმოების კონცესიები და ა ი ნ შ ტ ა ი ნ ი ს მათემატიკური

რელატივობა ერთნაირად არღვევენ ინდივიდუალისტურ სამყაროს—განკერძოებისა და განაპირების სამყაროს: კაცობრიობა თავის რასულ-ნაციური სხვადასხვაობებით ერთვის კულტურულ-ცივილიზაციურ დენათა კოსმოსურ როიას და სული თვრება შთაბეჭდილებათა მრავლობაში: დოცენტი ლექციისათვის ემზადება თავის კაბინეტში და მას უცბად წარმოესახება გინებაში ჩინელი ქალის პატარა ფეხი; ინტელიგენტი ზის რესტორნის მაგიდასთან და მის ნევროზით დათენთილ სულს აპორიალებს ვიტრინების ლივლივი მზის სხივებზე; ექიმი წამლობს სუსუნატით დაავადმყოფებულ როსკიპს და ლამაზი ბარძაყების დანახვაზე თვითონ ინთება სექსუალური ჟინით. კულტურა მიათრევს კაცობრიობას კოსმიზმისა და ქაოსისაკენ, ცივილიზაციურ ღელვათა ქარიშხალში იწვის სული ხალხთა და ეპოქათა: დიდი პათოსი ხელოვნებისა და აზროვნებისა დიდი ბიოლოგიური ენერგიის განიავებას ითხოვს: ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავება ხალხის ცხოვრებაში მაჩვენებელია კუნთურ-ნერვული დათენთვისა და დეგენერაციისა: მართალია. ხელოვნება ფუნქციაა სოციალური ცხოვრებისა, ხელოვნება გრძნობათა სოციალიზაციის ამეტყველებაა, მაგრამ, ამავე დროს, ხელოვნება ყოველთვის მაჩვენებელია ორგანულ-ბიოლოგიური აღელვებისა და სისუსტისა — პალპიტაციისა და დეგენერაციისა, თუკი ხელოვნებას დირიჟორობს ერთი რომელიმე კლასი, თუკი ხელოვნებაში გამოისახებიან ჯგუფური სურვილები და იდეალები, გრძნობები და ზრახვები. ხელოვნების ძირითადი ფორმები — ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა, მოქანდაკეობა, ხუროთმოძღვრება გამოსახავენ სოციალურ განცდებს, მხოლოდ კაცობრიობის წარსულში სოციალური განცდა ყოველთვის იხეთქებოდა ჯგუფურ განაპირებაში და რამდენადაც ყოველგვარ ჯგუფურ განაპირებაში იყო თავისებური ინტერესი და ფსიქოლოგია, იმდენად ხელოვნება შორდებოდა ფართო სოციალურ არეს და იწყებდა მსვლელობას ვიწრო კლასობრივი მიმართებით: ჯგუფური ფსიქოლოგია, გაბატონებული სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურით, იმორჩილებდა სოციალურ მოქმედებათა ფართობს და ჯგუფურ სურვილებს ხელოვნებასა და ლიტერატურაში ასაღებდა სოციალურ სურვილებად. ხელოვნების ბუნებრიობა მახინჯდებოდა: იდეალი შორეულისა და კოსმიზმისა ინდივიდუალიზმით ხშირად თავის თავს უარყოფდა: მ ა ნ ფ რ ე დ ი, ასული იუნგრაუს მწვერვალზე და გატაცებული არწივის ლამაზი ფრენით, იძულებული გახდა ისევ დაბლა ჩამოსულიყო, რათა დაესვენა რამდენიმე წუთით მონადირის ფაცხაში; მოდამ მიღელვარე და თავაწყ-

ვეტილი ენთუზიასტი ფ ა უ ს ტ ი თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში იწყებს პრაქტიკულ მოღვაწეობას; სასოწარკვეთილებაში ჩაძირული სული ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს ა, მიმოიცვლის რა კოსმოსურ არეებს, ისევ უბრუნდება წუთისოფლურ ყოფას, ჩმახსა და უთავბოლოს, მაგრამ მაინც ტკბილსა და მისაღებს დროგამოშვებით. ინდივიდუალიზმის სოციალური პირობების რღვევას, რომლის შესახებ ჩვენ გვქონდა ლაპარაკი, მოჰყვა ინდივიდუალიზმის ფსიქოლოგიური სახეცვლილება: „მე გაორებას ვგრძნობო“— ამბობდა ფრ. ნ ი ც შ ე თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში; ესთეტი და ინდივიდუალისტი უ ა ი ლ დ ი ციხიდან გამოვიდა ახალი თეორიებით სოციალური გრძნობისა და სოციალიზმის შესახებ, თითქოს ციხეში ყოფნამ დააჩქარა მეტამორფოზა დიდი სულისა. ფეოდალურ-არისტოკრატიული პრესიზობა შემოქმედებაში თავდება სოციალურ გრძნობათა ემანაციით: ინდივიდუალიზმის ნაჭუჭში შეკუმშული, ტრაგედია არსებობისა დიდი ქალაქის მანქანების გრაგანით და სოციალური თქრიალით კოსმოსურ ძგერათა სიმფონიებად იშლება.

ბუნებისათვის თეატრისა

ესთეტიკური გრძნობა თავისი ბუნებით სოციალური გრძნობაა—დამახასიათებელი თვისება ესთეტიკური გრძნობისა სოლიდარიზაცია და ამყოლობაა; ესთეტიკური გრძნობის გამოწვევას სულში ყოველთვის თანასახეობითი მიმართება აქვს და თანასახეობითი მიმართება გრძნობისა თვით გრძნობას აძლევს აქტიურსა და დინამიკურ ხასიათს; ხელოვნების სიდიადე მზიდაობით ძალაშია და ეს ძალა ყოველთვის იბადება მონათესავე გრძნობათა შორის: გრძნობები ერთმანეთს აჰყვებიან ყოველთვის, როდესაც გენეტიკურად ერთმანეთს ენათესავებიან და ნებისყოფა, როგორც ერთგვარი სისტემა გრძნობათა, მოქმედებაში მოდის იმის მიხედვით, თუ როგორია გრძნობათა მიმართება: ინტელექტი ხშირად ცდება შერჩევაში, მაგრამ გრძნობა დამყარებული რეფლექსებსა და ინსტინქტებზე არასოდეს არ ცდება—ყოველთვის მიზანს აღწევს, თუმცა მიზნის მიღწევა შეიძლება საბოლოოდ მავნებელი იყოს ტანისთვის, რომელშიც მოქმედებს გრძნობა.

გრძნობა ბუნებრივად გადამდებია: სცენაზე და ლიტერატურაში ჩვენ

არამცთუ ვხედავთ (როგორც ფიქრობენ ინტელექტუალისტები და კანტიანელები) სხვის ცხოვრებას, ტანჯვას, ბრძოლის სიხარულს, არამედ ერთგვარად განვიცდით — განვიცდით ორგანულად, მთელი არსებით, სულისა და ნერვული ცხოვრების ამყოლობით. ჩვენ გვეშინია, გვიყვარს, გვაღელვებს, გვიხარიან, როდესაც ვკითხულობთ ისეთი ხასიათის ნაწარმოებს, რომელშიც არის სიყვარული, სიძულვილი, შიში, ღალატი, გმირობა.

ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოები იმდენად ორიგინალური და ძვირფასია, რამდენადაც მკითხველში, მსმენელში, მაყურებელში იწვევს თანასახეობით ემოციებს, მონათესავე გრძნობებს; თეატრი, როგორც ერთგვარი ფორმა ხელოვნებისა, იმდენად ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, რამდენადაც სცენაზე არის განსახიერებული ტიპურად, მხატვრულად რეფლექსები და ემოციები იმ ადამიანისა, რომელიც მოსულა მაყურებლად, რომელიც ზის პარტერში, ან ლოჟაში და თვალყურს ადევნებს სცენის ამბებს თ ა ვ ი ს ი ინტერესებისა და სურვილების ფარგლებში, თავისი სოციალური საჭიროების მიხედვით. ესთეტიკური მიმზიდველობა და დინამიკური მზიდაობა ხელოვნებაში მაშინ გვაქვს, როდესაც ხელოვნების შინაარსი დაახლოებით მაინც ისეთსავე ღელვასა და სულის მოძრაობას იწვევს საზოგადოებასა და აუდიტორიაში, როგორც აღწერილია წიგნში და წარმოდგენილია სცენაზე; დრამა კი არ უნდა იყოს საშუალება სცენისათვის, როგორც დილეტანტები ფიქრობენ, არამედ სცენა უნდა იყოს საშუალება დრამაში გაშლილი ტემპერამენტებისა და ემოციების გადასაცემად საზოგადოებაში, აუდიტორიაში; სცენის მოვალეობაა დრამის ინსტრუმენტალიზაცია, ტემპერამენტების ამეტყველება, პოზისა და დიქციის ესთეტიკური აკვეთა, თქმითა და პათოსით სოციალური რეზონანსის გამოწვევა; სცენა უნდა ასხივოსნებდეს დრამაში აღწერილ ემოციებს, გრძნობებსა და იდეალებს თეატრის დარბაზში: თეატრი თავის ბუნებით, ფსიქოლოგიური კონსტრუქციით სოციალური რეზონანსის საყვირია; აქტიორების თამაშში — კუნთურ-პანტომიმურ მოძრაობებში უნდა ისახებოდეს სოციალური გრძნობების სიმბოლო და სცენური ემოციები, როგორც ელექტრული ჩქერები, მაყურებელთა სულებსა და სხეულებში უნდა შედიოდნენ; თეატრი იარსებებს როგორც ხელოვნების ფორმა მხოლოდ მაშინ, როდესაც თეატრის დარბაზი გახდება გრძნობათა სოციალიზაციის არენა, როდესაც სცენასა და აუდიტორიას შორის იქნება ამყოლობა ემოციებისა, სოლიდარიზაცია ნერვულ-ფსიქიკურ

განცდათა; ამყოლობის რეზონანსი შესაძლებელია თეატრის დარბაზში იმ პირობებში, თუ რეპერტუარი შინაარსით, იდეოლოგიით ესთეტიკურ-ფილოსოფიური პრინციპებით იქნება შეფარდებული საზოგადოების ფსიქოლოგიასთან, ისტორიულად განმტკიცებულ ადათებთან — ადამიანთა სოციალური ურთიერთობის პრინციპებთან; თეატრის დარბაზიდან მაყურებელი იმდენად კმაყოფილი გამოვა, რამდენადაც აქტიორებმა თამაშის დროს განასახიერეს არა მარტო გმირთა ტემპერამენტები, არამედ მაყურებლის სული და ფსიქოლოგიაც: ცხადია, აქტიორები მაყურებლის ფსიქოლოგიასა და ემოციებს განასახიერებენ მაშინ, როდესაც დრამა, რომელსაც თამაშობენ სცენაზე, შინაარსით გამოსახავს იმ სოციალურ ურთიერთობას, რომელშიც ატარებს თავის ყოველდღიურ ცხოვრებას მაყურებელი და რომლიდანაც თეატრში მას მოაქვს ნაწილი სოციალური ფსიქოლოგიისა თავის ინდივიდუალობასთან ერთად. ადამიანი, როდესაც ლიტერატურაში, ან სცენაზე დაინახავს, მოისმენს თავის ემოციებს, თავის ვანცდას, წვალებასა და სიხარულს, მაშინვე აღტაცებაში მოვა, მაშინვე სულით, გულით, ტემპერამენტით, ნერვული ღელვით და თრთოლვით აჰყვება სცენაზე ან წიგნში განსახიერებულ მოქმედებებს: — ფსიქოლოგიურად თვითონ მიიღებს მონაწილეობას თამაშში და ადგილიდან თვითონ გახდება აქტიური, მოქმედი; ხელოვნება თავის დანიშნულებისამებრ სინამდვილის ორეულად გადაიქცევა და გრძნობათა სოციალიზაცია დინამიკურ მთვრალულობის მარჭვლებში ადამიანებს შეაერთებს ესთეტიკური ექსტაზით.

სწორედ აქ ჭვრეტის ესთეტიკა — ესთეტიკა კანტიანელებისა, შილერისა და ინგლისელი ევოლუციონისტებისა, ესთეტიკა ფეოდალურ-არისტოკრატიული ინდივიდუალიზმისა, სტატიზმისა და განყენების, რომელიც დღეს უარყოფს შინაარსს და ეტრფის ფორმას, კარგავს ყოველგვარ ფსიქოლოგიურ საფუძველს: ცხოვრებამ გაარღვია ჭვრეტის, თამაშის, უსაქმობისა და ინდივიდუალიზმის რკალი სოციალურ-კულტურული ურთიერთობის საჭიროებით; ცხოვრება ქალაქების განგაშით, მანქანების გრაგანით და ფერების ბორიალებით გაიშალა სოციალური მრავლობის მოქმედებაში; ფეოდალურ-კუთხური ყოფიდან, განკერძოებისა და განაპირების დიდი ყორეებიდან ცხოვრება გადავიდა საზოგადოებაში, მასაში, მრავლობაში: თუ წინათ, საშუალო საუკუნეებში რომელიმე ფეოდალი სულის ესთეტიკურ-ინტელექტუალურ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდა ფართო ეზოსა და ყმების ღრეობის

ჭვრეტით, თუ დიდი ეზოს მოვლის დროს აღელვებული სულის დასამშვიდებლად მას ესაჭიროებოდა საკუთარი გულის დამა და საკუთარი პატარა ეკლესია ხატებით, დღევანდელ ადამიანს, პროფკავშირის წევრს ესაჭიროება არა თავისი ეზო და თავისი გულის დამა, არამედ საერთო ეზო და საერთო გულის დამა, ესაჭიროება არა ინდივიდუალისტურ-ფეოდალური ყორეებით შემოზღუდული ფერდოები, არამედ სოციალური არე — არე გრძნობათა სოციალიზაციისა.

ყოველგვარი ფორმა ხელოვნებისა იარსებებს მაშინ, თუ იქნება შეთანხმებული ამ ახალი ფსიქოლოგიის პრინციპებთან — სოციალური ურთიერთობის იდეასთან — საზოგადოებრივ გრძნობებთან.

სამყარო ინდუსტრიულ-აგრარული საჭიროებს ინდუსტრიულ-აგრარულ თეატრს ისე, როგორც შესაფერ სკოლას და განათლებას; ყოფა სოციალურ მიმართებას აძლევს სულს და მის ესთეტიკურ-ფილოსოფიურ მოთხოვნილებებს: იმ ქვეყნებში, სადაც ხალხის სოციალური ცხოვრება გადაკავშირებულია მანქანებისა და ქარხნების მუშაობასთან, სადაც საზოგადოება მანქანურ კულტურაში იწვრთნება, სადაც ადამიანთა უმრავლესობა თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში იძულებულია ისმინოს ღვედების ჭრიალი და ბორბლების შხუილი, ცხადია, ხელოვნების ფორმები, კულტურულ-ესთეტიკური და ფილოსოფიურ-იდეოლოგიური შემოქმედება ჩამოყალიბდება მანქანურ სახეებში; იმ ქვეყნებში, სადაც ხალხის უმრავლესობა ყოველდღიურ ცხოვრება. ატარებს ბუნებასთან ახლოს, სადაც სოციალურ საჭიროებას იკმაყოფილებენ მიწის დამუშავებით, ბოსტნეულობით, მცენარეულობის კულტურით, სადაც აწარმოებენ ერთი სიტყვით სოფლურ ინდუსტრიას, ესთეტიკურ-ფილოსოფიური მსოფლხედვაც გამოსახავს ყოფის ფსიქოლოგიას იმ მიმართებით, თუ რა მიმართებით მიდის საერთოდ სოციალურ საჭიროებათა დაკმაყოფილება. ლიტერატურული მიმართულებანი, ესთეტიკის იდეოლოგიური სისტემები ისე, როგორც ფილოსოფიურ-ჰეგელიერულ დებულებათა ძირითადი პრინციპი იქმნებიან და სახიერდებიან სოციალურ-ისტორიულ საჭიროებათა ხვეულებში: რეალიზმი, ნატურალიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, სიმბოლიზმი, კონსტრუქციონიზმი — ერთი სიტყვით, ყოველგვარი ლიტერატურული მიმართულება გამოსახავს ან რომელიმე ეპოქის დ ო მ ი ნ ა ნ ტ უ რ სულიერ განცდას, ან რომელიმე სოციალური ჯგუფის სურვილებსა და ინტერესებს: რეალიზმი ყოველი ხალხის ცხოვრებაში ნორმალური სოციალური ყოფის ფსიქოლოგიის გამომხატველია; რომანტიზმი ყოველი

ეპოქისა და ხალხის ცხოვრებაში დაკავშირებულია სოციალური ფსიქოლოგიის რღვევასთან, დიდი პათოსისა და იმედების გაცრუებასთან; სიმბოლიზმი და ექსპრესიონიზმი სოციალური კატასტროფით შეშინებული სულის მირაჟებია, განცდის ინტენსივობიდან გადატანილი განსახეობაში მოწინააღმდეგე მდგომარეობისა ან კლასის შესაშინებლად. იდეოლოგია, სტილი, თქმა, პათოსი, მეტყველების ორკესტრირება, ხშირად არტიკულაცია და ინტონაციაც სოციალური ყოფისა და განცდის შემოქმედებაა. იმ ტკივილებისა და გრძნობათა განსახეობაა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ სოციალურ ყოფაში.

დღევანდელ ხელოვნებაში გზა კაფე-შანტანისა, ფერებისა და ლენტების ბორიალების, გზა მისტიკოსებისა და ეროტომანების, რომელსაც ხალხი გამოყავს თეატრებიდან და მიყავს სინემატოგრაფებში, ხელოვნებას უკარგავს ყოველგვარ ღირებულებასა და აზრს: ბურჟუაზიულ სულს — ინდივიდუალიზმისა და მისტიციზმის აღუსებელ საწყაულს — გრძნობათა სოციალიზაციის პრინციპი არ უყვარს და ამიტომ შინაარსის მაგიერ ეძებს ახალ-ახალ ფორმებს და ფერებს, რათა კიდევ ერთხელ გააღიზიანოს სამოქმედოდ ალკოჰოლით, ლუესით და სუსუნატით დაძენძილი ფიზიოლოგია; ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმს ეშინია ემოციების, განცდების, ძლიერი ტემპერამენტების და ამიტომ ბურჟუაზიული თეატრი გაურბის გარკვეული შინაარსის დრამის დადგმას; შ ე ქ ს პ ი რ ი და მისი ძლიერი ტემპერამენტები ბურჟუაზიას არ უყვარს, ეშინია — დასუსტებული ნერვები ვერ აიტანენ სანახაობას; ევროპული თეატრი და ლიტერატურა მ ე ტ ე რ ლ ი ნ კ ი დ ა ნ დაწყებული, სიმბოლიზმისა, ლანდებისა, პაუზებისა და მისტიკურ ჩვენებათა გალერეაა.

ჩვენი დროის ევროპა ხელოვნებასა და აზროვნებაში დეკადანსის უკანასკნელ წუთებში იმყოფება; ხელოვნებაში შემოიჭრა ამერიკანიზმი — დამახასიათებელი თვისება ულტრა კაპიტალიზმისა და ინდუსტრიული პალპიტაციის გავლენისა: სცენური ხელოვნების არქიტექტონიკა, დრამატული სტრუქტურა, პერსონაჟები, რეკვიზიტი, ენა, აკრობატიზმი მოქმედებათა ვითარებაში, სცენური განსახეობის მექანიკური ხასიათი ხელოვნების ამერიკანიზაციის მაჩვენებელია; სულისა და ტემპერამენტის გაშლა, ინტენსივობა განცდისა, იდეა, შემოქმედებითი ჩასიათის სევდა, სახიერება ინდივიდუალურ-სოციალური ცხოვრებისა, წვა, წვალება, ფანტასტიკური სამყაროს მაგიური ჩვენება, გარდასახული ადამიანის სულში, შინაგანი ხილვა და იდეალებით ცხოვრების წყვდიადის განათება — ყველაფერი ეს უცნობია „ამერიკული ხელოვნებისა-

თვის", უცნობია სინემატოგრაფიული ცხოვრებისათვის; ნებისყოფა დაჭყლეტილი, გრძნობა სუსტი, მილეული, სული დაცრეცილი, გონება ნევროზით გადაღრუბლული, ფსიქიკური დებილიზმი და ფარკალი ნევრო-პათოლოგიური, ცვლილებებისა და სხვაობის ავადმყოფური ნდომა — ნდომა თითების მწველი და ორგანულ-პათეტიკური მოუსვენრობის ამსახველი მანქანური კულტურის და კაპიტალიზაციის „შემოქმედებითი" რეზონანსია. და ეს რეზონანსი ტრაგედიულ სიმფონიებად იშლება ხელოვნების სხვადასხვა დარგში, ფუტურისტულ-კუბისტურ აკრობატიზმიდან დაწყებული, ფერებისა და ლენტების სინემატოგრაფიულ თეატრამდე, იმ თეატრამდე, რომელიც ორგანოტროპულად მიეჩქარება დაღუპვისა და დაშლისაკენ ისე, როგორც ის სოციალურ-სტრუქტურული წყობა არსებობისა, რომელმაც იგი წარმოშვა: ხელოვნება თავის სპეციალურ დარგებში გარდაიქმნება და გარდაისახება ცხოვრებასა და სოციალურ ურთიერთობასთან ერთად: ხელოვნების კრიზისი ცხოვრებისა და სოციალური ურთიერთობის კრიზისია: ახალ ხელოვნებას დიადი და მაგიური შინაარსით წარმოშობს ახალი ყოფა, ახალი სოციალური ურთიერთობა, ახალი ინდუსტრიულ-ეკონომიკური ინტერესი, რომელიც ჩაითრევს ადამიანის სულსა და მის წუთისოფლურ ზრახვებს ახალ სოციალურ როიაში, რომელსაც ფსიქოლოგიურ ნიადაგს უმზადებს ინდივიდუალიზმის დაშლა და ინდივიდუალისტური სულის დაღლილობა. ინდივიდუალისტურ განაპირებაში სული ვერ იტანს შიშს, რომელსაც გვრის დაუსრულებლობის სიშორე და ნებისყოფა. აჩქარებული ალკოჰოლით, დავიწყებას ეძიებს ხან სქესობრივ ლტოლვაში, ხან მისტიკურ-რელიგიურ წარმოსახვაში, ხან ფერებისა და ფორმების სხვადასხვაობაში, გაშიშვლებული ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, სიმთვრალე ხორციელი და სულიერი, ნერვული სისტემის ზედმეტი ენერგიის გახარჯვა და უდროოდ მოთენთილი სხეულის ხელახლა ხელოვნური გაღიზიანება, კაფეშანტანი, ლუესი, როსკიპები, სალონური პრანჭიაობა და სასაცილო პრესიზობა თავისი comme il faut-თი დამახასიათებელი თვისებებია ჭვრეტისა და თამაშის ესთეტიკის, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა კ ა ნ ტ ი ს ა და ინგლისელი ევოლუციონისტების მსოფლმხედველობაში და რომლის წინააღმდეგ თავისი ნაზი სულით და დიდი ფილოსოფიური ინტუიციით პირველად გაილაშქრა ჟან მარი გ ი უ ი ო მ*.

---

* M. Guyau. Les problemes de l'esthetique contamporaine.

ჭვრეტისა და თამაშის ესთეტიკა, რომელიც ეძიებს ფერებსა და ლანდებს, რომელიც ფსიქოლოგიურად აკმაყოფილებს ფეოდალურ-არისტოკრატიულ უსაქმობას, ბიოლოგიისა და სოციალური ყოფის — სოციოლოგიის ეპოქაში უნდა გადაისახოს ესთეტიკად, რომლის პერსპექტივებში იშლებიან კოსმოსური არეები და რომელმაც უნდა გადააკავშიროს ახალი ადამიანის სული უსაზღვროებას, იმ უსაზღვროებას, რომელიც ერთსა და იმავე დროს ემუქრება და იმედებსაც აძლევს ადამიანს.

ინდივიდუალიზმს, მის ლირიკულ გატაცებას და ღიონისიურ აშლილობას ბოლო ეღება: მეცნიერებამ და ისტორიამ გაარღვიეს რკალი კერძოობისა, განსაზღვრულობისა და გარკვეულობის; კაცობრიობის სული ღგას უფსკრულისა და ქაოსის წინაშე; ცხოვრების აზრი, გამოსახული რეგალიებსა და კატეგორიებში, გამაგრებული სილოგიზმით და „უნივერსალური რეალიებით", ჩაიძირა უსაზღვროების ხახაში. შემოქმედების ყოველი ფორმა როგორც მეცნიერებაში, ისე ხელოვნებაში გამოსახავს უსაზღვროების იდეას და ეს იდეა ჩვენი დროის სულიერი ცხოვრების დამახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს.

გრძნობათა სოციალიზაცია

სულიერობის პროცესში გრძნობის, ნების და ინტელექტის ელემენტები არეულია ერთმანეთთან, მაგრამ ჩვენი ყოველდღიური მოქმედებისა და მოძრაობის წუთებში ჩვენს სხეულს, ჩვენს ტანს ამოქმედებს ხან გრძნობა, ხან ნება, ხან გონება, — ჩვენს ინდივიდუალობას წინ მიუძღვის რომელიმე ფსიქიკური ელემენტის ეგზიუბერანსი.

ფსიქიკური ეგზიუბერანსის დროს ჩვენი მე ყოველთვის აქტიურია და პათოსური: ღელვა, მოძრაობა, ხტუნვა, რიტმული თქმა, ტემბრი, სურვილების ტორტმანი ფსიქიკური ეგზიუბერანსების მაჩვენებელია.— და ის, რასაც ფრანგი ფსიქოლოგები ემოციას ეძახიან, არის ეგზიუბერანსის ესთეტიკურად დამთავრებული ფორმა.

ესთეტიკური ემოცია ბოლოს და ბოლოს სურვილების აჩქეფებაა და სახე, რომელიც ჩვენში ესთეტიკურ ემოციას იწვევს, ყოველთვის პირდაპირ ან პირუკუღმა შეეფარდება ჩვენს სურვილებსა და მიზნებს; მხოლოდ თვით სურვილები და მიზნები შეადგენენ ფსიქიკურ ჩვეულებათა შელევს და ჩვენს წარმოდგენაში ამისახებიან, აიწყობიან ამ სის-

ტემით, რომელიც განმტკიცებულა, შენახულა და გაყოველდებულა ჩვენს პლანეტურ-ტერიტორიული ყოფის პირობებში, რომელიც შეადგენს ერთგვარ შეთანაბრებას ტროპულ ინდივიდუალობასა და სოციალ კოსმოსურ რეალობას შორის.

რეალობა და რეალობის ღირებულება ფაქტია ჩვენთვის იმდენად, რამდენადაც ჩვენში ხდება შემოქმედებითი განსახიერება ამ ფაქტისა; ჩვენში რომ შემოქმედებითი განსახიერება არ ხდებოდეს, რეალობის ყოველდღიურ მიმდინარეობაში ჩვენ ვერ მოვნახავთ ვერც რიგს. ვერც ხარისხს; ღირებულების საკითხიც ჩვენთვის უცნობი იქნებოდა; საგანს როდესაც ჩვენ ვათვალიერებთ, დათვალიერების პროცესში ჩვენს მეს შეაქვს თავისი ფსიქიკური ჩვეულებანი, დალეკილი პროფესიისა და მდგომარეობის გაელენით; ყოველგვარი ჩვეულება ყოველთვის წარმოადგენს ორგანოტროპულ ძალას, პოტენციას დაგროვილს ინდივიდუალობისა და სოციალ-კოსმოსურობის ხმაშეწყობილებაში.

შეგრძნობა, როგორც ფსიქოლოგიური ფაქტი, არ არის ღირებულების მიღება და საყოველთაო ცხადყოფა. ლექსის წაკითხვა, სურათის დათვალიერება, ლამაზი მეტყველების მოსმენა შეიძლება შევიგრძნოთ როგორც ფაქტები, მაგრამ თვით ამ ფაქტების ღირებულების გამოსარკვევად ეს არ კმარა: საჭიროა გრძნობითი ტონი.

სოციალურ-კოსმოსური მოცემულობა, ტერიტორიული და ისტორიული milieu მხოლოდ მასალაა გრძნობითი ტონისთვის; თვით გრძნობითი ტონი მეორე შემოქმედებაა: ტ ე ნ ი ს დიდი შეცდომა ისაა, რომ ვერ ხედავს ცივილიზაციის ისტორიაში, განსაკუთრებით კი ხელოვნებაში, გრძნობითი ტონის მნიშვნელობას; ტ ე ნ ი ატყობს, რომ არის შემოქმედებით ასახვაში რაღაც მაგიური, ჯადოსნური, რაღაც პოტენციური, მაგრამ ამ მაგიურობისა და პოტენციალობის წყაროს ვერ ხედავს, ვერ ამჩნევს, რომ ამის მიზეზია გრძნობითი ტონი, რომელიც ყოველ პირობებში ქმნის ახალ რეალობას — ესთეტიკურ რეალობას.

ჩვენ გვაქვს უფლება ვილაპარაკოთ ესთეტიკურ რეალობაზე, რომელიც განსხვავდება ემპირიული რეალობისაგან; ემპირიული რეალობა ყოველთვის გრძნობით ტონს არ მოითხოვს; ესთეტიკური რეალობისათვის გრძნობითი ტონი აუცილებელია: მუსიკის მოსმენა ყველას შეუძლია, მაგრამ ზოგიერთისთვის მუსიკა იქნება მხოლოდ ემპირიული, ფიზიოლოგიური რეალობა. ზოგიერთებისთვის მართლა მუსიკა; ვისაც მუსიკალური სმენა არა აქვს, ის ბეთჰოვენის სიმფონიაში მთრთოლავ გაურკვევლობას შეიცნაურებს, ვისაც მუსიკალური სმენა აქვს, ის

რიტმულ გარკვეულობაში იქნება; ამის ილუსტრაციას ფსიქოლოგიურად წარმოადგენს იგავ-არაკი — „ვირი და ბულბული“.

რეალობის ესთეტიკური სახე ორი ფაქტორით ისაზღვრება: — ერთი არის ობიექტურ გრძნობათა მოცემულობა, — მეორე ჩვენი დამოკიდებულება ამ მოცემულობასთან, ჩვენი შემეცნების ემოციური მყარობა, რომელიც ჩვენში ორგანოტროპული ჩვეულების გამომსახველ ღირებულებას მიათვისებს მოცემულობას.

მაგრამ ეს ხდება სტატიკურ-რაციონალისტური დაკვირვების დროს. დინამიკურ-ინტუიციურ დაკვირვებაში ობიექტურ-გრძნობადი მოცემულობა და ჩვენი დამოკიდებულება ამ მოცემულობასთან თავისი გრძნობითი ტონით ერთ მთლიან სახეს იღებს. შეცნაურების პროცესში ჩვენ გვაქვს შინაგანი ხილვა და გარეგანი მოცემულობის გაერთიანება: ნოუმენი და ფენომენი ბოლოს და ბოლოს სუბიექტივობისა და ფენომენალობის სფეროში იკვეთებიან; მე და არამე — ორივე მეობის შემოქმედებაა და კანტის ანთროპოლოგიზმს აკლია ანთროპომორფიზაცია: საგანი ღებულობს ობიექტის სახეს მხოლოდ იმ წუთიდან, რა წუთსაც იგი უახლოვდება სუბიექტს. ობიექტი საგნის სუბიექტივაციის სტატიკური ფორმაა; დინამიკურად საგნის შეცნაურება ედუღება ანთროპომორფიზაციის პროცესს: სუბიექტის წინაშე ობიექტი კარგავს საგნობრიობას, უძრაობას; იმ წუთს, რა წუთსაც საგანს დავარქვით სახელი, საგანი გადაიქცევა თვისებათა ესთეტიკურ ინტეგრალად, სახელი კი ნორმალური ოდენობის კოეფიციენტად.

სუბიექტი როდესაც ობიექტს უახლოვდება, ობიექტს ისე ემართება, როგორც ნივთს, რომელსაც ცეცხლს უკიდებდნენ. რეფლექსი ატორავს ირგვლივ საგანს და საგანი აენთება ჩვენს შინაგან ხილვაში, როგორც ნივთი ცეცხლის ალში; საგნის თვისებათა შეცნობა სახეთა გაინტეგრალებაა ჩვენი შინაგანი ხილვის პოტენციალობაში.

როდესაც ვიწყებთ აზროვნებას, ჩვენს მეობას შეაქვს საგანში რაღაცა და საგანი იქცევა ჩვენი შემოქმედების ათვალებაში საგნობრიობის დროულ მოდუსად: საგნის მყარობა და სოლიდარობა განიწვალება ჩვენს შემოქმედებით შეცნაურებაში. სუბიექტი ქურდულად კა არ შედის თავისი ინტუიციით საგანში, არამედ რევოლუციურ სპექტრში ითვისებს საგნის ობიექტივობას, ინტეგრალობას, რომელიც ბოლოს და ბოლოს ორგანოტროპული, სუბიექტური და ილუზიურია იმიტომ, რომ შემეცნების პროცესი ერთგვარი პოემაა და ამ პოემის მთავარი გმირი, ვაჟური ელემენტი მხოლოდ სუბიექტია: სუბიექტსა და ობიექტს

შორის ფილოსოფიური დიალოგი რომ გაიმართოს, ობიექტი ეტყოდა სუბიექტს ისე, როგორც ელაპარაკება იბსენის ერთ-ერთ დრამაში შეყვარებული ქალი საყვარელ ვაჟს: — მე ის მინდა, რაც შენ გინდაო. სუბიექტური სკეფსისი აღიარებს შემეცნების „ლოგიკურობის" შინაგან წინააღმდეგობას: სუბიექტივაცია გვარწმუნებს, რომ რეალობა სხვაა, მოცემულობა — სულ სხვა, რეალობა მოცემული არ არის, მოცემულობაში რეალობა არ შედის: მოცემულობა დროული, ჩვენებადი და ქცევადია; მოცემულ საგანთა სამყარო გალერეაა, აწყობილი ორგანოტროპული აპერცეფციის ესთეტიზმით.

შეფარდებულებითი პოტენცია ყოვლობისა იძლევა არსებობის საშუალებას და ამ საშუალებაში მიზნად არჩეულია არა ინდივიდუალობა ცხოვრებისა, არამედ ცხოვრება ინდივიდუალობისა. ცხოვრება ინახება თვითარსებობაში და დენის პროცესი არ იკარებს არაფერს გარეულს, რაც არაა შეგუებული მასთან: რაც არის სამყაროში, ღებულობს უშუალო მონაწილეობას ყოვლობის პულსაციაში, სიღრმეში; მარტოობას ადგილი არა აქვს, ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ვისაც წყურვილის დაკმაყოფილება უნდა, საჭირო არ არის წყალში ჩავარდეს, საკმარისია პეშვით ან ჭურჭლით ამოიღოს...

წუთისოფლად ღირებულება იმდენად ღირებულია, რამდენადაც ჩვენს სურვილებსა და ინტერესებს გამოსახავს; ღირებულება თავის თავად არ იცვლება არავითარ პირობებში, იცვლება მხოლოდ ჩვენი დამოკიდებულება ღირებულებისადმი: ჭეშმარიტი ღირებულება ყოველთვის სოციალურ-ფენომენურია და ღირებულების საკითხი ბოლოს და ბოლოს დამოკიდებულების საკითხია. ნ ი ც შ ე ს შეცდომა ისაა, რომ ღირებულებას ხედავს ღირებულების ინდივიდუალურ განთვისებაში, მაგრამ რა არის ინდივიდუალური განთვისება, თუ არა ერთგვარი ფორმა სოციალობისა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით: ურთიერთობიდან გაქცევა ბოლოს და ბოლოს ურთიერთობის ექსპანსიობაა, ამის ილუსტრაციაა ოსკარ უაილდის ტრაგედიული განცდა და მეტამორფოზა.

იდეოლოგია კაცობრიობისა მისი პლანეტური არსებობის სპირიტუალიზაციაა და ყოველი ეპოქა ამეტყველებს თავის ტკივილებს, ასხივოსნებს თავის განცდას საზოგადოებრიობისა და მდგომარეობის კალაპოტში. ხელოვნება, [illegible] ნაწილი [illegible] სპირიტუალიზაციისა, არის ესთეტიკური საშუალებათა მეთოდური [illegible],

რომელიც მიზნად ისახავს გამოიწვიოს ჩვენში გრძნობანი და ნდომანი, შენახული ორგანოტროპული მეხსიერებით...

ესთეტიკური ემოციის საფუძველია შეგრძნობა ნათესაობისა იმასთან, რაც იწვევს ესთეტიკურ ემოციას და რაც წააგავს პირდაპირ ან პირუკუღმა წარსულის, განვლილის, განცდილის მეხსიერებას: სახე, რომელიც ჩვენ გვაგონდება მსგავსების, ან წინააღმდეგობის ასოციაციებში; სიამოვნება, რომელსაც ჩვენ განვიცდით ესთეტიკური ხილვის და განცდის დროს, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოხერხებულად, ვირტუოზულად იჭრება ჩვენს სულიერებაში ხელოვანი, შემოქმედი იმ სულიერი მოვლენების აქტიურ მოძრაობაში მოსაყვანად, რომელნიც შეუნახავს ჩვენს ინდივიდუალობას ორგანული წვისა და ნერვული ტანჯვის პროცესში, რომელნიც განსახიერებულან გენეტიკურად, მემკვიდრეობით, გვარულად: შინაგანი ხილვა სულიერობის უფსკრულიდან მეხსიერებით ამოყვანილი სახისა ჩვენს წარმოდგენაში ცოცხლდება, სხივოსნდება, როდესაც გარეგან გრძნობათა ორგანოების საშუალებით ჩვენ ვიღებთ თანაბარ სახეს; ყოველი ლიტერატული, ხელოვნური ნაწარმოების წინაშე ჩვენ ხელახლა განვიცდით იმ წუთებს, რომელნიც ჩვენ განვიცადეთ, ან ჩვენმა წინაპრებმა განიცადეს სხვადასხვა პირობებში და რომელთა ასახვა ქმნის ნერვულ რიტმს; ჩვენ ვხედავთ ნაწილებს ჩვენი შეგრძნების, გრძნობათა და სურვილთა, ჩვენ ვხედავთ ჩვენს შინაგან ყოფას იმ სახის მოყვანილობაში, რომელიც ხელოვანს შეუცნაურებია და განუცდია ჩვენი და ჩვენი წინაპრების სურვილების მსგავსად: ხელოვნება სულიერობის აქტუალობის გამოფენაა და როდესაც დავაკვირდებით, ჩვენ დავინახავთ ამ ესთეტიკურ-ინტუიციურ გამოფენაში ისეთ რამეს, რაც ჩვენთვის ძვირფასია და რაც ჩვენს ინდივიდუალობაში ახრჩობს ეგოიზმს, რაც უმეშვეოდ გვაერთებს სოციალურ-კოსმოსურ მიმდინარეობასთან... სული ჩვენი დაინახავს თუ არა სახეს, რომელიც მან განიცადა წარსულში, მაშინვე ატორტმანდება და ამ ნერვულ-ფსიქიკური ატორტმანების პროცესში შინაგანი ხილვის იდეა გვაკავშირებს, გვაერთებს არა მარტო იმასთან, რაც ხელოვნებაში აღწერილია და რაც განსახიერებულია, არამედ იმასთანაც, რაც ამ დროს ჩვენს ფსიქოლოგიურ ასოციაციებში პარალელურადაც წარმოისახება და რაც გვაგონდება: სახე, რომელსაც ხელოვნება გვაძლევს, იმდენად მაღალია თავისი ღირებულებით, რამდენადაც მძლავრად იწვევს ჩვენში თანაბარ სახეს — თანაგანსახეობას, რამდენად ამ თანაგანსახეობაში ჩვენი მე თავისი განცდებით, სურვილებით და გრძნო-

ბებით წყვეტს კავშირს ეგოცენტრისტულ, პირუტყვულ-მეშჩანურ დროულობასთან და ეგოცენტრებს საზოგადოებრიობასთან, ხალხთან, ყოველობასთან...

ლიტერატურა ყველა ერის, ყოველი საუკუნის სოციალური გრძნობის ევოლუციას ვამოსახავს და ლიტერატურული გმირი ესთეტიკური კონკრეტიზაციაა სოციალური სიმპათიის: ტიპი სოციალური განვითარების თვისებათა ორგანულ-სტატიკური აყოვლადებაა და რაც ჩვენს ყურადღებას იწვევს ტიპის დახასიათებაში, არის ის, რაც ენათესავება ჩვენს სუბიექტურ ინტუიციურ ათვალებას. მხატვრული ნაწარმოები თითქმის ყოველთვის ფსიქოლოგისტურია: ლიტერატურული გმირი, სურათი, ქანდაკება — ხელოვნების ყოველი ფრაგმენტი სულის აქტივობას, ქმნადობას გამოსახავს; ესთეტიკური ჭვრეტა არ არსებობს, არ არსებობს არავითარი წარმოდგენათა თამაში: უსოგადეს განყენებას წინ მიუძღვის უღრმესი განცდა და თვით პროცესი განყენებისა შეუძლებელია, თუ ორგანული პოტენცია არ ათრთოლებს და არ ასხივოსნებს შინაგან ღელვას... ორგანული ღელვა, ნერვული წვა და ვნება, უჯრედული დრესა — მთელი ფიზიოლოგიური პუნების აქტიურ-ინტენსიური მოძრაობა არის conditio sine qua non სულიერების, ილუზიებისა და იდეოლოგიისა.

ინდივიდუალური ფორმა შემოქმედების სიმბოლოა იმ დიადი ისტორიულ-საზოგადოებრივი მღელვარებისა, რომელიც ყოველთვის ამზადებს ერისა და კაცობრიობის ოქროს ხანას რასულ-ისტორიული და ეპოქალური აქტუალობით; გაღიზიანებათა ინტენსივობა ერთნაირად მოქმედებს ინდივიდუალურ და სოციალურ ცხოვრებაში: ინდივიდუალური ფიზიოლოგია ისეთივე კონდენსატორია ინდივიდუალური განცდისა და მეტყველებისა, როგორც სოციალური ფიზიოლოგია კონდენსატორია სოციალურ განცდათა და მეტყველებათა; ინდივიდუალობა ელემენტარული და კონკრეტული ფორმაა სოციალობის (sociabilite): ინდივიდუალობა სოციალური ერთეულია როგორც ფიზიოლოგიურად, ისე სულიერად: ჩვენი ტანი პატარა ტანებისაგან შედგება, ჩვენი სული სულიერი მოვლენებისაგან. ჩვენი ინდივიდუალობა სიმბოლური განსხეულებაა სოციალურ-კოსმიური ინდივიდუალობისა და ყოველ ჩვენს მოქმედებას, ყოველ ჩვენს აზრს აქვს კავშირი სოციალურ მრავლობასთან, ისე როგორც ყოველ ჩვენს ორგანულ-ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას აქვს კავშირი სოციალურ ცხოვრებასთან: იდეა, რომელიც ჩვენ გვებადება თავში, გარეგნულად განყენებული და ზემატერიულია, მაგ-

რამ შიგსკნელურად, იმანენტურად სოციალურ-ორგანული ემანაციაა იმიტომ, რომ წარმოადგენს ჩვენი მეობის ბუნებასა და საზოგადოებასთან ფსიქოლოგიურ-ევოლუციურ შეთანაბრებას. აზრი, რაც უნდა მარტივი იყოს, გამოსახავს შეცნაურებულ დამოკიდებულებათა და თვისებათა სინთეზს; ყოველი სინთეზი არის სოციალურობის ერთგვარი სახე, ერთგვარი ფორმა, ცხოვრების და მოძრაობის ერთგვარი ჯამი. მოძრაობა არის მხოლოდ გარეგანი მხარე. შინაგანი მხარე მოქმედებაა; მოძრაობა რყევადი და არეული ფორმაა. მ ო ქ მ ე დ ე ბ ა დინამიკურია: მოქმედება მოძრაობის სისავსეს გამოსახავს და ამიტომ მოქმედება (და არა კ ა ნ ტ ი ს ჭვრეტა) პრინციპია სოციალური ევოლუციისა და არსად ეს პროცესი ისე არ ირკვევა, როგორც ხელოვნებაში — ესთეტიკურ იდეალში.

მუსიკა მოძრაობაა ტალღათა ვიბრაციის ერთი ხანიდან მეორე ხანამდე: რიტმი მოძრაობის მუსიკალური ფორმაა, — სიარული, სირბილი, ცეკვა, საგანთა რახუნი კოსმოსური რყევის რიტმული ბაბანია; ქანდაკება დაჭიმულ კუნთებსა და ნაოჭებში, მხატვრობაში ფერების ბორიალება, რიგი და წყობა ხუროთმოძღვრებაში შეგრძნობილ მოძრაობათა სტატიკური სიმბოლოებია, განსახეობათა ლივლივში, ორგანულ ესთეტიკური მღელვარების ორთქლში ამოვლებული.

სული ჩვენი შემოქმედების დროს ხელმძღვანელობს სოციომორფიზმისა და ანთროპომორფიზმის პრინციპებით; სახლი, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ საცხოვრებლად, ანთროპომორფული სიმბოლოა: ფანჯრები იგივეა, რაც ჩვენი თვალები, კარები საყნოსავ ორგანოებს წაგავს. თვით ჩვენი ოჯახი, როგორც ინსტიტუტი, სოციალურ პრინციპზეა აშენებული და ბოლოს და ბოლოს მარადობის თვალთახედვით იგივეა, რაც ჩიტის ბუდე რომელიმე ტყეში.

საზოგადოებრიობა პრინციპია ხელოვნებისა და გრძნობათა საშუალებით ეს პრინციპი ჩვენ გადაგვაქვს ბუნებაში, სამყაროში: ჩვენ თვითონ ჩვენს განცდებსა და ილუზიებში მივყვებით სოციალურ-კოსმოსურ პრინციპს და რაც უფრო ვაზოგადებთ ჩვენი არსებობის კავშირს უნივერსალობასთან, მით უფრო წარმავალსა და საცოდავ სახეს იღებს ჩვენი ყოფა წუთისოფლური დაუსრულებლობის არეზე.

ხელოვნება სოციალობის შეკუმშვაა: რამდენიმე საათის განმავლობაში ჩვენ სცენაზე ვხედავთ ან წიგნში ვკითხულობთ ისეთი ინტენსიური ხასიათის მოქმედებებს, რომელთაც სინამდვილე ამზადებდა რამდე-

ნიმე თვის, ან შეიძლება რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. ხელოვნება სოციალურ განცდათა კონცენტრაციაა.

სწორედ ამიტომ, ყოველგვარ ჭეშმარიტ ხელოვნებას აქვს ხასიათი შთაგონებისა; მიზანი ხელოვნების ინდივიდუალობის დაშლაა; გრძნობის სოციალიზაცია, სოციალური სიმპათიის ამყოლობა, გაყოველადება ინდივიდუალობის, ტანჯვისა და დამუხვის გზით ესთეტიზაციის ატრიბუტებია. ხელოვნება იწვევს თანაგრძნობას* იმიტომ, რომ ტიპების დახასიათებაში ჩვენ ვამჩნევთ ჩვენი, საკუთარი ხასიათის თვისებებს: ლიტერატურაში ტიპი ყოველთვის სოციალური გმირია; ოჯახი, საზოგადოება, სახელმწიფო, ბუნება — აი ასპარეზი გმირის მოქმედების: ელენე, კლეოპატრა, ბეატრიჩე, ფაუსტი, ჰამლეტი, რასკოლნიკოვი, ტარიელი, ოთარაანთ ქვრივი სიმბოლური სახეებია სოციალურ-ისტორიული რეალობისა.

ყოველი ადამიანი ამ გმირებში ყოველთვის დაინახავს თავისი ინდივიდუალობის ნაწილს.

ტრაგედიული დამუხვა ინდივიდუალობის განცდათა სოციალიზაციით, მღელვარე მასა, მოძრავი არე, ხალხი, საზოგადოებრიობა, იდეა ყოვლობისა, იდეა სოციალურ-კოსმოსურის და მანქანურ-ცივილიზაციური ათქრიალების, ვიბრაცია ერთეულებისა მრავლობასთან და რიტმი პლანეტარული ნევრასთენიისა ჩვენი საუკუნის ისტორიული ლოგოსის ელემენტებია.

სულით ვიწრო და მშრალია ის, ვინც მხოლოდ ყავახანებსა და ალკოჰოლში ხედავს ცხოვრების აზრს, იმ დროს, როდესაც გარშემო ისმის ზანზარი პლანეტარული და არსებობის ულმობელი ტალღები ამსხვრევენ ინდივიდუალიზმის კუნძულებს, ცრეცენ მეშჩანურ-ბურჟუაზიულ სუბტიელიებს, გლეჯენ მარჭვლებს ყალბი ტრადიციის ყალბი პრინციპებისა და კატეგორიებისას.

სოციალურ-კოსმოსური სიდიადით სული ჩვენი იძენძება და გული, ეჭვებით დათენთილი, თხოულობს ალერსს, თანაგრძნობას; არის წუთები, როდესაც წუთისოფლად ადამიანს თავისი თავი ეცოდება; არის წუთები, როდესაც განსაკუთრებით მწვავედ გრძნობს სული ჩვენი ყოფისა და სურვილების ეფემერობას, ქვეყნიური ჩვეულებისა და პრინციპების უაზრობას: მე ხანდახან ტირილის სურვილი მომივა უმიზეზოდ და მახრჩობს, ამბობდა პ ე ტ რ ა რ კ ა; ნ ი ც შ ე ს ზარატუსტრაც ტი-

* იხ. „სული“ და იდეა“, ესთეტიკური იდეალი.

რის უდაბნოში, როდესაც აუჩუყდება გული კოსმოსური უსაზღვროებით.

სამყარო ფერადი და თვალგადაუწვდენელი იშლება როგორც დაუსრულებელი ბაგინი შეუცნობელი ღმერთებისა, როგორც უპატრონო საავადმყოფო მდუმარე სასაფლაოზე; მარტოობის გრძნობა სიყვარულის იდეას ასხეულებს ყოვლობის პანთეისტურ წარმოსახვაში და სასოწარკვეთილება როგორც ფსიქოლოგიური განცდა — სოციალური სიმპათიის ესთეტიკური იდეალი, უპირველეს ყოვლისა, სოლიდარობის გრძნობაა — ერთგვარი ჰარმონიაა მგრძნობ ინდივიდუალობასა და საგრძნობ სოციალურობას შორის. მორალი და რელიგია ესთეტიკური ემოციის სტატიკურ-ობიექტური ფორმებია, რომელთაც მიზნად აქვთ დასახული სოციალურისა და უნივერსალურ მიმდინარეობათა გარკვევა და განმტკიცება; მორალური გრძნობა ტელეოლოგიურიაო — ამბობდა კ ა ნ ტ ი; ჩვენ ვამბობთ: მორალური გრძნობა ესთეტიკური აქტუალობის გადავიწყებული და ჩვეულებებში შენახული ონტოლოგიური მიზეზობრიობაა; სოციალურობის სიმპათია ჩვენი გულისთქმაა იმდენად, რამდენადაც ჩვენი გულისთქმა სოციალური და კოსმოსურია, რამდენადაც ჩვენში არის თანახმიანობა კოლექტივობისა და უნივერსალობის. შეიძლება ითქვას: მშვენიერება განსახიერებული სიკეთეა და ყველაფერი ბიოლოგიურად მორალური — მშვენიერია; მორალი სოლიდარობის გამოსახულებაა — სრულყოფილი და რეალური სოლიდარობის, რომელიც თანდათანობით ორგანულ-ტროპულ გაღიზიანებათა ჩვეულებებში იქცა სიტკბოებად და რომელსაც აქვს იმდენად მშვენიერი სახე, რამდენადაც პროცესუალურადაც აერთებს, აყოვლადებს ჩვენს განცდებში ყოვლობის სხეულებრივ ელემენტებს: ყველაფერი ერთეულში და ერთეულობა ყველაფერში — აი ჩვენი, ბიოფსიქიკური თვალთახედვით ესთეტიკური იდეალი.

სიამოვნება, რომელშიც არაფერი ინდივიდუალური არ არის, მოკლებულია ღირებულებას, მზიდაობას; მაგრამ ინდივიდუალური სიამოვნება, რომელიც არ თავდება უნივერსალობისა და მარადობის შეგრძნებით, უბრალო მცონარეობაა, მსგავსი ლუარსაბ თათქარიძის ბოზბაშიზმისა; მხოლოდ ეგოიზმის დაშლასა და გრძნობათა სოციალიზაციაში უნდა ვეძიოთ ესთეტიკური იდეალის გარდაუვალობა და მარადიულობა. თვით უდიდესი ინდივიდუალისტები: ფაუსტი, მანფრედი, რასკოლნიკოვი, ჰამლეტი სოციალური გრძნობებისა და იდეალების, სოციალური განცდებისა და სურვილების მატარებელნი არიან;

ჰამლეტის ტრაგედია მთელი საზოგადოებისა და კაცობრიობის ტრაგედიაა; ჰამლეტის ტკივილები და სასოწარკვეთილება, მისი ექსპერიმენტები და ეჭვები, მისი მელანქოლია და რყევა, მისი სულის განცდათა ქარიშხალი შემთხვევებსა და პლანეტური უმიზნობის ქაოსში გახვეული, კაცობრიობის სასოწარკვეთილება და სევდაა: ჰამლეტი სიმბოლოა კოლექტიური უბედურების, სოციალური განცდისა: სტიუარტების ოჯახის დაშლა, ლორდი დერნლეის დაღუპვა, ბოსველის ვერაგობა და მუხანათობა სოციალურ-ისტორიული და ფსიქოლოგიურ-სიმბოლური რეალიებია იმ დიადი და საკაცობრიო ტრაგედიისა, რომელსაც „ჰამლეტის" სახელი ჰქვია. ფაუსტის ეგოისტურ გრძნობებში, სულიერ მღელვარებასა და მოქმედებაში არიან ჩვენი განცდები და სურვილები, ჩვენი ნდომანი და იდეალები. მანფრედის სასოწარკვეთილებაში ისმის ჩვენი ტანჯვის უკმაყოფილების ხმა, მანფრედის დაღუპულ იმედებში ჩვენ ვხედავთ ჩვენი ცხოვრების მწარე წუთებს, ჩვენს მწვავე გრძნობებს. მანფრედის ტრაგედიული აღმაფრენა იუნგფრაუს მწვერვალებზე, მანფრედის ოცნება კოლიზეის ნანგრევებზე და არწივის სიმბოლური ფრენის ათვალებაში ჩვენი წუთისოფლური სევდის ფილოსოფიაა არსებობის კოშმარულ სასაფლაოზე.

ინდივიდუალიზმი ყოველთვის სოციალური გრძნობებით და იდეალებით საზრდოობს და უაღრესი ინდივიდუალისტი კოლექტიურ განცდებსა და სურვილებს ატარებს; ულტრაინდივიდუალიზმი კოლექტივიზმით მთავრდება — უდიდესი ზიზღი ბოლოს და ბოლოს უკიდურესი ფორმაა სიყვარულისა და თანაგრძნობის.

ორგანოტროპიზმი, სტილი და სოციალური განცდა

სამყარო იყოფა ორ ჯგუფად: ერთი ჯგუფს შეადგენს მოვლენები, რომელნიც ადამიანმა წარმოშვა; მეორეს კი — მოვლენები და საგნები, რომელნიც წარმოიშენენ ადამიანისაგან დამოუკიდებლად, თავისთავად; პირველ ჯგუფს საგნებისა და მოვლენებისას ჩვენ ვეძახით ხელოვნებას, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, და აქ სიტყვა „ხელოვნება" იმავე მნიშვნელობით იხმარება, როგორც სიტყვა „კულტურა"; მეორე ჯგუფი საგნებისა და მოვლენების შეადგენს ბუნებას.

ბუნება არის ყველაფერი, რაც თავისთავად წარმოიშვა, რის გაჩენაში ადამიანს პირდაპირ მონაწილეობა არ მიუღია; კულტურა კი ნიშ-

ნავს ადამიანის ნებისყოფის შემოქმედებით გაშლასა და ჭკუა-გონების მიხვედრილობას; კულტურისა და ცივილიზაციის ფორმეები წარმოუდგენელია ადამიანის გარეშე, გარეშე მისი ჭკუა-გონების, მოხერხებისა და ნებისყოფის გაშლისა; დედამიწა და მისი სხვადასხვა კუთხე, სადაც კი ადამიანს მიმოუხედავს, ატარებს ერთგვარ დაღს: არხები, კოშკები, ქალაქები, სადგურები გემებისა და რკინიგზის მოძრაობისათვის, სახლები და სასახლეები, საომარი იარაღები, ჭურჭლეულობა ოჯახური საჭიროებისათვის — ყველაფერი ეს არის ნაყოფი ადამიანის აზრისა და ნებისყოფის შემოქმედებითი ამოძრავებისა.

საერთოდ კულტურა სამი სხვადასხვა სახისაა: მატერიალური, სოციალური და სულიერი. მატერიალურ კულტურაში იგულისხმება: საჭმელი, ტანისამოსი, ბინა, მორთულობა საყოფაცხოვრებო ხასიათისა, საომარი იარაღები; სოციალურ კულტურაში განლაგდებიან: ოჯახი, წოდება, პროფესიული ორგანიზაცია, სახელმწიფო; სულიერ კულტურაში შედიან: ხელოვნება, მორალი, ფილოსოფია, სპეციალური მეცნიერებანი, — ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც განასახიერებს ადამიანის სულის იდეალურ ზრახვებს.

კულტურა ზედნაშენია ბუნებისა, ერთგვარი გაგრძელებაა მისი და სწორედ ამიტომ კულტურული შემოქმედებისათვის ადამიანი ყველგან სარგებლობს იმ მასალებით, იმ ფერებით და ფორმებით, რომელთა შეგრძნობა და ასახვა შეეძლო ადამიანს თავის გარშემო მიწა-წყალზე და რომელნიც ახდენენ ადამიანზე ერთგვარ გავლენას.

ბუნება ცოცხალი ჰაერეთია კულტურისა; ბუნების მოვლენები არტახებია კულტურული შემოქმედებისათვის: ზღვა და ხმელეთი, მთები და მდინარეები, მყრალი ჭაობები და ახრიოკებული უდაბნოები, ცხოველები და ფრინველები, მინერალები და მცენარეები — აი, რა შეადგენს კულტურისა და ცივილიზაციის ნედლ მასალას, რომლის გადამუშავებისათვის კაცობრიობის მოუსვენარი, მუდამ მღელვარე სული ეძიებს გზას უსაზღვროების გაშლილ არეზე.

სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა მიწა-წყალზე სხვადასხვა ხალხი ათასგვარი ხერხით ცდილობს თავისი ყოფის დამკვიდრებას, გამაგრებასა და გალამაზებას: კაცობრიობის კულტურის შინაგანი ხილვა გვიჩვენებს, რომ სული ადამიანისა, როგორც სული ყოველი არსისა, ეძიებს საშუალებას იდეოლოგიურს, ესთეტიკურ-ფილოსოფიურს, გადააკავშიროს თავისი თავი მდგომარეობას და პირობებს, ვინაიდან ყოველგვარი არსებობა წუთისოფლად განსაზღვრულია თავის მოქმედებაში მდგო-

მარეობით და პირობებით და რამდენადაც იგი განსაზღვრულია, იმდენად იძულებულია ფსიქოფიზიკური კავშირი იქონიოს იმ მდგომარეობასთან, რომელიც საზღვრავს მისი არსებობის არეს.

ამ დაკავშირებაში იქმნება გავლენათა ურთიერთობა. მდგომარეობა აღიზიანებს სხეულსა და მის ნერვულ-ფსიქიკურ არსებობას, ხოლო გაღიზიანებული სხეული ჩვეულების მიხედვით გამაღიზიანებელი მდგომარეობისაკენ ილტვის. ასეთი ხასიათის შემოქმედებით ურთიერთობას მდგომარეობასა და არსს შორის ჩვენ ვეძახით ორგანოტროპიზმს და ეფიქრობთ, რომ, როგორც ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფსიქოლოგიის, ისე სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით ეს ტერმინი მისაღებია; ფრანგი მოაზროვნე იპ. ტ ე ნ ი შემოქმედების შესაძლებლობას, ხელოვნების სხვადასხვა ფორმაში ჩამოყალიბებას უკავშირებდა მდგომარეობას არა მარტო სოციალურად, არამედ ბიოლოგიურადაც და კლიმატურადაც. ყოველი ხალხის ცხოვრება და ისტორია, ყოველი ხალხის ხელოვნება და ფილოსოფია, რელიგია და იდეალები იშლებიან და იზრდებიან პიროვნებისა და მდგომარეობის მიხედვით. გაადგილებულია არა მარტო ფიზიკური ყოფა, არამედ ყოფა სულიერიც; გაადგილებულია არა მარტო სხეული და ტანი, არამედ სხეულისა და ტანის ღელვა და ტანჯვაც. მდგომარეობა ერთგვარი თერძია სულიერობისა და მის ესთეტიკურ-ფილოსოფიური ილუზიების, რელიგიის, მეცნიერებისა და ხელოვნებისა; იგი მოკარნახეა იდეალებისა და ზრახვების, კანონმდებელია მორალისა და გემოვნების; მდგომარეობა რკინის მარჭვლებით ბოჭავს ადამიანის სულსა და გულს: იგი ამოძრავებს ჩვენს ნებისყოფას და მიმართებას აძლევს წუთისოფლად ჩვენს სურვილებს.

ლიტერატურული იდეალებისა და ტიპების სახეებს მდგომარეობა ამართლებს და ასაბუთებს ასოციაციებით და აპერცეფციებით; მაგრამ, ვინაიდან ქვეყნის ყოველ კუთხეს, ისტორიის ყოველ ეპოქას საკუთარი მდგომარეობა აქვს, ყოველი ხალხისა და ეპოქის ლიტერატურული იდეალები და სახეები განირჩევიან ერთმანეთისაგან: ესთეტიკური იდეალების მეტამორფოზა უმეშველოდ დაკავშირებულია სოციალურ სტრუქტურათა ევოლუციასთან და კულტურის ყოველგვარი ვითარება ითავისებურებს ლიტერატურისა და ხელოვნების მიმართებას.

ხალხის ცხოვრება, ხალხის განცდად ქცეული, ერთადერთი და უდიდესი წყაროა ლიტერატურისა და ხელოვნების; თვით ისტორია თავისი ეპოქებითა და პერიპეტიებით სტრატეგიისა და სახელმწიფოებრიობის

სფეროში უშინაარსოა გარეშე ლიტერატურისა და ესთეტიკური იდეალებისა; ხალხის ისტორია იმდენად შინაარსიანია, იმდენად მდიდარია და თავისებური, რამდენადაც ხალხი ესთეტიკურად ასახავს თავის ყოფას, რამდენადაც ხელოვნება აკვეთს ხალხის განცდათა მგზნებარე დაზგაზე სურვილებსა და მიზნებს, ცხოვრების იდეალებსა და ზრახვებს: საქართველოს წარსული საინტერესოა სწორედ იქ, იმ ეპოქებში, სადაც ქართული სული შლის იდეალების მარაოებს ქართული ლიტერატურის ფურცლებად, სადაც დიდი მწერლები და ფილოსოფოსები ქართულ აზროვნებას მეტყველების მშვენიერ ფორმებში ასახავენ. ომებს, ცეცხლს, მახვილს, სოციალურ პერიპეტიებს, სხვადასხვა სახის მორალურ-იდეოლოგიურ ცვლილებებს ხალხის ცხოვრებაში იმდენადაც აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ხალხის და საზოგადოდ ადამიანის განცდა ასახავს მდგომარეობას: საჭიროა მდგომარეობის არა მარტო არსებობა, არამედ ასახვაც, განცდაც. მდგომარეობა იწვევს ნერვულ-ფსიქიკურ გაღიზიანებას. გაღიზიანება გადადის შეგრძნებაში, მაგრამ, ამასთანავე, ნერვულ-ფსიქიკური ბუნება ადამიანისა ახვედრებს ყოველგვარ გაღიზიანებასა და შეგრძნებას გენეტიკურად მიღებულ თავისებურებას, რომელიც მოქმედებს მდგომარეობაზე ისე, როგორც მდგომარეობა მოქმედებს ამ თავისებურებაზე. ინდივიდუალური, ან რომელიმე ეპოქის ნერვულ-ფსიქოლოგიური თავისებურება სინთეზია მემკვიდრეობით მიღებულ განცდათა, მაგრამ ყოველგვარ პირობებში ეს გენეტიკური სინთეზი ანგარიშგასაწევია, ვინაიდან მასში არის ერთგვარი ენერგია, ერთგვარი idée-force, რომელიც გაღიზიანებისა და შეგრძნების ფსიქონერვულ ჩქერებს აძლევს მიმართულებას და ხშირად „ერთსა და იმავე პირობებში, ერთსა და იმავე ეპოქაში სხვადასხვა იდეალებსა და სულებს ამოძრავებს: სული ყოვლობისა და მისი ინტელექტუალურ-ესთეტიკური სახეობა არ არის ზედროულად მოცემული და უცბად განსხეულებული, როგორც იუნონა იუპიტერის თავის ქალაში: ჩვენი სულის ყოველ გამოვლენაში არის ორი მხარე — წუთიერი ჩხვლეტა და გენეტიკური წვა. რაციონალისტები — ინტელექტუალისტები ყველა კატეგორიისა და მიმართულებისა ვერ ამჩნევენ ისტორიაში, კულტურის ევოლუციაში ასეთი ხასიათის ურთიერთობას მდგომარეობისა და სულიერობის ფორმებს შორის; კაცობრიობის წარსულში როგორც პრეისტორიულ, ისე ისტორიულ პირობებში ჩვენ ვხედავთ არა მარტო მდგომარეობის გავლენას, არამედ გავლენის პირუკუღმა გავლენასაც მდგომარეობაზე.

ჩვენს ძირითად დებულებას არ ეწინააღმდეგება არც ერთი სერიოზული მიმართულება თანამედროვე აზროვნებაში: პირიქით — სპეციალურ მეცნიერებათა უკანასკნელი მიღწევანი, კოსმოლოგიური, ბიოლოგიური და სოციოლოგიური თეორიები ჩვენი დროისა სავსებით აღასტურებენ სულისა და მისი შემოქმედების გაადგილებას, აზროვნებისა და მდგომარეობის გენეტიკურ ფსიქო-კომპლექსიზმს. ჩვენ გადავიტანეთ სულისა და გააზრების ყველა საკითხი გენეზისის არეში და ამასთანავე ვძლიეთ ფსიქოლოგისტური სოლიფსიზმი ორგანოტროპიზმის კორელატური იდეით. ღმერთები და მითები, ლეგენდები და ისტორიული თქმულებები, ფილოსოფიური სისტემები და ესთეტიკური იდეალები, მხატვრული სახეები ლიტერატურისა და პოეზიის ერთგვარი სახეცვლილი უკუქცევაა იმ ბიოლოგიური ენერგიისა, რომელიც მოთავსებულია განსაზღვრულ კოლექტიურ, ან ინდივიდუალურ სხეულში და რომლის შემოქმედებითი ასხივოსნება შექმნა მდგომარეობის გაღიზიანებამ და გაღიზიანებისაგან გამოწვეულმა წვამ: მდგომარეობისაგან მიღებულ გაღიზიანებას სული ახვედრებს ყოველ ეპოქაში, ყოველგვარ პირობებში იმ პოტენციას, რომელიც დაგროვილა სამყაროს კუთხურ განცდათა და ჩვეულებათა რეზერვუარში. ფილოსოფიურ-ესთეტიკური აპერცეფცია შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ხდება ინტეგრალური შეხვედრა ბიოგენეტიკური მეხსიერებისა და მდგომარეობის ახალი გაღიზიანების. საიდანაც სული თავისი მწველი სურვილებით და კუნთების მჩხვლეტი შეგრძნებებით იწყებს ახალ მიმართებას მიზნებისა და სახეობითი პერსპექტივებისაკენ.

ჩვენი დროის იმპრესიონიზმი და ექსპრესიონიზმი არის მხოლოდ სტილის საკითხი, მხოლოდ თქმის ტექნიკის საკითხი; ყოველი სტილი მდგომარეობისა და გენეტიკური განცდისა სულიერი მოთხოვნილების ფორმაა: არც ერთ ადამიანს და არც ერთ ეპოქას არ შეუძლია იქონიოს სტილი, რომელიც არ შეეფარდება მისი სულისა და ნერვების მოთხოვნილებას; ლუდოვიკო მეთოთხმეტეს დროის სტილი სწორი ფსიქოლოგიური გამოსახულებაა ფეოდალურ-არისტოკრატიული „პრესიზობისა"; სიმბოლიზმის ქარაგმული გაურკვევლობა თქმაში თანამედროვე ქაოსური განცდის ასახვაა; ექსპრესიონიზმისა და იმპრესიონიზმის „demi parole" გაქალაქებული სულის ნერვული ატორტმანებაა: ყველაფერს „ახალს" ლიტერატურაში წინ მიუძღვის „ახალი" ცხოვრებასა და ისტორიაში. კულტურის ფორმებსა და ხელოვნებას შორის რომ არსებობს ურთიერთობა, ეს იცოდნენ მანამ, სანამ ტენი გამოაქვეყნებდა

თავის თეორიას და სანამ ჟ ა ნ-მ ა რ ი გიუიო მოახდენდა ამ თეორიის რესტავრაციას: 1719 წ. დ ი უ ბ ო მ გამოუშვა წიგნი Réfléctions critiques sur la poésie et la peinture, რომელშიც სხვადასხვა ხალხისა და დროის ხელოვნებას უკავშირებდა არა მარტო საერთო კულტურის განვითარებას, არამედ ჰაერისა და გეოგრაფიული მყარობის გავლენასაც. აქედან იპ. ტ ე ნ ი ს ა თ ვ ი ს ადვილი გადასადგამი იყო ნაბიჯი სოციოლოგიის სფეროში, სადაც ხელოვნებას დაეთმო ადგილი როგორც სულიერი კულტურის ტემპერატურას. ტ ე ნ ი გადაჭრით ამბობს: L'oeuvre d'art est déterminée par un ensemble de l'état général de l'ésprit et de moeurs environantes.

ეპოქისა და ხალხის საერთო სულიერ განწყობილებას ისეთივე მნიშვნელობა აქვს ხელოვნებისათვის, როგორც ფიზიკურ ტემპერატურას ფლორის განვითარებისათვის: ყოველ ეპოქაში იბადება არაერთი მხატვრული მეტყველების ნიჭი, მაგრამ ეპოქის გამომხატველ სიტყვას ამბობს მხოლოდ ის, ვისი სულიერი განწყობილებაც შეეფარდება ეპოქის საერთო სულიერ განწყობილებას, განსაკუთრებით კი გაბატონებულ სულიერ გემოვნებას; დანარჩენი ნიჭი იღუპება უნიადაგობისა და უადგილობის გამო: ისტორიისა და ეპოქის „სულიერი ტემპერატურა", ტენის აზრით, ბოლოს და ბოლოს არის შედეგი სამი ელემენტისა: რასული თავისებურებისა, კლიმატური მდგომარეობისა და კულტურული პირობებისა.

ასეთია იპ. ტ ე ნ ი ს აზრი თავიდან ბოლომდე და არც რასული თავისებურების განმარტებას, არც მდგომარეობისა და შემოქმედებითი სულის ურთიერთობის გარკვევას ტ ე ნ ი არ იძლევა: განა რასა გარკვეული ცნება არის? განა რასულ თავისებურებაში არ შედის ეთნოლოგიური ელემენტი? განა რასა არ განიცდის სახეცვლილებას გენეტიკურად და განა ამ გენეტიკური სახეცვლილების პროცესში არ იქმნება ისტორიული ტონუსი — შემოქმედებითი სულის გრძნობითი ტონი?

სავსებით მისაღებია დებულება: მდგომარეობა აძლევს ფორმას ხელოვნებას, სულიერობასა და მთელს ინტელექტუალობას; მდგომარეობა ქმნის აზროვნების მიმართებას, მაგრამ ამ დებულებაში ხელოვნება არის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსახულება საერთო ინტელექტუალური კულტურისა, რომელიც ყოველთვის განსაზღვრულია მდგომარეობით და პირობებით. მართალია, მდგომარეობა აძლევს ფორმას სულიერობას, მაგრამ მდგომარეობის შეცვლის დაჩქარება შეუძლია სუ-

ლიერობის გავლენას. კ ა ნ ტ ი ყოველდღე გამოდიოდა სასეირნოდ, მაგრამ სამი დღე ზედიზედ არ გამოსულა, როდესაც ჟ ა ნ-ჟ ა კ რ უ ს ო ს ნაწერებს კითხულობდა; გ ო ე თ ე ს „ვერტერი“ პირადი ცხოვრების მდგომარეობითაა ნაკარნახევი, მაგრამ ვინ იცის, რამდენი პირადი ცხოვრების მდგომარეობა შექმნა „ვერტერმა“ საზოგადოებაში? აქ სრული ორგანოტროპიზმია ყოვლადებული, ორგანოტროპიზმი, რომელიც ფსიქოლოგიურად გაცილებით უფრო მკვეთრი და დინამიკურია, ვიდრე ტ ე ნ ი ს ხელოვნების ფილოსოფია და ჩვენი დროის სიმბოლისტ-იმპრესიონისტების ესთეტიკური ბავარდაჟი, მოკლებული ყოველგვარ გარკვეულ გააზრებას, გარკვეულ პრინციპსა და მსოფლგაგებას. ორგანოტროპიზმის ესთეტიკურ ფილოსოფიაში მოცემულია ურთიერთობის პრობლემა მდგომარეობასა და სულს შორის, სულსა და მდგომარეობას შორის. მხოლოდ ამ გზით და ამ მეთოდით გასაგებია ჩვენთვის ის, რასაც იპ. ტ ე ნ ს უსაყვედურებს ე ნ ე კ ე ნ ი თავის შესანიშნავ წიგნში: Critique Scientifique. დაახლოებით ერთმა და იმავე მდგომარეობამ სოციალურ-ისტორიული ევოლუციის პროცესში ჩვენ მოგვცა შ ი ლ ე რ ი და გ ო ე თ ე სხვადასხვა შემოქმედებითი სულებით; შ ა ტ ო ბ რ ი ა ნ ი და ფ ლ ო ბ ე რ ი ერთი პროვინციიდან იყვნენ, მაგრამ სულიერად სხვადასხვაობდნენ; ბ ე რ ნ ს ი და კ ა რ ლ ე ი ლ ი შოტლანდიის მთიელებია ორივე, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა: ყოველ მათგანს აქვს საკუთარი გრძნობითი ტონი, საკუთარი ფსიქოლოგიური რეზონანსი, საკუთარი კავშირი ეპოქის სულიერობასთან.

გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ვ ა ხ ტ ა ნ გ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი და ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი თითქოს ერთნაირი მიდგომით დასტირიან ისტორიული საქართველოს ნანგრევებს, მაგრამ, რომ დააკვირდებით, განსხვავება არსებობს არა მარტო მათ თქმათა შორის, არამედ მათ მსოფლგაგებასა და აზრთა შორისაც: გრიგოლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი საქართველოს წარსულის სივრცით წარმოსახვაში („ლხინი“) ეძიებს სულის ნავსაყუდელს; ნანგრევების სახეები მიმოიცვლიან რა პოეტურ წარმოსახვაში კოსმოსურ არეებს, უსახავენ ვ ა ხ ტ ა ნ გ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ქალური სინაზით მზიდარულობას („იმედი“) და, როგორც ინგლისელი მგოსანი შ ე ლ ი ს, ტკბილი სურვილების ეროტიკული ნემსებით ჩხვლეტენ ოცნების სფეროში გადაწოლილ სულს; გადააფასებს რა წუთისოფლურ ღირებულებებს, საზოგადოებისა და ქვეყნის უაზრო თქრიალს, საქართველოს არსებობის შესაძლებლობას, ანთებული შინაგანი წვოა და უსაზღვროების სიყვარულით. ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი

დაისადგურებს ყოფას ოცნებით წარმოსახულ მარადობაში („მერანი").

აქ არის სხვადასხვაობა არა მარტო სტილისა და თქმისა, არამედ ტემპერამენტისა და სულისა, აზროვნებისა და გრძნობითი ტონისა: აქ არის სოციალური ფსიქოლოგიის პათოსის გაადგილება, განკერძოება, ინდივიდუალიზაცია; ამ შემოქმედებითი ხასიათის გაადგილებასა და გაკერძოებაში კიევის და თრთის სული ისტორიული განცდის, სული კუთხური ტკივილებისა, რომელსაც ენატრება გაშლა უსაზღვროებაში, გაშლა მარადობაში, რომელიც წუხს, რომ შებოჭილია რღვევადი და ხრწნადი ეგოიზმით — კუთხური მყარობითა და აზროვნებით. ყოველი სული წუთისოფლად მდგომარეობისაგან მიღებულ გაღიზიანებას უფარდებს თავის საჭიროებასა და ინტერესს: გაღიზიანებისაგან მიღებული შეგრძნება ჩვენი არსებობის ყოველ წუთს ჩვენი სულის გენეტიკურად შექმნილ ინტერესებს ედუღება და ყოველ დიდ ხელოვანს, ყოველ დიდ მოაზროვნეს ქვეყნად შემოაქვს საკუთარი ასოციაციები, რომელნიც ერთგვარი დამატებაა სინამდვილისა, მაგრამ დამატება, მოტანილი არა მეორე სამყაროდან, არა ტრანსცენდენტური სფეროდან, როგორც ფიქრობენ აპრიორისტები, არამედ წარმოშობილი და სახეცვლილი გენეტიკურად სოციალურ-ისტორიულ ტკივილებსა და წვაში.

მდგომარეობასა და ჩვენს სულს შორის ურთიერთობა სოციალური ინტერესით და კონსონანსით ხელმძღვანელობს, და არ არის ჩვენში არც ერთი სურვილი, რომელიც ვინმესთან ან რამესთან არ იყოს შეფარდებული. შეფარდებულობა (corrélation) ღირებულების პრინციპია, ყოვლობის დენაში — საგანთა და მოვლენათა სტიქიურ-ირაციონალურ როიაში ღირებულება შეფარდებითი ცნებაა; მრავლობა, ფსიქიკურ პროცესში დაწეწილი და ჩვენს შეგრძნებებად სახიერებული, შეიცნობა ინტელექტუალობაში მხოლოდ შეფარდების მიხედვით: შეგრძნების სახიერება დამოკიდებულია არა მარტო გაღიზიანების ინტენსივობაზე, არამედ სხვა შეგრძნებათა კორელაციაზეც: ბგერა sol შეიძლება იყოს სასიამოვნო, ან არასასიამოვნო, არა ცალკეულად, არამედ იმასთან შეფარდებით, თუ რა ადგილი უკავია მას მელოდიურ ფრაზაში; წითელი ან მწვანე ფერი შეიძლება სასიამოვნო არ იყოს, მაგრამ სხვა ფერებთან ერთად შეიძლება ხშირად მეტად სასიამოვნო დარჩეს, თუ სიამოვნებას მოსდევს ტანჯვა, ტანჯვასაც და სიამოვნებასაც ღირებულება ეძლევა ფსიქიკურ პროცესში. სიამოვნების შეწყვეტა ტანჯვას იწვევს, ტანჯვის შეწყვეტა სიამოვნებას. კბილის ტკივილისა ან კუჭის სპაზმის შეჩერება სიამოვნებით თავდება და რომ ტკივილები არ ყო-

ფილიკო, სიამოვნების შეგრძნებას ადგილი არ ექნებოდა ჩვენში; თავისთავად, ცალკეულად ფსიქიკური მოვლენა კარგავს ღირებულებასა და სახიერებას, მხოლოდ შეფარდებაში ღირებულება და სახიერება ჩნდებიან გარკვეულად; შეფარდება ფაქტობრივად შესაძლებელია კორელაციის სახით, მხოლოდ კორელაცია საჭიროებს მოვლენათა მრავლობას, ურთიერთობას,—სოციალურობას ამ სიტყვის ბიოგენეტიკური მნიშვნელობით.

მეცნიერება იდეათა სისტემატიზაციაა, ხელოვნება კი გრძნობათა; ყოველგვარი სისტემატიზაციისათვის საჭიროა ერთგვარი ხერხი, ერთგვარი მიდგომა: დალაგება შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც არის რიგი, და რიგი ცხოვრებაში არის იქ, სადაც შეაქვს თავისი სული, თავისი ნებისყოფა, თავისი ინტელექტი ადამიანს შეთანხმებით მდგომარეობასთან, პირობებთან; მდგომარეობაში ჩვენ ვგულისხმობთ არსებობის ყოველგვარ ანტურაჟს — მიწა-წყალს ჰაერეთის კლიმატური თავისებურებით, გეოლოგიურ ფორმებს მდებარეობისას, მინერალებისას, მცენარეებისას და ცხოველების სამყაროს; მხოლოდ მდგომარეობაში ყველაზე უფრო აქტიური და შემოქმედი ელემენტია სოციალური არე — ადამიანთა ურთიერთობა თავისი ყოველდღიური ინტერესებით და საჭიროებათა ქსელით.

ყოველი ცოცხალი არსი ამ ქვეყნად იღებს არა ისეთ ფორმას, რომელიც მას სურს მიიღოს, არამედ ისეთს, რომლის მიღება შეიძლება განსაკუთრებულ პირობებში; მდგომარეობა თერძია ცივილიზაციის ფორმებისა: სმენის სიტლანქე რომელიმე ველურისა ისეთივე ფუნქციაა საზოგადოებრივი ვითარებისა, როგორც გემოვნების სიაზიზე ევროპის დიდი ქალაქის რომელიმე აბორიგენისა; სულის ესთეტიკური სახე, რომლის მონუმენტურ ფორმას წარმოადგენს ხელოვნების სტილი, ორგანულად ისაზღვრება საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარებით — სოციალური ფსიქოლოგიის დენით: არც ერთი ფორმა სტილისა დღევანდელი გაგებით არ არსებობს როგორც თვით არსი ესთეტიკური ხასიათისა, როგორც სუპერისტორიული კატეგორია; სტილი ისეთივე მოვლენაა ხელოვნებაში, როგორც რასა ისტორიასა და ანთროპოლოგიაში; შეიძლება ბევრს პარადოქსად მოეჩვენოს ჩვენი ნათქვამი, მაგრამ ჩვენ ვამტკიცებთ: რასა არ არსებობს როგორც მარადიული კატეგორია, რასული თვისებები ხალხისა ნაყოფია პლანეტურ და სოციალურ-ისტორიული წესებისა. რასა ატარებს ორგანულად იმ თვისებებს, რომელთა შემოქმედება შეადგენს პლანეტური ყოფის გენეტიკურ

პროცესს; ბიოლოგიაში ჯიშების წარმოშობაც შეიძლება ასეთნაირად აიხსნას; ევოლუციურ ვითარებაში წვალებას გადაურჩნენ მხოლოდ ისეთი ჯიშები, რომელთა ორგანიზაციები ეწყობოდნენ მდგომარეობასთან შეთანხმებით, პირობებთან შეფარდებით; სხვა ჯიშები და სხვა ორგანული ფორმები გადაშენდნენ, გაქრნენ, რაკი ვეღარ აიტანეს არსებობის პირობები: არსებული ჯიშები პლანეტურად გაბატონებული ფორმებია ორგანული ევოლუციისა; ბუნებაში ბოლოს და ბოლოს ხდება ის, რაც ადამიანთა ურთიერთობაში: არსებობის ცვლილებათა მეთოდი ყოველთვის ი გ ი ვ ე ა, ხოლო მასალების დალაგება სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახისაა; ადამიანები თავიანთ ურთიერთობაში ემორჩილებიან გაბატონებულ მომენტებს: ცივილიზაციის ესა თუ ის ფორმა განსხეულებაა გაბატონებული მომენტისა და მისი იდეოლოგიის. სტილი გამოხატულებაა იმ გრძნობათა, იდეათა, შთაბეჭდილებათა და რწმენათა, რომელთაც ცივილიზაციის ევოლუცია დიალექტიკური ნახტომებით ამზადებს par l'existence des idées dans l'air et par les circonstences de la vie. სტილი გარეგანი მხარეა სულიერი მოძრაობისა და ხშირად სტილით შინაარსიც გამოისახება, მაგრამ იმდენად, რამდენადაც შინაარსი სტილს იძლევა: სტილების ცვლილება და სხვადასხვაობა ისტორიაში ერთგვარი საყოფაცხოვრებო სისტემათა ვითარებაა, ჩამოყალიბებული სახეებში. ხელოვნების სტილი საზოგადოებრივი განვითარების რეფლექსია და ყოველთვის, როდესაც ლაპარაკობენ სტილისა და ფორმის შესახებ, ივიწყებენ, რომ არასოდეს ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა სტილის დამოუკიდებელი არსებობისა. სტილს ხელოვნებაში ყოველთვის მდგომარეობა იძლეოდა. მდგომარეობის გარეშე სტილის არსებობა შეუძლებელია.*

განსხვავება სხვადასხვა სტილს შორის გამომდინარეობს სხვადასხვა სოციალური ხასიათის მიმდინარეობიდან: სტილი ყოველთვის გამოსახავს იმას, რაც აწუხებს ადამიანის სულს, ხოლო სული ადამიანისა სხვადასხვა საუკუნეში სხვადასხვანაირად წუხს; აზრი ვერასოდეს იმის გამოსახვას ვერ მოახერხებს, რასაც ადამიანის საყოფაცხოვრებო ინტერესი გვერდს უვლის; წარსული კაცობრიობისა ეპოქებთან ერთად ხშირად იცვლის სოციალურ სტრუქტურასა და სტილს; წარმოების რეორგანიზაცია სტილის რეორგანიზაციით თავდება: მონადირე ხალხის სტილი, ყოველთვის ინდივიდუალისტური თავაწყვეტის გამომსახველი, არ

* Wilhelm Hausenstein: Die Kunst und gesellschaft. S. 32.

წააგავს იდეოპლასტიკურ სტილს იმ ხალხისას, რომელიც ცხოვრობს მიწის დამუშავებით და აგრარული ინტერესებით საზოგადოდ.

სტილი სტატიკური ფორმაა სულის დინამიკური მოძრაობისა: ეგვიპტური ხელოვნება აწვერადებული პირამიდებით და სფინქსებით თვალსაჩინო სახეა ინდივიდუალიზმის ძლიერი განცდისა; გიგანტური პირამიდები ეგვიპტისა საუცხოო მონუმენტებია ეგვიპტის ისტორიის იმ პერიოდისა, როდესაც ხალხში პატივისცემა და გასავალი ჰქონდა ინდივიდუალისტურ კულტურას — ფეოდალურ წესწყობილებას; ეგვიპტური სტილი, მოცემული პირამიდებსა და ბარელიეფებში, თავის შინაგან წყობაში ფეოდალისტური სტილია. სიმაღლე და გრანდიოზულობა ერთნაირად ახასიათებს ეგვიპტის კულტურის ისტორიულ პერიოდს და ევროპის საშუალო საუკუნეებს.* გოთური სტილი ინდივიდუალიზმის იდეოპლასტიკური რეფლექსია რელიგიურ-რომანტიკული გადახრით.

ფეოდალურ წესწყობილებასა და გოთურ სტილს შორის არსებობს ორგანოტროპული ურთიერთობა: ფეოდალიზმი ევროპაში კვლავ რომ მობრუნდეს როგორც სოციალურ ეკონომიკური სტრუქტურა, გოთური სტილი და ესთეტიკა ინდივიდუალიზმისა მასთან ერთად მობრუნდებიან ხელოვნებაში. სტილი სულის გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ა დროულ-სივრცული მასალებით, ფერებით და მოხერხებით, სტილი თარგია იდეოლოგიური ხვეულებისა: სტილის პრობლემა ხელოვნებაში ყოველთვის იდეოლოგიის მიმართების პრობლემაა და ვისაც უნდა სტილი შეისწავლოს რომელიმე ეპოქისა, სურვილი უნდა ჰქონდეს გამოარკვიოს კავშირი იმ ეპოქის იდეოლოგიისა სტილის განსაკუთრებულ ფორმებთან.

რევოლუციის დაწყებამდე საფრანგეთის არისტოკრატია თავისი გრძელი შეველიურით და გაზვიადებული, გაპრანჭული ვერბალიზმით ხელს უწყობდა ცხოვრების ფარისევლურ ფსიქოლოგიას; მაშინდელმა კომერსანტებმა შეისწავლეს ეს ფსიქოლოგია და ყველა თავადაზნაურული, არისტოკრატიული საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმა, რომლებითაც ადამიანთა ურთიერთობას ეკარგებოდა ერთგვარი ბუნებრიობა: ხელოვნურად გაგრძელებული შეველური, კაბა „ხაბარდა", გამოთქმაში ჰიპერბოლა დამახასიათებელია იმ სტილისა, რომელსაც ისტორიაში ეძახიან ახირებული სიტყვით—როკოკოს**. საზოგადოებრივი

---

* Max V e r w o r n: Zur Psychologie der primitiven Kunst.

** W. H a u s e n s t e i n. Rokoko. Französische und deutsche Illustratoren... 1913.

ცხოვრების ვითარება თანდათანობით ცვლის გემოვნების ძველ ფორმებს: სალონური არისტოკრატიის ტიპი ნაზი და მსუბუქი პეპელა ადგილს უთმობს პატიოსან ჟანრს (le genre honnête); ფიგაროს ქორწილი დემონსტრაციაა საზოგადოების ახალი სულისა და სტილისა; მეშჩანური ყოფისა და კულტურის გამოთქმა, სიტყვების გაბგერება ყოველდღიური ბუნებრივობით, ჩაცმა-დახურვა სადა, მორალი ასე თუ ისე დემოკრატიული, პარადოქსები, მაჩვენებელი სოციალური ყოფის დეფორმაციისა, ბ ო მ ა რ შ ე ს პერიოდის ფსიქოლოგიური თვისებებია და ეს თვისებები, გენეტიკურად ჩამოყალიბებული სოციალური ცხოვრების ხვეულებში, ნიადაგს უმზადებენ რ უ ს ო ს ა და მის ახალ ელოიზას თავისებური ტემპერამენტებით და ეგზიუბერანსული მეტყველებით; სტილი, როგორც ტანისამოსი, სხეულის ფორმას გამოსახავს.

კაპიტალისტური სამყაროს ნერვულმა მოძრაობამ თავისი ინტენსივობით და ფერების ბორიალებით წარმოშვა არითმიული სტილები ქალაქური კულტურისა; სოციალური ცხოვრების უთავბოლო დენა და პატარა ინტერვალებში შთაბეჭდილებათა მღელვარე თამაში არსებობის ინტერესების ამყოლობით აწვალებენ სულსა და მის გემოვნებას: ბურჟუაზიულ-ქალაქურ ტურბიონში გაბატონებული კლასის ორგანოფსიქიკური ინტენსივობა, განსაკუთრებით ომისა და რევოლუციურ ღელვათა შემდეგ გერმანიაში, იხრება ექსპრესიონიზმისა და ნეოიმპრესიონიზმისაკენ; შთაბეჭდილებებით და განცდებით სავსე სული ადამიანისა ვერ ეტევა თავის ნერვულ-ფსიქიკურ წყობაში და „შპიგელმენშების“ ანარქიულ-ბუნტარული ხასიათი საუცხოოდ ამეტყველებს არსებობის განსაკუთრებულ პირობათა შეგრძნებას: საზოგადოებრივ სტრუქტურათა დაწყვეტილ რგოლებში ძრწიან ჯგუფურ-ეგოცენტრისტულად განაპირებული სულები თავიანთი ილუზიებით, კუთხურ-ტროპული იდეალებით და ეფემერული ზრახვებით; სტილი სარკეა სულის სოციალური წვალებისა: ექსპრესიონიზმი განცდის სტილია ისე, როგორც იმპრესიონიზმი ჭვრეტისა. საყურადღებოა ის, რომ სიტყვა ექსპრესიონიზმი წარმოიშვა ფრანგულიდან — expression, რაც ნიშნავს გამოთქმას, ხოლო სიტყვა იმპრესიონიზმი წარმოიშვა ისევ ფრანგულიდან — impression, რაც ნიშნავს შთაბეჭდილებას; ექსპრესიონიზმი იძლევა განცდისა და გამოთქმის ფსიქოლოგიას, იმპრესიონიზმი კი შთაბეჭდილებისა და გამოთქმის.

იმპრესიონიზმი არის ერთგვარი პროტესტი აკადემიზმისა და სტა-

ტიკურ-ოფიციალური კლასიციზმის წინააღმდეგ; პროტესტი იწყება პარიზიდან: აპარტემანებისა და მუზეუმების ხელოვნება, რომელიც თავისი მშვიდი და კლასიკური სახით ბატონობდა ევროპაში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე, საშუალებას არ აძლევს ევროპის ქალაქურ სულს, იგრძნოს მშვენიერება ბუნებისა და გაშლილი ჰაერისა. ასევე ენატრება დიდი ქალაქის მცხოვრებს: დიდი ქალაქები თავიანთი მუზეუმებით და კლასიციზმით ხუთავენ ცოცხალ შთაბეჭდილებას ჰაერისას, ფერებისას და კოპწიაობისას. სულს ენატრება ყოფნა და დანახვა ცხოვრების სურათებისა ქალაქის გარეთ, რომელიმე სოფელში, სადმე რუს პირად; სული, დაღლილი დიდი ქალაქის მტვრიან ქვრეტებში, მიილტვის გაშლილ და სინათლიან ჰაერისაკენ და ყოველი სურათი ხელოვნებაში, რომელიც ადამიანს მოაგონებს სოფლურ იდილიას, სავრცეებისა და მინდვრების ალივლივებას, ჰაერს, მზეს, სინათლეს, სულს ეჩვენება მშვენიერად, საუცხოოდ: აქედან წარმოიშვა იმპრესიონიზმის ლოზუნგი plenairisme, plenair, გაშლილი ჰაერით სუნოქვა და შთაბეჭდილება ფერებისა და ტონების ვიბრაციისა მზის სხივებზე: ჩვენ უკვე ვთქვით, რომ სიტყვა impression ჩვენებურად ნიშნავს „შთაბეჭდილებას"; გასაგებია ამიტომ ის, რომ იმპრესიონისტული სტილი ხელოვნებაში პირველად შემოიტანეს მხატვრებმა, განსაკუთრებით პეიზაჟისტებმა; მ ო ნ ე, პ ი კ ა ს ო, ს ი ს ლ ე ი, მ ა ნ ე ხელოვნებაში შემოიჭრნენ ფერებისა და ტონების შთაბეჭდილებებით.

რაც შეიძლება მწვავე შთაბეჭდილებების მიღება, რაც შეიძლება მეტი ფერადობა და ხმიანობა შემოქმედებით განსახეობაში, რაც შეიძლება მეტი პასივობა-ფოტოგრაფიულობა ნატურალიზმის მიღწევებში — აი იმპრესიონიზის სტილის დამახასიათებელი თვისებები. დაიარე ბულვარები, სკვერები, ქალაქის მოედნები, სოფლები, და, რაც ნახო, რამდენიმე სტრიქონში აღწერე, აღწერე ისე, რომ ყველგან იყოს სინათლე, ძლიერი შთაბეჭდილება ფერებისა, აღწერე ისე, რომ რამდენიმე ხაზი სრულ სახეს იძლეოდეს, — ეუბნება იმპრესიონიზმი მწერალს. იმპრესიონისტული სტილის იდეალურ ფორმას საფრანგეთში იძლევა გი დე მ ო პ ა ს ა ნ ი, რუსეთში ჩ ე ხ ო ვ ი, ინგლისში — ოსკარ უ ა ი ლ დ ი; იმპრესიონიზმი ებრძვის კლასიციზმისა და აკადემიზმის ფორმებს, ებრძვის აგრეთვე ინტელექტუალიზმს და ამ მხრივ ფსიქოლოგიურად ენათესავება ბ ე რ გ ს ო ნ ი ს ფილოსოფიას. სულის წვალება წუთისოფლური, პლანეტური ასხივოსნებს იდეებში სოციალურ ინტერესებს, თარგავს და კვეთს შემოქმედებით სახეებს ისე, როგორც ამას მოითხოვს

გენეტიკური გადახრა სოციალური ფსიქოლოგიისა: აიღეთ უბრალო, ანტიკური დოქი — hydria, მას საბერძნეთში დგამდნენ ისე, თითქოს მიწიდან ამოდიოდა; მას ჰქონდა ერთგვარი საპნის ბუშტის ფორმა — ზევით უფრო ფართო, ვიდრე ქვევით, მაგიდის ფეხებს ეძლეოდა ფორმა მზეცის თათებისა ბრჭყალებით, თითქოს გაბრაზებულნი იჭრებოდნენ იატაკში: ბერძნულ სტილს აქ ეტყობა ორგანომორფული პერიოდის გავლენა — სული ადამიანისა თითქოს ენათესავება ბუნებას, ცდილობს თავის შემოქმედებას მისცეს სახე ულტრანატურალისტური და, ამავე დროს, რაღაც სპირიტუალისტური: ტყუილად კი არ ლაპარაკობს ერთი ფრანგი მწერალი სპირიტუალიზმი, ამავე დროს, მატერიალიზმიც არისო.

ცხოვრების ხერხი ყველგან იცვლება საერთო წყობასთან შეთანხმებით; საერთო წყობაში ყოველი არსი თავის ფორმას იღებს როგორც მდგომარეობასთან ურთიერთობის შედეგს: ცალკეულ ყოფას ადგილი არა აქვს სამყაროში და არც ერთი მომენტი ჩვენი მოქმედებისა, ჩვენი გააზრებისა და ჩვენი გრძნობებისა არ არის თავისუფალი სოციალური მდგომარეობის გავლენისაგან. ქვეყნად ყოველგვარი ყოფა დამოკიდებული და შეფარდებულია — დამოკიდებულია ვინმეზე ან რამეზე, შეფარდებულია ვინმესთან ან რამესთან; წუთისოფელი თავისთავად დამოკიდებულებათა არეა — არე დიდი, ირაციონალური, სტიქიური, მუდამ მოუწყობელი და sub specie aeternitatis უთავბოლო. დამოკიდებულებაში აისახება ღირებულება დამოკიდებულთა; დამოკიდებულებაში ითარგებიან ცალკეულ ყოფათა სახეები თავიანთი ორგანული და ფსიქიკური თვისებებით. სოციალურ ყოფაში ყოველგვარ ურთიერთობას ისეთი დიდი ადგილი უჭირავს, რომ ყოველი არსი ცდილობს ურთიერთობის პროცესში დაიკავოს გარკვეული ადგილი და ამისათვის ისეთი სტილით და ფორმით შემოდის, რომელსაც მოითხოვს ურთიერთობის ჩვეულებრივი მიმდინარეობა, მისი, ასე ვთქვათ, ბუნება, შექმნილი, წყობილი გენეტიკურად. სტილი — ფორმა ორგანოტროპული ურთიერთობის შედეგია და, ვიმეორებთ, სტილის პრობლემა ყოველთვის სოციალური განცდისა და იდეოლოგიის პრობლემაა; სული ეძიებს საშუალებას, გამოსახოს სურვილები, იდეალები, ილუზიები, ზრახვები და აფექტები იმ ფორმებში, რომელთაც შეუძლიათ დაკმაყოფილება ადამიანისა, მისი ორგანულ-ნერვული წყურვილისა; ხოლო სურვილების დაკმაყოფილება შეუძლია ისეთ რამეს, რაც შეავსებს ხელოვნურად იმ ნაკლს, რომელიც რეალურ ცხოვრებას აქვს და რომლის შეგრ-

ძნობა ადამიანის ცხოვრებას უარყოფით ელფერს აძლევს. ცხოვრების კულტურულ-ცივილიზაციური ფორმები იკუმშებიან და იწყვეტიან სოციალურ საჭიროებათა და განცდათა მიხედვით: რა სახისაა განცდა სოციალური საჭიროებისა, იმ სახისაა სტილი შემოქმედებისა, შემოქმედების ყოველგვარ ფორმაში გამოისახება ის, რაც ასე თუ ისე აწუხებს ადამიანებს, აღელვებს მათ, რაც შეადგენს რომელიმე საზოგადოების ან კლასის ყურადღების საგანს; მაგრამ, ქვეყნად სხვადასხვა ადგილს სხვადასხვა პირობებია არსებობისა, სხვადასხვა მდგომარეობაა როგორც ეკონომიკური, ისე საერთოდ კულტურულ-ცივილიზაციური: ამიტომ ადამიანებს წუთისოფლის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ხერხი აქვთ. სხვადასხვა საშუალება თავიანთი გრძნობებისა და განცდების ვანსახიერებისათვის, თავიანთი სურვილებისა და იდეალების ფორმათა მისაცემად; უნივერსალური ფორმა იდეებისა და აზრებისა არ არსებობს: მუსიკა ძველი ინდოელისა, რომელიც ვედას ჰიმნებშია მოცემული, აწყობილია ისეთი სტილით, რომელიც სრულებით არ წააგავს არაფერში ევროპის დიდი ქალაქის კაფე-შანტანურ მუსიკას; ლ უ ი მ ე თ ო თ ხ მ ე ტ ე ს დროს მეტყველება და საზოგადოებრივი ცხოვრების სტილი ზვიადი, პათოსიანი, არისტოკრატიული, ცხადია, ისეთი არ არის, როგორც ბ ო დ ლ ე რ ი ს დროის საზოგადოებრივი ცხოვრების სტილი და გემოვნება; საშუალო საუკუნის ფეოდალი სრულებით არ ლაპარაკობდა იმ ინტონაციით, რომლითაც ღღეს ლაპარაკობს ევროპის ბურჟუა: დღევანდელი დიდი ქალაქის პროლეტარი, რაც უნდა კარგად ცხოვრობდეს იგი, მაინც თავის გემოვნებაში, ესთეტიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში სრულებით იმას არ მოითხოვს, რასაც მოითხოვს რომელიმე დიდი ფაბრიკანტი: ყოველ სოციალურ დგომას, ყოველ პლანეტურ ყოფას აქვს საკუთარი ფორმის სტილი, თავისებური გარეგანი მხარე; ყოველ კუთხეს სამყაროსას, ყოველ საზოგადოებრივ ჯგუფს და ხშირად ყოველ პროფესიას აქვს ფსიქოლოგიური გარემო, milieu, თავისებური განცდის ჰაერეთი: სოციალური საჭიროების ბიოგენეტიკური ვითარება აწესრიგებს და აწყობს თავისებურ ფორმაში სამყაროს და, გარეშე სოციალური საჭიროების გავლენისა, სული ვერ დაისახავს ვერც მორალურ პრინციპს, ვერც ესთეტიკური განცდის თავისებურ ღირებულებას; ყოველთვის, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ხელოვნების, ან ბუნების რომელიმე მოვლენის შესახებ, როდესაც ჩვენ ვეძებთ ღირებულებას როგორც კულტურისა და ცივილიზაციის ფორმებში, ისე ბუნების პანორამაში, ჩვენი სული ხელმძღვანელობს იმ ინტერესით, რო-

მელიც მომდინარეობს სოციალური ცხოვრების ჩვეულებებიდან, რომ-ლებთანაც ჩვენ დაკავშირებული ვართ ჩვენი ცხოვრების ყოველ წუთს: როგორც კი ჩვენში დაიბადება რომელიმე სურვილი, რომელიმე გან-ცდა და ოცნება, ჩვენი სული იკმაყოფილებს თავს იმ ფორმით, რომე-ლიც მთავარ ხაზებში წააგავს ჩვენს ყოველდღიურ ყოფას, სხვებთან ურთიერთობას: იდეოპლასტიკური სტილი საბერძნეთისა იგივე ე ვ კ-ლ ი დ ი ს გეომეტრიაა სწორმეტროვანი ფიგურებით და სივრცის გარ-კვეული სახეობით, გადატანილი როგორც ხუროთმოძღვრებასა და ქან-დაკებაში, ისე ლიტერატურასა და ფილოსოფიაში; ჩვენი საუკუნეების ტეხილი ხაზები, გადაუღლებული წრეწირები, უთვალავი ფერები, ძლიე-რი ვერბალიზმი იგივე დიფერენციალებია და ინტეგრალები, წყობილი მხატვრული სახეებით ლიტერატურასა და აზროვნებაში: მათემატიკო-სები ფორმულებით გამოსახავენ იმას, რასაც მხატვრები და დიდი პოე-ტ ები სახეებით და სიტყვებით ამბობენ; როდესაც ნ ი უ ტ ო ნ ი სელეს-ტური მექანიკის ფორმულებს იძლეოდა, ლიტერატურაში ინდივიდუა-ლისტური აბსოლუტები შემოდიოდნენ: ნ ი უ ტ ო ნ ი ს მათემატიკურ ფორმულებს და რომანტიზმს იდეოლოგიის ერთი და იგივე ფსიქო-ლოგიური პრინციპი აქვთ; ორივე შემთხვევაში მოქმედებს სურ-ვილი აბსოლუტური ინდივიდუალიზმისა; მეცნიერება ბოლოს და ბოლოს იგივე ხელოვნებაა: სოციალური საჭიროების ძლიე-რი მარჭვლები ისე წევენ და კუმშავენ მეცნიერების პრინცი-პებს, მეთოდოლოგიას, კონსტრუქციას, ლოგიკურ დებულებებს, როგორც ხელოვნების ფორმებს და სტილს; საშუალო საუკუ-ნეთა მეცნიერება და ხელოვნება ერთი სტილისა იყო: თეოლო-გიური აბსოლუტიზმი ერთნაირად ხელმძღვანელობდა მეცნიერებას და ხელოვნებას საშუალო საუკუნეებისას, ერთნაირად იმორჩი-ლებდა პოეტისა და მეცნიერების სულს; მოქანდაკეს ან ხუროთმოძ-ღვარს მაშინდელი დროისას ისეთივე ფორმის და სტილის ხილვა ენატ-რებოდა როგორც ალქიმიკოსს; „ფილოსოფიური ქვა“ იგივეა ფსიქო-ლოგიურად, რაც კათოლიკების potestas clavium; გოთური სტილის საზღვარაცილებული ტაძრები კელნისა და პარიზისა იგივეა, რაც მხატ-ვრული ტიპები ევროპის ლიტერატურისა; აინშტაინის მათემატიკური რელატივიზმი კოსმოლოგიური ფორმულაა ჩვენი დროის სოციალურ რყევათა და ფსიქოლოგიური აბსოლუტების დაშლისა; პედაგოგიკის ახა-ლი პრინციპი — მხარეთმეცნიერება შეფარდებათა კომპლექსებით ისე-თი დიდი გადატეხაა ინდივიდუალიზმისა და აბსოლუტიზმის მსოფლმხე-

�ველობისა, რომელიც ვეჩვენებს მარქსიზმის გავლენას მეცნიერებაზე და, ამავე დროს, გამოსახავს შემოქმედებისა და აზროვნების ისეთ ფორმას, რომელსაც ორგანულად მოითხოვს ჩვენი დროის სოციალური ფსიქოლოგია; ან უფრო ახალი ენით რომ ვილაპარაკოთ, სოციალური საჭიროება აძლევს მიმართებასა და ფორმას როგორც მეცნიერებას, ისე ხელოვნებას; სოციალური საჭიროება აყალიბებს სტილისა და აზროვნების სახეებს; სტილი რეფლექსია სოციალური საჭიროების განცდისა, ამიტომ, ისტორიაში არ არსებობს მეცნიერებისა და ხელოვნების უცვლელი ფორმები: სოციალური საჭიროების ცვლილება — კულტურის საერთო რეორგანიზაცია ყოველთვის მოითხოვს ხელოვნებისა და მეცნერების რეფორმას.

ჟალაჟის სული და უსაზღვროების იდეა

უსაზღვროების იდეა დაიბადა ადამიანის სულში მეოცე საუკუნის დასაწყისში, — იმ საუკუნის, რომელიც იწყებს ისტორიაში ახალ ეპოქას, ეპოქას დინამიკური ყოფისა და განცდისას; ბუნების ძალების დამორჩილებამ და მანქანების კულტურამ ცხოვრებას მისცა ზღაპრული სიჩქარის ხასიათი; მოძრაობის განცდა იპყრობს სულს: წყალქვეშა ნავების ღურღული, ელექტრონის სხივების ბორიალი, რკინის ბორბლების გრაგანი, ღვედების თქრიალი, ლიანდაგზე ვაგონების სრიალი, ჰაეროპლანის ზუზუნი სივრცეში, ავტომობილების გმინვა, ხომალდებით ოკეანეთა ტალღებზე უშიშარი მოგზაურობა უსაზღვროების დაპყრობის გამომსახველი ფაქტებია; წინათ, საშუალო საუკუნეების ადამიანი ჩალანდრებით ძლივს გადადიოდა ერთი მაზრიდან მეორე მაზრაში: ჭაობი, მთები, მდინარე ადამიანს ხელს უშლიდა მოძრაობაში; ჭაობები ადამიანმა ნაწილობრივ ამოაშრო, მთები გათხარა და გვირაბები გაიყვანა, მდინარეში ჩაუშვა ნავები და ოკეანეში ხომალდები, სივრცეში აფრინდა ჰაეროპლანებით; ადამიანი შეიჭრა უსაზღვროებაში მანქანის საშუალებით: მანქანა მთავარი თანამგზავრია ადამიანის მოგზაურობაში და ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში ხელოვნების გმირად გამოდის იგი: ბლასკო ი ბ ა ნ ი ე ს ი ს რომანი „მამები — იეზუიტები“ მაშინიზმის ეპოპეაა; კ ე ლ ე რ მ ა ნ ი ს რომანი

„გვირაბი“ საუცხოო დახასიათებაა მანქანური კულტურისა: მანქანა თავისი ელექტრონით, სინუბით, მავთულებით, ორთქლით, ლოკომოტივებით, მანქანა თავისი მარჭვლებით, ბორბლებით, ღვედებით, ნახშირით, სუნით, ინჟინრებით, ტექნიკოსებით წარმოადგენს მთელს სამყაროს, რომელიც ქმნის ახალ ფსიქოლოგიას საზოგადოებაში, ადამიანთა ურთიერთობაში; ძველი ეპოსების მაგიერ იწყება ახალი ეპოსები: ძველი ეპოსის მთავარი გმირი იყო რომელიმე ოდისევსი, ახალი ეპოსის გმირი არის ინჟინერი, ტექნიკოსი, რომელიმე ქარხნის მოსამსახურე; ძველი ეპოსი იყო განსაკუთრებით ბუნების ფენომენი: ზღვა, ტყე, მინდორი, ხეობა, მდინარე, კლდეები — აი რა ესაჭიროება ძველ ეპოსს; ახალი ეპოსისათვის განსაკუთრებით საჭიროა მანქანა ელექტრონით, კინემატოგრაფებით, რკინიგზით, ხომალდებით; ჰ ო მ ე რ ო ს მ ა პენელოპეს რომანი და ცხოვრება დაუკავშირა ინდუსტრიულ სინამდვილეს — ქსოვას და ქმრის ხეტიალს; ჩვენი დროის მწერალმა რომანი უნდა დაუკავშიროს ავტომობილებს, რკინიგზას, ელექტრონს, სინათლეს, დიდი მაღაზიების ვიტრინებს, კოსმეტიკას: მ ა რ ი ნ ე ტ ი თავის წიგნში — „ფუტურიზმი“ ამაყად აცხადებს: „ჩვენ ვქადაგებთ ცხოვრების ახალ სილამაზეს — სილამაზეს მექანიკურს“. ლ. ფ ო ლ გ ო რ ე თავის „მოტორების სიმღერაში“ ადიდებს ბორბლებს, მანქანებს: „ყოველი აზრი მანქანის შესახებ სიმღერაა გრძელი, გიგანტური, რომელიც ქმნის პოეზიის ღვთაებრივ პოლიფონიას, რომელიც გაბედული რიტმით იჭრება საუკუნეებში, რომელიც მიცურავს უსაზღვროების ოკეანეში“. „დიდება შენ, მანქანავ!“ ამბობს ბ უ ც ი: „შენმა მუსკულებმა მოსვენება არ იციან; ისინი სწრაფნი არიან; შენ აცხოვრებ ადამიანთა მილიონებს“. მანქანები ამბობენ: „ჩვენ ვქსოვთ ახალ სულს და ახალ ტანს მომავლისას“. მანქანის ატმოსფეროში იბადება იდეა ახალი ადამიანისა, რომელსაც სული მუდამ აღელვებული აქვს. ტელეფონმა, ტელეგრაფმა, ფონოგრაფმა, ავტომობილმა, ბიციკლეტმა დააჩქარეს ჩვენი სულის ცხოვრება: თანამედროვე ცხოვრების პირობებმა შექმნეს თავისებური სილამაზე — სილამაზე ფოლადის, ცეცხლის, კვამლის და ორთქლის: ამ სილამაზის ტაძარია დიდი ქალაქი ქარხნების მაღალი მილებით, ელექტრონის ვარსკვლავებით, ბორბლებით და ხმაურობით; დიდი ქალაქი ღრიალებს. ასფალტით შეხუთულია ქუჩები; ავტომობილები დასრიალებენ და ღმუიან; ტრამვაების ვაგონები ერთმანეთს მისდევენ ზარების რეკვით, და, ქარხნების კვამლით დანისლულ სივრცეში ისმის მოძრაობის გუგუნი -და შორეული ბრგვინაობა;

შადრევნები ბაღებიდან ასხამენ ირგვლივ სისველეს; ქალები და ვაჟები ნერვული სიჩქარით ერთმანეთს ათვალიერებენ: ნებისყოფა სადღაც მიეჩქარება; ცხოვრებას მიეცა ისეთი ტემპი, თითქოს ომი და მიწისძვრა იყოს, თითქოს სული გრძნობს წუთისოფლიური ყოფის წარმავლობას, თითქოს პლაკატები, აფიშები, რესტორნები, როსკიპების შეღებილი ლოყები, ღიპიანი ბანკირები და აჩქარებული კომერსანტები პორტფელებით ცხოვრების უზნეო ნადიმს ესწრაფვიან და სასოწარკვეთილების ინსტინქტური გრძნობით ცივილიზაციის sancta simplicitas მღერიან: ყვირიან, ხმაურობენ და მიეჩქარებიან; არსებობის ტემპი ატორტმანდა და ადამიანს შეეზიზღა წვრილმანობა. ანალიზი, გრძელი, ფეოდალურ-არისტოკრატიული გაპრანჭული თქმა; სულში დაიბადა მოთხოვნილება სიჩქარისა, მოძრაობისა, ცვლილებისა, დინამიზმისა, სინათლისა: მდგომარეობა იძლევა სულის წყობას და გასაკვირიც არ არის, რომ მანქანისა და კაპიტალის მდგომარეობამ მოგვცა ატორტმანებული სული, რომელიც ორგანოტროპულად თავდება ხელოვნების სფეროში შინაგანი წვალების მატერიალიზაციით, გრძნობათა და იდეათა არევ-დარევით, მეტყველების დეფორმაციით, სახეების დატეხით — ი მ ა ჟ ი ნ ი ზ მ ი თ. ყველაფერი მოძრაობს, ქრის; ყველაფერი სხვაფერდება; პროფილი არასოდეს არ არის უძრავი: იგი დაუსრულებლად ცხადდება და ქრება; საგნები მოძრაობაში მრავლდებიან და სახეები სხვაფერდებიან: ცხენს, რომელიც მორბის, ოთხი ფეხი კი არა აქვს, არამედ ოცი და მისი მოძრაობა სამკუთხედურია; მატარებლიდან რომ ვიყურებით, მინდვრები და ხეები ირგვლივ რბიან, თითქოს უხარიათ ვაგონების მოძრაობა; საქანელაზე რომ ვქანაობთ, გვეჩვენება თითქოს ჰორიზონტებიც ქანაობენ, თითქოს სამყაროც ირწევა. მოძრაობა სულს ეძახის უსაზღვროების არეში, ხოლო საქმე ისაა, — ამ უსაზღვროებაში სული შეიჭრება კაფე-შანტანური ღრეობით, ალკოჰოლით, თუ სიყვარულის სევდით და არსებობის ეფემერობის შეგრძნობით?

* * *

მეთვრამეტე საუკუნის დამლევამდე ცხოვრების კულტურული ფორმები სტატიკურ რაციონალისტურ პრინციპებზე იყო დამყარებული: სული ადამიანისა ინტელექტუალურად და ესთეტიკურად მიმაგრებული იყო ეკლესიას, სახელმწიფოს, ოჯახს, წოდებრივ პრივილეგიებს; ტრადიცია ხელმძღვანელობდა ადამიანის ნებისყოფასა და მოქმედებებს;

ხატები, მღვდლები, ჩინოვნიკების იერარქია, ოჯახური ცხოვრების სტა-ბილიზმი ამკრთლებდნენ ინდივიდუალურ ყოფას, იმპულსებსა და სურ-ვილებს, ესთეტიკურ მოთხოვნილებებსა და გემოვნებას; მეცნიერება და სკოლა ინდივიდუალიზმისა, ავტორიტეტისა და მორჩილების კულტს ავარჯიშებდნენ; ერები სოციალურ-ისტორიულ პერიპეტიებში არ შორ-დებოდნენ პატრიოტიზმისა და ეგოცენტრიზმის კუთხეებს და ამ კუთ-ხეებში იღვრებოდა სანტიმენტალურ-რომანტიული ცრემლები დიდე-ბისა და რღვევის წესის ასაგებად; მწუხარება და სიამოვნება ფსიქო-ლოგიურად იდილიაში ერთდებოდა, შიშისა და ქაოსის განცდას ცხოვ-რებაში ადგილი არ ჰქონდა.

საფრანგეთის რევოლუციამ დ ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი ს ვ ა გ ა ბ ო ნ დ ა-ქ მ ა კაცობრიობას გაახსენა საშუალო საუკუნეები.

თითქოს სამყარო ისევ აივსო კოშმარებით და უკუღმართობით. ბუ-ნებისმეტყველების განვითარებამ, განსაკუთრებით ბიოლოგიამ და ბაქ-ტერიოლოგიამ, შეაღო ბუნების საიდუმლოების ახალი კარები: ადა-მიანმა, რომელსაც წინათ თავისი თავი სამყაროს ცენტრი ეგონა, დაი-ნახა, რომ მისი გაპრანჭული ყოფა იმყოფება შემთხვევათა როიაში და ხშირად, პ ა ს კ ა ლ ი ს თქმისა არ იყოს, საკმარისია ერთი წვეთი წყალი, ერთი ჭუჭყიანი ხიწვი, რომ ადამიანს მოეწამლოს სისხლი: ინდივიდუა-ლიზმი თავისი ჩინოვნიკური რეგალიებით, ეპოლეტებით და პათოსით ჩადგა ბიოლოგიურ რიგში ბაქტერიებსა და შემთხვევებთან ერთად.

კაცობრიობა გაეცნო შორეულ ქვეყნებს, კუნძულებს და მათ ვე-ლურ მცხოვრებლებს; გეოგრაფიული სივრცითი წარმოსახვა გაიშალა; ე ვ კ ლ ი დ ე ს გეომეტრია ლ ო ბ ა ჩ ე ვ ს კ ი ს ა და რ ი მ ა ნ ი ს სფე-როებად გარდაისახა; მეტეოროლოგიურ-ფიზიკური კვლევა-ძიებანი და ასტრონომიული ტრფიალება შორეულობისა რელატიური კოსმოლო-გიით დამთავრდა; ა ი ნ შ ტ ა ი ნ მ ა დაჩრდილა ნ ი უ ტ ო ნ ი ს სახე და ადამიანი თითქოს დაპატარავდა უსაზღვროების არეში: წინათ, სილო-გიზმებისა და ევკლიდური მსოფლგაგების დროს ყველაფერი გარკვეუ-ლი, სწორი და სტატიკურად ჩამოყალიბებული იყო; სისტემა და სქემა იმორჩილებდა ქაოსის დენას; სამყარო მოთავსებული იყო ფორმულებ-ში და, თუ ფორმულები მეცნიერებაში სუსტობდნენ, მორალური შეგ-ნებით ივსებოდა: „ვარსკვლავიანი სივრცე მე დამყურებს, მორალური კანონი ჩემშიაო“ — ამბობდა კ ა ნ ტ ი.

ფრიდრიჰ ნ ი ც შ ე მ და თედორე დ ო ს ტ ო ე ვ ს კ ი მ კაცობრიო-ბას აგრძნობინეს მყუდროების საშიშროება; კ ა ნ ტ ი და მისი ფილო-

სოფიური კვიეტიზმი ჩაიწია ისტორიულ-იდეოლოგიურ ხვეულებში; ზარატუსტრამ არსებობის სევდა გაშალა მეტყველების სიმფონიად და ცხოვრების უდაბნოში ამართა პირამიდული სიმაღლე მარადობისა; ადამიანმა იგრძნო უსაზღვრო სიყვარული, ვეფხი და ფრინველები მიუახლოვდნენ მას და სულის სიღრმეში ატირდა იგი ტკბილ გრძნობებში გალესილი ცრემლებით. ინდივიდუალიზმი გადავიდა უსაზღვროების ტრფიალებაში და სული ექსპანსიური გაწია შინაგანი ხილვითა და განათებით არსებობის სევდის შეგრძნებამდე. ფანტასტიკური სურათი მსოფლიო მზიდაობისა, განსახიერებული ნ ი უ ტ ო ნ ი ს სივრცით წარმოსახვაში, კ ა ნ ტ ი ს ა და ლ ა პ ლ ა ს ი ს კოსმოლოგიური თეორიები, კონტრაქციული მოძღვრება მატერიკების წარმოშობის შესახებ, დე ბ ო მ ო ნ ი ს, დ ა ნ ი ს, ლ ე კ ო ნ ტ ი ს და ზ ი უ ს ი ს გეოლოგიური ჰიპოთეზები, დ ე ტ ო ნ ი ს იზოსტაზია, კინეტიკური თეორია გაზებისა, პერიოდიული სისტემა ქიმიური ელემენტებისა, სიმეტრიისა და კრისტალოგრაფიის კანონები, ს ო ფ ი უ ს ი ლ ი და ლ ო ბ ა ჩ ე ვ ს კ ი თავიანთი მეტაგეომეტრიული სფეროებით, კ ე კ უ ლ ი ს და ბ უ ტ ლ ე რ ო ვ ი ს მიღწევანი ქიმიურ კვლევა-ძიებებში, კ ო ვ ა ლ ე ვ ს კ ი ს და ჯ ე ნ ე რ ი ს გეოლოგიურ-ანთროპოლოგიური ფანტაზია სტატისტური მსოფლმხედველობისა და სულის სიმშვიდიდან ადამიანს ეძახიან უსაზღვროებისა და მარადობის არეში—sub specie aeternitatis. სულს იპყრობს, ერთი მხრივ, შიში დაკარგვისა ამ უსაზღვროებაში, მეორე მხრით, უსაზღვროების შეგრძნებით შობილი სიყვარული არსებობისადმი — სიყვარული, რომელიც ვერ ეტევა ბიოლოგიურსა და ფიზიოლოგიურ მთვრალულობაში და ადამიანს, მის გრძნობებს, ოცნებებს, იდეალებს არხევს როგორც ზღაპრულ მარაოს უდაბნოში; ყოფა ოჯახური, სოციალური, სახელმწიფოებრივი თავისი ყოველდღიური ფსიქოლოგიით, ყალბი ჩვეულებებით, წუთისოფლური წვრილმანობით, ტექნიკურ-ინდუსტრიული განგაშით ახალი განათებით მოჩანს. ურთიერთობა ადამიანთა შორის ახალ მორალს ეყრდნობა — მორალს არა ინდივიდუალისტურ-ფიზიოლოგიური მთვრალობისას, არა ლოთობისა, არა დიონისურ-ეგოცენტრისტული გატაცებისას, მორალს არა გაშიშვლებული მეობისა და პირუტყვულმცონარეული თავაწყვეტისას, არამედ უ ს ა ზ ღ ვ რ ო ე ბ ი ს ს ე ვ დ ი ს ა და კ ო ს მ ო ს უ რ ი გ ზ ნ ე ბ ი ს ა ს; ყოველი მომენტი წუთისოფლური არსებობისა იხედება sub specie aeternitatis. შეცნობერების ყოველი მიღწევა ადამიანის სულში სახავს იდეას დაუსრულებლობისას: ბიოლოგია ბაქტერიების სამყარო-

ში ისე მორიდებით და განცვიფრებით იყურება, როგორც პოეტი ოკეანის პირად; მეცნიერება უახლოვდება ხელოვნებას და ხელოვნება იპრრება მეცნიერების სფეროში; დანტე ალიგიერი დიდი თეოლოგი იყო, გოეთე დიდი ბიოლოგი, მაგრამ მომავალში ხელოვანისათვის საჭიროა უფრო დიდი ერუდიცია და შინაგანი ხილვა სამყაროისა: წინააღმდეგ შემთხვევაში ხელოვნება კარგავს აზრსა და ღირებულებას: კოსმოსური სევდა ახალი სულისა ვერ დაინახავს თავის ალანდებას ხელოვნებაში და ვერავითარი აკრობატობა-ფერებისა და ხაზების ბორიალება, რომლითაც გატაცებულია დღეს დილეტანტური სული დაავადებული ქალაქისა, ვერ შეაჩერებს ხელოვნების კატასტროფას; ხელოვნება „ცხოველობაში" იქნება მხოლოდ მაშინ, როცა განასახიერებს სოციალური ფსიქოლოგიის ძირითად თვისებებს; ხელოვნება ყოველთვის გაიმარჯვებს სოციალური განცდის ასახვაში — იმ იდეებისა და გრძნობების ჩამოყალიბებაში, რომელნიც აწუხებენ, აწვალებენ ეგოცენტრისტულ ყოფას მოწყვეტილ ადამიანს, სოციალურ-კოსმოსურ უსაზღვროებაში გადასროლილ სულს; არა ვიწრო კუთხე, არამედ კოსმოსი, არა ეგოცენტრისტული თვითშეყვარება, არამედ გაორების გრძნობა და მეობის მეობაში გადატანა — აი ახალი სულის უნივერსალია, ახალი სოციალური ყოფის შემოქმედებითი კორელაცია.

ინდივიდუალისტური პერიოდი კაცობრიობის კულტურის, შეიარაღებული საკუთარი ფილოსოფიურ-ესთეტიკური კატეგორიებით, სილოგიზმებით და პრინციპებით ირღვევა შინაგან წყობაში — ფილოსოფიურ დებულებებში, ხელოვნებაში, კულტურულ-ცივილიზაციურ ურთიერთობაში და რღვევის წყვდიადში ისმის ძახილი ახალი სულისა, რომელიც გლეჯისა და ბრძოლის პლანეტურ არენაზე აპირებს მოწყობას სიყვარულისა და შეგნების ყოფისას: ამ ყოფას არ დასჭირდება მარჯვლები სახელმწიფოებრივი ძალდატანებისა და ინდივიდუალურ ინტერესთა შეფარდებისა — ამ ყოფას განამტკიცებს უსაზღვროების არეზე შეცნობილი ხვედრი ადამიანისა, ხვედრი ეფემერული, მაგრამ წარმავლობის სევდით გამთბარი და კოსმოსური სიყვარულით დამშვიდებული.

მომავალი ადამიანი რომ გადახედავს საუკუნეთა დენას, გაიფიქრებს: რისთვის იხარჯებოდა ენერგია კაცობრიობისა? — კლასები და ხალხები ებრძოდნენ ერთმანეთს; ადამიანები ცდილობდნენ ერთმანეთის წვასა და ხოცვას; ადამიანები ცხოვრობდნენ აფექტებით: ისტორიას არა

აქვს შინაგანი სიმართლე; ადამიანები ყოველთვის იტანჯებოდნენ და წვალობდნენ; ქვეყანა ყოველთვის მოუწყობელი, უთავბოლო და უწესრიგო იყო: გონება კი არ ამოძრავებს ისტორიას, არამედ გაჭირვება და ტკივილები; გონება წინ კი არ მიყვება მოქმედებას, პრაქტიკას, სოციალურ საჭიროებას, არამედ აგვიანებს: ჯერ გრძნობა დაიფერფლება, ჯერ ტანი დაიწვება, ჯერ წვალება დაცრეცს სხეულს და მხოლოდ შემდეგ განარიგებს გონება თავის სხეულის ყოფას. წუთისოფელი უსინდისო და უწესო წვალებაა; წესი და სინდისი ადამიანების გამოგონილია და ისიც ყოველ საუკუნეში თავისებურად; წესისა და სინდისის ცნება ბრძოლაში გამარჯვებულებს შეაქვთ სამყაროში; ყოველი სოციალურად გაბატონებული ჯგუფი ქვეყნად ხედავს მხოლოდ იმას, რასაც განასახიერებს მისი ყოფის რეფლექსი, მისი წვალება სოციალური, პლანეტური.

წუთისოფელი წააგავს გაუმარგლავ ყანას, სადაც ხარობს ღვარძლიანი ბალახი, სადაც სიმართლე და ჭეშმარიტება ყოველთვის დევნაშია, სადაც ღრმა სიყვარული ტკივილებით, წვალებით თავდება; ადამიანი ფართხალებს მარადობის საშოში დროული ფორმულებით; ყოფას ემუქრება რღვევა ყოველ წუთს და ბედნიერების შეცნობას სიღრმე; შეცნობა ბადებს ზიზღის გრძნობას და ვინც შეიცნო ცნობიერების ზღვარი, მას სიყვარული ეძნელება; ზიზღის გრძნობა სიღრმეში ისევ სიყვარულს ითხოვს, მაგრამ სიყვარულს სხვა სულისას, — სიყვარულს გადაწოლილს უსაზღვროების კალთაში და ღამის სიჩუმეში ცრემლებით ნარეცხს; „დროული“ ვინც უარყო, მას ენატრება „მარადიული“, ცეცხლის ენერგია კვამლით ერთვის სამყაროს, სულის წვალება კი — ოცნებით; სული იკვებება ტანის ღელვით; დიდი ორთქლი დიდი დუღილიდან მომდინარეობს და სული მწვერვალებზე ვერასოდეს ვერ ავა, თუ ტანი მისი ყოფის ტკივილებით არ დაჩხვლეტილა. სული რომ შეიგრძნობს არსებობის სევდას, შეიყვარებს მარადობას.

შუაღამისას, როდესაც დიდი ქალაქის ქუჩებში ჩოჩქოლი მიწყნარდება და სივრცეში შორიდან აიშლება ძაღლების სევდიანი ყეფა, სული ჩვენი ატორტმანდება და გული ნერვულად შეიკუმშება: საუკუნეთა კარები ლანდურ ჩვენებაში გაიღება: ერებსა და სახელმწიფოებს, სხვადასხვა დროის ღმერთებსა და ლეგენდებს, მეტყველების სისტემებსა და ჰიპოთეზებს რაღაც მწუხრული ზეწარი გადაეფარება. ატირდებიან ხეები, ფოთლებში აშრიალდება ენტელექტის რიტმი და მდინარეები ნელა აორთქლდებიან, თითქოს ნერვები ყოვლობის გრანდიოზული სხეუ-

ლის, რომელიც დაუსრულებლად იწვის და ღელავს, განიცდის და კვაშ-ლდება. დიდი ქალაქის ნოტიო დინჯად აიღრუბლება და ყოფა ადამია-ნისა, ამ ბურუსით გარშემორტყმული, თითქოს იძირება გაურკვეველსა და უთავბოლო ნირვანაში.

წუთისოფელი იშლება უსაზღვრო სივრცის დაუსრულებელი საიდუმლოების სანახაობათა შორეული ლანდებით. ძრწიან არეები; გალობენ უხმოდ ვარსკვლავნი და პლანეტები; არსნი თვალშეუდჯამად ბმობენ მარადობას, რათა განაჭარვონ ყოფის ცეცხლი და ააკვამლონ შინაგანი წვა... ჯერ კიდევ შეუცნობელი პირველყოფილი ქაოსი, უცნაურის იგივეობით ძლევამოსილი და თან ცივი, თითქოს ნელინელ მსვლელობის ზღვად დაფენილ ღრუბელთა შორის. ჰაერში კვნესის საიდუმლო სუნთქვა სტიქიათა უთვალავ საუკუნეთა სიგიჟისა და ისმის შორეული ბრგვინაობით ტლანქი ძახილი ჭლექით დაავადებული სურვილებისა; ფერადი მორთულობით ბრწყინავენ ჩვენებანი იდეალებისა და საუკუნეთა უზარმაზარ წიგნებს, ოქროთი მოვარაყებულ ყდებში, ზღიან არსებობის ოკეანეზე სამარადჟამო ძიებად. ხალხთა ცხოვრებანი და საუკუნეების მკვეთრი მახვილობანი თითქოს ირწევიან საიდუმლოების სამრეკლოში: ბრწყინვალე წარმოდგენათა ძაფებზე ამონაქსოვ ოცნებებში აზრი ძილისპირულს მღერის...

იყვნენ საუკუნეები და ხალხნი; მზე ამოდიოდა და ჩადიოდა როგორც ყოველთვის; მოდგმები არევ-დარევით იცვლებოდნენ; ოჯახური და სოციალური ღირებულებანი იქმნებოდნენ: ქალები ქსოვდნენ, კაცები ნადირობდნენ, ვაჭრობდნენ, ოცნებობდნენ, მუშაობდნენ — აშენებდნენ სახლებს, თხრიდნენ არხებს; იყო სიყვარული და ალერსი, იყო სევდა და წუხილი.

უთვალავი კეთილშობილი ზრახვანი, დიადი განცდანი და ფიქრები, იდეალები და მოქმედებანი — ფაუსტებისა და ჰამლეტების ეპოქა — ჩვენი ცივილიზაციის ტრაგედია — ყალბი მორალის ლამაზი პათოსი იყო და ხსენება დარჩა ჭლექითა და ლუესით დაავადებულ კაცობრიობაში.

მოდგმა მოდგმას მისდევს აჩქარებით; სხეულებრივი ფორმები არსებობისა მარადიული წყვდიადიდან გამოდიან: ტრიალებენ, ირყევიან, ქანაობენ, ეძებენ და ტირილით ისევ წყვდიადში იკარგებიან. ლანდები მოძრაობენ პლანეტურ გარსში გახვეულნი: თითქოს გრანდიოზული, მძიმე არტილერია, ღელავს და ირთქლდება კაცობრიობა; გაივლის რა ჩქარსა და უაზრო ცვლილებებს, შეუცნობელი უფსკრულისაკენ მიექანება.

ყოფა უნივერსალური ირხევა უსაზღვროების არეზე, მარადობა ფანტავს არსებობის მაშხალებს და ცივილიზაციის მთელი განგაში მხოლოდ წვალება, მხოლოდ ღელვა და აორთქლებაა, მხოლოდ ენერგიის განიავებაა: ცივილიზაცია უსრულესი ფორმაა კულტურისა და რაც უფრო ცივილიზაციურია ხალხის ცხოვრება, მით უფრო ახლოა ისტორიული გადაშენების უკანასკნელი წუთები; ცივილიზაცია თავისი სოციალური მოდუსებით ეფემერული გაალებაა ყოვლობის ენტელექიისა — უნივერსალური élan vital-ისა; ცივილიზაცია ასუსტებს ნერვებს, ავრცელებს სნეულებას, ანადგურებს პრინციპებს; ცივილიზაციის უკანასკნელი ფორმაა კაფე-შანტანი და დადაიზმი; ცივილიზაცია მოკლებულია იდეალს და იდეას; ცივილიზაციის პროცესი იმავე დეგენერაციის პროცესია და რაც უფრო განვითარებულია ცივილიზაცია, მით უფრო საინტერესოა ლიტერატურა: უდიდესი მწერალი უკიდურესი დეგენერატია; ხელოვნება ორგანოტროპული თვითშვრეტაა დეგენერაციისა; ხოლო დეგენარაცია უნაზესი ფორმაა სოციალური რეფლექსისა, ინდუსტრიულ-კომერციული და ფსიქოლოგიური მოძრაობისა. ყოველი არსი მასალაა უთავბოლო თქრიალისა; ყოველი სული ორთქლია მატერიული რყევისა; ყოველი აზრი წვალების ცეცხლის ალია და წვალებასთან ერთად ქრება ალიც.

არსებობა ბოლოს და ბოლოს არქივის მასალას შეადგენს და არც ერთი მოვლენა წუთისოფლად არ არის მიზანი: ერები და სახელმწიფოები, ცხოველები და მცენარეები მასალებია ყოვლობისა: მშვენიერი სახე, რომელიც ჩვენ დღეს გვიზიდავს, გვაღელვებს, სიამოვნებისა და ნეტარებისაკენ გვეძახის, ხვალ გაისრისება, გეოლოგიურ ფენებში გაიფანტება, ცხოველებსა და მცენარეებში განაწილდება, უნივერსალობაში განიავდება. ადამიანო, ვინც არ უნდა იყო, რა ადგილიც არ უნდა გეკავოს ამ ქვეყნად, რა ნეტარებასა და სიამოვნებაში არ უნდა თვრებოდეს სული შენი, — გახსოვდეს მუდამ, რომ შენ ხარ მხოლოდ მასალა პლანეტური ყოფის ჭუჭყიანი ფენებისა; ზვიადი პათოსი შენი დიდებისა შეანელე შენი ხვედრის შეგნებით; ბოროტი ზრახვა შენი სულისა გალესე წარმავლობის სევდაში, ქვეყნის უსაზღვროებაში, ადამიანო, შეიცანი უსამართლობა შენი ეგოიზმისა და ყოველ არსში მონახე ნაწილი შენი მეობისა; გაარღვიე რკალი კუთხებრივი სულისა და შენი წარსულის ნაჭუჭებიდან გამოფერთხე ლოგიკის მტვერი — ხავსი ჩვეულებისა; უდიდესი დანაშაული შენი ამ ქვეყნად არის ის, რომ შენ ძლიერ ცოტა გიყვარდა იმ დროს, როდესაც შენ შეგეძლო დიდი და

ღრმა სიყვარული. შენ გიყვარდა ყოველთვის შენი სიამოვნებისათვის და არასოდეს არ გყვარებია სიყვარულისათვის; შენ გიყვარდა მხოლოდ მომენტისათვის და არასოდეს არ გყვარებია გრძელობისათვის: მომენტებში სულს ათბობს ტანის ღელვა, მხოლოდ მომენტთა შორის. გრძელობაში ქრის ცივი ქარი წარმავალობისა და სევდისა. ცხოვრებას ათბობს მომენტის დაჭერა, მაგრამ აცივებს გრძელობის ქარი: რაც უფრო ტკბილი და ლამაზია მომენტი, მით უფრო მწარე და ცივია გრძელობა. ცხოვრებას გაამართლებს არა გრძელობის შეკუმშვა მომენტში, არამედ მომენტის გაფართოება გრძელობამდე. ღრმა და დიდი სიყვარული შეუძლია მხოლოდ იმ სულს, რომელიც გრძნობს ყოველ წუთს გრძელობის სიცივეს და არსებობის უსინდისო სხვაობას. რეალური ცხოვრება წააგავს საროსკიპოს, რომელიც გაუხსნიათ სასაფლაოზე, საროსკიპოში ვინც შედის საკუთარი პრინციპით, მას დარჩენია მხოლოდ, შეებრძოლოს უზნეობას, მაგრამ რასაც ჩვენ უზნეობას ვეძახით, ვაი, თუ უდიდესი და ჭეშმარიტი ზნეობა არის! ს ო კ რ ა ტ ე და კ ა ნ ტ ი თავიანთი კატეგორიებით, კ ო ჰ ე ნ ი და ჰ უ ს ე რ ლ ი თავიანთი გნოსეოლოგიით, ლ ი ო ბ ო კ ი და ტ ო ლ ს ტ ო ი თავიანთი მორალით ზომავენ ამ ქვეყანას და არასოდეს არ კითხულობენ: ვინ არის თავდები მათი საზომის სისწორისა?! ვინც იშვებსა და წვალებაში არ კვეთს თავის აზრებს, ვინც კერძოობიდან უსაზღვროებაში არ იხედება, გონება მისი მხოლოდ ჩვეულების რეგისტრაციაა და მისი უღრმესი ფილოსოფია ლოგიკის სახელმძღვანელოში გამოისახება.

მარქსიზმი და აზროვნების ორგანოტროპული რეფორმა

სინამდვილე განუწყვეტელ ცვლილებებსა და ვითარებაში გამოისახება: წუთისოფელი შეადგენს ცვლილებათა მომენტების დენას—დენას შეუჩერებელს, მუდმივს, მაგრამ დროულ-სივრცულს; ქვეყნად ყველაფერი ცვალებადია გარდა ცვლილებისა; მოძრაობა და ცვლილება, ცვლილება და მოძრაობა არსებობის ყოველ მომენტში ერთმანეთს ერთვის და კაცობრიობა თავის კულტურულ-ცივილიზაციური ტკივილებით, მოხერხებათა სხვადასხვაობით ამ ცვლილებათა მოუსვენარ ქარიშხალში მოძრაობს უთვალავ არსთა და მოვლენათა შორის; ყოველი პერიოდი კაცობრიობის მოძრაობისა დედამიწაზე შეადგენს ერთ-

გვარ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას: ადამიანი შეიქმნა აქტიური არსებობისათვის ბრძოლაში მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეუერთდა მეორე ადამიანს, რაც საერთოდ ჩამოყალიბდა ერთგვარი ურთიერთობა საზოგადოებრივი, ან, როგორც ამბობენ, სოციალური ხასიათისა.

თავისთავად ცხოვრება არის არსებობის საშუალება; ქვეყნად არსებობს მხოლოდ ის, ვისაც აქვს საშუალება არსებობის, დანარჩენები იღუპებიან; არა მარტო ადამიანები, არამედ მცენარეების, ცხოველების და, თუ გნებავთ, მინერალების სხვადასხვა ჯიშები და ფორმები იმდენად არსებობენ ქვეყნად, რამდენადაც მათ არსებობას ხელს უწყობს პირობები და მდგომარეობანი.

არსის არსებობა ისაზღვრება მდგომარეობით — მდგომარეობა გეოლოგიური, გეოგრაფიული, კლიმატური, სოციალურ-ეკონომიკური ან სპობს, ან საშუალებას აძლევს ბუნების ფორმებს ვითარებისა და გაშლისათვის; ხოლო ადამიანების ურთიერთობა — ორგანიზაცია საზოგადოებრივი ხასიათისა გეოლოგიურ-გეოგრაფიულ მდგომარეობას ხშირად ცვლის თავისი შემოქმედებითი და ეკონომიკური ფაქტორებით.

სოციალური ურთიერთობა, დამყარებული ეკონომიკურ-ინდუსტრიულ საჭიროებაზე, გაცილებით უფრო აქტიურად მოქმედებს ადამიანებზე, მათ ფსიქიკურ-იდეოლოგიურ ფორმებზე, ვიდრე გეოლოგიურ-გეოგრაფიული და მეტეოროლოგიური პირობები; მართალია, გეოლოგიურ-მეტეოროლოგიურ პირობებს შეუძლია უცბად მოსპოს რომელიმე ბიოლოგიური ჯიში, რასა, ხალხი, მაგრამ თუკი ერთხელ განსაკუთრებულ გეოლოგიურ-გეოგრაფიულ პირობებში წარმოიშვა ადამიანთა ურთიერთობა, შემდეგ სწორედ ეს ურთიერთობა თავის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესებით აძლევს მიმართულებას ამ საზოგადოების იდეოლოგიას, კულტურულ-ცივილიზაციურ ხერხსა და შემოქმედებას.

ლეონ მ ე ჩ ნ ი კ ო ვ ი მართალია, როდესაც გეოგრაფიულ მდგომარეობას მიაწერს რასულ თვისებათა წარმოშობის მიზეზებს, მაგრამ ივიწყებს, რომ გეოგრაფიული პირობების შეცვლაც ერთგვარად ადამიანების სოციალურ ორგანიზაციაზე არის დამოკიდებული და ხშირად სოციალური ხასიათის საჭიროება ტყეებს, მდინარეებსა და დედამიწის სოვიერო ფენას გამოიყენებს თავისებურად, და ამით შეცვლის საერთო კლიმატურ-მეტეოროლოგიურ პირობებს, ამასთან ერთად იმ ურთიერთობასაც, რომელიც ადამიანებს ჰქონდათ წინათ განსაკუთრებულ მდგომარეობასთან: მესოპოტამიის ჭალები ერთ დროს ნოყიერი იყო

ძალიან იმიტომ, რომ იქ ცხოვრობდა ხალხი, რომელიც თხრიდა არხებს, ინახავდა ტყეებს, ხელოვნურად დიდ რეზერვუარებში მდინარეებიდან შემოიყვანდა წყალს, ხოლო შემდეგ, როდესაც არაბები შემოვიდნენ მესოპოტამიაში, ტყეები სულ გაკაფეს, არხები, ძველად გაკეთებული, თანდათანობით გაფუჭდა. ახალს კაცი არ აკეთებდა და ყველაფერი ეს იმით დამთავრდა, რომ მესოპოტამიის ოდესღაც ნოყიერი მინდვრები გადაიქცა უდაბნოდ.

ასე რომ, სოციალური ორგანიზაცია — საზოგადოებრივი ხასიათის ურთიერთობა ადამიანთა შორის გავლენას ახდენს გეოგრაფიულ-მეტეოროლოგიურ პირობებზე: ხშირად ამიტომ კარგი საცხოვრებელი ადგილი — სუფთა ჰაერი და მდიდარი მიწა-წყალი თანდათანობით ეერანდება, უდაბნოდ იქცევა; ხშირად კი ცუდი, ჭაობიანი მიწა-წყალი სოციალური ორგანიზაციით ისე გარდაიქმნება, რომ მშვენიერ საცხოვრებელ პირობებს იძლევა.

ამნაირად, ადამიანი არ არის პასიური პირობებთან დამოკიდებულებაში: ადამიანი ჯერ ეგუება მდგომარეობას და მერე ცდილობს მდგომარეობის გადაკეთებას, გარდაქმნას, და მთელი კულტურა კაცობრიობისა სწორედ ასეთი ხასიათის მდგომარეობისა და სოციალური ორგანიზაციის ურთიერთობაში გამოისახება: ჩვენ ამ შემოქმედებითი ხასიათის ურთიერთობას ვეძახით ორგანოტროპიზმს — ესე იგი მდგომარეობის გავლენას სხეულზე და სხეულის გადახრას მდგომარეობისაკენ. მთელი ცივილიზაცია თავის წარსულში ასეთი მიმართულებით იქმნებოდა და მარქსიზმი ეყრდნობა ამას, როგორც ერთგვარ დინამიკურ ფაქტორს ისტორიისას. რამდენადაც მარქსიზმი ემყარება სოციალური ორგანიზაციების ძლიერებას, იმდენად ისტორიზმი ხდება მარქსიზმის მთავარი დასაყრდენი: მარქსიზმის მთავარი წერტილი მიზნად ისახავს კაცობრიობის პლანეტური არსებობის ხერხის გათვალისწინებას — წარმოების განრიგებას, წარმოების სისტემა მარქსიზმის მიხედვით არის თავისებური სოციალური სხეული, რომელსაც ქმნის და ამოძრავებს შინაგანი ვითარების კანონი და რომელიც ფუნქციურად განიცდის ცვლილებებს არსებობის ყოველ წუთს: წარმოების ცვლილება იწვევს უმეშვეოდ იდეოლოგიის ცვლილებებს.

თეორია ერთგვარი გამოკრთომაა სოციალური პრაქტიკისა, ადამიანთა შეთანხმებისა და შრომის საზოგადოებრივი განრიგებისა. თეორია სოციალური პრაქტიკის ნაყოფია და ყოველი სოციალური პრაქტიკა გარდაიქმნება თეორიის პრაქტიკაში; მარქსიზმი წინააღმდეგია თეორიი-

სა და პრაქტიკის ერთმანეთისაგან დაშორებისა, წინააღმდეგობა თეორიისა და საერთოდ იდეოლოგიის განაპირებისა, თვალთახედვა ცხოვრების, პრაქტიკის არის პირველი და ძირითადი თვალთახედვა შემეცნებისა და ეს თვალთახედვა თავდება გენეტიკური მატერიალიზმით; ყოველგვარი პროფესორული აბსოლუტიზმი, ყოველგვარი ალეთოლოგიური პრინციპი შემეცნებისა და იდეოლოგიისა მარქსიზმისათვის ძირეულად მიუღებელია; პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ყოველთვის ხაზს უსვამდა იმ განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომ შემეცნების ბუნების ფორმაციისათვის საჭირო არის უსათუოდ გაყოვლადება ადამიანის ცხოვრების პრაქტიკისა; ყოველგვარი იდეალიზმი აყენებს და წყვეტს საკითხს ობიექტივობ-სა და სუბიექტივობის შესახებ, სინამდვილისა და იდეალის შესახებ მხოლოდ თეორიული თვალსაზრისით; იდეალისტური, ალეთოლოგიური ფილოსოფია ეძიებს ჭეშმარიტების კრიტერიუმს აზრის ბუნებაში იმ დროს, როდესაც აზრის ბუნებას, მის კონსტრუქციას აწყობს პრაქტიკა; ამიტომ ყოველგვარ ალეთოლოგიას, როგორც იდეალისტურ ფილოსოფიას, საქმე აქვს განყენებასთან, აბსტრაქციასთან; მატერიალიზმი და იდეალიზმი კლასობრივი თეორიებია: იდეალიზმი ალეთოლოგიური, განყენებული პრინციპებით, მორალური კატეგორიებით, ანტინომებით იდეოლოგიაა იმ კლასისა, რომელიც ორგანულად მოწყვეტილია, მოშორებულია წარმოების ვითარებას, წარმოებით პრაქტიკას; მატერიალიზმი გამოსახავს მსოფლშეგნებასა და მსოფლგაგებას იმ კლასისას, რომელიც აწარმოებს, ქმნის, რომელიც თავისი მდგომარეობით ჩაბმულია პრაქტიკულ ცხოვრებაში; იდეალიზმისათვის ჭეშმარიტ მოქმედებას წარმოადგენს მოქმედება თეორიული, „მოქმედება" აზრისა, „წმინდა გონებისა", იდეალიზმი პრაქტიკას არასოდეს ანგარიშს არ უწევს: თუ ფაქტები ჩემს თეორიას არ ეთანხმება, მით უარესი ფაქტებისათვისო, — ხშირად იმეორებდა ჰ ე გ ე ლ ი და ამ სიტყვებით მარჯვედ, გარკვევით, მკვეთრად ლაპარაკობს გერმანული ბიურგერიზმი — პრუსიის არისტოკრატია.

ნეოკანტიანელების კ ო ჰ ე ნ ი ს, შ უ პ ე ს ი, ჰ უ ს ე რ ლ ი ს, ვ ე დ ე ნ ს კ ი ს და სხვათა გნოსეოლოგიზმი სოციალური ფსიქოლოგიის თვალთახედვით წარმოადგენს რეაქციული იდეალიზმის რესტავრაციას და რამდენადაც კლასი, რომლის წრიდან გამოდიან გნოსეოლოგისტები და ყოველგვარი ლოგისტები, აქტიური და ძლიერია, იმდენად დიდ პრეტენზიებს აცხადებს ამ კლასის იდეოლოგია წმინდა გონებისა და მისი პრინციპების დასამყარებლად. ჭეშმარიტება იდეოლოგიუ-

რი ფორმაა სოციალური განცდისა და სოციალურ განცდის რწმენის მდგომარეობა კლასობრივი, ეკონომიკური: კლასი, რომელიც მეთაურობს ეპოქას, სოციოლოგიური განცდის იდეოლოგიურ ფორმას, უკეთებს ერთგვარ ობიექტივაციას, მატერიალიზაციას მეცნიერების, ხელოვნების, რელიგიის და ფილოსოფიის სახით.

ინდივიდუალისტური ფილოსოფია აღმერთებს „წმინდა გონებას" (reine Vernunft): არსებობა მისი სინამდვილით დამწყვდეულია შემეცნების საზღვრებში: შემეცნების ეპიფენომენური ბუნება ცხადდება პირვანდელ ფორმად მარადობისა, უნივერსალურ რელიგიად. სული ვლინდება სამყაროს მყარული წვალების შედეგად და რასაც შუპე ეძახის Denken überhaupt-ს, ის მხოლოდ რეფლექსია საერთო ყოფისა და წვალებისა, ის მხოლოდ ერთგვარ ფორმას წარმოადგენს იმისას, რასაც იგივე შუპე ეძახის — von Seienden überhaupt-ს*; სული ტანის წვალების ორთქლია და გონება მისი რეფლექსი: განცდა ყოფისა იძლევა რეფლექსებს; რა სახისაა სოციალური ყოფა, იმ სახისაა რეფლექსი: ხელოვნება და მეცნიერება, რელიგია და სოციალური იდეალები რეფლექსოლოგიური დათანაწყობებაა იმ ტკივილთა და წვალებათა, რომელთაც ადგილი აქვთ განსაზღვრულ პირობებში. გერმანელი გნოსეოლოგები ცალ-ცალკე იღებენ აზროვნების შინაარსს და აზროვნების ფსიქიკურ პროცესს; აზროვნების შინაარსი და ფსიქიკური პროცესი სხვადასხვა ბუნებისა ჰგონიათ გნოსეოლოგისტებს: ვერ ამჩნევენ, რომ აზრის შინაარსი ფსიქიკური პროცესის სტატიკური, უძრავი ფორმაა.

გნოსეოლოგისტების ფილოსოფია ხდება ცოდნის ცოდნად — ალეთოლოგიად. შემეცნება საგნად ისახავს თავის თავს, გონების ლოგიკურ სტრუქტურას, მათემატიკურ-განყენებულ კოორდინატებს; ასეთი აზროვნების მიმდინარეობა გაჟღენთილია რწმენით, რომ ყოველი პრობლემა წარმოადგენს დრო-სა და პირობების გარეშე ტრანსცენდენტურად არსებულ იდეას და მორალი, სახელმწიფო, ხელოვნება ეყრდნობიან ამ ზედროული იდეის კატეგორიას; უსხეულო ლოგოსი მართავს სამყაროს; ადამიანი შეიცნობს სამყაროს „წმინდა" ცნებით, „წმინდა" აზრით; ყოველგვარი ცოდნა წარმოიშობა ლოგიკიდან; აპრიორული ლოგიკა ამართულია მოვლენათა ემპირიულ დენათა წინაშე, როგორც დიდი ფეოდალი და მორალური პრინციპები ერთგვარი მარადიული სვეტებია, რომლებზეც მიმაგრებულია ცხოვრების აზრი.

* Schuppe: Erkenntnisstheoretische..., 26.

შინაგან კონსტრუქციაში ასეთია მოკლედ იდეალისტური, რეაქციულ-ალეთოლოგიური ფილოსოფია გნოსეოლოგიზმისა, რომელსაც ქადაგებენ გერმანიაში მარბურგის, ბადენის, გეტინგენის და ლაიფციგის ფილოსოფიური წრეები და რომლის ვერბალური ანაორთქლი დროებითშვებით სუსტად უბერავს რუსეთისა და საქართველოს დოცენტურ ფსიქიკას. მდგომარეობა მთელი სიმძიმით აწვება ადამიანის სულს და სული იღებს ისეთ მიმართულებას, რომელიც მდგომარეობას სურს: გნოსეოლოგიზმი გერმანული ფილოსოფიისა გერმანული ინდივიდუალიზმის გაზვიადებული ისტორიოსოფიაა ფსიქოლოგიურად აწყობილი სოციალური განცდის დაზგაზე და გაბატონებული ნებისყოფის პრეტენზიებში ჩამოყალიბებული; გნოსეოლოგიზმი ცდილობს განამტკიცოს ფილოსოფიაში აბსოლუტი ლოგიკური პრიმატის საშუალებით, რომ აწიოს მაღლა წმინდა გონების პრესტიჟი: ცხოვრება როგორც პროცესი, როგორც durée éternelle, რომელიც არ ისვენებს, რომელიც ყოველთვის სხვაობს, გაუგებარია გნოსეოლოგიზმისათვის; ერთხელ განმტკიცებული ფორმა, ფორმა გამომსახველი გაბატონებული ჯგუფის იდეოლოგიისა, გაურბის ისტორიზმს იმიტომ, რომ ისტორია ყოველ წუთს უარყოფს სტატიკურ, უძრავ მდგომარეობას: ადამიანები ქმნიან რა მატერიალური და ინდუსტრიული ცხოვრების ვითარებას, თვითონ სულით, აზროვნებით, ლოგიკით, იდეალებით ამ ცხოვრების ვითარებასთან ერთად იცვლებიან. იდეოლოგია მორალური და ლოგიკური პრინციპებით, გნოსეოლოგიური სქოლიოებით და პრიმატებით ისტორიის პროდუქტია და ყოველ პერიოდს ისტორიისას იდეოლოგიურად ასახიერებს სოციალური საჭიროება და ადამიანთა ურთიერთობა ბუნებასთან; ისტორია ცენტრალური პრობლემაა იდეოლოგიისა; ყოველი კულტურული ინსტიტუტი, ყოველი ფორმა მეცნიერებისა და ხელოვნებისა წარმოადგენს ისტორიულ-ეპოქალური თავისებურების შემოქმედებით პროდუქტს; ადამიანი აწარმოებს ისტორიულ ცხოვრებას არა მარტო პოლიტიკურად, ფაქტიურად, სოციალურად, არამედ იდეოლოგიურადაც, ფსიქოლოგიურადაც; ჩვენთვის ლოგიკა, მათემატიკა, ფსიქოლოგია, ბიოლოგია, კოსმოლოგია დროულ-სივრცული ფორმულებია სოციალური განცდისა, ესე იგი ისტორიული პროცესის ნაყოფია; ისტორიული სინამდვილე სოციალური პერიპეტიებით უფრო აქტიური და შემოქმედია, უფრო ძლიერია, ვიდრე ბუნება: კულტურა—ბუნების გარდაქმნა კოლექტიური შრომით ideologiis გარდაქმნა და რეორ-

განიზაციაა; იდეალისტურ-ალეთოლოგიური ფილოსოფია არ ფიქრობს, რომ ჩვენი დამოკიდებულება ქვეყანასთან ირკვევა ორგანოტროპული ურთიერთობით, პრაქტიკით, მოქმედებით, ნებისყოფის მოძრაობით; არსებობა სახიერდება არა მარტო აზროვნებაში, არამედ მოქმედებასა და შრომაშიაც; ვინც არ მოქმედებს, ის რჩება კულტურისა და ისტორიის გარეშე; აზროვნება მხოლოდ იარაღია მოქმედებისა და ნებისყოფისათვის; მთელ ისტორიას კაცობრიობისას თავის შინაარსად აქვს ადამიანთა მოქმედება, მოძრაობა, ბრძოლა, ნებისყოფის ვითარება სოციალური საჭიროებისათვის; წარსული სხვადასხვა ხალხისა გამოსახავს ისტორიულ ფაქტებს იმდენად, რამდენადაც ხალხი მოქმედებდა, იბრძოდა არსებობისათვის, რამდენადაც ადამიანები კოლექტიურად აშრობდნენ ჭაობებს, აკეთებდნენ არხებს, ჭრიდნენ ტყეებს — ერთი სიტყვით, რამდენადაც შემოქმედებითი ნებისყოფა აწესრიგებდა წუთისოფლურ უწესრიგობას, ქაოსიურ დენას საგნებისა და მოვლენებისას. აზრი მარქაფაა ნებისყოფისა: ყოველ საუკუნეში ყოველი ხალხის საზოგადოებრივი აზრი წარმოადგენს ერთგვარ ფორმულას ნებისყოფის შემოქმედებითი ხასიათის მოძრაობისას; ფეოდალური არისტოკრატია თავისი საზოგადოებრივი აზრის ფორმებში გამოსახავს ინდივიდუალისტური ნებისყოფის თვისებებს; ლიტერატურაში ინდივიდუალიზმი აკეთებს იმას, რასაც პოლიტიკაში; ესთეტიკური პრინციპი საშუალო საუკუნეებისა არის დამყარებული ისტორიულად და ფსიქოლოგიურად ბრძოლის კულტზე; სულ სხვანაირად ითარგება აზრის ფორმა ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ ეპოქაში; რამდენადაც ინდივიდუალიზმი საშუალო საუკუნეების ისტორიულ ჰაერეთში დონკიხოტური სითამამით და თავხედობით იჭრებოდა ბრძოლის სფეროში, იმდენად ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ეპოქაში ინდივიდუალისტური სითამამე იცრიცება; შიშით, იჭვებით, მერყეობით ივსება, სული, თითქოს, დაბნეული წარმოების მოუწესრიგებელ ვითარებაში, მისტიციზმით და ფუტურიზმით მთავრდება, ვინაიდან ადამიანის ნებისყოფას არა აქვს გარკვეული, განრიგებული ფორმა ყოველდღიური ცხოვრებისა; ადამიანი მონაა ბირჟისა, კომერციულ-ინდუსტრიული შემთხვევებისა, ქალაქის ნერვული მოძრაობისა, ვიტრინებისა და ქარხნებისა: ნებისყოფის უთავბოლო მოძრაობათა კონვულსიები იწვევს სულისა და აზროვნების დატეხას, დაკრუნჩხვას, ანომალიურ დეფორმაციებს: მდგომარეობა აძლევს მიმართულებას სულსა და აზროვნებას; მდგომარეობის რეორგანიზაცია — წარმოებისა და ინდუსტრიის ინდივიდუალის-

ტური პრინციპების თანდათანობით დაშლა — ფსიქოლოგიურ აზროვნებაში დაშლის ადამიანის ინდივიდუალისტურ-მისტიკურ და რაციონალისტურ მსოფლმხედველობას: მეთოდოლოგია, დამყარებული ავტორიტარულ საფუძვლებზე — მეთოდოლოგია „წმინდა გონებისა“ და „წმინდა ხელოვნებისა“, რომელიც გენეტიკურად წარმოიშვა უსაქმობისა და ჭვრეტის პირობებში, არ უდგება კოოპერაციისა და სოლიდარობის განცდას; სოციალური, საზოგადოებრივი კულტურის სული ეწყობა თანდათანობითი წარმოებისა და ინდუსტრიის ვითარების ხვეულებში იმ სახით, იმ ფორმით, რომელიც ეფარდება სოციალური საჭიროების პირობებს, სოციალური ტკივილებისა და სიხარულის სახეცვლილ მდგომარეობას; რეორგანიზაცია სოციალური კულტურისა მსოფლმხედველობის რეორგანიზაციით თავდება და ბურჟუაზიულ-ქალაქური ცხოვრების კონვულსიები, გამოსახული ხელოვნების დეკადენტურ ფორმებში, გამოთქმული ფილოსოფიის აპრიორიზმსა და ალეთოლოგიზმში — პარალოგიზმებში, ადგილს უთმობს სოციოლოგისტურ-რელატივისტურ იდეებს.

თქმა არ უნდა, ოფიციალურ დაწესებულებებში — უნივერსიტეტებსა და აკადემიებში მეცნიერება და მისი მეთოდოლოგია ხელმძღვანელობს ძველი პრინციპებით: ისტორიოსოფული და კრიტიკული განხილვა ფაქტებისა ხდება ბიოგრაფიული და ინდივიდუალისტური თვალსაზრისით.

საზოგადოებათმეცნიერება ზოგიერთ შემთხვევაში წარმოადგენს უბრალო თხრობას მეფეებისა და დიდი ფეოდალების ავანტიურებისას, მათი ქორწინებისას, მათი კერძო ცხოვრების პერიპეტიებისას, რომელთაც ორგანული კავშირი არა აქვთ სოციალური საჭიროების ისტორიულ-გენეტიკურ ფორმებთან—იმ ფორმებთან, რომელთა მორალური და ესთეტიკური მხარეები ახდენდნენ გავლენას ამ ფეოდალებისა და მეფეების ყოფა-ქცევაზე: ისტორიული ფაქტები დაკავშირებულია იმანენტურად ადამიანთა ურთიერთობასთან და ყოველი იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ხასიათის მოვლენა გასაგებია მხოლოდ მაშინ, როდესაც მოვლენის მიზეზები გამოინახება თანამედროვე საზოგადოებაში ან მისი ისტორიული ფორმაციის პროცესში. ჩვენ გარკვევით ვიმეორებთ: შემეცნების პრობლემა ყოველი სახისა და ფორმისა გადატანილი უნდა იყოს გენეზისის არეში; მარქსიზმი არის სრული უარყოფა აპრიორიზმისა და ალეთოლოგიისა: მარქსიზმი იდეოლოგიას უკავშირებს სოციალურ საჭიროებას, წარმოების ვითარებას, ინდუსტრიის ფორმებს;

სოციალური საჭიროებისა და ინდუსტრიის ფორმების ცვლილებებთან მარქსიზმისათვის იცვლება იდეოლოგიაც: იდეალისტურ-აპრიორისტული აზროვნებისათვის, ალეთოლოგიისათვის აზროვნების კონსტრუქცია მარადიულად ერთსახიანია — არ იცვლება: ფორმა აზროვნებისა, ერთხელ ჩამოყალიბებული, იჭრება არსში სამუდამოდ და არსი იქცევა აზრის კორელატად: ალეთოლოგია, ემყარება რა აპრიორიზმის დებულებას, წინააღმდეგია ჭეშმარიტებისა და იდეოლოგიის დაკავშირებისა საერთოდ მდგომარეობასთან; ამნაირად, ალეთოლოგია არსებითად იგივე თეოლოგიაა გნოსელოგიური პრიმატებით და თავისებური გადახრით აბსოლუტისაკენ.

მოვლენის გაგება შეუძლებელია გენეზისის გარეშე და მარქსიზმი დიალექტიკური მეთოდით არსებობის გენეტიკური ფილოსოფიაა: აზროვნების დიალექტიკური მეთოდი საჭიროებს მიზეზებს, წყობას და შედეგს; მიზეზი კი თავისთავად აზროვნებას იწვევს გენეზისის არეში: ფორმა არსებობისა და მისი იდეოლოგიისა შედეგია წინა ფორმის დიალექტიკური სახეცვლილებისა; მაშასადამე, არსებული ფორმის შემეცნებისათვის, მისი ბუნების გაგებისათვის საჭიროა წინა ფორმის შემეცნება და გაგება; მეცნიერება, ხელოვნება, რელიგია, ერთი სიტყვით, ყოველი იდეოლოგიური სისტემა გენეტიკურად გამომდინარეობს სოციალურ-ინდუსტრიული პროცესის დიალექტიკური ნახტომებიდან; თვით დიალექტიკური ნახტომები წარმოადგენენ სტატიკურ შედეგებს იმ მოუსვენარი და განუწყვეტელი მოძრაობისას, რომელსაც ადგილი აქვს ყოველი ნივთის, ყოველი არსის და ყოველი სხეულის შინაწყობაში; მოვლენა არსებულის დიალექტიკური ნახტომის ფორმაა, ხოლო სანამ დიალექტიკურ ნახტომს ადგილი ექნება, არსში, წყობაში ხდება ჩვენთვის უხილავი მოძრაობა, რომელიც თანდათანობით ამზადებს ნიადაგს დიალექტიკური ნახტომისათვის: ხე თანდათან ფუღეროვდება, ჩვენ ამას ვერ ვამჩნევთ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ხე წაიქცევა და მაშინ დავინახავთ, რომ მოვლენა ის აღარ არის, რაც იყო. მატერიის არსებობა ტანის დინამიკური ცვლილებაა: ერთი ფორმა დასრულდა და იწყება მეორე. ცხოვრება დაუსრულებელი ცვლილებაა მატერიის ტანებში და ტანთა ურთიერთობაში; იდეოლოგია ამ ცვლილებათა ფორმულაა: მეცნიერება და ხელოვნება სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირობებში გენეტიკურ წვალებათა გრძელი ხვეულებით და დიალექტიკური ნახტომებით ეფარდებიან მატერიალურ-ორგანულ ცვლილებებს; მეცნიერება ეძიებს ურთიერთობის სტატიკურ ფორმას, ხელოვნება

გამოსახულებაა ამ ურთიერთობათა სტატიკური ფორმისა: ინდივიდუალიზმის ეპოქებში იდეოლოგია ინდივიდუალისტურ-ასოციალუტური წყობისაა; სოციალური კულტურის ეპოქებში იდეოლოგია მეცნიერებასა და ხელოვნებაში გამოსახავს შემოქმედებითი სულის ისეთ სახეებსა და იდეებს, რომელთაც აქვთ სოციალური, კორელატური ხასიათი.

ხელოვნების და მეცნიერების ბუნება ყოველთვის იყო სოციალური, მაგრამ სოციალურობა ისტორიულად ყოველთვის კლასობრივი ხასიათის იყო: ეკონომიკური ინტერესი ზღუდავდა იდეოლოგიურ ფორმას კლასობრივი ინტერესის ფარგლებში; სული ადამიანისა იდეალებით და ილუზიებით ატარებდა კლასობრივი ფსიქოლოგიის თვისებებს; კაცობრიობის წარსულში შემოქმედების ფორმები არისტოკრატიული კლასების იდეოლოგიათა გამოსახულებაა და ამ მხრივ ისტორიული ფორმა კულტურისა არის არისტოკრატიული.

ამიტომ არის, რომ ისტორიულ ფორმებს იდეოლოგიისა აზის ბეჭედი აპრიორიზმისა და ტრანსცენდენტიზმის: პ ლ ა ტ ო ნ ი ს ფილოსოფია საბერძნეთში ისეთივე თარგია ბერძნული არისტოკრატიული სულისა და მისი უნივერსალური აპრიორიზმის, როგორც გერმანული იდეალიზმი ბიურგერული ყბედობისა და თავაწყვეტის, გარკვევა კლასობრივი რგოლისა წარმოების ევოლუციაში თანდათანობით არღვევს იდეოლოგიურ ზღუდეებს და ლიბერალური პრინციპი დროგამოშვებით გულაჩუყებული ჰუმანიზმით, ათამაშებული კლასობრივი შემოქმედების შინაგანი სისავსით, იწყებს თავისი იდეების „პოპულარიზაციას“. მეცნიერებისა და ხელოვნების „პოპულარიზაცია“ ბურჟუაზიული უტილიტარიზმის „კეთილი საქმეა“ და რამდენადაც სასარგებლოა, იმდენად მავნებელია: მშრალი და უსულო თხრობა ზოგიერთი იდეისა, ზოგიერთი მეცნიერული ჰიპოთეზისა უკარგავს შინაგან ღირებულებას იმ შემოქმედების ფორმას, რომლის „პოპულარიზაცია“ უნდათ: შემოქმედება როგორც მეცნიერების, ისე ხელოვნების მიღწევებში აწყობილია ს ო ც ი ა ლ უ რ ი კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ი თ და ამიტომ ბუნებრივია არა ლიბერალური „კეთილშობილების“ მაჩვენებელი „პოპულარიზაცია“, არამედ ს ო ც ი ა ლ ი ზ ა ც ი ა მეცნიერებისა და ხელოვნებისა, ფილოსოფიისა და საერთოდ იდეოლოგიისა; იდეათა სოციალიზაცია მოითხოვს სოციოლოგიურ მეთოდს აზროვნებისა და შემოქმედებისას. შეიძლება „პოპულარიზაციის“ დროს ზოგიერთი მეცნიერული დებულება, ხშირად ძალიან გასაგები ენით გადაცემული, სრულებით გაუგებარი იყოს იმისათვის, ვისაც ელაპარაკებიან, თუკი ვინც ლაპა-

რაკრბს, არ ხელმძღვანელობს სოციოლოგიური მეთოდით; ამ მხრივ სწორედ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეცნიერი მხოლოდ მაშინ აღწევს ზიზანს, როდესაც მას შემუშავებული აქვს მსოფლგაგება არა აპრიორიზმსა და ტრანსცენდენტიზმზე დამყარებული, არამედ სოციოლოგიურ რელატივიზმზე — მატერიალიზმზე ამ სიტყვის მეთოდოლოგიური გაგებით: ზოგიერთი მეცნიერის ნაწარმოები რომელიმე ისტორიისა და ლიტერატურის დარგში წარმოადგენს მხოლოდ ნედლ მასალას, რომელსაც დიდი გადამუშავება ესაჭიროება, რომ მასალა მეცნიერული შეიქმნეს; რა არის ქართულ საზოგადოებათმეცნიერებაში ის, რასაც კორნელი კეკელიძე „ქართული ლიტერატურის ისტორიას" ეძახის? — მხოლოდ curriculum vitae ქართული კულტურის არქივისა და ისიც ძალიან ცუდად დალაგებული; რა არის საქართველოს საზოგადოებათმეცნიერებაში ის, რასაც ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიას" ეძახის? — მხოლოდ მასალები ქართველი ერის ისტორიისა, თუმცა სიმართლე უნდა ითქვას, ძალიან კეთილსინდისიერად დალაგებული; ისტორია არ არის ეპიზოდების კალეიდოსკოპი; ისტორია არ არის ბიოგრაფიული აქიაბაქია; ისტორია ბოლოს და ბოლოს გენეზისის ისტორიოსოფიაა.

რა უნდა ითქვას საქართველოში უფრო პატარა ხალხის შესახებ — იმ ხალხისა, რომელსაც სურვილი აქვს „რუსთაველიანა" წეროს; ან რუსთაველის ვინაობაზე ილაპარაკოს? — სანამ მეცნიერი-მოაზროვნე ისტორიულ-ლიტერატურულ ფაქტს შეეხებოდეს, მან უნდა შეისწავლოს მახლობელი ეპოქების სოციალურ-იდეოლოგიური სტრუქტურა დეტალურად; ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტის ინტერპრეტაციისათვის საჭიროა კულტურის მორფოლოგია; მეტყველების და სტილის ანალიზი, ფილოლოგიურ-სემანტიკური დეტალების ცოდნა დაკავშირებით აგრარულ და სოციალურ ინტერესებთან. ლიტერატურისა და საერთოდ იდეოლოგიის პრობლემა ყოფის პრობლემაა: ფილოსოფიური და ესთეტიკური საკითხები ყოველი ხალხის ცხოვრებაში უმეშვეოდ დაკავშირებულია სოციალურ-ინდუსტრიული ცხოვრების ევოლუციასთან — სამეურნეო-საოჯახო და საზოგადო ხასიათის კულტურულ ფორმებთან. ყოველ ადამიანს პროფესიისა და სულიერი წერთნის ატრიბუტები შეაქვს საგნის შეცნობის პროცესში: ფანქარს მოწაფე და ვაჭარი სხვადასხვა სახით შეიცნობენ; ძროხის კუნთებს მხატვარი და ყასაბი სხვადასხვა თვალთახედვით უყურებენ; ხორცის ნაჭერის დანახვაზე თხას და მგელს სხვადასხვა სურვილები ებადებათ: აპრიორული და

ტრანსცენდენტური რაც არის შემეცნების პროცესში, ყველაფერი შემოტანილია ან გვარული თვისებებით, ან პროფესიული წინდახრილობით; განსხვავება აზრის შინაარსსა და ფსიქიკურ პროცესს შორის, რომლიდანაც გერმანელ მეცნიერებს გამოყავთ ერთი მხრით ფსიქიკური პროცესის ემპირიული ბუნება და მეორე მხრით აზრის შინაარსის იდეალური ბუნება, ბოლოს და ბოლოს გვიჩვენებს იმას, რომ აზრის შ ი ნ ა ა რ ს ი მხოლოდ შედეგია ფსიქიკური ჩვეულებისა; იდეალური სამყარო თავისი ნორმებით წარმოადგენს რეფლექსს რეალური ცხოვრების ორგანოტროპული განცდებისას. მეცნიერებისა და ხელოვნების ორგანიზაციას სხვადასხვა საუკუნეში სოციალურ-ისტორიულ საჭიროებათა რეფლექსები აწყობენ: ყოველ ეპოქას აქვს ისეთი ფორმა მეცნიერებისა და ხელოვნებისა, რომელიც გამოსახავს გამარჯვებულთა და შეგუებულთა სურვილებს, სამართალი და ჭეშმარიტება, სილამაზე და სიკეთე, მშვენიერება და კეთილმოქმედება ითარგებიან სოციალურ ხვეულებში და არა პროფესორთა ვერბალიზმში.

მეცნიერების და ცოდნის რეორგანიზაცია უწინარეს ყოვლისა მოითხოვს გენეზისის პრინციპის მიღებას, ხოლო გენეზისის პრინციპი შეუძლებელია იმ შემოქმედებითი ურთიერთობის გარეშე, რომელსაც ჩვენ ვეძახით ო რ გ ა ნ ო ტ რ ო პ ი ზ მ ს: ჩვენი მსოფლგაგება ახალია იმ მხრით, რომ ჩვენ ვიღებთ სავსებით მატერიალისტურ აზროვნებას და, ამავე დროს, ვამჩნევთ გარკვევით, რომ მატერიალისტური გაგება მოვლენებისა არ უარყოფს იდეის აქტივობას, იდოლოგიის თ ვ ი თ ა რ ს ებ ო ბ ი თ ხასიათს; იდეოლოგია ზედნაშენია ეკონომიკური სტრუქტურის, მაგრამ ეს ზედნაშენი, როგორც კი მიიღებს გარკვეულ ფორმას, მოქმედებს აქტიურად იმ მდგომარეობაზე, რომელმაც ჩამოაყალიბა ეს იდეოლოგიური ზედნაშენი: მდგომარეობა მოქმედებს იდეოლოგიაზე, იდეოლოგია მოქმედებს მდგომარეობაზე: ლენინიზმი როგორც იდეოლოგია, ჩამოყალიბებულია განსაკუთრებულ სოციალურ-ისტორიულ სინამდვილეში, განსაკუთრებულ ეკონომიკურ კლასობრივ პირობებში, მაგრამ მთელი ღირებულება ლენინიზმისა ისაა, რომ იგი უარყოფს იდეოლოგიის პასიურობას; და განა შესაძლებელი იქნებოდა ისტორიაში რომელიმე რევოლუცია, რომელიმე სოციალური და ეკონომიკური გადატრიალების მოხდენა, რომ იდეოლოგიას არ ჰქონდეს გავლენა მდგომარეობაზე — გავლენა აქტიური, გავლენა ისეთი, რომელსაც შეუძლია გარდაქმნა მდგომარეობისა, გადაკეთება არსებობის პირობებისა; ცხადია, გარდაქმნისა და გადაკეთების შესაძლებლობა ისევ გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ პირობებს მოითხოვს, მაგრამ პირობები ყოველთვის

დარჩებოდნენ უფორმოდ. ქაოსურად, უთავბოლოდ, რომ იდეოლოგია არ აწესრიგებდეს... რა ჟამსაც იდეოლოგია განსახიერდა მეტყველებასა და მეცნიერებაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში, იგი არის თავისებური ენერგია. თავისებური idée-force, რომელიც მოქმედებს, მოძრაობს, აწესრიგებს: კლასიციზმი, რომანტიზმი, რეალიზმი, სიმბოლიზმი, პესიმიზმი, ოპტიმიზმი ისტორიული ფორმებია ლიტერატურულ და ფილოსოფიურ იდეოლოგიათა; ყოველი მათგანი, წარმოშობილი სოციალური ფსიქოლოგიის განსაკუთრებულ პირობებში, მოქმედებდა აქტიურად ამ პირობების შეფარდებით; ყოველ მათგანს ჰქონდა უკუქცევითი ხასიათის გავლენა იმ მდგომარეობაზე, რომელშიც წარმოიშვა; ყოველი მათგანი წარმოადგენს ღირებულებას ისტორიულს იმდენად, რამდენადაც გამოსახავს საჭიროებას ეპოქისას — საჭიროებას სოციალურს; და რამდენადაც იდეა ეპოქის საჭიროებას გამოსახავს, იმდენად იგი არა მარტო ფორმულაა, არამედ თ ვ ი თ ა რ ს ო ბ ი თ ი ღირებულებაც არის; საინტერესოა ამ მხრივ ნ. ბ უ ხ ა რ ი ნ ი ს აზრი, რომელიც გამოთქმულია წიგნში — «Теория исторического материализма». «Между средой и системой существует постоянная связь; «среда» действует на «систему», «система» действует на «среду»,* სისტემას ნ. ბუხარინი ეძახის იდეოლოგიას და ჩვენი გამოთქმით ეს არის ორგანოტროპული ურთიერთობა: ორგანოტროპიზმი, როგორც იდეოლოგიისა და აზროვნების სისტემა, პირველად ჩვენ შემოგვაქვს ლიტერატურაში: არც აღმოსავლეთში, არც დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში სიტყვა „ორგანოტროპიზმი“ ჯერ არავის უხმარია: ჩვენ საქართველოში ამ ს ი ტ ყ ვ ი თ ვიძლევით მთელს სისტემას აზროვნებისას, რომელსაც არ ეწინააღმდეგება არც მატერიალიზმი სწორი გაგებით და ეს ჩანს ნ. ბუხარინის ზემოთ მოყვანილი სიტყვებიდანაც: ჩვენ ვამტკიცებთ შემოქმედებით ურთიერთობას მდგომარეობასა და იდეოლოგიას შორის: ამ ურთიერთობას ჩვენ ვხედავთ მთელს ისტორიაში, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ევოლუციაში. ყველა ხალხის და ყველა საუკუნის იდეოლოგიაში გამოსახულია ორგანოტროპული კორელაცია; ამ კორელაციით ჩვენ უარვყოფთ უნივერსალიებს წმინდა ენებისა და წმინდა ხელოვნებისას; ჩვენ ვამბობთ ა. ბ ე რ გ ს ო ნ თ ან ერთად: L'absolu se révèle très près le nous et, dans une certaine mesure, en nous; il est d'essence psychologique et non pas mathématique ou logique**. მთელი ჩვენი ორგანოტროპიზმი სწორედ ამ-

* Н. Б у х а р и н. «Исторический мат». стр. 77.
** H. B e r g s o n, L'évolution créatrice.

ბობს — l'absolu est d'essence psychologique et non pas mathématique ou logique, და ამიტომაც ჩვენ კატეგორიულად უარვყოფთ ლოგიკისა და გნოსეოლოგიის პრიმატობას, რომელსაც ქადაგებენ ბერნარდ ბოლცანო, ჰუსერლი, კოჰენი, შუპე, ვედენსკი და სხვები. ჩვენ ვიღებთ უნივერსალიების მაგიერ გენეტიკური ფსიქოლოგიის ორგანოტროპულ კოროლარიებს და აზროვნების ფაქტებში ვხედავთ ისეთ წყობას იდეებისას, რომელიც არის ორგანოტროპული და კორელატური, რომელსაც აქვს გამოყენებითი ხასიათი — და რომელიც იარაღია სოციალური საჭიროებისა, როგორც მეტყველება*. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამით ჩვენ ვილაშქრებთ აზროვნების მთელი ისტორიული კონსტრუქციის წინააღმდეგ. ორგანოტროპიზმი უარყოფს უნივერსალიებთან ერთად ჭეშმარიტების დასაბუთების ლოგიკურ-გნოსეოლოგიურ პრეტენზიას და ამით ორგანოტროპიზმი მოითხოვს სილოგისტური მსჯელობის რეფორმასაც; სილოგისტური ფორმულებისა და აქსიომების მაგიერ ჩვენ შემოგვაქვს სოციალურ საჭიროებათა კოროლარიები; ჩვენ სრული სიამაყით აღვნიშნავთ იმ დიდ ფაქტს, რომ ქართული აზროვნება, რომელიც წარსულში კომენტარებსა და თარგმანებს ვერ გაშორებია, რომელიც დღესაც ქართულ უნივერსიტეტში ჩვეულებრივი იდეოლოგიური ტრაფარეტებით იკვებება, ჩვენ მიერ აწყობილი ორგანოტროპიზმის ფილოსოფიურ სისტემაში იძლევა აზროვნების სრულებით ახალ ფორმას არა მარტო ქართული კულტურის გასაქანით, არამედ ევროპის მასშტაბითაც; ასეთი დიდი და სერიოზული საკითხის დამუშავებისათვის ელემენტარულ სოციალურ პირობებს, მორალურ თანაგრძნობასაც მოკლებული, გარშემორტყმული „უჩემოთ ვინ იმღერეთობის“ კულტით, ჭორებით და ძმაბიჭების ყავახანური ღრეობით, ჩვენ ვმუშაობთ იმ იმედით, რომ საქართველო ოდესმე მორალურად განასახიერებს იმ შინაგან სიმართლეს, რომელიც მას წარსულში აკლდა და ურომლისოდაც ისტორიული კულტურა ვერ მიიღებს საერთაშორისო ღირებულებას. ჩვენ ანგარიში გავუწიეთ მატერიალისტურ მსოფლგაგებას, რომელიც აპირებს კულტურის სრულ რეორგანიზაციას და რომელზეც ჩვენ ვაშენებთ საკუთარ სისტემას აზროვნებისას; კულტურის რეორგანიზაცია მატერიალიზმისა და პროლეტარიატის ხელმძღვანელობით იღებს

---

* M. Bréal, Essai sur la Sémantique.

იდეოლოგიის აქტივობას და აზროვნების რეფორმა ამ რევოლუციური აქტივობის შედეგი იქნება ბუნებრივად; სახალხო განათლების სფეროში რევოლუციური მატერიალიზმი უკვე ახდენს გარდატეხას მეთოდოლოგიის შეცვლით, სკოლების ახალი ტიპის ჩამოყალიბებით, აკადემიური და პედაგოგიური უნივერსალიების სრული უარყოფით: ცხადია, იდეოლოგიური გარდატეხის პროცესი იდეოლოგიის რეორგანიზაციით დამთავრდება და პროლეტარული კულტურის არსებობის მეტაფიზიკურად დაყენებული საკითხი გადაიჭრება ორგანოტროპული წესით: ახალი სოციალური ყოფა ახალ სულს წარმოშობს და ახალი სულის იდეოლოგიურ-ესთეტიკური ზრახვები განსახიერდებიან სოციალურ საჭიროებათა მიხედვით; შემოქმედებითი ევოლუცია შეარჩევს არსებობისათვის ბრძოლაში საჭირო ხერხებს და იდეოლოგიურ-ესთეტიკური სტილის სახეს ჩამოაყალიბებს არა რომელიმე ლიტერატურული, ან თეატრალური ჯგუფის აჩქარებულად დაწერილი „მანიფესტი", არამედ სოციალურ-ინდუსტრიული დენის ორგანოტროპული ინტერესი: საჭიროება და ინტერესი შექმნის ახალ ყოფაში მეცნიერებისა და ხელოვნების ახალ ფორმას, ხოლო ამ ახალ ფორმაში გენეტიკური წვა წარსულისა შევა როგორც ორგანული პოტენცია, როგორც ჩონჩხი გარდაქმნის élan vital.

ცხოვრების მისწრაფება წვა და ლტოლვაა; გონება ამ წვისა და ლტოლვის ორგანული რეფლექსია. მატერიის შინაგან წვალებასა და რყევაში შეიქმნა ორთქლი, რომლის ასხივოსნება იძლევა გონებას; გონება რეფლექსური მარკვალია მატერიის წვალების: მატერია შეიცავს დაუსრულებელ ცვლილებებს; მატერია გარბის, ინტელექტი მხოლოდ ფორმულაა მატერიის პლანეტური წვალებისა და ხეტიალისა; მატერია ყოვლობის დინამიკური ფორმაა, ინტელექტი იპერს ამ ფორმას; მატერიას აქვს სტატიკური ყოფა, მაგრამ ფუნქციათა განაწილებით სტატიკურსა და უძრავ ყოფაში, როგორც რეზერვუარში, ინახება ენერგია ან მოძრაობაში მოდის იგი; მცენარეულობა ინახავს ენერგიას, პოტენციას ენტელქიისას; ცხოველური სამყარო მცენარეული ყოფის პოტენციალობას აძლევს კინეტიკურ ხასიათს; მცენარეულობა უძრავია, ცხოველური სამყარო კი მოძრავი; ცხოვრება მცენარეებში ქვეშემეცნებითი ხასიათისაა; ცხოველებში ისახება შეცნობის ფორმა; მაგრამ შეცნობის ფორმა ცხოველურ სამყაროში იძლევა ინსტინქტის ორგანიზაციას; ინსტინქტი ცხოველურ სამყაროში იარაღია არსებობისათვის ბრძოლაში ისეთივე, როგორიც ადამიანისათვის გონება; ყოვლობა, მინერალებიდან ღაწყებული, წაგავს დიდ რეზერვუარს, რომელიც ისვრის

უსაზღვროებაში მაშხალებს მინერალების, მცენარეების, ცხოველებისა და ადამიანთა სახეებით; ადამიანი თითქო raison d'être-ია ცხოვრების მთელი ორგანიზაციის და მატერიის ევოლუცია წარმოუდგენელია ჩვენ-თვის გარეშე წვალებისა და მოძრაობის. წვალებასა და მოძრაობაში მატერია ითენთება, იონოდინამიზმით ივსება; მატერიის მასა და სული მატერიის მოძრაობაში იქმნება; დროგამოშვებით მატერია ისვენებს და ჩვენი სამყარო თავისი მინერალებით, მცენარეებით, ცხოველებით, ადამიანებით ყოვლობის მატერიული მოგზაურობის მხოლოდ ერთი მომენტია და ამ მომენტს მატერიულ-ორგანული ყოფისას აქვს თავისი შემოქმედებითი წვალების პლანეტური რეფლექსი, რომელსაც ჩვენ ვეძახით იდეას, გონებას, ინტელექტს, სულს, ინტუიციას და რომლითაც ჩვენ ვიბრძვით ჩ ვ ე ნ ი ყ ო ფ ი ს ი ნ ტ ე რ ე ს ებ ი ს ა თ ვ ი ს უსაზღვროების განსაზღვრულ კუთხეში, რომლითაც ჩვენ ვახდენთ გავლენას ამ კუთხეზე.

ინტელექტუალიზმი და ინდივიდუალიზმის ტრაგედია

აზროვნების ისტორიაში ბევრნაირი ახსნა-განმარტება მოგვცა ცხოვრების მოვლენებისა ადამიანმა, მაგრამ არსებობის პირობების შეცვლა ფილოსოფიურ-მორალური სისტემებით მეტად ძნელი შეიქნა: აღმოსავლეთის დიდ კულტურათა სოციალური ცხოვრების პრინციპები, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია ისინი ჩამოაყალიბა ისტორიამ, განუხორციელებელია დღემდე; მალე ორი ათასი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთმა მოგვცა ლეგენდარული ქრისტეს საყურადღებო სოციალური ყოფის ფილოსოფია, მაგრამ ამ ოცი საუკუნის განმავლობაში არამც თუ ერთი საუკუნით, არამედ ერთი წლითაც კაცობრიობას en masse ქრისტეს მოძღვრების მიხედვით არ უცხოვრია: ქრისტიანი ხალხები მუდამ ქადაგებენ პატიოსნებასა და კაცთმოყვარეობას და მუდამ ცხოვრობენ ცუღლუტობით, სიცრუით, ინტრიგებით, სახიფათო კომბინაციებით. ბუნება კაცობრიობისა თითქოს წინააღმდეგია კაცობრიობის მორალის, თითქოს გული, როგორც ცენტრი ფიზიოლოგიური და ორგანული მოძრაობის, სხვას ამბობს და გონება, მოკლებული ვნებას, მშრალი, ხრიოკი სხვას ამბობს: თითქოს კაცობრიობის პლანეტური ყოფა ტრაგედიულად გაორებულია და სამყარო ანთროპომორფულ გაგებაში ო რ ს ა ხ ე ო ბ ს როგორც იანუ-

სი; მითურ-კოსმოსური ფილოსოფია რელიგიის სახით ამ ორსახეობას იძლევა სიმბოლოებში: ქრისტე და იუდა, ეშმაკი და ანგელოზი, სიკეთე და ბოროტება; ორსახეობის ერთ მხარეს ყოველთვის ტანი წარმოადგენს თავის ფიზიოლოგიურ და ორგანულ-ბიოლოგიური მოთხოვნილებებით, მეორე მხარეს კი — სული თავისი ზეემპირიული ბუნებით და იდეალებით, ილუზიებით. ყველა რელიგია აღმოსავლეთისა ორსახეობას იღებს როგორც ერთგვარ აუცილებლობას, როგორც იმანენტურ დეტერმინიზმს პლანეტური ყოფისას; ბიბლია იმთავითვე აუცილებლად ხდის სიკეთის დაკავშირებას ბოროტებასთან; სახარებაც ფსიქოლოგიური დოკუმენტია იმისა, რომ აღმოსავლეთის ძველ ხალხებს ასე ესმოდათ წუთისოფლური ყოფა: ორსახეობა ყოველგან; მთავარი ღმერთის ყოვლადშემძლეობა ბოლოს და ბოლოს შეზღუდულია მყარი დეტერმინიზმით და სიკეთეს ბოროტება მუდამ თან ასლავს, როგორც ერთგვარი აჩრდილი; ქრისტე და იუდა აღმოსავლეთურ გაგებაში ისეთივე პლანეტური ტიპებია ო რ ს ა ხ ე ო ბ ი ს ა, როგორც დონ კიხოტი და სანჩო პანსა: ერთი მხრით, ტიპები — სახეები რეალური ყოფისა, მეორე მხრივ ტიპები — სახეები იდეალური ყოფისა; ხოლო დროისა და პირობების მიხედვით ტიპები იცვლებიან: ტემპერამენტები და ნებისყოფანი სხვადასხვაობენ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირობებში. ლიუციფერი ისეთივე ორეულია ქრისტესი, როგორც მეფისტოფელი ფაუსტისა; ფაუსტმა, როდესაც მინდვრად გაისეირნა, ბუნების ნოყიერების ყნოსვით, ორგანული შეგრძნების ვნებიანობით, ესთეტიკურ-ეროტიკული ექსტაზით იგრძნო იგივე, რასაც გრძნობდა ქრისტე, როდესაც ლიუციფერმა სახურავზე აიყვანა და აჩვენა ამწვანებული მინდვრები, მშვენიერი კორდები და ბაღები, რათა ჩაეკლა ქრისტეს გულში ასკეტური სურვილები და გაეღვიძებინა სამაგიეროდ წარმართულ ვნებათა დამათრობელი სიგიჟე.

საშუალო საუკუნეებში განდეგილი ბერებისა და წმინდანების ცხოვრებაში ხშირად ჰქონდა ადგილი „შეცოდებებს", სექსუალურ-ეროტიკულსა და წარმართულ პასიონებს: სენტ ანტუანი და ილია ჭავჭავაძის განდეგილი ორიგინალური ტიპებია საშუალო საუკუნეთა ორგანულ-ფსიქიკური ორსახეობისა; ისტორიამ იცის აუარებელი მაგალითები იმისა, რომ პრინციპი ინტელექტისა და ასკეტიზმისა ირღვეოდა ყოველთვის: ვნების ტალღები ყოველთვის უფრო ძლიერია, ვიდრე ინტელექტისა და მორალის იმპერატივები, რომელნიც ბოლოს და ბოლოს ვამონაყურია სოციალური ჩვეულებების და საჭიროებათა

რეფლექსებისა; გონების ფილოსოფიაზე უფრო დამაჯერებელია გულის ფილოსოფია: განცდა გააზრებაზე უფრო მახვილია; კანტმა ეს თვითონ იგრძნო, როდესაც რუსოს ნაწერებს კითხულობდა და არჩევდა; გოეთემ გენიოსურად გადაგვიშალა საშინელი ბრძოლის პროცესი ადამიანის ბუნებაში ორ საწყისს — რაციონალურსა და ირაციონალურს შორის; ფაუსტი ატარებს რაციონალიზმის სრულ სახეობას მანამდე, სანამ ბუნება თავისი ნოყიერებით, სილამაზით, გაშლილი ჰაერით, დამპყრობელი ფერებით და სახეებით ეროტიკულ-სექსუალურ ჩხვლეტას არ დაუწყებს მას, სანამ სული ჩაეშვება თავისი ფორმულებით, „ატრიბუტებით", სქოლიოებით, იმპერიტივებით ორგანულ-ბიოლოგიური განცდების ქაოსში, სანამ გულს დაუწყებს წვას კოსმოსური ეროსი, მარადიული ქალურობის გრძნეული სახე, რომელიც თვალწარმტაცი სიმშვენიერით ეჩვენებოდა უსასღვროების მისტიკურად ალივლივებულ არეზე გოეთეს, პეტრარკას, იაკობ ბოემეს, ვლ. სოლოვიოვს, აკაკი წერეთელს, დანტე ალიგიერს, შოთა რუსთაველსა და ყველა მეოცნებეს.

ჩვენი საუკუნე ინტელექტის მაგიერ ნებისყოფას აქცევს ყურადღებას: ინტელექტის პერიოდი ისტორიაში ტრაგედიისა და შეუთანხმებლობის პერიოდია: ყოველთვის, როდესაც ადამიანი ნებისყოფას უმორჩილებს გონებას, იწყება უბედურება ადამიანის ყოფისა; ჰამლეტი ათასჯერ უფრო ბედნიერი იქნებოდა, რომ გონებას არ უმორჩილებდეს ყოველ წუთს ნებისყოფას; ჰამლეტი იკვებით არღვევს თავის სულს და ხასიათის მთლიანობას, თავისი პიროვნების სიმტკიცეს, არსებობისათვის ბრძოლის ხერხებს, ბედნიერებას... ბოლოს და ბოლოს ბედნიერების საკითხი სურვილების განხორციელების საკითხია და სურვილების განხორციელებას ჰამლეტი უკავშირებს სამართლიანობისა და პატიოსნების პრინციპს. მაგრამ სამართლიანობა და პატიოსნება ისე, როგორც ყველა სხვა მორალური ცნება, კლასობრივად და დროულად გაბატონებული ჩვეულებების ნაყოფია; სამართლიანობა, პატიოსნება, სიკეთე, ბოროტება სხვადასხვა საუკუნეში სხვადასხვა ეკონომიკურსა და სოციალურ პირობებში სხვადასხვანაირად გაეგებათ; მარადიული ხასიათი — მარადიული ღირებულება პატიოსნებასა და სამართლიანობას არა აქვს; თვითონ ჰამლეტი მარჯვედ ეუბნება ოფელიას: თოვლივით რომ სუფთა იყო, მაინც დაგსვრის ეს წუთისოფელი და მონასტერში წადი. ჰამლეტი რომ დღეს ცოცხალი იყოს, მგონია ვერ აკეთებს თავის ოფელიას მონასტერში წადი, იმიტომ, რომ დღეს —

ჩვენს დროში მონასტრის სისუფთავე და სიკეთე არავის სწამს; ჰამლეტს რომ ერთი საუკუნით ადრე ეცხოვრა, შეიძლება თავისი ყოფნა-არყოფნის საკითხი სხვანაირად გადაეწყვიტა და გრძელი რიგი ჰამლეტის სილოგიზმებისა სხვა ჭეშმარიტებას, სხვა პრინციპს მონახავდა ნებისყოფის ასამოქმედებლად, ასამოძრავებლად. ფილოსოფებს-გნოსეოლოგებს სამწუხაროდ დღემდე ვერ შეუგნიათ, რომ ჭეშმარიტება და სამართლიანობა, სიკეთე და ბოროტება სილოგიზმებსა და შემეცნების თეორიის კოლოფებში კი არ აწყვია, არამედ იქმნებიან ორგანოტროპულად სოციალურ საჭიროებათა ჩვეულებებში. სხვადასხვა დროს სხვადასხვა კლასი სხვადასხვანაირად სარგებლობს მეცნიერების ფორმულებით, ლოგიკისა და ფილოსოფიის იმპერატივებით; ყოველ ყოფას აქვს საკუთარი კუთხური აღეთოლოგია, კუთხური შემეცნება, ესთეტიკა და ფილოსოფია: — sub specie aeternitatis მთელი წუთისოფლური შემოქმედებითი წვალება კაცობრიობისა კულტურულ-ცივილიზაციური განგაშით, რადიოსადგურებით, აკადემიებით, მეცნიერებათა ფორმულებით მხოლოდ კუთხური, კორელატური, ნაწილობრივი შეცნობაა უსაზღვროებისა; როდესაც ჰეგელი ამბობდა, — თუ ფაქტები ჩემს თეორიას არ ეთანხმებიან, მით უარესი ფაქტებისათვის, — გერმანული, პრუსიული ინდივიდუალიზმის თავაწყვეტის გენეტიკურ ფსიქოლოგიას იძლეოდა ამით; ყოველი ყოფა ასე აზვიადებს, ასე ამახვილებს თავის განცდას და სოციალურ წვალებას; ტოლსტოის გლეხკაცის ფილოსოფიაში არის მოცემული რუსული სულის ბარინულ-სოციალურ წყობაში განსახიერებული შემოქმედებითი წვალება და აქედან გამომდინარე სიბრძნის საკითხები: ბარინიზმის გარეშე ტოლსტოიზმი გაუგებარი მოვლენაა; ბარინობა და გლეხკაცის ურთიერთობა იძლევა ტოლსტოიზმს: ყოფა იძლევა იდეოლოგიას, ან როგორც მარქსი ამბობდა: მდგომარეობა ქმნის შეგნებას. მაშასადამე, რამდენი მდგომარეობაცაა, იმდენი შეგნებაა ქვეყანაზე; რამდენი მდგომარეობაა, იმდენი სხვადასხვა გამოყენებითი პრინციპი არსებობს ლოგიკაში: ლოგიკა, მართალია, ერთია თავისი სილოგიზმებით, მაგრამ სხვადასხვა კლასი სხვადასხვა მდგომარეობაში სხვადასხვანაირად სარგებლობს ლოგიკის და სპეციალურ მეცნიერებათა დებულებებით. იდეებს წინ მიუძღვის სოციალურ წვალებათა ჩვეულებებში შექმნილი ვნება, რომელიც იძლევა დირექტივებს და რომელსაც ვერ ამჩნევენ გერმანული ფილოსოფიურ-გნოსეოლოგიური სკოლები. სწორედ ეს ქმნის ტრაგედიას ადა-

მიანის ცხოვრებაში: გნოსეოლოგები აწყობენ შემეცნების პრინციპებს ისტორიულად გაბატონებული ინტელექტუალური გემოვნების მიხედვით, რომელსაც აქვს უსათუოდ საკუთარი სოციალური ყოფის სარჩული, და უნდათ თავიანთი გაგება, რომელიც დროულია და რელატიური, გახადონ აბსოლუტურად სავალდებულოდ. გერმანელი გნოსეოლოგისტები შუპე, ჰუსერლი, კოჰენი და ბევრი სხვა აქ ბოლოს და ბოლოს ისტორიულად ისეთსავე ცუდ საქმეს აკეთებენ, როგორც საშუალო საუკუნეთა თეოლოგები: ყოველგვარი პრეტენზია აბსოლუტური ჭეშმარიტების გამოსახვისა უსათუოდ უარყოფითი მოვლენაა ისტორიაში, ვინაიდან ერთი წყობის აბსოლუტური ფორმა მიუღებელია მეორე წყობისათვის, მეორე ეპოქისათვის, სხვა პირობებისათვის; როგორც კი ინტელექტუალური ფორმა კულტურისა ჩამორჩება სოციალური ევოლუციის გენეტიკურ ფსიქოლოგიას, მაშინვე ისტორიაში ჩნდებიან ჰამლეტები, ფაუსტები, მანფრედები, თამალები და მათი შპიგელმენშები: იწყება ტრაგედიული გაორება მეობისა; გენეტიკურად განმტკიცებული ჩვეულება მორალის სახით სხვას ამბობს და აწმყოს სოციალური ყოფის ფსიქოლოგია სხვა რამეს მოითხოვს. ჩვეულება დაკანონებული და განმტკიცებული, ჩვეულება, აშენებული წარსული არსებობის საჭიროებათა ურთიერთობაზე, ადამიანს უნერგავს გულში პატივისცემას არსებულისადმი იმდენად, რამდენადაც არსებული არის იგივე, რაც წარსული; ხოლო რამდენადაც არსებული განსხვავდება წარსულისაგან თავის ყოველდღიურ სოციალურ წყობაში, იმდენად მორალი და მისი პრინციპები ეწინააღმდეგებიან არსებულს. ასეთ პირობებში იმყოფებიან დიდი ინდივიდუალისტები, რომელთაც ჩვენ ვხედავთ მსოფლიო ლიტერატურაში: პრომეთე, ანტიგონე, ჰამლეტი, ფაუსტი, რასკოლნიკოვი. მთელი მათი ტრაგედია მდგომარეობს სოციალურ ძალთა ურთიერთობაში: წარსული დარჩენილია იდეოლოგიაში, ხოლო რეალურ ცხოვრებას მიუღია ახალი სახე; იდეოლოგია ამ შემთხვევაში, როგორც წარსულის შემნახველი, ებრძვის მორალური პრინციპებით აწმყოს: კონკრეტულად, ვინც კარგად და მაგრად შეითვისა წარსული მთელი თავისი იდეოლოგიით, თავისი მორალით, შებეჭილია ამ შეთვისებით: კეთილშობილი, გულწრფელი ჰამლეტები და ფაუსტები ამას ამჩნევენ და ებრძვიან, მაგრამ ამ ბრძოლაში მარცხდებიან, ვინაიდან ცხოვრება თავისი რეალური პირობით მათ მხარს არ უჭერს; ჰამლეტს აწუხებს, რომ ცხოვრება არ არის მოწყობილი ზნეობის პრინციპის მიხედვით; ჰამლე-

ტ: დარწმუნებულია, რომ მორალი, ისტორიულად განმტკიცებული, „ბსოლუტური ჭეშმარიტებაა: აქ ჰამლეტი ისევე გულუბრყვილოდ მსჯელობს, როგორც კანტი, რომელმაც შემეცნების თეორიის უდიდესი საკითხები გადაიტანა მორალის სფეროში: რაც „წმინდა გონებამ“ ვერ გადაჭრა, ვერ გამოარკვია, ის კანტმა „გამოარკვევინა“ „პრაქტიკულ გონებას“. კანტი გულუბრყვილოდ ნდობას უცხადებს პრაქტიკულ გონებას — practischen Vernunft, ე. ი. მორალს, მოვალეობის იდეას და სრულებით ვერ ამჩნევს, რომ ის, რაც მას წმინდად და უცოდველად მიაჩნია, რაზეც ის ეყრდნობა უდიდესი საკითხების გადაწყვეტის დროს, მხოლოდ გამონაყურია ემპირიული სოციალური ყოფისა, რომელიც იშლება ისტორიულად, ინდუსტრიულად, ეკონომიკურად. შიგნით და რომელსაც ახალი წყობა სოციალურ და ბიოგენეტიკურ წვალებათა ვერ ითმენს: ცხოვრება ტრაგედიულად გაორებულია; ერთი მხარე ცხოვრებისა ადამიანის სულს ეძახის ისევ წარსულისაკენ, მეორე აწმყოსა და მომავლისაკენ; ერთი მხარე აწყობილია გონებაში, მეორე განცდაში; გონება თავისი კონსტრუქციით უკუქცევადია, რეტროგრადულია, განცდა, თუმცა ხშირად წვალობს ბიოგენეტიკურ გადმონაშთებში, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყოველთვის ეწყობა აწმყოში, რეალობაში. წმინდა გონების ფილოსოფია ისტორიულად რეაქციულია, განცდის ფილოსოფია კი რევოლუციური: „წმინდა გონება“ არსებობას აკრიტიკებს, არჩევს ბიოგენეტიკური გადმონაშთების კალაპოტებით, „წმინდა გონება“ არსებულს ზომავს არარსებულით და ოდესღაც არსებულით; განცდა იღებს არსებულში ოდესღაც არსებულსაც. მაგრამ ოდესღაც არსებული განცდაში ილესება და ერთვის არსებულის მწველ სახეს — სინამდვილეს. „წმინდა გონების“ პრინციპი და პრეტენზიები, მორალური ნორმების სახით მოცემული, სპობს საშუალებას ბუნებრივი, ბიოლოგიური ვითარებისას: „წმინდა გონებას“ უნდა ცხოვრება მოაქციოს ფორმულებში, ხოლო ფორმულები დამზადებულია სხვა სოციალურ საჭიროებათათვის, ამიტომ „წმინდა გონება“ წინააღმდეგია, ადამიანი იქცეოდეს ისე, როგორც სინამდვილე მოითხოვს, მოვალეობა უდიდესი პრინციპია „წმინდა გონებისათვის“, ხოლო მოვალეობა ყოველთვის არარსებულისკენ ეძახის ადამიანს და ადამიანი მთელი თავისი სურვილებით, გრძნობებით, განცდებით — ყველაფრით, რითაც შეიძლება გადაკავშირება სოციალურ ცხოვრებასთან, შეზღუდულია: „წმინდა გონება“ ხელს უშლის ადამიანს, იქონიოს საზოგადოებასთან, სოციალურ არესთან შეთანხმებით კავში-

რი: მოვალეობის იდეა დონკიხოტურად, ებრძვის სინამდვილეს იმის მაგიერ, რომ შეუთანხმდეს მას, გადაუკავშირდეს სოციალურ ურთიერთობას; მოქმედებისა და შეთანხმების ნაცვლად ადამიანი იხრჩობა ეჭვებში, თვითანალიზში; სული იტანჯება ლოგიკურ-გნოსეოლოგიურ საფანგებში: დაშორებული სოციალურ სინამდვილეს, მოწყვეტილი შემოქმედებით პრაქტიკას, სული ორგანოტროპულად ზურგს აქცევს პრაქტიკულ ცხოვრებას, გენეტიკურ სახეცვლილებას სინამდვილისას და ორგანოტროპულადვე იწყებს ცქერას ჭვრეტის, განყენების და „წმინდა" შემეცნებისაკენ: — იწყება შემეცნების შემეცნება — შემეცნება იმ შემეცნებისა, რომლის კონსტრუქცია აწყობილია სხვა დროს, სხვა პირობებში და რომელსაც ახლა არა აქვს საფუძველი სოციალური ყოფის შემოქმედებით რეფლექსებში.

ამრიგად, შემეცნების თეორია გენეტიკური რეფლექსოლოგიის გარეშე, სოციალურ საჭიროებასთან დაუკავშირებლად ყალბია და ამავე დროს მიზეზია იმ ტრაგედიული განცდებისა, იმ უნაყოფო შინაგანი წვალებისა, იმ ეჭვებისა, რომელთაც ადგილი აქვს დღევანდელი ინტელიგენტის სულიერ ცხოვრებაში და რომელიც ხშირად თავდება თვითმკვლელობით, განდეგილობით, მისტიციზმით, ყოფნა-არყოფნის პრობლემით, ანდა კაფერესტორნული ღრეობით, თავაწყვეტილი ბრიგანდიზმით, დამათრობელი ექსტაზებით: ყველაფერი ეს სოციალური წარმოების ნაყოფიერებას, საერთო კულტურულ ცივილიზაციურ შემოქმედებას ხელს უშლის; ადამიანის ნებისყოფა იცრიცება და სულს ეკარგება აქტივობა: ულტრაინტელექტუალიზმი უდიდესი მტერია ცივილიზაციისა; ინტელექტუალიზმი მოქმედი, ინტელექტუალიზმი ვოლუნტარიზმთან შეზავებული და შეთანხმებული, ინტელექტუალიზმი გამოყენებითი, მოქმედებითი ესაჭიროება კაცობრიობას და არა ისეთი ინტელექტუალიზმი, რომელიც იცავს „სიწმინდეს" და „აბსოლუტის" პრინციპს, რომელიც გაურბის შემოქმედებით ნებისყოფას, აქტუალობას, რომელიც ცდილობს მის მიერ შექმნილი ტრაგედია დაფაროს ნირვანული მისტიციზმით, ან სექსუალური სიგიჟით, ან თეატრალობის ცირკული მანერებით, საღებავებით და გრიმებით. ისტორიული ინტელექტუალიზმი გნოსეოლოგიური პრობლემებით, ალეთოლოგიური და თეოლოგიური პრეტენზიებით, მეცნიერებისა და ხელოვნების თავისთავად არსებობის ყალბი პრინციპით, მსჯელობს პროფესორულ-სქოლასტიკური კონსტრუქციით, იწვევს ათასგვარ უბედურებას სოციალურ ცხოვრებაში იმით, რომ ზრდის მახინჯ ტი-

ბებს, ნებისყოფას მოკლებულ ადამიანებს: ინტელექტუალიზმი თავისი ყველაზე უნივერსალურად ქმნის ინდივიდუალიზმის ტრაგედიას: ისტორიული ორსახეობა სულისა ეკვებით და ტკივილებით ინტელექტუალიზმის პროდუქტია. კულტურისა და წარმოების რეორგანიზაცია გარდაქმნის ინტელექტის არისტოკრატიულ ბუნებას და ინტელექტი სოციალური ცხოვრების ახალ არეში გახდება ერთგული თანამგზავრი ნებისყოფის შემოქმედებითი მოძრაობისა.

ისტორიულად ადამიანები ებრძვიან ერთმანეთს და ამავე დროს ბუნებასაც: კაცობრიობის წარსულში აუარებელი შემოქმედებითი ენერგია იხარჯებოდა იმიტომ, რომ გაემარჯვა ადამიანს ადამიანთან ბრძოლაში: ადამიანი უფრო ადამიანს ებრძოდა, ვიდრე ბუნებას; დიდი მეფეები და კოროლები, დიდი სარდლები ამოძრავებდნენ ადამიანთა აურაცხელ მასებს არა ბუნების მოვლენების დასამორჩილებლად, არა ჭაობებისა და ჭანჭრობების ამოსაშრობად, არა არხებისა და ხიდების გასაკეთებლად, ერთი სიტყვით, არა წუთისოფლური ყოფის გასამშვენიერებლად, არამედ ისევ ადამიანთა მასების დასაჩაგრავად, ისევ ადამიანთა მასების დასამონებლად. მართალია, ხშირად ასეთი ხასიათის ბრძოლას მოყვებოდა ცხოვრების ზოგიერთი მხარის გაუმჯობესება, მაგრამ იშვიათ შემთხვევაში, და თუ იქნებოდა, მხოლოდ გაბატონებული და გამარჯვებული ჯგუფისათვის: ერთი რომ ზეიმობდა, მეორე მაშინ სისხლისაგან იცლებოდა.

ისტორია დემონსტრაციაა კოშმარული შემთხვევების, ამორალური გლეჯის გაძღომისა და განდიდებისათვის; ისტორიულ ეპოქებს ამოძრავებს აფექტები და მთელს წარსულს კაცობრიობის ყოფისას ახასიათებს ფიზიოლოგიზმი: დიდი ინტელექტი ისტორიაში ძალიან ხშირად იხმარება ბარბაროსული ფიზიოლოგიზმისათვის; ევროპის ქიმიკოსები და ინჟინრები თავიანთ ცოდნასა და ნიჭს ხშირად ანდომებენ ისეთ რამეს, რასაც ჰქვია ცივილიზაციის განადგურება, ისტორიულ კულტურათა სახეების მოსპობა, ევროპელის გონება შემოზღუდულია კუთხური ეგოცენტრიზმით და აღარავინ ფიქრობს ევროპაში ადამიანის საცოდავ ხვედრზე. დიდ ქალაქებში ცივილიზაციის კომივოიაჟორები დაფუსფუსებენ პორტფელებით და ავტომობილებით, დაძრწიან კანტორებსა და ბიუროებში, ირჩევენ პარლამენტებს, აშენებენ აკადემიებს, აწყობენ მუზეუმებს, თხზავენ კოსმოლოგიურ ფორმულებს; სოციალური სტრუქტურები იცვლებიან. მოდგმები ერთმანეთს ასაფლავებენ. მუზეუმებისა და სასაფლაოების რეგისტრატორები რიგორისტულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს;

გერმანელი გნოსეოლოგები ლოგიკის სახელმძღვანელოებს წერენ ბ[illegible]ურეტერული სათაურით, თითქოს ცხოვრების აზრი ლოგიკაში იყოს, თითქოს პროფესორულ სილოგიზმებში ჭეშმარიტება გამოისახებოდეს. მიწისძვრის, კატასტროფებისა და შემთხვევების წინაშე ლოგიკა თავის სილოგიზმით ისე საცოდავად გამოიყურება, როგორც სველი ქათამი ქარიშხლის დროს ტრიალ მინდორზე; ლოგიკა შეთხზული კლასობრივი ცხოვრების პირობებში, ლოგიკა, აშენებული გაბატონებულ სოციალურ ინტერესებზე — ლოგიკა ისტორიის ფიზიოლოგიური პერიოდისა ვერ ამართლებს არსებობის კოსმოსურ-ირაციონალურ დენას და ადამიანის ცხოვრების ყოველდღიურ მოვლენებს; არსებობა ტრაგედიული და გაორებულია ისე, როგორც ძველად იყო, მაგრამ არასოდეს გაორების გრძნობა ისე მწვავე არ ყოფილა, როგორც ჩვენს დროშია; ლოგიკა და მორალი კაცობრიობისა არასოდეს ისე უშინაარსო და ღატაკი სახით არ გამოიყურებოდა, როგორც დღევანდელ პირობებში; სქელტანიანი წიგნები, დიდი ბიბლიოთეკები და მუზეუმები, კომენტარიები დაუსრულებელი ციტატებით თითქოს დასცინიან ადამიანის საცოდავ ხვედრს ამ ქვეყნად: კაცობრიობა თავისი მორალით და ლოგიკით დაემსგავსა იმ ჭირვეულ ძროხას, რომელიც მიაბეს მშვენიერ საბალახო ადგილზე, მაგრამ წყვეტს თოკს და გარბის უდაბნოში.

ფილოსოფოსების მორალი, რომელიც ისტორიულად შემუშავდა კლასობრივი ცხოვრების პირობებში, შეიცავს ჩვენი საუკუნისა და ჩვენი ყოფისათვის უაზრობას: მორალი კუთხურ-ეგოცენტრისტული ყოფისა, მორალი ადამიანისა, რომლის მსოფლგაგება დამწყვდეულია კუთხური ფსიქოლოგიის ორანჟერეაში, მორალი პატრიციებისა, ფეოდალებისა, კაპიტალისტებისა რას ეტყვის ჩვენს სულს, გადაწოლილს უსაზღვროებაში, შეშინებულს კოსმოსური სიღრმით და შემთხვევებით? ჩვენი სულის ისტორიული ნავსაყუდელი თავისი პრინციპებით ჩაინგრა უსაზღვროების ოკეანეში: ოჯახი, სახელმწიფო, რელიგია, სინდისი ღირებულების თვალთახედვით ოდესღაც მარადიულ უნივერსალიებს წარმოადგენდნენ; ოჯახი, სახელმწიფო, რელიგია, სინდისი დღეს ჩვენი სულისა და მსოფლგაგებისათვის ისეთივე პროდუქტებია დროულ-სივრცული არსებობისა, როგორც სხვა რამე ნივთიერება, კაცობრიობა თავისი ცივილიზაციით იძირება ქაოსის ხახაში; სული იტანჯება ტანის კონსვულსიებში; გრძნობა ნერვულ-უჯრედული ივსება წარმავლობის სევდით და ადამიანი ეძიებს საშუალებას, რომ გაამართლოს

თავისი პლანეტარული წვალება, რომ დაუკავშიროს წუთისოფლური ყოფა შარადობასა და მშვენიერებას.

ღმერთების გამოგონებას, ფილოსოფიურ სისტემებს, მორალურ პრინციპებს ბოლოს და ბოლოს ჰქონდა ერთადერთი მიზანი: — ცხოვრების აზრის გამონახვა; ისტორიის ინდივიდუალისტური ეპოქები ცხოვრების აზრს ეძებდნენ დიადსა და ძლიერ სახეებში — ღმერთებსა და გმირებში; კაცობრიობა ანთროპომორფისტული ეგოცენტრიზმის თვალთახედვით მსჯელობდა ყოველთვის—რაც ადამიანისათვის სასარგებლო და სასიამოვნო იყო, ის სიკეთედ ითვლებოდა; რაც ადამიანის სურვილებს ეწინააღმდეგებოდა, რაც ადამიანს ხელს უშლიდა ცხოვრების გალამაზებაში, ყველაფერი ბოროტება იყო. დიდი მორალისტები და ფილოსოფოსებიც ასე უყურებდნენ ცხოვრებას: უდიდესი ფორმულა ინტელექტუალური კულტურისა — კ ა ნ ტ ი ს ფილოსოფია თავისი მორალით ანთროპომორფიზმის ფილოსოფიაა; ადამიანის ინტერესებით, ადამიანის სურვილებით, ადამიანის ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური ბუნებით ისაზღვრება კრიტიციზმის გააზრების ჰორიზონტი; თუმცა კანტს ეს ხშირად ავიწყდებოდა, მაგრამ კანტის ფილოსოფია ამისი საუკეთესო ილუსტრაციაა. ადამიანი შემოქმედებითი ევოლუციის ყველაზე უფრო სახიერი და ორიგინალური ფენომენია: მას აქვს ისეთი გამჭრიახობა, რომელიც არც ერთ სხვა ცხოველს არა აქვს; მას აქვს საშუალება, მეცნიერებაში განასახიეროს მთელი რიგი გასული მოვლენებისა; მას აქვს ყოფის ისტორია, კულტურა ნებისყოფისა, გრძნობის მატერიალიზაციის მოხერხება ხელოვნების სახით; ადამიანი შემოქმედებაში თითქოს აგრძელებს ბუნების ევოლუციას: ბუნების გრანდიოზულ ლაბორატორიაში ადამიანმა შექმნა საკუთარი კუთხე, სადაც ადამიანი წინათ თავის თავს გრძნობდა მეფედ და საიდანაც დღეს იგი იხედება უსაზღვროების არეში, სავსე შიშით და ექსტაზით: შიში მეობის დაკარგვისა აწუხებს სულს, — შიში ინდივიდუალური ყოფის წაშლისა აწვალებს ადამიანს; შიში — ეს დაკავშირებულია კულტურის განსაკუთრებულ ფორმასთან, წარმოების რეორგანიზაციასთან; სოციალური ყოფის რეორგანიზაცია — ახალი წყობა საყოფაცხოვრებო საშუალებათა სულს მისცემს თავისებურ გადახრას: კუთხურ ფსიქოლოგიაში გაწვრთნილი სული, ამჩნევს რა უსაზღვროების ფართო არეს, ივსება შიშით; როდესაც სული გაიწვრთნება სოციალური ყოფის პირობებში, შიში უსაზღვროების წინაშე ადამიანში გაქრება; გრძნობათა სოციალიზაცია აიყოლიებს სულს: მწუხარების გაზიარება სულს ტკივილებს გაუნახევრებს, სიხარულის გაზიარება სიხარულს გაუორკეცებს.

უსაზღვროების სევდა ჩაუშვება ადამიანის სულში კოსმოსური სიყვარულის საზი ღიმილით: მეობა შეიცნობს თავის ხვედრს მარადიულს და შეცნობის წვაში დაიფერფლება.

იდეათა გენეზისი

არსებობისათვის ბრძოლაში ადამიანი გადარჩა როგორც ჯიში, იმიტომ, რომ თავისი ორგანული და ნერვულ-უჯრედული წყობით იყო სხვა ცხოველებზე უფრო ამტანი გაჭირვებისა; ვინ იცის, რამდენი ჯიში ცხოველისა გადაშენდა, რადგან ვერ აიტანა არსებობის პირობები; ვინ იტყვის, რამდენი სხვადასხვა ფორმა ორგანული ცხოვრებისა დაიღუპა არსებობისათვის ბრძოლაში მანამდე, სანამ, ასე თუ ისე, ჩამოყალიბდებოდა ბუნება იმ ფერებით და სახეებით, რომელთაც ჩვენ დღეს ვხედავთ; პრეისტორიული ეპოქები პლანეტური ცხოვრებისა საერთოდ სტიქიურად მიმდინარეობდნენ: გარკვეული ფორმები არსებობას არ ჰქონდა; ცხოველები ერთმანეთს სპობდენ; ადამიანი მოკლებული იყო სოციალურ ორგანიზაციებს და იმ მდიდარ ინტელექტს, რომლითაც იგი დღეს აწესრიგებს ბუნების მოვლენებს და ეწევა წარმოებას ნედლი მასალების გარდაქმნით. პირვანდელი ფორმა კულტურის ორგანიზაციისა ხდებოდა შემთხვევათა კოორდინატებით: ერთი შემთხვევიდან მეორემდე, მეორიდან მესამემდე ადამიანი მდგომარეობის მიხედვით ეწყობოდა თანდათანობით; ამასთანავე, ვითარდებოდა სულიერად და გონებით; — ადამიანი, რაც უფრო იბრძოდა არსებობისათვის, მით უფრო ეცნობოდა ბუნებას, ეცნობოდა იმ ძალებს, იმ მოვლენებს, რომელთაც ყოველდღიურად ხედავდა; პრეისტორიული ტიპი ადამიანისა იძულებული იყო შეგუებოდა იმ პირობებს არსებობისას, რომელსაც იგი უყურებდა თავის გარშემო: ბუნება, მდიდარი მცენარეებით, ფრინველებით და სხვადასხვა ჯიშის ცხოველებით, იშლებოდა პრეისტორიული ადამიანის წინაშე როგორც უზარმაზარი სამხეცე. ადამიანი, თუმცა ცუდად შეიარაღებული, მაინც იცავდა თავს გაჭირვებაში და დროგამოშვებით თვითონ გადადიოდა შეტევაზე იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვდა მისი საყოფაცხოვრებო ინტერესები; დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ადამიანი პირველად გაეცნო ცხოველებს მონადირეობის დროს: მონადირეობა პირვანდელი ფორმა იყო ადამიანის ხელობისა და სოციალური ურთიერთობის ორგანიზაცია ადამიანთა შორის პირველად მონადირეობის პროფესიამ ჩამოაყალიბა; ადამიანი ეცნობოდა

მეორე ადამიანს, ან ებრძოდა მას, ან ემორჩილებოდა, და ასე თუ ისე [illegible] ტანჯვით ქმნებოდა პრიმიტიული ფორმა საზოგადოებრივობისა, სოციალური ორგანიზაციისა. ცხოველების ეაცხობამ ადამიანი სულიერად გადახარა ცხოველური კულტურისაკენ. ადამიანი ცხოველთა ერთ ჯგუფს ეგუება, თანდათანობით ეჩვევა და შემდეგ ცდილობს მათ მოშინაურებას სოციალური საჭიროებისათვის; ხოლო ცხოველთა მეორე ჯგუფს თვითონ ემორჩილება, ისახავს ღმერთებად, სწირავს მსხვერპლს, თაყვანისცემით და ლოცვებით მიმართავს; ცხოველებისა და ფრინველების ხასიათი, გარეგნობა, მოყვანილობა, ჯიშური თვისებები სოციალური კულტების შინაარსად იქცევიან: მწუხარება და სიხარული, იმედები, გრძნობები და იდეალები ადამიანისა უკავშირდებიან ცხოველურ-მცენარეულ ბუნებას მჭიდროდ; ადამიანის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაში იწყება გადახრა პროფესიისაკენ; ცივილიზაციის ისტორიაში საერთოდ აღსანიშნავია სულის გადახრა პროფესიისა და მდგომარეობისაკენ: რელიგია და ხელოვნება ხალხისა იმ შინაარსისაა, რა შინაარსისაა ყოველდღიური პროფესია, არსებობის საშუალება ხალხს; მონადირე ხალხის ესთეტიკური და რელიგიურ-ფილოსოფიური გრძნობები დაკავშირებულია, როგორც შინაარსით ისე ფორმით, მონადირეობის ყოფა-ცხოვრებასთან, მის ფსიქოლოგიასთან; მიწათმოქმედების კულტურა ქმნის ისეთი შინაარსისა და ფორმის ხასიათის ფსიქოლოგიას, ისეთი რელიგიურ-ესთეტიკური იდეალების მიმართებას, რომელსაც ჩვენ სრულებით ვერ ვხედავთ მონადირე ხალხის ცხოვრებაში: ავსტრალიელების კორობორი (corroborys), ციმბირის დათვის კულტი და ელევზინის მისტერიები საბერძნეთისა ამტკიცებს ჩვენს ძირითად დებულებას იმის შესახებ, რომ სული საერთოდ იხრება მდგომარეობისაკენ: ყოველი ურთიერთობა მდგომარეობისა და სულის თავისებურ ფორმას იძლევა შემოქმედებისა და განცდისას. შემოქმედება სოციალური განცდის ორგანიზაციაა.

შარლ ლეტურნოს* აღწერით ავსტრალიელების კორობორი შემდეგი შინაარსისაა: საღამოს, როდესაც მთვარე გამოჩნდება, მთელი სოფელი შეიკრიბება ისეთ გაშლილ მინდორზე, რომელიც შემოზღუდულია ბუჩქნარით; შუაში დაანთებენ ცეცხლს, ირგვლივ ორ წყებად — ერთი მხრით ქალები, მეორე მხრით ვაჟები — დასხდებიან; მასლობლად დადგება უფროსი ჯოხით ხელში; ქალები სხედან და ხელთ

* La civilisation des barbares.

უკავიათ გაბერილი ტყავები, ჩვენებური დოლის მსგავსი, და პატარ-პატარა ჯოხები; ვაჟები, წელზე შემორტყმული ტყავებით და ფრინველთა ფერადი ფრთებით, წამოდგებიან და როგორც კი დირიჟორი (უფროსი) გააქნევს ჯოხს, იწყებენ ცეკვას; ქალები ასმაურებენ დოლებს; ცეკვა თანდათანობით ინტენსიური ხდება და როდესაც მოცეკვავენი დაიღლებიან, გარბიან ბუჩქების უკან, ისვენებენ, დასვენების დროს შემოირტყამენ ახალი ფერის ტყავებს კიდევ სხვადასხვა ახალი ფერის ფრთებით; როგორც დირიჟორი ნიშნებს მისცემს, გამორბიან ცეცხლის პირად და ისევ იწყებენ ცეკვას; ქალები ისევ ასმაურდებიან დოლებით და ჯოხებით; ასეთი სცენები გრძელდება მანამდე, სანამ სავსებით არ დაიქანცებიან მოთამაშენი და მაყურებლები: მთვარიანი ღამე, გაშლილი არე, ველური ფსიქიკის თავაწყვეტილი ექსტაზი იძლევიან სულის რელიგიურ მისტიკურ განცდას; ტყავები, რომლებიც შემორტყმული აქვთ მოთამაშეებს გვერდებზე სხვადასხვა ფერის ფრთებით, რომლებითაც დამშვენებული აქვთ მათ ტანები, მაჩვენებელია იმ ურთიერთობისა, რომელიც უკავშირებს მონადირე ხალხს ცხოველებსა და ფრინველებს — საერთოდ ბუნებას ნადირობის დროს.

დათვის დღესასწაული ციმბირში დაახლოებით ასეთივე ფორმაა მონადირე ხალხის ესთეტიკური ცხოვრებისა და შემოქმედებითი განსახეობისა: რომელიმე შეძლებული მონადირე სახლის ერთ კუთხეში დააფენს დათვის ტყავს, წინ დააგდებენ დათვის თავს, ცხვირზე ჩამოკიდებენ რგოლს, თვალებზე ვერცხლის ფულებს; შემდეგ იმართება ქეიფი, იშლება სუფრა და სახლის პატრონის შეძლების მიხედვით გრძელდება დროსტარება რამდენიმე დღეს: თუ სახლის პატრონი შეძლებულია, მდიდარია, დროსტარება თითქმის მთელი კვირის განმავლობაში გრძელდება, თუ არა და სამი-ოთხი დღე; საერთოდ ციმბირში დათვის დიდი პატივისცემა აქვთ, — ამბობენ, რომ დათვი წინათ ცაში ცხოვრობდა და ადამიანისადმი სიყვარულმა ჩამოიყვანა ქვეყნად. ციმბირის ცივი, მწირი ბუნება, უღრანი ტაიგები და თვალგადაუწვდენელი ტუნდრები საშუალებას არ აძლევენ ადამიანს მიწის დამუშავებისას, ხელი მიჰყონ ინდუსტრიას და ამიტომ ადამიანი არსებობისათვის ბრძოლაში ამართლებს თავის წუთისოფლურ ყოფას და იკმაყოფილებს ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს ნადირობით: ნადირობა იძლევა ხორცს, ტყავს; ხორცით ადამიანი იკვებება, ტყავს იცვამს და ამით იგი სიცივისაგან თავს იცავს: ნადირობა არსებობის საშუალებაა და ამ საშუალებასთან ესთეტიკური ვემოვნების დამაკმა-

ყოფილებელიც; ხალხი, რომელიც ნადირობით ცხოვრობს, თავის რელიგიურ-ფილოსოფიურსა და ესთეტიკურ მოთხოვნილებებს იდეოლოგიურად განასახიერებს ისეთ ფორმაში, რომელიც ფსიქოლოგიურად გამომსახველია სანადირო ყოფა-ცხოვრებისა; ცხოვრების აზრი მონადირე ხალხისათვის ისახება ნადირობის პროფესიაში და ამ პროფესიის წარმოებაში წარმოშობილ ფსიქოგენეტიკურ ატრიბუტებში; რელიგიურ-ესთეტიკური სიმბოლიზმი აქ ზოომორფიზმით თავდება და სული შემოქმედებით ილუზიებში ისეთ სახეებს ხედავს, რომელთაც კავშირი აქვთ ორგანული და სოციალური ცხოვრების ინტერესებთან.

გადმოვიდეთ ისეთ ქვეყანაში, სადაც ხალხი არსებობისათვის ბრძოლაში ეყრდნობა არა ნადირობას, არამედ მიწათმოქმედებას, მიწის დამუშავებას: ასეთ ქვეყანაში ხალხის იდეოლოგია, ფილოსოფია, ესთეტიკა, რელიგია — საერთოდ ხალხის სული თავის ილუზიებით, იდეალებით, გრძნობებით იხრება მდგომარეობისაკენ, სოციალური ყოფისა და ბუნებრივი პირობებისაკენ — მიწის დამუშავებისა და მცენარეების კულტისაკენ; მთელი ცხოვრება ადამიანს მაშინ ესახება როგორც ერთგვარი ესთეტიკური ფენომენი, გაშლილი ინდუსტრიულ არეებში და განათებული სოციალური ესთეტიზმის შინაგანი, ინტუიციური ხილვით; თითქოს ადამიანი, შეყვარებული და გატაცებული მიწის სიმშვენიერით, ნოყიერებით, მკისა და მუშაობის სილამაზით, სახავს ცხოვრების აზრს თავისი პროფესიის ინტერესებით და გემოვნების ისეთი მიმართებით, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ ამყოლობას სოციალური ყოფისას.

ჰ ო მ ე რ ო ს ი აგვიწერს თავის „ილიადაში" აქილევსის ფარს და ამ ფარზე გამოსახულ დღესასწაულს, რომელიც ყურადღებას აქცევს აგრარულ ინტერესებს; აწერაში მოცემულია სურათი: შორიდან მორანს ყანა, სადაც მუშაობენ დაქირავებული მუშები პრიალა, ალესილი ნამგლებით; უკან აწყობენ პატარ-პატარა ძნებს მოჭრილი პურისას; ძნებს ულოებით კრავენ; ბავშვები ეხმარებიან დედებს; შუაში დგას მებატონე დიდი ჯოხით ხელში და ჩუმად უყურებს გაფაციცებულ მუშაობას; ცოტა მოშორებით, მუხის ქვეშ ანთია ცეცხლი; ცეცხლს აქით ვენახია. საიდანაც ოქროს ფერი ყურძენი ლივლივით ისვრის სხივებს; ვენახი შემოზღუდულია დიდი თხრილით. ვენახისაკენ მიდის ბილიკი; ამ ბილიკით მიდიან და მოდიან ახალგაზრდები ყურძნით სავსე კალათებით; ახალგაზრდათა შორის არის ერთი, რომელსაც ხელში უკავია ჩანგი და მღერის სათუთი ხმით; მის გარშემო მწყობრად სიმ-

ღერით და ყვავილით მოძრაობს ფერხული*. „ილიადა“ გამომსახველია საომარი ფსიქოლოგიისა: მთავარი მომენტები „ილიადაში“ ეხება ბრძოლას, ომს, ქალაქის აღებას; მაგრამ სოციალური ინტერესის გადახრა აგრარიზმისაკენ — მიწის კულტისაკენ მაინც გარკვევით ჩანს: ყანა, ბუნება, სიხარული, ნოყიერებით გამოწვეული, ბაღი, ყურძენი, ახალგაზრდები კალათებით — ყველაფერი ეს მაჩვენებელია იმისა, რომ ზოომორფული პერიოდი კულტურის დამთავრებულია: ადამიანი ისე არ ანდომებს თავის ცხოვრებას ცხოველზე დაკვირვებას, როგორც წინათ: აგრარული კულტურა თავისებური სოციალური ინტერესებით, მიწის სისტემატური დამუშავებით, ნოყიერებით, მცენარეებით თანდათანობით ამზადებს ნიადაგს ანთროპომორფიზმისათვის; ზოომორფული პერიოდი კულტურისა — პერიოდი მინოტავრებისა, კენტავრებისა, კალიდონიის გარეული ღორებისა ადამიანს არ აინტერესებს; იყო დრო, როდესაც მსხვერპლი მიჰქონდათ მინოტავრებისათვის; კრეტის მინოტავრისათვის ხშირად მიყავდათ მსხვერპლად ლამაზი ქალები; დიდ პატივისცემაში იყვნენ ვეფხები, ლომები, კალიდონიის გარეული ღორები, ძველ ეგვიპტეში ნიანგები; ამ ცხოველებს ემსახურებოდნენ საგანგებოდ დანიშნული მოძღვრები—მოგვები, საუკუნეთა განმავლობაში ამუშავებდენ რელიგიურ რეგალიებს, ადათებს; ცხოველთა სამყარო ადამიანის მსოფლგაგებაში ტრანსცენდენტური სიდიადით იმოსებოდა: ძველ ევროპაში, მაგალითად, ფიქრობდნენ, რომ დათვი მეორე სამყაროდან იყო მოსული; დასავლეთ ევროპაში ტაძრების ბალიუსტრადებსა და სახურავებზე დღესაც დაინახავთ გამოყვანილს სახეებს ლომისას, ვეფხისას, ქიმერებისას; საკმარისია მოვიგონოთ პარიზის დიდი ტაძრის სახურავზე ამართული chimères, რომ დავრწმუნდეთ ზოომორფიზმის ატავისტური ნაშთები თუ როგორ დარჩენილან ახალი ევროპის ცივილიზაციის ნაკეცებში. ხოლო წარმოების ცვლილება — მონადირეობის ორგანიზაციის თანდათანობით დაშლა, მიწათმოქმედების კულტურის გაფართოება. შეცნობა ბუნების მოვლენებისა, სოციალური ინტერესის თვალსაზრისით ზოგიერთი ცხოველი ს დაახლოება და მათი საშუალებით ინდუსტრიის ინტენსიური განვითარება ადამიანის ფსიქიკას ცვლის: ადამიანს აინტერესებს ცხოველებზე უფრო მეტეოროლოგიური მოვლენები, გეოგრაფიული ცვლილებანი, დღე და ღამის ტრიალი, სიცხე, წვიმა, ხმელეთი, ზღვა, სქესთა ურთი-

---

* „ილიადა“, სიმღერა XXVIII.

ერთობა, სიკვდილი, სიცოცხლე, სიყვარული; საერთოდ სული ადამიანისა იღებს უფრო რელიგიურ-ესთეტიკურ და ფილოსოფიურ ხასიათს; ცხოვრების აზრის ძიება, განცდა სიტკბოებისა და სიმწარისა, დიონისესა და აპოლონის კულტების განყენებითი ფორმები. დემეტრა და ელევზინის მისტერია კულტურის აგრარული გადახრის მაჩვენებელია: მიწა მცენარეებით და ხილით, ზამთარ-საფხულით. თესლის ორგანული მობრუნებით განცვიფრებას იწვევდა ადამიანში და ადამიანი. სავსე ექსტაზით, მართავდა დღესასწაულებს მიწისა და მისი ნოყიერების სადიდებლად, მიწის კულტი ხელოვნებაში შედეგი იყო მიწის დამუშავებისა და იმ სოციალური საჭიროებისა, რომლითაც ადამიანი დაკავშირებული იყო მიწასთან; დიონისე და დემეტრა მარადიული სუბსტანციები კი არ არიან, არამედ — განსაკუთრებული მდგომარეობის წარმომადგენლები; არაფერი საერთო დიონისეს კულტთან არა აქვს იმას, რასაც მიაწერენ ნიცშე და უაილდი საბერძნეთის რელიგიას: ნიცშე მართალია მხოლოდ დიონისეს კულტის ანალიზში, მის დაფასებაში კი ცდება; დიონისეს კულტი თანშობილი თვისებაა მხოლოდ მიწათმოქმედებისა და ამას სხვათა შორის ტრაგედიის წარმოშობაც მოწმობს, რომლის მშვენიერ ანალიზს იძლევა იგივე ნიცშე. ადამიანის ცხოვრება იმ ქვეყნებში, სადაც მიწათმოქმედებით არსებობენ, იძლევა იდეოლოგიას მიწათმოქმედების კულტურისას: მეცნიერება, ხელოვნება, ფილოსოფია, რელიგია თავის სახეებსა და იდეებს იღებს საყოფაცხოვრებო პრაქტიკაში; არ არის მართალი ის აზრი, რომელიც შემოქმედების განსაკუთრებულ ფორმებს მიაწერს ადამიანის სულის მოთხოვნილებებს დამოუკიდებლად მდგომარეობისა და პირობებისა; საშუალო საუკუნეების სულის წყობა რაინდობის კულტით, სატრფოთი, ტრუბადურებით, ტრუვერებით, მინეზინგერებით, ძუზარადებით, გრძელი ლეკურებით, რელიგიურ-ესთეტიკური ჰიპერბოლებით ორგანოტროპული გადახრაა მდგომარეობისაკენ — სოციალურ-კულტურული თავისებურებისაკენ: ანტიკური სული თავისი შინაარსით, გამართლებული ყოფა-ცხოვრების ინტერესებით, განსხვავდება საშუალო საუკუნეების სულისაგან. განცდა საშუალო საუკუნეებში სხვა წყობისაა, ანტიკურ ქვეყნებში კი — სხვა წყობის: საშუალო საუკუნის ადამიანი მოკლებულია იმ ნათელსა და გარკვეულ წარმოდგენას ქვეყანაზე, რომელიც ჰქონდა ანტიკური სახელმწიფოების ადამიანს: ანტიკური სული იღებს ცხოვრებას როგორც ერთგვარ პლასტიკურ არეს. სამყაროს შეიყურებს როგორც კრისტალურ ორანჟერეას, საშუა-

ლო საუკუნეთა სული განიცდის ტეხას, ტკივილებს, ერთგვარ douleur vague-ს, რომელიც ახალ საუკუნეებში ფსიქოლოგიურად დამთავრდება უსაზღვროების შეგრძნებით. ინკვიზიციები, ფეოდალთა ომები, ჯვაროსნების ლაშქრობა, ნაოსნობა, ამერიკისა და კუნძულების აღმოჩენა დიდ ოკეანეზე კაცობრიობის სულს თანდათანობით აძლევს კოსმოსურ ხასიათს; შემდეგ დიდი ქალაქების განვითარება, მანუფაქტურა, ვაჭრობა-მრეწველობის ვაგაბონდაჟი, საზოგადოებრივ მოძრაობათა პერიპეტიები, ეკონომიური და ინდუსტრიული საჭიროებანი აერთებენ ადამიანებს, სპობენ კუთხურ-ინდივიდუალისტურ კარჩაკეტილობათა ზღუდეებს: დიდი ფეოდალების ეზოები თავიანთი სატრფოებით, ჟონგლიორებით და რაინდებით ცარიელდება, პათოსი ფეოდალური არისტოკრატიისა თანდათანობით ნელდება და ის სილამაზე, რომელსაც უმღერდნენ საშუალო საუკუნეთა დიდი პოეტები არნო დე მარვეი, ბერტრან დე ბორნი, ულრიჰ ფონ ლიხტენშტაინი, ქრება უიმედოდ და სამარადჟამოდ; გულუბრყვილო და კეთილშობილი დონკიხოტები აქა-იქ კიდევ ამშვენებენ ჩამახსა და ჭუჭყიან ქვეყანას თავიანთი ილუზიებით, მაგრამ ეს რაინდული იდეალიზმის უკანასკნელი ფორმაა, ეს უკანასკნელი გაალებაა ტანჯული სულის საშუალო საუკუნეთა ნანგრევებზე.

საშუალო საუკუნეების სახელოსნოებთან ერთად გაქრა სული ფეოდალური არისტოკრატიისა და მანუფაქტურულმა წარმოებამ წარმოშვა ახალი სული bourgeois gentilhomme-ებისა; უდიდესი ფეოდალი დასავლეთ ევროპისა ლუი XIV ინახავდა ევროპის ფეოდალური წარსულის სტილს თავისებური ელეგანტობით, სილამაზით და ყალბი პათოსით: ოტელ რამბუიე იყო ესთეტიკური ქარხანა ფეოდალური არისტოკრატიის ყოველდღიური ცხოვრების ფორმისა, მეტყველებისა და გემოვნებისა; ვოჟლა, მალჰერბი, რასინი, ბუალო თხსავდნენ საფრანგეთის არისტოკრატიის მეტყველებას, ამშვენებდნენ გამოთქმას, ეძებდნენ ლამაზ სიტყვებს. იდეოლოგია ცრუკლასიციზმის ისტორიული ფსიქოლოგიაა ვერსალის არისტოკრატიისა, მისი ფილოსოფიისა და ესთეტიკისა, მისი განცდისა და ილუზიების. ცრუკლასიციზმი თავის ძირითად მომენტებში ემსახურებოდა ლუი XIV-ის სახელმწიფოებრივ სისტემას, გამოსახავდა ამ სისტემის იდეას და ყოველი ლიტერატურული ფაქტი დაკავშირებული იყო ვერსალის ცხოვრებასთან იმდენად, რომ დაეკმაყოფილებინა გემოვნება ყოველდღიური ცხოვრებისა და ბრძოლა კამოეცხადებინა ყველაფრისათვის, რაც ვერ-

სალს არ მოეწონებოდა: ამ თვალსაზრისით მოღვაწეობდნენ არა მარტო პოლიტიკის იდეოლოგები, არამედ დიდი ესთეტები და ლიტერატორებიც — კ ო რ ნ ე ლ ი, რ ა ს ი ნ ი, ბ უ ა ლ ო: იყო მხოლოდ ერთი ადამიანი, რომელიც ეჭვებით და ირონიით უყურებდა ამ ფეოდალური ესთეტიკის ფორმას და რომელსაც საერთოდ ეძნელებოდა ყოველდღიურობასთან შერწყმა: ეს იყო მ ო ლ ი ე რ ი, რომელმაც შემდეგ ფსიქოლოგიურად ნიადაგი მოუმზადა თავისი რეალიზმით და ირონიით ფრანგულ სცენაზე შ ე ქ ს პ ი რ ს; საერთოდ საფრანგეთში შ ე ქ ს პ ი რ ი დიდხანს იყო დევნილი, თვით ვ ო ლ ტ ე რ ს ა ც შ ე ქ ს პ ი რ ი ეზიზღებოდა იმიტომ, რომ შ ე ქ ს პ ი რ ი ს ირაციონალიზმი და ტრაგიკომედია გაუგებარი იყო საფრანგეთის არისტოკრატიისათვის, რომელიც ცხოვრებას უყურებდა თავისი არისტოკრატიული რაციონალიზმის ინტერესით.

ისტორიული ეპოქები ცივილიზაციის ენორმულ გაქანებაში შემოდიან თავიანთი გარკვეული სტილებით, პრინციპებით, იდეალებით; ყოველ ეპოქას აქვს ინდივიდუალური სული, გამოსახული როგორც ფორმაში, ისე შინაარსში, — და გამომსახველი მოელი თავის წყობით სოციალური საჭიროებისა და განცდისა, სოციალური ტკივილებისა და იდეალებისა; მეცნიერება და ხელოვნება თავიანთი კონსტრუქციებით და მეთოდებით, თავიანთი მასალებით და ფორმებით ემსახურებიან ეპოქის გაბატონებულ გემოვნებას, ე პ ო ქ ი ს ე ს თ ე ტ ი კ ას; აკადემიური და მეცნიერული პრობლემები განლაგდებიან ყოველ საუკუნეში სოციალური საჭიროებით შექმნილი ესთეტიკური პრინციპის მიხედვით; სული კაცობრიობისა წუთისოფლის ხვეულებიდან მეცნიერებისა და ხელოვნების კონსტრუქციისათვის იღებს ისეთ მასალას, ისეთ ფერს, ისეთ ხერხს, რომელთა საშუალებით კმაყოფილდება საზოგადოებრივად გაბატონებული ესთეტიკური პრინციპი; საშუალო საუკუნეებში ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს სილოგიზმებით ამტკიცებდნენ აი რას: ადამიანი უკვდავია იმიტომ, რომ სიტყვა moi, რომელიც იწყება რომაული m-ით წარმოადგენს სამი ტეხილი ხაზის გაერთიანებას; ცხადია, აქედან, ამბობენ საშუალო საუკუნეთა ბერები, ადამიანის მე-ს (moi) საქმე აქვს სამებასთან, ღმერთთან; აზრი ადამიანისა ამ მიმართებით ეწყობოდა და ასეთ შემთხვევით რამეებზე აშენებდა სერიოზულ აზრებს საიქიოს შესახებ იმიტომ, რომ გაბატონებული იდეოლოგია საშუალო საუკუნეთა მოითხოვდა ამაზე ზრუნვას. ბურჟუაზიული წყობა სულისა თავისი მისტიციზმით, რაციონალიზმით სუბიექტივიზმისა

და განაპირების განსახიერებაა: ყოფა ბურჟუაზიული თავისი კერძო საკუთრებით, უსაქმობით, ჰვრეტით, მ ე ტ ე რ ლ ი ნ კ ი ს ე ბ უ რ ი სიჩუმისა და მისტიციზმის ფილოსოფიით თავდება; ცხადია, აზროვნებას აქვს უსათუოდ ერთგვარი გადახრა მდგომარეობისაკენ; ჩვენ სრულებით არ ვამბობთ იმას, რომ ამ გადახრას ჰქონდეს აბსოლუტური მნიშვნელობა; ჩვენ საერთოდ არა გვწამს არავითარი აბსოლუტი და ამ შემთხვევაშიც ჩვენ ვლაპარაკობთ რელატივისტური თვალთახედვით: აზრი ადამიანისა, რომელიც არის ბოლოს და ბოლოს საფუძველი ყოველგვარი კულტურისა და შემოქმედებისა, რომლის გარეშე არ შეუძლია არსებობა არც მეცნიერებას, არც ხელოვნებას, არც ფილოსოფიას, აზრი, რომლიდანაც ჩვენ ვიწყებთ შეცნობას და ვათავებთ მას, ეწყობა არა თვითნებობით, არამედ კორელატურად: შეუძლებელია აზრი უსაგნოდ, საგანს იძლევა მდგომარეობა; მაშასადამე, აზრი იხრება მდგომარეობისაკენ volens nolens; მყარი პირობები არსებობისა ანტიკურ ქვეყნებში აწყობდა ისეთ მდგომარეობას, რომელიც განსაკუთრებულ მიმართებას აძლევდა ანტიკურ სულსა და შემოქმედებით ნებისყოფას; დიქტატორი შემოქმედებითი ნებისყოფისა — დირიჟორი სულიერ მოვლენათა ანტიკურ ქვეყნებში იყო პანთეისტური ესთეტიზმი: ყოველი ფორმა ბუნებისა ესახებოდა ელინს როგორც ვლენა ღვთაებრივობისა, მშვენიერი სრულყოფისა; ამ იდეას ანტიკური სული ერთნაირად გამოსახავს როგორც ხელოვნებაში, ისე ფილოსოფიაში: იდეა სრულყოფისა — პანთეისტური ესთეტიზმისა გამოსახულებაა ბერძნული სულის მთავარი თვისებებისა.

ქრისტიანულმა ფილოსოფიამ ეს იდეა გადაიტანა მეორე ქვეყანაში — საიქიოში და მთელი რიგი საუკუნეთა ინკვიზიციებით და ინდულგენციებით აზროვნების წყობას აძლევდა თავისებურ ფორმას; ბერები ცდილობდნენ აზროვნების ძირითადი პრინციპის გადატანას თეოლოგიაში: სამუალო საუკუნეთა მეცნიერების დევიზი იყო ფრაზა: — „ფილოსოფია მოსამსახურეა თეოლოგიის“. ამით ამბობდნენ: აზროვნება ჭეშმარიტი და სწორი მაშინ არის, როდესაც გონება აწყობილია საიქიოს იდეაზე, ისეთ მეცნიერებაზე, რომელიც ღმერთისა და საიქიოს წარმოდგენას არკვევს — ესე იგი თეოლოგიაზე.

წარმოების ვითარებამ თანდათანობით გაარღვია მარჭვლები სამუალო საუკუნეთა სოციალური სტრუქტურისა და ამასთანავე ინტელექტუალურ გრადაციათა მთელი რიგით, ბურჟუაზიული სულის დეფორმაციით ადამიანი მიიყვანა იმ ზომამდე, რომ ამტკიცებს: აზროვნება

სწორია და ჭეშმარიტი მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ეთანხმება პროლეტარული იდეოლოგიის ძირითად პრინციპებს, მარქსისტული ფილოსოფიის დიალექტიკურ მეთოდოლოგიას; თუ საშუალო საუკუნეთა მეცნიერები ამტკიცებდნენ — აზროვნება უნდა ეწყობოდეს თეოლოგიის პრინციპების მიხედვითო — ჩვენი საუკუნე გარკვევით და კატეგორიულად ამბობს: აზროვნება უნდა ეწყობოდეს მარქსიზმის მიხედვით; მეცნიერება, ხელოვნება, ფილოსოფია ძირითად ფორმებში უნდა გამოსახავდეს მარქსიზმის იდეას. მთელი სოციალისტური კულტურა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ერთნაირად ამტკიცებს, რომ სამყაროისა და არსებობის ჭეშმარიტი და სწორი გაგება არის მარქსიზმი — მარქსისტული სოციოლოგია.

ამრიგად, სულიერობის ენტელექტურ გაქანებაში ჩვენ ვხედავთ დროგამოშვებით გადახრას ხან ერთი სოციალურ-კულტურული მდგომარეობისაკენ, ხან მეორე მდგომარეობისაკენ, და ხან მესამე... ანტიკური სული იხრებოდა პანთეისტური ესთეტიზმისაკენ, საშუალო საუკუნეთა სული რელიგიური ტრანსცენდენტიზმისაკენ, ჩვენი დროის სული კი სოციალიზმისაკენ: ამ სამ მომენტს მსოფლიო სულიერობისას აქვთ ერთმანეთისაგან განსხვავებული კონსტრუქცია; ყოველ კონსტრუქციაში არის ისეთი თავისებურება, რომელიც თავის ჭკუაზე, თავის გ ე ო მ ო ვ ნ ე ბ ა ზ ე ატრიალებს ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს სილოგიზმებს, კ ა ნ ტ ი ს იმპერატივებს და ნეოკანტიანელების გნოსეოლოგიურ ბავარდაუს. იდეოლოგისტების ლოგიკა თავის სილოგიზმებით და იმპერატივებით, თავისი „მარადიული" პრინციპებით და ალეთოლოგიით, როგორც როსკიპი, ხან ანტიკურ ქვეყანას ეძლევა, ხან ქრისტიანულ თეოლოგიას, ხან პოზიტივისტებსა და სოციალისტებს. ამავე დროს, იდეალისტები, განსაკუთრებით ახალი ტიპის გნოსეოლოგისტები გულუბრყვილოდ და ბავშვური სიამაყით ამბობენ — ჭეშმარიტება არსებობს მდგომარეობისა და პირობების გარშემო. ბ ო ლ ც ა ნ ო ს ა და ჰ უ ს ე რ ლ ი ს მოწაფეები ცდილობენ გნოსეოლოგიური ლოგიკის ჩამოყალიბებას იმ დროს, როდესაც თვით ლოგიკა თავისი სილოგიზმებით და იმპერატივებით ისტორიის არეზე საცოდავად და უაზროდ გამოიყურება. ჩვენ არ მიგვაჩნია არც ერთი დებულება გნოსეოლოგიზმისა და ალეთოლოგიის საყურადღებოდ იმიტომ, რომ თვით გ ნ ო ს ე ო ლ ო გ ი ზ მ ი ლ ო გ ი კ უ რ ი პ რ ი მ ა ტ ე ბ ი თ ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ ი ს ტ უ რ - ი დ ე ა ლ ი ს ტ უ რ ი ი დ ე ო ლ ო გ ი ი ს ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ფ ო რ მ უ ლ ა ა და ახალი ცხოვრების სოციალური საჭი-

�ება ახალი ინტერესებით გადახრის კაცობრიობის სულს ისეთი მიმართულებით, რომელიც ვერ მიიღებს ინდივიდუალისტური ფილოსოფიისა და მსოფლგაგების პრინციპებს ისე, როგორც ჩვენ ვერ მივიღებთ დღეს საშუალო საუკუნეთა ეპისკოპოსურ ფილოსოფიას.

რაც უნდა ბევრი ილაპარაკონ ნეოკანტიანელებისა და ალეთოლოგიის ატაშეებმა „ცოდნათა ცოდნის" შესახებ, ჭეშმარიტების შესახებ, ცხოვრება წინააღმდეგია უნივერსალიებისა.

მდგომარეობა და იდეოლოგია

ქვეყნად ჩვენ ვხედავთ ტანების ურთიერთობას და ამ ურთიერთობით შექმნილ ჰაერეთს პლანეტური ყოფისას: არაფერი არ არის უცვლელი ცის ქვეშ და თვით ცა ცვლილებათა ორთქლია; ოდესღაც ჩვენი პლანეტა გავარვარებულ გამდნარ მასას წარმოადგენდა, დღეს მასზე მოძრაობენ უთვალავი არსები და მათი მოქმედებანი; ასანსიონები და ვიტრინები გაშენებულია იქ, სადაც ოდესღაც ცეცხლის ფრქვევა იყო მოუსვენარი; მოძრაობს ყველაფერი ქვეყნად და უძრაობა მოძრაობის ერთგვარი ფორმაა; დედამიწა, როგორც დიდი ტივი, მოძრაობს უსაზღვროებაში; დედამიწაზე რაც ხდება, ისიც მუდამ იცვლება და ცვლილებათა ქარიშხალს წარმოადგენს ყოფის სული თავისი ისტორიული ეპოქებით, რელიგიურ-ესთეტიკური მღელვარებებით, რევოლუციებით. ქვეყანა ყოველ კუთხეში თავისებური ელემენტების კომბინაციებით და არანეკმანებით ეწყობა: ანთროპოლოგიაში რასები, ბიოლოგიაში ჯიშები, ისტორიაში ეპოქები და მათი სტილები პროდუქტებია მდგომარეობისა და პირობებისა; ბუნებისა და ცხოვრების კატეგორიები, ფილოსოფოსების ატრიბუტები ისტორიულ განცდათა გადმონაშთებია მრავალ წელთა განმავლობაში თანდათანობით დაგროვილი და ჩვეულებებში კანონებად ქცეული; ქვეყნად არ არსებობს არც ერთი კატეგორია, რომელიც არ იყოს პროდუქტი ყოფისა, არსებობისა: ცნება რომელიმე ბუნებრივი და კოსმოსური ფაქტისა ადამიანს ებადება მაშინ, როდესაც პლანეტური ყოფა თავის სოციალურ-ინდუსტრიული განგაშით და არსებობის პერიპეტიებით ადამიანის სულს გადახრის ამ ცნების გენეტიკური მიზეზებისაკენ; აზრი ადამიანის ფორმულაა გენეტიკურ ცვლილებათა განცდისა და სანამ რომელიმე იდეა საზოგადოება-

ში ჩაისახება, მანამ ისტორიული ფაქტები განლაგდებიან გენეტიკურ აუცილებლობაში როგორც თარგები იდეისა.

ყოველი მოვლენა ამ ქვეყნად გამოწვეულია საყოფაცხოვრებო ინტერესებით და რაც სოციალური საჭიროების გარეშე იმყოფება, მას სული ჩვენი ვერ ამჩნევს მანამდე, სანამ არსებობისათვის ბრძოლის ხერხი არ გადახრის ჩვენს ყურადღებას თავის აპერცეფციებით განსაკუთრებული ჰორიზონტისკენ, საიდან გამოჩნდება შედეგი საჭიროებით წარმოსახული იდეებისა რომელიმე მოვლენის ან ფაქტის სახით, ყოველ ყოფას აქვს თავისებური წყობა ფაქტებისა და ყოველ თავისებურ წყობას ფაქტებისას აქვს საკუთარი ფსიქოლოგიური ჰაერეთი, როგორც დედამიწის მოძრაობასა და ორგანულ ყოფას აქვს ჰაერეთი, რომელსაც მეტეოროლოგიაში ეძახიან ატმოსფეროს; ჩვენი პლანეტის გარშემო ატმოსფეროა ჩვენი პლანეტური არსებობის ანაორთქლი და უსაზღვროების გაშლილ არეზე ჩვენი კულტურულ-ცივილიზაციური განგაში, ტორტმანი, ტრაბახი და ღელვა ეფემერულია sub specie aeternitatis: ყოფანი და ეპოქები თავიანთი სტილებით ისტორიაში ისე დაცურავენ, როგორც მოძრავი კუნძულები და ზოგიერთი მატერიკები სამყაროში; ხოლო თითოეული ეპოქა რომ ავიღოთ ცალკეულად, ჩვენ დავინახავთ ეპოქასა და მის ფსიქოლოგიურ ჰაერეთს შორის ურთიერთობას; ეპოქის მყარი სტრუქტურა მიმართებას აძლევს იდეოლოგიას მაგრამ იდეოლოგია თავისებურად გავლენას ახდენს ეპოქის მყარ სტრუქტურაზე; იდეოლოგია არ არის პასიური, როგორც ისტორიული მოვლენა: იდეოლოგია ერთგვარი ფორმაა ბიოლოგიური ენერგიისა და თავისი არსებობისათვის იდეა ისე იბრძვის არსებობის წყვდიადში, როგორც რომელიმე სხეული, როგორც არსი, შეიარაღებული კბილებით, ხორკლიანი კანით, ან რქებით. ცივილიზაციის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ გავლენის ურთიერთობას მდგომარეობასა და იდეოლოგიას შორის: მდგომარეობა იძლევა იდეოლოგიის კონსტრუქციას, იდეოლოგიის განსაკუთრებული კონსტრუქცია გავლენას ახდენს მდგომარეობაზე; მდგომარეობა გადადის იდეოლოგიურ ფორმულაში; იდეოლოგიური ფორმულა არსებობისა მიილტვის მდგომარეობისაკენ; ასეთი ხასიათის ურთიერთობას მდგომარეობასა და იდეოლოგიას შორის ჩვენ ვეძახით ორგანოტროპიზმს; ფილოსოფია ორგანოტროპიზმისა არის განსაკუთრებით გენეზისის ფილოსოფია: ორგანოტროპიზმი ცდილობს გამოარკვიოს, როგორ ისახება

ერთი ფორმა იდეოლოგიისა და როგორ უკავშირდება იგი მეორეს? შეცნიერების მთავარი საკითხი — საკითხი ფაქტიური რაობისა მხოლოდ მაშინ არის გასაგები, როდესაც ფაქტიური რაობა ორგანულად უკავშირდება ჩვენს წარმოსახვაში თავის კონდენსიონობას; ათასი სხვადასხვა სახის გნოსეოლოგიური „პრიმატი“ „წმინდა გონებისა“ ყოველთვის საყოფაცხოვრებო საჭიროებათა გენეტიკური ნაოჭებია, დაკეცილი ისე, როგორც ამას მოითხოვდა ურთიერთობა კლასობრივი, ჯგუფობრივი, პროფესიული და ბედნიერ შემთხვევაში ისტორიულ-ეპოქალური; ყოველ კლასს, ყოველ ჯგუფს, ყოველ პროფესიას აქვს წუთისოფლად საკუთარი და თავისებური აპერცეფციები და ეს აპერცეფციები ყოვლად შეუძლებელია გენეზისის გარეშე; ალეთოლოგიის პრობლემა — ცოდნათა ცოდნის პრობლემა სქოლასტიკური განყენების ნაყოფია და ამ განყენებისათვის ჭეშმარიტება არსებობს არა როგორც რეალური ფაქტი, არამედ როგორც ზედროული უნივერსალია, რომლის არისტოკრატიულ ბუნებას ეშინია გადაკავშირებისა და გენეზისისა; სული კი თავის ორგანულ წყობაში ვერასოდეს ვერ მიაღწევს განყენების უნივერსუმს, თუკი ორგანოტროპულად არ მოდის რომელიმე კონკრეტული მდგომარეობიდან, რომელიმე პირობებიდან; ხოლო პირობების გენეტიკური ვითარება თანდათანობით სულის თვისებებს ქმნის და სულის თვისებები დროგამოშვებით ძალიან დიდ გავლენას ახდენენ პირობების გენეტიკური ვითარების მიმართებაზე და მიმართების გადახრაზე: მარქსიზმი როგორც იდეოლოგია ნაყოფია ისტორიული პირობების განსაკუთრებული მდგომარეობისა — მაგრამ ეს იდეოლოგიური ნაყოფი განსაკუთრებული მდგომარეობისა ცდილობს დააჩქაროს ამ მდგომარეობის ლიკვიდაცია სხვადასხვა სახის ორგანიზაციებით, რევოლუციებით და სხვა... მდგომარეობამ შექმნა იდეოლოგია და იდეოლოგია ქმნის ახალ მდგომარეობას — აი ორგანოტროპული ხასიათი კულტურის ევოლუციისა, ცივილიზაციისა. ისტორიაში არ არის არც ერთი მომენტი, რომელიც არ ემორჩილებოდეს ორგანოტროპული ფილოსოფიის ძირეულ დებულებას: ყოველი საუკუნისა და ყოველი ხალხის იდეოლოგია ყოველთვის თავისებურ გავლენას ახდენს ისტორიულსა და სოციალურ-კულტურულ მდგომარეობაზე; ალეთოლოგიური სქოლასტიკა კლავს იდეას, ახრჩობს იდეოლოგიას გნოსეოლოგიური საფანგებით; ორგანოტროპული ფილოსოფია ამტკიცებს ცოცხალი

მაგალითებით, ისტორიული ეპოქების უთვალავი ფაქტებით იდეის დინამიკურ და შემოქმედებით ხასიათის; ალეგორიულ ლოგიკაში იდეა შოცემულია, როგორც აბრამის ბატკანი, წყნარი, მშვიდი და პასიური, რომელიც ჩაწოლილა „წმინდა გონების" ქალაში და დროგამოშვებით, გახვეული პროფესორული მეტყველების თბილ საბანში, უსინათლო სახით ამოყოფს თავს ლოგიკის მჭლე სახელმძღვანელოებიდან. ორგანოტროპული ფილოსოფია სოციალური საჭიროებისა და პრაქტიკის ფილოსოფიაა: იდეა ორგანოტროპული ფილოსოფიისათვის გენეტიკური მოდუსია სოციალური საჭიროებისა და ატრიბუტები იდეისა სოციალურ შეფარდებათა კოროლარიებია; ამიტომ ჩვენთვის არ არსებობს ცალკეულად, დამოუკიდებლად ლოგიკური პრინციპი მსოფლგაგებისა. ლოგიკა ვასალურ დამოკიდებულებაშია გენეტიკურ რეფლექსოლოგიასთან და ლოგიკური „ფაქტი" ისეთივე პროდუქტია სულიერ მოვლენათა ორგანოტროპული ორგანიზაციისა, როგორც გრამატიკული ფორმა ლიტერატურის ვითარებისა და მეტყველების ევოლუციის შეფარდებით სოციალურ საჭიროებასთან.

ისტორია არის ორგანიზაციული პროცესი და ყოველი ეპოქის სული თავისი კულტურულ-ცივილიზაციური სტილით და ინდუსტრიით წარმოადგენს რეფლექსოლოგიურ ლაბორატორიას, რომელშიც ცნებები ისე მზადდებიან შრომით, წვალებით, თანდათანობით, ჩვეულებათა კოორდინატებით, როგორც რომელიმე დიდ ქარხანაში ჩვენი ყოფაცხოვრების საჭიროებისათვის ნივთები; სული ინტეგრალური სახეა ჩვენი სხეულის ანატომიურ-ფიზიოლოგიური შრომისა და წვალების იმ დიდ ლაბორატორიაში, რომელსაც ეძახიან მდგომარეობას, არეს, ჰაერეთს, milieu-ს; სული ადამიანის წვალებათა და განცდათა კომპლექსია და ეს კომპლექსი ყოველ საუკუნეში და მდგომარეობაში აწყობილია იმ მეთოდით, იმ ხერხით, რომელთაც მოითხოვს დროულ-სივრცული პირობების შერჩეულ მოვლენათა დიქტატურა: ხოლო მოვლენათა შერჩევას იძლევა სოციალური ყოფის საჭიროება. რომელიმე მიწა-წყალზე რომელიმე ხალხი თავისი ისტორიის განსაკუთრებულ პირობებში საჭიროებს სოციალური ურთიერთობის ერთგვარ ფორმას: იდეოლოგია მორალით, ფილოსოფიით, ესთეტიკური გემოვნებით, ხელოვნებით ორგანიზაციულად ეწყობა ამ სოციალური ურთიერთობის ფსიქოლოგიურ ჰაერეთში; სოციალური სულის თარგით იჭრება იდეოლოგიურ სახეობათა თითოეული კომპლექსი; ლოგიკურ-ინტელექტუა-

ლური და მორალური ფორმები ცივილიზაციისა სოციალურ საჭიროებათა ორგანოტროპული რეფლექსებია და არც ერთი მოვლენა, არც ერთი ფაქტი აზროვნებისა არ არის დამოუკიდებელი ორგანულ ჩვეულებათა გადმონაშთებისაგან: შემოქმედება ტექნიკური, სოციალურ-ეკონომიკური, მეცნიერული, მხატვრული მხოლოდ სხვადასხვა ფორმაა სოციალური სულის ორგანიზაციული განცდისა: მეცნიერება ბოლოს და ბოლოს სოციალურ ჩვეულებათა ფსიქიკური ორგანიზაციაა: ძველ ეგვიპტეში მოგვები ხმარობდნენ გეომეტრიას, როგორც იარაღს სოციალური საჭიროებისას: გეომეტრიით სწორად ანაწილებდნენ საყანე მიწებს და საცხოვრებელ კუთხეებს: გეომეტრია ემსახურებოდა სოციალური მეურნეობის პრაქტიკას; ფილოსოფოსი კანტი, გამომსახველი ევროპის ბიურგერულ-ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიისა, გეომეტრიას ეძახის „წმინდა მეცნიერებას", გეომეტრიაში ბურჟუაზიული მსოფლგაგება ხედავს „წმინდა" (reine) იდეას, წარმოდგენას (Vernunft), რომელსაც არა აქვს კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან, სოციალური ყოფის საჭიროებასთან; ფსიქოლოგია, დაშორებული წარმოების ფორმებს, რეალური ცხოვრების მწვავე განცდას, აშორებს მეცნიერების და აზროვნების კონსტრუქციას სინამდვილეს: სული თავისი ინტერესებით ორგანოტროპულად იხრება მდგომარეობისაკენ და არ იქნება პარადოქსი, თუ ვიტყვით: ძველ ეგვიპტეში გეომეტრია თავისი დანიშნულებით იყო ს ო ც ი ა ლ უ რ ი, საშუალო საუკუნეებში—ფ ე ო დ ა ლ უ რ ი, ახალ ევროპაში — ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი; თუ სოციალისტურმა კულტურამ გაიმარჯვა ბურჟუაზიულ-ინდივიდუალისტურზე, მას დასჭირდება მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის სრული ს ო ც ი ა ლ ი ზ ა ც ი ა და არა წვრილბურჟუაზიული პოპულარიზაცია; ყოველი მეცნიერების პირვანდელი ფორმა ს ო ც ი ა ლ უ რ ი ა; თვით ლ ო გ ი კ ა, რომელზეც ზოგიერთებს ალეთოლოგიის და მარადიული ჭეშმარიტების აშენება უნდათ, წარმოადგენს ი დ ე ა თ ა ს ო ც ი ა ლ უ რ ი შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს თ ე ო რ ი ა ს და ლოგიკის მთავარი კანონები სოციალურ ჩვეულებათა ი ს ტ ო რ ი უ ლ ი კოროლარიებია: თუ ჩვენს პლანეტაზე დამყარდება სხვა სახის ყოფა, მაშინ მას ექნება არა მარტო სხვა სახის მორალი და ესთეტიკა. არამედ სხვა სახის ლოგიკური პრინციპებიც: ი დ ე ა ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ო რ გ ა ნ ო ტ რ ო პ უ ლ ი ფ ო რ მ ა ა და სქოლასტიკური ალეთოლოგიის უნივერსალიები სულის ინდივიდუალისტური პრეტენზიების მაჩვენებელია. ბ ე რ გ ს ო ნ ი ს pure perception, კანტის reine Ver-

nunft, ალეთოლოგიური universalia გნოსეოლოგიური პრიმატებით აზროვნების ინდივიდუალისტური კონსტრუქციის თავისებურებაა და ისტორიის იმ პერიოდში, როდესაც ეს იდეები წარმოიშვნენ, აზროვნების სხვა ფორმები შეუძლებელი იყო, ვინაიდან არსებობის საშუალებანი, სოციალური ყოფის საჭიროებანი მოითხოვდნენ ამგვარსა და არა სხვაგვარ ფორმებს აზროვნებისას; ამიტომ ჩვენთვის აზროვნების გნოსეოლოგიური კონსტრუქცია სოციალური განცდის ორგანოტროპული ეპიფენომენია და არა აპრიორული და სუპერისტორიული მოდუსი: „აპრიორული" შესაძლებელია მხოლოდ გენეტიკური გაგებით და რაც განსაკუთრებული მდგომარეობის ნალეკი არ არის, ის მემკვიდრეობით მიღებულია, ის გენეტიკური წვალების შემოქმედებაა. და როგორც ასეთი, ისევ განსაკუთრებული მდგომარეობის პროდუქტია მთელი თავისი თვისებებით და ინდივიდუალური სახეობით. საშუალო საუკუნეთა დავა ნომინალისტებისა და რეალისტებისა განა შეიძლება წარმოვიდგინოთ სოციალისტური კულტურის პირობებში? განა დღევანდელი მისტიციზმი და იმანენტური იდეალიზმი მიეწერება ფსიქოლოგიურად ანტიკურ, ელინურ სულს? აზროვნების კონსტრუქცია ამყოლობაა სოციალურ-პლანეტური წვალებისა და წყობას ლოგიკურ-გნოსეოლოგიურს ადამიანს უკარნახებს სოციალური ფსიქიკის პრაქტიკული, ყოველდღიური ორგანიზაცია: სოციალურ-ინდუსტრიული წარმოების ორგანიზაცია კონსეკანტურად იძლევა ინტელექტუალური ფორმის ორგანიზაციას; ინტელექტი არ არის თავისუფალი; ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური ორგანული პირობები ტემპერამენტის გადახრებით ათავისებურებენ ინტელექტის სახეებსა და ინტუიციის გაალებას; ბიოლოგიურ-ორგანული კონსტრუქცია არსობისა თავისთავად ნაყოფია სოციალური წარმოებისა, წოდებრივ-კლასობრივი პრივილეგიებისა და ხშირად პროფესიულ ვალდებულებათა ბიოლოგიურ-ორგანული წყობა ტანისა სოციალური ყოფის შერჩეულ პირობებში სახიერდება და კარგად მოწყობილი სტრუქტურა არსებობისა მაგარი და ლამაზი კონსტრუქციის ტანს ქმნის; ამნაირად, ჩვენთვის ჯიშისა და რასის პრობლემა ესთეტიკურ-ფილოსოფიური პრინციპებით, ანთროპოლოგიური თვისებებით ორგანოტროპული სოციოლოგიის სფეროში გადადის; ყოველგვარი კატეგორია ორგანული არსებობისა — კატეგორია რასის, ჯიშის, ტემპერამენტისა ჩვენთვის ეპიფენომენია პლანეტური წვალების სოციალური განცდისა. იდეოლოგია ხელოვნებისა და მეცნიერების

სხვადასხვა ფორმაში რეფლექსია სოციალური განცდის ისტორიისა, პლანეტური ყოფის ორგანოტროპული ნალეკებისა. ისტორიზმი ორგანოტროპული გაგებით არის სულისა და აზროვნების potestas clavium-ი: გარეშე სოციალური ატმოსფეროსი — გარეშე ეკონომიკურ-ინდუსტრიული პერიპეტიებისა, რომელთა შორის ადამიანის ცხოვრებას ატრიალებს არსებობის საჭიროება, შეუძლებელია ფსიქიკის ორგანიზაცია, ინტელექტის წყობა, იდეალების განცდა, ინტუიციების გაალება. ბ ე რ გ ს ო ნ ი, როდესაც pure perception-ის შესახებ ლაპარაკობს, გარკვევით იხრება ფსიქოლოგიურად სოციალურ პრაქტიკას მოწყვეტილი იდეალიზმისაკენ და მისი durée éternelle ორგანულად ისეთივე სახეა სულის შინაგანი ხილვისა, როგორც მეტერლინკის „le silence", რომელიც ერთგვარი ამეტყველებაა ბურჟუაზიული მისტიკური ნირვანიზმისა, ამრიგად, ლოგიკის, გნოსეოლოგიის, მორალისა და ესთეტიკის პრინციპების თავისთავად არსებობა არის კაცობრიობის ისტორიოსოფიული პარალოგიზმი, რომელიც კულტურის რეორგანიზაციისა და აზროვნების რეფორმის შემდეგ დარჩება ძველი ყოფის ყალბი პათოსების დოკუმენტებად; სოციალური განცდის ჰაერეთი გადაახალისებს ინტელექტუალურ სამყაროს, და, თუ კაცობრიობის ცხოვრება წარსულში იყო ფიზიოლოგიური გლეჯის მღელვარე არენა, მომავალში იგი გადაიქცევა სოციალური ამყოლობის ესთეტიკურ ფენომენად უსაზღვროების არეზე.

უსაზღვროების გრძნობა ჩვენს სულში სიმპტომებია ჩვენი კულტურული ტენდენციისა. ევროპის სულს აწვალებს სივრცის პრობლემა იმიტომ, რომ არსებობის საჭიროებამ — ინდუსტრიისა და მანქანის კულტურამ ყოფა გადაისროლა სივრცის წიაღში. ანტიკური სული — სული ძველი ბერძნებისა არ იცნობდა სივრცეს, არც მის უსაზღვროებას. არც ელინურ, არც ლათინურ მეტყველებაში არ არსებობს სიტყვა გამომსახველი ცნებისა: „სივრცე" ბერძნული τοπος ლათინური — locus ნიშნავს ადგილს, ადგილობას, აგრეთვე კლასს სოციალური მნიშვნელობით. არც ერთ მათგანს არა აქვს მნიშვნელობა „სივრცის" — éspace*. ანტიკური გაგება იღებს იდეას, როგორც ყოფის განცდის კონკრეტობას, როგორც ორგანული წვალების ეპიფენომენს; მართალია ფრანგი პოეტი, როდესაც ამბობს:

---

* შ პ ე ნ გ ლ ე რ ი, რუსული თარგმანი: „Причинность и судьба", გვ. 176.

Il me parait incontestable,
Après mûre réflexion,
Que de seuls plaisirs de la table
Vient la civilisation.
Ainsi, quand à nos ancêtres,
Le mystère fut révélé,
Du vin suave, aussi dublé,
Ils en firent des dieux champêtres.
Les adores tant et plus
Sous les noms de Cérès, Bacchus,
Et Voilà sans le moindre doute
La première réligion*.

სამყარო ანტიკურ გაგებაში ისაზღვრებოდა: გონება იყურებოდა ბუნებაში, როგორც ორანჟერეაში; სულს ყველგან ეჩვენებოდა პლასტიკური არე; ქანდაკებები, მინიატურები, თქმულებები რელიგიური და მითური ხასიათისა საბერძნეთში სახეს აძლევენ გარკვეულობას, პლასტიკურობას: ბერძნული მეტყველება, — ამბობს შპენგლერი, — ეს რხევაა მსუბუქი ფოთლებისა შუადღის მზეზე. ეს რიტმია მატერიისა. საბერძნეთი იცნობს ტანისა და პლასტიკის კულტს, ევროპა თავის ცივილიზაციურ ფორმებში სივრცის შიშით არის შეპყრობილი, ევროპა ხელოვნებასა და მეცნიერებაში იძლევა ს ი ღ რ მ ი ს შეგრძნებას. დიფერენციალები და ინტეგრალები მათემატიკაში ისეთივე შეცნობაა სიღრმისა და ხვეულობის, როგორც ფაუსტისა და ჰამლეტის სული; ანტიკური ქვეყანა არ იცნობდა არც დიფერენციალებსა და ინტეგრალებს, არც ჰამლეტის პრობლემებს, ვინაიდან ყოფა და მისი განცდა არ იძლეოდა სიღრმის ხილვას.

რიტმის განცდა

მატერიის ყოველი ნაწილი მოძრაობაში ირხევა სხვა ნაწილებთან შეფარდებით და ყოველი არსის მოძრაობა წუთისოფლად განსაზღვრულია სხვა არსთა და მოვლენათა მოძრაობით: ხიწვი, იქნება დაგდებული შარაგზაზე, თუ ფილოსოფოსის საფეთქელში სისხლის ბურთულა, სულ ერთია — მატერიას არ ასვენებს გარემყარობა, არ ასვენებს მდგომარეობა.

* La Revue Mondiale 1922 (Revue des Revues) 85—87. M. Pouchon.

მატერია, რა მიზეზის გამო არ უნდა მოხდეს მასში რხევა, ინახავს რხევის ფორმას თავის ატომურ-იონურ წყობაში, მოძრაობის დროს მატერიაში ავტომატურად იზრდება ერთგვარი ეროტიკული თვითლტოლვა მდგომარეობით განსაზღვრული ფორმის განმეორებისაკენ: ერთხელ დაკეცილი ქაღალდი მეორედ უფრო მარჯვედ იკეცება იმ სახით, რა სახითაც პირველად დავკეცეთ, — თითქოს დაკეცილი ნაწილები თვითონ მიილტვიან ერთმანეთისაკენ — პროცესის გამეორებისაკენ. ტანისამოსი ეჩვევა ჩვენს ტანს და აკეთებს ნაოჭებს ჩვენი კუნთების ფორმებში; ხშირად კედელზე ჩამოკიდებული ტანისამოსი, თუ დიდხანს გვიტარებია, თარგივით წააგავს ჩვენი ტანის მოყვანილობას; ყოველი ტანი წუთისოფლად თითქოს აგროვებს პოტენციას ავტომატურ-რეფლექსურ მოძრაობებში და თითქოს განცდისა და რხევის ნალეკი რჩება იმისათვის, რომ შემდეგი მოძრაობა გააადვილოს: მოძრაობის გამეორება მოძრაობას აადვილებს: მატერიაში რომ არაფერი რჩებოდეს მის ატომურ-იონურ წყობათა რყევის შემდეგ, თვითლტოლვას რყევის გამეორებისაკენ ადგილი არ ექნებოდა და ეთასჯერ რომ მოძრაობა მომხდარიყო მატერიაში, მატერიას მაინც არ ექნებოდა განსაკუთრებული ფორმა თავის მოძრაობაში: სამყარო დღესაც ისე ქაოსური იქნებოდა, როგორც პირველყოფილი. სული მატერიაში არის მხოლოდ ავტომატური რყევის ფორმა და სულიერი მოვლენა შეუძლებელია, თუ თანასწორ ინტერვალთა შორის ადგილი არა აქვს იგივეობასა და გამეორებას.

ზღვის ტალღათა მოძრაობაში, სინათლის ენერგიის ასხივოსნებაში, ელვური ჩქერების გაალებაში, ჩვენი პულსისა და საფეთქლის რხევაში ჩვენ ვხედავთ იგივეობასა და გამეორებას. გამტკიცებულ ჩვეულებათა გამეორება ესთეტიკური პრინციპია რიტმისა.

ჩვეულება ყამთა დენაში ერთგვარ სიტკბოებას აძლევს ყოველგვარ სიმწარეს: ამიტომ არ არსებობს რიტმი გარეშე კუთხურ-ისტორიული წვალებისა, გარეშე ორგანული ღელვისა და შრომისა. რიტმის დასაწყისი მომდინარეობს ორგანული ცხოვრების მოძრაობიდან: ცხოველური ტანის მოძრაობა შეუძლებელია რიტმის გარეშე: რიტმი დინამიკური რეგულატორია კუნთების რხევისა: მარჯვედ მორბენალი ცხენი და დატვირთული აქლემი მოძრაობენ ისე რიტმულად თავიანთ ორგანულ ფორმებში, როგორც მჭედელი და მეზღვაური თავიანთ მოვალეობათა და საქმეთა ასრულებაში. რიტმის განცდა იწვევს ტანში ყოველთვის სიამოვნების გრძნობას. კანტის ტერმინით რომ ვთქვათ, რიტმი

სცენური ფორმაა გრძნობისა: პლატონის აზრით, რიტმი საგნის თვისებას შეადგენს და ტანი ვერ იმოძრავებს ამ ქვეყნად, თუ მასში არ არის რიტმი „იმთავითვე". სიამოვნების გრძნობა ადამიანებს ეძლევათ რიტმის შეგრძნებასთან ერთად და რიტმის შეგრძნება ბევრ რამეში უკავშირდება ორგანული ცხოვრების წუთისოფლური ჩვეულებებს. სიმღერებით და ხორალური ცეკვებით ადამიანები ერთდებიან, — ამბობს პლატონი*. არისტოტელე ამჩნევს სამი სხვადასხვა სახის რიტმს**. რიტმი კუნთების, რომელიც შეიცნობა ცეკვის დროს, რიტმი ბგერათა, რომელიც სახიერდება სიმღერაში, რიტმი მეტყველების, რომლის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს პოეზია — მეტრული წყობა. ცეკვას მუსიკით და სიმღერით საბერძნეთში თვლიდნენ რელიგიურ კულტად: აქედან წარმოიშვა სახელგანთქმული კორიბანტიზმი; ცეკვას, როგორც რიტმის ფორმას, დიდი გავლენა ჰქონდა ელადის მხატვრულ მეტყველებასა და ლიტერატურაზე: ცეკვა, როგორც რიტმი, თამაშობდა ერთგვარ სოციალურსა და პოლიტიკურ როლსაც: თესალიაში მოცეკვავის თანამდებობა სახელმწიფო თანამდებობად ითვლებოდა, ბერძნული თეატრი ხორალური ცეკვიდან წარმოიშვა და განა დიონისეს კულტის ekstasis ცეკვით და ღრეობით დამთვრალი კუნთების ეკვილი არ არის?

ხელოსნობასაც ბერძნები რიტმის იდეით ასულდგმულებდნენ: რიტმულად ითვლებოდა ყველაფერი სწორი და პროპორციული: რიტმული იმავე დროს ნორმალურიც იყო; ელინური გაგება რიტმისა ფსიქოლოგიურია; არისტოტელეს მუსიკალური კათარზისი არის სულის ტკბილი ჩვეულებების განთავისუფლება ფიზიოლოგიური ტყვეობისაგან. ბაკქური ძეგლები ლუვრის სახელგანთქმულ მუზეუმში მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენადაც ნერვული დამძიმებისა და ტანჯვის გრძნობა დინამიკურად და ესთეტიკურად მიილტვის განიავების, გაშლისა და განთავისუფლებისაკენ; სექსუალობისა და სოციალურობის რიტმული ლტოლვანი ბიოდინამიკურ მოძრაობაში ერთდებიან და ეროტიკულ განცდას სული ჩვენი ყოველთვის ამთავრებს სოციალურ-კოსმოსური უსაზღვროების შეგრძნობით, მხოლოდ სულის მიმართება უსაზღვროებისაკენ ქვეყნად ყოველი ტანიდან და ყოველი კუთხიდან თავისებურად მომდინარეობს.

---

* Thimée, trad. V. Cousin. V. 10.

** Aristot. Poet. 4, Polit, VIII, 5—7.

ყოველ ყოფას, ყოველ სოციალურ ვითარებას, ყოველ კუთხეს ქვეყნისას აქვს თავისი მზიდაობა, თავისი რიტმი და მუსიკა: ჩვენი „ჭიანური“ და „ზურნა“ ესთეტიკურად მიუღებელია ევროპელებისათვის, მაგრამ ჩვენთვის ფსიქოლოგიურად მოგონებაა ჩვენი ატორტმანებული და შეხუთული წარსულისა. ჩვენი ისტორიული ძიწოღლისა და კანგაშისა, ჩვენი სოციალურ-კულტურული სმირი არითმეტიკისა.

მუსიკა წარსულის მოგონებაა და ამიტომ ისე ტკბილია, როგორც ორგანული განცდა: მუსიკაში ისმის მოძრაობა ისტორიული, საზოგადოებრივი; მუსიკაში მოცემულია სული ჯიშის, გვარის, რასის, ერის; მუსიკის განცდაში ტანი იგონებს ყველაფერს, რაც განიცადა ორგანულმა ევოლუციამ წარსულში, როგორც ინდივიდუალურად, ისე მემკვიდრეობით; ყოველ ჯიშს და ყოველ ერს თავისი საკუთარი გრძნობითი ტონი აქვს მუსიკისათვის: წვალება, რომელიც სხეულს გადაუტანია და რომლის რეფლექსები შენახულა ნერვული სისტემის ხვეულებში ხელახლა მოდის მოძრაობაში რიტმული ვიბრაციით, — განახლებაში სიტკბოების გრძნობაა; რიტმული ვიბრაცია ისეთ მოძრაობაში იქმნება, რომელიც ტანის რხევას და ღელვას მოგვაგონებს; მუსიკალური ბგერა აერთებს ადამიანებს, თუკი ერთნაირ პირობებში უცხოვრიათ ისტორიულად და კულტურულად; „ურმული“ —„ჭიანური“ ქართული სულის შეწუხებისა და სევდის გამოსახულებაა და რამდენადაც ეს გამოსახულება იძლევა ჩვენი წუთისოფლური ყოფის რეფლექსოლოგიურ განცდას, იმდენად ჩვენ ქართველები ერთგვარ ესთეტიკურ ექსტაზში ერთმანეთს ვუახლოვდებით სულიერად; მუსიკალურ ბგერაში ჩვენი სული შეიგრძნობს წარსულს თავისი ყოფისას, შეიგრძნობს ისტორიას: ქართული ხალხური სიმღერების სიმდიდრე და მაღალი ესთეტიკური ღირებულება აიხსნება ქართული კულტურის დეცენტრალისტური ხასიათით; ქართული კულტურა პროვინციებსა და მთებში იხიზნებოდა გაჭირვების დროს და სისტემატურად, თანდათანობით სული გახიზნული კულტურისა ხალხის სოციალურ განცდად იქცეოდა: ცხადია, მომავალში, თუკი საქართველოს კულტურას ცენტრალიზაცია ეღირსა, თუ ქართულმა სულმა იგრძნო ოდესმე ესთეტიკური სისავსე, ეს იქნება ქართველი ხალხის მდიდარი მუსიკალური განცდა, შენახული საუკუნეთა განმავლობაში; ეროვნული ენერგია პროვინციებიდან და მთებიდან მდიდარი რიტმით და მეტყველებით თანდათანობით წამოვა ცენტრისაკენ და ცენტრი იგრძნობს იმ ესთეტიკურ ინტელექტურ სისავსეს, რომელიც წარსულში მან ვერ იგრძნო; მუსიკაში მოძრა-

ობს სოციალური სული, ისტორიული განცდა, კუთხური საჭიროება: მუსიკისა და მეტყველების წყობაში სახიერდება კულტურის სტილი: ბგერა შვებაა ორგანული მოძრაობისა და ღელვისა: ბგერათა ერთმანეთთან შეთანხმებაში იქმნება რიტმი და შეთანხმება ბგერებისა იძლევა სულის ვერბალურ სიმღიღრეს: ხოლო იქ, საღაც ბგერა არ არის, არის განცდა ტანისა, კუნთებისა, ნერვებისა: ამ განცდას იწვევს განსაკუთრებული ვიბრაცია ჰაერისა, რომელიც მოქმედებს კუნთებზე, რომელიც შედის ესთეტიკური ენერგიით ტანის შინაგან წყობაში და ტანი იწყებს ტორტმანს, მოძრაობას: ტანი განიცდის გამოუთქმელ სიტკბოებას, როდესაც წარსულის მოგონებაში არის და სანამ ამ სიტკბოების განცდას მოახერხებს ენა, ნერვული სისტემა თვრება ექსტაზით წარსულის მოგონებაში: ექსტაზი მეობის გარღვევაა და მეობის გარღვევა გაერთიანებაა სოციალურ არესთან: უდიდესი ექსტაზი ეროტიკული ფორმისაა და როდესაც ეროტიკული განცდა სულს იტაცებს, მეობას ადამიანისას გააქვს ყველაფერი გარეთ და იდეალებით, ილუზიებით ადამიანი ერთვის გარემოს, ქვეყანას, სივრცეს: ეროტიკული გრძნობა არის კოსმოსური გრძნობა თავისი ბუნებით: მე ადამიანისა არღვევს ინდივიდუალური ყოფის ზღუდეს და ერთვის სამყაროს, რომ გასცეს ის, რაც მას ოდესღაც მიუღია: ექსტაზი მომენტია გრძნობათა სოციალიზაციისა და როგორც ეს მომენტი დამთავრდება ორგანულად, განცდილი ვერავითარი კეთილი ზრახვა ვერ შეაერთებს მეობას მეობასთან: სექსუალური მოთხოვნილება სანამ დაკმაყოფილდება, მიილტვის მეობის გარღვევისაკენ, უარყოფს მეობას, მის ტრადიციას. მორალს: დაიკმაყოფილებს თუ არა განცდა თავის თავს, სული გრძნობს სიცარიელეს და ზიზღს გამოუთქმელს, თითქოს რაღაც დაკარგა, იზარალა: ადამიანმა გადასცა მეობას ერთი ნაწილი და გრძნობს, რომ ის აღარ არის, რაც იყო: სქესი ეროტიკულ ნდომაში ატარებს სოციალური გრძნობის ელემენტარულ ფორმას: სქესის ნდომა უკვე ნიშნავს თავისი თავის უარყოფას: როდესაც ორი სქესი ერთმანეთის ნდომით ერთმანეთს უახლოვდება, ორივეს ეკარგება დაახლოებაში ის, რაც მათ ააახლოებს: ტანები საჭიროებენ ერთმანეთს და ერთი ტანის ღირებულება მეორე ტანის ნდომით და საჭიროებით განიზომება, თუ ნდომა არ არის ტანში, მეორე ტანი მოკლებულია ღირებულებას, რაც უნდა კეთილი და მშვენიერი იყოს თავისთავად: საჭიროება და ინტერესი ქმნიან ღირებულებებს ამ ქვეყნად და არა იდეები და პრინციპები: ტანი, რომელიც საჭიროა მეორე ტანისათვის, გაცილებით უფრო ღირებულია,

ვიდრე სული თავისი იდეებით და პრინციპებით: ისტორიაში არ ყოფილა მაგალითი, ვინმეს ქალი შეუყვარებოდეს იმიტომ, რომ ქალმა იცოდა მათემატიკა ან ქიმია.

ისევ უაღლესა და ნიცშეს შემდეგ როგორც ევროპაში, ისე ჩვენში ხშირად იმეორებენ ასრს, თითქოს ჩვენს დროში შესაძლებელი იყოს დიონისური კულტის აღდგენა: საერთოდ ისტორიაში ყოველ ეპოქას აქვს საკუთარი ემოციები, საკუთარი შეგრძნობანი, რომელთა განმეორება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისტორიულ-სოციალური კონიუნქტურა ეპოქისა საესებით იქნება განმეორებული; საჭიროა ამასთანავე, რომ ისტორიულ-სოციალური კონიუნქტურა განმეორდეს იმ გეოგრაფიულ-მეტეოროლოგიურ პირობებში, რომლებშიც ხდებოდა ექსტაზი, როგორც ორგანული პროცესი; დიონისური ექსტაზის განცდა ითხოვს არა მარტო ტამბურანებისა და კიმვალების ხმაურობას, არა მარტო მეცნიერულ-ცხოველურ ათრთოლებას, არა მარტო ნერვულ-ორგანულ მთვრალულობას, არამედ შინაგანი ხილვის თავისებურებას, რომელსაც აქვს ადგილი მხოლოდ იქ, სადაც არის ისეთი სივრცე უღრუბლო, ისეთივე მიწა-წყალი სათუთი და მსუბუქი ჰაერით, ისეთივე რასულ-გენეტიკური ტემპერამენტი, როგორც ელადაში იყო: შეუძლებელია დიონისური კულტის განცდა პარიზის კაფე-რესტორნებში, შეუძლებელია აგრეთვე ციმბირის ტაიგაში და მონღოლეთის ახრიოკებულ მინდვრებზე. რიტმი და ექსტაზი სამყაროს ყოველ კუთხეში ორგანოტროპული ფორმებია ბიოგენეტიკურ მეხსიერებათა: და ლაი ლამა და რომის პაპი რელიგიურ-მისტიკურ ექსტაზში სხვადასხვა სახის ღირებულებებს ხედავენ; მათი სულები წუთისოფლად თავიანთ განცდებში სხვადასხვაობენ, ვინაიდან სხვადასხვაობენ მათი სოციალურ-კულტურული მდგომარეობანი, მათი ცხოვრების ტრადიციები და მემკვიდრეობით მიღებული თვისებები ხასიათებისა და ტემპერამენტებისა.

მუსიკალურ ბგერებს ნერვული სისტემის რიტმულ რხევაში ცნობიერების ქვეშეთიდან ამოყავს გრძნობები, სურვილები, ნდომანი და ლტოლვანი ჩვენი წინაპრებისა, ბიოგენეტიკურად გადმოლეკილი ჩვენს ორგანულ ყოფაში: მუსიკის ხმა წარსულის შინაგანი ხილვაა, დამოუკიდებელი ინტელექტისაგან და სწორედ ამიტომ ასე ტკბილი, როგორც ორგანული განცდის ჩვეულება, როგორც მოგონება ჩვენი მეობის ელემენტების ხეტიალისა ბიოლოგიურ უსაზღვროებაში; ჩვენი სულიერი ცხოვრების ყოველი სახე წუთისოფლად ასხიეოსნებაა ორგანული წვის

იმ ელემენტებისა, რომელნიც დაბეტიალობდნენ გადაშენებულ ჯიშთა ტანებში და რომელთა ინტელექტური პოტენციის ატალღება უთვალავი ეონის განმავლობაში იძლეოდა ახალ ჯიშებსა და ახალ ტანებს სამყაროს კუთხურ საჭიროებათა და შესაძლებლობათა მიხედვით. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩვენს ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურ რყევასა და წვაში მუსიკის ხმა შემოდის წარსულის რემინისანსით და სული ჩვენი გადაწოლილი თავის შინაგანი ხილვის ანათებით მარადობის არეში აღლვევს დროისა და პიროპების რკალს შორეულობის სიყვარულით.

მელოდიური რიტმი ახრჩობს ინტელექტის ეპვნარევ ყოფას უჯრედულ ნდომათა და სურვილთა ტორტმანში და ტანი, დათენთილი არსებობისათვის ბრძოლაში, თვრება მარადობის ექსტაზით, როგორც შეყვარებული დავიწყების შეგრძნებით და სქესის სუნით. არსი ერთვის სამყაროს ორგანულად და ინტელექტის ყალბ უნივერსალიებს, ნებისყოფისა და სულის შემბოჭველს, ექსტაზის (ek-stasis) მთვრალული ჟივილი იმორჩილებს; სული გრძნობს მატერიის ჩხვლეტას და შინაგან რყევას; მატერიას სულის ექსპანსივობით გადააქვს თავისი ყოფა დაუსრულებლობის არეზე. სილოგიზმების სამყარო ირღვევა, იცრიცება ბიოლოგიური რემინისანსის გაალებაში და მე ადამიანისა, შექმნილი ბიოდინამიკური ელემენტების ხეტიალით, მარადობას უბრუნდება, მთვრალი და კმაყოფილი თავისი წარსულის შინაგანი ხილვით: თითქოს ყოველი უჯრედი ტანისა ხელახლა განიცდის შეკუმშულ ფორმაში ყველაფერს, რაც მას გაუვლია ევოლუციურ ფერისცვალებაში, თითქოს მე ფართოვდება როგორც ყოვლობა, თითქოს ცხოველები, მცენარეები და მინერალები ჩვენი სულის ქორალურ ამყოლობაში უნივერსალურ სიმფონიას მღერიან, თითქოს სხეულს ჩხვლეტენ უკვდავების ნემსები.

დ ა მ ა ტ ე ბ ა

გამომცემლობისაგან. „სული და იდეას“ გარშემო

ქართული პრესა ორგანოტროპიზმის შესახებ

ორგანოტროპიზმის პრობლემა, რომელიც შეადგენს ჩვენ მიერ გამოცემული წიგნის „სოციალური ესთეტიკის საფუძვლების“ მთავარ დებულებას, კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე კ ა პ ა ნ ე ლ მ ა პირველად წამოაყენა წიგნში „სული და იდეა“, რომელსაც გამოეხმაურა ქართული პრესა. ჩვენ მოგვყავს რამდენიმე მაგალითი იმ დიდი ინტერესისა, რომელიც გამოიწვია კონსტანტინე კაპანელის წიგნმა ქართულ პრესაში.

ჟურნალი „ი ლ ი ო ნ ი“, № 6, 1923 წ. კ. კაპანელის წიგნის შესახებ წერს:

ეს წიგნი ეხება ფილოსოფიურ და ესთეტიკურ საკითხებს. ორი მხრითაა ამ წიგნის გამოსვლა ფრიად საყურადღებო: დღეს წიგნის გამოცემა საერთოდ დიდ სიძნელესთანაა დაკავშირებული. პატარა ბროშურებმა, უდღეურმა ესკიზებმა და მინიატურებმა აგერ ათ წელზე მეტია რაც სერიოზული წიგნის ადგილი დაიკავეს. საქართველოში მოდაში შემოვიდა ამ უკანასკნელ ხანებში „შტებირ ჰალების“ სტილი მწერლობაში. დილეტანტ მკითხველსა და დილეტანტ მწერალსაც აკმაყოფილებს ეს საშინელი ალტენბერგიზმი ლიტერატურაში. კაპანელის წიგნი იშვიათი გამონაკლისია ამ მხრით. მეორე მხრით კაპანელის წიგნი უფრო საყურადღებოა. უპირველესი შთაბეჭდილება, რომელსაც „სული და იდეას“ წაკითხვიდან იღებს ადამიანი, ეს არის მისი პრობლემატურობა, ცხადია, ავტორს ეტყობა, რომ იგი კულტურული პრობლემებს ორბიტაშია მოქცეული. ღრმა პრობლემებზე ფიქრი არ უყვარს არც ქართველ მკითხველს და არც ქართველ მწერალს. კ. კაპანელის წიგნში ფრიად ორიგინალური და თავისებური იდეებია გაბნეული.

საინტერესოა კაპანელის პოზიცია ქართველი ქალის მიმართ.

ბევრი მწარე სიმართლეა კაპანელის სტრიქონებში, რომ ქართველი ქალი ჯერაც უმწეო და უსახო პროტოპლასმაა. ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ქართულ ლიტერატურაში ქალის სახე ჯერაც არ გამოჩენილა. ერთადერთი ტიპი ქართველი ქალისა, რომელიც ლიტერატურაში ღღემდის განსახიერებულა, ეს არის დავ. კლდიაშვილის „კაროლინა“. კაროლინა უკვდავი ტიპია ქართველი ქალისა. ჩვენში რომ რომანი ჯერაც არ დაწერილა, ამის მიხეზიც ქართველი ქალის საოცარი ნახევრად ამაზონური, ნახევრად კაროლინული სახეა. ჩვენ გვინდოდა ამ წიგნიდან საინტერესო ადგილები გადმოგვებეჭდა, მაგრამ უადგილობის გამო სხვა ბიბლიოგრაფიულ მასალებთან ერთად მისი გადადებაც მოგვიხდა. ჩვენ მივესალმებით ამ წიგნის გამოსვლას. მის ავტორს ცოდნაცა და გემოვნებაც საკმაოდ ხელს უწყობს.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყურნალი „კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი“, № 3—3, 1923 წ. ასე ახასიათებს კ. კაპანელის აზრს.

კ. კაპანელის მსოფლმხედველობა ბევრ ხაზებში მატერიალიზმს უახლოვდება. სულისა და იდეის პრობლემა, რომელიც აღძრულია მისი წიგნით, ასეთ გაშუქებას ღებულობს:

კ. კაპანელის აზრით, სული ისეთივე თვისებაა მატერიისა — როგორც რადიაცია, ელექტრონი და მაგნიტი: ზედროული და ტრანსცენდენტური არსობა სულს არა აქვს. სამყაროს ყოველ კუთხეში მატერია განიცდის ერთგვარ წვას ობიექტური პირობების მიხედვით; ყველგან მყარდება ერთგვარი ურთიერთობა სხეულსა და მდგომარეობას შორის: მდგომარეობა ახდენს გავლენას სხეულზე, სხეული კი ავტომატურად ინახავს მდგომარეობის გავლენას თავის ატომურ-იონურ წყობაში, როგორც „ბიოლოგიურ მეხსიერებას“.

კ. კაპანელი ამ ურთიერთობას მატერიისა და მოჩვენებითი „სულისას“ ნათლავს „ორგანოტროპიზმის“ სახელით. შემოქმედების ყოველი ფორმა — მეცნიერება, ხელოვნება, რელიგია ორგანოტროპიზმის ნაყოფია: არსებობისათვის ბრძოლაში ყოველი ტანი ეგუება პირობებს და სული არის ამ ტანის რეფლექსი კუთხური საჭიროებისათვის; მდგომარეობა აღიზიანებს და აწვალებს მატერიას, შედეგი ამისა არის რეფლექსური მოვლენა, რომელსაც ჩვენ ვეძახით სულს. მატერია თავისთავად არსებობს იმდენად, რამდენადაც მატერიაში აისახება რეფლექსი წვალებისა და განცდისა.

მატერიას აქვს მარადიულობა მინიჭებული, მხოლოდ დაჯგუფება მატერიული ელემენტებისა ღროულია ყოველ მიწა-წყალზე. ისტორია-

ში არ არსებობს ევროპელისებური სწორხაზოვანი გაქანება იდეისა, პროგრესის საკითხი კუთხური ყოფის საკითხია: ყოველ მიწა-წყალზე ყოველ ხალხს აქვს თავისი კულტურული და ცივილიზაციური ინდივიდუალობა სრულებით დამთავრებული; ყოველ ეპოქას აქვს თავის სული და სტილი და არავითარი აბსოლუტური მიზნები ისტორიისა არ არსებობს. ამ კონცეფციის ილუსტრაცია კ. კაპანელი ცდილობს მოგვცეს ქართული კულტურის მაგალითებზე.

კ. კაპანელი თავისი წიგნის ბოლოში ქართველის ისტორიული ტიპის დახასიათებას წარმოგვიდგენს, იგი ამტკიცებს, რომ ქართველი ფსიქოლოგიურად პერსონალისტია, რომ ქართველს უყვარს ყოველთვის განაპირება.

ჩვენი გეოგრაფიული მდგომარეობის თავისებურებამ და ისტორიულმა პირობებმა ჩვენში ჩამოაყალიბეს ფსიქოლოგია პერსონალიზმისა და ულტრაინდივიდუალისტური განაპირებისა; ამიტომ, — ამბობს კ. კაპანელი, — საქართველოში შინაგან სიმართლეს არასოდეს ადგილი არ ჰქონია: ყოველთვის იყო კულტი კუთხური დაჯგუფებისა. პირობებმა შექმნეს ფსიქოლოგია, ხასიათი, ტემპერამენტი, სული ხალხისა. ისტორიამ შეინახა ეს ტიპი ატავისტურად მიღებული ატრიბუტებით.

გაზ. „პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი ბ რ ძ ო ლ ა“, 1923 წ. 20 იანვარის №-ში წერს:

ქართული ფილოსოფიური აზროვნების აღორძინების საქმეში კ. კაპანელის „სული და იდეა“ უეჭველად მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ფილოსოფიური ლიტერატურით ისეთი ღარიბი კულტურისათვის, როგორიც არის საქართველოს კულტურა, კ. კაპანელის „სული და იდეა“, შეიძლება ითქვას a priori — დაუფასებელ ღირებულებას წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, ვეთანხმებით თუ არა, პირადად ჩვენ, მასში აღიარებულ ფილოსოფიურ საფუძვლებს.

თვითოეული ინტელექტუალი პიროვნება, რომელსაც გათვალისწინებული აქვს ქართული ფილოსოფიური აზროვნების აღორძინების მნიშვნელობა ეროვნული კულტურისათვის, სიხარულით შეხვდება ამ **წიგნის გამოქვეყნებას.**

გაზ. „ტ რ ი ბ უ ნ ა“, № 560 1923 წ. ორგანოტროპიზმის შესახებ წერს:

მთელი რიგი საკითხებისა კ. კაპანელს შპენგლერისებურად აქვს განხილული სრულიად მისგან დამოუკიდებლად. ყოველივე იდეა ორგანოტროპული, ჯგუფური და ტემპერამენტულია, სამყაროს ერთ კუ-

თხეში რაც ჭეშმარიტებაა, მეორე კუთხეში ის სიყალბეა; რაც ჰოტენ-ტოტისათვის წმინდა და ღვთაებრივია, ის ჩვენთვის საზიზღარი და სასაცილოა; რაც დღეს რომელიმე ერისათვის იდეალია, ის შეიძლება ხვალ სათრეველი და სალაღობო გახდესო — წერს კ. კაპანელი.

შპენგლერისათვის არ არსებობს კულტურა ზოგადი, კაცობრიული. ის გვეუბნება: „ჩვენ განსაზღვრული ეპოქის შვილები ვართ და არა წესი". რაც არ არსებობდა ინდოელისა და ელინისათვის, არსებობს ჩვენთვის; რაც არის, ისიც განსაზღვრულია და „არასოდეს არ განმეორდება მსგავსი კულტურა და მსგავსი ადამიანის ტიპი, რომლისათვისაც „მსოფლიო ისტორია" არის შინაარსი კოსმოსური ჭვრეტისა". (Закат Европы, გვ. 13).

არ არსებობს მარადიული ჭეშმარიტება (შპენგლერი, გვ. 42).

„შემთხვევათა დაუსრულებელი დენა არის ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ წუთისოფელს, სამყაროს, ყოვლობას",—წერს კ. კაპანელი (გვერდი 10).

„მსოფლიო ისტორიაში მე ვხედავ ორგანული ფორმების დაუსრულებელ აღმოცენებას და ცვალებადობას, სასწაულებრივი მყარობადობის და სიკვდილის სურათს" (შპენგლერი, გვ. 20).

„ირაციონალობა ახასიათებს არსებობის ყოველ წუთს და მოძრაობას..." — წერს კაპანელი.

შპენგლერსაც ბედი შეაქვს ისტორიის პროცესში. მისი „ბედისწერა" ირაციონალური ფენომენია.

კ. კაპანელისთვის „არსებობს ეპოქები, არ არსებობს ისტორია", შპენგლერისთვის არსებობენ ეპოქები, არ არსებობს ისტორია, როგორც ორგანული მთლიანობა.

პროგრესის იდეა, განხილული ბედნიერების თვალსაზრისით, უარყოფითად წყდება კ. კაპანელის მიერ. ასეთივეა შპენგლერის დებულებაც. ადამიანთა ბედნიერება მისთვის სულელური ფრაზაა.

პროგრესი, განხილული ბედნიერების თვალსაზრისით, სხვა დასკვნას ვერ მიიღებს. ობიექტური აზრის ძიება არსებობის გამართლებისთვის ამაო ხეტიალია, ოპტიმისტური ილუზიაა, ქიმერთა შენებაა.

კანტის აზრით, „ბედნიერება ყველა მოთხოვნათა დაკმაყოფილებაა". ეს დებულება მართალი რომ იყოს, საჭიროა, მოთხოვნილება განსაზღვრული იყოს რაოდენობაში. შესაძლებელი უნდა იყოს ჩვენ სურვილთა მთელი კომპლექსის გამოკვეთა, მისაღწევი უნდა იყოს ყველა მიზნები, ყველა მოთხოვნანი. დღეს და ხვალაც არც პირველი, არც

მეორე და არც მესამე პირობა არ არსებობს და ვერც იარსებებს. ანდა, განა სურვილი იგივე ტანჯვის ფორმა არ არის აღმოცენებული „საჭიროებისაგან, მაშასადამე უკმაყოფილებისაგან და ტანჯვისაგან“. (შოპენჰაუერი, „Мир, как воля и представление“, გვ. 372).

ამრიგად, თუ ობიექტურად სიცოცხლეს აზრი არა აქვს, ბედნიერების თვალსაზრისით პროგრესი არ არსებობს. კრიტიკის აზროვნებას ვერ ეუფლება ვერც პოზიტივისტ-ობიექტივისტების კონცეფცია ამქვეყნიური კეთილმდგომარეობისა, ვერც მისტიკოს-ობიექტივისტების კონცეფცია ღვთაებისა. სანუგეშო გამოსავალს ვერც ი მ ა ნ ე ნ ტ უ რ ი სუბიექტივისტები იძლევიან, რადგან ეს კონცეფცია გამოუვალი უნუგეშობის შედეგია, რომელიც ობიექტური უაზრობის ნანგრევებიდან დაშვებული სუბიექტურ აზრს ეძებს და „მეს“ გაღმერთებით სურს საკითხის გადაჭრა.

კ. კაპანელის „წარმავლობის სევდა“ ღრმად განცდილი კოშმარია სიკვდილის პრობლემისა. წარმავლობაში ინთქმება ჩვენი პიროვნება, საუკუნეთა დაუსრულებელი ხეტიალი და კულტურათა ბოდვა ავსებს უსაზღვრო სივრცეს. ჭეშმარიტად მოაზროვნე ადამიანის არსებობისათვის უპირველესი პრობლემაა მისი არარსებობის პრობლემა. „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“... ისევ ჭეშმარიტებაა, შეიძლება მართალი იყოს ავგუსტ ვაისმანი და თანამედროვე ბუნებისმეტყველნიც, რომ სიკვდილი არ არის ბუნებრივი მოვლენა, რომ უკვდავობა ახასიათებს პლაზმებს და სხვ. მაგრამ, კიდეც მიღწეული რომ იქნეს უკვდავობა, ბედნიერების საკითხი ამით არ წყდება. უკვდავი რომ ვიყოთ და ყველა სურვილთა კომპლექსის დაკმაყოფილებაც რომ შესაძლო იყოს, კაცობრიობას ესტუმრებოდა საშინელი სენი — მოწყენა და იგი მთქნარებაში გაატარებდა უკვდავ არსებობას. გოეთეს, რომელსაც ყველა ბედნიერად თვლიდა, 75 წლის განმავლობაში ოთხი კვირაც სიამოვნებით არ გაუტარებია, როგორც თვითონ აღნიშნავს.

მართალია მაინლენდერი, რომელიც კანტს თვლის უდიდეს ფილოსოფოსად „თავის“ შესახებ, ხოლო შოპენჰაუერს უდიდეს ფილოსოფოსად „გულის“ შესახებ. არავის ისეთი სიმკაცრით არ გაუნადგურებია ადამიანთა იდეალი, როგორც შოპენჰაუერს, მაგრამ „ბიოფსიქიკურ კანონს ვერც იგი გადასცდა. ქოლერიანი ქალაქიდან გაიქცა სიცოცხლის დამგმობი. მამა გახდა ასკეტიზმის აპოლოგეტი, მხოლოდ ფორმალურად დაიცვა ასკეტიზმი და ქორწინებაში არ შესულა.

მართლაც რომ „წუთისოფელი ჩვენი ტანჯვის დემონსტრაციაა და ცივილიზაცია — ჩვენი ღელვის აორთქლება“.

კ. კაპანელის ცდა ნაციონალური ფსიქოლოგიის სფეროში საინტერესოა. ჩვენი ერის ფსიქოლოგია ჯერ თითქმის ხელუხლებელი სფეროა ქართული აზროვნებისათვის. მართალია, კოლექტიური ფსიქოლოგია ჯერ კიდევ არ არის მკაცრად პოზიტიურ სიმაღლეზე მდგარი. სახელწოდებაშიც შეუთანხმებლობაა — (ზოგი უწოდებს „ინტერფსიქოლოგიას“, როგორც მაგ. ტარდი, ზოგი „ხალხთა ფსიქოლოგიას“, როგორც შტაინტალი და ლაზარიუსი, ზოგი „კოლექტიურ ფსიქოლოგიას“, როგორც მ. კოვალევსკი), მაგრამ ერთგვარი ცდები ნაციონალური ფსიქოლოგიისა მაინც არსებობს (მაგ. ალფრედ ფულიე, ოტო ბაუერი და სხვ), ამდენად აქ საკვირველი არ არის გადაჭარბება, შეცდომა.

კ. კაპანელი იკვლევს „ქართული კულტურის სულს“ ორგანოტროპული თვალსაზრისით. მისი უპირველესი დებულებაა ბრძოლის კულტი. „ბრძოლა და უთანხმოება ჩვენი რელიგიაა“ (141 გვ.), „ქართველი ბუნებით წარმტაცია, გუნებიანი, პანთეისტი, ორგანულად პოეტია და მგოსანი“ (142 გვ.).

„ჩვენ ვართ მომწყვდეული განსაკუთრებულ გეოლოგიურ-გეოგრაფიულ პირობებში და ჩვენს იდეალებს, ჩვენს ღმერთებს, გმირებსა და ოცნებებს, ყოველი ჩვენი ნებისყოფის გამოცხადებასა და მოძრაობას აქვს ბოლოსა და ბოლოს ხასიათი გეოტროპული და ტერიტორიული“ (155 გვ.).

აქაც ჩანს შპენგლერისებური კონცეფცია კუთხური, ნაციონალური კულტურისა, ტიპისა, შემოქმედების რიტმისა.

ორივე მოაზროვნემ შაბლონურ კოსმოპოლიტური ჯოხი მეორე მხრით გადახარეს და უკიდურეს რელიტივიზმამდე მივიდნენ. მართალია ის დებულება, რომ კულტურა ნაციონალურია, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ჭეშმარიტება კუთხური, ნაციონალური იყოს. არ შეიძლება არსებობდეს საქართველოს პოლიტიკური ეკონომია, სოციოლოგია, ფიზიოლოგია და სხვ.

კ. კაპანელი მართალია, როდესაც გვეუბნება „კუთხური სხვაობა და თავისებურება ქართველში ქმნიდა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში კუთხურ ფსიქოლოგიას, პროვინციალობის კულტს, განკერძოებისა და განაპირების ჩვეულებებს“ (155 გვ.).

დღესაც არ არსებობს ჭეშმარიტი ქართული ტიპი მოკლებული პროვინციალიზმს. ლიტერატურამ ვერ მოგვცა დრამა, რომანი, სადაც ქართული ტიპი იყოს გადაშლილი, დაშორებული კუთხურ ეთნოგრაფიულ ფერადებს. სინამდვილეშიც ვარსებობთ კახელნი, იმერელნი, რაჭველნი და სხვ... არ არსებობს სინთეტური მთლიანობით მოცემული ქართული ტიპი.

კულტი „უჩემოდ ვინ იმღერეთობისა“ უეჭველად სწორი ანალიზის შედეგია. პერსონალიზმი, გადაჭარბებული კინკლაობა, გაუტანლობა და სხვ. დამახასიათებელია ჩვენი საზოგადოებისათვის.

„ჩვენს ერს უფრო აფექტები ამოძრავებს, ვიდრე მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა“ (162). ეს ნაციონალური ტემპერამენტის ილუსტრაციაა. ინგლისელი ინტერესით მოქმედებს, გერმანელი მოვალეობის გრძნობით, ქართველი კი აფექტით. (მართალია შპენგლერი, რომლის აზრით ბენტამის მორალი ინგლისურია, კანტის კი — გერმანული). „ქართული სული ისტერიული და პათეტიკურია, არა სისტემატური“ (167 გვ.).

„ქართველი ქალი თავის სულიერი წყობით და მსოფლმხედველობით „მეშჩანკაა“: ქართველი ქალის იდეალი გ ა თ ხ ო ვ ე ბ ა ა“ (იქვე) „ისტორიამ დაღუპა ქართველი ქალი, ქართველმა ქალმა დაღუპა საქართველო: ამორძალობამ დაახრჩო დედობა, ოჯახი“ (118 გვ.).

ამორძალობის საკითხი ჯერ კიდევ სადავოა. ავტორი მეტად გაბედულ ჰიპოთეზებს აყენებს და მასზე მეტად დიდ ბრალდებას აშენებს. ვინ არის ქართველი ქალი? ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ, ვინ არის საზოგადოდ ქალი. შემდეგ ნაციონალური ფსიქოლოგიის საზომით უნდა განვიხილოთ ქართველი ქალი. ავტორი საკითხს ამ წესით არ უდგება.

ავტორის დებულებანი მართალია ქართველი ქალის განსაზღვრულ ნაწილზედ. ეს ნაწილია გადაგვარების პროცესში მოყოლილი — ქართველი ქალის განსაზღვრული კატეგორია — „განათლებული ქართველი ქალი“, გადაგვარებამ, რასაც ქალი უფრო ადვილად ემორჩილება, მასში ჩაკლა მაღალი იდეალები, იგი „მეშჩანკად“ აქცია, მის იდეალად გათხოვება დაისახა. მისთვის სიყვარულს სოციალური ხასიათი უფრო აქვს, ვიდრე ფსიქოლოგიური. სიყვარული, გარეშე გათხოვებისა, მას არ ესმის. ეს ნაწილი საბედნიეროდ უმცირესობაა. სადაც „ცივილიზაცია“ არ შეჭრილა, იქ ქართველ ქალს აქვს ენებაც, ოჯახიც, სიყვარულიც. ამ დებულების დასაბუთება შეიძლება ისტორიულად ქართველი ქალის სოციალურ-პოლიტიკური ყოფის ანალიზით და საერთოდ ქალის

ფსიქოლოგიური ბუნების გარკვევით. ეს გარჩევა ამ ზოგადი შენიშვნების ფარგლებში ვერ მოთავსდება.

საერთოდ საინტერესო, ორიგინალური ნაშრევია კ. კაპანელის შრომა, აქვს გადაჭარბება, უკიდურესობა, რაც გასაგებიც არის, სტილი განსაკუთრებული და მოხდენილია. გამოთქმა ლაკონიური და მსატვრული.

საკითხების ხასიათი და სფერო ფართო ასპარეზს შლის დისკუსიისათვის. სამწუხაროა, რომ ასეთი შრომა ვერ პოულობს სათანადო გამოხმაურებას. ავტორი გვპირდება ახალ გამოკვლევას „ცხოვრება, როგორც ესთეტიკური ფენომენი". აღსანიშნავია, რომ ამ ახლო ხანში რამდენიმე სერიოზული შრომა მოგვცა ჩვენმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ.

ავტორს შემოაქვს ახალი წესი პრობლემის დაყენებისა. არის საკითხების ორიგინალური გადაჭრანი. საკვირველი შეხვედრაა შპენგლერის კონცეფციებთან.

როგორც აღვნიშნეთ, ასეთი შრომანი უეჭველად კრიტიკული ეპოქის ანარეკლია, შპენგლერის და კაპანელის შრომათა კონცეფციებთან შეხვედრაც აქ აიხსნება; კრიზისები აზროვნების სფეროში, კრიზისები სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში ნიადაგს აპოხიერებს რეალისტური და პესიმისტური თეორიებისათვის.

ასეთი დიდი ინტერესი საქართველოში ჯერ არც ერთს წიგნს არ გამოუწვევია.

შ ი ნ ა ა რ ს ი

კონსტანტინე კაპანელის მსოფლმხედველობის საკითხისათვის

1. „სიცოცხლის ფილოსოფიის“ ნაკადი ქართულ აზროვნებაში. 3
2. ცხოვრების გზა 14
3. კაპანელის მსოფლმხედველობის ევოლუცია 16

სული და იდეა

შ ე ს ა ვ ა ლ ი 108
სულისა და მატერიის ისტორიული განმარტება 111
სული და შემეცნება როგორც ორგანული ჩვეულება 115
ფსიქომატერიალიზმი და ორგანოტროპიზმი 116
ორგანოტროპიზმი და კოსმიზმი 120
ევოლუცია და მატერიის მარადისობა 124
ორგანული მეხსიერება და კოსმიზმი 130
გრძნობა და რიტმი 134
მშვენიერების იდეა 138
ეგოიზმი და კოსმიზმი სიყვარულში 144
ჭეშმარიტების პრობლემა და ლოგიკა 145
იდეალების ევოლუცია 152
პროგრესი არ არსებობს 159
მარადისობის იდეა 166
წარმავლობის სევდა 171
სიღამო ჟამს 177
წუთისოფელი და წარსული 178
ესთეტიკური იდეალი 182
იდეალი და ტანჯვა 187
იდეა და ფორმა 190

სოციალური ესთეტიკის საფუძვლები
ორგანოტროპიზმი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა 196
რეფლექსი და აზრი 202
გაადგილება და შეფარდება 214
შემოქმედების ორგანოტროპული პრინციპი 223

სამყარო როგორც სხეული და ენტელექია 236
მეტყველების გენეზისი 245
სიტყვა და სოციალური საკითხები 250
ინდივიდუალისტური მომენტი 265
ხელოვნება და სოციალური სული 270
ბუნებისათვის თეატრასა 282
გრძნობათა სოციალიზაცია 289
ორგანოტროპიზმი, სტილი და სოციალური განცდა . . . 297
ქალაქის სული და უსაზღვროების იდეა 313
მარქსიზმი და აზროვნების ორგანოტროპული რეფორმა . . 322
ინტელექტუალიზმი და ინდივიდუალიზმის ტრაგედია . . 337
იდეათა გენეზისი 347
მდგომარეობა და იდეოლოგია 357
რიტმის განცდა 364
დამატება 371
გამომცემლობისაგან. „სული და იდეა“ გარშემო . . . 371
ქართული პრესა ორგანოტროპიზმის შესახებ 371

გამომცემლობის რედაქტორი თ. გ ა ბ ე ლ ა ი ა
საბუსტეტრო რედაქტორი ი. ჩ ი ქ ვ ი ნ ი ძ ე
ტექნიკური რედაქტორი ფ. ბ უ დ ა ღ ა შ ვ ი ლ ი
კორექტორი ე. გ ო ნ ჯ ი ლ ა შ ვ ი ლ ი

ს.ბ. 1418

გადაეცა წარმოებას 26.12.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.05.89. უე 07836. საბეჭდი ქაღალდი № 1. 60×84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 24. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 20,3. ტირაჟი 2 000. შეკვ. № 2523.
ფასი 1 მან. 90 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა. მეგობრობის გამზირი № 7.
Тбилисская Книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, пр. Дружбы № 7.